780/1990/2

ISSN 0134-9848

1990/3

# საუნჯე

მაისი—ივნისი

№286
(3)





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილი კანდინსკი. შავი კამარით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საუნჯე

1990/ 3
მაისი
ივნისი
(96)

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

თომას მანი. ჯალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება. რომანი. დასაწყისი. გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ 3

ნიკოლოზ რუბცოვი. ლექსები. თარგმნა დილარ ივარდავამ 73

დუგლას გლოვერი. მოთხრობები. ინგლისურიდან თარგმნა ინგა ფილიანმა 87

ვსევოლოდ ივანოვი. მოთხრობები. თარგმნა ნოდარ ებრალიძემ 100

რუმინული ხალხური პოეზია. რუმინულიდან თარგმნა ოთარ შალამბერიძემ 121

იოზეფ როთი. სადგურის უფროსი ფალმერაიერი. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა ზურაბ აბაშიძემ 130

ჰანს ჰენი იანი. მედეა. პიესა. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა 146

ეჟი ანჯეევსკი. ფერფლი და ალმასი. რომანი. დასასრული. პოლონურიდან თარგმნა გოგი მაჭუტაძემ 154

მიხაილ ბულგაკოვი. ძაღლის გული. თარგმნა გივი კიკილაშვილმა 187

### წერილები

ჰუგო ფრიდრიხი. თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა (ბოდლერიდან ჩვენს დრომდე). დასაწყისი. გერმანულიდან თარგმნა ლამარა ნაროუშვილმა 261

ზურაბ გ. აბაშიძე. იოზეფ როთი 284

ბერნარდ შოუ. ფორტეპიანოს აპოლოგია. თარგმნა იზოლდა ქარსელაძემ 298

გონდო არველაძე. გრიგოლ რობაქიძის ერთი პოლემიკის შესახებ. დასაწყისი 308

მიშელ სეფორი. აბსტრაქტული ფერწერა. ინგლისურიდან თარგმნა მარინა თორდიამ 314

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა დარჩია (პ/მ. მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
ნოდარ გურეშიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რენე კალანდია
გიორგი ხოშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
ნიკო ჭიასაშვილი
დავით წერედიანი

გარეკანზე: სერჟ შარშუნი. ზღვა.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, გამომშვები ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, კარლ მარქსის ქ. № 1, ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22, განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 16. 05. 90 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 08. 08. 90 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$
სააღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28, საღებავის გატ. 28,7. ტირ. 10 000. შეკვ. № 1172

# თომას მანი

# ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანი

გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ

1961/10

## პირველი წიგნი

### პირველი თავი

ჰო, ვიღებ ხელში კალამს, რათა ვისარგებლო სრული მოცლილობითა და განმარტოებით და ჩემი მკაფიო და მოხდენილი ხელწერით აღსარება გავანდო ყოვლისამტან ქაღალდს. სხვათა შორის, საამისო ჯანიც მომდევს და ღონეც, თუმცა დაღლილი ვარ და გვარიანად დაღლილიც (ამიტომ მხოლოდ მისხალ-მისხალ და სვენებ-სვენებით თუ წავიწევ წინ), ოღონდ ესაა, შევუდექი თუ არა საქმეს, გულში მაშინვე გამკრა ეჭვმა, ვაითუ ჩემი სწავლა-განათლება ამ ინტელექტუალურ ჩანაფიქრს ვერ გასწვდეს-მეთქი. თუმცა რას ვამბობ, რაკი ყველაფერი, რაც უნდა გაგანდოთ, ჩემი საკუთარი, უშუალო გამოცდილების, შეცდომებისა და ვნებათაღელვის ნაყოფია, ის ეჭვი დიდი-დიდი ჩემთვის მომადლებულ ტაქტსა და თხრობის უნარზე გავრცელდეს. ამ საქმეში კი, მე თუ მკითხავთ, სისტემატურ და დასრულებულ სწავლა-განათლებაზე უფრო ბუნებრივი ნიჭი და ბავშვობაში მიღებული კარგი აღზრდა გამომადგება. აი ეს უკანასკნელი კი ნამდვილად არ დამკლებია, რადგან საკმაოდ უზნეო, მაგრამ მაინც კულტურულ ბიურგერულ ოჯახში ვარ გაზრდილი; მე და ჩემს დას ოლიმპიას თვეების მანძილზე გვწვრთნიდა ვინმე ვევეელი მამზელი, მერე კი დედაჩვენსა და მას შორის გაჩენილი ქალური ქიშპის გამო (ქიშპის საგანი, სხვათა შორის მამაჩემი გახლდათ) იგი იძულებული გახდა პოზიციები დაეთმო და ბრძოლის ველი დაეტოვებინა. ჩემი ნათლია შიმელპრისტერი, ვისთანაც გულითადი ურთიერთობა მაკავშირებდა, ფრიად დაფასებული ხელოვანი ბრძანდებოდა, მას ჩვენს პატარა ქალაქში ყველა „ბატონ პროფესორს“ ეძახდა, თუმცა ეს მშვენიერი და სახარბიელო ტიტული მისთვის ოფიციალურად არავის მიუნიჭებია. დაბოლოს უნდა მოვიხსენიოთ მამაჩემი, რომელიც თავის სისქისა და სიმსუქნის მიუხედავად გრაციოზული კაცი იყო და მკაფიო მეტყველების დიდი დამფასებელიც გახლდათ.

მას ბებიისგან ნამემკვიდრევი ფრანგული სისხლი უჩქეფდა ძარღვებში, განსწავლის წლებიც საფრანგეთში ჰქონდა გატარებული და თავისივე სიტყვით, პარიზს საკუთარ ჯიბესავით იცნობდა. მამაჩემს საუბარში ძალიან უყ-



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარდა ისეთი გამოთქმების ჩართვა, როგორიცაა „c'est ça", „épatant" ან „parfaitement".[1] ამ სიტყვებს ხომ წმინდად წარმოთქვამდა. მოწონების გამომხატველ სხვა სიტყვებსაც ხშირად აფრანგულებდა და ლხინს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ქალების წყალობაც არ მოჰკლებია. აი, სულ ესაა, რაც წინასწარ და გაკვრით გიამბეთ, თორემ რაც შეეხება დახვეწილი მეტყველებისკენ ჩემს ბუნებრივ მიდრეკილებას, მას, როგორც მთელი ჩემი თვალთმაქცური ცხოვრება ადასტურებს, ჩემთვის ოდითგანვე სარგებლობა მოჰქონდა და, მგონი, არც ამ წერილობითი გამოსვლისას უნდა მიმტყუნოს. ისე, რომ იცოდეთ, გადაწყვეტილი მაქვს ჩანაწერებში სრული გულწრფელობა გამოვიჩინო და არც იმას შევუშინდე, ვინმემ პატივმოყვარეობა ან უტიფრობა არ მიკიჟინოს-მეთქი. აბა ისე რა ზნეობრივი ღირებულება ან აზრი ექნება აღსარებას, თუკი მის შეთხზვაში სხვა რამ პრინციპი გაერია, გარდა ჭეშმარიტების ერთგულებისა!

მე რაინისპირა კუთხის პირმშო ვარ, სწორედ იმ დალოცვილი მხარისა, სადაც ჰავაც რბილია და მკვეთრი აღმართ-დაღმართი არც ნიადაგს ახასიათებს, დასახლებულია იგი პატარ-პატარა მხიარული ქალაქებითა და დაბებით და დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ჩემი მშობლიური კუთხე დედამიწის ზურგზე არსებულ უმშვენიერეს მხარეთა რიცხვში შედის. აქ, სუსხიანი ქარებისაგან რაინისპირა მთებით დაცულ შუადღის მზით ნაფერებ მხარეში ჰყვავიან ის სახელგანთქმული სოფლები, რომელთა ხსენებაზეც ჩემისთანა ბედოვლათს გული სიხარულით უნათდება ხოლმე. ესენია რაუენთალი, იოჰანისბერგი, რიუდესჰაიმი და აქვეა ის დიდად პატივსაცემი პატარა ქალაქიც, სადაც გერმანიის იმპერიის ძლევამოსილად დაარსებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მე ვიხილე დღის სინათლე. ქალაქი მდებარეობს მაინცის მახლობლად, ოდნავ მარცხნივ იმ ადგილიდან, სადაც რაინი მუხლს იკეთებს, განთქმულია თავისი შუშხუნა ღვინოებით, წარმოადგენს მთავარ ნავსაყუდელს მდინარეზე აღმა-დაღმა მოცურავე გემებისათვის და ითვლის ოთხი ათასამდე მცხოვრებს. ერთი სიტყვით, მხიარული მაინც ხომ სულ ახლოს იყო ჩემი ქალაქიდან, მაგრამ ასევე ახლოს იყო ტაუნუსის მთის კურორტები ვისბადენი, ჰომბურგი, ლანგენშვალბახი და შლანგენბადი და სხვაგან თუ არა, შლანგენბადში მაინც ხომ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით ნახევარ საათში შეგეძლო ჩასვლა. რომ იცოდეთ, რა ხშირად ვმოგზაურობდით ოთხივ კუთხით წელიწადის თბილ თვეებში ჩემი მშობლები, ჩემი და ოლიმპია და მე, ვმოგზაურობდით გემით, ეტლითა თუ მატარებლით და ყოველი კუთხისკენ გვიზიდავდა მათი სილამაზე და ღირსშესანიშნაობანი — ბუნებისა თუ კაცის ხელით შექმნილი. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ იჯდა ჩვენთან ერთად რომელიმე მედუქნის ეზოში, ხალვათ საზაფხულო კოსტუმში გამოწყობილი მამაჩემი, იჯდა მაგიდიდან ოდნავ მოშორებით, რადგან უფრო ახლოს მიწევას მუცელი არ ანებებდა, გემოს ატანდა კიბორჩხალებისგან მომზადებულ კერძს და ზედ ოქროსფერ ყურძნის წვენს მადიანად აყოლებდა. ჩემი ნათლია შიმელპრისტერიც ხშირად თან გვახლდა, იგი თავის მრგვალშუშებიანი სათვალიდან ხალხსა და გარემოს გულმოდგინედ აკვირდებოდა და დიდსა და მცირეს თავის არტისტულ სულში სამუდამოდ იბეჭდავდა.

ჩემი საბრალო მამა მეპატრონე გახლდათ ენგელბერტ კრულის სახელით

[1] ასეა; საოცარია; ჩინებულია (ფრანგ.).

ცნობილი ფირმისა, რომელიც მუშხუნა ღვინოს — „ლორელაი ექსტრა კი-
უვეს" ამზადებდა. ფირმის მარნები რაინის ქვემო წელზე, ნავმისადგომის
მორიახლო იყო ჩარიგებული, ბავშვობაში ხშირად მიხეტიალია მათ გვერდით
თაღებქვეშ, მივაბიჯებდი მაღალ სტელაჟებს შუა დატანებულ მოკირწყლულ
ბილიკებზე და ჩაფიქრებული შევყურებდი ბოთლების ლაშქარს [illegible]
მიწოლილნი ერთმანეთზე რომ იყვნენ დახვავებულნი. აი წევხართ ასე, ვფი-
ქრობდი გულში (ოღონდ, ცხადია, მაშინ ჩემს ნაფიქრალს სიტყვით ასე ზუ-
სტად ვერ გამოვხატავდი), აი, წევხართ მიწისქვეშეთის ბინდბუნდში და
თქვენს წიაღში ნელ-ნელა იწმინდება და ღვინდება ფიცხი, ოქროსფერი მა-
ჭარი, დაღვინებული მერე ზოგს გულს რომ აუჩქროლებს და ზოგს თვალებს
აუთამაშებს! თქვენ ჯერ შიშვლები ხართ და შეუხედავნი, მაგრამ ერთ მშვე-
ნიერ დღეს მდიდრულად მორთულ-მოკაზმულნი ამობრძანდებით მზისგულზე,
რათა დღესასწაულებზე, ქორწილებში, განცალკევებულ კაბინეტებში თუ
სხვაგან ჭერში ტკაცატკუცით აისროლოთ საცობები და ადამიანები შეაზარ-
ხოშოთ, აამჩატოთ და გაახალისოთ. დაახლოებით ასე ამბობდა მაშინ ის ბი-
ჭი და სიმართლეს, სხვა თუ არაფერი, ის მაინც შეეფერებოდა, რომ ფირმა
„ენგელბერტ კრული" უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი ბოთლე-
ბის გარეგნულ „იერს", ანუ იმ საბოლოო გაფორმებას, რასაც სპეციალისტები
ვარცხნილობას უწოდებენ. ჯერ ერთი, დაწნეხილი კორპი ვერცხლის მავთუ-
ლითა და მოოქროვილი ძაფით მაგრდებოდა ბოთლის ყელში, ხოლო საცობს
ზემოდან ხასხასა წითელი ლაქიც ესვა და ზედ კიდევ, ბულებისა და ძველი
სიგელ-გუჯრების მსგავსად, ყელში დატანებულ მოოქროვილ ზონარზე
მრგვალი ბეჭედი ჰქონდა დაკიდებული. ბოთლის ყელი გულმოდგინედ იყო
შემოსილი ბრჭყვიალა ფოლგით, ხოლო მუცელზე ნათლია შიმელპრისტე-
რის მიერ მისთვის საგანგებოდ შექმნილი ოქროს ვარაყიანი ეტიკეტი ეკრა.
ეტიკეტზე უამრავი ღერბისა და ვარსკვლავის, მამაჩემის მონოგრამისა და
ოქროს ასოებით ამოტვიფრული სახელის „ლორელაი ექსტრა კიუვეს" გარ-
და მხოლოდ სამაჯურებითა და ძეწკვებით ტანშემოსილი, კლდის ქიმზე შე-
მომჯდარი შიშველი ქალიც ეხატა. ქალს ფეხი გადაედო, აწეულ ხელში ოქ-
როს სავარცხელი ეჭირა და დალალებს ივარცხნიდა. ისე, სიმართლე თუ
გნებავთ, ღვინის ხარისხი ამ თვალისმომჭრელ გაფორმებას, მგონი, მთლად
ზუსტად არ შეესაბამებოდა.

— კრულ — უთქვამს ერთხელ ჩემს ნათლიას მამაჩემისთვის, — პირადად
თქვენზე ცუდი არაფერი მეთქმის, მაგრამ თქვენი შამპანური პოლიციამ
რომ აკრძალოს, ის დროა. ერთი კვირის წინ სულმა წამძლია, ნახევარი ბოთლი
დავლიე და ჩემი ორგანიზმი იმ ძალადობისაგან დღემდე გონს ვერ მოსულა.
ერთი მითხარით, რა ჯანდაბას ურევთ იმ მთხლეში? ნავთს უმატებთ თუ რა-
ხით აზავებთ? რასაც არ უნდა ურევდეთ, სულერთია, ფაქტია, რომ საწამლავს
ამზადებთ და ერთხელაც იქნება კანონს ვერ გადაურჩებით!

ამ სიტყვებზე ჩემს საბრალო მამას დაურცხვენია, რადგან ბუნებით ბუნ-
ჩულა კაცი იყო და მწარე საყვედურებს განიცდიდა ხოლმე.

— თქვენთვის ადვილია ჩემი დაცინვა, შიმელპრისტერ, — უთქვამს მა-
მაჩემს და, ჩვეულებისამებრ, თითები მუცელზე ნაზად აუთამაშებია, —
ჩვენებურ ღვინოს მაინც ალმაცერად უყურებს ყველა და მეც, მეტი რა გზა
მაქვს, იაფი პროდუქცია უნდა გამოვუშვა. ერთი სიტყვით, საზოგადოებას

ზუსტად იმას ვაწოდებ, რასაც ჩვენგან მოელიან. ესეც არ იყოს, კონკურენცია ისე მავიწროებს, რომ საცაა სული ამომხდება.

აი, როგორ ყოფილა ეს ამბავი.

ჩვენი ვილა იმ ბატონკაცური, კოხტა სახლების ტიპისა იყო, ფერდობებზე რომ შეუფუთულან და რაინის პეიზაჟს თვალისათვის სასიამოვნოს ხდიან. ფერდობზე გაშენებული, მდინარემდე ჩასული ბაღი უხვად გვქონდა შემკული ქაშანურის ქონდრისკაცებით, სოკოებითა და ცხოველებს წამსგავსებული ნაირგვარი ფიგურებით; ერთგან, საგანგებოდ გაკეთებულ კვარცხლბეკზე, ლაპლაპა მინის სფერო ესვენა, რომელიც სახის ანარეკლს სასაცილოდ ამოხინჯებდა. აქვე იყო ეოლოსის ქნარი, მღვიმეები და შადრევანი, რომელიც ჰაერში ლამაზად ტყორცნიდა წყლის სვეტებს, ხოლო აუზში ვერცხლისფერი თევზები დაცურავდნენ. სახლის მორთულობაზეც თუ ვიტყვით ორიოდ სიტყვას, სახლი შიგნითაც მამაჩემის გემოვნებით იყო მოხდენილად და მხიარულად მორთული. მყუდრო ერკერები თითქოს ჩამოსაჯდომად გეპატიჟებოდნენ, ხოლო ერთ-ერთ მათგანში ნამდვილი ჯარაც კი იდგა. უამრავი წვრილმანი: სირჩები, ნიჟარები, გალაქული ზარდახშები და საყნოსი ფლაკონები მწკრივად ელაგა ეტაჟერებსა და პლუშგადაკრულ პაწია სადგამებზე; დივნებსა და შეზლონგებზე აბრეშუმისპირიანი თუ ფერად-ფერადი ნაქარგით დამშვენებული ბუმბულის ბალიშები იყო მიმობნეული, რადგან მამაჩემს რბილად კოტრიალი უყვარდა; ჩვენი ფანჯრების ლავგარდანები ალებარდებს ჰგავდა, ხოლო კარის სიოში ლერწმისა და ჭრელაჭრულა მძივების მსუბუქი ფარდები ეკიდა, ასეთი ფარდები ვითომ მჭიდრო კედელს ჰქმნიან, მაგრამ მათ შორის ხელმოუკიდებლად გაივლი, ისინიც შარიშურით ან მსუბუქი ტკაცანით იხსნებიან და მერე უხმაუროდვე იკრავენ პირს. შემოსასვლელში ერთი პატარა, გონებამახვილური მოწყობილობა გვეყენა, კარი დაჭირხნილი ჰაერის მეშვეობით ნელ-ნელა იკეტებოდა და ამასობაში ის მექანიზმი საამო წკარუნით უკრავდა დასაწყისს სიმღერისას. — „გიხაროდენ სიცოცხლე".

## მეორე თავი

აი, ასეთი გახლდათ ის სახლი, სადაც ვარდობისთვის ერთ რბილ, წვიმიან დღეს — სხვათა შორის, ის დღე კვირა ყოფილა — დავბადებულვარ მე და ამ წუთიდან გპირდებით, რომ მოვლენებს წინ აღარ გავუსწრებ და დროის მდინარებას ზუსტად გავყვები. ჩემი დაბადების პროცესი, თუკი სწორად ვარ ინფორმირებული, თურმე მეტისმეტად ნელა მიმდინარეობდა, მაშინდელი ჩვენი შინაური ექიმის, დოქტორ მეკუმის ჩარევაც დაგვჭირვებია და სახელდობრ იმიტომ, რომ მე — თუკი იმ შორეულ, უცხო არსებას „მე" შეიძლება დავარქვა — დუნედ და გულგრილად მოვქცეულვარ. დედაჩემისთვის ტანჯვა-წვალება სულაც არ შემიმსუბუქებია და ერთი ბეწო მონდომება არ გამომიმჟღავნებია იმ სამყაროში მოსავლენად, რომელიც შემდგომ ასე მგზნებარედ უნდა მყვარებოდა. მიუხედავად ზემოთქმულისა, ჯანსაღი, ღონიერი ბავშვი ვყოფილვარ და კარგი ძიძის მკერდზე თურმე სანაქებოდაც ვიზრდებოდი, მაგრამ რაც უფრო ხშირად ვუფიქრდები ჩემი დაბადებისას გამოვლენილ სიზანტესა და სიჯიუტეს, ასე აშკარად რომ ვამბობდი უარს დედის სა-

შოს სიბნელე დღის სინათლეზე გამეცვალა. მით უფრო მტკიცედ ვუკავშირებ ამ ამბავს იმ განსაკუთრებულ უნარსა და მიდრეკილებას ძილისადმი, დაბადებიდთვე რომ დამყოლია. მეუბნებოდნენ, ძალიან წყნარი ბავშვი იყავიო, არც მჩხავანა ვყოფილვარ და არც მოუსვენარი. პირიქით, ჩემი გადიების გასახარად ან სულ მართლა მეძინა, ან ვთვლემდი ხოლმე. მართალია, შემდგომ სულ ხალხში ვტრიალებდი, ადამიანებისკენ მიმიწევდა [illegible] შორის ნაირ-ნაირი გვარითა და სახელით გავრეულვარ და თავი არ დამიზოგავს, რომ როგორმე მათი გული მომენადირებინა, მაგრამ ღამეება და ძილი მაინც ყველაფერს მერჩივნა, დაღლილიც რომ არ ვყოფილიყავი, მაინც ადვილად და სიამოვნებით მომეკიდებოდა ძილი. ღრმად ვიძინებდი უსიზმრო ბურანში. გამოვიღვიძებდი ხანგრძლივი, ათი, თორმეტი, თოთხმეტსაათიანი ძილის შემდეგ და ისე ცოცხლად და ბედნიერად ვგრძნობდი თავს, რომ დღისით მოპოვებული ვერავითარი წარმატება და სიამოვნება ასეთ ბედნიერებას ნამდვილად ვერ მომანიჭებდა. იქნებ ვინმემ შეუსაბამობაც კი დაინახოს ძილისადმი ჩემს ასეთ უჩვეულო ლტოლვასა და სიცოცხლისა და სიყვარულის დაუოკებელ ჟინს შორის, მაგრამ ამაზე ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ, თუმცა რატომ, ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ ამ საკითხზე მეც ბევრჯერ მიფიქრია და იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ აქ წინააღმდეგობასთან კი არა, უფრო ფარულ ურთიერთკავშირსა და თანხვდომასთან გვქონდა საქმე. აი, თუნდაც ახლა, ჯერ მხოლოდ ორმოცი წლის კაცს, უკვე დაბერებულსა და დაღლილს, ადამიანებისკენ გული რომ აღარ მიმიწევს და ჩემთვის განმარტოებით მირჩევნია ცხოვრება, ძილის უნარიც დამიძაბუნდა, სწორედ ახლა გადავეჩვიე ძილს, ძილი ხანმოკლე, ზერელე და მფრთხალი გამიხდა, მაშინ როცა ერთ დროს, ციხეში, სადაც საამისო დროც უხვად მქონდა მონიჭებული, გაცილებით უკეთ მეძინა ხოლმე, ვიდრე მერე პალას-ჰოტელის ფაფუკ ქვეშაგებში მწოლიარეს. მაგრამ აი, ისევ წინ მისწრებს ენა!

ჩემიანებისაგან ხშირად მსმენია, ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებულიო, და თუმცა ცრუმორწმუნეობის ატმოსფეროში არ გავზრდილვარ, ამ ფაქტს, ჩემს სახელს ფელიქსს (რომელიც ნათლიის საპატივცემულოდ დამარქვეს), ჩემს მოხდენილობასა და სანდომიანობას ყოველთვის იდუმალ მნიშვნელობას ვანიჭებდი ხოლმე. დიახ, იღბლიანობის რწმენა და იმის შეგრძნება, რომ ზეცის რჩეული ვიყავი, გულში ყოველთვის მიღვიოდა და ეს რწმენა, თუ გნებავთ, არც არასდროს გამტყუნებია. ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იქნებ ისიცაა, რაც კი ცხოვრებაში ტანჯვა-ვაება შემხვედრია, გულთან ახლოს რომ არ მიმიტანია, ყოველგვარი სიავე უცხოდ მომჩვენებია, განგებისაგან მოვლენილად არ ჩამითვლია და სიავეშიც ყოველთვის მზის სხივივით გამოსჭვიოდა ჩემი ჭეშმარიტი და საგანგებო დანიშნულება, — ამ წიაღსვლის შემდეგ განვაგრძობ თხრობასა და ფართო შტრიხებით მოვხაზავ ჩემი ახალგაზრდული ცხოვრების სურათს.

ბავშვობაში დიდი ფანტაზიორი ვყოფილვარ და ჩემი ახირებებითა და ოინბაზობით შინაურებს თურმე ხშირად ვაძლევდი მხიარულების საბაბს. კარგად მახსოვს, თუმცა ამ ამბავს ხშირად მიყვებოდნენ და შეიძლება ამიტომ მგონია. მახსოვს-მეთქი, სულ პაწაწინა ბავშვი იმპერატორობას რომ ვიჩემებდი და ჩემსაზე საათობით ჯიუტად ვიდექი ხოლმე. ჩავჯდებოდი მსუბუქ საბავშვო ეტლში, ჩვენი მოახლე ბაღის ბილიკებზე ან ვრცელ ჰოლში დამატარებდა, მე ქვედა ტუჩს რაც შემეძლო ჩამოვუშვებდი, ამ დროს ზედა

ტუჩი უსაშველოდ წამიგრძელდებოდა, თვალებს ნელ-ნელა ვახამხამებდი და თვალები მარტო ძალდატანებისაგან კი არა, გულისაჩუყებისგან მიწითლდებოდა და ცრემლით მევსებოდა ხოლმე. უხმოდ, ჩემივე გამოგონილი ხანდაზმულობითა და დიდებულებით გაბღენძილი ვიჯექი ეტლში, ჩემი გადია კი იძულებული იყო გამვლელ-გამომვლელისათვის საქმის ვითარება მოეხსენებინა, რათა ჩემი ახირების უგულებელყოფით გულისწყრომა [illegible] იმპერატორს ვასეირნებო, გაიძახოდა იგი, ვითომ სამხედრო სალმის ნიშნად გაშლილ ხელს საფეთქელთან არასწორად იდებდა და მეც პასუხად ყველასგან რევერანსებს ვიმსახურებდი. ნათლია შიმელპრისტერს ხუმრობა არ ეზარებოდა, ასეთ ვითარებაში რომ გადამეყრებოდა, თვითონაც აჰყვებოდა და ჩემს ფანტაზიას ზურგს ასე უმაგრებდა. შეხეთ, მობრძანდება ჩვენი გმირი მოხუციო, შესძახებდა იგი და თავს მდაბლად დამიხრიდა, მერე გვერდზე მიდგებოდა, ვითომ ხალხს განასახიერებდა. „ვივატო", გაიძახოდა, ქუდს, ხელჯოხს, სათვალესაც კი ჰაერში ისროდა და სიცილისაგან იფხრიწებოდა, როცა ხედავდა, ძალით გაწელილ და დაგრძელებულ ზედატუჩზე აღელვებისაგან როგორ ჩამომდიოდა ცრემლები.

ამგვარი თამაშით, კარგა მოზრდილი ბიჭი რომ ვიყავი, მერეც ვერთობოდი, ანუ იმ ასაკშიც ვირთობდი თავს, როცა უფროსების მხარდაჭერის იმედი, წესით, აღარ უნდა მქონოდა. იმ მხარდაჭერის დაკარგვას, მართალი გითხრათ, არც შევუწუხებივარ, პირიქით, მიხაროდა კიდეც. ფანტაზიორობას სხვების დაუხმარებლად, ჩემი საკუთარი ძალებით რომ ვახერხებდი, გავიღვიძებდი, მაგალითად, დილით და გადავწყვეტდი, იმ დღეს თვრამეტი წლის პრინცი, სახელად კარლი, ვყოფილიყავი და ამ ოცნებას იმ დღეს კი არა, რამდენიმე დღე არ ვეშვებოდი. ამგვარ გარდასახვას სხვასთან შედარებით ის ფასდაუდებელი უპირატესობა ჰქონდა, რომ აუცილებელი არ იყო, თვით ამ აუტანელი გაკვეთილების გულისთვისაც კი თუნდაც ერთი წუთით გამეწყვიტა თამაში. მთელი დღე გულმოწყალე დიდებულებით გარემოსილი დავბრძანდებოდი და ჩემთვისვე გამოგონილ გუვერნიორსა ან ადიუტანტთან მხიარული საუბარი მქონდა გაჩაღებული. ჰოდა, განა ვინმეს შეუძლია აღწეროს, რა სიამაყესა და ბედნიერებას მანიჭებდა მისი უბრწყინვალესობით განატიფებული, იდუმალებით მოსილი არსებობა? ო, რა დიდებული რამაა ფანტაზიის უნარი და რა სიტკბოების მონიჭება შეუძლია ადამიანისათვის! რა უტვინოები, რა ნაზარალევი მეჩვენებოდნენ ჩემი თანაქალაქელი ბიჭები, ვისაც ამ მადლისა ნამდვილად არა ეცხოთ რა და აქედან გამომდინარე, ვერც იმ იდუმალ სიხარულს ეზიარებოდნენ, მე რომ გაუჭირვებლად, ყოველგვარი გარეგნული სამზადისის გარეშე, მხოლოდ ჩემი ნება-სურვილის წყალობით ვეწაფებოდი! თუმცა ეს კია, იმ უბრალო, ხეშეშთმიან, წითელხელება ყმაწვილებს პრინცობანას თამაში რომც მოენდომებინათ, სასაცილონი და უბადრუკნი გამოჩნდებოდნენ. მე კი, მამაკაცებში იშვიათად რომ შეხვდებით, ისეთი ნაზი, აბრეშუმივით რბილი ქერა თმა მქონდა, ეს თმა და მოლურჯომონაცრისფრო თვალები ჩემს მოოქროსფრო მუქ კანთან თვალწარმტაც კონტრასტს ჰქმნიდნენ. ამიტომ ბევრი ვერც არჩევდა, შავგვრემანი ვიყავი თუ ქერა და ხან ასე მთვლიდნენ და ხან ისე. ხელებს პატარაობიდანვე ვუვლიდი, არცთუ თხელი, მაგრამ კოხტად მოყვანილი ხელები არასოდეს მიოფლიანდებოდა, პირიქით, ყოველთვის ზომიერად თბილი და მშრალი მქონდა, ფრჩხილებიც გემოვნებით დაჭრილი და საამო შესახედი; რაც შეეხება ხმას, იგი,

სანამ შემეცვლებოდა. მანამდეც ამოდ ესალბუნებოდა ყურს და მეც მარ-
ტოდ დარჩენილი, ჩემს ურჩინარ გუვერნიორთან ჟესტ-მიმიკით უზვად მეზ-
ვებულ, ჩემსავე გამოგონილ, ფაქტიურად უაზრო ენაზე ხალისიანად ვყე-
დობდი და საკუთარ ხმას სიამოვნებით ვუსმენდი ხოლმე. ამგვარ[illegible]
ლი ღირსებები იშვიათად თუ აიწონება, ისინი მხოლოდ თავის [illegible]
ობით შეიძლება შეფასდეს და ამიტომ გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული
კაცისთვისაც კი ძნელია სიტყვით მათი გამოხატვა. ასე იყო თუ ისე, ჩემთვის
საიდუმლო არ გახლდათ ის ამბავი, რომ მე უფრო კეთილშობილი მასალი-
საგან ვიყავი შექმნილი, ანუ, როგორც იტყვიან, უფრო ძვირფასი ჯიშის ხი-
საგან ვიყავი გამოთლილი, ვიდრე ჩემი თანატოლები და ამას რომ ვამბობ,
სულაც არ მეშინია, თავის ქება არავინ დამწამოს-მეთქი. დიახ, ჩემთვის სულ-
ერთია, მავანი და მავანი ასეთ ბრალდებას წამოაყენებს თუ არა, რადგან ან
რეგვენი უნდა ვიყო, ან ფარისეველი, თავი რიგით ადამიანად რომ გავასაღო,
დიახ, ჭეშმარიტებას ნამდვილად ვერ ვუღალატებ და ვიმეორებ, უძვირფასე-
სი ჯიშის ხისაგან ვარ გამოთლილი-მეთქი.

რჯკი მარტოობაში ვიზრდებოდი (ჩემი და ოლიმპია ჩემზე რამდენიმე
წლით უფროსი იყო), მიდრეკილებას ვიჩენდი უცნაური და ტვინის საჭყლე-
ტი საქმიანობისაკენ და საამისო ორ მაგალითს აქვე მოგიყვანთ კიდეც. ჯერ
ერთი, შემიპყრო ახირებულმა სურვილმა საკუთარ თავზე გამომეცადა და
შემესწავლა ადამიანის ნებისყოფა, ეს იდუმალი და ხშირად ლამის ზებუნე-
ბრივი ეფექტის გამომწვევი ძალა. ცნობილია, რომ ჩვენი თვალის გუგების
გაფართოება-შევიწროება სინათლის სიძლიერეზეა დამოკიდებული და აი,
მეც ავიკვიატე, თვალის კუნთების ეს უნებური მოქმედება ჩემი ნებისთვის
დამემორჩილებინა. დავდგებოდი სარკის წინ, ვცდილობდი გამომეთიშა ყველა
გარეშე ფიქრი, მთელ შინაგან ძალებს თავს ვუყრიდი და ჩემი თვალის გუ-
გებისაკენ წარვმართავდი, რათა ჩემი ნება-სურვილის მიხედვით ისინი ხან შე-
მევიწროვებინა და ხან გამეფართოვებინა, და მერწმუნეთ, ჩემი გულმოდგინე
წვრთნა მართლაც წარმატებით დაგვირგვინდა. თავიდან შინაგანი დაძაბუ-
ლობისაგან ოფლს მასხამდა და ფერი მიმდიოდა, ხოლო გუგები, გაფართო-
ება-შევიწროების ნაცვლად, უსაშველოდ მიცახცახებდა, მაგრამ მერე და
მერე ისინი მართლაც ემორჩილებოდნენ ჩემს ნებას — ხან პაწაწკინტელა
წერტილივით დავიწროვდებოდნენ, ხან უზარმაზარ, შავად მოლაპლაპე წრე-
ებად გადაიქცეოდნენ, და აი, მაშინ კი წარმატებისაგან მოგვრილი კმაყოფი-
ლება ლამის შიშს უტოლდებოდა და ადამიანის ბუნების საიდუმლოებასთან
შეხება ძრწოლას მგვრიდა ხოლმე.

მეორე საფიქრალი, იმ ხანებში ჩემს ჭკუა-გონებას რომ დაეპატრონა და
დღესაც რომ არ დაუკარგავს თავისი აზრი და მომხიბვლელობა, ასეთი გახ-
ლდათ. რა უფრო სასურველია, გარესამყარო დიდი მეჩვენებოდეს თუ პა-
ტარა-მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს თავს და ამ შეკითხვაში, ახლავე მოგახსე-
ნებთ, რასაც ვგულისხმობდი: დიდი პიროვნებების, მხედართმთავრების, სა-
ხელმწიფო მოღვაწეების, დამპყრობლებისა და საერთოდ, ყოველი ჯურის
მბრძანებლის, ანუ სხვისი დამჯაბნელისა და დამმონებლის ბუნება, ეტყობა,
ისეა მოწყობილი, რომ მათ გარესამყარო ჭადრაკის დაფასავით პატარა ეჩ-
ვენებათ, თორემ საამისო დაუნდობლობა და გულქვაობა როგორ ეყოფოდათ,
რომ თავიანთი გრანდიოზული გეგმების შესაბამისად თავხედურად და წარბ-
შეუხრელად განეგოთ ცალკეული ადამიანების ბედი თუ უბედობა. მეორე

მხრივ, ისიც ადვილი შესაძლებელია, ასეთ უსულგულო ადამიანს ცხოვრებაში ხელი მოეცაროს, რადგან ის, ვინც ხალხსა და ქვეყანას არაფრად ან თითქმის არაფრად აგდებს და ადრიდანვე იმსჭვალება მათი [illegible] შეგნებით, თვითონვეა გულგრილობისა და სიძაბუნის მორევში ჩასაძირად განწირული, იგი ადამიანის სულზე ყოველგვარ ზემოქმედებას [illegible] უმოქმედობას ამჯობინებს, ალარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ასეთი ადამიანი თავისივე უსულგულობის წყალობით მოკლებულია თანაგრძნობისა და გარჯის უნარს, იგი ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეურაცხყოფს მოაზროვნე სამყაროს და შემთხვევითი წარმატებისაკენ მიმავალ გზასაც თავის საკუთარი ხელით იჭრის. ამიტომაც დავუსვი ჩემს თავს კითხვა, იქნებ უფრო ქკვიანური გამოდგეს, გარესამყაროსა და ადამიანში რაღაც დიადი, ამაღლებული და მნიშვნელოვანი დაინახო, რისთვისაც ეღირება ძალისა და შრომის დახარჯვა, რაც თუნდაც მცირეოდენ პატივისცემასა და აღიარებას მოგვიტანს-მეთქი, მაგრამ მაშინვე ვიფიქრე, რომ აქაც წავაწყდებოდი დაბრკოლებას: მოვლენების ასე განდიდებამ და მათ წინაშე ქედის მოხრამ შეიძლება საკუთარ თავზე შეგიქმნას ნაკლები წარმოდგენა და სიმორცხვის გრძნობა გაგიღვივოს, ჰოდა, მაშინ მოწიწებისგან გამოთაყვანებულ ყმაწვილს გარესამყარო ღიმილით აგივლის გვერდს და უფრო ვაჟკაცურ მიჯნურთა საძებრად გაემართება, თუმცა მეორეს მხრივ, ასეთი ნდობითა და რიდით განმსჭვალული დამოკიდებულება სამყაროსადმი სარგებლობის მომტანიცაა. ის, ვინც სერიოზულად ეკიდება ყველასა და ყველაფერს, ნივთი იქნება ეს თუ ადამიანი, მათ გულს ხომ მოინადირებს და მოინადირებს, მაგრამ ამის წყალობით წინაც წაიწევს, მისი სიტყვაც და საქმეც აღივსება სერიოზულობით, გზნებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით, ეს ყოველივე კი თავაზიანი და ანგარიშგასაწევი კაცის სახელს დაუმკვიდრებს და უფრო დიდი წარმატებებისა და გავლენიანობისაკენ გაუკაფავს გზას. აი, ესე ვბჭობდი და ვწონიდი ორი სხვადასხვა გზის ნაკლსა და ღირსებას, მაგრამ, ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ძალაუნებურად მაინც მეორე გზას ვებღაუჭებოდი, რაკი წუთისოფელი მაინც დიადი და უსაშველოდ მიმზიდველი მეჩვენებოდა. მას შეეძლო ტკბილზე უტკბესი ნეტარება ერგუნებინა ჩემთვის და უეჭველად ღირდა იმად, რომ მისთვის ჩემი ძალ-ღონე და ჭკუა არ დამეშურებინა.

## მესამე თავი

ასეთ მეოცნებეობასა და ჭვრეტით ექსპერიმენტებს არ შეიძლებოდა შინაგანად არ გამოვეცალკევებინე ჩემი თანატოლებისა და თანაკლასელებისაგან, რომლებიც უფრო ტრადიციული ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, როგორც მალე შევიტყვე, ამ ყმაწვილებს, მეღვინეებისა და მოხელეების შვილებს, მშობლები აფრთხილებდნენ, ჩემგან შორს დაეჭირათ თავი. დიახ, ერთმა, შინ რომ მოვიპატიჟე, პირში მომახალა, შენთან ამხანაგობა აკრძალული მაქვს, შენს სახლში ფეხს ვერ შემოვდგამ, რადგან წესიერი ოჯახი არა გაქვთო. ამ სიტყვებმა ისე მატკინა გული, რომ ჩემთვის ნამდვილად უინტერესო ბიჭთან მეგობრობა ლამის სანატრელად გადამექცა. ოღონდ ვერც იმას ვიტყვი, ჩვენს ოჯახზე ქალაქში გავრცელებული ჭორი მთლად უსაფუძვლო გახლდათ-მეთქი.

ჯერ კიდევ დასაწყისში გაკვრით გითხარით, ჩვენს ოჯახში ვევეულმა მა

მზელმა განხეთქილება შემოიტანა-მეთქი. ჩემი საბრალო მამა იმ გოგოს მა-
რთლა ემიჯნურებოდა და ეტყობა, საწადელს მიაღწია კიდეც, რაკი ცოლ[illegible]
მის გამო უსიამოვნება შეექმნა. საქმე ამით არ დამთავრებულა, მამაჩემმა,
როგორც სხვა დროსაც იცოდა ხოლმე, გულის გადასაყოლებლად მაინც ს
მიაშურა, რათა იქ კარგა ხანს მარტოხელა კაცის ცხოვრებით [illegible]
რთლე თუ გნებავთ, დედაჩემს, რომელიც ერთი შეუხედავი ქალი გახლდათ
და არც ჭკუა-გონებით ბრწყინავდა, არავითარი უფლება არ ჰქონდა ჩემს სა-
ბრალო მამას ასე სასტიკად მოჰქცეოდა. ის და ჩემი და ოლიმპიაც (ერთი
სქელი და ავხორცი ქალი, რომელიც შემდგომ არცთუ წარუმატებლად გამო-
დიოდა ოპერეტის სცენაზე). მამაჩემს ადამიანური სისუსტეების გამომჟღავ-
ნებაში სულაც არ ჩამორჩებოდნენ. მამაჩემის ფუქსავატობას რაღაც ხიბლი
მაინც ახლდა. მათ ტლანქ ბიწიერებას კი მომხიბვლელობის ნატამალს ვერ
უპოვიდით. დედა-შვილს ერთმანეთთან იშვიათი სიახლოვე ჰქონდა. მახსოვს,
ერთხელ შევესწარი, უფროსი სანტიმეტრით თავის თეძოებს რომ იზომავდა
და უმცროსისას ატოლებდა და ამან კარგა ხნით საფიქრალი გამიჩინა. მეორე-
ჯერ, როცა ასეთ რამეებზე უკვე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, მაგრამ
ჯერ კიდევ არ ვიცოდი მათთვის რა სახელი დამერქმია, მალული მოწამე გა-
ვხდი, ორივენი ჩვენს სახლში იმ დროს მომუშავე მღებავის შეგირდს, თეთრ-
ხალათიან შავთვალა ყმაწვილს როგორ ელაციცებოდნენ. ჯერ იყო და ახალ-
გაზრდა კაცს ზეთის მწვანე საღებავით ულვაში მიახატეს, მერე კი ისე გაამ-
მაგეს, რომ ულვაშიც არ მოუწმენდია, ქალებს ისე გამოენთო და მთელ ბა-
ღში სდია, სანამ აწივლებულები ბეღელში არ შეიკეტნენ.

რაკი ჩემს მშობლებს ერთმანეთის გვერდით უსაშველო მოწყენილობა
ჰკლავდათ, მაინციდან და ვისბადენიდან ძალიან ხშირად ჩამოგვდიოდნენ
სტუმრები და აი მაშინ ჩვენს სახლში დიდი ფუფუნება და მხიარულება ის-
ადგურებდა. იკრიბებოდა ჭრელი საზოგადოება, ჩამოდიოდნენ ახალგაზრდა
ფაბრიკანტები, ორივე სქესის მსახიობები, მათ შორის ერთი არმიის ლეიტე-
ნანტიც ერია, რომელიც ისე დაგვიახლოვდა, რომ მერე ჩემს დას ხელიც კი
სთხოვა, აქვე იყო ვინმე ებრაელი ბანკირი თავის მეუღლითურთ, რომელსაც
ტანზე ასკდებოდა მძივებით მოოჭვილი კაბა, ჩამოდიოდა შუბლზე კულულებ-
ჩამოყრილი, ხავერდის ჟილეტში გამოჭიმული ჟურნალისტი, მას ყოველ ჩა-
მოსვლაზე ახალ-ახალი ცხოვრების თანამგზავრი ჩამოჰყავდა, და ასე და ამ-
გვარად, ვინ იცის, ჩვენს სტუმრებში ვინ აღარ ერია. სტუმრები მეტწილად
შვიდ საათზე, სადილად ჩამოდიოდნენ და იყო მერე მთელი ღამე გაუთავე-
ბელი მხიარულება, პიანინოზე დაკვრა, ცეკვა-თამაში, სიცილ-ხარხარი და
წივილ-კივილი. დროსტარებისა და სიამოვნების ტალღა განსაკუთრებით ყვე-
ლიერისა და რთველის დღეებში იზრდებოდა, მაშინ მამაჩემი ბაღში საკუთა-
რი ხელით აჩაღებდა დიდებულ ფოიერვერკს, რაშიც, სხვათა შორის, დიდად
დახელოვნებული გახლდათ; ამ დროს ქაშანურის ქონდრისკაცები მაგიური
შუქით იმოსებოდნენ, სახეზე აფარებული ახირებული ნიღბები კი საზოგა-
დოებას კიდევ უფრო მეტი თავაშვებულობის საბაბს აძლევდა. იმ ხანებში მე
ქალაქის რეალურ გიმნაზიაში ვსწავლობდი და როცა დილის შვიდ საათზე,
ან რვის ნახევარზე, ახლადპირდაბანილი სასადილო ოთახში სასაუზმოდ შევ-
დიოდი, საზოგადოება ისევ იქ მხვდებოდა; ისხდნენ მოშვებულნი, მოჰმუჭვ-
ნილები, ღლის შუქს თვალს ვერ უსწორებდნენ, სვამდნენ ყავასა და ნაირ-ნა-

ირ ლიქიორს, ქიჟინ-ხივილით მეგებებოდნენ და გვერდით მისვამდნენ ხოლმე.

მე პატარაობიდანვე მეძლეოდა უფლება ოლიმპიას თანასწორად სუფრაზეც ვმჯდარიყავი და ნასადილევს გამართულ გართობაშიც რჩეული მონაწილეობა. ჩვენს სახლში ყოველდღე ისედაც დიდებული სუფრა იშლებოდა და მამაჩემი სადილზე სოდიან წყალში გაზავებულ შამპანურ ღვინოს სვამდა, მაგრამ საგანგებო დღეებში ხომ სუფრაზე მაინც იშვიათი, ნაირ-ნაირი კერძები შემოდიოდა, რომელთაც ჩვენი მზარეული ქალის დახმარებით დიდებულად ამზადებდა ვისბადელი შეფმზარეული, შიგადაშიგ კი გასაგრილებლად და მადის გასახალისებლად ნაყინი და რაიმე პიკანტური კერძი შემოჰქონდათ. უხვად ილვრებოდა „ლორელაი ექსტრა კიუვე", მაგრამ ასევე უხვად ისმებოდა კარგი ღვინოებიც, როგორიცაა, მაგალითად, „ბერნკასლერ დოქტორი", რომლის არომატი მე განსაკუთრებით მომწონდა. მერე და მერე, ცხოვრებაში სხვა ბევრი ჩინებული მარკის ღვინო მიგემია და საგანგებოდ ნასწავლი დაუდევარი ჟესტით შემიკვეთია კიდეც „გრან ვენ შატო მარგოსა" თუ „გრან კრიუ შატო მუტონ როტშილდის" რამდენიმე ელეგანტური ყლუპი.

რა სიამოვნებით ვიგონებ მამაჩემს, მის სახეს, მის თეთრ, წვეტიან წვერს, ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ იჯდა სუფრის თავში და თეთრი ატლასის ჟილეტში გამოკრულ მუცელს მაგიდას როგორ აბჯენდა. ხმა არ ეჩხოდა და ხშირად დარცხვენილი, თავდახრილი იჯდა, მაგრამ ნეტარება აპრიალებულ, აწითლებულ სახეზე ეხატებოდა, — „c'est ca, epatant, parfaitemeny", გაიძახოდა წამდაუწუმ, ხან ჭიქას დაეწვდებოდა, ხან ხელსახოცს თუ დანა-ჩანგალს და ნუნებაბზეკილ ხელის თითებს მოხდენილად ხმარობდა. ამ დროს დედაჩემი და ჩემი და უტვინო ქეიფისპობას უნდებოდნენ და პირზე მარაოაფარებულნი ხანგამოშვებით უახლოეს თანამესუფრეს ეხითხითებოდნენ ხოლმე.

ნასადილევს, როცა გაზის ჭაღებს ნისლივით შემოეხვეოდა სიგარების კვამლი, იწყებოდა ცეკვა და ფანტის თამაში. კარგად რომ შეღამდებოდა, დასაძინებლად მგზავნიდნენ, მაგრამ მუსიკა და ღრიანცელი ძილს მაინც არ მანებებდა და მეც მეტწილად ვდგებოდი, წითელ შალის პლედს კოხტად მოვიგდებდი მხრებზე და ქალების გულის გასახარად კვლავ საზოგადოებას ვუერთდებოდი. სუფრაზე, დილის ყავის შემოტანამდე, გამაგრილებელი კერძების, კრუშონის, ლიმონათის, ქაშაყიანი სალათებისა და ნაირ-ნაირი ღვინის ჟელეების მთელი რიგი ჩაივლიდა. ჩვენმა სტუმრებმა ცეკვა ხომ თავაწყვეტილი იცოდნენ და ფანტის თამაშიც კოცნის ან ვინმესთან გახახუნების საბაბად სჭირდებოდათ. ღრმად გულამოჭრილ კაბებში გამოწყობილი ქალები სკამის საზურგეს ისე მიესვენებოდნენ, რომ ძუძუ-მკერდი გამოსჩენოდათ და მამაკაცების ყურადღება დაემსახურებინათ, ხოლო მთელი ამ ამბის კულმინაცია ხშირად ის იყო, ვინმე რომ წაიცელქებდა, გაზს უეცრად გამოთიშავდა და მაშინვე ენით აუწერელი ზედახორა გაიმართებოდა ხოლმე.

აი ამ მხიარული დროსტარების ბრალი იყო, ჩვენს ოჯახს ქალაქში ალმაცერად რომ უყურებდნენ და, როგორც ჩემს ყურს მოსწვდა, ძირითადად მაინც საქმის ფინანსური მხარე ჰქონდათ მხედველობაში. ჭორაობდნენ (და სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლოდ), რომ ჩემს საბრალო მამას საქმეები ძალიან ცუდად მიუდიოდა და ეს ძვირფასი სადილები და ფოიერვერკები მალე მშრალზე დასვამდა კიდეც... ხალხის უნდობლობა ადრევე იგრძნო ჩემმა მგრძნობიარე გულმა. ამას, ზემოთ რომ გითხარით, ის ახირებებიც დაემატა თა

ყველაფერმა ამან განაპირობა ჩემი მარტოსულობა, რამაც თავის მხრივ ბევრი სადარდებელი გამიჩინა. იქნებ ამიტომაც მომანიჭა კიდევ უფრო დიდი ბედნიერება ერთმა ამბავმა, რომელსაც ახლა დიდი სიამოვნებით მოგიყვებით.

რვა წლის ვიყავი, როცა ერთ ზაფხულს, ჩემიანებთან ერთად [illegible] კვირა ჩვენს მახლობლად, სახელგანთქმულ ლანგენშვალბახში გ[illegible] ჩემი იქ ტალახის აბაზანებით ნიკრისის ქარს მკურნალობდა, დედაჩემი და ჩემი და კი ბულვარზე მოსეირნე ხალხს უშველებელი შლაპებით აწონებდნენ თავს და საჭორაო მასალას აძლევდნენ. ის საზოგადოება, აქ და სხვაგანაც გარს რომ გვეხვია, დიდი ღირსებებით ვერ დაიტრაბახებდა. იქაურები, ჩვეულებისამებრ, ახლოს არ გვიკარებდნენ. მაღალი წრის უცნობი პირები არ გვკადრულობდნენ, სალამს არ იმეტებდნენ და საერთოდ, როგორც მათი წრის ხალხს სჩვევია, მასისაგან შორს ეჭირათ თავი, ხოლო ვინც ჩვენთან ნაცნობობას აბამდა, იმათ დახვეწილ ადამიანებს ვერ დავარქმევდით. მიუხედავად ამისა, ლანგენშვალბახში თავს კარგად ვგრძნობდი, რადგან კურორტებზე ყოფნა მიყვარდა და მერეც არაერთხელ მიქცევია ასეთი ადგილები ჩემი მოღვაწეობის ასპარეზად. სიწყნარე, უზრუნველად აწყობილ-დალაგებული ცხოვრება, სპორტულ მოედნებსა და პარკებში არისტოკრატი, ნასათუთევი ხალხის ყურება ისედაც ყოველთვის მსიამოვნებდა. ყველაზე მიმზიდველი კი ჩემთვის ის კონცერტები იყო, დახელოვნებეული ორკესტრი კურორტის საზოგადოებისთვის ყოველდღე რომ მართავდა ხოლმე. მუსიკა ჩემზე აღმაფრთოვანებელ ზემოქმედებას ახდენს, მართალია, არასოდეს მიცდია დაკვრა მესწავლა, მაგრამ ეს საოცნებო ხელოვნება ყოველთვის ფანატიკურად მიყვარდა და სულ პატარა ვიყავი, იმ კოპწია პავილიონს რომ ვერ ვცილდებოდი, სადაც მოხდენილ უნიფორმაში გამოწყობილი ორკესტრის წევრები ბოშასავით შავგვრემანი, ჩია კაპელმაისტერის ხელმძღვანელობით პოპურებსა და საოპერო პიესებს უკრავდნენ. საათობით ვიჯექი ხელოვნების ამ ნატიფ ტაძრის კიბეზე, თავის წესსა და რიგზე გაწყობილი წარმტაცი ხმებით გულგათანგული და თან გაფაციცებული ვადევნებდი თვალს, სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრაში გაწაფული მუსიკოსები ხელს როგორ ამოძრავებდნენ. ყველაზე უფრო მაინც ვიოლინოს დაკვრა მომწონდა და შინ, სასტუმროში, თავსაც ვიმხიარულებდი და ჩემიანებსაც ვამხიარულებდი, როცა ხელში ორ ჯოხს, ერთს გრძელსა და მეორეს მოკლეს, დავიჭერდი და პირველ ვიოლინოს ზედმიწევნით ერთგულად ვბაძავდი. გულში ჩამწვდომი ბგერის გამოსაცემად მარცხენა ხელის მსუბუქი მოძრაობა, ინსტრუმენტის გრიფზე ზევით-ქვევით თითების ნაზი სრიალი, ვირტუოზული პასაჟებისა და კადენციების შესრულებისას თითების სწრაფი რბოლა, ხემის გასმისას სახსარში მარჯვენა ხელის გრაციოზულად და მოქნილად მოხრა, ვიოლინოზე ლოყის მიბჯენისას ფიქრიანი და ყურთასმენად ქცეული გამომეტყველების მიღება — მთელი ეს ამბები ისე სრულყოფილად გამომდიოდა, რომ სხვებისაგან თუ არა, მამაჩემისგან მაინც ხომ მხიარულ ტაშისცემას ვიმსახურებდი. ჰოდა, ერთხელ მამამ, აბაზანების კეთილისმყოფელი ზემოქმედებით კარგ გუნებაზე რომ ბრძანდებოდა, ის გრძელთმიანი, ლამის უენო, პატარა კაპელმაისტერი გვერდზე გაიხმო და ერთი კომედიის მოწყობაზე მოელაპარაკა. ჩალის ფასად მიშოვეს პატარა ვიოლინო და ხემი გულმოდგინედ გაუპოხეს კაზელინით. სხვა დროს ჩემს გარეგნობაზე დიდად არავინ ზრუნავდა, ახლა კი ბაზარში მიყიდეს მშვენი-

ერი მეზღვაურული კოსტუმი, გაწყობილი ფოჩებითა და ოქროს ღილებით, მისი შესაფერი აბრეშუმის წინდები და ლაპლაპა ლაქის ფეხსაცმელები და აი ერთ მშვენიერ კვირადღეს, საღამო ხანს, როცა მთელი კურორტი სასეირნოდაა გამოფენილი, ვდგავარ ასე მორთულ-მოკაზმული რამპასთან ჩია კაპელმაისტერის გვერდით და ორკესტრთან ერთად უნგრული [illegible] პიესის დაკვრაში ვმონაწილეობ. ესე იგი, ჩემი ვიოლინოთი და ვაზელინით გაპოხილი ხემით მასვე ვაკეთებ, რასაც შინ ჩემი ჯოხებით ვაკეთებდი, უნდა მოგახსენოთ, რომ სრული წარმატება მოვიპოვე.

საზოგადოება, არისტოკრატიულიც და მდაბიოც, პავილიონს ყოველი მხრიდან მოაწყდა და მის წინ შეგუბდა. მათ თვალწინ ვუნდერკინდი იდგა. ჩემი თავდავიწყება, მონდომებისგან ფერმიხდილი სახე, ცალ თვალზე ჩამოშლილი კულულები, ჩემი ბავშვური ხელები, მაჯებზე კოხტად რომ შემოსალტოდა მხრებთან გაფუყული და ქვემოთკენ მოვიწროებული სახელოები, ერთი სიტყვით მთელი ჩემი გულისამაჩუყებელი და გასაოცარი ფიგურა აღტაცებით ავსებდა მაყურებელთა გულებს. როცა პიესის დასასრულს ყველა სიმზე ერთბაშად, ღონივრად ჩამოვუსვი ხემი, იქაურობა მქუხარე ოვაციამ და ბრავოს ძახილმა გააყრუა. ხელში ამიტაცეს და ისე ჩამომსვეს მიწაზე. ჩია კაპელმაისტერმა კი ამასობაში საგულდაგულოდ გადამალა ჩემი ვიოლინო და ხემი. მე კი ვეღარ ავუდივარ ხოტბა-დიდებას, მოსაფერებელი სახელებისა და საალერსო სიტყვების ნიაღვარს. არისტოკრატი ქალბატონები და ბატონები გარს მეხვევიან, თმაზე ხელს მისვამენ, ლოყაზე ხელს მითათუნებენ, ხელებზე მეფერებიან, ეშმაკის ფეხსა და პატარა ანგელოზს მეძახიან. ერთი მოხუცი რუსი ქალბატონი, ყურებზე მსხვილი კავები რომ დაუგრაგნია და თავიდან ფეხებამდე იისფერი აბრეშუმით შემოსილა, ბეჭდებით დახუნძლულ ხელებს თავზე მკიდებს და დანამულ შუბლზე მკოცნის, შემდეგ ყელიდან ფაციფუცით იხსნის ლირის ფორმის, ბრილიანტებით მოოჭვილ დიდ, ელვარე გულსაბნევს, ფრანგულად რაღაცას გაუთავებლად მელაპარაკება და ლირას ხალათზე მაბნევს. ამასობაში ჩემიანებიც შემოგვიერთდნენ, მამაჩემი საზოგადოებას წარუდგა და მოუბოდიშა, ჩემმა ვაჟიშვილმა კარგად თუ ვერ დაუკრა, ეს მისი ასაკის ბრალიაო. წამიყვანეს საშაქარლამოში, სამ მაგიდასთან რიგრიგობით გამიმასპინძლდნენ შოკოლადითა და კრემიანი ნამცხვრებით. არისტოკრატი, ლამაზი, მდიდარი ბავშვები, პატარა გრაფები ზიბენკლინგენები, სწორედ ისინი, არაერთხელ ნაღვლიანად რომ გამიყოლებია მათთვის თვალი და თვითონ მხოლოდ ცივი მზერა შემოუგებებიათ, ახლა თავაზიანად მთხოვდნენ, კროკეტის ერთი პარტია გვეთამაშა, და მეც, სანამ ჩვენი მშობლები ყავას ერთად მიირთმევდნენ, ბრილიანტის გულსაბნევით მკერდდამშვენებული, ამ მიპატიჟებით სახეალეწილი და გაბრუებული, ბავშვებს კროკეტის სათამაშოდ გავყევი. ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უმშვენიერესი, ან იქნებ ყველაზე მშვენიერი დღეც. ბევრმა გაგვაგონა, კარგი იქნება, კონცერტს თუ გაიმეორებთო, კურორტის დირექციამაც კი მიმართა თხოვნით მამაჩემს, მაგრამ მამამ განუცხადა, მხოლოდ ერთხელ და ისიც გამონაკლისის სახით დავრთე ჩემს შვილს ნება, თორემ ხელმეორედ გამოსვლა, სხვა თუ არაფერი, მის საზოგადოებრივ მდგომარეობას არ შეეფერებაო. ესეც არ იყოს, ლანგენშვალბახში ჩვენი ყოფნის ვადაც იწურებაო...

## მეოთხე თავი

ახლა ორიოდ სიტყვას ჩემს ნათლია შიმელპრისტერზე მოგახსენებთ, რომელიც, სხვათა შორის, სულაც არ გახლდათ უბრალო კაცი. გარეგნობის აღწერით თუ დავიწყებ, ეს იყო ტანდაბალი, ჩასკვნილი მამაკაცი, წაბლისფრად გაჭაღარავებული. შეთხელებული თმა ცალ ყურთან ჰქონდა გადაყოფილი და მერე თითქმის მთლიანად ცალ მხარეს, მთელ თავზე გადავარცხნილი. მის სუფთად გაპარსულ სახეს დამახასიათებელ შტრიხებს მატებდა მოკაუჭებული ცხვირი, მაგრად მოკუმული ტუჩები და ცელულოიდს ჩარჩოიან სათვალეში ჩასმული უზარმაზარი, მრგვალ-მრგვალი შუშები, მაგრამ ეს სახე კიდევ ერთი რამით იყო ღირსშესანიშნავი — უწვერო, მოშიშვლებული შუბლი სხვა თვისებებთან ერთად მის მახვილგონიერებასა და ენამწარობას ამხელდა, ამის მაგალითად კი თუნდაც საკუთარი გვარის ახირებული, ჰიპოქონდრიკული ახსნა-განმარტება იკმარებდა.

— ბუნება მხოლოდ ლპობა და დაობებაა, მე მის მწყემსად ვარ გაჩენილი და ჩემი გვარი შიმელპრისტერიც აქედან მოდის, ოღონდ ფელიქსი რატომღა მქვია, ეს მხოლოდ უფალმა უწყის, — ამბობდა იგი.

ჩემი ნათლია კიოლნელი იყო, იქ, როგორც კარნავალების ჩინებული გამრიგე, მდიდარ ოჯახებში ტრიალებდა და გავლენაც ჰქონდა მოპოვებული. მაგრამ სხვადასხვა გარემოებებისა თუ უსიამოვნებების გამო, რაც ბოლომდე გაურკვეველი დარჩა, კიოლნში აღარ დაედგომებოდა და იძულებული გახდა ჩვენს პატარა ქალაქში გადმოსახლებულიყო. აქ კი, ჩემს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე, ჩემიანებს დამეგობრებოდა. იმ დროიდან მოყოლებული, უიმისოდ ჩვენს სახლში ლხინი არ გაიმართებოდა და ჩვენი სტუმრებიც დიდ პატივს სცემდნენ. ქალები წიოდნენ და სახეზე ხელებს იფარებდნენ, როცა ტუჩებმოკუმული შიმელპრისტერი, თითქოს რაიმე ნივთს სინჯავსო, თავისი ბუს სათვალით მათ ყურადღებით და თან გულგრილად აკვირდებოდა.

— ოხ, ეს მხატვარი! როგორ გვიყურებს! — გაჰკიოდნენ ქალები, — ისე გამსჭვალავად გვიყურებს, თითქოს ჩვენს გულში იხედებაო. შეგვიწყალეთ, პროფესორო, და აგვაშორეთ თქვენი თვალები!

ხომ ასე აფასებდა ყველა, მაგრამ თვითონ საკუთარ ხელობას დიდად არაფრად აგდებდა და ხშირად ხელოვანის ბუნებაზე საეჭვო მოსაზრებებსაც გამოთქვამდა ხოლმე, მაგალითად ასეთს;

— ფიდიასი, ზოგჯერ ფაიდიასსაც რომ უწოდებენ, ერთი საშუალო ნიჭის კაცი იყო. ამას თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ ქურდობისთვის დაიჭირეს და ათენის ციხეში ჩასვეს; ბრალად ედებოდა იმ ოქროსი და სპილოს ძვლის მოპარვა, რომელიც ათენას ქანდაკებისთვის ჰქონდა მიცემული. პერიკლემ, მისმა გზის გამკვალავმა, გააპარა ციხიდან (რითაც, სხვათა შორის, დაამტკიცა, რომ ჭრა მარტო ხელოვნებაში ერკვეოდა მშვენივრად, არამედ ხელოვანის ბუნებასაც კარგად იცნობდა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი გახლავთ). და აი ჩვენი ფიდიასი თუ ფაიდიასი ოლიმპიაში გაიქცა და იქ ამჯერად ოქროსა და სპილოს ძვლისაგან ზევსის ქანდაკების გამოძერწვა დაავალეს. მან კი რა ქნა? ისევ იქურდა და ოლიმპიის ციხეში აღმოჩნდა კიდეც სული. საოცარი ნაზავია, ხომ? მაგრამ რას იზამ, ასეთია ადამიანის ბუნება. როგორც ადამიანებს ტალანტი კი უნდათ, რომელიც, სხვათა შორის, ჯერ თვი-

თონაა დიდი უცნაურობა, მაგრამ ტალანტის თანამდევი უცნაურობების არათუ გაგება, გაგონებაც კი არავის სურს.

აი, ასე ამბობდა ჩემი ნათლია. მეც სიტყვა-სიტყვით გადმოგეცით მისი ნათქვამი, რადგან თვითონაც ერთსა და იმავეს ზუსტად ერთნაირად მიმეორებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორც მოგახსენეთ, ჩვენ ყველას სულით და გულით გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ნათლიას მე მაინც გამორჩეული ვყავდი და წამოვიზარდე თუ არა, ხშირად მიყენებდა თავის სურათების მოდელად, მე კი მოდელად ჯდომა კიდევ უფრო იმიტომ მიხაროდა, რომ თავისი მდიდარი კოლექციიდან სულ ნაირ-ნაირ კოსტუმებსა და ტანსაცმელს მირჩევდა და მაცმევდა ხოლმე. სახელოსნო, რომელიც მეძველმანის დარაბებიან ფარდულს უფრო ჰგავდა, ზედ რაინის პირას, განმარტოებით მდგარ ერთ პატარა, ნაქირავებ სახლში ჰქონდა გამართული, იქვე ცხოვრობდა კიდეც თავის მნე ქალთან ერთად და მეც, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, საათობით „ვიჯექი“ გამოჩორკნილ ფიცარნაგზე, სანამ თვითონ ტილოზე ფუნჯს უსვამდა, ან სალებავს ქნიდა, ერთი სიტყვით, შემოქმედებაში იყო ჩაფლული. ისიც უნდა მოვიხსენიო, რომ ბევრჯერ შიშველიც დავდგომივარ მოდელად, მაგალითად, ბერძნულ მითოლოგიურ სიუჟეტზე დიდი ტილოს შექმნისას, რომელსაც ერთი მაინცელი ღვინის ვაჭრის სასადილო დარბაზი უნდა დაემშვენებინა. ასეთ დროს ჩემი მხატვრისგან მრავალი ქება მრგებია წილად, რადგან მართლა ღმერთივით ვიყავი ჩამოსხმული, გამხდარსა და ტანაშოლტილს ხელ-ფეხი ლონიერი მქონდა, კანი — ოქროსფერი, ხოლო პროპორციების ეტალონის მიხედვით ხომ ნაკლს ვერ მიპოვიდით. ის სეანსები განსაკუთრებით ტკბილად მაგონდება, მაგრამ კიდევ უფრო საამური მაინც ის დღეები იყო, როცა მორთვა-მოკაზმვა ჩემი ნათლიის სახელოსნოს გარეთ მიწევდა ხოლმე. ძალიან ხშირად, როცა ვახშმობას ჩვენთან დააპირებდა, წინასწარ აგზავნიდა ნაირ-ნაირი ტანსაცმლით, პარიკებითა და იარაღით დატენილ დიდრონ ფუთებს, რათა ნავახშმევს ტყუილუბრალოდ, თვალის სასეიროდ სხვადასხვანაირად გამოეწყობილიყავი და მასაც, რომელ კოსტუმშიც ყველაზე უფრო მოვეწონებოდი, მუყაოზე სახელდახელოდ ისე დავეხატე. რაც გინდა, ჩააცვიო, იტყოდა გახარებული და ამით იმის თქმა სურდა, რომ ყველაფერი მიხდებოდა და ნებისმიერი ტანსაცმელი ჩემს ტანზე შეკერილივით მადგა. მართლაც, ვინც არ უნდა განმესახიერებინა — რომაელი ფლეიტისტი მოკლე ტანისამოსითა და შავ ხუჭუჭა თმაზე დადგმული ვარდების გვირგვინით, ინგლისელი არისტოკრატი ბიჭუნა ატლასის ვიწრო ჯუბით, მაქმანიანი საყელოთი და ფრთებიანი ქუდით; ესპანელი ტორეადორი თავის მოოქვილი ბოლეროთი და ფართოფართფლებიანი ფეტრის შლაპით; გაპუდრული პარიკების ეპოქის ყმაწვილი აბატი არახჩინით, ბრიჟით, მოსასხამითა და ბალბიანი ფეხსაცმლით; თეთრმუნდირიანი ავსტრიელი თავის დაშნითა და წელზე შემორტყმული შარფით თუ გერმანელი მთიული პაჭიჭებით, ლურსმნით დაჭედილი წაღებითა და არჩვის ბეწვით გაწყობილი მწვანე ქუდით; ერთი სიტყვით, რაც არ უნდა ჩამეცვა, იტყოდით, და სხვათა შორის, სარკეც მიდასტურებდა, ეს ბიჭი სწორედ ამ კოსტუმისათვისაა დაბადებულიო; საყოველთაო, ერთსულოვანი აზრით, მე უბადლო ასლი გახლდით იმ ჯურის ადამიანისა, ვისაც იმ წუთში განვასახიერებდი; დიახ, ჩემი ნათლია ამტკიცებდა, რომ კოსტუმისა და პარიკის დახმარებით ჩემი სახე არა მარტო ამა თუ იმ ფენის

ან დედამიწის რომელიმე კუთხის თავისებურებებს გამოხატავდა, არამედ მთელ ეპოქას განასახიერებდა, ყოველ ეპოქას კი, როგორც თვითონ [illegible]-ლიდა, თავისი შვილები რაღაც საერთო ფიზიონომიური ნიშნით ჰყავდა აღბე-ჭდილი. ერთი სიტყვით, თუ ჩვენს მეგობარს დავუჯერებდით, მე [illegible]-ების ფლორენციულ ფრანგად გადაცმულიც და პომპეზური [illegible] პარიკით თავშემკულიც. რითაც მომდევნო საუკუნეებმა დააჯილდოვა არისტოკ-რატიული სამყარო; ზუსტად მათი თანამედროვე სურათიდან გადმოსულს გავ-დი. ო, რა დიდებული იყო ის წუთები! მაგრამ ჩათავდებოდა თუ არა ის ხანმოკ-ლე ჟამი, მე ისევ ჩემი გაცვეთილი, უბადრუკი სინიადაგო ტანსაცმლით შე-ვიმოსებოდი, გულზე მძიმე სევდა და ნაღველი შემომაწვებოდა, მეუფლებო-და უსასრულო, ენით აუწერელი მოწყენილობა და ამის გამო საღამოს დარ-ჩენილ საათებს ყურებჩამოყრილი, უხალისოდ და ხმისამოუღებლივ ვატა-რებდი.

აი, ჯერჯერობით ეს მინდოდა შიმელპრისტერზე მეთქვა, თორემ შემდ-გომ, ჩემი მომქანცველი გზის დასასრულს, ეს დიდებული კაცი მტკიცედ ჩა-ერია ჩემს ცხოვრებაში და მხსნელად მომევლინა კიდეც...

## მეხუთე თავი

ჩემი სიყმაწვილის შთაბეჭდილებებს თვალს გადავავლებ თუ არა, ის დღე მაგონდება, ჩემიანებმა პირველად რომ წამიყვანეს ვისბადენის თეატრში. აქვე დავსძენ, რომ ახალგაზრდობის მოგონებებს მკაცრი თანმიმდევრობით არ მივყვები, ჩემს ცხოვრებას მთლიანობაში ვხედავ და რაც მომეგუნებება, ჯერ იმას გიყვებით. ნათლია შიმელპრისტერს ბერძნული ღმერთის მოდელად რომ ვედექი, მაშინ თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის, ესე იგი, კარგად მოწიფული ბიჭი ვიყავი, თუმცა სკოლაში ჩემს თანატოლებს ჩამოვრჩებოდი, თეატრში ჩემი პირველი წასვლა კი იმ წლებს კარგად უსწრებდა წინ, ის იყო თოთხმე-ტის შევსრულდი, ანუ სიყმაწვილის ასაკში შევდგი თუ არა ფეხი, ისე მოვმ-წიფდი (ჩემს მომწიფებაზე მალე გვექნება კიდევ ლაპარაკი), რომ შთაბეჭ-დილებების ცოცხლად აღსაქმელად ლამის ზედმეტად მომწიფებულიც კი გახ-ლდით. და მართლაც იმ საღამოს ნანახი ღრმად ჩამებეჭდა გულში და ჩემს ისედაც უსასრულო საფიქრალს კიდევ ერთი საზრდო გაუჩინა.

თეატრში შესვლამდე ვენურ კაფეში ვისხედით და ტკბილ პუნშს მივი-რთმევდით. მამაჩემი ჩალის ღეროთი აბსენტს წრუპავდა და ჯერ მარტო ეს კმაროდა, რომ უჩვეულო მღელვარებას შევეპყარი, მაგრამ ვის შეუძლია აღ-წეროს ის ციებ-ცხელება, მთელ ჩემს არსებას რომ დაეუფლა, როცა დროშკამ სანუკვარ მიზანთან მიგვიყვანა და თეატრის გაჩირაღდნებული დარბაზი შემო-გვეგება! დავინახე ქალები, ლოჟებში რომ ისხდნენ და მკერდთან მარაოს იფ-რიალებდნენ; მამაკაცები, მათ თავზე რომ ადგნენ და ესაუბრებოდნენ; აზუზუ-ნებული პარტერი, სადაც ჩვენც უნდა დავმსხდარიყავით; თმისა და კაბების სურნელი, გაზის სუნს რომ ერთვოდა; აუწყობელი ინსტრუმენტების არეულ-დარეული ხმები; მდიდრულად მოხატული ჭერი და ფარდა, ტანშიშველი გე-ნიებითა და ვარდისფერი რაკურსების მთელი კასკადებით შემკული... ო, რა მშვენივრად იყო ეს ყველაფერი გათვლილი, რომ ნორჩ სულში ჩაეხედა და ჭკუა-გონება უჩვეულო შთაბეჭდილებებისთვის შეემზადებინა! მაღალჭერიან,



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

19.610

მდიდრულად მორთულ ჭაღებიან დარბაზში ხალხის ასეთი თავშეყრა მანამდე მხოლოდ ეკლესიაში თუ მენახა და თეატრი თავის დიდებულად დაყოფილი დარბაზით, მის ამაღლებულ და განათებულ ნაწილში ბედის რჩეულნი, ფერად-ფერად ტანსაცმელში გამოწყობილნი და მუსიკის [illegible]შემოსილნი, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით რომ [illegible]და ცეკვავდნენ, საუბრობდნენ, მღეროდნენ და მოქმედებდნენ. მართლა სიამის ტაძრად მეჩვენებოდა. იქ ზეშთაგონებას მოწყურებული ადამიანები ჩრდილში ისხდნენ სინათლისა და სრულყოფილების პირისპირ და გულში ნაფერებ იდეალებს პირდაღებულნი შესცქეროდნენ.

სცენაზე უბრალო, ანუ, როგორც იტყვიან, მსუბუქი ჟანრის სპექტაკლი — ოპერეტა თამაშდებოდა. მისი სახელი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს. მოქმედება ვითარდებოდა პარიზში (და ამან დიდად გაახალისა საბრალო მამაჩემი). მთავარი მოქმედი პირი უსაქმური იყო თუ რომელიღაც საელჩოში ატაშედ მსახურობდა, ეს კარგად არ ვიცი. მაგრამ მომხიბლავი ახალგაზრდა და მუსუსი კი იყო, და ამ როლს თეატრის ვარსკვლავი, ხალხის საყვარელი მომღერალი მიულერ-როიმე ასრულებდა. მისი სახელი და გვარი მანამდე მამაჩემისაგან მქონდა გაგონილი, მამას თავი მოჰქონდა მისი ნაცნობობით და მისი სახე მეც ალბათ სამუდამოდ ჩამრჩება გულში, ჩემი არ იყოს, ახლა ისიც მოხუცი და დაუძლურებული იქნება. მაგრამ მაშინ კი ძალა შესწევდა მსმენელები და მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც, ალეფრთოვანებინა და დაებრმავებინა და რა გასაკვირია, იმდღევანდელი შთაბეჭდილება ჩემს ცხოვრებაში მიღებულ უძლიერეს შთაბეჭდილებათა რიცხვს განეკუთვნებოდეს. მე ვთქვი, ძალა შესწევდა დაგვებრმავებინეთ-მეთქი და ქვემოთ აგიხსნით, ამ სიტყვებში რასაც ვგულისხმობ. ჯერ კი შევეცდები მეხსიერებაში ცოცხლად აღვიდგინო მიულერროზეს სცენიური სახე.

პირველ გამოსვლაზე იგი თავიდან ფეხებამდე შავებში ჩაცმული მოგვევლინა, მაგრამ მაინც რაღაცნაირი მედიდური ბრწყინვალება ახლდა თან. პიესის მიხედვით ჩვენი გმირი რომელიღაც საერო წვეულებიდან შეზარხოშებული ბრუნდებოდა და ეს სცენა შელამაზებულად, კეთილშობილი ფორმით, ნიჭიერად წარმოგვიდგინა, ტანთ ეცვა ატლასით გაწყობილი, პელერინიანი შავი პალტო, ფრაკის შარვალი და ლაქის ფეხსაცმელი, ეკეთა ლაქისავე თეთრი ხელთათმანი და სამხედრო პირთა იმდროინდელ მოდაზე დავარცხნილ, მთელ სიგრძეზე გადაყოფილ აპრიალებულ თმაზე ცილინდრი ეხურა — ყველაფერი მშვენიერი და ახალთახალი, ცხოვრებაში თხუთმეტი წუთითაც რომ ვერ გაგიძლებს ასე ხელუხლებელივით, ერთი სიტყვით, ლამის არაამქვეყნიური. ეს განსაკუთრებით ცილინდრზე ითქმოდა, ცილინდრთა შორის ეს მართლაც საოცნებო, სანიმუშო ქმნილება, მიულერ-როზეს ოდნავ გვერდზე რომ ჰქონდა მოგდებული. ცილინდრს ზედ მტვრის ნასახი არ აჩნდა, დაბალხაოიანი, იდეალურად მოლივლივე, დახატულს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნამდვილს და ამ უმაღლესი ქმნილების სახეს, რომელიც თავის მხრივ უნაზესი ცვილისგან გამოძერწილი გეგონებოდათ, ასე ამიტომაც უხდებოდა. მიულერ-როზეს მკრთალ ვარდისფერ სახეს ნუშისებრი, შავად მოხატული თვალები, მოკლე, სწორი ცხვირი და მკაფიოდ მოხაზული მარჯნისფერი ტუჩები უმშვენებდა, ოდნავ აპრეხილ ზედა ტუჩს კი სიმეტრიულად გასდევდა თითქოს კალმით მოხატული ულვაში. მან ცოტა ხანს გრაციოზულად იბარბაცა. ცხოვრებაში, ცხადია, ასე მოხდენილად ვერ ივლიდა ვერც ერთი მთვრალი. ცილინდრი და

ჯოხი ლაქიას გადასცა. პალტო მოიშორა და ფრაკისამარა მოგვევლინა, ფრაკის ქვეშ კი წვრილ-წვრილი ნაკეცებით დამშვენებულ პერანგზე თვალისმომჭრელად უციმციმებდა ბრილიანტის ღილები. მიულერ-როზემ ვერცხლისებური წკრიალა ხმით ერთხანს ილაპარაკა და იცინა, მერე ხელთათმანებიც წაიძრო და დავინახეთ, რომ თითებზეც ბრილიანტები ეკეთა, ხელის ფრჩხილები ცარცივით თეთრი ჰქონდა, ხელისგულები კი სახესავით ვარდისფრად უღვიოდა, იგი ჯერ რამპის ბოლოში გაჩერდა და ერთი სიმღერის პირველი კუპლეტი ჩაარაკრაკა, სადაც ატაშეობასა და ქალების დევნაში გატარებული უდარდელი და მხიარული წლები იყო აღწერილი, მერე ხელები ლაღად გაშალა და თითების ტკაცუნით, ცეკვა-ცეკვით გავიდა რამპის მეორე ბოლოში, იქ მეორე კუპლეტი იმღერა და განზე გადგა, რათა მაყურებელს ტაშით გამოეხმო, მესამე კუპლეტი მხოლოდ ამის შემდეგ, სუფლიორის ნიჟარის წინ მდგარმა შეასრულა და მყისვე ლაღად და მომხიბლავად ჩაება მოვლენათა მსვლელობაში. პიესის მიხედვით იგი ძალიან მდიდარი კაცი იყო და ეს გარემოება მის გმირს მომაჯადოებელ ფონს უქმნიდა. მერე და მერე ნაირ-ნაირ ტანსაცმელში ვხედავდით: წითელი სარტყლით დამშვენებულ, თოვლივით ქათქათა სპორტულ კოსტიუმში, თუ მხატვრის ფანტაზიით შექმნილ მდიდრულ უნიფორმაში და თქვენ წარმოიდგინეთ, საჩოთირო და თან გულიანად სახარხარო სცენებში ცისფერი აბრეშუმის კალსონებშიც კი. ვხედავდით გაბედულ, უმაღლეს, ხიფათით აღსავსე სიტუაციებში: ჰერცოგის მეუღლის ფერხთა ქვეშ მწოლიარეს, შამპანურით დამშვენებულ სუფრაზე ორ გადაპრანჭულ კახპასთან ერთად, პისტოლეტით ხელში, ვინმე უტვინო მეტოქესთან დუელში გადასასვლელად გამზადებულს, და ამ ელეგანტურ ხიფათთაგან ვერც ერთი ვერას აკლებდა მის მოხდენილობას, შარვლის ერთ ნაკეცს ვერ მოუშლიდა, ტანსაცმელს სხივს ვერ ჩაუქრობდა, ვარდისფერ სახეს უსიამოდ ვერ აუღაჟღაჟებდა, თან შებორკილი და თან ფრთაშესხმული პარტიტურითა და თეატრალური პირობითობით, ამ ჩარჩოების ფარგლებშიც ახერხებდა სილაღე, სითამამე და სიმსუბუქე შეენარჩუნებინა და მის მომხიბლავ მიხრა-მოხრას ამიტომაც არ ეტყობოდა ყოველდღიური ულმობლობის ნიშანწყალი. მთელ სხეულში, თავიდან მოყოლებული ვიდრე თითის ფრჩხილებამდე, ისეთი ჯადო ჰქონდა ჩაბუდებული, რომ მის გამოსახატავად ერთადერთი განუსაზღვრელი სახელი — „ტალანტი" გაგვაჩნია და ეს ტალანტი თვითონაც ისეთსავე სიამოვნებას ჰგვრიდა, როგორც ყოველ ჩვენგანს, მე, მაგალითად, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა იმის ყურება, თუ როგორ შემოავლებდა ხელს თავისი ხელჯოხის ვერცხლის კაუჭს, ან ორივე ხელს შარვლის ჯიბეებში როგორ ჩაისრიალებდა, მის ყოველ მოძრაობაში — სავარძლიდან წამოდგომა იქნებოდა ეს, თავის დაკვრა თუ სცენაზე გავლა-გამოვლა, ისეთი თავმომწონეობა იგრძნობოდა, რომ გული სიყვარულით აგევსებოდა. დიახ, სწორედ ასე იყო: მიულერ-როზე ირგვლივ სიცოცხლის სიყვარულს აფრქვევდა — სხვა სიტყვებით შეუძლებელია გამოხატო შურის, ნატვრის, იმედისა და ტრფობის წყურვილის ის ტკბილ-მწარე გრძნობა, სულში მშვენიერების, ბედნიერებისა და სრულყოფილების ცქერა რომ აღგიგზნებდა.

პარტერის მაყურებელი, ჩვენ რომ გვერტყა გარს, ბიურგერებისა და მათი ცოლებისაგან, კომივოიაჟერების, ერთწლიან სამსახურში ჩამდგარი ახალგაზრდებისა და გოგონებისაგან შედგებოდა და რაც არ უნდა აღფრთოვანებული ვყოფილიყავი მე თვითონ, საიმისო სიფხიზლე და ცნობისმოყვარე-

ობა მაინც მყოფნოდა, ირგვლივ მიმომეხედა, მაყურებელთა სახეებს დავკვირებოდი და საკუთარი შთაბეჭდილებების დახმარებით შემემოწმებინა, ჩვენ თვალწინ გათამაშებული სცენები ჩემი სიამოვნების თანაზიარეებზე რა ზემოქმედებას ახდენდა. სახეზე ყველას ბრიყვული და ნეტარი გამომეტყველება ეფინა. თავდავიწყებისაგან გამოთაყვანებულებს ერთნაირი ღიმილი დასთამაშებდათ და თუკი გოგონების ღიმილში მეტი სიტკბოება და თრთოლვა ერია, ხოლო ქალების ღიმილი უფრო მიბნედილ და დუნე თავდავიწყებას ამხელდა, სამაგიეროდ მამაკაცების ღიმილი გულაჩუყებულ და მოწიწებაშერეულ კეთილმოსურნეობაზე მეტყველებდა, ასე მდაბიო მამები შეჰყურებენ ხოლმე თავიანთ ბრწყინვალე, ცხოვრების კიბეზე მათზე მაღლა ასულ ვაჟიშვილებს და მათ არსებაში საკუთარი ახალგაზრდობის ახდენილ ოცნებებსა და იმედებს ხედავენ. რაც შეეხება კომივოიაჟერებსა და ერთწლიანებს, მათ ზეაპყრობილ სახეებზე ყველაფერი ფართოდ დაღებული დარჩენოდათ — თვალებიც, ცხვირის ნესტოებიც და პირიც. ისინი იღიმებოდნენ და ვინ იცის, ფიქრობდნენ, აბა ერთი ჩვენ ვიდგეთ იქ, მაღლა, კალსონების ამარა, იმასაც ვნახავდით, რა დღეში ჩავცვივდებოდითო, ნახეთ, ნახეთ, თუნდაც იმ ორ გადაპრანჭულ კახპას რა თამამად და თანასწორივით ექცევაო! მიულერ-როზე სცენიდან თუ გასული იყო, ყველა ისე მხრებჩამოყრილი იჯდა, თითქოს ძალ-ღონე გამოაცალესო. როცა იგი მაღალ ნოტას გააგრძელებდა, ხელს ასწევდა და სცენის სიღრმიდან რამპისკენ ძლევამოსილი მარშით დაიძვრებოდა, მაყურებელს გული მკერდში აღარ ეტეოდა. მაყურებელი ბორგავდა და ქალების ატლასის ლიფებს ფხრიწინ-ფხრიწინი გაუდიოდა. დიახ, ჩრდილში მოქცეული ხალხის მასა იმ ფარვანების უზარმაზარ გუნდს ჰგავდა, აგიზგიზებულ ცეცხლში უსიტყვოდ, ბრმად და თავდავიწყებით რომ ვარდებიან ხოლმე.

მამაჩემი მეფურად ილხენდა. ფრანგული ჩვეულებისამებრ, დარბაზში ქუდითა და ხელჯოხით იყო შემოსული. ქუდი მაშინვე დაიხურა, როგორც კი დაეშვა ფარდა, ხოლო ჯოხი იატაკს გამეტებით დასცხო და მქუხარე ოვაციას თავისი ხმა ასე შეუერთა: „c'est épatant!“ იმეორებდა წამდაუწუმ მიკნავებული ხმით. წარმოდგენა დამთავრდა, ყველა გარეთ გამოიკრიფა და ჩვენც ფოიეში ზეაწეულ გუნებაზე დამდგარი, გაბრუებული კომივოიაჟერების წრეში მოვექეცით. მათ ზედ ეტყობოდათ, საღამოს გმირს რომ ჰბაძავდნენ: სხვანაირად დადიოდნენ და ლაპარაკობდნენ, ხელჯოხებიც სხვანაირად ეკავათ და თავიანთ წითელ ხელებსაც სხვა თვალით დაჰყურებდნენ. მამამ მაშინ მითხრა:

— წამო ერთი, ხელი ჩამოვართვათ; ღმერთო ჩემო, კარგი ნაცნობები მაინც არ ვიყოთ მე და მიულერი! ჩემი დანახვა უეჭველად გაუხარდება.

მამამ მანდილოსნებს უბრძანა ფოიეში დაგველოდებოდნენ და ჩვენ ორნი მიულერ-როზეს სანახავად გავემართეთ.

გავიარეთ ზედ სცენასთან მიდგმული, უკვე ჩაბნელებული დირექტორის ლოჟა და იქიდან ვიწრო რკინის კარით კულისებში გავედით. ნახევრად ჩაბნელებულ სცენაზე აჩრდილებივით დაფუსფუსებდნენ სცენის მუშები. ერთ წითელლივრეიან, ტანმორჩილ ქალს, რომელიც სპექტაკლში ლიფტიორ ბიჭუნას თამაშობდა და ახლა რაღაცაზე ჩაფიქრებული კედელს მიყრდნობოდა, ჩემმა საბრალო მამამ ხუმრობით სხეულის ყველაზე ხავიან ნაწილზე უჩქმიტა და მიულერ-როზეს საგრიმიოროს გზა ჰკითხა. ქალმა უკმეხად

გვიპასუხა და ჩვენც თეთრად შეფეთქილ, ჩახუთულ ტალანში გავედით, სადაც ღია ლამპიონებში გაზი ლაპლაპებდა. ტალანში ჩარიგებული მრავალი კარიდან გინება, სიცილ-ხარხარი და ლაპარაკი გამოდიოდა. მამაჩემი სიცოცხლის ამგვარ გამოვლინებებზე ცერით მანიშნებდა და თან მხიარულად იღიმებოდა. კარგა ხანს ვიარეთ და ტალანის ბოლოს, ვიწრო კედელში ჩატანებულ კარს მივადექით. მამამ კარზე დააკაკუნა და ყური თავის მოკაკულ თითს მიადო. ოთახიდან უხეშად გამოგვეხმაურნენ, ვინ ოხერი ხარ, თუ ვინ ჯანდაბაა, ახლა კარგად აღარ მახსოვს. შეიძლება შემოვიდეთო, ჰკითხა მამამ და შემოსწყლის მაგიერ ისეთი რამ შესთავაზეს, იმის გამეორებას ამ ფურცლებს ნამდვილად ვერ ვაკადრებ. მამამ წყნარად და დარცხვენით ჩაიღიმა და გამოეპასუხა:

— მიულერ, ეს მე ვარ, კრული, ენგელბერტ კრული. იმედია, ნებას დამრთავთ გავახლოთ და ხელი ჩამოგართვათ!

ამ სიტყვებზე ოთახიდან სიცილით გამოგვეხმაურნენ:

— ახ, ეს შენა ხარ, ბებერო ცუღლუტო, შენა! მოდი, მოდი, გამიხარდება შენი დანახვა! იმედია, ჩემი სიშიშვლე არ დაგაფრთხობთ, — დასძინა მიულერ-როზემ მერე, როცა უკვე კარის ზღურბლზე ვიდექით.

ოთახში შევედით და ყმაწვილის თვალწინ დაუვიწყარი ამაზრზენი სურათი გადაიშალა.

ბინძურ მაგიდასთან დამტვერილი, გათხუპნული სარკის წინ იჯდა მიულერ-როზე და ტანზე ნაცრისფერი კალსონის მეტი არაფერი ეცვა რა. ვიღაც ხელებდაკაპიწებული კაცი ოფლში გაღვრილ ზურგს პირსახოცით უზელდა. თვითონ კი ლაპლაპა მალამოთი გათხუპნილ სახესა და კისერს ფერადი ცხიმისაგან გახეშეშებული დიდი ნაჭრით იწმენდდა. სახის ერთ ნახევარზე ჯერ კიდევ ესვა იმ ვარდისფერი გრიმის ფენა, რის წყალობითაც სულ ცოტა ხნის წინ სახე ცვილისგან იდეალურად გამოძერწილს მიუგავდა, ახლა კი ეს მოწითალო-მოყვითალო ნახევარი მეორე, ხაჭოსფრად გადატეტკილ, გრიმმოცილებულ ნახევართან შედარებით სასაცილოდ გამოიყურებოდა. ატაშეს როლისთვის განკუთვნილი, მშვენიერი, მოწაბლისფრო, შუაზე გაყოფილი პარიკიც მოეხსნა და დავინახე, რომ თვითონ წითური თმა ჰქონოდა. ცალ თვალზე შავი სალებავი ჯერ კიდევ არ მოეშორებინა, წამწამებზეც ბრჭყვიალა, შავი მტვერი ეყარა, მეორე — მოშიშვლებული, წმენდისაგან ჩაწითლებული წყლისფერი თვალი კი სტუმრებს თავხედურად შემოგვყურებდა. ამას კიდევ რა უშავდა, მკერდი, ბეჭები, ზურგი და მკლავები დამუწუკებული რომ არ ჰქონოდა. ტანზე ისეთი საშინელი მუწუკები ეყარა, წითლად შემორკალული, ჩირქისთავებიანი და ზოგან სისხლმდინარიც, რომ მათ გახსენებაზე დღესაც ტანში მაჟრიალებს ხოლმე. ჩემი დაკვირვებით, ზიზღის უნარი იმას უფრო მეტი გააჩნია, ვისაც უფრო გაცხოველებული აქვს გრძნობები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს უნარი მით უფრო ჰვიძლიერდება, რაც უფრო გულმხურვალედ ვართ გარესამყაროსა და მის გამოვლინებებზე მიჯაჭვულნი. გულცივი და უსიყვარულო კაცი ისე ვერასოდეს შეძრწუნდება ზიზღისაგან, როგორც მე მაშინ შევძრწუნდი. ყველა ამ სიკეთესთან ერთად რკინის ღუმლით უსაშველოდ გახურებულ ოთახში მძიმე ჰაერი იდგა — ოფლის სუნითა და მაგიდაზე მიმობნეული ათასნაირი თასების, ტიგელებისა და ფერად-ფერადი ლეროების ანაორთქლით შეზავებული ატმოსფერო, რასაც, თავიდან მეგონა, ერთ წუთზე მეტს ვერ გავუძლებდი.

მიუხედავად ამისა, ოთახში კარგა ხანს დავრჩი და, სიმართლე გითხრათ, მიულერ-როზეს გარდეროპში გატარებულ წუთებზე რაც გიამბეთ, იმაზე მეტი არც არაფერი მაქვს მოსაყოლი. სხვათა შორის, თეატრში პირველი წასვლის ასე დაწვრილებით აღწერა საკუთარი თავისთვის [illegible] შესაყვედურებინა კიდეც, ეს მოგონებები მკითხველისთვის კი არა, უფრო ჩემს გასართობად რომ არ დამჭირვებოდა. საინტერესო თხრობასა და პროპორციებზე ფიქრით სულაც არ ვიწუხებ თავს, ასეთები იმ ავტორებისთვის გადამილოცავს, ფანტაზიით რომ წერენ და გამოგონილი ამბებით ლამაზ და კარგად დაწყობილ ნაწარმოებებს ქმნიან. მე მხოლოდ და მხოლოდ ჩემი საკუთარი უჩვეულო ცხოვრების ამბავს გიყვებით და ამ მასალას, როგორც მომეგუნებება, ისე მოვექცევი. იმ ცხოვრებისეულ გაკვეთილებსა და შეხვედრებზე, რომელთაც განსაკუთრებით ვუმადლი, რომ ჭკუა მასწავლეს და საკუთარ თავსა და წუთისოფელზე ამიხილეს თვალი, უფრო დიდხანს შევჩერდები და ყოველ წვრილმანს წვრილი ყალმით დაგიხატავთ კიდეც. სამაგიეროდ, სხვა ნაკლებ სანუკვარ ამბებს მხოლოდ გაკვრით თუ შევეხები.

მიულერ-როზემ და მამაჩემმა იმ დღეს რა ილაპარაკეს, ჩემს მეხსიერებას თითქმის არ შემორჩენია, ალბათ იმიტომ, რომ ვერ მოვიცალე მათთვის მიმეგდო ყური, უფრო კი იმიტომ, რომ გრძნობა უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ჩვენს სულში, ვიდრე სიტყვა. მხოლოდ ის მაგონდება, რომ მომღერალი, მაყურებელთა მქუხარე ოვაციების შემხედვარე, თითქოს დარწმუნებული უნდა ყოფილიყო თავის გამარჯვებაში, ის კი წამდაუწუმ გვეკითხებოდა, ჩემი თამაში მართლა ძალიან მოგეწონათ, თუ არა უშავდა რაო, და მართალი გითხრათ, კარგად მესმოდა მისი! დამამახსოვრდა კიდევ რამდენიმე ვულგარული გამოთქმა, მიულერ-როზემ მამაჩემის რომელიღაც გახუმრების პასუხად საუბარში რომ ჩაურთო.

— აბა, აბა, ნუ მიჰქარავთ! — უთხრა მამაჩემს ერთხელ და იქვე მიაყოლა, — თათი გემრიელი ლუკმისკენ გაგირბით, არა?

მაგრამ ამას და მის მსგავს გამოთქმებს, როგორც ვთქვი, ცალი ყურით ვუსმენდი, აღელვებული უფრო იმაზე ვფიქრობდი, გულში აღძრული გრძნობები როგორმე ბოლომდე გამეაზრებინა.

მაშ ეს გათხუპნილი, ჭირიანი ინდივიდუუმი ყოფილა ის გულთამპყრობელი, ერთი წუთის წინ უსახური ბრბო აღტაცებით რომ შესციცინებდა-მეთქი, დაახლოებით ასე ვფიქრობდი მაშინ. დიახ, ეს ამაზრზენი მატლი ყოფილა ჭეშმარიტი სახე იმ ნეტარი ფარავანისა, სულ ცოტა ხნის წინ ათასი მოტყუებული თვალი სილამაზეზე, უდარდელობასა და სრულყოფილებაზე თავისი იდუმალი ოცნების განსახიერებად რომ მიიჩნევდა! განა ისიც იმ საზიზღარი ხოჭოების ჯიშის არაა, დაღამებისთანავე ზღაპრული შუქით ნათება რომ ძალუძთ? უფროსებს, ცხოვრებაში გამოცდილ ხალხს რაღა დაემართა, თავს ნებით, უფრო მეტიც, სიხარულით რომ ისულელებენ, ნუთუ არ იციან, მოტყუებულნი რომ რჩებიან? იქნებ ერთმანეთთან უსიტყვოდ არიან შეთანხმებულნი და მოტყუებას მოტყუებად არ თვლიან? ეს უკანასკნელი აზრი ჭკუასთან უფრო ახლოა. აბა ერთი კარგად დავფიქრდეთ: როდის გვევლინება ციცინათელა თავისი ნამდვილი სახით — როცა პოეტური ნაპერწკლის მსგავსად დაფარფატებს ზაფხულის ღამეში, თუ როცა ეს უმდაბლესი, უშნო არსება ჩვენს ხელისგულზე იგრიხება? ერიდე ასეთი საკითხის გადაჭრას! გიჯობს ის სურათი დაიყენო თვალწინ, ერთი წუთის წინ რომ უყურებდი, ქინქლისა და ფა-

რაენების ის უზარმაზარი გუნდი უსიტყვოდ და გაშმაგებით როგორ [illegible]ბოდა ცეცხლში! ო, რა ერთსულოვანია თავის მოტყუების სურვილი [illegible]. აქ მბრძანებლობს ადამიანის ბუნებაში თვით ღმერთისგან ჩანერგილი საყოველთაო მოთხოვნილება და სწორედ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაა გაჩენილი მიულერ-როზეს ნიჭი და უნარი. ეჭვი არაა, აქ მოქმედებს სიცოცხლის მამოძრავებელი მექანიზმი, რომლის მსახურადაც ეს კაცია დაქირავებული. განა მას აღტაცება არ ეკუთვნის, რაც დღეს შესძლო და ალბათ სხვა დროსაც მრავალჯერ შესძლებია! დათრგუნე შენი ზიზღი და მთელი არსებით შეიგრძენი, რომ ამ კაცმა იცოდა თავის მუწუკებიანი ტანის ამბავი, მუწუკები აწუხებდა და თავს მაინც ძალას ატანდა, ბრბოს წინაშე თავმომწონედ ევლო და ყველა აღეფრთოვანებინა. მართალია, შუქი და გრიმი, მუსიკა და მანძილი ჰყავდა შემწედ, მაგრამ ხომ აიძულა ბრბო მის სახეში თავის იდეალი დაენახა, ხომ შესძლო მისთვის უსასრულო ბედნიერება და სიხარული მიენიჭებინა!

უფრო ღრმად ჩაიხედე გულში! ჩაეკითხე საკუთარ თავს, რა ძალა ამოძრავებდა ამ უხამს მასხარას, გარდასახვის ხელოვნება რომ შეესწავლა! საკუთარ თავს ჰკითხე, საიდან მოდის სხვისთვის სიამოვნების მინიჭების ეს იდუმალი, ჯადოსნური ნიჭი, ერთი წუთის წინ მის სხეულს რომ დაუფლებოდა და თითის წვერებამდე მსჭვალავდა! ამის პასუხი თუ გინდა, საკმარისია გაიხსენო (რადგან ისედაც ყველაფერი მშვენივრად მოგეხსენება), სახელს რომ ვერ დაარქმევ, სიტყვით მის სიტკბოებას რომ ვერ გამოხატავ, ისეთია ის ძალა, ცისცინათელას ნათებას რომ ასწავლის. ერთი დააკვირდი, როგორ ვერ ძღება ეს კაცი იმის მოსმენით, რომ იგი მოგეწონათ, მართლა ძალიან რომ მოგეწონათ! დიახ, მას მხოლოდ იმ საცოდავი ბრბოს სიყვარულმა და ერთგულებამ შეაძლებინა თავის ხელობაში ასე გაწაფულიყო; ჰოდა, თუკი იგი ბრბოს სიცოცხლის ხალისით ასაჩუქრებს, ისინი კი სამაგიეროდ ოვაციებს უძღვნიან, განა ეს ურთიერთგაბედნიერება არ არის, განა ეს მათი სურვილების ქორწილს, მათ შეუღლებას არ ნიშნავს?

## მეექვსე თავი

ზემოთ მოყვანილი სტრიქონები ზოგად შტრიხებში გვიხატავს ჩემს აღგზნებულ გაფაციცებულ ფიქრთა მდინარებას, მიულერ-როზეს გარდერობში ყოფნისას ჩემს ჭკუა-გონებას რომ დაეუფლა და შეიპყრო. მომდევნო დღეებში, უფრო სწორად, კვირების მანძილზე ხშირ-ხშირად რომ მიბრუნდებოდნენ, [illegible] მიღვიძებდა და ოცნებებში მხვევდა. ამ შინაგანი კვლევა-ძიების ნაყოფი გახლდათ ის ღრტვინვა, მონატრება, იმედი, თრობა და სიხარული, რაც მთელ ჩემს არსებას ისე ძლიერად დაიპყრობდა, რომ დღესაც, ჩემი ვეებერთელა დაღლილობის მიუხედავად, მისი ერთი გახსენებაც კი ალმანთებს და გულისცემას მიხშირებს. მაშინ ეს გრძნობა ისეთი ძლიერი იყო, რომ ზოგჯერ მეშინოდა, გული საგულედან არ ამომვარდნოდა, იგი ისედაც ავად მხდიდა, მეც არცთუ იშვიათად ამ ამბავს საბაბად ვიყენებდი და სკოლას ვაცდენდი ხოლმე.

ხელმეტად მიმაჩნია დაგისაბუთოთ, რატომ მატულობდა ჩემი სიძულვილი ზემოხსენებული სამაგელი დაწესებულებისადმი. მე, საერთოდ, ვცოცხლობ მხოლოდ ერთი პირობით — უნდა მქონდეს აზროვნებისა და ფანტაზი-

ის თავისუფლება — ამიტომ ვიგონებ ციხეში გატარებულ ხანგრძლივ წლებს უფრო ნაკლები სიძულვილით, ვიდრე მონობისა და შიშის იმ ხანებს, რითაც ყმაწვილის მგრძნობიარე სულს ბოჭავდა ქვევით, ქალაქში, ერთ თეთრად შეფეთქილ, ყუთისებურ შენობაში გამეფებული მკაცრად დაცული წესრიგი და დისციპლინა. ჰოდა, თუ ჩემს მარტოსულობასაც მივიღებთ მხედველობაში, რომლის გამომწვევ მიზეზებზეც წინა გვერდებზე გესაუბრეთ, მაშინ აღარ გაგიკვირდებათ, საადრევად რატომ დავიწყე ფიქრი, სასკოლო სამსახურისგან უქმეებისა და კვირის გარდა როგორმე სხვა დღეებშიც დამეძვრინა თავი.

ამ საქმეში ჩინებული სამსახური გამიწია იმან, კარგა ხანს თამაშ-თამაშით მამაჩემის ხელწერის გადმოღებაში რომ ვვარჯიშობდი. საერთოდ, მამა ყოველთვის ბუნებრივი და უახლოესი ნიმუშია ჩამოყალიბების ასაკში მყოფი, მოზრდილების სამყაროსაკენ თვალმიპყრობილი ყმაწვილისათვის. მოზარდს ზურგს უმაგრებს მშობელთან იდუმალებით აღსავსე სულიერი ნათესაობა და ფიზიკური მსგავსება და ეამაყება გადაიღოს მისი საქციელი და მიხრამოხრა, რაც საკუთარი უმწეობის ფონზე აღტაცების ღირსად მიაჩნია, უფრო ზუსტად, ეს აღტაცებაა სწორედ ის ძალა, რასაც ნახევრად გაუცნობიერებლად მივყავართ ყოველივე იმის შეთვისებისა და გადაღებისაკენ, რაც ჩვენში მემკვიდრეობით წინასწარვეა ჩადებული. როდესმე მამაჩემივით სწრაფად და საქმიანად შემძლებოდა ფურცელზე ფოლადის კალმის ტარება, ამაზე ჯერ კიდევ მაშინ ვოცნებობდი, როცა დახაზულ გრიფელის დაფაზე გაჭირვებით გამომყავდა აცაბაცა ასოები. მას მერეც რამდენი ფურცელი გადამიჭრელებია იმის ცდაში, როგორმე მამაჩემივით მოხდენილად დამეჭირა ხელში კალამი და ჩემი ნაწერი მამაჩემის ხელწერისათვის მიმემსგავსებინა. კაცმა რომ თქვას, ეს არც ისე ძნელი საქმე იყო, რადგან ჩემს საბრალო მამას ბავშვური ხელი ჰქონდა, სწორი და არა გაკრული, ოღონდ ასოები თუ მთლად პაწაწკინტელა გამოჰყავდა, სამაგიეროდ შემაერთებელ ხაზებს გრძელ-გრძელს უკეთებდა და ამის წყალობით ასოებს ისე აცილებდა ერთმანეთს, რომ მსგავსი სხვაგან არაფერი მინახავს. ერთი სიტყვით, უცნაურად წერდა, მაგრამ მის მანერას სწრაფად და ზედმიწევნით ზუსტად დავეუფლე. რაც შეეხება ხელმოწერას „ე. კრული", იგი პირიქით, ტექსტის გოთურად წაწვეტებული ასოებისგან განსხვავებით, ლათინურს უფრო ჰგავდა, მაგრამ სამაგიეროდ ისეთი ხვეულების ღრუბელი ერტყა გარს, რომ ერთი შეხედვით ძნელი მისაბაძი ჩანდა. სინამდვილეში ჩანაფიქრი მარტივი აღმოჩნდა და მეც ლამის სრულყოფილად სწორედ ხელმოწერა გამომდიოდა ხოლმე. ე-ს ქვედა ნახევარი მოხდენილად იყო გამოზნექილი და მის გახსნილ წიაღში ფაქიზად თავსდებოდა გვარის პირველი ხმოვანი, ზემოდან, უ-ს კაუჭთან სათავეს იღებდა, ყველა ასოს გარედან ეხვეოდა და ერთვოდა მეორე ხვეული, ე-ს ორჯერ ჰკვეთდა, შემამკობელი წერტილები ემატებოდა, ბოლოს და ბოლოს „სანის" ფორმას იღებდა და ძირს ჩამოდიოდა. მთლიანობაში ფიგურას უფრო მაღალი ეთქმოდა, ვიდრე განიერი, ბაროკოს სტილის ბავშვური გამონაგონი გახლდათ და სწორედ ამიტომ ისე იოლი მისაბაძიც, რომ ჩემს ნახელავს თვით მისი შემქმნელიც კი თავის საკუთარ ხელწერად აღიარებდა. ჰოდა, იმაზე სანუკვარი აზრი რაღა უნდა ყოფილიყო, რომ ეს ხერხი, რომელსაც თავიდან გასართობად დავეუფლე, ჩემი სულიერი თავისუფლების სამსახურში ჩამეყენებინა? „ჩემი ვაჟიშვილი ფელიქსი, — ვწერდი მე, — ამა თვის 7 რიცხვში

საშინელი მუცლის გვრემის გამო იძულებული გახდა მეცადინეობა გაეცდინა, რასაც გულისტკივილით ვადასტურებ ე. კრული". სხვა დროს სხვანაირად ვწერდი: „ღრძილების ჩირქოვანი ანთებისა და ნაღრძობი მარჯვენა მკლავის მიზეზით, ფელიქსი 10-დან 14-ის ჩათვლით სახლიდან ვერ გამოდიოდა და, ჩვენდა სამწუხაროდ, იძულებული გახდა უარი ეთქვა სასწავლებელში მისვლაზე. უღრმესი პატივისცემით ე. კრული". ამას თუკი ვახერხებდი, ხელს რადა შემიშლიდა სკოლის საათებში ერთი-ორი დღე ქალაქგარეთ ხეტიალში გამეტარებინა, ან მწვანე მდელოზე, მოჩურჩულე ფოთლების ჩრდილში წამოწოლილი ახალგაზრდული გულით ნაკარნახევ, ახირებულ ფიქრებს მივცემოდი, ან რაინის ფერდობზე, ნეტარხსენებული ეპისკოპოსის ციხე-დარბაზის თვალწარმტაც ნანგრევებში რამდენიმე საათი ოცნებაში გამეყვანა, ხოლო სუსხიან ზამთარში ნათლია შიმელპრისტერის სახელოსნოსთვის შემეფარებინა თავი, რომელიც, მართალია, ჩემი საქციელისთვის მთათხავდა, მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, საამისო მიზეზებს მაინც პატივისცემით რომ ეკიდებოდა.

არცთუ იშვიათად, სკოლის დღეებში თავს თუ მოვიავადმყოფებდი, სახლში ვრჩებოდი, ლოგინიდან არ ვდგებოდი და, როგორც მოგახსენეთ, მიმაჩნდა, რომ მქონდა კიდეც საამისო შინაგანი უფლება. ჩემი თეორიის მიხედვით, ყოველი სიცრუე, თუ მასში მაღალი რანგის სიმართლის ნატამალი არ ურევია და მხოლოდ მტკნარი, ტლანქი არასრულყოფილი ტყუილია და მეტი არაფერი, შეუძლია განჭვრიტოს ნებისმიერმა კაცმა. წარმატების იმედი და ადამიანებს შორის გასავალი მხოლოდ იმ ტყუილს თუ ექნება, ამ სახელს სულაც რომ არ იმსახურებს, ასეთი ტყუილი ჭეშმარიტების წიაღში ჯერ კიდევ ფეხმოუკიდებელ სიმართლეს უფრო ჰგავს და აუცილებლად უნდა აღიჭურვოს ისეთი მატერიალური ნიშან-თვისებებით, რომ ქვეყანამ აღიაროს და პატივი სცეს. მე, ჯანსაღი ყმაწვილი, რომელსაც, იოლად გადატანილ საყმაწვილო სნეულებებს თუ არ ჩავთვლით, სერიოზულად არასოდეს არა მტკივებია რა, უხეშ თვალთმაქცობას როდი მივმართავდი, როცა ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვეტდი, ის ღამე მე რომ შიშსა და უსიამოვნებას მიქადდა, პაციენტის როლში გამეტარებინა. ანდა რატომ უნდა დამეტანებინა თავისთვის ძალა, როცა ერთი ხერხი ვიცოდი, რითაც ჩემი სულიერი დამმონებლები ყოველთვის შემეძლო განმეიარაღებინა? დიახ, ზემოთ აღწერილმა, ლამის ტკივილამდე მისულმა ბოღმამ და დაძაბულობამ, ახირებულ ფიქრთა მდინარების წყალობით მაშინ ჩემს არსებას რომ ეუფლებოდა, უსიამო ყოველდღიური ბეგარის მიმართ გაჩენილ ზიზღთან ერთად წარმოშვა ვითარება, რომელმაც ჩემს ოინბაზობას სოლიდური დამაჯერებლობა შეჰმატა და ისეთი ხერხები შემათვისებინა, რომ ექიმებსა და შინაურების გულში სიბრალულსა და შეშფოთებას ვიწვევდი.

თავის მოავადმყოფების სცენას პირდაპირ მაყურებელთა წინაშე როდი ვმართავდი; როცა დილით საკმაო დროს გავიყვანდი და უკვე აუცილებლობად გადაიქცეოდა ჩემი გადაწყვეტილება, იმ დღეს ჩემი თავის ბატონპატრონი ვყოფილიყავი და თავისუფლებას ვზიარებოდი, ჯერ ჩემთვის წავივარჯიშებდი... ამ ფიქრსა და ოცნებაში ადგომის დრო უკვე ჩავლილი იყო, სასადილო ოთახში ცივდებოდა მოახლის ხელით ჩემთვის მომზადებული საუზმე, ქალაქის გონებაჩლუნგი ახალგაზრდობა უკვე სკოლისკენ მიაბოტებდა, ერთი სიტყვით, ყოველდღიური ცხოვრება თავის გზით მიდიოდა, მე კი გადაწყვეტილი მქონდა მის დესპოტურ რეჟიმს მარტოდმარტო, საკუთარი თა-

ვის ამეტით გამოვკლებოდი. ჩემივე სიმამაცით გულაჩქროლებულსა და გაბრუებულს გულ-მუცელი მეკუმშებოდა. ერთ ასეთ მშვენიერ დღეს უეცრად შევნიშნე, რომ ხელის ფრჩხილები გამლურჯებოდა. ალბათ იმ [illegible] ციოდა და იმიტომ. საკმარისი იყო ოროოდე წუთით საბანი გადამეხადა და ცივ ოთახში ასე ვწოლილიყავი, ან ცოტა ხანს შევლო და ოდნავ [illegible], რომ სიცივეს ავეტანე და კბილი კბილზე მეცემინებინა. [illegible] ეს საერთოდ მახასიათებს, თავიდანვე ბუნებით სათუთი და ხელშესაწყობი ვიყავი, ყველაფერი, რაც მერყოჩემს დაუდეგარ ცხოვრებაში ჩამიდენია, თვითგვემის ფასად მიჯდებოდა და სწორედ ეს გახლავთ სამართალი, ჩემი ჯაფა მაღალი რანგის ზნეობრივ გმირობად უნდა ჩამეთვალოს. ასეთი თვისებები რომ არ მქონოდა, არც მაშინ და არც შემდგომ ძალა არ მეყოფოდა. სხეულისა და გონების განგებ დაღლის ფასად ავადმყოფის სახე მიმელო და თუკი დამჭირდებოდა, გარეშეთ მყოფნი ლმობიერებისა და ადამიანურობის გამოჩენის გუნებაზე დამეყენებინა. ისე, სიმართლე თუ გნებავთ, ტლანქი ადამიანი თავს ნამდვილად ვერ მოიავადმყოფებს. ჩემი ძველი გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, ის, ვინც ძვირფასი ჯიშის ხისგანაა გამოთლილი, ყოველთვის შეძლებს, ავადაც რომ არ იყოს, ტანჯვა-ვაებასთან მაინც ხელჩაკიდებულმა იაროს და მისი ნიშან-თვისებების გამოვლენა თავის შინაგან მზერას დაუმორჩილოს. მე, მაგალითად, ასე ვიქცეოდი. თვალებს ჯერ დავხუჭავდი, მერე კი ისე ფართოდ გავახელდი, რომ ჩემს მზერაში კითხვა და ჩივილი ერთად ჩაბუდებულიყო. უსარკოდაც მშვენივრად ვიცოდი, წამძინარევს თმა გაწეწილი მექნებოდა, თმა შუბლზე მართლაც გრძელ ხვეულებად მეყარა და სახეზე დაძაბულობისა და მღელვარებისაგან ფერი აღარ მედო. სახე თან ჩათუთქვილიც რომ გამოჩენოდა, ჩემს გამოგონილ ერთ ჩაცად ხერხს მივმართავდი — ლოყებს შიგნიდან შეუმჩნევლად კბილებშუა მოვიქცევდი, ამის წყალობით ლოყები ჩამიცვივდებოდა, ხოლო ნიკაპი ჩამომიგრძელდებოდა და ერთ ღამეში ჩამომდნარი სახეც მზად იყო. ცხვირის ნესტოების თრთოლა და თვალის უპეების ხშირი, ლამის მტკივნეული დაჭიმვაც თავის საქმეს აკეთებდა. იმ დღეს ფრჩხილებჩალურჯებული ხელები გულზე დავიკრიფე, პირსაბანი თასი იქვე, სკამზე დავიდგი, ხანგამოშვებით კბილს კბილზე ვაცემინებდი და ასე ველოდი იმ წამს, როცა ვინმე მომიკითხავდა.

ეს წამი გვიან დგებოდა, რადგან ჩემს მშობლებს დილის ძილი უყვარდათ და სანამ შეამჩნევდნენ, რომ სახლიდან ფეხი არ გამიდგამს, სკოლაში ორი ან სამი გაკვეთილი უკვე ჩავლილი იყო ხოლმე. იმ დღეს მოგვიანებით კიბეზე დედაჩემი ამოვიდა, ჩემს ოთახში შემოიხედა და მკითხა, ავად ხომ არა ხარო. მე თვალები გავახილე და ისე უცნაურად შევხედე, ვითომ ძლივს ვცნობდი, ან ვითომ ვერ ვერკვეოდი, ირგვლივ რა ხდებოდა, მერე, როგორც იქნა, ვუპასუხე, ჰო, მგონი, ავად უნდა ვიყო-მეთქი. მაინც რა გჭირსო, შემეკითხა იგი. თავი... სახსრები მტეხს... არ ვიცი, ასე რატომ მცივა-მეთქი, გამოვეხმაურე მიკნავებული ხმით, თან ტუჩებს ძლივს ვამოძრავებდი და საწოლში მოუსვენრად ვტრიალებდი. დედაჩემს საბრალული მოერია, არა მგონია, ჩემს სატკივარს სერიოზულად შეეშფოთებინოს, მაგრამ რაკი მის გონებას, საერთოდ, გრძნობა ჯაბნიდა, გულმა ვერ გაუძლო, თამაშში ამყვა და თითქოს თეატრში ვყოფილიყავით, შეეცადა ჩემთვის პატრონობა გაეწია.

— საბრალო ბავშვი! — მეუბნებოდა იგი, საჩვენებელ თითს ლოყაზე იდებდა და შეწუხებული თავს აქეთ-იქით იქნევდა. — ჭამაც არ შეგიძლია?

მე ნიკაპი მკერდზე დავიბჯინე და ზიზღით ვთქვი უარი. ჩემმა რეალისე-ბურმა, თანმიმდევრულმა საქციელმა დედა გამოაფხიზლა, ამჯერად მართლა შეშფოთდა და, ასე ვთქვათ, ველარ გაბედა ჩვენი ერთობლივი ილუზიით დამა-ტბარიყო; ადამიანს სასმელ-საჭმელზე ასე მტკიცედ უარის თქმა თუ შეეძ-ლო, ამის წარმოდგენა მის გონებრივ შესაძლებლობებს აღემატებოდა. მაგრამ ისევ დამაკვირდა გამომცდელი თვალით, მართლა ცუდად ხომ არ არის, და მეც. ყოყმანი შევატყვე თუ არა, მაშინვე ჩემს ყველაზე ძნელ და ყველაზე შთამბეჭდავ ილეთს მივმართე, რათა მისთვის გადაწყვეტილების მიღება გა-მეიოლებინა. უეცრად ლოგინში წამოვჯექი, ათრთოლებული ხელებით პირი-საბანი თასი ახლოს მოვიჩოჩე და ზედ გადავემხე. მერე მთელი ტანით ისე საშინ-ლად ვიგრიხებოდი და ვტოკავდი, რომ ადამიანს ქვის გული უნდა ჰქონო-და, ასეთი ტანჯვა-ვაების ცქერისათვის გაეძლო.

— აღარაფერი აღარ შემრჩა, — ვგმინავდი შიგადაშიგ, ტანჯვისგან და-მანჭულ სახეს თასს რომ მოვაცილებდი ხოლმე, — ღამე ყველაფერი ამოვან-თხიე...

ამის შემდეგ გადავწყვიტე ჩემი მთავარი და ხანგრძლივი ილეთი გამომე-ყენებინა და ისეთი საშინელი კრუნჩხვები დავიმართე, გეგონებოდათ, სულს ველარ ამოითქვამსო. დედას ჩემი თავი ეჭირა და შეშინებული და მავედრე-ბელი ხმით ჩემს სახელს გაიძახოდა, რომ გრძნობაზე მოვეყვანე.

— ახლავე დიუზინგთან გავგზავნი ვინმეს! — წამოიძახა მერე საბოლო-ოდ რეტდასხმულმა, როცა კრუნჩხვამ გამიარა, და ოთახიდან გავარდი. მე კი გასავათებული, მაგრამ ენით აუწერელი სიხარულითა და კმაყოფილებით აღ-სავსე, ბალიშზე მივესვენე.

რა ხშირად დამიხატია ოცნებაში ეს სცენა, რა ხშირად მივარჯიშნია გუ-ლში, სანამ მხნეობას მოვიკრებდი და ამ სცენას სხვების თვალწინ, სინამ-დვილეში წარმოვადგენდი! არ ვიცი, გამიგებთ თუ არა, მაგრამ ბედნიერების-გან გაბრუებულს თავი სიზმარში მეგონა, როცა იგი პრაქტიკულად პირვე-ლად წარმოვადგინე და სრული წარმატებაც მხვდა წილად. ეს ყველას როდი შეუძლია, ბევრს იქნებ უოცნებია კიდეც ამაზე, მაგრამ ვერ კი შეუსრულებია ალბათ იმის შიშით, მართლა არაფერი დამემართოსო. ისე, თუ გულწასული ძირს დაეცემი, ცხვირიდან სისხლი წასკდება და კრუნჩხვა მოგივლის, გარე-სამყაროს სისასტიკე და გულგრილობა მაშინვე ყურადღებად, შეშფოთებად და დაგვიანებულ სინანულად გადაიქცევა! მაგრამ ვაი რომ სხეული ჯიუტია და ბრიყვულად გამძლე, იგი მაშინაც არ იდრიკება, როცა სულს უკვე დიდი ხანია თანაგრძნობა და სათუთი მოვლა სწყურია, იგი არ ავლენს ისეთ საგან-გაშო, ხელშესახებ სიმპტომებს, რომ გარეშე თვალს წარმოადგენინოს, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მეც ჩავვარდე ასეთ დღეშიო, ან გარესამყაროს შიშისმომგვრელი ხმით შემოუძახოს და სინდისი გაუღვიძოს. და აი, მე გა-მოვიწვიე ეს სიმპათიები და ისეთი შთაბეჭდილება მოვახდინე, რომ ამაზე მეტს ისინი მაშინაც ვერ შეძლებდნენ, ჩემს დაუხმარებლად რომ გამოვლე-ნილიყვნენ. მე ბუნებას შევეშველე, ოცნება სინამდვილედ ვაქციე და მხო-ლოდ იმ ადამიანს ძალუძს გაიგოს ის საოცარი და სიზმარეული კმაყოფილე-ბა, მე რომ ჩემმა შემოქმედებამ განმაცდევინა, ვისაც თვითონაც შესწევს ძა-ლა არაფრისაგან,მხოლოდ შინაგანი ცოდნისა და საგნებზე დაკვირვების წყა-ლობით, ერთი სიტყვით, ფანტაზიითა და საკუთარი პიროვნების მამაცური გარჯით დამაჯერებელი, შთამბეჭდავი სინამდვილე შექმნას.

ერთი საათის მერე მოვიდა ჩვენი ქალაქის სანიტარული მრჩეველი დიუზინგი. იგი ჩვენი შინაური ექიმი გახდა მოხუცი მეკუმის გარდაცვალების შემდეგ, იმ ექიმისა, ჩემს დაბადებას რომ შეაშველა ხელი. ქრისტოფორი დიუზინგი ერთი აწოწილი, მხრებში უშნოდ მოხრილი კაცი იყო, [illegible] ბალნისფერი, ჭაღარა თმა მუდამ ყალყზე ედგა, ჩვეულებად ჰქონდა [illegible] გრძელი ცხვირი წამდაუწუმ ცერსა და საჩვენებელ თითებს შუა მოექცია და დიდრონი, ძვალმსხვილი ხელებიც ასევე მალ-მალე ეფშვნიტა. ეს კაცი შეიძლებოდა ჩემთვის სახიფათო გამომდგარიყო, ოღონდ არა მედიცინაში თავისი განსწავლულობის გამო, პირიქით, ამ საქმეში, ჩემი აზრით, გვარიანად მოიკოჭლებდა (სხვათა შორის, უფრო ადვილი მოსატყუებელი სწორედ კარგი ექიმია, ვინც მეცნიერებას სერიოზულად, სწავლულის შესაფერი თავდადებით, სულითა და გულით ემსახურება), იგი შეიძლებოდა სახიფათო გამომდგარიყო თავის ტლანქი, პრაქტიკული ჭკუისა და მიხვედრილობის გამო, რაც ასე ახასიათებს ბევრ მისნაირ ქედწახრილ ადამიანს და რასაც მთელი მისი გერგილიანობა ემყარება კიდეც. ესკულაპეს ამ რეგვენმა და პატივმოყვარე მოწაფემ სანიტარული მრჩევლის ტიტული ნაცნობობით, ღვინის ფირმებთან ურთიერთობითა და პროტექციით ჩაიგდო ხელში, გარდა ამისა ვისბადენშიც ხშირად დაიარებოდა, ადგილობრივ ხელისუფალთ თავს აწონებდა და ამ გზითაც მიიწევდა წინ. საკუთარი თვალით მინახავს, თავის მოსაცდელ ოთახში წესსა და რიგს რომ არ იცავდა, დაუფარავად აძლევდა უპირატესობას შეძლებულ ცნობილ ხალხს, მათზე ადრე მოსულ უბრალო მომსვლელთ კი ალოდინებდა; ისიც მინახავს, რა გადაჭარბებული ზრუნვითა და მონდომებით დასტრიალებდა თავს წარჩინებულ და გავლენიან პაციენტებს, ხოლო ღარიბებსა და პატარა ხალხს უხეშად და ეჭვით ექცეოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, მათი სატკივარი უსაფუძვლოდ გამოეცხადებინა. ჩემი ღრმა რწმენით, იგი არავითარ ცრუმოწმეობას, არავითარ სიმდაბლესა და თაღლითობას არ ითაკილებდა, თუკი ეცოდინებოდა, რომ ამით ზემდგომთა გულს მოიგებდა, ან თავს ადგილობრივ ხელისუფალთა ერთგულ თანამდგომად გაასაღებდა. ასეთი საქციელი სავსებით შეესაბამებოდა იმ მდაბალ პრაქტიკულ ჭკუას, რითაც ეს უნიჭო კაცი ცხოვრებაში წინ წაწევას იმედოვნებდა. რაკი ჩემი საბრალო მამა, როგორც მრეწველი და გადასახადით დაბეგრილი კაცი, თავის ორჭოფული მდგომარეობის მიუხედავად მაინც ქალაქის წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდა, თან სანიტარული მრჩეველი ჩვენი შინაური ექიმიც ბრძანდებოდა და ჩვენს ოჯახზე ასე თუ ისე დამოკიდებული გახლდათ, ან სულაც იმიტომ, რომ კორუფციის ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, ეს საცოდავი თავს მართლა ვალდებულად თვლიდა, ჩემთან აუცილებლად პირი შეეკრა და მხარში ამომდგომოდა.

ჩემს საწოლს მოუახლოვდებოდა თუ არა, იგი ექიმის შესაფერი, მამაშვილური სიტყვებით მომმართავდა, ეს რა მოგსვლია, ან ეს რა ამბებიაო, მერე საწოლთან ჩამოჯდებოდა, ზერელედ გამსინჯავდა, კითხვებს დამისვამდა და მერე ყოველთვის, ვიმეორებ, ყოველთვის დგებოდა წამი, როცა თავისი დუმილით, ღიმილით, თვალის ჩაკვრით საპასუხო გულახდილობისაკენ მომიწოდებდა, უნდოდა გამოვტყდომოდი, რასაც თვითონ „სკოლის ავადმყოფობას“ ეძახდა, ის რომ მჭირდა. მაგრამ მე არასოდეს იოტისოდენაც არ ამიბია მისთვის მხარი, ოღონდ სიფრთხილე როდი მაჩერებდა (ბოლოს და ბოლოს, მისი ნდობა ალბათ შეიძლებოდა), სიფრთხილეზე უფრო სიამაყე და ზიზღი

მაკავებდა. რაც უფრო გულმოდგინედ ცდილობდა იგი შეთქმულებაში ჩავეთრიე, ჩემს თვალებში მით უფრო მეტი ნაღველი და უმწეობა ისადგურებდა, ლოყები კიდევ უფრო მიცვივდებოდა, ტუჩები მიდუნდებოდა, ხშირ-ხშირად ვსუნთქავდი, სულს ძლივს ვითქვამდი და ყოველ წუთს მზად ვიყავი, თუკი საჭირო გახდებოდა, პირღებინების შეტევა მის წინაშეც გამომეწვიებინა, ერთი სიტყვით, ისე მტკიცედ ვიდექი ჩემსაზე, რომ ექიმი ბოლოს და ბოლოს იძულებული ხდებოდა თავი დამარცხებულად ეცნო, ბედს შერიგებოდა, თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება გვერდზე გადაედო და საქმეს მეცნიერულად მოჰკიდებოდა.

აი, ეს კი დიდ გასაჭირს უქადდა, ჯერ ერთი, თავის უმეცრების გამო და მეორეც იმიტომ, რომ ჩემი შეთავაზებული ავადმყოფობის სურათი მეტისმეტად ზოგადი და გაურკვეველი გახლდათ. იმ დღეს ბევრი მისმინა და მიკაკუნა, ხახაში სუფრის კოვზის ტარიც ჩამიყო, თერმომეტრითაც მომქანცა და ბოლოს, ავად თუ კარგად, თავისი აზრის გამოთქმა ინება.

— მიგრენი აწუხებს, — განაცხადა მან, — საშიში არაფერია. ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს მიგრენისკენ მიდრეკილება აქვს, ეს ჩვენთვის ცნობილია, სამწუხაროდ, ამჯერად კუჭიც ჩათრეულია. გირჩევთ მშვიდად იყოლიოთ, მნახველებს მოარიდეთ, ცოტა ილაპარაკოს, ოთახს თუ ჩამოაბნელებთ, კარგი იქნება. გარდა ამისა მოუხდება ლიმონმჟავა კოფეინი, წამალს გამოგიწერთ...

თუ იმ ხანებში ქალაქში გრიპის თითო-ოროლა შემთხვევა მაინც იყო აღრიცხული, მაშინ იტყოდა:

— გრიპია, ძვირფასო ფრაუ კრულ, გრიპია და თან გასტრიტით გამწვავებული. დიახ, ჩვენს მეგობარსაც დამართნია! სასუნთქი გზების ანთება, მართალია, ჯერჯერობით უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც გვაქვს. ახველებთ არა, ძვირფასო მეგობარო? ტემპერატურაც მომატებულია და გამორიცხული არაა, დღის განმავლობაში კიდევ აუწიოს. პულსიც აჩქარებულია და არითმიული.

მერე ეს უფანტაზიო კაცი ტკბილ-მწარე შემაგრებულ ღვინოს გამომიწერდა, რომელიც აფთიაქში იყიდებოდა, მეც ღვინოს სიამოვნებით ვეწაფებოდი და გადატანილი ბრძოლის შემდეგ თბილ, სასიამოვნო ბურანში ვეხვეოდი ხოლმე.

ცხადია, ექიმის პროფესია სხვა პროფესიებისაგან არაფრით განსხვავდება, სხვებისა არ იყოს, მის წარმომადგენელთა უმრავლესობასაც თავი ცარიელი აქვს, ექიმები მზად არიან დაინახონ ის, რაც არ არის და უარჰყონ ის, რაც ხელისგულზე უდევთ. ამიტომ ნებისმიერ მოყვარულ, არაპროფესიონალ მცოდნეს წვრილ-წვრილი საიდუმლოებებისა მეტი გაეგება და იოლად შეუძლია ექიმის გაცურება. სასუნთქი გზების კატარი, მან რომ მომაწერა, მე პირადად სულაც არ მქონია გათვალისწინებული და არც ჩემს სპექტაკლში მიმინიშნებია, მაგრამ რაკი სანიტარული მრჩეველი ერთხელ ვაიძულე უარი ეთქვა თავის ორდინარულ ვარაუდზე, ეს ყმაწვილი „სკოლის ავადმყოფობით“ იქნება ავადო, მერე უკეთესი რაღა უნდა მოეფიქრებინა — მაინცდამაინც გრიპი უნდა მქონოდა და ეს დიაგნოზი რომ გაემართლებინა, ხველებასაც მაბრალებდა და იმასაც ირწმუნებოდა, გლანდები ექვს შეშუპებულიო, რაც სინამდვილეს ასევე ნაკლებად შეეფერებოდა. რაც შეეხება ტემპერატურის აწევას, აი აქ კი მართალი ბრძანდებოდა, თუმცა ეს ფაქტიც ამხელდა, რომ კლინიკურ სურათთან ტემპერატურის შესაბამისობის საკითხშიც მოწაფეური რწმენით ხელმძღვანელობდა, მედიცინას უნდა სიცხე მაინცდამაინც ავადმყოფო-

ბის გამომწვევი მიკრობებით სისხლის მოწამვლის შედეგი იყოს, თითქოს შეუძლებელია არსებობდეს სხვა რამ მიზეზი ფიზიკურის გარდა. ნამდვილად სასაცილოა! მკითხველი ალბათ დარწმუნდებოდა და მეც პატიოსან სიტყვას ვიძლევი, იმ მომენტში, როცა სანიტარული მრჩეველი დიუზინგი მსინჯავდა, ავად, ამ სიტყვის უხეში გაგებით, მართლა არ ვყოფილვარ; ეს იყო მხოლოდ იმ წამით აღძრული მღელვარება, ავანტიურისტული ნებისყოფის ძალით თავსმოხვეული ტანჯვა; სიმთვრალის მსგავსი მდგომარეობა, ავადმყოფის როლში ღრმად შესვლით გამოწვეული და მთელი ჩემი ბუნერივი ნიჭისა და უნარის ამოძრავება მჭირდებოდა, რათა ყოველი წამი ოსტატური გამომსვლოდა და სასაცილო არ გამოვჩენილიყავი; საჭირო იყო ერთგვარი აღმაფრენა, დაძაბულობითა და განმუხტვით თანაბრად შეზავებული, რათა რაღაც არანამდვილი ჩემთვისაც და სხვებისთვისაც თითქმის ნამდვილად მექცია: და აი, ყველაფერმა ამან ისეთი აღმავლობა და აღმაფრენა გამოიწვია ჩემს არსებაში, ისე აამოქმედა ჩემი ორგანიზმი, რომ სანიტარულ მრჩეველს თერმომეტრიდან მართლა შეეძლო ამოეკითხა ჩემი ავადმყოფობის დამადასტურებელი ნიშნები. პულსის აჩქარებაც, სულ უბრალოდ, იმავე მიზეზებით აიხსნებოდა, ხოლო როცა სანიტარული მრჩევლის თავი ჩემს მკერდზე განისვენებდა და მისი ვირის ბალნისფერი, მშრალი თმის ცხოველურ სუნს ვიყნოსავდი, დიდი ჯაფა აღარ მჭირდებოდა ამ უეცარი, ცოცხალი შეგრძნების წყალობით გულისცემა ხან შემენელებინა და ხან ამეჩქარებინა. და ბოლოს, ჩემს კუჭს რაც შეეხება, დოქტორ დიუზინგს რა დიაგნოზიც არ უნდა დაესვა, იტყოდა, კუჭი ჩათრეულიაო და მეც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ორგანო ოდითგანვე ნაზი და მიზეზიანი მქონდა, მცირედი მღელვარებაც კი მის პულსაციასა და ფართხალს იწვევდა და საგანგებო ცხოვრებისეულ სიტუაციებში სხვები თუ გულისცემას ახსენებენ, მე მმართებდა კუჭისცემა მეთქვა. სანიტარული მრჩეველი ამ ფენომენს ამჩნევდა და გაოცებას ველარ მალავდა.

მერე გამომიწერდა თავის მომჟავო აბებს, ან თავის ტკბილ-მწარე მომალონიერებელ ღვინოს და ერთხანს ჩემს საწოლთან დედაჩემს ეჭორავებოდა, მე კი მოდუნებულ ბაგეს ვითომ სულის მოსათქმელად მალიმალ ვაღებდი და ჩამქრალი, გატანჯული თვალებით ჭერში ვიყურებოდი. ზოგჯერ მამაჩემიც შემოგვიერთდებოდა, დარცხვენილი გამომეტყველებით დამცქეროდა, თან თვალს მარიდებდა და შემთხვევით სარგებლობდა, რომ სანიტარულ მრჩეველთან თავის პადაგრაზე ელაპარაკა. მარტო დარჩენილი მთელ დღეს, ზოგჯერ მის მომდევნო რამდენიმე დღესაც გარესამყაროსა და ჩემს მომავალ ცხოვრებაზე ოცნებაში ვატარებდი, ვტკბებოდი სიმშვიდითა და თავისუფლებით, მწირი კერძებით ვიკვებებოდი და მაინც ყველაფერი გემრიელი მეჩვენებოდა. თუკი სუპ-პიურე და ორცხობილა ახალგაზრდულ მადას არ დამიცხრობდა, ლოგინიდან ფრთხილად წამოვდგებოდი, ჩემი პატარა სეკრეტერის ხუფს უხმაუროდ ავწევდი და შოკოლადს ვეძალებოდი, რომელიც თითქმის ყოველთვის გამოულეველად მქონდა.

## მეშვიდე თავი

საიდან მქონდა შოკოლადი? იგი საოცარი გზით, ლამის ფანტასტიკურად ჩამივარდა ხელში. ქვევით, ქალაქში, სახელდობრ, შედარებით ხალხმრავალი

სავაჭრო ქუჩის კუთხეში ერთი კოხტა და მიმზიდველი დელიკატესის მაღაზია იყო, თუ არ ვცდები, ვისბადენის რომელიღაც ფირმის ფილიალი, და მაღალი წრის მუშტრებს ემსახურებოდა. სკოლაში მიმავალს ამ მადის აღმძვრელ ადგილას ყოველდღე მიხდებოდა გავლა და ბევრჯერ შევსულვარ კიდეც შიგნით თეთრი ხურდა ფულით ხელში, რათა ჩემი შეძლების შესაბამისად რამე იაფფასიანი ტკბილეული — ხილის ან ძირტკბილას კარამელი მეყიდა. ერთ დღეს მაღაზია ცარიელი დამიხვდა, არც მყიდველი ჩანდა და არც მომსახურე პერსონალიდან იყო ვინმე. შემოსასვლელ კარზე დაკიდულმა ზარმა, უფრო სწორად, ზანზალაკმა, რომელსაც კარის ყოველ გაღება-დახურვაზე ლითონის შტანგის კბილანა წამოედებოდა და არხევდა, გაიჟღარუნა, მაგრამ ნოჭასხმული მწვანე ფარდებით შემოსილ მინის კარს იქით მდებარე ოთახში მისი ხმა არავის გაუგონია, თუ იქ იმ წუთში არც არავინ იყო, არ ვიცი, მოხდა კი ისე, რომ მაღაზიაში მარტო აღმოვჩნდი. ირგვლივ გამეფებული უკაცრიელობისა და სიჩუმისაგან შემცბარი, თვალებს ვაცეცებდი. სხვა დროს არასოდეს მომცემია შემთხვევა ამ სანეტარო სამყოფელს ასე თავისუფლად და შეუბორკავად დავკვირვებოდი. მაღაზიას ვიწრო უფრო ეთქმოდა, ვიდრე ხალვათი, მაგრამ სამაგიეროდ ჭერი ჰქონდა მაღალი და ჭერამდე სასუსნავით იყო გამოჭედილი. ლორი და ძეხვეული, ეს უკანასკნელი ყველა ფერისა და ზომისა, თეთრი, ქარვისფერი, წითელი და შავი, ზოგი ბირთვივით მრგვალი და გატიკნილი, ზოგი გრძელი, კვანძებიანი, ზოგი თოკივით დაწნული, ერთმანეთზე მჭიდროდ აცმული ეკიდა თაღქვეშ და იქაურობას აბნელებდა. თუნუქის ქილები და კონსერვები, კაკაო და ჩაი, კონფიტიურით, თაფლითა და მურაბით სავსე ჭრელ-ჭრელი მინის ქილები, ლიქიორისა და პუნშის ესენციის ტანწერწეტა, თუ მუცელგაბერილი ბოთლები იატაკიდან ჭერამდე ავსებდნენ კედელში ჩაშენებულ თაროებს. დახლის შუშის ვიტრინებში გამოდგმულ თეფშებზე და თასებში თავს იწონებდა შებოლილი თევზეული — სკუმბრია, ვირთევზა, სალამურა და გველთევზა. იქვე იდგა იტალიური სალათით სავსე ლანგრები, მის გვერდით კი ყინულის ზოდზე გაწოლილ ასთაკვას გაეფარჩხა თავისი ჭანგები; თავლია კოლოფებში ერთმანეთზე მჭიდროდ მიწყობილი ცხიმიანი შპროტი ოქროსფრად ბზინავდა, ხოლო იშვიათი ხილი, ხენდრო და ყურძნის მტევნები, აღთქმულ ქვეყანას რომ მოგაგონებდათ, სარდინის ქილების, ხიზილალითა და ბატის გულ-ღვიძლის პაშტეტით სავსე მადისაღმძვრელი ტიგელების პატარ-პატარა მთებს ენაცვლებოდა. მაღლა შემოდგმული ხონჩებიდან ჯიშიან შინაურ ფრინველებს გადმოეგდოთ თავიანთი გაპუტული კისრები. ცოტა მოშორებით, ზედა თაროზე, დასაჭრელი ხორცეული ელაგა, რაზეც მიგვითითებდა იქვე დაწყობილი გრძელი, ვიწრო, გაქონილი დანები. ეს იყო როსტბიფი, ლორი, ენა, შებოლილი ორაგული და ბატის მკერდი. დიდრონი შუშის ხუფები გადამხობოდა ნაირ-ნაირ ყველს: აგურისფერს, რძისფერს, მარმარილოსავით დაძარღვულსა და სხვებს, ვერცხლის ქაღალდის გარსიდან მადისაღმძვრელ ოქროსფერ ნაკადად რომ გადმოღვენთილიყვნენ. ზვინებად ეწყო ოქრომხალა, სატაცურის მწვანე კონები, ტრიუფელი, მათ შორის სტანიოლში გახვეული, გულ-ღვიძლის პატარ-პატარა ძვირფასი ძეხვები, იქვე მაგიდებზე კი საუკეთესო ხარისხის ბისკვიტით სავსე თავლია თუნუქის ყუთები იდგა, ერთმანეთზე ჯვარედინად ელაგა ყავისფრად მბზინავი თაფლისკვერები, მათ გვერდით წამომართულიყო სადესერტო კამფეტებითა და ცუკატით სავსე ფურნისებური მინის თასები.

მოჯადოებულივით ვიდექი და ათრთოლებული მკერდით ვისუნთქავდი იქაურ სასიამოვნო ატმოსფეროს, რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა შოკოლადისა და შებოლილი ხორცის სურნელი და ტრიუფელების გემრიელი, ოდნავ ობიანი ანაორთქლი. გონებაში ამომიტივტივდა ზღაპრის სურათები, რძისა და თაფლის მდინარეები, საგანძურით სავსე მიწისქვეშეთი, [illegible] რომ შეაღწევდნენ და ჯიბეებსა და წაღებს პატიოსანი თვლებით უშიშრად იტენიდნენ. დიახ, ეს ან ზღაპარი იყო, ან სიზმარი! ვხედავდი, როგორ ბათილდებოდა აქ ყოველდღიურობის დამთრგუნველი კანონები და წესები, რა მსუბუქად და ტკბილად გამქრალიყო ყოველგვარი დაბრკოლება და პირობითობა, ჩვეულებრივ ცხოვრებაში ჩვენს ნდომასა და წადილს რომ ეღობება წინ. ისე უეცრად და ძლიერად შემიპყრო სიხარულმა, დედამიწის ამ დახუნძლულ კუნჭულში მარტოდმარტო რომ აღმოვჩნდი, რომ მთელ ტანში თრთოლამ და ჟრუანტელმა დამიარა. თავს ძალა დავატანე, რომ ამდენი სიახლისა და საკუთარი თავისუფლების შემყურეს, სიხარულის ყიჟინა არ ამეტეხა. გამარჯობა-მეთქი, შევესიტყვე სიცარიელეს და ახლაც ყურებში მიდგას, სიჩუმეში როგორ ჩაიკარგა ჩემი მოგუდული და არაბუნებრივად მშვიდი ხმა. არავინ გამომხმაურებია. და იმავე წუთში, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, პირი წყლით გამევსო. სწრაფად, უხმაუროდ მივიჭერი ტკბილეულით დაზურგულ ერთ-ერთ მაგიდასთან, შოკოლადით სავსე ბროლის თასში ხელი კარგად ამოვურიე და მთელი მუჭა პალტოს ჯიბეში ჩავიცალე, კარს ვეცი, იქვე ჩავუხვიე და ერთ წამში უკვე სხვა ქუჩაზე მივაბიჯებდი.

უეჭველად მეტყვიან, რაც აქ გვიამბე, ჩვეულებრივი ქურდობააო. ამის გაგონებაზე ენა ჩამივარდება და უკან დავიხევ; ვისაც აკმაყოფილებს ეს სიტყვა, ძალიანაც რომ მინდოდეს, მის წარმოთქმას ხომ ვერ დავუშლი, მაგრამ ერთია სიტყვა — ხელწამოსაკრავი, გაცვეთილი, ცხოვრებას დაცილებული — და სულ სხვაა ცოცხალი, უშუალო, მარად ახალგაზრდა, მარად სიახლით, განუმეორებლობითა და შეუდარებლობით მბრწყინავი საქმე. მხოლოდ ჩვეულება და სიზანტე გვაიძულებს ეს ორი რამ გავაიგივეოთ, რადგან სიტყვა, როგორც კი საქმის დახასიათებას განიზრახავს, იმ ბუზის საკლავს ემსგავსება, ვერასოდეს რომ ვერ ხვდება მიზანში. ესეც არ იყოს, საქმეზე როცა ვლაპარაკობთ, მთავარი არც „რა“ არის და არც „როგორ“ (თუმცა ეს უკანასკნელი მაინც უფრო მნიშვნელოვანია), მთავარია მხოლოდ ერთი რამ — „ვ ი ნ“, თუ ოდესმე რაიმე ჩამიდენია, ის, უპირველეს ყოვლისა, ჩ ე მ ი ნამოქმედარი ყოფილა და არა მავანისა და მავანისა, მერე რა, რომ ამის გამო ბევრიც მომხვედრია, მომხვედრია, სახელდობრ, ბიურგერული მართლმსაჯულებისაგანაც, რადგან ჩემს ნამოქმედარსაც იმავე სახელს არქმევდნენ, რითაც ათეულ ათასობით სხვა მისთანა საქციელი მოუნათლავთ, სამაგიეროდ მე არასოდეს შემრყევია იმის იდუმალი შეგრძნება, რომ უზენაესის ნებიერი ვიყავი, თან გამორჩეული სისხლისა და ხორცისგან ნაშენი და ამიტომ ამდაგვარ არაბუნებრივ გათანაბრებას შინაგანად ყოველთვის ვეურჩებოდი ხოლმე. ჩემი მომავალი მკითხველი ალბათ მაპატიებს წმინდა ჰვრეტით სფეროში ამ გადახვევას, ჰვრეტა, მგონი, სულ არ შემეფერება, რადგან საამისოდ მცირე განათლება მაქვს მიღებული და ჩემი საქმიანობის გამოც ფიქრსა და განსჯას არ ვარ ჩვეული. მიუხედავად ამისა თავს მოვალედ ვთვლი, შეძლებისდაგვარად შევაჩვიო მკითხველი ჩემი ცხოვრების თავისებურებებს და თუ ეს არ გამომივა, დროზე მაინც შევაჩერო, რომ ტყუილუბრალოდ არ ფურცლოს ამ წიგნის გვერდები.

სახლში დავბრუნდი თუ არა, პალტოც არ გამიხდია, ისე მივაშურე ჩემს ოთახს, რომ მაგიდაზე გამეშალა და დამეთვალიერებინა ჩემი ნადავლი. ღამის არ მჯეროდა, რომ შინ ყველაფერი მომყვებოდა. განა სიზმარში არ ჩაგვრჩენია ხელში სანუკვარი ნივთები, გამოგვღვიძებია და ცარიელი გვქონია ხელები. მხოლოდ მას შეუძლია ოდნავ მაინც გაიზიაროს ჩემი გულმხურვალე სიხარული, ვისაც უნარი შესწევს წარმოიდგინოს, რა მოხდება, მშვენიერ სიზმარში მოძღვნილი ძვირფასი საჩუქრები, თითქოს სიზმარს დარჩენიაო, დილით მართლა რომ დახვდეს საბანზე მიმობნეული. კამფეტები უძვირფასესი აღმოჩნდა, ფერად-ფერად სტანიოლში გახვეული, ტკბილი ლიქიორითა და სურნელოვანი კრემით ამოვსებული; მაგრამ მე მათ სურნელებას არ გავუბრიყვებივარ, მე უფრო ის მასხამდა ფრთებს, ეს ყველაფერი ახდენილ სიზმარს რომ ჰგავდა, და ეს სიხარული ისე ღრმად მატანდა სულსა და გულში, რომ თუ შემთხვევა მომეცემოდა, მისი განმეორებისაგან თავს ნამდვილად ვერ შევიკავებდი. ვისაც როგორ ნებავს, ისე განსაჯოს ჩემი საქციელი, მე პირადად ამაზე ფიქრით არც შემიწუხებია თავი. მთავარი ის იყო, რომ დელიკატესის მაღაზიაში სასადილო შესვენებისას ზოგჯერ კაციშვილი არ ჰაჰანებდა, ცხადია, ხშირად და სისტემატურად არა, მაგრამ ხანდახან გამოერეოდა ასეთი წუთები და მეც, ზურგზე ჩანთამოკიდებული, მაღაზიის მინის კარს რომ ჩავუვლიდი, ამ მომენტს კარგად ვიჭერდი. შევიდოდი, ვახერხებდი, ისე ფრთხილად გამეღო და მიმეხურა კარი, რომ ზარს ხმა არ გამოეცა, ესე იგი, კბილანა უხმაუროდ წამოსდებოდა და არც შეერხია ზარი, ყოველი შემთხვევისათვის სალამს ვიტყოდი და რაც მინდოდა, იმას სწრაფად ავიღებდი, არა, უნამუსოდ ბევრი არასოდეს ამიღია, ტკბილეულს ზომიერად ვარჩევდი — ვთქვათ, ერთ მუჭა კანფეტს, ერთ თაფლის კვერს, ერთ ფილა შოკოლადს, მეტს არა, ოღონდ ესაა, გაუსინჯავი არაფერი დამიტოვებია; მერე და მერე, დიაპაზონი შეუდარებლად რომ გავაფართოვე და ცხოვრების სიტკბოებით სავსე თასში ხელს ასევე თავისუფლად და ნებიერად ვაფათურებდი, ასე მეგონა, კვლავ ის ძველი, სახელდაურქმეველი გრძნობა მეუფლება-მეთქი, თავისებური აზროვნებისა და საკუთარ სულში ჩაღრმავების წყალობით ოდითგანვე რომ ვიყავი ნაზიარები.

## მერვე თავი

ჩემო უცნობო მკითხველო! ცოტა ხნის წინ გვერდზე გადავდე სულსწრაფი კალამი და აზრებს თავი მოვუყარე. სანამ იმ სფეროში შევაბიჯებდი, რომელსაც ჩემს აღსარებაში აქამდეც სხვადასხვანაირად შევხებივარ, მაგრამ ამჯერად, კეთილსინდისიერება მაიძულებს მასზე ცოტა მეტხანს შევჩერდე. წინასწარ გაფრთხილებთ, ის, ვინც ჩემგან ლაზღანდარობასა და უხამს ოხუნჯობას მოელის, იმედგაცრუებული დარჩება. პირიქით, ჩემი ჩანაწერების მომდევნო გვერდებზე მინდა ეჭვმიუტანელი გულახდილობა სათუთად შევუხამო იმ ზომიერებასა და სიდარბაისლეს, მორალი და წესიერება რომ გვკარნახობს. არც არასოდეს მესმოდა, რა სიამოვნება შეიძლება მოგანიჭოს უწმაწურმა ხუმრობამ. ყოველთვის საშინლად მეჯავრებოდა ბილწსიტყვაობა, რადგან იგი ფუქსავატობის ნიშანია და მის გასამართლებლად ვერავითარი ვნებათაღელვა ვერ გამოგვადგება. ადამიანი რომ ოხუნჯობს და ბილწსიტყვაობს, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ამქვეყნად ყველაზე მარტივ, ყველაზე სა-

საცილო რამეზე იყოს ლაპარაკი, მაშინ როცა პირიქითაა საქმე, ასეთ რამეებზე უტიფარი ლაზღანდარობა იმას ნიშნავს, ბუნების ეს უმნიშვნელოვანესი საიდუმლო ბრბოს მიუგდო სახორხოცოდ. კმარა, ისევ ჩემს [illegible] დავუბრუნდეთ!

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთმა რამეებმა ნაადრევად დაიპყრო ჩემი გრძნობა-გონება, ნაადრევად გახდა ჩემი ოცნებისა და ბავშვური გართობის საგანი და ჩემს სიყმაწვილეში მნიშვნელოვანი როლიც შეასრულა: სახელდობრ, მანამდე დიდი ხნით ადრე, სანამ ასეთ რამეებს თავის სახელს დავარქმევდი და ყველაფერი მხოლოდ ზოგადად და ბუნდოვნად მქონდა წარმოდგენილი, რაღაც-რაღაცების წარმოსახვის ცხოველი ნიჭი და მისგან მოგვრილი სიამოვნება კარგახანს მხოლოდ ჩემი პირადი, სხვისთვის გაუგებარი თავისებურება მეგონა და ვამჯობინებდი, ამ უცნაურობებზე საერთოდ არ ამომეღო ხმა. რაკი საიმისო სიტყვა არ გამაჩნდა, ჩემს შეგრძნებებსა და აღმაფრენას მე თვითონ გამოვუნახე სახელები — „საუკეთესო რამ“, ან „დიდი სიხარული“ და ორივეს სანუკვარ საიდუმლოსავით გულში სათუთად ვინახავდი. ჰოდა, სწორედ ამ იჭვნეული გულჩახვეულობის, ჩემი მარტოსულობისა და კიდევ ერთი მომენტის წყალობით, რასაც მერე მივუბრუნდები, დიდხანს შევინარჩუნე სულიერი უბიწოება, რაც ჩემს გაცხოველებულ გრძნობა-გონებას არასგზით არ შეესაბამებოდა — რაც თავი მახსოვს, იმას, რასაც „დიდ სიხარულს“ ვეძახდი, ჩემს სულიერ ცხოვრებაში ყოველთვის გაბატონებული ადგილი ეკავა, უფრო მეტიც, მისი ზემოქმედება, ეტყობა, ჩემი მეხსიერების მიღმაც კი დაწყებულა. სიმართლე, თუ გნებავთ, ჩვილი ბავშვები მხოლოდ თავიანთი უმეცრების გამო არიან უბიწოები, თორემ რომ გვგონია, ჭეშმარიტად უმანკოები და ანგელოზებივით უცოდველნი არიანო, ეს ნამდვილად გულჩვილი ცრურწმენაა და ფხიზელი თვალით დაკვირვებას ვერ უძლებს ხოლმე. მე, ყოველ შემთხვევაში, ერთი სარწმუნო წყაროდან ვიცი (რასაც ახლავე გიამბობთ), თურმე სულ ჩვილი ვყოფილვარ, როცა ძიძის მკერდს მიხუტებულს ჩემი არაორაზროვანი გრძნობები მრავალჯერ გამომიმჟღავნებია და მეც, ჩემი მგზნებარე ბუნების შემხედვარეს, ეჭვიც არ მეპარება ამ გადმოცემის ჭეშმარიტებაში.

სიყვარულის ჟინი მართლა ყოველთვის საოცრად დიდი მქონდა და დღესაც რომ ვუფიქრდები, მგონია, ჩვეულებრივ ფარგლებს დიდად აჭარბებდამეთქი. ამ ვარაუდის საბაბი ადრე მომეცა, ხოლო ვარაუდი რომ რწმენად ქცეულიყო, ამაში ერთი პიროვნება დამეხმარა, სწორედ ის, ვინც მიამბო, ძიძის მკერდზე როგორ ვცელქობდი და მეც ჩემს სიყმაწვილეში იმ პიროვნებასთან დიდხანს საიდუმლო კავშირი მქონდა გაბმული. ეს იყო ჩვენი მოსამსახურე გოგო, სახელად ჟენოვიევა, რომელიც ჩვენს სახლში სულ ნორჩი მოსულიყო, ხოლო მე რომ თექვსმეტისა გავხდი, იმ დროისათვის ოცდაათს იქნებოდა მიტანებული. თვითონ ფელდფებელის ქალიშვილი, კარგა ხანია ფრანკფურტ-ნიდერლანშტაინის გზაზე მდებარე ერთი პატარა სადგურის უფროსის საცოლედ ითვლებოდა და მართალია, ჩვენს სახლში ყოველნაირ ჭუჭყიან სამუშაოს ასრულებდა, მაგრამ დახვეწილობა არ აკლდა და გარეგნობითა და მანერებით რაღაც საშუალოს ჰგავდა მოახლესა და პირისფარეშს შორის. იმ დროს აუცილებელი მზითევი ჯერ კიდევ არ ჰქონდა თავმოყრილი, ამიტომ ქორწინებამდე ვინ იცის, რამდენი წელი ჩაივლიდა და ეს მაღალი, ტანსავსე, მწვანეთვალება, მოხდენილი, თვალჟუჟუნა ქერა ქალი ამ უსასრუ-

ლო ვადის გასვლამდე ალბათ ხშირად იქნებოდა მოწყენილი და აღრენილი, მიუხედავად ამისა, საუკეთესო წლები ქენტად გაატარა და მერეც ახლოს არ გაუკარებია დაბალი წრიდან გამოსული თაყვანისმცემლები: ჯარისკაცები, მუშები და ხელოსნები, რომლებსაც თვალი ეჭირათ სიმწიფეში შესულ და ახალგაზრდა ქალზე; თავი მათგან შორს იმიტომ ეჭირა, რომ თვით[illegible] წრის ქალად არ მიაჩნდა თავი და მდაბიო ხალხის მეტყველება[illegible] და დი სუნიც. სულ სხვა იყო სახლის პატრონის ვაჟი, იგი, რაც წამოიზარდა და დამშვენდა, ალბათ ქალურ ჟინსაც უღვიძებდა, მაგრამ მისი დაოკება, ჯერ ერთი, თავის სამსახურებრივ მოვალეობად მიაჩნდა და მეორეც, მასთან ურთიერთობა მაღალ საზოგადოებაში გარევასაც ნიშნავდა. აი, ჩემი სურვილი რატომ არ წასწყდომია სერიოზულ წინააღმდეგობას.

სულაც არ ვაპირებ დაწვრილებით გიამბოთ ეს ეპიზოდი, იგი იმდენად ჩვეულებრივია, რომ განათლებული მკითხველის ყურადღებას ვერ მიიპყრობს. მოკლედ, ერთ საღამოს, როცა ჩემმა ნათლია შიმელპრისტერმა ჩვენსას იახშმა და მერე, ჩვეულებისამებრ, ნაირ-ნაირი სამოსელი მაცვლევინა, ბნელ ტალანში, არცთუ ჟენოვიევას მონდომების გარეშე, შედგა შეხვედრა, რომელმაც ნაბიჯ-ნაბიჯ ოთახში გადაინაცვლა და იქ ორმხრივი გამარჯვებით დაგვირგვინდა კიდეც. მაგონდება, რომ იმ საღამოს, როცა ვინ მოთვლის, მერამდენეჯერ „მოვიხდინე" ყოველნაირი კოსტუმი, ჩვეულებრივზე უფრო ძლიერად შემიპყრო უგუნებობამ, უსასრულო ნაღველმა, გულგატეხილობამ და მოწყენილობამ, რაც მასკარადის დამთავრების შემდეგ სხვა დროსაც მემართებოდა ხოლმე. მეზიზღებოდა ჩემი სანიადაგო ტანსაცმელი, რომელიც იმ ნაირფერადი სამოსელით კოპწიაობის შემდეგ უნდა ჩამეცვა, თავს ძლივს ვიკავებდი, რომ ტანზე არ შემომეხია საძულველი ტანსაცმელი, ოღონდ ამჯერად მარტო იმიტომ არა, რომ აფორიაქებულს ძილში მეპოვა ნუგეში და თავშესაფარი. იმ საღამოს ჭეშმარიტი თავშესაფარი მხოლოდ ჟენოვიევას მკლავებში მეგულებოდა, ხოლო სათქმელს ბოლომდე თუ ვიტყვი, ასე მეგონა, მასთან შერწყმა ერთგვარი გაგრძელება და მერე დასასრული იქნებოდა იმდღევანდელი ფერადოვანი თვალის სეირისა, უფრო მეტიც, ნათლია შიმელპრისტერის სამასკარადო გარდერობში ნავარდის საბოლოო მიზანი ამჯერად მხოლოდ ეს უნდა ყოფილიყო! მასკარადი მასკარადად, მაგრამ იმ გამთანგველ, მართლაც არნახულ ნეტარებას მაინც ვერანაირი სიტყვებით ვერ აღვწერ, რაც მე ჟენოვიევას ფუმფულა, თეთრ მკერდზე იმ ღამეს განვიცადე. ნეტარებისაგან ხმამაღლა ვყვიროდი და ასე მეგონა ზეცაში ავდიოდი. ოღონდ ჩემი ვნება არასოდეს ანგარებიანი არ ყოფილა, ჩემი ბუნების კაცს ვნება მით უფრო მილვივდებოდა, რაც უფრო მეტ აღფრთოვანებას გამოხატავდა ჩემთან სიახლოვის წუთებში ჟენოვიევა. აქ, ცხადია, ვერავითარი შედარება ვერ გამოგვადგება, მაგრამ ერთი რამ მაინც მინდა ვთქვა: იქნებ ვერც დავასაბუთო და ვერც ზუსტად აღვწერო იმ ხანებში შეძენილი და აქამდე ურყევად გამოყოლილი რწმენა, რომ მე ყოველთვის სხვაზე უფრო მძაფრი და ძლიერი მქონდა სიყვარულით ტკბობის უნარი.

ოღონდ უსამართლობა იქნება, ვინმემ დაასკვნას, თითქოს ამ თანდაყოლილი უნარის გადამკიდე ავხორცი და ქალების მადევარი გავხდებოდი. ეს თუნდაც ერთი უბრალო მიზეზის გამო არასოდეს დამემართებოდა — ჩემი მძიმე და ხიფათიანი ცხოვრება იმდენა სულიერ ძალებს მოითხოვდა ჩემგან, დაუზოგავად თუ დავიხარჯებოდი, ცხოვრებას როგორღა გავუმკლავდე-

ბოდი. დავკვირვებივარ, არიან ადამიანები, ვისთვისაც ის ამბავი წვრილმანია, ასეთები ზერელედ მოითავებენ თავისას, და ვითომც არაფერი შემხდარიყოს, საქმეებზე ისე გაეშურებიან, მე კი საამისოდ უზარმაზარ მსხვერპლს ვიღებდი და ისე ვიცლებოდი და ვიფიტებოდი, რომ იმ წუთში უბრალო ცხოვრებისეული წვრილმანების მოსაგვარებლადაც აღარ შემწევდა [illegible] განა არა, ხშირად ამიწყვეტია, რადგან ხორციელ ცდუნებას ვერც მე ვუძლებდი და გარესამყაროც მუდამ ხელგაშლილი მეგებებოდა. მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც ვაჟკაცური და სერიოზული კაცი მეთქმოდა და მომქანცველი მრუშობის შემდეგ გული კვლავ მკაცრი და დაძაბული ცხოვრებისკენ მიმიწევდა ხოლმე. და მართლაც, განა ის ცხოველური აქტი იმ უტლანქესი ტკბობის ერთ-ერთი სახეობა არ არის, ოდესღაც გულუბრყვილო ბიჭი „დიდ სიხარულს" რომ ვეძახდი? იგი მეტისმეტად კარგად გვიკლავს წყურვილს. მაგრამ სამაგიეროდ სასიცოცხლო ნერვსაც გვაცლის, და მისი გადამკიდე გარესამყაროს მიჯნურებად აღარ ვვარგივართ. იგი ჯერ თვითონ ჰკარგავს თავის ხიბლსა და ჯადოს და მერე ჩვენც გვიკარგავს მიმზიდველობას, რადგან სიყვარულის ღირსი მხოლოდ სიყვარულს დახარბებული კაცი შეიძლება იყოს და არა მაძღარი და გულმოყირჭებული. მე, ჩემი მხრივ, ვნების დამცხრობი მრავალი, უფრო ნატიფი, უფრო საამური, უფრო აღმაფრთოვანებელი საშუალება ვიცი, ვიდრე ის ტლანქი აქტია, რომელიც ბოლოს და ბოლოს მხოლოდ შეზღუდულად და მოჩვენებითად თუ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს და მე თუ მკითხავთ, იმ ადამიანს ბევრი არაფერი გაეგება ბედნიერებისა, ვისი გულისთქმა მაინცდამაინც იმ ერთადერთი მიზნისკენაა მიმართული. ჩემი გულისთქმა მუდამ დიადის, მთლიანისა და ვრცელისაკენ მიისწრაფოდა და სხვა რომ ძებნასაც არ დაუწყებდა, იქ იცხრობდა ნატიფ. პიკანტურ წადილს. ჩემი გულისთქმაც არც არასდროს ყოფილა სპეციალიზებული, ანუ ერთი რომელიმე მიზნისკენ მიმართული და სწორედ ეს არის ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ ჩემი მგზნებარე ბუნების მიუხედავად, ასე დიდხანს ვიყავი უმეცარი და უბიწო, უფრო მეტიც, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ბავშვი და მეოცნებე დავრჩი.

## მეცხრე თავი

ამით ვანებებ თავს იმ მატერიას, რომლის განსჯა-განხილვისას, მე მგონი, კეთილზნეობის კანონები არ დამირღვევია. გრძელ-გრძელი ნაბიჯებით მივიჩქარი წინ და ვუახლოვდები ჩემი ცხოვრების გზასაყარს, სადაც ტრაგიკულად დასრულდა მშობლიურ სახლში გატარებული ხანა, მანამდე კი მეორე ნასაუს №88 ფეხოსანი პოლკის სეკონდე-ლეიტენანტთან ჩემი დის ნიშნობის ამბავს მოგითხრობთ, რომელიც მართალია, დიდი ზარზეიმით ჩავატარეთ, მაგრამ არავითარი სერიოზული და პრაქტიკული შედეგი მას არ მოჰყოლია — სხვადასხვა გარემოებათა გამო ნიშნობა გაუქმდა და საპატარძლომ ჩვენი ოჯახის გაპარტახების შემდეგ ოპერეტის სცენაზე შედგა ფეხი. მისი საქმრო იუბელი, ერთი ავადმყოფური, ცხოვრებაში გამოუცდელი ყმაწვილი კაცი, ჩვენი წვეულებების მუდმივი სტუმარი გახლდათ. ცეკვებითა და ფანტის თამაშით, „ბერნკასტლერ დოქტორითა" და ჩვენი ქალბატონებისგან საგანგებოდ გამომზეურებული მშვენიერი ხედებით აღგზნებული ყმაწვილი კაცი ოლიმპიას სიყვარულით აღენთო, გულსუსტი მამაკაცებისთვის დამახასიათებელი ჟინი გაეღვიძა ოლიმპიას დაუფლებისა, თან ახალგაზრდული გულუბრყვი-

ლობის გამო ჩვენი კეთილდღეობაც გადაჭარბებით შეაფასა და ერთ საღამოს მუხლმოყრილმა, სულწასულობისაგან ლამის ატირებულმა სთხოვა ოლიმპიას ხელი. დღემდე მიკვირს, ოლიმპიამ, ოდნავადაც რომ არ იზიარებდა მის გრძნობებს, შუბლის ძარღვი როგორ გაიწყვიტა და მიიღო ეს [illegible] წინადადება, მან ხომ დედასგან ჩემზე გაცილებით უკეთ იცოდა. [illegible]თად მიდიოდა ჩვენი ოჯახის საქმეები. მაგრამ, ეტყობა, იფიქრა, იქნებ დროზე შევაფარო თუნდაც ასეთ მყიფე ჭერს თავიო, ან იქნებ ვინმემ ჩააგონა, ორფერმუნდირიან კაცთან მისი ნიშნობა საბოლოოდ თუ არა, დროებით მაინც შეუშველებოდა ჩვენს ოჯახს. ასე იყო თუ ისე, ჩემმა საბრალო მამამ, თანხმობის მისაღებად რომ მიმართეს, მართალია, ცოტა კი დაირცხვინა, მაგრამ უარი მაინც არ უთქვამს. მერე, ცხადია, ახალი ამბავი შეკრებილ სტუმრებს აუწყეს, მათაც ყიჟინით გამოხატეს თავიანთი აღტაცება და, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი ამბავი „ლორელაი ექსტრა კიუვეთი“ უხვად „დაასველეს“ კიდეც. იმ დღიდან ლეიტენანტი იუბელი ლამის ყოველდღე ჩამოდიოდა მაინციდან და თავის ავადმყოფური ჟინის საგანთან სიახლოვით ჯანმრთელობას ინადგურებდა. შემთხვევით იმ ოთახში თუ შევიდოდი, სადაც დანიშნულები ცოტა ხნით მარტონი რჩებოდნენ, ლეიტენანტი გასავათებული მხვდებოდა. სახეზე მკვდრის ფერი ედო და ბოლოს საქმე უკულმა რომ შეტრიალდა, მისთვის ნამდვილად დიდი ბედნიერება უნდა ყოფილიყო.

ისევ საკუთარ თავზე თუ ვილაპარაკებ, იმ დღეებში ჩემი ფიქრები ძირითადად გვარის გამოცვლას უტრიალებდა. რაც ჩემი დისთვის ქორწინებას უნდა მოეტანა და კარგად მახსოვს, ამის გამო მის მიმართ ლამის უკეთურ შურს ვგრძნობდი. ის, ვინც ამდენხანს ოლიმპია კრულად იწოდებოდა, მომავალში ოლიმპია იუბელად დაიწერებოდა და ეს ფაქტი ჩემთვის სიახლისა და ცვლილების ხიბლით იყო გარემოსილი. არადა, რა მომქანცველი და მოსაწყენია წერილებსა და საბუთებს მთელი სიცოცხლე ერთსადაიმავე გვარს აწერდე! სხვა რომ არაფერი, ზიზღისა და მოყირჭებისაგან ხელი გიდუნდება! რა მადლია, რა მღელვარება, რა გაცოცხლებაა, ახალი სახელით რომ წარუდგები ვინმეს, ან ახალი სახელით რომ მოგმართავენ! ცხოვრების შუაგულში ერთხელ მაინც რომ მოგეცემა გვარის გამოცვლის შესაძლებლობა, ეს მამაკაცებთან შედარებით მდედრობითი სქესის დიდ უპირატესობად მიმაჩნდა, მამაკაცებს ხომ წესითა და კანონით ლამის აღკვეთილი გვაქვს ეს სიამოვნება. რაც შემეხება მე, ვინც საიმისოდ არ ვიყავი გაჩენილი, რომ დიდი უმრავლესობის მსგავსად ბურჟუაზიული წესწყობილების მფარველობის ქვეშ დუნე და უხიფათო ცხოვრებით მეცხოვრა, მერე და მერე ხშირად გამომიჩენია გამომგონებლური ნიჭი და იმ აკრძალვისთვის გადამიბიჯებია, რომელიც ან ჩემს უშიშროებას ემუქრებოდა, ან საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში მიშლიდა ხელს, და ახლავე შემიძლია მიგითითოთ ჩემი ჩანაწერების ის თავისებური სინატიფით მოსილი ადგილი, სადაც გაცვეთილი და ოფლით გაჟღენთილი ტანისამოსივით პირველად ჩამოვიცილე ჩემი ნამდვილი სახელი და გვარი და ლამის კანონიერად მივინიჭე ახალი სახელი, რომელიც, სხვათა შორის, ლეიტენანტ იუბელის სახელსა და გვარს ელეგანტურობითა და კეთილხმოვანებით დიდად აღემატებოდა.

ჩემი დის ნიშნობის მერე მოვლენები სწრაფად განვითარდა, ხატოვნად თუ ვიტყვით, უბედურებამ არ დააყოვნა და თავის მსახვრალი ხელით კარზე მოგვიკაკუნა. გესლიანი ჭორები, ქალაქში ჩემი საბრალო მამის ეკონომიკურ

მდგომარეობაზე რომ გავრცელდა, ჩვენდამი უნდობლობა და გულცივობა, ავბედითი წინასწარმეტყველება, რომლის მიზეზად ჩვენი ოჯახის ხელგაშლილ ცხოვრებას ასახელებდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმ ავაზაკების ბოროტი გულების გასახარად უსისტიკესად დადასტურდა, გამართლდა და აღსრულდა. აღმოჩნდა, რომ მუშტარი სულ უფრო და უფრო ნაკლებად იყიდებოდა ჩვენს შუშხუნა ღვინოებს. ვერც შემდგომმა გაიაფებამ (რაც, ცხადია, ღვინის ხარისხს ვერ გააუმჯობესებდა), ვერც მაცდუნებელმა რეკლამამ, რომელიც ჩემმა ნათლია შიმელპრისტერმა ჯანსაღი აზრის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ფირმის საამებლად დაამზადა, ჩვენი საქონლისკენ ვერ შემოაბრუნა მომლხენი საზოგადოება, შეკვეთები ბოლოს ნულზე დავიდა და ერთ მშვენიერ დღეს, გაზაფხულზე, მე რომ თვრამეტის შევსრულდი, საბრალო მამაჩემი საბოლოოდ დაიქცა და გაუბედურდა.

იმ ნორჩ ასაკში ხომ საქმეებისა სულ არაფერი გამეგებოდა, მაგრამ არც მერე, ჩემს ფანტაზიორობასა და თვითაღზრდაზე აგებულ ცხოვრებაში მომცემია მერკანტილური ცოდნის შეძენის შესაძლებლობა, ამიტომ კალამს აღარ მოვსინჯავ ჩემთვის უცნობ საგანზე და ლორელაის შუშხუნა ღვინის ქარხნის გაკოტრებაზე პროფესიული სჯა-ბაასით არც მკითხველს დავქანცავ, მაგრამ იმ გულითად სიბრალულზე კი მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა, რასაც იმ თვეებში ჩემი საბრალო მამის მიმართ განვიცდიდი. იგი თანდათან მიეცა უსიტყვო სევდას, ეს კი იმაში გამოიხატებოდა, რომ მიიყუჟებოდა სადმე, სკამზე, სახლის კუთხეში, თავს გვერდზე გადაიგდებდა, მარჯვენა ხელის ნუნებაბზეკილ თითებს მუცელზე ნაზად იცაცუნებდა და თვალებს საკმაოდ სწრაფად და თან განუწყვეტლივ ახამხამებდა. იმ ხანებში მაინცში სიარულს მოუხშირა, ეს იყო ნაღვლიანი მოგზაურობები, ალბათ საიმისოდ გამიზნული, ეგებ საიდანმე ნაღდი ფული ვიშოვო ან ახალ დამხმარე წყაროს მივაგნოო, მაგრამ შინ მთლად ხელმოთავებული ბრუნდებოდა და ბატისტის ცხვირსახოცით ხშირ-ხშირად იწმენდდა შუბლსა და თვალებს. მხოლოდ საღამოობით თუ დაუბრუნდებოდა ძველი ნირი, როცა ჩვენს ვილაში ძველებურად საქეიფოდ თავშეყრილ სტუმრებს სუფრის თავში დაუჯდებოდა, ყელზე ხელსახოცს შემოისკვნიდა და ხელში ღვინის ჭიქას დაიჭერდა. ოღონდ ერთ ასეთ საღამოს მაინც გაიმართა ენამწარე, გამოსაფხიზლებელი შეხლა-შემოხლა საბრალო მამაჩემსა და ერთ ებრაელ ბანკირს შორის, რომელსაც მხარს უმშვენებდა ძვირფასეულობით დახუნძლული მეუღლე. როგორც მაშინ მითხრეს, ეს იყო ერთი იმ გულქვა ავაზაკთაგანი, გაჭირვებაში ჩავარდნილ თავქარიან საქმოსნებს თავიანთ ბადეში რომ აბამდნენ. ამის შემდეგ მალე დადგა ის სერიოზული, ავბედითი, მაგრამ ჩემთვის მაინც ღირსშესანიშნავი და გამომაცოცხლებელი დღე, როცა ფირმის საამქროები და კანტორები დაიხურა და მზერაგაყინული, ბაგემოკუმული ბატონები უძრავ-მოძრავ ქონებაზე ყადაღის დასადებად ჩვენს ვილაში მობრძანდნენ. გამორჩეული სიტყვებითა და იმ გულუბრყვილო, ჩახუჭუჭებული ხელმოწერით, მე რომ ასე ოსტატურად ვბაძავდი, ჩემმა საბრალო მამამ სასამართლოს წინაშე დაადასტურა თავისი გადახდაუუნარობა და იმ წუთიდანვე საზეიმოდ დაიწყო საქმის საკონკურსო წარმოება.

იმ დღეს მთელ ქალაქს პირზე ეკერა ჩვენი შერცხვენის ამბავი, ამიტომ სკოლაში, ანუ რეალურ სასწავლებელში, არ წავსულვარ და ბარემ აქვე ჩავურთავ, რომ სკოლის დამთავრება აღარც მეწერა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არასოდეს, იოტისოდენადაც არ ვცდილვარ ამ სასწავლებლისთვის დამტა-

სიათებელი დესპოტური გონებაჩლუნგობის მიმართ ჩემი ზიზღი დამეფარა და მეორეც, ჩემი ოჯახის გარშემო ატეხილმა მითქმა-მოთქმამ, მერე კი მისმა გაპარტახებამ პედაგოგები ჩემს წინააღმდეგ აამხედრა და გული ჩემდამი სიძულვილითა და უპატივცემლობით აღუვსო. მამაჩემის გაკოტრების შემდეგ, კლასიდან კლასში გადასაყვანი მოწმობა იმ აღდგომასაც არ მომცეს [illegible] ვანის წინაშეც დამაყენეს, ან კიდევ დიდხანს ამეტანა ჩემი ასაკისთვის [illegible] შეუფერებელი მონური ყოფა, ან სკოლა მიმეტოვებინა და ამგვარად, ხელი ამეღო მისი დამთავრების წყალობით მონიჭებულ საზოგადოებრივ პრივილეგიებზე; და მეც, გულდაარხეინებულმა, რომ ჩემი პიროვნული თვისებები მრავალგზის აანაზღაურებდნენ იმ მცირე პრივილეგიების დანაკლისს, ეს უკანასკნელი ვარჩიე.

ჩვენი ოჯახი საბოლოოდ განადგურდა. თურმე საბრალო მამაჩემიც მხოლოდ იმიტომ აჭიანურებდა ამ დღის დადგომას და თან ღრმად იხლართებოდა მევახშეების ბადეში, რომ კარგად იცოდა კონკურსი ხელს საბოლოოდ მოუთავებდა და მათხოვრად აქცევდა. მართლაც, მთელი ჩვენი ქონება საჯარო ვაჭრობით გაიყიდა: გაიყიდა ღვინის მარაგიც (ნეტავ ვინ გაიმეტა ფული ისეთი სახელგატეხილი სუბსტანციის შესაძენად, როგორიც ჩვენი შუმხუნა ღვინო იყო!) და უძრავი ქონებაც, ესე იგი, სარდაფები და ჩვენი ვილა, რომელთა საგირავნო ვალი მათი ღირებულების ორ მესამედს დიდად აღემატებოდა, ხოლო გადაუხდელი პროცენტები წლების მანძილზე გროვდებოდა და გროვდებოდა. გაიყიდა ჩვენი ბაღის ქაშანურის ქონდრისკაცები და სოკოები, ცხოველები, მინის სფერო და ეოლოსის ქნარიც იმავე სევდიან გზას გაუდგნენ; სახლის მოწყობილობაც განიძარცვა ყოველგვარი საამური ზედმეტობისაგან: საჯარო ვაჭრობით გაიყიდა ჯარა, ბუმბულის ბალიშები, პრიალა ზარდახშები და სასუნებელი ფლაკონები, არც ფანჯრის ალებარდები და ფერად-ფერადი ბამბუკის ფარდები დაინდეს და თუკი სადარბაზო კარის პატარა მექანიზმი გადაურჩა ამ ძარცვა-გლეჯას და კვლავ ნაზი წკრიალით გამოსცემდა დასაწყისს სიმღერისას „გიხაროდენ სიცოცხლე“, მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის სასამართლოს აღმასრულებლებს ყურადღება არ მიუქცევიათ.

ისე, ჩემი საბრალო მამა სულაც არ ახდენდა წელში გატეხილი კაცის შთაბეჭდილებას. პირიქით, სახეზე ლამის კმაყოფილება ეხატებოდა, თავის აწეწილ-დაწეწილი საქმეები, თვითონ თავსა და ბოლოს რომ ველარ უგებდა, ახლა საიმედო ხელში რომ ეგულებოდა. თანაც იმ ბანკის მმართველობამ, ვისაც წილად ხვდა ჩვენი უძრავი ქონება, მოწყალება მიიღო და ნება დაგვრთო ერთხანს ჩვენსავე ვილაში, ანუ შიშველ კედლებშუა გვეცხოვრა და მამაჩემს ამგვარად თავზე ჭერი მაინც ჰქონოდა. მამას, ბუნებით მიმნდობსა და გულკეთილს, გარშემო მყოფთა სასტიკი პედანტობისა მაინც არ სჯეროდა, ვერ წარმოედგინა, ასე თუ გაიმეტებდნენ, საბოლოოდ თუ მოკვეთდნენ და საიმისო გულუბრყვილობა ეყო, შამპანური ღვინოების ადგილობრივ სააქციო საზოგადოებაში მისულიყო და შეეთავაზებინა, დირექტორად დამნიშნეთო. გამქირდავი უარით რომ გამოისტუმრეს, კიდევ რამდენჯერმე სცადა ფეხზე დადგომა, რასაც ალბათ მაშინვე თავის წვეულებებსა და ფოიერვერკებს მოაყოლებდა, მაგრამ ყველაფერმა რომ ამაოდ ჩაუარა, მაშინ კი მოტყდა და მოეშვა; რაკი იმასაც ფიქრობდა, რომ ჩვენც გზაზე გველობებოდა და უიმისოდ უფრო ადვილად გავიკვალავდით გზას, გადაწყვიტა სიცოცხლე მოესწრაფებინა.

საჯარო ვაჭრობის შემდეგ ხუთი თვე გავიდა და დადგა შემოდგომა. მე აღდგომის შემდეგ სკოლაში აღარ მივლია, წინ არავითარი გარკვეული პერსპექტივა არ მიჩანდა და ჯერჯერობით თავისუფალი გარდამავალი პერიოდით ვტკბებოდი. ჩვენ — დედაჩემი და ოლიმპია და მე უაღრესად მწირი სადილის მოლოდინში სასადილო ოთახში ვისხედით — ჩვენს სახლში ეს ერთადერთი ოთახილა იყო რიგიანად მოწყობილი — და ოჯახის უფროსს ველოდებოდით, მაგრამ როცა სუპიც მივირთვით და საბრალო მამაჩემი მაინც არ გამოჩნდა, კაბინეტში მისი საყვარელი ქალიშვილი გავაგზავნეთ, რომ მამასთვის სადილად მოეხმო. სამი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ მისი გაბმული კივილი შემოგვესმა, კივილთან ერთად გავიგონეთ, თავგზააბნეული როგორ არბოდა და ჩამორბოდა კიბეზე. ძარღვებში სისხლი გამეყინა და ყველაზე უარესის მოლოდინში მამის ოთახში შევვარდი. გულმოღეღილი მამა იატაკზე იწვა, ცალი ხელი ამობურთულ ღიპზე ესვენა, მის გვერდით კი ეგდო პრიალა სახიფათო საგანი, რომლითაც საბრალო მამაჩემს თავისი სათუთი გული განეგმირა. ჩვენმა მოახლემ ჟენოვიევამ და მე იგი დივანზე დავასვენეთ. სანამ მოახლე ექიმს მოიყვანდა, სანამ ჩემი და ოლიმპია კვლავ კივილ-კივილით დარბოდა სახლში, ხოლო დედაჩემს სასადილოდან გამოსვლა ვერ გაებედა, მე თვალებზე ავიფარე ხელი და ჩემი მშობლის სიცივეშეპარულ ნეშტთან ცრემლის ნიაღვრით მოვიხადე მამაშვილური ვალი.

## მეორე წიგნი

### პირველი თავი

კარგა ხანს განისვენებდნენ ეს ქაღალდები ცხრაკლიტურში; წელიწადზე მეტი ისე გავიდა, არც წერის სურვილი გამჩენია და ეჭვიც მღრღნიდა, ღირს თუ არა ჩემი საქმიანობა იმად, ფურცელი ფურცელზე ერთგულად ვაწყო და ჩემი აღიარება განვაგრძო-მეთქი. წინა გვერდებზე მართალია, მრავალჯერ აღგითქვით, ამ მემუარებს უმთავრესად და უპირველეს ყოლისა, თავშესაქცევად და დროის მოსაკლავად ვწერ-მეთქი, მაგრამ ამჯერად მინდა სიმართლეს პატივი მივაგო და გულწრფელად გამოგიტყდეთ, რომ წერისას მალულად, ცალი თვალი მაინც მკითხველისკენ მეჭირა და მისი თანადგომისა და წახალისების იმედი რომ არ მქონოდა, ალბათ თავს ვერ გავიმხნევებდი, მუშაობას გულს ვერ დავუდებდი, და ჩემს ნაშრომს ამ წერტილამდეც ვერ მოვიყვანდი. თან ერთი კითხვაც არ მაძლევდა მოსვენებას, ნამდვილი, ჩემი ცხოვრებიდან მოკრძალებით ამოკრეფილი ინტიმური ფაქტები მწერლების გამონაგონს თუ გაეჯიბრება-მეთქი: სახელდობრ, მოიგებდა თუ არა იგი ხელოვნების ამდაგვარ უხეშ ქმნილებათაგან თავმობეზრებული და გრძნობებმოჩლუნგებული მკითხველის გულს? საკუთარ თავს ვეუბნებოდი, უფალმა უწყის, რა გრძნობის ამშლელ და ამაღელვებელ ამბებს არ მოელის კაცი ისეთი თხზულებისაგან, სათაურის მიხედვით ლამის კრიმინალური რომანი თუ დეტექტივი რომ გეგონება-მეთქი. მართალია, ჩემი ცხოვრება ზოგჯერ საოცარი და დაუჯერებელი ჩანდა, მაგრამ ეფექ-

ტები და ამაღელვებელი ხლართები სულ არ ახასიათებდა! ამის განსჯებზე ისე ვდრკებოდი, ლამის ყველაფერზე ამეღო ხელი.

დღეს როგორღაც კვლავ თვალში მომხვდა წინამდებარე ჩანაწერები; ჩემი ბავშვობისა და ყრმობის ქრონიკის გადაკითხვაზე გული საკმაოდ ამიჩუყდა, მისით გამოცოცხლებული კვლავ მოგონებებს გავყევი და, როცა ჩემი მოღვაწეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი დღევანდელ დღესავით კვლავ ცოცხლად წარმომიდგა თვალწინ, სხვა აღარაფერი დამრჩენოდა — უნდა მეფიქრა, რომ ისეთ ეპიზოდებს, თვით ჩემზე რომ ახდენდნენ ცხოველმყოფელ ზემოქმედებას, მკითხველი საზოგადოების გართობაც არ უნდა გასჭირვებოდათ. გავიხსენოთ თუნდაც ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან, როცა იმპერიის ერთ-ერთ სახელგანთქმულ სატახტო ქალაქში ბელგიელი არისტოკრატის გვარით წარჩინებულ საზოგადოებაში ვერიე, პოლიციის შეფიც, ერთი საოცრად ჰუმანური და გულთამხილავი კაციც იქ ბრძანდებოდა, მე კი ყალთაბანდობასა და სისხლის სამართლის საკითხებზე ვსაუბრობდი და თან თავს ყავითა და სიგარით ვიქცევდი; ან მარტო ჩემი პირველი დაპატიმრების შავბნელი დღის გახსენება რად ღირდა! ჩემთან სამძებრო პოლიციის მოხელეები რომ შემოიჭრნენ, მათ შორის ერთი ახალბედა ერია, იგი ისე აღელვა მომენტის სიდიადემ, ისე გააოგნა ჩემი საძინებელი ოთახის დიდებულებამ, რომ ღია კარზე დააკაკუნა, ფეხები დაიწმინდა და წყნარად მომმართა, ჩემი სითამამე მომიტევეთო, რის გამოც თავის გაბერილი უფროსისაგან განრისხებული მზერა დაიმსახურა. ასე რომ, საამურ იმედს ვერ ჩავიკლავ და ვფიქრობ, ჩემი გულახდილი ნაამბობი, თუნდაც რომანისტების გამოგონილ სიუჟეტებს ჩამოუვარდებოდეს, თუნდაც მდაბალ ცნობისმოყვარეობას მათსავით უხეშად ვერ აღძრავდეს და ვერ აკმაყოფილებდეს, თავის ნატიფი შთამბეჭდაობითა და კეთილშობილური გულახდილობით მაინც ერთი რანგით მაღლა იდგება მათზე. ამგვარად, ხელახლა აღვენთე წერის ხალისით, რათა ეს მემორანდუმი გამეგრძელებინა და დამესრულებინა; ამასთან ვაპირებ რაც შეიძლება მეტად ვიზრუნო სტილის სიწმინდესა და გამომსახველი ხერხების სინატიფეზე, რათა ჩემი შემოქმედება თამამად წარსდგეს წარჩინებული ოჯახების წინაშე და თავი არ შეირცხვინოს.

## მეორე თავი

თხრობის ძაფი სადაც გამიწყდა, ზუსტად იმ წერტილიდან განვაგრძობ: სახელდობრ, იქიდან, სადაც გარესამყაროს გულქვაობის წყალობით ჩიხში მიმწყვდეულმა მამაჩემმა საკუთარი სიცოცხლე ხელჰყო. მისი რელიგიური წესით დაკრძალვა გაძნელდა, რადგან ეკლესია ასეთ დროს, ჩვეულებრივ, რიდეს იფარებს ხოლმე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თვითმკვლელობას კანონიკური შეხედულებებით შეუზღუდავი, თავისუფალი მორალიც ჰკიცხავს. სიმართლე თუ გნებავთ, სწორედ სიცოცხლე არ მიეკუთვნება ისეთ უზენაეს სიკეთეთა რიცხვს, სიტკბოების გამო რომ ვერ შევelიოთ და მაგრად ჩავებღაუჭოთ. პირიქით, იგი უნდა შევაფასოთ, როგორც ჩვენთვის მონიჭებული, მე თუ მკითხავთ, ლამის ჩვენივე ნებით ნაკისრები მძიმე და სასტიკი ტვირთი და ჩვენი ვალია მას ბოლომდე გავუმკლავდეთ და ვუერთგულოთ. მისგან ნაადრევად გაქცევა ჭეშმარიტად უზნეო საქციელია, მაგრამ

ამ საგანგებო შემთხვევაში განაჩენის გამოტანას გავურბივარ და მხოლოდ თანაგრძნობით ვიმსჭვალები. ჩვენთვის, ჭირისუფალთათვის, ძნელი ასატანი იყო განსვენებული წესის აუგებლად ჩაგვეშვა სამარეში: დედაჩემსა და ჩემს დას ხალხის რიდი და საკუთარი პირმოთნეობა ამოძრავებდათ [illegible] ჩვენი. მოგეხსენებათ, თავგამოდებული კათოლიკეები გახლდნენ [illegible] მიჭირდა, რომ დაბადებითვე ტრადიციების მომხრე ვიყავი და პროგრესის მოტანილ წესსა და რიგს ნამემკვიდრევი ჩვეულებები მერჩია. ბოლოს, რაკი ქალებს მხნეობა არ ეყოთ, მე ვიკისრე, ქალაქის მღვდელმთავარი, სასულიერო მრჩეველი შატო დაკრძალვის ცერემონიალის ჩატარებაზე დამეყოლიებინა.

ამ სიცოცხლით სავსე, მგრძნობიარე სასულიერო პირთან, რომელიც დიდი ხანი არ იყო, რაც ჩვენთან მსახურობდა, იმ დროს მივედი, როცა მეორე საუზმეს მიირთმევდა. სუფრაზე მწვანილიანი ომლეტი და ერთი ბოთლი შუაღვინო ედგა. პასტორმა კარგად მიმიღო. სხვაგვარად არც მოველოდი — სასულიერო მრჩეველი შატო ელეგანტური კაცი გახლდათ, ღირსეული წარმომადგენელი თავის ეკლესიისა და მის კეთილშობილებასა და ბრწყინვალებას დამაჯერებლად განასახიერებდა, მართალია, ტანდაბალი იყო და კარგად ჩასუქებულიც, მაგრამ შნო და ლაზათი არ აკლდა, სიარულში თეძოებს მკვირცხლად და მიმზიდველად მიარხევდა და მანერებიც სასიამოვნო ჰქონდა, იგი გაწაფულად, ლამის სანიმუშოდ მეტყველებდა, აბრეშუმნარევი შავი მაუდისგან შეკერილი ანაფორიდან კი მუდამ შავი აბრეშუმის წინდები და ლაქის ფეხსაცმელები მოუჩანდა. მასონები და ანტიპაპისტები ირწმუნებოდნენ, აბრეშუმის წინდები იმიტომ აცვია, რომ ფეხები უოფლიანდება და უყარსო, მაგრამ მე პირადად ეს ღლესაც ბოროტი მონაჭორი მგონია. თუმცა პირადად ჯერ არ მიცნობდა, მაგრამ თავის თეთრი და მსუქანი ხელით სუფრასთან მიმიპატიჟა, საუზმითაც გამიმასპინძლდა და ისე თავაზიანად მომისმინა, თითქოს დაეჯერებინოს ჩემი ტყუილი. ჩემი ნაამბობით ვითომ საბრალო მამაჩემი დიდი ხნის უხმარი რევოლვერის გაწმენდას აპირებდა და, საუბედუროდ, უცაბედად გავარდნილმა ტყვიამ განუგმირა გული. ერთი სიტყვით, თავი ისე მომაჩვენა, ვითომ ყველაფერი დაიჯერა. სინამდვილეში კი პოლიტიკური მოსაზრებით უფრო მოიტყუა თავი (ისეთი დრო იდგა, ეკლესია მოხარულიც უნდა ყოფილიყო, მისი წყალობის მიღებას თუნდაც ტყუილის ფასად თუ შეეცდებოდა ვინმე), პასტორს არც ნუგეშის სიტყვები დაუშურებია და საეკლესიო წესით პანაშვიდის გადახდასა და დაკრძალვის ცერემონიალსაც შემპირდა, ეს უკანასკნელი ხარჯები კი დიდსულოვნად იკისრა ჩემმა ნათლია შიმელპრისტერმა. მისმა უმაღლესობამ რამდენიმე შტრიხი ჩაინიშნა განსვენებულის ცხოვრებისა, რაიც მე ერთდროულად ღირსებითა და სიხარულით ალსავსედ წარმოვუსახე, და ბოლოს რამდენიმე კითხვა ჩემი ცხოვრებისეული გარემოებების და პერსპექტივების გარშემოც დამისვა. რაზეც ზოგადი და მიკიბულმოკიბული პასუხი გავეცი.

— შვილო ჩემო, თქვენ, გეტყობათ, აქამდე ცოტა ლმობიერად ეკიდებოდით საკუთარ თავს, — დაახლოებით ასე მითხრა მან, — მაგრამ ჯერ ყველაფერი არ დაგიკარგავთ, რამეთუ თქვენი პიროვნება კეთილ შთაბეჭდილებას ტოვებს, განსაკუთრებით კი სასიამოვნო ხმა მინდა შეგიქოთ, გამიკვირდებოდა, ფორტუნა რომ არ გწყალობდეთ. ქედბედნიერთა და ღვთის რჩეულთა ამოცნობა ერთი შეხედვით შემიძლია, ადამიანს ბედი შუბლზე აწერია, რაიც განდობილთათვის ამოუკითხავი არ რჩება ხოლმე.

ასე გამომისტუმრა პასტორმა და ამ ჭკვიანი კაცის სიტყვებით გახარებულმა შინაურებს მივაშურე, რათა ჩემი მისიის ბედნიერი შედეგი მომ[illegible]ნებინა. სამწუხაროდ, ეკლესიის თანადგომის მიუხედავად, დაკრძალვის ცერემონიალი არც ისეთი საზეიმო გამოვიდა, როგორიც გვინდოდა, რადგან ხალხი მოვიდა ცოტა. ჩვენი პატარა ქალაქისაგან, ეს ბოლოს და ბოლოს, არც იყო გასაკვირი, მაგრამ ის მეგობრები სადღა იყვნენ, იმ ბედნიერ დღეებში ჩემი საბრალო მამის ფოიერვერკებს რომ ესწრებოდნენ და მისი „ბერნკასტლერ დოქტორით“ რომ ქეიფობდნენ? მათ ჩვენგან შორს ეჭირათ თავი, ოღონდ მაინცდამაინც უმადურობის გამო არა, უბრალოდ, ეს ის ხალხი იყო, მარადიულობისკენ თვალმისაპყრობი, სერიოზული მოვლენების შეგრძნების უნარი რომ არ გააჩნდათ და მწუხარებას, გუნება არ წაგვიხდესო, თავს ამიტომაც არიდებდნენ, რაც, ცხადია, მათ დაბალ სულიერ წყობაზე მიუთითებდა. დაკრძალვაზე მხოლოდ მაინცის მეორე ნასაუს პოლკის ლეიტენანტი იუბელი მოვიდა, მართალია, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, მაგრამ მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩემი ნათლია შიმელპრისტერი და მე გათხრილი სამარისკენ მიმავალ კუბოს მარტონი აღარ მივაცილებდით. სულიერი მამის წინასწარმეტყველება მას შემდეგ ყურებში მედგა, რადგან იგი არა მარტო სავსებით ეთანხმებოდა ჩემს საკუთარ წინათგრძნობებსა და იმედებს, არამედ იმ ალაგიდანაც მომდინარეობდა, რომელსაც ასეთი იდუმალი საკითხების გადაწყვეტაში ჩემს გულში საგანგებო, საკანონმდებლო უფლებებს ვანიჭებდი. საამისო მიზეზების ახსნა უბრალო ადამიანს გაუჭირდება, მაგრამ ამ მიზეზებზე მიახლოებით მინიშნება, მგონი, მართლა შემეძლო. ჯერ ერთი, კათოლიკური ეკლესიისგან დაკანონებულ ერთ-ერთ საპატიო საფეხურზე დგომა ადამიანების გარჩევის გაცილებით უფრო ფაქიზ უნარს აყალიბებს, ვიდრე ეს ბიურგერულ დონეზე ცხოვრების პირობებშია შესაძლებელი. პოდა, რაკი ეს დღესავით ნათელი აზრი უკვე მოგახსენეთ, ერთი ნაბიჯითაც წავიწევ წინ და შევეცდები ჩემი მსჯელობა ბოლომდე ლოგიკურად წარვმართო. აქ საქმე ეხება გრძნობას და, აქედან გამომდინარე, ლაპარაკია გრძნობადობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილზე. ღმერთის თაყვანისცემის კათოლიკურ წესს, მიილტვის რა ზეგრძნობადს აზიაროს ადამიანი, ამ გზაზე უპირატესად გრძნობადობისვე იმედი აქვს და მასზე ახდენს კიდეც ზემოქმედებას, იგი ზეგრძნობადობისკენ ყოველგვარი საშუალებით უკაფავს გზას ადამიანს და ღვთის საიდუმლოებებში ჩაღრმავება მასავით არც ერთ სხვა წესს არ შეუძლია. განა ყური, მიჩვეული ამაღლებულ მუსიკას, იმ ჰარმონიებს, ზეციური გუნდების წინათგრძნობის საუწყებლად რომ არიან შექმნილნი, იმდენად არ იქნებოდა გაფაქიზებული, რომ ვერ ეგრძნო ადამიანის ხმის ჟღერაში ჩამალული შინაგანი კეთილშობილება? განა თვალი გაწაფული იმ ღვთისმოსაურ ბრწყინვალებასა, ფერებსა და ფორმებში, ზეციური პლანეტების დიდებულებას რომ განასახიერებენ, განა ეს თვალი ვერ განჭვრეტდა ბუნებისგან მომადლებულ იდუმალ მშვენიერებას? განა ყნოსვის ორგანო, საკურთხევლის ანაორთქლით ნასათუთევი და საკმევლის სუნით ზეშთაგონებული, წინასწარ რომ შეიგრძნობს ხოლმე წმინდანის ნელსურნელებას, განა იგი ვერ იგრძნობდა არამატერიალურ, მაგრამ მაინც ხორციელ ანაორთქლს ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული კაცისას? განა მას, ვინც ხელდასხმულია განაგოს ამ ეკლესიის უზენაესი საიდუმლო, შეიცნოს სისხლისა და ხორცის მისტერია, განა მას არ ძალუძს თავისი უფრო მაღალი მგრძნობელობის წყალობით ერთ-

მანეთისგან გაარჩიოს მაღალი და მდაბალი ადამიანური სუბსტანცია? — თავს ვინუგეშებ, რომ ამ გამორჩეული სიტყვებით რაც შეიძლებოდა სრულყოფილად გამოვხატე ჩემი სათქმელი.

სხვათა შორის, ზემოთქმულ წინასწარმეტყველებას იმაზე მეტი არაფერი უცნობებია ჩემთვის, რაც საკუთარი შეგრძნებებითა და საკუთარი თავის თვალიერებით ზედმიწევნით არ ყოფილიყო დადასტურებული. მიუხედავად ამისა, ბევრჯერ დავცემულვარ სულით, რადგან ჩემი სხეული, ოდესღაც ხელოვანის ხელით ტილოზე ზღაპრული მშვენებით გადატანილი, უგვანო, გაცვეთილ ტანსაცმელში იმალებოდა, ხოლო ჩემი მდგომარეობა ქალაქში ზიზღს, ან იქნებ ეჭვსაც იმსახურებდა. სახელგატეხილი ოჯახის ნაშიერი, გაკოტრებული კაცის, თვითმკვლელის შვილი, სკოლიდან გამოსული მოწაფე, ყოველგვარ სახარბიელო პერსპექტივას მოკლებული ადამიანი ჩემი თანამოქალაქეების მოლუშულ, დამამცირებელ მზერას ვიმსახურებდი. მართალია, ეს მზერა ჩემს თვალში ყოველგვარ მომხიბლაობას მოკლებულ, ფუყე ადამიანებს ეკუთვნოდათ, მაგრამ ჩემი ბუნების კაცს მაინც გულში ლახვრად მესობოდა და რაკი იძულებული ვიყავი ჯერ კიდევ ჩემს ქალაქში მეცხოვრა, ქუჩაში გამოსვლას ყოველნაირად ვერიდებოდი. იმ ხანებში კიდევ უფრო გამძლიერდა განდეგილობისა და უკარებლობისკენ ჩემი თანდაყოლილი მიდრეკილება, რომელიც, სხვათა შორის, მშვენივრად ეთვისებოდა ჩემს დაუოკებელ სწრაფვას, ცხოვრების შუაგულში მეტრიალა და ადამიანებს დავახლოვებოდი. თანაც იმ მზერაში — და არა მარტო ქალაქის მოსახლეობის ქალთა ნაწილში — ხომ იყო რაღაც, უნებურ თანაგრძნობად რომ შეიძლებოდა მიგეღო, ხოლო უფრო ხელსაყრელ ვითარებაში გულში მშვენიერი იმედებიც ჩაგესახოდა. დღეს, როცა სახე ჩამომიხმა და სხეულის ნაკვთებსაც სიბერის ნიშნები დაეტყო, გულგრილად შემიძლია განვაცხადო, რომ ცხრამეტი წლის ასაკში მთლიანად გამართლდა ის, რასაც ჩემი სიყმაწვილე გვპირდებოდა და საკუთარი შეხედულებითაც მშვენიერ ჭაბუკად გავიფურჩქნე. ჩემი ქერა თმისა და და ბრინჯაოსფერი კანის, მოციმციმე ლურჯი თვალების, ბაგეზე გამოხატული მოკრძალებული ღიმილის, ჩემი ხმის ფარული ხიბლისა და მარცხნივ გადაყოფილი, შუბლზე კოხტად გადავარცხნილი აბრეშუმივით მბზინავი თმის პატრონი, წესით, ჩემი უბირი თანამოქალაქეების თვალშიც ისეთივე მიმზიდველი უნდა გამოვჩენილიყავი, როგორიც მერე მრავალი კუთხის მცხოვრებთ მოვჩვენებივარ, მაგრამ მათ ჩემი საეჭვო მდგომარეობით შეცბუნებული გონება უბინდავდა მზერას. ჩემს ტანს, რომელიც ჯერ კიდევ ჩემი ხელოვანი ნათლიის თვალს აკმაყოფილებდა, ბრგე არ ეთქმოდა, მაგრამ ყველა ნაკვთი და კუნთი ისე თანაბრად და ზომიერად მქონდა განვითარებული, როგორც სპორტისა და ღონე-მოქნილობის განმავითარებელი თამაშების მოყვარულთ აქვთ ხოლმე, თუმცა ჩემი მეოცნებე ბუნების გადამკიდეს ფიზკულტურა არასოდეს მყვარებია და სხეულის ჩამოყალიბებისათვის არასოდეს თითიც კი არ გამინძრევია. ბოლოს ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ისეთი ნაზი და მგრძნობიარე კანი მქონდა, უკიდურესი გაჭირვების დროსაც იძულებული ვიყავი რბილი და ძვირფასი საპონი მეყიდა, რადგან უხარისხო და იაფფასიანი საპონი სულ ცოტა ხანში კანიდან სისხლს მადენდა ხოლმე.

ბუნებრივი ნიჭი და თანდაყოლილი უპირატესობანი მათ მატარებელ ადამიანს, ჩვეულებრივ, თავის ჩამომავლობისადმი მოწიწებით ავსებს, ცხოველ ინტერესს უღვიძებს და ადრე მეც ხშირად ჩავჩხრებივარ ჩემი წინაპრების სუ-

რათებს, ფოტოებსა თუ დაგეროტიპებს, მედალიონებსა თუ სილუეტებს და როგორც გამწვდებოდა, ჩემი კვლევა-ძიებისათვის ისე გამომიყენებია. მათ ფიზიონომიებში ვეძებდი ჩემი პიროვნების მოსამზადებელ ეტაპებს და ნიშნებს და ვცდილობდი დამედგინა, მათ შორის ყველაზე მეტად ვისი მადლიერი უნდა ვყოფილიყავი. ვაგლახ, რომ ნადავლი მწირი გამოდგა. მართალია, მამის ნათესავებისა და წინაპრების ნაკვთებსა და იერში ზოგი რამ მოვიძიე, სადაც ბუნების ამდაგვარი ცდისა და ვარჯიშის ამოცნობა შეიძლებოდა (აკი მოგახსენეთ, საბრალო მამაჩემი, ტანსავსეობის მიუხედავად, გრაციასთან მწყრალად არ იყო-მეთქი). მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც დავასკვენი, რომ ჩემს ჩამომავლობას ბევრს ვერაფერს დავუმადლიდი; და თუკი არ ვივარაუდებდი, რომ ჩემი ჯიშის ისტორიის რომელიღაც გაურკვეველ ეტაპზე საიდუმლოებით მოცული შემთხვევითობა იყო გამორეული, და ჩემს ბუნებრივ წინაპართა შორის ვინმე რაინდი და დიდებული ერია, მაშინ ჩემი უპირატესობის წარმომავლობა მხოლოდ საკუთარ არსებაში უნდა მეძებნა.

მაინც რატომ მოახდინა სასულიერო მრჩევლის შატოს სიტყვებმა ჩემზე ასეთი დიდი ზემოქმედება? ეს მიზეზები დღესაც ისევ გაურკვეველია ჩემთვის, როგორც იმ დღეს და იქვე იყო. მან შემაქო. მერედა, რისთვის? ჩემი საამოვნო ხმისთვის. მაგრამ ეს ხომ ისეთივე თვისება თუ ნიჭია, კაცს თავის დამსახურებად რომ ვერ ჩაუთვლი და იგი ისევე ნაკლებადაა საქებარი, როგორც არ შეიძლება საგინებელი იყოს ხოლმე ჩიყვიანობა და კოჭლობა. ქებას თუ ძაგებას ხომ ჩვენი ბიურგერული საზოგადოების თვალში მხოლოდ ზნეობრივი მონაცემები იმსახურებს და არა ბუნებრივი თვისებები; ამ უკანასკნელთა ქება მათ უსამართლობად და უგუნურებად მოეჩვენებოდათ. ქალაქის მღვდელმთავარი შატო ხსენებულ საკითხზე სხვა აზრისა რომ ბრძანდებოდა, ეს სიახლედ და სითამამედ მეჩვენა, ეს იყო შეგნებული და ჯიუტი დამოუკიდებლობის გამოვლენა, რომელშიც რაღაც წარმართული უბრალოებაც ერია და მე პირადად საამური ფიქრები აღმიძრა. განა ძნელი არ არის, ბუნებრივ და ზნეობრივ უპირატესობებს შორის მტკიცე ზღვარი გაავლო მეთქი, ვეკითხებოდი ჩემს თავს. ყველა ამ ბიძების, დეიდებისა და ბებია-ბაბუების პორტრეტებმა ხომ შემაგნებინეს, ბუნებრივი მემკვიდრეობის გზით რა მცირე უპირატესობანი მრგებია. ვითომ ამ უპირატესობების ჩამოყალიბებაში შინაგანად მე თვითონ არ მიმიძღოდა არავითარი წვლილი? განა ჩემი უტყუარი ალღო უფრო არ მარწმუნებს, რომ ყველა ის უპირატესობა მნიშვნელოვანწილად ჩემი საკუთარი შემოქმედებაა და სულ ადვილად შეიძლებოდა ხმა ამაზრზენი, თვალი უაზრო, ფეხები მოღრეცილი გამომყოლოდა, სული რომ მქონოდა ყილაჯო და მოდუნებული? ვისაც ეს წუთისოფელი უყვარს, იგი თავსაც მის საამებელს ქმნის. თუკი ბუნებრივი მონაცემები ზნეობრიობის გამოვლენაა, მაშინ ვიდრე მგონია, იმაზე ნაკლები უსამართლობა და ახირება ყოფილა ის, სასულიერო პირს ჩემი ხმისთვის ქება რომ არ დაუშურებია.

## მესამე თავი

რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მამაჩემის ნეშტი მიწას მივაბარეთ და ოჯახის წევრებმა ნათლია შიმელპრისტერთან ერთად თათბირზე თუ საოჯახო საბჭოზე მოვიყარეთ თავი. ჩვენმა ზემოხსენებულმა მეგობარ-

მა შეკრების ადგილად ჩვენი ვილა არჩია. ჩვენ უკვე ოფიციალურად გამ გვიცხადეს, რომ საახალწლოდ კარ-მიდამო უნდა დაგვეცალა და ამიტომ აუ ცილებელი გახდა ჩვენს შემდგომ სამყოფელზე გვეზრუნა და სერიოზულ გადაწყვეტილებანი გამოგვეტანა.

ეროვნული

სიტყვები არ მყოფნის ღირსეულად შევაქო ჩემი ნათლიის რჩევა და თა ნადგომა და გამოვხატო ჩემი მადლიერება, აღვწერო, რა გეგმები და მოთ თებანი ჰქონდა ამ არაჩვეულებრივ ადამიანს თითოეული ჩვენთაგანისათვი მომზადებული, რომლებიც შემდგომ, სახელდობრ, ჩემს მიმართ, ბედნიერ და პერსპექტიული გამოდგა. ჩვენი ყოფილი სალონი, ოდესღაც მშვენიერ რბილი ავეჯით გაწყობილი, მრავალჯერ აღვსილი საზეიმო ოხშივარითა დ მხიარულებით, ახლა კი მოშიშვლებული, გაძარცული და თითქმის უავეჯო დარჩენილი, გახლდათ ამ თავშეყრის სევდიანი ადგილი. ჩვენ ერთ კუთხე ში ვისხედით სასადილო ოთახიდან გამოტანილ კაკლის ხის კარკასიან ბამბუ კის სკამებზე, იმ გარნიტურიდან შემორჩენილი მწვანე მაგიდის გარშემო, რომელიც ოთხი თუ ხუთი, ერთმანეთზე მისადგმელი პატარ-პატარა მსუბუქი სასაუზმე მაგიდისგან შედგებოდა.

— კრულ! — წამოიწყო ჩემმა ნათლიამ (შინაურულად იგი ზოგჯერ დე დაჩემსაც მარტო გვარით მიმართავდა ხოლმე). — კრულ! — თქვა მან, დე დაჩემისკენ თავისი მოკაუჭებული ცხვირი მიაბრუნა და უწარბ-წამწამო, ცე ლულოიდის, მრგვალჩარჩოიანი სათვალით უცნაურად შემორკალული, გამს ჭვალავი თვალები მიაპყრო. — აი თავი ჩაგიქინდრავთ, მოშვებულხართ და სულ ტყუილუბრალოდ კი. ცხოვრების მრავალფეროვანი და ხალისიანი შესაძ ლებლობანი სწორედ იმ გამანადგურებელი კატასტროფის მიღმა იწყება, გო ნებამახვილურად სამოქალაქო სიკვდილს რომ ეძახიან, ხოლო ყველაზე საიმედო ცხოვრებისეული სიტუაცია ის არის, უარესის წარმოდგენა რომ აღარ შეიძლება ხოლმე. ერწმუნეთ, ძვირფასო მეგობარო, იმ ადამიანს, ვისაც თუ მატერიალური არა, მორალური გაჭირვება მაინც გამოუცდია! სხვათა შორის, თქვენ უკიდურეს გაჭირვებაში არ ჩავარდნილხართ და ხელ-ფეხს სწორედ ეს გიბორკავთ. გამხნევდით, ჩემო კარგო! ფხა გამოიჩინეთ! აქ საბო ლოოდ მოგეცარათ ხელი? მერე რა, ქვეყანა დიდია. კომერციულ ბანკში თქვენი მცირე ანგარიში ჯერ არ გამოლეულა. მაგ თქვენი დარჩენილი ფუ ლით, მე თუ მკითხავთ, რომელიმე დიდ ქალაქში გირჩევნიათ წახვიდეთ, ვის ბადენში, მაინცში, კიოლნში, თუნდაც ბერლინში. თქვენ სამზარეულოში ჭიპი გაქვთ მოჭრილი, მაპატიეთ ეს უხერხული გამოთქმა! პურის ნარჩენებისგან მშვენიერი პუდინგის გაკეთება იცით და გუშინწინდელი ხორცისგან მომჟავო ფარშის მომზადებაც შეგიძლიათ. გარდა ამისა, სახლში ხალხის მისვლა-მოს ვლას, მათ გამასპინძლებასა და გართობასაც მიჩვეული ხართ. ერთი სიტყვით, დაიქირავებთ რამდენიმე ოთახს, გამოაქვეყნებთ განცხადებას, რომ მზად ხართ ხელმისაწვდომ ფასებში ასადილოთ მდგმურები თუ სასტუმროების ბინადარნი და იცხოვრებთ ძველებურად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამი ერიდან გამასპინძლებისათვის საფასურს გადაგიხდიან და თქვენც მოგებული დარჩებით. თქვენი მომთმენი ხასიათი, კარგი გუნებაგანწყობა იქნება იმის საწინდარი, რომ თქვენს მუშტრებს კარგი განწყობილება, ხალისი და მყუდ როება შეუქმნათ და მართალი გითხრათ, გამიკვირდება, თქვენი დაწესებუ ლება რომ არ გაიფურჩქნოს და ნელ-ნელა არ გაფართოვდეს.

აქ ჩემი ნათლია შეჩერდა, რათა ჩვენთვის ალტაცებისა და მადლობის გა-

მოთქმის საშუალება მოეცა, რასაც, ბოლოს და ბოლოს მისი ადრესატიც შემოუერთდა...

— რაც შეეხება ლიმპჰენს, — განაგრძო მან, (ასე ეძახდა მოფერებით ჩემს დას), — თითქოს ყველაზე სწორი ჩანს, იგი დედას მიეხმაროს და მის სტუმრებს ყოფა გაულამაზოს, და ეჭვიც არ მეპარება, იგი ჩინებული ფ[illegible]ლი filia hospitalis[1] გამოდგებოდა. ეს შანსი, ცხადია, არსად გაექცევა, მაგრამ ჯერ მისთვის უფრო კარგი რამ მაქვს მოფიქრებული. თქვენი კეთილდღეობის ჟამს იგი სიმღერაშია ნავარჯიშევი, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ხმა სუსტი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ მის ხმას სინაზე და სიტკბო არ აკლია, თან თვალშისაცემი გარეგნობის პატრონია და ეს გააღრმავებს შთაბეჭდილებას. კიოლნში ერთი ძველი მეგობარი მყავს — სალი მერშაუმი — მისი საქმიანობის მთავარი სფერო თეატრის აგენტურაა. მას არ გაუჭირდება ოლიმპიას მოწყობა დასაწყისისთვის თუნდაც მეორეხარისხოვანი ოპერეტის დასში ან რომელიმე კაპელაში, მე კი, ჩემი მხრივ, პირველი გარდერობის გასაწყობად ოლიმპიას ჩემს კოლექციას მოვახმარ. კარიერის დასაწყისი პირქუში იქნება და ძნელი, ალბათ ცხოვრებასთან ჭიდილიც მოუწევს, მაგრამ თუ სიმტკიცეს გამოიჩენს (რაც, სხვათა შორის, ტალანტზე მნიშვნელოვანია) და თავის ნიჭსა და უნარს მოიხმარს, ნიჭი და უნარი კი მრავალმხრივი აქვს, მაშინ გზას სწრაფად გაიკაფავს და ალბათ მაღალ მწვერვალებსაც დაეუფლება. მე, ჩემი მხრივ, ცხადია, მხოლოდ გეზს გაძლევთ და შესაძლებლობებს გიხატავთ, სხვა დანარჩენი თქვენი საქმეა, — დასძინა მან ბოლოს.

სიხარულისგან აწითლებული ჩემი და თავის მრჩეველს ყელზე შემოეხვია და უკანასკნელი სიტყვების გაგონებაზე თავი მის მკერდში ჩამალა.

— ახლა კი, — წამოიწყო მან და აშკარად შეეტყო, რომ ეს მომდევნო პუნქტი ყველაზე ახლოს მიჰქონდა გულთან. — ახლა კი, მესამე და უკანასკნელ, ჩვენი კოსტიუმთმცვეთელის საქმეზე გადავალ! (მკითხველი მიხვდება, რა ქარაგმას შეიცავდა ეს სახელი). — მის მომავალზე ბევრი ვიფიქრე და მრავლად წამოჭრილი სიძნელეების მიუხედავად, ვგონებ, დროებით მაინც ვიპოვე გამოსავალი. ამის თაობაზე საზღვარგარეთთან, კერძოდ, პარიზთან მომიხდა მიმოწერის გაბმა და ახლავე მოგახსენებთ, რის გამოც. ჩემი აზრით, ჯერ საჭიროა მას ცხოვრებაში გაეხსნას გზა, რაც ამა ქვეყნის ხელისუფალთა გაუგებრობის წყალობით მისთვის დახშული ჰგონიათ: საკმარისია ეს გზა გავუხსნათ, რომ დინება გაიტაცებს და, ჩემი ღრმა რწმენით, მშვენიერ ნაპირამდეც მიიყვანს. ამჯერად კი მისთვის ყველაზე ხელსაყრელი პერსპექტივაა სადმე დიდ სასტუმროში თუნდაც კელნერად მოწყობა; იქ, რომ არაფერი ვთქვათ პირდაპირ გზაზე (რომელსაც იგი ასევე შეუძლია მიიყვანოს მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობამდე), არსებობს მარჯვნივ თუ მარცხნივ მიმავალი, ათასგვარი მიხვეულ-მოხვეული გზა და შემოსავლელი ბილიკი, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ბევრი ყმაწვილისთვის სალაშქრო გზის ავლით სიკეთე რომ მოუტანია. მიმოწერა რომ ვახსენე, „სენტ ჯემს ენდ ალბანის“ სასტუმროს დირექტორი მყავდა მხედველობაში. ეს სასტუმრო პარიზში გახლავთ, სენტ-ონორეს ქუჩაზე, ვანდომის მოედნის ახლოს (ესე იგი, ცენტრში, იმ ადგილს ჩემს გეგმაზეც გიჩვენებთ). ისააკ შტიურცლი ჩემი პარიზული დროიდან შემორჩენილი ახლო მეგობარია. მას ფელიქსის აღზრდა და

[1] ახალგაზრდა დიასახლისი (ლათ.).

თვისებები, რაც შეიძლებოდა კარგად დაუხატე და ისიც აღვუთქვი, დახვეწილობასა და სიმარჯვეშიც არ გიმტყუნებს-მეთქი. ფელიქსმა ცოტა ფრანგული და ინგლისური იცის და მალე შეძლებისდაგვარად კიდევ გაიწაფება, ასეა თუ ისე. შტიურცლი ჩემი ხათრით თანახმაა გამოსაცდელი ვადით, ჯერჯერობით, ცხადია, უხელფასოდ, მიიღოს ფელიქსი, ბინა და კვება უფასოდ ექნება, ლივრეის შეძენაშიც, რომელიც უეჭველად ძალიან დაშვენდება, შეღავათს მისცემენ. მოკლედ, ესაა გზა, სარბიელი და ხელშემწყობი პირობები მისი ნიჭის გასაფურჩქნად და მე იმედი მაქვს, რომ ჩვენი კოსტუმთცვეთელი „სენტ ჯემს ენდ ოლბანის“ წარჩინებულ სტუმრებს აამებს და ასიამოვნებს.

ადვილი მისახვედრია, რომ ამ დიდებულ კაცს ქალებზე ნაკლებ მადლიერი არც მე დავრჩებოდი. სიხარულისგან სიცილი ამიტყდა და ყელზე ალტაცებით შემოვეხვიე. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს უკვე გამქრალიყო ჩემი სამშობლო ქალაქის საძულველი მარწუხები, ჩემს წინაშე უკვე გადაშლილიყო ფართო ასპარეზი, და ის ქალაქი, რომლის მარტო გახსენებაზეც კი საბრალო მამაჩემი მთელი სიცოცხლის მანძილზე ნეტარებისაგან დნებოდა ხოლმე, მთელი თავისი დიდებულებით გადაიშალა ჩემს შინაგან თვალთა წინაშე. ოღონდ საქმე არც ისე მარტივად გახლდათ, როგორც გვეგონა, პირიქით, სადარდებელი. ანუ როგორც ხალხში იტყვიან, სახიმანო, ბევრი გვქონდა: მე აქედან ფეხს ვერ გავადგამდი, სანამ ჩემი სამხედრო ვალდებულების საკითხი არ მოგვარდებოდა; სანამ ჩემს საბუთებში არ გაჩნდებოდა სათანადო დადებითი ცნობა, მანამ სახელმწიფო საზღვარი გადაულახავ ზღუდედ იქნებოდა ჩემ წინ აღმართული, ხოლო საქმეს კიდევ ის მირთულებდა, განათლებული კლასის პრივილეგიები რომ არ გამაჩნდა და თუ სამხედრო სამსახურისთვის ვარგისად მცნობდნენ, პირდაპირ ყაზარმაში, რეკრუტად მიკრავდნენ თავს. ამ გარემოებაზე ფიქრს აქამდე ქარაფშუტულად ვიცილებდი ხოლმე თავიდან, ახლა კი, იმედებით აღსავსე საზეიმო წუთებში, ჯარზე ფიქრი უეცრად მძიმე ლოდივით დამაწვა გულზე; როგორც იყო გამოვთქვი ჩემი წუხილი და აღმოჩნდა, რომ არც დედას, არც დას და არც შიმელპრისტერს ეს გარემოება სათვალავში არ ჰქონიათ ჩაგდებული: დედას და დას ქალური უმეცრების გამო, ჩემს ნათლიას კი, როგორც ხელოვანს შეეფერებოდა, სახელმწიფოებრივ-სამსახურებრივი საქმეებისთვის არც არასდროს მიუქცევია ჯეროვანი ყურადღება. ამ შემთხვევაში მან აღიარა კიდეც თავისი უმწეობა: სამხედრო ექიმებთან არავითარი ურთიერთობა არა მაქვსო, ნაღვლიანად განაცხადა მან აქედან გამომდინარე, არც ის ვიცი, მათზე ზეგავლენა ვისი მეშვეობით უნდა მოვახდინო, ამიტომ იქნებ შენ თვითონ შეეცადო და ამ მარწუხიდან თავი შენით გამოიხსნაო.

ასე და ამგვარად, ამ სადავიდარაბო საქმეში საკუთარი თავის იმედად დავრჩი და მკითხველი ნახავს, გასაჭირს როგორც გავუმკლავდი, ჯერჯერობით კი ჩემი ახალგაზრდული დაუდეგარი სული აყრაზე ფიქრმა, საცხოვრელი ადგილის მოახლოებულმა გამოცვლამ და მასთან დაკავშირებულმა სამზადისმა აafორიაქა და დაიპყრო; რაკი დედაჩემი საახალწლოდვე ფიქრობდა პანსიონის გახსნას და კლიენტების შეძენას, ჩვენი გადასახლება შობამდე უნდა მომხდარიყო, საცხოვრებლად მაინის ფრანკფურტი ავირჩიეთ, რადგან ასეთ დიდ ქალაქში უფრო გაგვიღიმებდა ბედი, უფრო მრავალფეროვანი საშუალება გვექნებოდა ცხოვრებისა.

რა იოლად, რა მოულოდნელად, აგდებულად და გულგრილად ტოვებს

გასაქანს მოწყურებული ახალგაზრდა თავის პატარა სამშობლოს და ისე შეაქ-ცევს ზურგს მის კოშკებსა და ვენახებშეფენილ ბორცვებს, რომ უკან ერთხე-ლაც აღარ მოუხედავს! და მაინც, რაც არ უნდა იოლად შეელიოს მშობლი-ურ სანახებს და დროთა განმავლობაში რა ღრმადაც არ უნდა მი[illegible]-ნი, მათი სასაცილომდე ნაცნობი ხატება მაინც სამუდამოდ რჩება [illegible] ბიერების სიღრმეში და მრავალი წლის შემდეგ შორეული წარსულიდან ხე-ლახლა გასაოცრად ამოტივტივდება ხოლმე: მაშინ რაც უღირსი და უგვანო იყო, ისიც კი პატივსაცემი ხდება, იქ, სხვაგან, ადამიანს საკუთარი საქციელის ღვაწლის, წარმატებების განსჯისას ზემოხსენებულ პატარა სამყაროსკენ უჭი-რავს თვალი ცხოვრებაში მომხდარი ყოველი გარდატეხისას, ყოველი წინ-სვლისას გულში ერთი კითხვა უტრიალებს, ნეტავ ჩემი მშობლიური კუთხე რას იტყვის, ან რას იტყოდა, როგორ შეაფასებდა ჩემს ღვაწლსო და ეს გან-საკუთრებით მაშინ ხდება, როცა სამშობლო ყმაწვილკაცს თავის დროზე ვერ გაუგებს და გულცივად, უსამართლოდ მოეპყრობა. თავის მხრივ ყმა-წვილი კაციც, სანამ მშობლიურ კუთხეზე იყო დამოკიდებული, მას ქედს არ უხრიდა და ეურჩებოდა. ხოლო როცა სამშობლომ თავისუფლად გაუშვა და ალბათ დიდი ხანია დაივიწყა კიდეც მისი არსებობა, ეს უკანასკნელი მშობ-ლიურ კუთხეს საკუთარი ნებით ანიჭებს გადამწყვეტ ხმასა და თავის ცხოვ-რებაზე მსჯავრის გამოტანის უფლებასაც აძლევს. დიახ, ერთ მშვენიერ დღეს, ფათერაკებით აღსავსე, მრავალფეროვანი წლების ჩავლის მერე, ადა-მიანს გული მიუწევს თავის საწყისი წერტილისაკენ, იგი არ ეურჩება ცდუ-ნებას, სულერთია, ეს ცდუნება შეცნობილი დარჩება თუ შეუცნობელი, ოღ-ონდ კი ეჩვენოს იმ ვიწრო სამყაროს, თუნდაც გულში შიშნარევ დაცინვას დაატარებდეს, მთავარია, გააოცოს იგი შეძენილი უცხო იერითა და გარეგნუ-ლი ბრწყინვალებით და აი, პირადად ჩემი საქმე როგორღა წარიმართა ამ მხრივ, ამას თავის დროზე მოგიყვებით.

პ. პ. შტიურცლის პარიზში თავაზიანი წერილი მივწერე, რომ უახლოეს ხანში არ უნდა ჰქონოდა ჩემი ხილვის იმედი, სანამ არ გავარკვევდი, სამხედრო სამსახურისთვის ვარგისად მცნობდნენ თუ არა, მანამდე საზღვარს ვერ გადავლა-ხავდი, წერილის ბოლოს კი ალალბედზე დავსძინე, მრავლად მაქვს ისეთი მიზე-ზი, ჩემს მომავალ პროფესიას რომ არას ავნებენ, მაგრამ სამაგიეროდ სამ-ხედრო სამსახურის საქმეს ჩემდა სასიკეთოდ გადაწყვეტენ-მეთქი. ამასობაში ჩვენი ქონების ნაშთები სწრაფად გადაიქცა ბარგად და ბარგად, და, სხვათა შორის, იმ ბარგში ჩემი ნათლიის გამოსათხოვარი საჩუქარიც ერია, — გუ-ლისპირგახამებული ექვსი საუცხოო პერანგი, რომელთაც ჩემთვის პარიზში კეთილი სამსახური უნდა გაეწიათ. და აი, ზამთრის ერთ მოღრუბლულ დღეს, დაძრული მატარებლის ფანჯრიდან გადმოხრილები, ხელს ვუქნევთ ჩვენს მე-გობარს და ვხედავთ ნისლში როგორ უჩინარდება აფრიალებული წითელი ცხვირსახოცი. მას შემდეგ ეს დიდებული ადამიანი მხოლოდ ერთხელ ვნახე.

## მეოთხე თავი

მხოლოდ გაკვრით შევეხები ფრანკფურტში ჩასვლის პირველ, აფორია-ქებულ დღეებს, რადგან სულაც არ მსიამოვნებს იმ ბეჩავი როლის გახსენე-ბა, ამ მდიდარ და დიდებულ სავაჭრო ქალაქში რომ გვერგო წილად და არც ის მინდა ჩვენი იმჟამინდელი ყოფის აღწერით მკითხველსაც გავუფუჭო გუ-

ნება. ბევრს არაფერს ვიტყვი აგრეთვე იმ ბინძურ თავშესაფარზე თუ ღამის სათევზე, რომელსაც სასტუმროს სახელი კი დაერქმევინა, მაგრამ ამ სახელს არაფრით იმსახურებდა, და სადაც მე და დედაჩემმა (ჩემი და ოლიმპია ვისბადენის სადგურში ჩამოგვცილდა, რათა იქიდან კიოლნში ჩასულიყო და აგენტ მერშაუმთან ეცადა ბედი) მომჭირნეობის მიზნით მრავალი ღამე გავათიეთ, მე პირადად დივანზე მეძინა, რომელშიც მკბენარები და ბაღლინჯოები ფუთფუთობდნენ. აღარც ამ დიდ და გულცივ, სიღარიბისადმი მტრულად განწყობილ ქალაქში ჩვენს ქანცგამცლელ წანწალზე ვიტყვი რამეს, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ბინას რომ ვეძებდით, სანამ ერთ მივარდნილ კვარტალში თავისუფალი ბინა არ ვიპოვეთ, დედაჩემის გეგმებს დასაწყისისთვის ასე თუ ისე რომ შეეფერებოდა. ბინა ოთხი პატარა ოთახისა და კიდევ უფრო პატარა სამზარეულოსგან შედგებოდა, მდებარეობდა საზიზღარ ეზოში გამავალი ფლიგელის მიწისპირა სართულზე და მის ფანჯრებამდე მზის სხივები სრულიად ვერ აღწევდა, მაგრამ რაკი თვეში მხოლოდ ორმოცი მარკა ღირდა, ხოლო ჩვენ ჩვენის მხრივ სულაც არ შეგვშვენოდა მიზეზიანი ხალხის როლის თამაში, ის ბინა იმწამსვე დავიქირავეთ და იმ დღესვე გადავედით კიდეც.

სიახლე ახალგაზრდისთვის ყოველთვის შეიცავს მომხიბლაობას და მართალია, ჩვენს ჩახჩახა ვილასთან ამ ბეჩავი სადგომის შედარებაც კი არ შეიძლებოდა, ჩემზე ასეთმა უჩვეულო გარემომ მაინც ისე იმოქმედა, რომ ლამის თავშეუკავებელმა სიხარულმა და აღფრთოვანებამ შემიპყრო. ენერგიულად და ხალისით ვეხმარებოდი დედას სასწრაფო საქმეების მოგვარებაში, ავეჯს ვალაგებდი, თეფშებსა და ფინჯნებს ბურბუშელიდან ვიღებდი, თაროებსა და კარადებს სამზარეულოს ჭურჭლით ვამკობდი და მოთმინებით ვევაჭრებოდი სახლის პატრონს, ამ გულისამრევად ჩასუქებულ კაცს, იქნებ როგორმე აუცილებელ წვრილმან რემონტზე დამეყოლიებინა. ეს გაბერილი კი მაინც ჯიუტად მეწინააღმდეგებოდა და ბოლოს დედაჩემი იძულებული გახდა საკუთარი ჯიბიდან გაეღო თანხა, რათა ამ სხვის ბინას უბადრუკი იერი აღარ ჰქონოდა. დედას ბუნება წაუხდა, რადგან დასახლება საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა და ამ პანსიონის მუშტრები თუ დროზე არ მოგვეშველებოდნენ, ჯერ კიდევ წამოუწყებელ საქმეს უკვე გაკოტრება ემუქრებოდა.

პირველსავე საღამოს, როცა სამზარეულოში ზეზეულად ვვახშმობდით ჩახლილი ერბო-კვერცხით, გადავწყვიტეთ ჩვენი სასტუმროსთვის კეთილი და სასიამოვნო ხანის მოსაგონებლად „ლორელაის პანსიონი“ გვეწოდებინა, ეს ამბავი ღია ბარათით მაშინვე ვაცნობეთ ჩემს ნათლია შიმელპრისტერს, ხოლო მეორე დღეს ჩვენი მოკრძალებული და თან მიმზიდველი განცხადებით ხელში მე თვითონ მივაშურე ფრანკფურტის ყველაზე პოპულარული გაზეთის რედაქციას, იმ იმედით რომ მსხვილი შრიფტით დაბეჭდილი ეს პოეტური სახელი საზოგადოებას იოლად დაამახსოვრდებოდა. აი ფირნიშის დამზადება კი, გამვლელ-გამომვლელთა ყურადღების მისაქცევად სახლის ფასადზე რომ გვინდოდა მიგვეკრა, გვეძვირა და ამის გამო რამდენიმე დღე ყურებჩამოყრილნი ვისხედით. ჰოდა, ამის შემდეგ ვის შეუძლია აღწეროს ჩვენი აღფრთოვანება, როცა მეექვსე თუ მეშვიდე დღეს ჩვენი მშობლიური ქალაქიდან უცნაური ფორმის ამანათი მივიღეთ, ამანათის გამომგზავნი ნათლია შიმელპრისტერი გამოდგა, ხოლო პაკეტში ოთხ ადგილას გახვრეტილი თუნუქის ოთხკუთხა ფირნიში იდო, ზედ ჩვენი ღვინის ბოთლის ეტიკეტიდან მისივე

ხელით გადმოღებული, მხოლოდ სამკაულით ტანშემოსილი იგივე ფიგურა ეხატა, მის ქვეშ კი მოჩანდა ოქროს ფხვნილით შეზავებული ზეთის საღება-ვით გამოყვანილი წარწერა — „ლორელაის პანსიონი". ფირნიში ჩვენი გამაჯალი სახლის ფასადზე ისე მივამაგრეთ, რომ კლდის ფერია თავის ბეჭ-დებით დახუნძლული ხელით ეზოს შესასვლელისა და მის სიღრმეში მოთავ-სებული სამყოფლისაკენ მიუთითებდა და ისედაც მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენდა.

და აი, მუშტარიც მალე გამოგვიჩნდა: პირველი შემოგვეკედლა ახალგაზრ-და ტექნიკოსი თუ ინჟინერ-მექანიკოსი, დინჯი, სიტყვაძუნწი, ლამის პირ-ქუში, ცხოვრებაზე აშკარად გაგულისებული კაცი, რომელიც, სხვათა შორის, ფულს წესიერად იხდიდა და საერთოდაც ზომიერ და წესიერ ცხოვრებას ეწეოდა; მისი მოსვლიდან რვა დღესაც არ გაევლო, რომ ერთბაშად, ოღონდ ამჯერად თეატრალური სამყაროდან, კიდევ ორი სული შემოგვემატა; ერთი — თავის სახმო მონაცემების მთლიანად დაკარგვის გამო უმუშევრად დარ-ჩენილი კომიკური ბანი, მსხვილი, შესახედავად სასაცილო, მაგრამ საკუთარი უიღბლობისაგან გაავებული კაცი, გულმოდგინე ვარჯიშით ამაოდ რომ ცდი-ლობდა სახმო სიმები გაემაგრებინა, — იმ ვარჯიშის გამგონეს კი ეგონებო-და, ვიღაც კასრში გამოუმწყვდევიათ, იხრჩობა და შველას ითხოვსო, — და მისი მდედრობითი სქესის დანამატი, წითურთმიანი ქორისტი ქალი, რო-მელსაც ჰუჰყიანი შლაფროკი ეცვა და ვარდისფრად შეღებილი გრძელი ფრჩხილები ჰქონდა, ამ შესაბრალისად გაძვალტყავებულ არსებას ფილტვები არ უნდა ჰქონოდა მთლად საღი, მაგრამ საცოდავს მომღერალი რაიმე დანა-შაულის გამო, თუ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯავრი ვინმეზე ამოეყარა, თავის აჰ-იმებით მაინც გამეტებით ურტყამდა, ქალს კი არც თვითონ უტყდებოდა თა-ვის მეგობარზე გული და ეჭვი არც მის გრძნობებში ეპარებოდა.

ამგვარად, ზემოხსენებულ წყვილს ეჭირა ერთი ოთახი, მექანიკოსს კი მეორე; მესამე ოთახი სასადილოდ ითვლებოდა, სადაც ყველანი ერთად გეახ-ლებოდით მცირედი სანოვაგით მარჯვედ მომზადებულ სადილს, მე კი, რად-გან დედასთან ერთ ოთახში ძილი მეუხერხულებოდა, ღამღამობით სამზარე-ულოში, მერხზე ვშლიდი ლოგინს და პირს ონკანზე ვიბანდი, თუმცა გუნება-ში ვფიქრობდი, ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს და ჩემი ცხოვ-რება ადრე თუ გვიან ოდნავ მაინც შეიცვლება-მეთქი.

ლორელაის პანსიონი ნელ-ნელა იფურჩქნებოდა, მდგმურები, როგორც მოგახსენეთ, უკვე გვავიწროებდნენ და დედაჩემიც სამართლიანად ფიქრო-ბდა საქმე გაეფართოვებინა და მოსამსახურე აეყვანა. ამგვარად, ცხოვრება კალაპოტში დგებოდა, დედას ჩემი მიხმარებაც ისე აღარ სჭირდებოდა და სა-ნამ პარიზს მივაშურებდი, ან წელზე არმიულ ორფერ სარტყელს შემოვირტ-ყამდი, მე თვითონ ვიყავი საკუთარი თავის ბატონ-პატრონი, წინ კვლავ ხან-გრძლივი ლოდინისა და უსაქმობის ხანა მედო, რაც ჩემისთანა გამორჩეული ყმაწვილის უშფოთველი ზრდისათვის ასე სასურველი და აუცილებელი გახლ-დათ. ისე, რომ იცოდეთ, განათლება ბრიყვული ბეგარის მოხდითა და ტანჯვა-წვალებით როდი მოიპოვება, იგი, თუ გნებავთ, თავისუფლებისა და უსაქ-მოდ ყიალის წყალობაა; განათლებას ვერ მოიპოვებ, მას ჰაერთან ერთად თუ ჩაისუნთქავ; ჩვენი შინაგანი, ფარული ხელსაწყოები თავისას აკეთებენ, ხო-ლო გრძნობა-გონების იდუმალი გარჯა მშვენივრად ეთვისება მთელი დღის მოჩვენებით მცონარობასა და უსაქმურობას, გრძნობა-გონება საათობით იწ-

ოვს ყოველგვარ სიკეთეს და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბედის რჩეულს ის სიკეთენი ძილში ევლინება. ადამიანი მართლა მოქნილი მასალისგან უნდა იყოს ნაგები, რომ განათლებული გახდეს. რაც დაბადებიდან არ დაგყოლია, იმას ვერ შეითვისებ, და რაც შენთვის უცხოა, ის არც მოგწყურდება. ვინც უხეირო ხისგანაა გამოთლილი, ის განათლებას ვერ შეიძენს; ვისაც კი განათლება მოუპოვებია, ის არც არასდროს ყოფილა ტლანქი და გაურანდავი. აი, აქაც ჭირს პირად დამსახურებასა და, ხელსაყრელ პირობებს რომ ეძახიან, იმას შორის სწორი და ზუსტი გამყოფი ხაზების გავლება; მე პირადად, თუკი კეთილმოსურნე ბედმა დიდ ქალაქში მართლა შესაფერ მომენტში გადმომისროლა და დროც თავსაყარად მომამადლა, სამაგიეროდ სრულიად მომისპო ის გზები და საშუალებები, სულის დამატკბობელი აღმზრდელობითი დაწესებულებების კარს რომ გამიხსნიდა, მე წილად მხვდა მხოლოდ იმით დავკმაყოფილებულიყავი, რომ სიამითა და სიტკბოებით დახუნძლული ბაღის დიდებულ მესერზე მხოლოდ გარედან მიმეჭყლიტა სახე.

იმ დროს თავს მეტისმეტად ვინებივრებდი ძილით, მეძინა მეტწილად სადილობამდე, ხშირად უფრო გვიანობამდეც კი, ისე რომ, მერე სამზარეულოში, გაცხელებულ, ან სულაც ცივ ნარჩენებს გეახლებოდით, დავაყოლებდი ერთ ღერ სიგარეტს, რომელსაც ჩვენი მექანიკოსი საჩუქრად მაძლევდა, (რადგან იცოდა, ამ სასუსნავზე სული რომ მიმდიოდა და საკუთარი სახსრებით საყოფს ვერ ვიყიდდი) და ლორელაის პანსიონიდან ნაშუადღევს, ასე ოთხ, ხუთ საათზე გამოვდიოდი, ანუ მაშინ, როცა წარჩინებული საზოგადოების ცხოვრება თავის მწვერვალს აღწევდა, მდიდარი ქალბატონები თავიანთი ეკიპაჟებით ან სტუმრად მიბრძანდებოდნენ, ან საყიდლებზე გამოეფინებოდნენ, კაფეები ხალხით ივსებოდა და მაღაზიების დიდებულ ვიტრინებში ერთმანეთის მიყოლებით ინთებოდა სინათლეები, ერთი სიტყვით, ქუჩაში მეც მაშინ გამოვდიოდი და ქალაქის ცენტრისკენ მივხეტიალობდი, სახელგანთქმული ფრანკფურტის ხალხით სავსე ქუჩებში თვალს წყალს ვალევინებდი, გრძნობა-გონებას საზრდოს ვაწვდიდი და ამ მოგზაურობიდან ღედისეულ კერას ხშირად მხოლოდ გარიჟრაჟზე, მაგრამ მაინც დიდად მოგებული ვუბრუნდებოდი.

ახლა კი წარმოიდგინეთ ერთი უბრალოდ ჩაცმული ყმაწვილი, მარტოდმარტო, უმეგობროდ და უთვისტომოდ რომ დაეხეტება უცხო, ჭრელ ხალხში! ფული არა აქვს, რომ მართლა დაეწაფოს ცივილიზაციის სიამეთ. მათ მხოლოდ ბოძებზე გაკრულ აფიშებში ხედავს, ისე გამომწვევად ხოტბაშესხმულთ, რომ მათ დანახვაზე რეგვენსაც კი გაეღვიძება სურვილი და ცნობისმოყვარეობა (თორემ თვითონ ხომ ისედაც ზედმიწევნით მგრძნობიარეა), და აი, ასეთი კაცი იძულებულია მხოლოდ აფიშების კითხვით და ამქვეყნიურ სიამეთა დადასტურებით დაკმაყოფილდეს, უყურებს სანახაობრივ დაწესებულებათა საზეიმოდ გაღებულ კარებს და უფლება კი არა აქვს მათკენ მიმავალ ნაკადს შეუერთდეს; თვალმოჭრილი დგას ჩახჩახა სინათლეში, საკონცერტო დარბაზებიდან, ეროვნული თეატრებიდან ტროტუარს რომ ეფინება, მათ შესასვლელში ზღაპრული გოლიათივით აღმართულა ზანგი კარისკაცი, ხელში სამკუთხა ქუდი და კვერთხი უჭირავს, ჩახჩახა შუქში ფერი დაჰკარგვია მის სახესაც და მეწამული ფერის ტანსაცმელსაც, იგი კბილებს აელვარებს და დამტვრეული გერმანულით ეპატიჟება გამვლელ-გამომვლელს, მას კი არ შეუძლია მისი მიპატიჟება მიიღოს. სამაგიეროდ გრძნობები გამძაფრებული აქვს, ხოლო გონება გაფაციცებული; იგი იმზირება, იგი ტკბება, იგი აღიქვამს; ხო-

ლო თუკი პატარა. მთვლემარე ქალაქის პირმშოს თავიდან აკრთობს, აყრუებს, ლამის აშინებს კიდეც ხმაურისა და ნაირ-ნაირი სახეების შემოტევას. სამაგიეროდ დედის მუცლიდან დაჰყოლია საიმისო იუმორის გრძნობა და ძლიერი სიმტკიცე, რომ ამ ორომტრიალს ნელ-ნელა შინაგანად გაუმინაურდეს და იგი თავის განათლებისა და ცოდნის წყურვილის სამსახურში ჩააყენოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც რა მშვენიერი გამოგონებაა ვიტრინები, მაღაზიები, ბაზრები, სალონები. სავაჭროები და ფუფუნების გამოსაფენი სხვა ადგილები! ისინი თავიანთ საუნჯეს ძუნწად როდი ჩქმალავენ, პირიქით, ხელგაშლილად და მდიდრულად, ნაირ-ნაირი სახით ფენენ, ძიდებულ მინებს უკან აწყობენ და ბრწყინვალებით გარემოსილს გვთავაზობენ! ზამთარში უკვე ნაშუადღევს დღესავით გაჩახჩახებულია ხოლმე ეს გამოფენები; გაზის წვრილ-წვრილი ნათურები, ვიტრინის ქვედა ძგიდეზე ჩარიგებულნი, შუშების შექირხვლასაც უშლიან ხელს. ჰოდა, მეც იქ ვიდექი ხოლმე, სიცივისაგან მხოლოდ ყელზე შემოხვეული შალის შარფი მიფარავდა (რადგან მამაჩემის ნაქონი პალტო უმნიშვნელო საფასურად დროებით ლომბარდში გვქონდა დაგირავებული) და თვალებით ვნთქავდი ამ დოვლათს, ამ ძვირფასეულობასა და განძეულობას, არად ვაგდებდი სიცივესა და სინესტეს, ძვალ-რბილში რომ მატანდა.

ავეჯის მაღაზიების ვიტრინებში მთელი გარნიტურები იყო გამოდგმული: მკაცრი კომფორტით მოწყობილი კაბინეტები და საძინებელი ოთახები, ინტიმური ჩვეულებების ყოველ ნიუანსს რომ ამხელდნენ, მიმზიდველი მცირე სადილო ოთახები, სადაც სუფრაგადაფარებული, ყვავილებით დამშვენებული, მოხერხებული სავარძლებით გარშემორტყმული მაგიდა იდგა და ზედ ციმციმი გაჰქონდა ვერცხლეულს, ძვირფას ფაიფურსა და სიფრიფანა ჭიქებს; მკაცრად, გემოვნებით მოწყობილი დიდკაცური სალონები, კანდელაბრებით, ბუხრებითა და გობელენგადაკრული სავარძლებით დამშვენებული; თვალი ვერ მიძღებოდა ძვირფასი ავეჯის ყურებით. კოხტად მოყვანილი ფეხებით მოხდენილად რომ იდგა სპარსულ ხალიჩაზე და მათ ფეხქვეშ ხალიჩის ნაზი ფერები ღვიოდა. იქით თვალს მტაცებდა თერძების ატელიეებისა და მოდური ტანსაცმლის მაღაზიების ვიტრინები. აქ ვხედავდი მდიდრებისა და დიდკაცების გარდერობს — ხავერდის დილის ხალათებიდან, ან ატლასის დალიანდაგებული საშინაო ქურთუკით დაწყებული და საღამოს მკაცრი ფრაკით დამთავრებული, უკანასკნელ მოდაზე აჭრილი, ალებასტრივით ქათქათა საყელოთი დაწყებული და ნაზი გამაშებითა და ლაპლაპა ლაქის ფეხსაცმელებით დამთავრებული. წვრილზოლიანი თუ წიწკლებიანი მანჟეტებიანი პერანგით დაწყებული და ძვირფასი ქურქით დამთავრებული; ჩემს თვალწინ გადაშლილიყო მათი ხელბარგი, ეს ფუფუნების საწყაულები, რბილი ხბოს ტყავისაგან, ან ნიანგის ძვირფასი ტყავისაგან დამზადებულნი, ერთი შეხედვით ნაკუწებისაგან შეკოწიწებულს რომ ჰგავდნენ და მეც შევისწავლე ისინი, მდიდრული და გამორჩეული ცხოვრების აუცილებელი თანამგზავრები: ფლაკონები, ჯაგრისები, ნესესერები, დანა-ჩანგლის ფუტლიარები და პრიალა ნიკელის დაკეცი სპირტნათურები; ფანტასტიური ჟილეტები, დიდებული ჰალსტუხები, სიბარიტული საცვლები, ტარსიკონის ქოშები, ატლასის სარჩულიანი შლაპები; მათ შორის მაცდუნებელ მწკრივებად ეწყო ნატის ხელთათმანები და აბრეშუმის წინდები და მეც, ყმაწვილკაცს, უკანასკნელ, კოხტად ამოზნექილ ღილამდე შემეძლო მეხსიერებაში ღრმად ჩამებეჭდა ელეგანტური ბატონის

ალქურვილობის ყოველი წვრილმანი. საკმარისი იყო ფრთხილად და მარჯვედ ამევლო გვერდი ეკიპაჟებისა და წკარუნით მომავალი ტრამვაისათვის, რომ ქუჩის მეორე მხარეს გადავსულიყავი და მხატვრულ ნაკეთობათა ვიტრინას მივდგომოდი. იქ სილამაზის ინდუსტრიის ნაწარმს ვხედავდი, უფრო დახვეწილი და განათლებული თვალის დამატკბობელს, ასეთი გახლდათ გამოჩენილ ოსტატთა სურათები, ნაირ-ნაირ ცხოველთა ფაიფურის ფიგურები, კოხტად ჩამოქნილი კერამიკა, ბრინჯოს პატარ-პატარა ქანდაკებები. ო, რა სიამოვნებით მივეფერებოდი მათ აწევართულ, ნატიფ სხეულებს! ის ბრწყინვალება რაღა იყო, ორიოდე ნაბიჯის იქით, გაოცებისგან ადგილს რომ მიგაჯაჭვავდა? ეს გახლდათ დიდი იუველირისა და ოქრომჭედლის გამოფენა და გათოშილი ბიჭის ქინს ზღაპრული ქვეყნის მთელ ამ საგანძურს ერთი მყიფე შუშის კედელი აშორებდა. ასე არსად შერწყმია ცოდნის წყურვილს ჩემი თვალისმომჭრელი ალტაცება. მარგალიტის ფარღულები, მქრქალად მოციმციმე, ერთმანეთზე მიწყობილი ქვეშ გაფენილ მაქმანზე, ერთს შუაში ალუბლის ოდენა მარცვალი ესვა, ორთავ მხარეს პატარავდებოდა, ბრილიანტის საკინძით თავდებოდა და მთელი ქონების ფასი ედო; ბრილიანტის სამკაული, ხავერდზე დასვენებული, ცისარტყელას ფერებად მკაცრად რომ ლივლივებდა და ღირსი იყო დედოფლების ყელი, მკერდი და თავი დაემშვენებინა; ოქროს პრიალა სათუთუნეები და ბუნიკები, მინის თაროზე მაცდუნებლად დალაგებულნი; და მათ შორის დაუდევრად მიმობნეული გათლილი პატიოსანი თვლები, დიდებულ ფერებად რომ ციმციმებდნენ: სისხლივით წითელი ლალი, ზურმუხტი, ბალახისფერი და შუშასავით გამჭვირვალე; ასევე გამჭვირვალე ლურჯი საფირონი, ვარსკვლავისებურ შუქს რომ გამოსცემდა; ამეთვისტო, რომელზეც ამბობენ, მისი ნატიფი იისფერი ორგანული მინარევების წყალობააო; სადაფისფერი ოპალი, საიდანაც მიუდგები, იმისდა მიხედვით რომ იცვლის ფერს; რამდენიმე ცალი ტოპაზი და სხვა უამრავი ძვირფასი ქვა, ყველა ჯურისა და ყველა ფერისა; მათ ცქერაში მხოლოდ გრძნობას როდი ვიამებდი, მე მათ ვსწავლობდი, ღრმად ვუკვირდებოდი, აქა-იქ დადებული ფასის ამოკითხვას ვცდილობდი, ერთმანეთს ვუდარებდი ქვებს, თვალით ვწონიდი, აქ პირველად გავაცნობიერე ჩემი სიყვარული პატიოსანი თვლებისადმი, ამ უბრალო მასალისაგან შექმნილი კრისტალებისადმი, რომლებიც მხოლოდ ბუნების ჭირვეულობის წყალობით შერწყმულიყვნენ ძვირფას შენაერთებად, და სწორედ მაშინ ჩავუყარე საძირკველი ჩემს შემდგომ უზადო განსწავლულობას ამ ჯადოსნურ სფეროში.

ღირს კი გავაგრძელო სიტყვა ყვავილების მაღაზიებზე, კარის გაღებისთანავე სამოთხის ნელთბილ, ნოტიო სურნელებას რომ აფრქვევდნენ, ხოლო მათ ფანჯრებში ატლასის დიდრონი ბაფთებით შემკული აყვავებული კალათები მოჩანდა, აი, ისეთი, ყურადღების ნიშნად მანდილოსნებს რომ უგზავნიან? ვილაპარაკო თუნდაც საკანცელარიო ნივთების მაღაზიებზე, რომელთა ვიტრინებში გამოფენილი საქონელი მასწავლიდა, რომელი ქაღალდი უნდა აერჩია წარჩინებულ კაცს თავის კორესპონდენციების დასაწერად და ზედ თავისი ინიციალები, გვირგვინი და გერბი როგორ უნდა დაესვა? ან პარფიუმერებისა და პარიკმახერების ვიტრინებზე, სადაც თლილ ფლაკონებში ჩასხმული ნაირ-ნაირი ფრანგული სუნამოები და ესენციები ელაგა, ხოლო ხავერდგადაკრულ ფუტლიარებში ფრჩხილების მოსავლელი და სახის მასაჟის გასაკეთებელი იარაღი ეწყო? ჭვრეტის ნიჭი (მე იგი მომადლებული მქონდა და

იმ დროს ის იყო მთელი ჩემი ავლადიდება) უეჭველად აღმზრდელობითი ბუნებისაა, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ყურადღების საგანს მიმზიდველ-განმანათლებელი, ნივთიერი გამოფენები შეადგენენ, მაგრამ რამდენად უფრო ძლიერად აღვივებს გრძნობას სხვაგვარი ჭვრეტა, ადამიანის თვა-ლე[illegible] რის საშუალებასაც ჯერ გაძლევს თავის მდიდრულ კვარტალებში [illegible] ლაქი, მე კი იქ არხეინად მიმოვდიოდი, და წარმოიდგინეთ, უსულო საგნებთან შედარებით ვინმე სულიერი რა განსხვავებულად დაიპყრობდა გრძნობაგამახვილებული ყმაწვილის თვალსა და ყურადღებას!

ო, მშვენიერი სამყაროს სურათებო! თქვენ არასოდეს გრგებიათ ჩემს თვალზე უფრო მგრძნობიარე თვალი! უფალმა უწყის, სევდის აღმძვრელ სურათთაგან მაინცდამაინც იმ ერთმა რატომ ამაღელვა, ის ერთი სურათი რად ჩამრჩა ასე გულში, მიუხედავად თავისი უმნიშვნელობისა, ლამის არარაობისა, დღესაც კი აღტაცებით რომ მავსებს და მახარებს, ცდუნებას ვერ ვუძლებ, რომ იგი არ დაგიხატოთ, თუმცა მშვენივრად ვიცი, რომ მთხრობელმა — მე კი ამ ფურცლებზე მის როლში გამოვდივარ — მკითხველს ისეთი ეპიზოდებით არ უნდა მოაბეზროს თავი, რომელთაგან, უხეშად რომ ვთქვათ, „არაფერი გამოდნება", რადგან ისინი, იმ მთავარს, რასაც მოქმედების განვითარებას ვეძახით, ვერაფრით ეხმარებიან. თუმცა იქნებ შენი ცხოვრების აღწერისას უფრო მეტი უფლება გეძლევა ხელოვნების კანონების ნაცვლად საკუთარი გულის კარნახს მისდიო?

ერთხელ კიდევ ვიმეორებ, ეს სურათი მხოლოდ მომხიბლავი გაზლდათ და მეტი არაფერი. მოქმედება ჩემს თავზემოთ ხდებოდა, დიდი სასტუმროს ბელეტაჟის ღია აივანზე, ნაშუადღევს აივანზე გამოვიდა — დიახ, ბოლოში გიხდით, მაგრამ მართლა ასეთ უბრალო ამბავს გიყვებით — ორი ახალგაზრდა სულიერი, ჩემსავით ახალგაზრდები, ისინი ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ ნამდვილად და-ძმანი იყვნენ, იქნებ ტყუპებიც კი, პატარა ბატონი და პატარა ქალბატონი ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ ზამთრის სუსხიან დღეს აივანზე. აცელქებულებს არც თავზე ეხურათ რამე და არც პალტოები ეცვათ. შესახედავად ოკეანის გაღმელებს ჰგავდნენ, ასეთი შავთმიანები ან ესპანურ-პორტუგალიური ჯიშის სამხრეთამერიკელები იქნებიან, ან არგენტინელები, ან ბრაზილიელები, ანდა იქნებ სულაც ებრაელები არიან-მეთქი, გულში ვჭორობდი მე, ოღონდ ამ უკანასკნელი ვარაუდის გამო ბიურგერულ გრძნობებს სულაც არ მინდოდა ავყოლოდი და ჩემი აღტაცება არც შენელებულა — ებრაელთა ტომის ფუფუნებაში გაზრდილი ბავშვები ძალიანაც მიმზიდველნი გამოდიან ხოლმე, ორივენი ლამაზები იყვნენ — ძნელი სათქმელია, რომელი რომელს ჯობდა, ერთი კია, რომ ბიჭი გოგონას სილამზით არ ჩამოუვარდებოდა. ორივეს საგარეო ტანსაცმელი ეცვა, ბიჭს მარგალიტის საკინძეები ეკეთა, გოგონას გრუზა შავ თმაში ბრილიანტებას მოოჭვილი ჯილა ედგა, ხოლო მკერდზე ბრილიანტისავე გულსაბნევი დაემაგრებინა, იქ, სადაც პირისფერი ხავერდის საპრინცესო კაბას ისეთივე ფერის გამჭვირვალე გიპიური ჰქონდა ჩადგმული. კაბას გიპიურისავე სახელოები ამშვენებდა.

როგორ მაკანკალებდა, მათ ტანსაცმელს არაფერი მოსვლოდა, რადგან დავინახე, რამდენიმე ფანტელი როგორ დააფრინდათ შავ ხუჭუჭა თმაზე და ზედ შერჩათ. ბოლოს და ბოლოს, და-ძმის ეს ბავშვური თამაში ორ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა, პირმომღიმარნი მოაჯირს გადმოეკიდნენ, ერთმანეთს დაანახეს, ქუჩაში რა ხდებოდა, შემდეგ თითომ სიცივისაგან შე-

აკანკალით, ტანისამოსზე შერჩენილი თითო-ოროლა ფანტელი ჩამოიბერტყეს და ოთახში შეცვივდნენ, სადაც იმწამსვე აინთო სინათლე. ისინი აღარ ჩანდნენ, თვალს მიეფარა წამიერი ზეალმტაცი ფანტასმაგორია, გაქრა, განუმეორებლად და სამარადისოდ. მე კი კვლავ დიდხანს ვიდექი ფანჯრის ბოძს აკრული, მათი აივნისკენ ვიყურებოდი, ვცდილობდი ფიქრით მათ ყოფაში შევჭრილიყავი და არა მარტო იმ ღამით, კიდევ მრავალ მომდევნო ღამეს, ხეტიალითა და ჭვრეტით დაღლილ-დაქანცული სამზარეულოში ჩემს მერხზე რომ მივეგდებოდი, ძილში ისინი მესიზმრებოდნენ.

სიყვარულის სიზმრები, ალტაცების, ერთმანეთთან შერწყმის სიზმრები, სხვაგვარად მათ ვერ მოვიხსენიებ, თუმცა ისინი ერთ ფიგურას კი არა, ორმაგ არსებას დასტრიალებდა თავს, ერთი წამით თვალმოკრულ და-ძმას, სხვადასხვა სქესის არსებებს, ჩემი და საპირისპირო სქესის, ანუ მშვენიერი სქესისას. ოღონდ მშვენიერება აქ ორმაგობაში, ორთა საამურ სწორფერობაში იმალებოდა და სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ აივანზე მხოლოდ ყმაწვილის გამოჩენა, თუნდაც თავის მარგალიტის საკინძეთი, ოდნავად მაინც თუ აღმანთებდა; და ასევე საფუძვლიანი ეჭვი მიჩნდება, მხოლოდ გოგონას დანახვა, მისი ძმის გარეშე, შესძლებდა თუ არა ჩემი გული და გონება ასეთ ტკბილ ზმანებაში გაეხვია. სიყვარულის სიზმრები, სიზმრები, რომლებიც მიყვარდა, ასე ვთქვათ, მათი პირველყოფილი განუყოფლობისა და ბუნდოვანების გამო, რადგან ისინი ორაზროვანნი, ან იქნებ სულაც სრულმნიშვნელოვანნი იყვნენ და ყოველივეს, გამაოგნებლად ადამიანურს, ორივე სქესით გამოხატულს აერთიანებდნენ.

ეჰეი, მეოცნებევ და ბუზიყლაპიავ! მესმის მკითხველის შეძახილი, შენი ფათერაკები სადღაა? იქნებ ფიქრობ მთელი წიგნის მანძილზე შეგვიყოლიო ასეთი მგრძნობიარე მიეთ-მოეთით, ანუ შენი ბიწიერი მოთენთილობისაგან აღძრული ეგრეთ წოდებული განცდებით? მაშ, სანამ პოლიციელმა არ გაფრინა, ცხვირ-პირი გქონდა მოჭყლეტილი დიდრონ შუშებზე, კრემისფერ ფარდებს შუა დარჩენილი ჭუჭრუტანიდან ძვირფას რესტორნებში იჭყიტებოდი, ან სამზარეულოს გისოსებიანი ფანჯრიდან გადმოფრქვეული სურნელებით გაბრუებული იდექი და შესცქეროდი, ფრანკფურტის რჩეულ საზოგადოებას როგორ მოხდენილად ემსახურებოდნენ კელნერები, როცა ისინი ვახშამს მიირთმევდნენ პატარა მაგიდებთან, რომლებზეც თალფაქიანი სანთლები და იშვიათი ყვავილებით სავსე ბროლის ლარნაკი იდგა? დიახ, ასე ვიქცეოდი და მართალი გითხრათ, გაოგნებული ვარ, რა ზუსტად გამოუცვნია მკითხველს, როგორ ვტკბებოდი ლამაზი ცხოვრებისთვის მოპარული თვალის სეირით, ისე ზუსტად გამოუცვნია, თითქოს თვითონ მდგარიყო ზემოხსენებულ შუშებზე ცხვირმიჭყლეტილი. რაც შეეხება ჩემს „მოთენთილობას“, იგი სულ მალე მიხვდება, რა მცდარია ეს შეხედულება და, როგორც ჯენტლმენს შეეფერება, ბოდიშის მოხდით თავის სიტყვებს უკანვე წაიღებს. აქვე მოგახსენებთ, რომ მხოლოდ უქმ ჭვრეტას როდი ვუნდებოდი, მე ვეძებდი და ვპოულობდი კიდეც შეხების წერტილებს იმ სამყაროსთან, რომლისკენაც მთელი არსებით მივისწრაფოდი, სახელდობრ, სპექტაკლის დამთავრებისას თეატრის წინ ვტრიალებდი და, როგორც მარჯვე და თავაზიან ყმაწვილს შეეფერებოდა წარჩინებულ საზოგადოებას, მშვენიერი ხელოვნებით აღგზნებული, გაცხარებულ საუბარში გართული რომ მოედინებოდა თეატრის შენობიდან, დროშკის დაჭერაში ვეხმარებოდი, ან თაეიანთივე ეკიპაჟებს ვაგებებდი, ზო-

გჯერ ეკიპაჟს ლამის შევარდნილვარ, რომ იგი თეატრის ჩარდახს შეფარებული მუშტრის წინ შემეჩერებინა, ან ქუჩას კარგა მანძილზე ავყოლივარ, რომ ეტლი დამეჭირა, ეტლს დავიჭერდი, მეეტლეს კოფოზე შემოვუჯდებოდი, ლაქიასავით სწრაფად ჩამოვხტებოდი, კარს გავაღებდი და მომლოდინეთ [illegible] ისე თავაზიანად ვუკრავდი, რომ საგონებელში ვაგდებდი. ლანდოების და კარეტების ადგილზე მისაყვანად მათ ბედნიერ მფლობელს სახელსა და გვარს პირფერულად ვეკითხებოდი, ხოლო მერე ერთი სიამოვნება იყო ამ სახელებს მათ ტიტულებთან ერთად წკრიალა ხმით რომ ვიძახდი: საიდუმლო მრჩეველი შტრაიზანდი! გენერალური კონსული აკერბლომი! პოლკოვნიკი ფონ შტრალენჰაიმი ან ადელებსენი! და მათ ეკიპაჟს ასე ვუხმობდი, ზოგიერთი სახელი და გვარი ისე ძნელი გამოსათქმელი გახლდათ, რომ მათი პატრონები გვარის დასახელებაზე ყოყმანობდნენ, ვაითუ ვერ დაიმახსოვროს და ვერ გაიმეოროსო. მაგალითად, ერთ ღირსეულ წყვილს, რომელთაც გასათხოვარი ქალიშვილიც ახლდა, ასეთი გვარი ჰქონდა: კრეკი დე მონტ-ან-ფლორ. რომ იცოდეთ, რა ნასიამოვნები დამრჩნენ სამივენი, თავიანთი გვარი ბოლოს და ბოლოს რომ გამანდეს და მეც კორექტულად და ელეგანტურად, მამლის ყივილივით მივაწვდინე საკმაოდ შორს გაჩერებულ მათ შინაურ მეეტლეს ეს კრაჭუნა და ნარნარი ბგერებისაგან შემდგარი, ნაზალურ და ყვავილოვან პოეზიაში გარდამავალი კომპოზიცია (მოგეხსენებათ, „ფლორ" ფრანგულად ყვავილს ნიშნავს). მანაც არ დაახანა და სულ მალე მოაყენა კარს თავისი ძველმოდური, მაგრამ კარგად გარეცხილი კარეტა, რომელშიც ნაპატივები ზერდაგები ჰყავდა შებმული.

ორიოდე მონეტა, არცთუ იშვიათად ვერცხლისა, ჩამიცურდებოდა ხოლმე ხელში ასეთი სამსახურისთვის, მაგრამ ჩემს გულს უფრო სათუთი და იმედისმომცემი გასამრჯელო ეფონებოდა: წარჩინებული სამყაროს მხრიდან შეცბუნებისა და ყურადღების უცაბედი გამოვლინება, ალტაცებანარევი, შემფასებელი მზერა, მოულოდნელობითა და ცნობისმოყვარეობით აღსავსე ღიმილი; ხედავთ, რა რუდუნებით ჩამიბეჭდავს გულში ეს უსიტყვო წარმატებები, რომ დღესაც კი შემიძლია გავიხსენო ყველა თუ არა, მათგან შედარებით მნიშვნელოვანი მაინც.

ღრმად თუ ჩავუკვირდებით, საოცარი ამბის მოწმენი გავხდებით. საოცარია ადამიანის თვალი, ეს ყოველგვარი ორგანული შენაერთის გვირგვინი, როცა იგი შეჩერდება, რათა თავისი სველი ელვარება მთლიანად სხვა რომელიმე თავისნაირი არსებისაკენ მიმართოს; ეს ძვირფასი ლაბა, რომელიც, ყველა სხვა წარმონაქმნის მსგავსად, ჩვეულებრივი მატერიისაგან შედგება და პატიოსანი თვლებისა არ იყოს, ათვალსაჩინოებს, რომ მთავარია არა მასალა, არამედ მისი გონებამახვილური და ბედნიერი შენაერთი; ეს ჩვენი თვალის ფოსოში ჩალექილი ლორწო საიმისოდაა განწირული, ოდესმე უსულო სხეულის სახით სამარეში ჩავიდეს და კვლავ თხიერ ტალახს შეუერთდეს, მაგრამ სანამ მასში სიცოცხლის ნაპერწკალი ღვივის, უცხოობის ყოველ უფსკრულზე რაც კი ადამიანებს შორის შეიძლება არსებობდეს, ესოდენ მშვენიერი ეთეროვანი ხიდის გადება ძალუძს!

სათუთ და ნარნარ საგნებზე ასევე სათუთად და ნარნარად გვმართებს საუბარი, და ამგვარად, დამატებითი დაკვირვებანიც ფრთხილად უნდა მოვიშველიოთ. მხოლოდ ადამიანური ურთიერთობის ორივე პოლუსზე, იქ, სადაც არ არსებობს, ან აღარ არსებობს სიტყვები, ურთიერთმზერაში და ერთმანეთის

მკლავებში შეიძლება ბედნიერება ჰპოვო, რადგან მხოლოდ იქ არსებობს უსათუობა, თავისუფლება, იდუმალება და სრული მოურიდებლობა, ყველაფერი ის, რაც ამ კავშირისა და ურთიერთობის მიღმა ძევს, დუნეა და დუხჭირია, იგი ფორმალობით და ბიურგერული შეთანხმებებითაა განსაზღვრული, განპირობებული და შეზღუდული. იქ მეფობს სიტყვა, ეს უნიათო, [illegible] წარმონაქმნი, მოხმობილი, მოთოკილი ზნეობის ეს პირველი [illegible] უცხობუნების ცვალებადი და მუნჯი სფეროსათვის, რომ შეიძლება ითქვას, თავისთავად აღებული ყოველი სიტყვა თვიდანვე ცარიელი ფრაზაა და მეტი არაფერი. ამას ვამბობ მე, ვინც ჩემი ცხოვრების აღწერას შევუდექი და ამ თავსაც არ ვიზოგავ. იგი ბელეტრისტული თვალსაზრისით რაც შეიძლება უკეთესი გამომივიდეს. და მაინც, ჩემი სტიქია არ არის ამბის სიტყვიერი გადმოცემა; ჩემი ჭეშმარიტი ინტერესი მას არ დასტრიალებს. იგი უფრო ადამიანური ურთიერთობების უკიდურესი, უსიტყვო სფეროებისკენაა მიმართული. უპირველეს ყოვლისა კი იმათკენ, სადაც უცხოობა და ბიურგერული განმხოლობა კიდევ ერთ პირველყოფილ მდგომარეობას ინარჩუნებს და მისი წყალობით ადამიანთა მზერა ერთმანეთს უპასუხისმგებლოდ ერწყმის საოცნებო ბედნიერებაში; მეორე რიგში კი მათკენ, სადაც შესაძლო სიახლოვე, ერთიარსებადქცევა და შერწყმა იმ უსიტყვო, პირველყოფილ მდგომარეობას ყველაზე უფრო სრულყოფილად აღორძინებს.

## მეხუთე თავი

განვაგრძობ თხრობას, მაგრამ მკითხველს სახეზე ვამჩნევ წუხილს, საჩოთირო საკითხებზე ამდენ მიეთ-მოეთში, თავისივე ქარაფშუტობით სამხედრო ვალდებულების საქმე არ მიავიწყდესო. ამიტომ ვეშურები დავარწმუნოთ, რომ ჩემი გასაჭირი არათუ არ დამივიწყებია, არამედ განუწყვეტლივ და არც თუ გულისწუხილის გარეშე ვფიქრობდი ამ ფატალურ საკითხზე და იგი მხედველობის არედან არასოდეს გამიშვია. ცხადია, იმ ზომით, როგორც გულში შემოვიხსნიდი ამ საძულველ მარყუჟს, ჩემი გულისწუხილი ხალისიან გულისფანცქალში გადაიზრდებოდა, რასაც მაშინ ვგრძნობთ ხოლმე, როცა დავაპირებთ ჩვენი ნიჭი და უნარი რომელიმე დიდ, უფრო სწორად, უზარმაზარ ამოცანას მივაზომოთ, და... არა, ახლა კი ლაგამი უნდა ამოვდო კალამს და ცდუნებასაც გავუძლო, რომ ყველაფერი წინასწარ არ გიამბოთ. რაკი თანდათან კიდევ უფრო განმიმტკიცდა განზრახვა, ეს მცირე თხზულება, თუკი საერთოდ გავედი ბოლოში, ოდესმე გამომცემლობას გადავცე და გამოვაქვეყნო, მაშინ არ შემპატიება, იმ მთავარ წესებსა და მაქსიმებს არ დავემორჩილო, ცნობისმოყვარეობისა და დაძაბულობის გაღვივების მიზნით შემოქმედნი რომ იყენებენ ხოლმე; უჩემ შეცდომად ჩამეთვლება, სულსწრაფობას თუ ვჰყევი, ყველაზე საინტერესო ამბები თუ წინასწარ წამოვროშე და ნაადრევად გავხარჯე ტყვია-წამალი.

მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ საქმეს გამოწვლილვით, ლამის მეცნიერულად მივუდექი და თავსაც ჩავაგონე, მოსალოდნელი სიძნელეები არ დამეკნინებინა. ალალბედზე სერიოზული საქმის დაწყება არასოდეს მჩვეოდა, პირიქით, უფრო იმას ვცდილობდი, ზრბოს თვალში დაუჯერებელი გაბედულება ცივ განსჯასა და ფაქიზ წინდახედულობასთან შემეთავსებინა, რათა ბოლოს მარცხი, სირცხვილი და დაცინვა მეწვნია და ეს მეთოდი ყოველთვის

მიმართლებდა ხოლმე. ამჯერადაც ის არ ვიკმარე, რომ საფუძვლიანად შევისწავლე სამედიცინო შემოწმების პროცესი, ხერხები და მოთხოვნები (ამ საქმეში ნაწილობრივ ჩვენს მდგმურთან, სამხედროსამსახურგამოვლილ მექანიკოსთან საუბარში გავთვითცნობიერდი, დანარჩენი კი მრავალტომიანი პოპულარული ცნობარის მეშვეობით შევითვისე, რომელიც თავის განყოფილებით უკმაყოფილო მექანიკოსს ოთახში ელაგა), ჩემი გეგმა ზოგადი შტრიხებში მოვხაზე თუ არა, კარეტების მიგებებაში ნაშოვნი თანხიდან მარკანახევარი გადავანარჩუნე, ერთი წიგნის მაღაზიის ვიტრინაში გამოფენილი სამედიცინო თხზულება შევიძინე და სარგებლობის გამოტანის მიზნით ბეჯითად ჩავუჯექი.

ისევე როგორც გემს სჭირდება ქვიშის ბალასტი, ასევე აუცილებელია ტალანტისათვის ცოდნა, მაგრამ ერთი პირობით: ნამდვილად მხოლოდ იმ ცოდნას ვითვისებთ, ანუ მხოლოდ ისეთი ცოდნის შეთვისების უფლება გვაქვს, რაც განსაცდელში ჩავარდნილ ტალანტს სჭირდება, მაშინ იგი დამშეულივით დააცხრება ხოლმე ცოდნის წყაროს, რათა ორივე ფეხით მტკიცედ დადგეს დედამიწაზე და სოლიდური არსებობა გაინაღდოს. რაც შეეხება ზემოხსენებული ბროშურის მასალას, იგი უდიდესი ხალისით შთანვთქე, მერე ჩვენს სამზარეულოში, სარკის წინ ანთებულ სანთელთან განვმარტოვდი და მოპოვებული ცოდნა ისეთ პრაქტიკულ სავარჯიშოებად ვაქციე. შორიდან მაყურებელს გიჟი ვეგონებოდი, თორემ მე კი ვიცოდი, მათი მეშვეობით მკაფიოდ გამოკვეთილი, ჭკვიანური მიზნები რომ უნდა განმეხორციელებინა. მორჩა, მეტს აღარაფერს ვიტყვი! ჩემი მკითხველი კი ამ წუთიერ დანაკლისს მალე აინაზღაურებს,

იანვრის მიწურულშივე, მოქმედი წესდების თანახმად, სამხედრო დაწესებულებას საკუთარი ხელით დაწერილი განცხადება გავუგზავნე, განცხადებას დავურთე დაბადების მოწმობა, რომელიც სრულ წესრიგში გახლდათ, და პოლიციის უბანში აღებული დახასიათება, რომლის თავშეკავებული, უარყოფითი ფორმით გადმოცემული შინაარსი (ანუ ის, რომ ჩემს შესახებ მათთვის ცუდი არაფერი იყო ცნობილი) ბავშვივით მაგულისებდა და მანერვიულებდა. და აი მარტში, როცა გაზაფხულმა ჩიტების ჭიკჭიკითა და საამო ნიავით თავაზიანად გვამცნო თავისი მობრძანება, უწყება მივიღე, რის თანახმადაც ჩემი პერსონით გასაწვევ პუნქტში პირველ შემოწმებაზე უნდა წარვმსდგარიყავი და მეც მეოთხე კლასის ვაგონით ვისბადენისკენ საკმაოდ გუნებამოშხამული გავემგზავრე: მშვენივრად ვიცოდი, ჩემი ბედი დღეს რომ არ გადაწყდებოდა, თითქმის ყველას უწევდა კიდევ ერთი ინსტანციის, ანუ ეგრეთ წოდებული უმაღლესი კომისიის გავლა, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა წვევამდელთა ვარგისიანობის საკითხი. მოლოდინი გამართლდა. შემოწმება ხანმოკლე, ზერელე და უმნიშვნელო გამოდგა და იმ დღის მოგონებანი მალე გამიფერმკრთალდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ სიგრძე-სიგანე გამიზომეს, ფილტვებს მოუსმინეს, რაღაც-რაღაცეები გამომკითხეს, მაგრამ დასკვნაში არაფერი ჩაუწერიათ. ჯერჯერობით გამომიშვეს და მეც, გრძელ თოკზე გამობმულივით თავისუფალმა, სამკურნალო წყლებით მდიდარი კურორტის დიდებული პარკები მთვიარე, თვალს წყალი დავალევინე, ვისიამოვნე კურჰაუსის კოლონადებში ჩარიგებული მდიდარი მაღაზიების თვალიერებით და იმავე დღეს შინ, ჩემს ფრანკფურტში დავბრუნდი.

მაგრამ გაიარა კიდევ ორმა თვემ (მაისის ნახევარი უკვე ჩავლილი იყო

და ჩვენს მხარეში ნაადრევი ზაფხულის სიცხეები დაიჭირა) და მიიწურა ჩემი ვადა, ის გრძელი თოკი. მე რომ ხატოვნად მოვიხსენიე, უკვე გადახვეული იყო. სხვა გზა აღარ მქონდა, კომისიის წინაშე უნდა წარვმსდგარიყავი. და აი კვლავ გულაჩქროლებული ვიჯექი ვიწრო სკამზე. ათასი ჯურის მდაბიო ხალხთან ერთად ვისხდენით მატარებლის მეოთხე კლასის ვაგონში და ორთქლის ფრთებს მინდობილი ჩემი ბედ-იღბლის გადასაწყვეტად მივეშურებოდი. სულისშემხუთველ სიცხეში ჩემს თანამგზავრებს ეყვინთებოდათ, მე კი თავს მოდუნების უფლებას არ ვაძლევდი; ფხიზელი და შემართული ვიჯექი სკამზე, ჩემდაუნებურად ვცდილობდი საზურგეს არ მივყრდნობოდი და ის ვითარება წარმომედგინა, სადაც თავის გადარჩენა უნდა მეცადა, თუმცა გამოცდილებით ვიცოდი, რომ ყველაფერი სულ სხვანაირად წარიმართებოდა და არა ისე, როგორც წინასწარ წარმოვიდგენდი. თუკი ჩემს განცხადებაში სიხარულს შიში ენაცვლებოდა, იმიტომ არა, თითქოს სერიოზულად მაფიქრებდა ამ საქმის დასასრული. საბოლოოდ და მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, უკიდურეს ნაბიჯსაც არ მოვერიდებოდი, დიახ, თუ საჭირო გახდებოდა, მთელ ფიზიკურ და სულიერ ძალებს მოვიკრებდი (უამისოდ, ჩემი აზრით, საერთოდ არ ღირს ნებისმიერი გამორჩეული საქმის წამოწყება) და ერთი წამითაც არ მეპარებოდა ეჭვი, რომ წარმატებასაც მივაღწევდი. მხოლოდ ერთი რამ მაშინებდა: კარგად არ ვიცოდი, რა ძალა უნდა დამეხარჯა, მღელვარებისა და მგზნებარების რამოდენა მსხვერპლი უნდა გამეღო ჩემი მიზნის მისაღწევად. ეს გახლდათ ერთგვარი სინაზის გამომჟღავნება საკუთარი თავის მიმართ, რაც ოდითგანვე მჩვეოდა და ეს სინაზე, ასევე თანდაყოლილ ვაჟკაცურ თვისებებს რომ არ გაეწონასწორებინა, სულ ადვილად შეიძლებოდა სისუსტედ და სილაჩრედ გარდაქმნილიყო.

ახლაც თვალწინ მიდგას ის დაბალჭერიანი, დირეებიანი უზარმაზარი დარბაზი, საითაც სალდათურად, უხეშად მიმითითეს. და მორიდებულად რომ შევაბიჯე, იქაურობა ახალგაზრდებით გაჭედილი დამიხვდა. იმ უსიხარულო დარბაზს ქალაქის განაპირას მდებარე, დანგრევის პირას მისული, გაპარტახებული ყაზარმის პირველი სართული ეჭირა და მისი ოთხივე უფარდო ფანჯარა ყოველნაირი ხარახურით, თუნუქის კოლოფებით, ნაგვითა და ნარჩენებით სავსე თიხნარ მინდორში იცქირებოდა. იქ, უბრალო სამზარეულო მაგიდას უჯდა ულვაში უნტეროფიცერი თუ ფელდფებელი, წინ საქაღალდეები და საწერი მოწყობილობა ედგა და სათითაოდ იძახებდა იმათ, ვინც თავის ბუნებრივი სახის მისაღებად ცალფა კარით პატარა ოთახში უნდა შესულიყო. ამ გამოცალკევებული სათავსოდან დიდ ოთახში გავდიოდით, სადაც თვით შესამოწმებელი არენა გველოდებოდა. სამხედრო რწმუნებულის უხეში მანერები ჩვენს დასაფრთხობად იყო გათვალისწინებული. იგი ხშირ-ხშირად პირუტყვულად ამთქნარებდა, იზმორებოდა. ან იმათ მეცნიერულ ხარისხს ამასხარავებდა, ვისაც შემოწმებაზე გასასვლელად იძახებდა ხოლმე.

— ფილოსოფიის დოქტორი! — იძახდა ის და გესლიანად იცინოდა, თითქოს უნდოდა ეთქვა, გვაცალე, მალე გამოგიბერტყავთ თავიდან შენს ფილოსოფიასო. მე კი ეს ყველაფერი გულში მხვდებოდა და შიშსა და ზიზღს აღმიძრავდა.

წვევამდელთა შემოწმება სრული სვლით მიდიოდა, მაგრამ წინ მაინც ნელა მიიწევდა და რაკი ანბანურ რიგს იცავდნენ, ისინი, ვისი გვარიც ანბანის ბოლო ასოთი იწყებოდა, თავიდანვე ხანგრძლივი ლოდინისთვის იყვნენ

განწირულნი, დარბაზში, სადაც სულ სხვადასხვა ფენის ყმაწვილებს მოეყარათ თავი, მძიმე სიჩუმე სუფევდა. აქ დაინახავდით ბეჩავ, რეგვენ გლეხებსა და ქალაქის პროლეტარიატის შარიან წარმომადგენლებს; ვითომ კულტურულ ვაჭრის შეგირდებს და ხელოსანთა უბრალო შვილებს; ერთი მსახიობთა წრის წარმომადგენელიც გვერია, რომელიც თავის სიმსუქნითა და მჭექარე ბარიტონით მალულ ღიმილს გვგვრიდა. აქვე იყვნენ გაურკვეველი პროფესიის, თვალებამოღამებული ყმაწვილები, უსაყელონი, ფეხზე გაცვეთილი ლაქის წაღები რომ ეცვათ; ახლად გიმნაზიადამთავრებული დედიკოს შვილები და უკვე ხანგადასული მამაკაცები, წამახულწვერიანნი, ფერმკრთალნი, სწავლულისათვის დამახასიათებელი სუსტი აღნაგობის, მათთვის შეუფერებელი სიტუაციით გაღიზიანებულნი დარბაზში დააბიჯებდნენ. სამი თუ ოთხი წვევამდელი, რომელთა გამოძახების რიგი ეს-ესაა უნდა დამდგარიყო, პერანგისამარანი და ფეხშიშველნი, უკვე კართან იდგნენ, ტანისამოსი მკლავზე ჰქონდათ გადაკიდებული, ხოლო ფეხსაცმელი და ქუდი ხელში ეჭირათ. ერთნი დარბაზის კედლებზე გაყოლებულ ვიწრო მერხებზე ისხდნენ, ზოგი ფანჯრის რაფაზე ნახევრად ჩამომჯდარიყო. ერთმანეთთან ნაცნობობა გაებათ და თავიანთ ჯანმრთელობასა და მოსალოდნელ მსჯავრზე საუბრობდნენ. ხანგამოშვებით, ოღონდ, არავინ იცოდა, რა გზებით და რა არხებით, სხდომათა დარბაზიდან ხმები გამოდიოდა, ვარგისად ცნობილთა რიცხვი უკვე ძალიან დიდია და შეუმოწმებელთა შანსი იზრდებაო, მაგრამ ამ ცნობის შემმოწმებელი არავინ იყო, ხუმრობა, უწმაწური დაცინვა უკვე გამოძახებულთა მისამართით, რომლებიც თითქმის შიშველნი იდგნენ დანარჩენების თვალწინ, ბრბოში აქა-იქ გაისმოდა და სულ უფრო და უფრო ხმამაღალ სიცილს იწვევდა, სანამ მაგიდასთან დაბრძანებული ფორმიანი კაცი არ დაიღრიალებდა და კვლავ სიჩუმეს არ დაამყარებდა.

მე პირადად, ჩემი ჩვეულებისამებრ, განმარტოებით ვიდექი, უსაქმო ლაყბობასა და უხეშ ლაზღანდარობაში არ ვებმებოდი და სიტყვას ცივად ვუგდებდი ბანზე, თუ ვინმე გამომელაპარაკებოდა. ვიდექი ღია ფანჯარასთან (რადგან დარბაზში აუტანელი სუნი იდგა), ხან უდაბურ მიდამოს გავყურებდი, ხან დარბაზში თავშეყრილ ჭრელ ხალხს და დრო ასე გამყავდა. სიამოვნებით შევიჭვრეტდი მეზობელ ოთახში, სადაც განმსჯელი კომისია იჯდა, რომ ერთხელ მაინც მომეკრა თვალი შტაბის ექიმისათვის, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო და მეც თავს ჩავაგონებდი, მის პიროვნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ჩემი ბედი მის ხელთ კი არა, მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ხელშია-მეთქი. მოწყენილობისაგან ირგვლივ ყველას გული ჰქონდა შეღონებული, მე კი სულ არ მომწყენია, რადგან ჯერ ერთი, ბუნებით მომთმენი ვიყავი, უსაქმოდ დიდხანს შემეძლო გაძლება, მიყვარდა თავისუფალი დრო, რომელიც გამომთაყვანებელ საქმიანობას არ გაჰყავს, არ ნთქავს და არ აფრთხობს; გარდა ამისა, სულაც არ მეჩქარებოდა იმ გაბედულ და მძიმე ამოცანასთან შეჭიდება, მე რომ მელოდა, პირიქით, კიდეც მიხაროდა, რომ ხანგრძლივი თავისუფალი დრო ძალების მოკრების, შერჩევისა და მომზადების საშუალებას მაძლევდა.

შუადღემ მოაწია, როცა ჩემს ყურს კ-ზე დაწყებული გვარები მოსწვდა, მაგრამ თითქოს ბედი მელაციცებაო, დღეს ასეთი მეტისმეტად ბევრი აღმოჩნდა, არ იქნა და აღარ ჩამოთავდა ეს კამახერები, კელერმანები და კილიანები, კნოლები და კროლები, ასე რომ, როცა ბოლოს და ბოლოს ჩემი გვარი

გამოაცხადეს, სავალდებულო სამზადისს საკმაოდ ნერვებაშლილი და დაქანცული შევუდექი. ისე კი, უნდა მოგახსენოთ, რომ გაჯავრებამ არამცთუ ავნო ჩემს განზრახვას, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა იგი.

სადღეისოდ ერთ-ერთი იმ გახამებულ პერანგთაგანი ჩავიცვი, ჩემმა ნათლიამ ცხოვრებაში გასასვლელად რომ მისახსოვრა და თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდი, მაგრამ წინასწარ ვიფიქრე, აქ ძვირფასი პერანგი კარგ შთაბეჭდილებას მოახდენს-მეთქი და აი, ახლაც ვიდექი კაბინეტის შესავლელთან, უჯრებიან, გაცვეთილ ჩითის პერანგებში გამოწყობილ ორ ყმაწვილს შორის და თავს თამამად ვგრძნობდი. თუ არ ვცდები, დარბაზში ჩემი მისამართით დამცინავი სიტყვა არავის დასცდენია. თვით მაგიდასთან მჯდომმა სერჟანტმაც კი პატივისცემით შემომხედა, საერთოდ, ხელქვეითობას მიჩვეულ ადამიანებს არასოდეს ღალატობთ მათთვის მიუწვდომელი სინატიფისა და მოხდენილობის დაფასების უნარი. ისიც კარგად შევამჩნიე, რომ იგი თავის სიაში გულდასმით იცქირებოდა და იქ ჩაწერილ მონაცემებს ჩემს გარეგნობას უდარებდა; ამ საქმეში ისე გაერთო, რომ საჭირო მომენტში ჩემი გვარის ხელახლა დაძახება გადაავიწყდა, მე თვითონ ჩავეკითხე, ჩემი შესვლის ჯერი ხომ არ დამდგარა-მეთქი და მაშინვე დამიდასტურა, შედიო. ფეხშიშველამ ზღურბლს გადავაბიჯე, ტანსაცმელი ჩემი წინამორბედის ნივთების გვერდით მერხზე დავაწყე, ფეხსაცმელები მერხის ქვეშ შევალაგე, გახამებული პერანგიც გავიხადე, სათუთად დავკეცე და ჩემს გარდეროზს მივუმატე. შემდეგ ყურთასმენად ქცეული დაველოდე მომდევნო განკარგულებებს.

დაძაბულობისგან ტანში მამტვრევდა, გული უწესრიგოდ მიცემდა და ასე მეგონა, სახე სისხლისგან დაწრეტილი მაქვს-მეთქი. მაგრამ ამავე დროს გულში ისეთი სიხარულის გრძნობა შემეპარა, რომ მის ასაწერად სიტყვები არ მყოფნის. დიდი ხნის მერე, სადღაც, ეპიგრაფის, თუ რაღაც ნაწყვეტის სახით, ციხეში წიგნის კითხვისას თუ გაზეთის ფურცვლაში, მოკლედ, ერთხელ სადღაც შემხვდა მოსაზრება თუ სენტენცია, თითქოს ბუნებისგან მონიჭებული მდგომარეობა, ანუ სიშიშვლე, ადამიანებს ათანაბრებდეს და შიშველ სულიერთა შორის აღარ იგრძნობოდეს არავითარი იერარქია და უთანასწორობა. ეს დებულება, რომელმაც მყისვე ჩემი გულისწყრომა გამოიწვია, პლებოსს იქნებ ძალიანაც მოეწონოს და ესიამოვნოს, მაგრამ სინამდვილეში ამაში სიმართლის ნატამალი არ ურევია. მის გასაბათილებლად სწორედ ის შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილი და ჭეშმარიტი იერარქია სწორედ პირველყოფილ მდგომარეობაში წარმოიშვა და სიშიშვლე მხოლოდ იმდენად შეიძლება იყოს სამართლიანი, რამდენადაც იგი ადამიანთა მოდგმის ბუნებრივ-უსამართლო დაყოფაში კეთილშობილთა მხარეს იჭერს. ამას ადრევე მივხვდი, სახელდობრ, მაშინ, როცა ჩემმა ნათლია შიმელპრისტერმა ჯიშიანობის ნიმუშად ტილოზე გრძნეული ხელით გამოსახა ჩემი სხეული, ან თუნდაც მაშინ, როცა ადამიანი თავის ყველა პირობითობას იხსნის და თავის პირვანდელი სახით გვევლინება, მაგალითად, საერთო აბანოში. ასე რომ, იმ წუთში სიხარულმა და სიამაყემ შემიპყრო, რომ მაღალი კოლეგიის წინაშე შეცდომაში შემყვანი მათხოვრული ტანსაცმლით კი ხრა, ხალასი სახით წარვსდგებოდი.

მოსაცდელი ვიწრო, ღია მხრიდან სხდომათა დარბაზს ებჯინებოდა, მართალია, მისი ფანერის კედელი შესამოწმებელი არენის დანახვას მიშლიდა, მაგრამ სიტყვა-სიტყვით შემეძლო მომესმინა, რაც იქ ხდებოდა. მესმოდა განკარგულებები, შტაბის ექიმი რეკრუტებს რომ აძლევდა, აქეთ-იქით ეტრია-

ლათ და კომისიას ყოველი მხრიდან დანახვებოდნენ, მესმოდა ექიმის მოკლე შეკითხვები და ერთ-ერთი წვევამდელის პასუხი, მისი უნიათო ბუტბუტი ფილტვების ანთებაზე, რაც მის საკმაოდ გამჭვირვალე ჩანაფიქრს ამხელდა და მიზანს კი ვერ აღწევდა, რადგან საპასუხოდ გაისმა მოჭრით ნათქვამი, ვარგისი ბრძანდებითო. ვერდიქტი ახლა სხვა ხმამ გაიმეორა, ამას მოჰყვა სხვა განკარგულებანი, მერე გავიგონე ბრძანება, თავისუფალი ხართ, მომესმა ფეხების ტყაპატყუპი და სულ მალე სამსახურისათვის ვარგისად ცნობილი წვევამდელი ჩემს გვერდით აღმოჩნდა: ამ მხრებჩამოყრილ ყმაწვილს ტანზე ხორცი არ ესხა, ყელზე ჩამუქებული რკალი მოუჩანდა, მკლავებზე ყვითელი ლაქები ემჩნეოდა და დაკორძილი მუხლები და დიდრონი, წითელი ტერფები ჰქონდა. ამ სივიწროვეში ძლივს ავერიდე, რომ არ მივკარებოდი და რაკი იმავე წუთს დუდღუნა და თან მკვახე ხმამ ჩემი გვარი დაასახელა, ასისტენტმა ოფიცერმაც შემოჰყო თავი და ხელიც დამიქნია, ფანერისკედლებიანი მოსაცდელიდან გამოვედი, ხელმარცხნივ შევტრიალდი და ვითომ უპრეტენზიო, მაგრამ მაინც ღირსეული ნაბიჯებით იქითკენ გავემართე, სადაც ექიმი და კომისია მელოდებოდნენ.

ასეთ წუთებში ადამიანი ბრმაა და მეც მხოლოდ ბუნდოვნად ჩამრჩა აღელვებულ და თან დანისლულ გონებაში ჩემს თვალწინ გადაშლილი სცენა; ხელმარჯვნივ მოგრძო მაგიდა ირიბად ჰრიდა ოთახის კუთხეს, მაგიდას ბევრნი უსხდნენ — ზოგი წინგადახრილი, ზოგი საზურგეს მიყრდნობილი იჯდა, ზოგს სამხედრო ფორმა ეცვა, ზოგს სამოქალაქო ტანსაცმელი. მაგიდის მარცხენა მხარეს წელში გამართული იდგა ექიმი და მის სახესაც ბუნდოვნად ვხედავდი, მით უმეტეს, რომ იგი ფანჯრისკენ ზურგშექცეული იდგა. მე კი, შინაგანად განადგურებული, ჩემსკენ მოპყრობილი ამდენი თვალის წინაშე შიშველი, პატივაყრილი რომ ვიდექი, სიზმარში მეგონა თავი და ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ყველასგან და ყველაფრისგან განცალკევებული, ამაღლებული, უსახელო, უასაკო, თავისუფალი, წმინდა ვიყავი, ცარიელ ოთახში დავფართფატებდი და ის შეგრძნება უსიამოვნოდ კი არა, მეხსიერებაში ძალიან ტკბილად მაქვს ჩარჩენილი. მერე რა, რომ ვთრთოდი, პულსი ძლიერად და უწესრიგოდ მიცემდა, სამაგიეროდ სულიერად, თუ ფხიზლად არა, სავსებით მშვიდად მაინც ვიყავი და რასაც მას შემდეგ ვამბობდი ან ვაკეთებდი, თითქოს უჩემოდ, ჩემდა გასაოცრად, თავისთავად და ბუნებრივად ხდებოდა: როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ხანგრძლივი ვარჯიშისა და მყოფადში კეთილსინდისიერი ჩაღრმავების შედეგად, საჭირო მომენტში რაღაც მთვარეულისებურ-შუალედური წარმოიქმნება ქცევასა და მოვლენას, მოქმედებასა და ტანჯვას შორის, რაც თითქმის აღარ მოითხოვს ჩვენს ყურადღებას, სახელდობრ, სულ უფრო და უფრო ნაკლებად მოითხოვს, ვინაიდან სინამდვილე მეტწილად გაცილებით მცირე მოთხოვნებს გვიყენებს, ვიდრე ჩვენ მოველით, ამიტომ იმ ადამიანს ვემსგავსებით, კბილებამდე შეიარაღებული რომ მიდის ომში, გამარჯვების მოსაპოვებლად კი ერთადერთი იარაღი სჭირდება. ვისაც მხოლოდ საკუთარი თავის იმედი აქვს, ის ყველაზე დიდი სიძნელისათვის ემზადება, რათა იოლი დაბრკოლება კიდევ უფრო თავისუფლად გადალახოს და უხარია, როცა გამარჯვების მოსაპოვებლად მხოლოდ ყველაზე სათუთი და უხმაურო ხერხების გამოყენება დასჭირდება. რადგან უხეში და მყვირალა ხერხები თვითონაც ეჯავრება და მათ მხოლოდ უკიდურესი გაჭირვებისას თუ მიმართავს.

— ეს ერთწლიანი გახლავთ, — მაშინვე მომესმა კომისიის რომელიღაც

წევრის დაბალი და კეთილმოსურნე ხმა და მაშინვე უსიამოდ მომხვდა ყურში სხვა, დუდღუნა და თან მკვახე ხმით ნათქვამი შესწორება, ეს კი ჩვეულებრივი რეკრუტიაო.

— ახლოს მოიწით! — მითხრა შტაბის ექიმმა. მას კიკინა, საკმაოდ სუსტი ხმა ჰქონდა. მე მაშინვე დავემორჩილე, სულ ახლოს მივედი და ოდნავ სულელური, მაგრამ არცთუ უსიამოვნო ხმით მტკიცედ მივუგე, სამსახურისთვის სავსებით ვარგისი გახლავართ-მეთქი.

— ეგ თქვენი განსასჯელი არ გახლავთ! — ნაწყენი ხმით მიპასუხა ექიმმა, კისერი წაიწვდინა და სწრაფად გადააქნია თავი.

— გვიპასუხეთ, რასაც გეკითხებიან და საკუთარი შენიშვნებისგან თავი შეიკავეთ! — დასძინა მან.

— მესმის, ბატონო მთავარო ექიმო, — წყნარად ვუპასუხე მე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რომ იგი მხოლოდ შტაბის უფროსი ექიმი იყო, და თან შემკრთალი მზერა შევაგებე. ამჯერად უფრო კარგად შევძელი მისი შეთვალიერება. გამხდარ ტანზე სამხედრო ფორმა მოჩურჩულად ადგა. სახელოები ლამის იდაყვებამდე გადაეკეცა, მაგრამ მაინც ისე გრძელი ჰქონდა, რომ ხელის თითებიღა მოუჩანდა. ვიწრო და მეჩხერი წვერი, ისეთივე მუქი, მაგრამ გაურკვეველი ფერისა ჰქონდა, როგორც ყალყზე დამდგარი თმა, წვერი სახეს უგრძელებდა, მაგრამ დაბჩენილი პირი, ჩაცვენილი ლოყები და ჩამოვარდნილი ქვედა ყბა ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა. ჩაწითლებულ თვალებზე ვერცხლის ჩარჩოიანი პენსნე ეკეთა, მაგრამ პენსნეს შუშა ცალ უპეში ისე ჰქონდა ჩაჭედილი, რომ ჩარჩო სულ აღარ მოუჩანდა, მეორე შუშა კი თვალისგან მოშორებით, ჰაერში ეკიდა.

ასეთი იყო შესახედავად ჩემი პარტნიორი, იგი ჩემს ნათქვამზე გაიკრიჭა და თან ალმაცერად გახედა მაგიდასთან მსხდომ კომისიას.

— ასწიეთ მკლავები! დაგვისახელეთ თქვენი სამოქალაქო საქმიანობა! — მიბრძანა მან და მაშინვე თვრამეტით მომადო მკერდსა და ზურგზე თეთრციფრებიანი, მწვანე სანტიმეტრი.

— ვაპირებ გავიკეთო სასტუმროს მოსამსახურის კარიერა.

— სასტუმროს მოსამსახურის კარიერა? მაშ, აპირებთ, არა? მაინც როდის?

— მე და ჩემიანებმა მოვილაპარაკეთ, რომ ამ საქმიანობას შევუდგები სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ.

— ჰმ, თქვენიანებზე მე არაფერი მიკითხავს. მაინც ვინ არიან თქვენიანები?

— პროფესორი შიმელპრისტერი, ჩემი ნათლია, და დედაჩემი, შამპანური ღვინოების ფაბრიკანტის ქვრივი.

— გასაგებია, გასაგებია, შამპანური ღვინოების ფაბრიკანტის ქვრივი. ამჟამად რას აკეთებთ? ნერვიული ხართ? რატომ გიტოკავთ მხარი?

მართლაც, რაც აქ ვიდექი, ნახევრად გაუცნობიერებლად და ასე ვთქვათ, ექსპრომტად, დავიწყე არცთუ დაჟინებით, მაგრამ ხშირ-ხშირად მხრის შეტოკება, რატომღაც ვიფიქრე, რომ ეს რაიმეში გამომადგებოდა. კითხვაზე შეფიქრიანებულმა ვუპასუხე.

— არა, ნერვიული ხომ არა ვარ-მეთქი, ეს კითხვა არასოდეს დამბადებია.

— მაშინ გააჩერეთ მხარი!

— დიახ, ბატონო მთავარო ექიმო, — დარცხვენით მივუგე და იმწამსვე ისევ შევატოკე მხარი. მაგრამ თითქოს აღარც შეუმჩნევია.

— მე მთავარი ექიმი არა ვარ, — მკვახედ დამიკიკინა მან და წინწაწვდილი თავი ისე მაგრად გადაიქნია, რომ პენსნე კინაღამ ჩამოუვარდა. პენსნეს მარჯვენა ხელის ხუთივე თითი მიაშველა და გაისწორა, მაგრამ [illegible]-ვარი მიზეზისთვის ყურადღება არ მიუქცევია და თავი ისევ წინწაწვდილი დარჩა.

— გთხოვთ მაპატიოთ, — წყნარად და დარცხვენით ვუთხარი მე.

— მიპასუხეთ შეკითხვებზე!

უმწეოდ, დაბნეულივით მიმოვიხედე ირგვლივ და მავედრებელი თვალები კომისიის წევრებს სათითაოდ მივაპყარი, რომელთა პოზაშიც თითქოს ერთგვარი თანაგრძნობა და ინტერესი ამოვიკითხე. ბოლოს უსიტყვოდ ამოვიოხრე.

— მე თქვენს დღევანდელ საქმიანობაზე გკითხეთ.

— დედას ვეხმარები მაინის ფრანკფურტში მოზრდილი პანსიონის თუ სასტუმროს შენახვაში, — შეკავებული სიხარულით მაშინვე ვუპასუხე მე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ, — ირონიულად მომიგო მან.

— აბა ჩაახველეთ! — მიბრძანა მაშინვე, რადგან ამასობაში შავი სტეტოსკოპი დამადო და უკვე წაკუზული უსმენდა ჩემს გულისცემას.

მე ხშირ-ხშირად, ძალით უნდა მეხველებინა, სანამ ექიმი თავის ხელსაწყოს ჩემს სხეულზე დაატარებდა. შემდეგ სასმენ მილს პატარა ჩაქუჩი შეანაცვლა, რომელიც იქვე პატარა მაგიდიდან აიღო და კაკუნზე გადავიდა.

— მძიმე ავადმყოფობა ხომ არაფერი გადაგიტანიათ? — კაკუნსა და კაკუნს შორის მკითხა მან.

მე ვუპასუხე:

— არა, ბატონო სამხედრო ექიმო! მძიმე არაფერი! რამდენადაც ვიცი, სავსებით ჯანმრთელი გახლავართ, თუ ჩემი ჯანმრთელობის უმნიშვნელო რყევას არ მივიღებთ მხედველობაში, ჭირის ყოველგვარ სახეობაში გამოვდგები.

— გაჩუმდით! — მითხრა მან, მოსმენა უცებ შეწყვიტა და წაკუზულმა მრისხანედ ამომხედა ქვემოდან. — თქვენი ვარგისიანობის დადგენა მე მომანდეთ და ზედმეტს ნუ ლაპარაკობთ! განუწყვეტლივ ზედმეტს ლაპარაკობთ! — გაიმეორა მან, გასინჯვა დაასრულა, წელში გაიმართა და ცოტა უკან დაიხია, — ენას რომ ვერ იკავებთ, ეს უკვე დიდი ხანია შევამჩნიეთ. რა გჭირთ? რომელ სკოლებში სწავლობდით?

— რეალური სასწავლებლის ექვსი კლასი მაქვს გავლილი, — მივუგე წყნარად, ვითომ შეწუხებულმა, რომ შევაცბუნე და შევაწუხე.

— რატომ შვიდივე არა?

მე თავი ჩავკიდე და ქვემოდან ისე ამოვხედე, რომ ეს მზერა უფრო მეტყველი უნდა ყოფილიყო და მსმენელს შიგ გულში უნდა მოხვედროდა. „რატომ მაიძულებ ვილაპარაკო? ნუთუ ვერ ხედავ, არ გესმის და ვერ გრძნობ, რომ მე სათუთი და სხვანაირი ბიჭი ვარ, და ჩემი თავაზიანი საქციელით ღრმა ჭრილობებს ვმალავ, ჩემთვის მუხანათ ცხოვრებას რომ მოუყენებია? განა მგრძნობიარე კაცი გეთქმის, რომ მაიძულებ, ამდენი პატივსაცემი ადამიანის წინაშე ჩემი შერცხვენა გავამხილო?" — ამას ამბობდა ჩემი მზერა; და დამიჯერე, ჩემო განმსჯელო მკითხველო, სულაც არ ვცრუობდი, თუმცა იმ წუთში ჩემი ტანჯული მზერა წინასწარ გათვლილი და გამიზნული მქონდა. ტყუილი

და პირფერობა მაშინ შეგეტყობა, როცა ყალბი შეგრძნების გამოხატვას შეეცდები, როცა ტყუილში სიმართლის ნატამალი არ ურ[illegible] და ჭეშმარიტი ცოდნა არ უდგას უკან, მაშინ მას უეჭველად მოჰყვება [illegible] შედეგი და მანჭიაობასა და უნიჭო თამაშს დაემსგავსება. მაშ, [illegible] უნდა გვქონდეს უფლება, საჭიროების დროს გონივრულად გა[illegible] ძვირად შეძენილი გამოცდილება? სწრაფად, სევდიანად და საყვედურით გამოხატა ჩემმა მზერამ ცხოვრების სისასტიკესთან და უსამართლობასთან წილნაყარობა. შემდეგ ღრმად ამოვიოხრე.

— გვიპასუხეთ! — მითხრა უფროსმა ექიმმა შედარებით რბილად.

შინაგანი ჭიდილი დავძლიე და ყოყმანით ვუპასუხე:

— ჩამოვრჩი და სკოლის კურსის დამთავრება ველარ შევძელი, ავადმყოფობის გამო ხშირად მიწევდა ლოგინში წოლა და გაკვეთილების გაცდენა, თან ჩემს პატივცემულ მასწავლებლებს ჩემი უყურადღებობა და სიზარმაცე სულ საყვედუროდ ჰქონდათ, რაც კიდევ უფრო მთრგუნავდა და მაბეჩავებდა, მით უმეტეს, რომ ბრალი არაფერში მიმიძღოდა და სწავლას აგდებულად არ ვეკიდებოდი, მაგრამ ძალიან ხშირად გამომრჩებოდა ხოლმე რამე, ან არ მესმოდა, ან ვერ აღვიქვამდი, კლასში რა მასალას გვიხსნიდნენ, ან რა საშინაო დავალებებს გვაძლევდნენ, მერე მოცემულ დავალებას არ ვასრულებდი, არ ვიცოდი, თუ რაიმე გვქონდა მოცემული და არა იმიტომ, რომ გარეშე და უწესო ფიქრებში ვყოფილიყავი გართული, არა, უბრალოდ, იმ წუთებში თითქოს კლასში არც ვიყავი, როცა დავალებებს გვაძლევდნენ. ეს მასწავლებლების გულისწყრომას იწვევდა და ისინიც მკაცრ ზომებს მიმართავდნენ, მაგრამ ჩემი დიდი...

აქ სიტყვები შემომაკლდა, დავიბენი, გავჩუმდი, და მხრების უცნაურ ტოკვას მოვუმატე.

— სდექ! — მითხრა ექიმმა. — ყურთასმენა ხომ არ გაკლიათ? აბა ცოტა იქით დადექით! გაიმეორეთ, რასაც გეტყვით! — მიბრძანა მან და მკაფიოდ, ოღონდ ჩურჩულით მოჰყვა თვლას, თან პირს სასაცილოდ მანჭავდა და წვერიც სასაცილოდ უთამაშებდა. ცხრამეტი, ოცდაშვიდი, ზუსტად, აუღელვებლად და დაუხანებლად ვიმეორებდი მეც მის კვალდაკვალ, რადგან ყველა გრძნობა და მათ შორის სმენა, საშუალო კი არა, ზედმიწევნით მახვილი და ფაქიზი მქონდა და სულაც არ მიფიქრია, ეს დამემალა. მესმოდა და ვიმეორებდი სამნიშნა ციფრებს, რომლებსაც ექიმი ამჯერად ძლივს გასაგონად წარმოთქვამდა. ეტყობა, ჩემმა უნარმა ისე დაატყვევა, რომ ცდა კიდევ უფრო გააფართოვა, მე ოთახის შორეულ კუთხეში გამგზავნა, რომ ექვსი-შვიდი მეტრის მანძილიდან ტუჩების ოდნავი შერხევით უკვე ოთხნიშნა ციფრები ეკარნახა და პირმოკუმული კომისიის წევრებს თვალს უქნევდა, რამდენჯერაც მე ნახევრად ინტუიციით, ლამის მოკუმული ტუჩებით ნათქვამ ციფრს სწორად გავიმეორებდი.

— კარგი, — თქვა ბოლოს მოჩვენებითი გულგრილობით ექიმმა. — სმენა კარგი გაქვთ. ისევ აქეთ მობრძანდით და ერთი კარგად აგვიწერეთ, რაში გამოიხატებოდა თქვენი შეუძლოდ ყოფნა, სკოლას ასე ხშირად რომ აცდენდით.

ხალისით დავემორჩილე და ახლოს მივედი.

— ჩვენი შინაური ექიმი, — მივუგე მე, — სანიტარული მრჩეველი დიუზინგი ჩემს ავადმყოფობას მიგრენს ეძახდა.

— მაშ, თქვენ შინაური ექიმი გყავდათ, სანიტარული მრჩეველი იყოო, თქვით, არა? და იგი, მიგრენი გჭირთო, გეუბნებოდათ. მაინც როგორ გეწყებოდათ ეს თქვენი მიგრენი? აგვიწერეთ შეტევის სურათი! თავის ტკივილით გეწყებოდათ?

— თავის ტკივილით! — მივუგე ვითომ გაოცებულმა და [illegible] შევაჩერდი. — თავიც მტკიოდა და ყურებიც მიბჟუოდა, მთავარი [illegible] რომ ნაღველი და შიში ამიტანდა, მთელი სხეულით მოვეშვებოდი და მერე ისეთი კრუნჩხვა და ღებინება ამიტყდებოდა, რომ ლოგინზე ველარ ვმაგრდებოდი...

— კრუნჩხვა და ღებინება ერთად? — მკითხა მან. — სხვა კრუნჩხვები არა?

— არა, სხვა ნამდვილად არა, — ბეჯითად განვუცხადე მე.

— ყურებიც ხომ გიბჟუოდათ?

— დიახ, ყურები ხშირად მიბჟუოდა.

— როდის გეწყებოდათ ხოლმე შეტევა? რაიმე მღელვარება უძლოდა წინ? განსაკუთრებული მიზეზი იყო, თუ...

— თუ არ ვცდები, — ყოყმანით წამოვიწყე მე და თან ფრთხილად მიმოვიხედე, — ზოგჯერ შეტევა სკოლაში სწავლის პერიოდში, სწორედ მაშინ მეწყებოდა ხოლმე, როცა კლასში უსიამოვნება შემემთხვეოდა, მაგალითად, ისეთი უსიამოვნება, მე რომ გიამბეთ...

— აი, ზოგი რამ რომ არ გესმოდათ, თითქოს იქ არც ყოფილიყავით, არა?

— დიახ, ბატონო მთავარო ექიმო.

— ჰმ, — თქვა მან. — ერთი დაფიქრდით და გულახდილად გვითხარით, ხომ არ შეგიმჩნევიათ რაიმე ნიშანი, რომელიც სისტემატურად უძლოდა წინ და გაუწყებდათ იმ შეტევის დაწყებას, როცა ველარ გრძნობდით, სად იმყოფებოდით. ნუ გეშინიათ! დასძლიეთ სავსებით გასაგები რიდი და თავისუფლად გვიამბეთ, რაიმე ამდაგვარი თუ შეგიმჩნევიათ!

ექიმს შევხედე, შემდეგ კარგა ხანს თვალებში ვუყურებდი და თან მძიმედ, ნელ-ნელა და ასე ვთქვათ, მწარედ ჩაფიქრებული ვუქნევდი თავს.

— დიახ, ხშირად უცნაურად მიგრძნია თავი, მიგრძნია და სამწუხაროდ, ახლაც ასევე ვარ, — ვთქვი ბოლოს წყნარად და ფიქრიანად. — ზოგჯერ მგონია , თითქოს უეცრად ღუმელს ან ცეცხლს მივუახლოვდი-მეთქი, ჯერ გამიხურდება ფეხები, მერე სიმხურვალე ზემოთ ამოდის და თან ქავილი და ფხანა ამიტყდება, ეს ყველაფერი საოცრად მიკვირს, მით უმეტეს, რომ ამავე დროს თვალიც მიჭრელდება, ის ფერად-ფერადი წრეები ლამის ლამაზია, მაგრამ მაინც მაშინებს ხოლმე; თუ ნებას დამრთავთ, ისევ ფხანა-ქავილი ვახსენო, ამ დროს ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ტანზე ჭიანჭველები დაცოცავენო.

— ჰმ, და ამის შემდეგ იყო, ზოგი რამ რომ აღარ გესმოდათ, არა?

— დიახ, დიახ, ბატონო ლაზარეთის უფროსო! ჩემი თავისა მე თვითონ არაფერი მესმის, ზოგჯერ სახლშიც ჩავვარდნილვარ უხერხულ დღეში, მაგალითად, სადილობისას უნებლიეთ კოვზი გამვარდნია ხელიდან და სუფრა სუპით დამისვრია. დედა მერე გამჯავრებია, ამოდენა კაცი ჩვენი სტუმრების თანდასწრებით — ისინი კი მეტწილად მსახიობები და სწავლულები არიან — ასე მოუხეშავად რატომ მოიქეციო.

— მაშ კოვზი გივარდებათ ხელიდან! და ამას მხოლოდ ცოტა ხნის მე-

რე ამჩნევთ! ერთი მითხარით, თქვენი შინაური ექიმისათვის, იმ სანიტარული მრჩევლისა თუ რა ტიტულსაც ატარებს, არასოდეს გიამბიათ ამ პატარა უწესივრობების ამბავი?

ამ კითხვაზე წყნარად და დაღვრემილი სახით ვუპასუხე, არა-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე და რატომ? — ჩამაცივდა იგი.

— იმიტომ რომ მრცხვენოდა, — ბორძიკით ვუპასუხე მე. — ჩემი გასაჭირი არავისთვის გამიმხელია, რადგან მეგონა, ეს ამბავი საიდუმლოდ უნდა შემენახა. თან იმედი მქონდა, დროთა განმავლობაში გამივლის-მეთქი. არასოდეს არ მიფიქრია, ვინმეს ისე მივენდობოდი, რომ გამემხილა, თავს ხშირად უცნაურად რომ ვგრძნობ ხოლმე.

— ჰმ, — თქვა მან და მეჩხერ წვერში დამცინავად აიბზუა ტუჩი. — ალბათ ფიქრობდით, მაინც მიგრენად ჩამითვლიან, რაც არ უნდა ვთქვაო. თქვენ, მგონი, თქვით, რომ მამათქვენი არყისმხდელი იყო, არა? — დასძინა მან.

— დიახ, უფრო სწორად, რაინზე შუმხუნა ღვინოების ფაბრიკა ჰქონდა, — თავაზიანად მივუგე ექიმს, თან დავუდასტურე და თან შევუსწორე ნათქვამი.

— სწორია, შუმხუნა ღვინოების ფაბრიკა! ესე იგი, მამათქვენი კარგი ღვინის მცოდნე იქნებოდა, არა?

— დიახ, ბატონო შტაბის ექიმო! — მხიარულად დავუდასტურე მე და კომისიის წევრებსაც გამოცოცხლება დაეტყოთ. — დიახ, კარგი მცოდნე იყო.

— მაშ არც უქმური კაცი იქნებოდა, გადაკვრაც ეყვარებოდა, როგორც იტყვიან და მოქეიფეც იქნებოდა, არა?

— მამაჩემი, ჩემი ღრმა რწმენით, სიცოცხლით სავსე კაცი იყო, — ქარაგმულად და, ცოტა არ იყოს, ნაკლები რიხით მივუგე მე.

— გასაგებია, გასაგებია. რით გარდაიცვალა?

გავჩუმდი, ერთი შევხედე და ისევ ჩავღუნე თავი. მერე კი ხმაშეცვლილმა ვუპასუხე:

— ბატონ ექიმს ვთხოვ, ამ კითხვაზე პასუხი არ გამაცემინოს...

— ჩვენთან დასამალი არაფერი გაქვთ! — მკაცრად დამიკიკინა მან. — იმას გეკითხებით, რაც საჭიროა, თქვენს მონაცემებს მნიშვნელობა აქვს. თქვენივე ინტერესებისათვის გაფრთხილებთ, არ დაგვიმალოთ მამათქვენის გარდაცვალების ნამდვილი მიზეზი.

— იგი საეკლესიო წესით მივაბარეთ მიწას, — ვთქვი და მღელვარებისაგან გული ისე შემეკუმშა, რომ უთავბოლოდ განვაგრძე. — შემიძლია საბუთები და ცნობა წარმოგიდგინოთ, რომ ნამდვილად საეკლესიო წესით დავკრძალეთ, ისიც შემიძლია დაგისაბუთოთ, რომ კუბოს რამდენიმე ოფიცერი და პროფესორი შიმელპრისტერი მიაცილებდა. თვით სასულიერო მრჩეველმა შატომ აღნიშნა თავის სამგლოვიარო სიტყვაში, — ცხარედ განვაგრძე მე, — რომ რევოლვერი უცაბედად გავარდა, როცა მამაჩემმა გასაწმენდად აიღო ხელში, მას ხელი აუკანკალდა, რადგან იმ ხანებში დიდი უბედურება გვეწვია და ანერვიულებული იყო, დიახ, ასე მოხდა ეს ამბავი... — უბედურება გვეწვია-მეთქი, ვთქვი და აღელვებულმა ზედ კიდევ მაღალფარდოვანი და ხატოვანი გამოთქმა დავურთე, უბედურებამ თავის მსახვრალი ხელით მოგვიკაკუნა კარზე-მეთქი და თვალსაჩინოების მიზნით ჰაერში მოკაკული თითით დავაკაკუნე. — მამაჩემი ბოროტი ადამიანების ბადეში გაიხლართა, იმ სისხლისმსმელებმა ყელი გამოსჭრეს, ყველაფერი გაგვიყიდეს და გაგვაჩანაგეს... მი-

ნის... ქნარი. — უაზროდ ვბურტყუნებდი და ვიგრძენი, რომ ფერი წამივიდა. რადგან მთავარი ავანტიურისტული ჩანაფიქრი ახლა უნდა განმეხორციელებინა, — ეილოს... ჯა...-ამოვთქვი და იმავე წუთში აი, რა დამემართა:

სახე მომეგრიხა, მაგრამ ეს სიტყვა არაფერს გვეუბნება. სახე სხვანაირად, ისე საშინლად მომეგრიხა, რომ არავითარ ადამიანურ ტ[illegible] მხოლოდ ეშმაკის ხელსა და ძალას თუ შეეძლო ადამიანის სახის ასე დამახინჯება. სახის ნაკვთები, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ოთხივ კუთხით, ზევით და ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ გაიწელა და იმწამსვე ისევ შეიჭმუხნა და შეიკუმშა; საზიზღარმა, ცალფა გაკრეჭვამ ჯერ მარცხენა ლოყა ჩახია და მერე მარჯვენა, იმავე მხარეს თვალი საზარლად ჩაიჭუტა, მეორე თვალი კი ისე უსაშველოდ გაფართოვდა, რომ მართლა შემეშინდა, ფოსოდან არ ამომივარდეს-მეთქი და ნამდვილად შეიძლებოდა ასეც მომხდარიყო, ნამდვილად შეიძლებოდა! თუნდაც ამომვარდნოდა, იმ წუთში მის სალოლიავოდ არ მეცალა. თუკი ამ არაბუნებრივ მიმიკას მაყურებლებში შეეძლო ის უკიდურესი გაოგნება გამოეწვია, რასაც შეძრწუნებას უწოდებენ, ეს ჯერ მხოლოდ შესავალი და დასაწყისი იყო მანჭვა-გრეხის იმ ჭეშმარიტად ჯადოქრული შაბაშისა, გრიმასების იმ ჭიდილისა, რომელიც მომდევნო წამებში ჩემს ახალგაზრდულ სახეზე გათამაშდა. ჩემი ნაკვთების ფერიცვალება სათითაოდ რომ განვიხილოთ, დაწვრილებით რომ აღვწეროთ, რა საზარელ ფორმას იღებდა ჩემი პირი, ცხვირი, წარბები და ლოყები, ერთი სიტყვით, სახის ყოველი ნაკვთი, თან ისე, რომ არცერთი მახინჯი ფორმა არ მეორდებოდა, ამას დიდი დრო დასჭირდებოდა. მხოლოდ ერთს ვიტყვი, რომ ის სულიერი პროცესები, რომლებიც ოდნავ მაინც მიუდგებოდა ამ ფიზიონომიურ ფენომენს, ასეთი გიჟური მხიარულების, უკიდურესი გაოცების, ავხორცობის, არაადამიანური თვითგვემის გამოვლინებასა და კბილების გაშმაგებულ კრაჭუნს, არასგზით არ შეიძლებოდა ამქვეყნიური ყოფილიყო, ისინი მხოლოდ ინფერნალური სამყაროს კუთვნილი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, სადაც ჩვენი მიწიერი ვნებანი უზარმაზარ მასშტაბებს იძენენ და საზარელი ფორმით ისხამენ ხორცს. იქნებ ეს აფექტები, სახეზე რომ გვეხატება, ჩვენდა გაუცნობიერებლად მართლა ჩვენსავე სულში იბადება? ამ დროს არც ჩემი სხეული დარჩენილა უძრავად, თუმცა ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია. თავი კისერზე ისე ბრუნავდა, ხანდახან კეფა წინ მომექცეოდა, თითქოს ჩემს სხეულში ჩასახლებული რაღაც ძალა კისრის მოტეხას მიპირებსო. მხრები და მკლავები თითქოს სახსრებიდან ამომვარდნოდეს, თეძოები მეგრიხებოდა, მუხლები ერთმანეთში მეხლართებოდა, მუცელი ჩამივარდა, ხოლო ნეკნები, გეგონებოდათ, კანს საცაა გამოარღვევენო; ფეხის თითები დამეკრუნჩხა, თითზე სახსარი აღარ შემრჩა, რომ ფანტასტიკური ბრჭყალივით არ მომგრეხოდა და აი, ასეთ ჯოჯოხეთურ წამებაში დავყავი წუთის ორი მესამედი მაინც.

ამ უსაშველოდ გაჭიანურებული დროის განმავლობაში უგონოდ ვიყავი. ყოველ შემთხვევაში ის მაინც აღარ მახსოვს, ჩემს ირგვლივ რა ხდებოდა. უხეში შეძახილები თითქოს შორიდან სწვდებოდა ჩემს ყურს, მაგრამ ძალა არ მყოფნიდა რაიმე შემესმინა. გონს მხოლოდ სკამზე მოვედი, რომელიც შტაბის უფროს ექიმს შემოეშველებინა და კინაღამ სასულეში გადამცდა დიდი ხნის ნადგომი თბილი წყალი,ეს ფორმიანი სწავლული პირში დიდი მონდომებით რომ მასხამდა. კომისიის რამდენიმე წევრი ფეხზე წამომხტარიყო, მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას დაჰყრდნობოდნენ და შეჭმუხვნილ სა-

ხეებზე აღშფოთება და ზიზღი ეხატებოდათ. დანარჩენები თავიანთ შეცბუნებას უფრო რბილად გამოხატავდნენ. შევხედე, ერთს ყურებზე ორივე ხელი როგორ მიეჭირებინა და თითქოს ჩემგან გადასდებიაო. სახე [illegible] დამანჭული ჰქონდა; მეორე მარჯვენა ხელის ორი თითი ტუჩებზე მიედო და თვალებს სწრაფ-სწრაფად ახამხამებდა. ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, ნორმალური იერი ისე სწრაფად არ დამბრუნებია, მაგრამ შეშინებულმა როგორღაც მაინც მიმოვიხედე და შევეცადე არცთუ სასიამოვნო სცენა მალე დამესრულებინა. სკამიდან წამოვდექი და ექიმის გვერდით სმენაზე დავდექი, რაც ჩემს სულიერ მდგომარეობას ალბათ ყველაზე ნაკლებად შეესაბამებოდა.

შტაბის ექიმმა უკან დაიხია, მაგრამ წყლით სავსე ჭიქა ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.

— გონს მოხვედით? — მკითხა მან და ხმაში გაგულისებასთან ერთად თანაგრძნობაც გამოერია...

— არის, ბატონო სამხედრო ექიმო, — მხედრულ კილოზე მივუგე მე.

— გახსოვთ, ცოტა ხნის წინ რაც მოგივიდათ?

— უმორჩილესად გთხოვთ მაპატიოთ, ერთი წუთით ყურადღება გამეფანტა.

— სიმართლე თუ გნებავთ, თქვენ არც თავიდან გემჩნეოდათ დიდი ყურადღება, — მშრალად მითხრა შტაბის უფროსმა ექიმმა. — აქ თავიდანვე აღელვებული მოხვედით? კომისიის დასკვნას განსაკუთრებული მღელვარებით ხომ არ ელოდებოდით?

— დიახ, — მივუგე მე, — უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან დამწყდებოდა გული, უარი რომ გეთქვათ, არ ვიცი, დედას როგორ შევხედავდი თვალებში. მის სახლში მრავალ ოფიცერს გაუვლია და არმიელთა მიმართ განსაკუთრებით თბილი გრძნობები ამოძრავებს, ამიტომაც გულით უნდა, სამხედრო სამსახურში გამიწვიონ და იმედი აქვს, რომ ეს არა მარტო ჩემს განათლებას, არამედ ჩემს შერყეულ ჯანმრთელობასაც წაადგება.

ექიმს, ეტყობა, ჩემი სიტყვებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია და არც პასუხის ღირსად ჩაუთვლია.

— უვარგისად იქნას ცნობილი, — თქვა მან და წყლიანი ჭიქა იმ ტაბლაზე დადგა, სადაც მისი ხელსაწყოები: სანტიმეტრი, სტეტოსკოპი და ჩაქუჩი ელაგა: — ყაზარმა სამკურნალო დაწესებულება როდია, — ზურგსუკან მესროლა მან და კომისიის წევრებს მიუბრუნდა.

— სამხედროვალდებულს, — განუცხადა მათ თავის კიკინა ხმით, — ემართება ეპილეპტოიდური შეტევები, ეგრეთწოდებული ექვივალენტები, რაც სრულიად საკმარისია, რომ გამოირიცხოს მისი ვარგისიანობა. ჩემი გამოკვლევის შედეგად ვასკვნი, რომ ეს არის სმის მოყვარული მამის მემკვიდრეობის შედეგი, რომელმაც გაკოტრების შემდეგ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. პაციენტის საკმაოდ უმწეო აღწერის მიხედვით უეჭველია ეგრეთწოდებული აურის მოვლენების არსებობა. ამას მოჰყვებოდა უგუნებობის შეგრძნებები, რომელიც, როგორც მოისმინეთ, ზოგჯერ ლოგინად აგდებდა პაციენტს, ხოლო ჩემს ბატონ კოლეგას (ამის თქმაზე თხელ ტუჩებზე კვლავ მქისე დაცინვა გამოეხატა) მიგრენი ეგონა, მეცნიერული ენით კი მას შეტევის შემდგომი დეპრესიული მდგომარეობა ეწოდება. ამ ავადმყოფობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია პაციენტისგან მისი გამოვლინებების დაფარვა; გულღია ხასიათის მიუხედავად, როგორც მოვისმინეთ, იგი საიდუმლოდ ინა-

ზავდა თავის მდგომარეობას. აღსანიშნავია, რომ ეპილეფსიით დაავადებული მრავალი ადამიანის შეგნებაში დღემდე ცოცხლობს ძველთაგან შემორჩენილი მისწრაფება მისტიკურ-რელიგიური ახსნა მოუძებნონ ამ ავადმყოფობას. ჩვენთან წვევამდელი აღგზნებული და დაძაბული გამოცხადდა [illegible] დამაფიქრა მისმა ეგზალტირებულმა მეტყველებამ. მის ნერვულ რეაქციაზე მეტყველებდა აგრეთვე უაღრესად არათანაბარი, თუმცა ორგანულად უზადო გულის მუშაობა და მხრის ტოკვა, რაც ეტყობა, უნებლიე გახლავთ. განსაკუთრებით საინტერესო სიმპტომად მიმაჩნია უაღრესად მახვილი სმენა, რაც პაციენტმა შემდგომი დაკვირვებისას გამოამჟღავნა. არ გამოვრიცხავ, სმენის არანორმალურ სიმახვილეს კავშირი ჰქონდეს იმ საკმაოდ მძიმე შეტევასთან, რისი მოწმენიც ჩვენ გავხდით, შეტევა კი ალბათ რამდენიმე საათის მანძილზე მზადდებოდა და მას ჩემმა უსიამოვნო შეკითხვებმაც შეუწყო ხელი. მე თქვენ გირჩევთ, — დაასრულა რა თავისი ნათელი და მეცნიერული გამოსვლა, ქედმაღლურად, დაღლილი სახით გადმომხედა მან, — მე თქვენ გირჩევთ კარგ ექიმს მიმართოთ. სამხედრო სამსახურისთვის კი უვარგისად ხართ ცნობილი.

— დიახ, უვარგისად, — გაიმეორა ჩემთვის უკვე ნაცნობმა ღუღლუნა ხმამ.

გუნებაწამხდარი ვიდექი და ადგილიდან არ ვიძროდი.

— სამხედრო სამსახურიდან თავისუფალი ბრძანდებით, შეგიძლიათ წახვიდეთ, — გაისმა არცთუ თანაგრძნობითა და კეთილმოსურნეობით გამსჭვალული ის ბოხი ხმა, რომლის პატრონმაც თავისი ფიქრით ალღოს წყალობით ერთწლიანად ჩამთვალა.

ამ სიტყვების გაგონებაზე თითის წვერებზე ავიწიე, წარბები ვედრების ნიშნად შევყარე და წარმოვთქვი:

— იქნებ ერთხელ კიდევ გვეცადა? იქნებ სალდათურ ცხოვრებას გამეკაჟებინა ჩემი ჯანმრთელობა?

კომისიის რამდენიმე წევრს მხრები აუთახთახდა სიცილისაგან, შტაბის უფროსი ექიმი კი უდრეკი და შეუვალი დარჩა...

— გიმეორებთ, — უხეშად მომიგდო მან, — ყაზარმა სამკურნალო დაწესებულება არ გახლავთ. მიბრძანდით! — დასძინა ბოლოს კიკინით.

— მიბრძანდით! — გაიმეორა ღუღლუნა ხმამაც და სხვა სახელი და გვარი გამოიძახა. თუ არ ვცდები, ჩემს შემდეგ ვინმე ლატე გამოიძახეს, რადგან უკვე „ლასის“ ჯერი დადგა და წინა პლანზე ერთი ვიღაც მეკრიჭიანჯგლიანი მაწანწალა გამოვიდა. მე კომისიას თავი დავუკარი, გასახდელში გავედი და სანამ ჩავიცმევდი, თავზე თანაშემწე უნტეროფიცერი მადგა.

გახარებული ვიყავი, მაგრამ თავი სერიოზულად მეჭირა, თან ძალ-ღონეც გამოცლილი მქონდა ადამიანურ შესაძლებლობებზე აღმატებული გარჯისა და ტანჯვისაგან. შტაბის უფროსი ექიმის სიტყვებზეც ვფიქრობდი, ჩემთვის მოწერილ იმ საიდუმლოებით აღსავსე სნეულებაზე თურმე წინათ რა შეხედულებები არსებულა, ამიტომ თითქმის ყურს არ ვუგდებდი იმ თმაგაპოხილი და ულვაშდაკვარცნილი უნტეროფიცრის გულკეთილ ლაყბობას და მისი უბრალო სიტყვები მხოლოდ გვიან გამახსენდა.

— მენანებით, — მიყურებდა და მეუბნებოდა იგი, — მენანებით, კრულ, კრული ხართ, თუ რა გვარიცა ხართ! ნაღდი ბიჭი ხართ, თქვენ სამხედრო სამსახურში დაწინაურდებოდით. კაცს მაშინვე ეტყობა, მისგან რაც გამოვა.

მენანებით. ერთი შეხედვით შემიძლია გითხრათ, რომ თქვენგან ჩინებული ჯარისკაცი დადგებოდა. ვინ იცის, უარით რომ არ გამოესტუმრებინეთ, იქნებ ფელდფებელიც გამხდარიყავით!

როგორც მოგახსენეთ, ეს გულკეთილი სიტყვები მხოლოდ მერე მოსწვდა ჩემს ცნობიერებას და როცა სწრაფად მსრბოლავი [illegible] უკვე შინისაკენ მიმაქროლებდნენ, ჩემთვის ვფიქრობდი, მგონი [illegible] სიმართლე მითხრა-მეთქი; დიახ, რომ წარმოვიდგინე, რა ჩინებულად, ბუნებრივად და მოხდენილად დამადგებოდა ტანზე მუნდირი, რა სასიამოვნო შესახედავი ვიქნებოდი მთელი იმ დროის მანძილზე, სანამ მუნდირი მეცმებოდა, ლამის სინანულმა შემიპყრო, ყოფიერების ასეთ მოხდენილ ფორმასთან, ანუ იმ სამყაროსთან მისასვლელი გზები საკუთარი ხელით რომ დავიხშე, სადაც ბუნებისგან დაწესებული რანგების ფაქიზად გარჩევა არავის შეეშლებოდა.

უფრო დადინჯებული განსჯის შემდეგ კი იმ დასკვნამდე მივედი, რომ ზემოხსენებულ სამყაროში შესვლა ჩემის მხრივ მაინც უხეში შეცდომა და წინდაუხედაობა იქნებოდა. მე ხომ მარსის ნიშნით არ ვყოფილვარ დაბადებული, ყოველ შემთხვევაში იმ აზრით მაინც არა, რასაც, ჩვეულებრივ, ამ სიტყვაში გულისხმობენ ხოლმე. მერე რა, რომ ჩემს ახირებულ ცხოვრებას უპირატესად საბრძოლო სიმკაცრე, თავდაჭერა და მუდმივი საფრთხე ახასიათებდა, მათი წინარე და ძირითადი პირობა უხეშ, პრაქტიკულ სინამდვილესთან ერთად ჭაპანში ვერასგზით რომ ვერ შეებმებოდა, და თუმცა მერე ჯარისკაცურადაც მიცხოვრია, მაინც სისულელე და გაუგებრობა იქნებოდა მეფიქრა, ბარემ ჯარისკაცი ვყოფილიყავი-მეთქი; დიახ, თუკი საერთოდ შეიძლება გონებით შეაფასო და განსაჯო ისეთი უზენაესი სულიერი მონაპოვარი, რასაც თავისუფლება ჰქვია, მაშინ შეიძლება ასე ითქვას: იცხოვრე ჯარისკაცურად, ოღონდ ჯარისკაცი ნუ გერქმევა, ესე იგი, იცხოვრე ამ სიტყვის ხატოვანი და არა პირდაპირი გაგებით, თანაც გახსოვდეს, თავისუფლება სწორედ ისაა, მოიპოვო ასეთი მიმსგავსებული ცხოვრების უფლება.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

□

# ნიკოლოზ რუბცოვი

## ლექსები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა დილარ ივარდავამ

### არყის ხეები

მე მიყვარს,
არყის ხე თუ როგორ შრიალებს,
ყვითელი ფოთლები
ტოტებს რომ წყდებიან;
ყურს ვუგდებ ძველ მოტივს —
ცვარ-ცრემლი ციალებს,
გაფრენილ იმ დღეებს
თითქოსდა ფრთები აქვს.
ვიხსენებ წარსულს და
მოგონება იალებს,
გული ხმაურობს და...
სისხლი კვლავ ჩქროლდება.
სიხარული ტკივილთან მორევად
ტრიალებს
და გულში სიყვარულის ქვარტლი
გროვდება.
ნუ, ნუ გაიმარჯვებს ასეთ დროს
პროზა,
სათავე ყოფის —
მოწყენის სადარი, —
უშუალოა არყის ხე,
ეჯავრება პოზა,
ეს მან ამიმღერა დედის საფლავი!
ომის დროს მამა ფრონტმა შეიწირა,
სადღაც არყიანში საფლავია მამის,
ტკივილია არყის ხე —
თოვლია თუ წვიმა,
ალხია თუ მოწყენილი
ფოთოლცვენის ჟამი!
ო, რუსეთო, არყის ხეა
შენი ცხელი სისხლი,
მე აკვნიდან შევეზარდე
მის ტოტებს და ფესვებს;
მოკვდები და სიკვდილისგან
ისევ შენ თუ მიხსნი —
ამიცრემლებ ჰირისუფალს,
ამიმღერებ ლექსებს!

### შემოდგომის ფოთლები

შემოდგომის ფოთლები
თრთოლით და შეშფოთებით —
ამქვეყნიურ სიზმარეთს
ოქროს ფერით ერივნენ
და იხილეს მხედარი —
შორეთში გამხედავი,
ვით ეძებდა ფერიებს —
მშობელ მხარის ფერიებს.
ის სიხარულს გასცემდა,
ის სიყვარულს თესავდა,
ტყეში წანწალ-წანწალით
ნადირობა ეწადა!
სალამო მოჟამული,
უსიმღერო, ურითმო,
ფანჯრები დაგმანული,
კოსმოსივით ყრუ იყო.

დღე ამგვარი მომეჩვენა,
ღამის სულიც დაყრუვდა,
აიხდინა საწადელი —
ქვეყანაზე რაც სურდა!
ჩამქრალ-ჩამცხრალ ბუხართან
მორს მოვიტან დაპობილს,
სითბოს გავცემ უხვადა, —
ჩემთვის ჩუმად ვამბობდი,
დავიძინებ საღამოზე,
სხვენზე თვალს გავიშლი,
თან მექნება თავის დროზე
საბანიც და ბალიშიც!

დილით უმალ გავიღვიძებ...
გვირილების [illegible]
მომცემს [illegible] —
ზამთრის [illegible]!
ბილიკების [illegible] მეჯრით
არყის ხეთა რიგია,
თითქოს სადღაც მწყობრი ბიჯით
ჯარისკაცნი მიდიან!
ყველაფერმა, რაც გითხარით —
ამამღერა, მმრია;
ეგ ხომ შემოდგომის დღეთა
ფოთლების ზღაპარია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მდინარეზე

რა საწყლად გაჰყვირის გუგული
ტრფობაზე, გარდუვალ სევდაზე, —
ჩაფერფლილ დღეების გუგუნი
კვლავ ილანდება შენს თვალწინ, ეცადე!
მეახლე, დაღვარე ცრემლები,
დაო და ჩუგუში მომგვარე,
გღალატობს?
შენ შემოგევლები,
ეგ როგორ იფიქრე მოყვარემ.
— იქნებ და
ის არც კი გღალატობს, —
ჩუმად თქვა თავისთვის დაქალმა, —
— მიხვდება?
— მე მგონი,
არასდროს! —
ტრფობა თუ ამგვარად დაქანდა!..
თავის ზვინს მიყრდნობილ
დაქალთა
მსჯელობა მესმოდა ამგვარი;
მათ წუხილს ტკივილი მართავდა
თვალებზე ცრემლების
ღვარღვარით.
ან სიდან სცოდნოდათ მათ ამ დროს
მიზეზი სევდის მწველ გულგულთა,
ამოხსნა იმ დღეთა რომ სცადო —
შეგრჩება ხელთ სევდა გუგულთა!
იქნებ ბიჭებს კი უნდოდათ
და... ხათრმა დასძლია მშობელთა,
გოგონებს შეხედეს უნდოდ და..
მერე კი თამაშიც მობეზრდათ!
სოფელს რომ ღამე ფლობ უგულო,
ვარსკლავნი იწვიან უწყალოდ, —
ნუ სწუხარ ტრფობაზე, გუგულო,
ვინ რჩება ამ ქვეყნად უცვლელად!

## წეროები

ჭაობის მეწამულ ტანზე
ცისკარი ვარდისფრად იღლებს,
ოქტომბრის სიყვითლეს წეროების
დასცემია ირიბი ჩრდილი;
წკრიალა ყიჟინი მათი
შემაკრთობს, შემაკრიალებს,
ისე, ვით მიშველ ტანზე
შეხება ცვარ-ნამის დილით!
სანამდის მისწვდეს რუსეთს
მათი თვალების სხივი, —
როდემდის ისმოდეს, ნეტავ,
თქმულება გარდასულ დღეთა,
ღვთაებრივი სევდა ახლავს
წეროთა გაბმულ ყივილს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოწარკვეთა მანიშნებს
სთავეს ანკარა ცრემლთა!
შრიალი წეროთა ფრთების
ჭაობთა მეწამულ ტანზე,
მინდორთა სიყვითლის მიღმა
როდემდის დაიცხრება რუსეთს,
ის ხმები,
თქმულება ძველი —
ამძაფრებს მითოსის აზრებს
და წეროთ გადაბმულ ძახილს
გაფაციცებით ვუსმენთ!
მიფრინავენ,
მიფრინავენ სადღაც.
აღებენ დახშულ კარებს,
იფრინეთ,
იფრინეთ ყიჟინით,
შეერწყეთ
ცის ლაჟვარდს ღელვით,
ჩუმდებით?
იხმაურეთ ბარემ,
რულს ნუ გაიკარებთ თვალებს,
სიჩუმე?
არა და არა,
მოსვენება, სიჩუმე კმარა!
ისევე მოძრაობა გშველით!

●

მშვენიერია ცისფერი ზეცა,
მიყვარს ცისფერი მატარებელიც, —
— ადგილი თუ გაქვს? — მოგცლია,
ნეტა,
მყავდეს სამშობლო მუდამ
დღეგრძელი.

როცა გარდამხდა, მაფიქრ-მაღელვებს,
დაუვიწყარი ვინ დამავიწყოს? —
გამოებაო, იტყვი, ცას ღელე,
ისე წვიმს, თითქოს დღეს წარღვნა
იყოს.

უთცნებოდ და გრძნობის გარეშე
დიდხანს ვცხოვრობდი ორკედელს
შუა,
ვიყავ სევდიან დღეთა ფარეში,
ზედ მინასკული ცხოვრების ძუას.

ვთხოვ პატიებას მშობლიურ კუთხეს,
რომ მივატოვე, ვთხოვ პატიებას, —
აცვენილი ვარ, თუმც ღამეს ვუთევ
მის დარდს და ნაღველს —
ამო ციებას.

ჩვენს განშორებას სევდა ერია,
თუმცა შეხვედრაც მალე შევძელით, —
ცისფერი ზეცა მშვენიერია,
მშვენიერია მატარებელიც!

## რუსული სინათლე

1.

ვიყავით ზამთრით მხრებდატვირთულნი
და მხოლოდ თოვლის გარს გვერტყა ალყა,
ნაძვის ხეებიც თოვლს ახლდნენ მაყრად,
ცა უვარსკვლავო და დაბინდული —
ჰგავდა ულრან ტყეს, მე — ძლივს ცოცხალი —
უკიდეგანო სივრცეს ვზვერავდი,
როს მომეფერა სხივი ცინცხალი —
(მომეჩვენა თუ ცხადად ელავდა?!)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვგავდი თოვლის კაცს თავით ფეხამდის,
შევდივარ ქოხში — აი, იმედი —
უცბად მივხვდი, რომ სალამს შეხვედრის,
ღუმელს, ტანსაცმელს გრძნობით მივენდი.
დიასახლისი მისმენდა მერე,
რომელსაც თვალში სიბნელე ედგა;
ღუმელში ცეცხლის კაშკაშა ფერებს
მიშტერებოდა,
და ჰგავდა ცხედარს!

2

შეხვდებით რუსეთში კედლებზე სურათებს,
გადაყვითლებულთ, რამდენსაც გინდა,
ო, რა ხანია მზე მათ ვერ უნათებს,
მტრის ხელით,
მტრის ტყვიით მზე დაუბინდდათ.
ეგ მოიმოქმედა მომხდურმა მტერმა,
უცრემლოდ აწიც მასზე არ ითქმება, —
— იქნება ომი? — მკითხა დედაბერმა, —
უმალ ვუპასუხე:
— არა, არ იქნება!

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას, გიჯერებ ყველაფერს,
შეხლა-შემოხლისგან რა რჩება სარგებელი...
— მაშ, არ იქნება? — მეკითხება მეათედ,
— არა, არ იქნება! — ვიქნებით-მეთქი მზეგრძელნი!
— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას!..
თვალებში ჩამხედა
და სდუმდა კარგა ხანს ყრუ-მუნჯის სადარად,
სდუმდა და... ღუმელთან ცეცხლი შუქს ფენდა
ღრუბლებად მოჯარულ დედაბრის ჭაღარას.
ნეტავ მას, ამ ქვეყნად რაღა ეზმანება,
დღეს რაღას იგონებს გულდაწყვეტილი,
არა და ავდექ და ამგვარ ვითარებას
გადავწყვიტე: წასვლით დავუსვა წერტილი!
— ღმერთო ჩემო, რას ამბობთ, ფულს ავიღებ განა?
— მაშინ რაღა გითხრა, მადლობა დიდი!..
სიკეთეს სიკეთით თუკი გადავიხდი —
სიყვარულს სიყვარულის მწველი სულთათანა!

3.

უბრალო მადლობა, რუსულო სინათლევ,
მასზე, რომ უნათებ მათ, ვისაც აკლია
მეგობრის ხელი და... დახმარება ინატრეს —

მათთვის ხომ ხელის სითბო საქვეყნო მადლია!
მადლობა მასზე, რომ ნამდვილი რწმენა ხარ.
ქვეყნად ჭრილობის ხარ უებარი მალამო!
იწვი და ანათებ!
სიკეთის ზენა ხარ!
ჯურღმულებს ათბობ და ჩაქრები არასდროს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სული ინახავს

წყალთა უძრავი სარკე,
ფსკერი კი მნათივით ნათობს;
თევზია, ზოგჯერ რომ ამსხვრევს
სარკის პატარა ფართობს.

მორჩილი, მშობლიური სახე:
არყის ხე, ქოხების წყება...
ღვთისმშობლის ტაძარი ნახე, —
ტბის ფსკერზე მაქმანად წვება!

რუსეთო, ხარ ვარსკვლავთმრიცხველი,
ვერავინ მოგწყვიტოს ციდან,
შენ თასი არ დაგეცლება,
აიაზმა ხარ წმინდა!

შენი უძველესი სახე
არ შესწყვეტს სიზმრებში ფოფინს, —
რუსული ქარები არწევენ
შენს ანფასს,
შენს გმირულ პროფილს!

## ძველ პარკში

სილიანი გზა,
ბნელი ნაძვნარი,
მწვანე ტბორი და
ტბორზე ფოთლები;
არყის ხეებზე
ცისკრის ხანძარი,
ცვარი ნიავით
შენაშფოთები!

სევდა ყვითელი,
აქ ძველ ხუხულას
ხეთა ჩრდილებთან,
პარკში რომ სძინავთ,
ველურმა ჟამმა
გადუგრუხუნა
და ჭინჭრები ჩანს
ბილიკთა პირას.

დაფარა ფერფლმა?
ჩაქრა ფირუზი,
სიბნელეში კი
იძალა სევდამ.

ის დავიწყებულ
ცეცხლის სილურჯით,
კატის თვალებით
ბნელშიაც კვესავს.

ვინღა იპოვოს
გამქრალი კვალი,
აქ ვინმეს ახლა
პარკს გააცოცხლებს?
მხოლოდღა ჟოლო
ბრწყინავს, ვით ლალი
და ქარი ბლის ხეს
კვლავ აამბოხებს!

დაბერავს ქარი,
ნაძვების წყება
ხმაურს დაიწყებს,
ბორგავს და კვნესის,
ეძლევა პარკი
თავდავიწყებას,
გრიალის გარდა
არარა ესმის!

## მარადიულ სიმშვიდეში

ხელით გადავწიე მწვანე ბუჩქნარი,
ვძებნე და მოლეული ყოლო,
სამაგიეროდ, ვნახე გაფორჩხილი
ჯვარი,
უცნობი მეომრის არსებობის ბოლო!
რა სიჩუმეა და როგორ ბნელა,
სიმარტოვე, სინოტივე
ტყეებს ტანზე აკრავს,
ნახავ გვირილებს და
დაიჯერებ ხელად —
ელეგიის მძაფრი ხმა აქვს
მწვანე ხეთა საკრავს.
ღრუბლიანი,
მოწყენილი დღეთა ზეცა
აირეკლა საფლავთან მდგარ გუბეში.
დაღვრილია მთვარის სხივი
ვერცხლად,
წუთებს ვანგარიშობ წუთისოფლის
უბეში!
ჯერაც არ ჩანს საბოლოო ნუგეში.

კვლავ წუხილი,
კვლავ მოწყენა მაწვალებს,
ო, არა და
თვალთა დაღლილ გუგებში
სამშობლოს მზის ბრწყინვალება
კანკალებს

ბედმა, იქნებ უსასრულოდ გახეტოს
და სიცოცხლე წავა, ვით დაიბადა,
მხოლოდ მშობელ მიწას უნდა მიხედო
და გახედო

მან გშობა და...
შენზედაც მან იდარდა!
როცა ვიგრძნობ — აღსასრული
ახლოა

მოვალ აქ და...
დავიმარხო აქ უნდა,
რომ თქვას ხალხმა:
— კარგი სამოსახლოა,
აქ სურდა და...
მისი ნატვრაც ასრულდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მუსიკის წუთები

მწუხარე მუსიკის წუთებია,
მუსიკამ სინანულიც იცის,
ქალების კისკისი უთენია
არყების ხეივანში ისმის.
პირველი ფიფქები ამტყდარა,
მინდვრებზე დაღვენთილა სანთელი,
მზე მიქრა და
რწმენაც გამქრალა —
წეროების ენით სათქმელი!
სული გადიღალა წანწალით,
ის ყოფილ სიყვარულს იხსენებს,
დროა, რომ გითხრა მართალი:
ძველ ტრფობას ვაღმერთებ ისევე!
ისე, კაცმა რომ თქვას —
სულ ერთია —
წყალს ვით დაახანებ საცერზე;
მუსიკასაც მწუხარება სურვებია
და მეც გავჩხირულვარ ფაცერზე,
ვხედავ, რომ ზეცაა დაბალი,
ცის კიდურს ცრემლები ალბობს,
აწ ხსოვნაც ცრემლშია ჩამბალი,
იმ წუხილს არყის ხე ამბობს,
თითქოს და გონშორება ძნელია,
მაგრამ სიყვარული არ არისო;
სევდიანი მუსიკა მწველია,
სევდის მუსიკა მარადისობს!

## მიმწუხრის ლექსი

როს ფანჯარას შემოდგომის უსტვენს ქარი,
შემომიყრის ფოთლებივით დარდს და ურვას,
ვერვინ მნახოს სახლის ბჭესთან ჩამომჯდარი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეც მივყვები წუთისოფლის ულვთო ბრუნვას!
მეც ვოლოგდა მდინარეზე ვინაოსნებ.
გადავათრევ და გავმართავ ბებერ კატერს,
ვით შეჰფერის სიყვარულით დამწვარ მგოსანს.
მეც დავუწერ ხოტბას კატიას,
რაც მას ვიცნობ, განა არის დიდი ხანი,
მასზე ღამით დარდით ბევრჯერ მიწვალია,
ვიცი კარგად —
თუ სად არის რესტორანი.
კატია კი რესტორანში მიმტანია.
მას ფანჯრებზე ვარდები აქვს შემომდგარი.
მასთან არვინ იტყუება.
ცრუობს არვინ,
ღვინო აქვს და..
ო, რა ღვინო, რა მაგარი —
კადუსური ფერი რომ აქვს ოქრო-ქარვის!
რესტორანი რწევა-რწევით მინაბაობს,
მყუდროოა და.. ეგ არის, რომ მეზობელი
იქვე, გვერდით —
გისვამს კითხვას, კი არ დავობს,
განა კითხვის პასუხს ელის!
— შეიძლება დასვენება ასეთ გემზე?
ჩემთვის ეზივარ.
ვგრძნობ ვიღაცა მიდგას უკან.
მე სიმღერა მსურს ცირცელზე,
მაგრამ გარმონს არვინ უკრავს!
მომენატრა კვლავ რუსული ჰანგთა გემო.
ძველ გამოთქმებს სიბრძნე ოქროდ ექსოვება.
ო, ტკივილო, ღვთაებრივო, ძველის ძველო,
სუსხიანი არის, თურმე ეს ცხოვრება!
შემიყვარდა მე ფერები დაისისა,
ვოლოგდაზე ნათურების წყალში ბრწყინვა;
ლამე სხივთა ისრებით რომ გაისრისა —
გეგონება სულ ნათელი იდგა წინათ!
მაგიდასთან ვდგავარ უხმოდ, მესმის უცბად:
— დარდობთ არა, თქვენ, ამ წუთას?
— არა, დავჯდე, შეიძლება?
ვხედავ: ხიდქვეშ ჩქერებს მოაქვს
ფოთლის შვავი.

ზედ ფანჯარას ეხეთქება
მღვრიე ქარი.
მაგრამ ამ დროს, თითქოს მწვერვალს
მოწყდა ზვავი:
აქ ლერმონტოვს, პუშკინს, ტიუტჩევს და ესენინს
ქარის ბგერით აუკიძავთ საუბარი!

ყური უგდე, მართალს ვამბობ, რომ ესენი
დაიბადნენ ლექსის დიდი ჯადოქარნი!
ბნელ ტალღებზე —
წინ გაწოლილ სიბნელეში —
რასაც ფარნის თუ გადაკვეთს სვეტი სანთლის,
განშორებას კატიასთან სხვა აქვს ეშხი,
სხვა რამეა სიტყვა მართლის;
აწ კატერი მე შინისკენ გამაქროლებს,
კატიაზე წუხილს და დარდს
გამაყოლებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გზაზე

გამომშრალ, მზრალ მინდორზე
იმ ბავშვური სიზმრის წილად,
შემომესმა კვნესა ცხადად:
არ მოუხნავთ ყანა დროზე,
არ მოსულა დროზე წვიმა —
ნაფხვენი ვის გაეხარდა?!
როცა მინდორს გადავყურებ,
იქ, სოფელში ფანჯრის რაფას
მიყუჟულა ჭრელი კატა
და ილოკავს თათით ყურებს —
ელოდება დამპურებელს,
მას რა ესმის ჩვენი ჩხუბის —
ნუ მთხოვ ახლა შეუძლებელს, —
სიჯიუტე ცრემლებს უდრის,
ვიცი, მერე, როგორც კატა,
ხელს დასტაცებ ბავშვს და
სადღაც
მოუსვლელში წასვლას ლამობ, —
რა ღრუბლებიც დაგეხატა
მაგ სახეზე, როგორც დამღა,
დაგანახა ახლა, ქალო!
არა და სჯობს მშიერ კატას
მივხედოთ და მივეფეროთ;
გადავწყვიტოთ მტკიცედ, რათა
კვლავ ქველობდეს,
რაც დღეს ქველობს!

## ყალბი ბანქოს დასტა

— ნეტავი მალე მოთავდეს ერთი,
დასწყევლოს ღმერთმა,
რა დროს დასჭირდა ნაყარნუყარს
დასატვირთავად, —
იდგნენ,
ხელბარგებს დაჰყურებდნენ,
თან წუხდნენ ერთხმად:
ოთხი ტუზი და
ოთხი დამა წუხდა ერთავად!
ცისკარიც მოდგა
და თანდათან გაბრწყინდა ღრანტე,
ამობურთავდა გახლეჩილი
ვეება მნათი,
სავაჭრო ფარდულს
შემოეკვრნენ ქალები სილტედ —
გარეუბნებთან
სიფრიფანა მორუხო შარფი —
მინდვრის ბურუსი —
ჩალვენთილი თხრილებში ღამე —
ამოშრიალდა და სივრცენი
განიხვნენ აფრით!
ნისლების აფრით!
ოთხმა ტუზმა და
ოთხმა დამამ პეწიკიანმა
გააბეს ჩემთან საუბარი
არღნისმაგვარი:
პურის ხარისხზე, ბაზრის ფასზე...
მისწვდნენ პრობლემებს!..

— ჰეი, მეპორნევ,
შენი ჰანგი ნაპერწკლიანი,
როგორ არიან, შენი, ერთი
ქონში ჩამცილეველნი,
რა უპასუხო
ამგვარ პლიებეებს?!
ტოვებ ბორანს და...
შევეროვი
ტყეებს, ახოებს;
ვარ ბედნიერი!
ოთხ ტუზს, ოთხ დამას
ეგ ბილიკი მაშორებს და
არ მაახლოებს!
მის წინ კი (თითქოს ვიღაცას ბაძავს),
ის აყოლილი ავხორცთა ძადას)
ქალი ზის ჩუმად, პაპიროსს ქაჩავს,
— ძალზე ულმერთოდ ეწევით, მადამ!
მპასუხობს:
— ეს დღე წარმავალია,
ყოველ გზას ქარი დასტირის ბოლოს
და ბოდვას —
უფრო დათვის ვარიანტს —
სურდა თათებით რომ ჩაეჭყოლე!
მპასუხობს:
— ერთი სისხლი გვაცოცხლებს...
და უცბად ჩემკენ მოშვერილ თითით
თვალში ჩამხედა,
წამოცდა ლოცვა.
ამაკანკალა, ვით ხეზე ფითრი.
მე გავიფიქრე:
პოეტი მქვია,
როცა უაზრო, ატეხილ ლხინში
ისმის ხმაურის ვაი და ვიში
და მე ვერ ვისმენ
ჩანგის ხმა-წკრიალს?!
ირგვლივ ყოველი შეფუთულია,
რაღაც ნერვიულ სისტემის გარსში,
ცრემლი,
კივილი,
ო, სხვა გზა — არსით! —
ბოჰემის გზაზე ვისაც უვლია!
დღეს ყველაფერი ამოიწვართა,
მეზობლის ქალი კარებთან დაძრწის —
უკან შემოჰყვა ქალების დასტა,
ქანაობს სიტყვა,
ვერა და ვერა!
ვეღარ ინათა, —
არც თოვს და არც წვიმს,
მაგრამ ქრყოლა კი ძვალ-რბილში
მატანს!

* * *

ისე, ბრბო როცა ჩემს კუბოს ასწევს,
იტყვის ვიღაცა:
„შრომაში დაწვეს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხმაურობს კატუნი

ვ. ასტაფიევს

ვუსმენდი დიდხანს ამღვრეულ ტალღებს,
ბოლო სხივი ეკიდა ცის დასალიერს,
მდინარეს ვატანდი სევდას და ნაღველს
და დარდი მიტანჯავდა მოქუშულ იერს.
აქ ძალზე ახლოა კერპები, აკლდამა.
კატუნი მოაგორებს ზვირთებს ზვავებად...
აქ ვიღაც ლურსმნული წარწერით აკვდება
რუსული ბილინების ამოხსნას და... ვაებას...
კატუნი, კატუნი — ბობოქარი მდინარე,
მღერის და მღერის საიდუმლო მითებს,
თუ ვით ირწეოდა სკვითების წინარე.

ვით ეხმიანებოდა იმ დროს და იმ მთებს.
ახსოვს:
ჩინგის-ხანის ბანჯგვლიანმა ჩრდილმა
თუ როგორ დააბნელა მზე ცის კამარაზე,
კუნაპეტ კვამლმა დაზაფრა ხილვა,
ცეცხლმა იფეთქა ციხის ყველა გალავანზე!
ყველაფერი იავარქმნა საუკუნო მოქნარებამ,
და იმ სივრცე — ზღაპარში კატუნი ისევე
მორბის და სიმშვიდე წამით არ ეკარება,
მრისხანება ძველებური არა, არ ისვენებს.
აწ მთებში ჩანავლდება მცხუნვარე ივნისი,
ბურუსში გაახვევს მოწყენილ ზმანებას,
ეჰ, რად სდუმან საფლავზე ვარდები — ვინ იცის,
კატუნი ხვალაც, ზეგაც ქუხილს ემგვანება!

●

ჰეი, ცხენებო, სიჩაუქევ აზიელთა,
როს მივშტერებივარ მელანს და ქაღალდს,
ვითარც მოქნეული ხმალი აზამატის,
ისე მივეკრობოდი ჩემს ბედაურს ტალღად!
ვითარც ავაზაკი, ოღონდაც უხანჯლო,
პირჯვარს გადვიწერდი ძველ ნიშთან მკვირცხლად
და არხს — ზედა ტალღები ხმაურით რომ ხმობს,
გადავევლებოდი როგორც ელვა ცისა!
სარკმელს ჩავუქროლებდი ედიკის და გლების —
— ეს ხომ რუბცოვია! — დამეწეოდა ძახილი,
მშვენიერი და ამაღლებული ფრთებით,
შენს წინ დავერჭობოდი, დასტურ, მახვილი.
ოღონდაც, ოღონდაც სრულიად უბრალოდ
შენ უნდა გეთქვა: — შენ მიხსენ ღმერთო,
ეგ ყველაფერი ზღაპარია უბადლო,
ცხენით რათა? ტაქსი გაჭირდა ერთობ?!
და მეც შეცბუნებული ამ უცნაურ ქცევით,
უფლის მიერ ზეციდან ძირს ჩამოგდებული,
პასუხს გაგცემდი უცაბედად
სადავი ენით:
— რა ითქმა უნდა, როდია ეს პროგრესი დიდებული...

## ციმბირის სოფელში

ყვითელი ბუჩქი,
ნავი — პირაღმა,
საზიდრის ბორბლები ტალახში გდია...
ოროვანდშუა, (თუ ძებნენ, ალბათ)
ზის პატარა ბალღი —
უყურებს ლეკვის წრიალს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

წკმუტუნებს ლეკვი,
ბოლოსკენ იწევა,
და დაავიწყდა
ჩქმენელსაც, ალბათ,
აქ გვირილების თავდავიწყებას
მხილველი აჰყავს ზეგანზე მაღლა!

რა სიჩუმეა.
მზე შემოდგომის
ულონოდ ფანტავს დაზაფრულ სხივებს
და აქ მდინარე რომ გარბის
თრთოლვით —
ნაძვთა ნანინათი
კის დააძინებს.

ტყეში კრაზანებს
დაეწყოთ კვნესა,
კვნესა — შედეგი
ლოცვის და სევდის, —
ომგადახდილი, თითქოს ხმალს

არ გახდეთ კვლავაც
ცრემლების ხვედრი.
მე ხომ შემთხვევით ვნახე
ეს მხარე,
დავეძებ ბინას,
თან რუსეთს ვუმღერ, —
ყვითელი ბუჩქის
სუნთქვაც მახარებს,
დიდება უფალს!
თვალებში ვუმზერ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფასკუნჯი

როდესაც ეძებს თავშესაფარს მთვლემარე ჯოგი,
არყის ხეთა ტევრს უჩნდება საქმე,
მწყემსს ფოთოლცვენა აკვირვებს ფოთლის —
ზის და ფეხს ასე უაზროდ აქნევს.
მეწამულ ტყეში პატარა ქოხი
ლურჯზე ლურჯია. როგორც საუფლო,
გამოაქვს მამას ხვალისთვის თოფი,
შინ დაბრუნებულ შვილზე საუბრობს.

ტყის გაღმა გამოჩნდა დიდი სოფელი,
იქ ჰილყვავი და მოხუცებია, —
სოფელს ტყე აკრავს გაუყოფელი,
ტყე იქვე, ზეგანს მიფიცხებია...
სოფელი ხალხს და ბუნებას უფრო
წარმოაჩენს და მეცა ვგრძნობ, ვუსმენ...
და ცხადად ვხედავ ღამეში უფროოდ
თუ ვინ ეწევა ზეცისკენ რუსეთს.
ზეგააქროლა ცხენები კაცმა —
იქ მელოდება ვაჟკაცთა მოდგმა,
რუსული სული, ბრძოლები, ჯვარცმა,
რუსული მკერდი ქცეულა ლოდად!
სად არ ვეხეტე, შეჩვენებული,
გახლდით სევდის თუ ზეიმის კარად,
გზათა ტოტებზე შესკუპებული
მეც ვმწიფდებოდი ნაყოფის დარად!
სადაც ზეიმი იდგა იქ, ცისკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწევდა მძაფრი მღერა — სიმღერა,
სად არ ვყოფილვარ, მაგრამ მე ისევ
ვუბრუნდებოდი მშობლიურ კერას...
— დიდი ხანია ჯოგს მწყემსავ? — ვკითხე
მოხუცს, რომელმაც მითხრა: „დიახო“ —
ნავთის სანთურზე მანიშნა იქვე —
ვემორჩილები ასე ნიავსო!
— მაშ, ამჩნევ წლები როგორ გარბიან?
— აბა, არაო?! — მომიგო უმალ —
— ჩვენ შევესწრებით იმ წლებს მადლიანს?
— შეიყვარე და თვით იცის გულმა,
ვით ზიდოს ტრფობა მშობელი მიწის —
თქვა, დაამატა:
— მჭადა სოკო სულ ყველგან იცის...
მშვენება გახლავთ ჟამს შემოდგომის
ტყის შუაგულში რომ ნახავ ბოსტანს.
ბავშვის ტიკტიკი თუ გესმის თრთოლვით,
სიძველის განცდას ემონები როცა,
ძველი სევდა ხომ გაქრება წამსვე,
რასაც იხილავ, შეგძრავს გულამდე,
შემოდგომაა, ხომ არ გაფრინდა, —
ფასკუნჯს გულდაგულ მიაყურადე!

## სიმღერა

გაიკვირტება, ჰყვავის
ჭაობზე მიწამაყვალა,
მინავლებულა ზაფხული,
ო, მეგობარო ჩემო!
უკვე სიყვითლემ იძალა,
ფოთოლცვენის დრო დამდგარა
და ქარს ღრუბლები დააქვს
ფიჭვის ტყეების ზემოთ!

ჭრიალი გააქვთ ჭიშკრებს,
ჩაბნელებულან ქოხები,
ქარში, მორევთან ნაძვის ხეს
აღარ ეტყობა დაღლა, —
გუგული, ვით მომჩივანი,
სივრცეს გაჰყვირის ოხერი,
ან ღამე რაზე არ სძინავს
ვერ გამიგია ღალღას?!

ამ მიჩუმებულ სოფელს
ახალგაზრდები მალე
სიცილ-კისკისით შესძენენ
მკაფიო და ჭრელ ფერებს,
ამ დროს ჭარმაგი ქალები
ზეალაპყრობენ თვალებს,
ცაში აფრენილ თვითმფრინავს
თავსაფრებს დაუქნევენ!

მე ისევ ვღელავ, განვიცდი —
მომწყურებია სივრცე,
ზეცაში განავარდება
ახალგაზრდული ფრთებით,
რაღა ვქნა, რაღა, მითხარი —
გული ძალუმად მიცემს,
დედა — სამშობლოვ, უშენოდ
ალბათ, უცაბედ ვკვდები,
დამენანება მინდორი,
დამენანება ქოხი,
დამენანება მორევთან
ომებგაწეწილი ნაძვი;

დამენანება გუგული —
მიდამოს ზაფრევა ოხერით,
ღალღა, რომელიც კივის და...
თავისკენ კეცავს მანძილს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შემთხვევა საღამო ხანს

ბუჩქნარში ცხენს რომ გადავეყარე,
შევკრთი უცაბედ —
იყო გვიანი. —
ამ დროს გგონია, რომ
                    გითვალთვალებს
ჭინკაც კი წყლიდან —
ქლესა რქიანი!

ცხენი არაფერს არ მოერიდა,
მე კი ათასგვარ შიშს დავემონე,
ვიდექით ორი სულიერი და...
ვერას ვუგებდით ერთი მეორეს.

განსხვავებული სიფათით ჩვენით —
ახლა თვალებით სივრცეს ვზვერავდით,
ვერას ვამცნობდით ერთმანეთს
                    ენით —
ორნივ ვღელავდით, ვიდექით ასე.

მეჩქარებოდა. რომ გითხრათ სწორი,
ცაზე ვარსკვლავნი უკვე ქრებოდნენ...
უმჯობესია — არსება ორი
ერთმანეთს ასე არა ხვდებოდეს

## პოეზია

ახლა ის კვამლივით მწვანე კუნძულებით
ჩაგყურებს თვალებში მორჩილი ბედის.
გაკრთება ჟამი-ჟამ ველებით, მთებით —
კვლავ დაიფარება კვამლის თალხი ფრთებით
და გვიზიდავს თავისკენ ზღაპრული ხმებით.

გაკრთება სიმშვიდე სოფლური დღეების
და გრძნობა წარსულის — ჟღერები, ფერები
იმგვარ სიხარულს დაატრიალებს —
მგალობელ ფრთოსანთა ჭიკჭიკ სიმღერები.
გგონია მდინარის სარკეზე ტრიალებს.

თოვლია, თოვლი... რკინიგზის ლიანდაგს
დავყურებ ბრჭყვიალას — სუფთაა მიდამო.
მე წლებმა შემინდონ სიჩქარე ნიადაგ,
შემინდონ. თუ სადმე კვლავ დამაგვიანდა —
არა მსურს სადგურის კვამლთან რომ ვიდავო!

ჩურჩულებს ფიჭვნარი — ქარვა ვერცხლნარევი.
ჰაერი ზეირთდება ევენების კეთებად,
პუშკინის მძლე სულმა დარეკა ზარები,
განიხვნა სამყაროს დახშული კარები
და ისევ განივრცო კოლცოვის ლეგენდა.

მეძახის რკინიგზა უთვალავი ზარით.
გავრბივარ... თან ვკარგავ საკუთარ თავს.
როცა ის — პოეზია
თოვლით, ველით, ქარით,
საუკუნეები — გაჭვარტლულნი კვამლით
გაიზმორებიან და ჩუქურთმად ჩაეწნებიან
ბედის მორჩილ ფასადს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბუჩქნარს შევხედე

ბუჩქნარს შევხედე —
ჭეშმარიტება დავადგინე:
ჰყავის კიდევაც და ნაყოფსაც უხვად ისხამს;
მას მზე კვებავს ცხრათვალა.
წარმოიდგინე:
უსხამს დედა-ბუნება წყალსაც მისხალ-მისხალ!
გაიხედავ გვერდით —
გადამხმარან ხეები.
ოლროჩოლრო წუმპე ალრჩობს ირგვლივ საწყლებს;
ბალალაიკა სდუმს —
ვნებით განახელი.
ვნებით განახელი,
და არვის ეს სიჩუმე გულს არ სწყვეტს.
ბუჩქი მზისკენ აფრენილი —
ყვითლად გადამწვარა.
გადაჰყრია მზის ალახს,
ვერ გაუძლო წამებას,
ახლა ვინლა გამოუწერს სამკურნალო წამალს —
ასე არის, ვინც ზეიწევს,
მწვერვალს ვინც ეძალება!
რაც გადარჩა, ისხამს ნაყოფს
და მას ჰქვია ცირცველი —
დახუნძლული მეტად ტკბილი ნაყოფით;
ო, ძვირფასო გოგონიავ,
ეს ხე გახლავს ძირძველი,
შენ, ბუნების დიდო ძალავ,
სულ ახარე, ამყოფე!

# დუგლას გლოვერი

## მოთხრობები

ინგლისურიდან
თარგმნა ინგა ფალიანმა

### ცხენი

Იქ, სადაც ნეკერჩხლების მწკრივი ჩრდილო-დასავლეთის ქარებს ელობებოდა და თოვლი ქვემოთ, გზაზე გროვდებოდა, გამაგრებული ნამქერი ადამიანს წელამდე სწვდებოდა. პატარა ბიჭი ბორძიკით მიიკვლევდა გზას საქონლის ბაკისაკენ, სადაც წითლად შეღებილი თავლა იდგა. თავლასთან ნაკელს ოხშივარი ასდიოდა. უფრო იქით ქვის სახლი მოჩანდა. ბაკში პატარა, კასრივით მოყვანილი ქურანა ცხენი იდგა. სადავეები ჯიდაოზე ჰქონდა განასკვული. ბიჭი დროდადრო შეჩერდებოდა, სულს მოითქვამდა და კაპიუშონიან პალტოს სახელოებს დაბლა ქაჩავდა, მაგრამ ყოველ წაქცევაზე სახელოები ისევ ზემოთ იწევდა და ყინვით დაწითლებულ მაჯებს უჩენდა.

ბაკიდან კორომამდე მილ-ნახევარი იქნებოდა. გზის ორივე მხარეს ქედარის მესერშემოვლებული დათოვლილი მინდვრები გადაჭიმულიყო. მინდვრებს სამანად ნორჩი ნაძვების რიგი გასდევდა. ბაკის ჭიშკრიდან თოვლსა და მწვანე ყავრით დახურულ საკარმიდამო ნაგებობებს შორის ფლოქვებით გატკეპნილ-გაკვალული და შარდით დალაქავებული ბილიკი მწვანე ფიცრის ფარდულამდე მიდიოდა, რომელიც უკანა მხრიდან ჰქონდა მიდგმული.

ბიჭი ღია ჭიშკარში შევიდა, ცხენისკენ არც გაუხედია, ჩქარი ნაბიჯით ისე გადაჭრა ბაკი. ფარდულის კარზე ურდული ასწია, მხარით მიაწვა და გაალო. ჯღრემის ჩექმებზე და პალტოს კიდეებზე აგორებული თოვლი არც კი ჩამოუფერთხავს, პირდაპირ შევიდა. დერეფანი სწრაფად გაიარა, ვეება სამზარეულოში კი შედგა. საამურმა სითბომ ნელ-ნელა გაატანა ყინვით გათოშილ სახსრებს (?) მოსში. მამა ქურასთან იდგა და ყავას ადუღებდა. მაგიდაზე გადაშლილი წიგნი იდო. ბიჭებს ყავის მკვეთრი, მრეში სურნელი მიელამუნა, ელექტროჩაიდნის თბილმა, დამამშვიდებელმა გუგუნმა მიუალერსა და უნებლიედ მოამჩვარა.

— სემსონმა ისევ გადმომაგდო. — წაისლუკუნა. თვალებში ცრემლი მოაწვა, ლამის ატირებულიყო. — შემაშინა... — დაუმატა ჩუმად.

— რამდენჯერ გადმოგაგდო? — მამა ქურას არ მოსცილებია.

— ორჯერ. ჯერ ტყეში და მერე ქარქცეულთან.

— ხომ არაფერი იტკინე? როგორ დაეცი? — მამას ბიჭის ხმაში ღვარძლი ენიშნა, მოტრიალდა და დააკვირდა. — ტანისამოსი გაიხადე. ცხელ აბაზანაში ჩაწექი და მოგეშვება. — თქვა წყნარად. — ფეხებში კი ნერვიულობა [illegible] ისევ შეუძლოდაა.

— არ... არ შემიძლია, — ბიჭს დამდუღრულ ხმაში სიყოჩაღე შეერია და იძულებული გახდა ზლუქუნი შეეწყვიტა. — სემსონი [illegible], თავლაში უნდა შევიყვანო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რაო?.. შეკაზმულია? — გაიოცა მამამ.

— ბაკშია. ვერ დავიჭირე.

— ღმერთო დიდებულო! მაშ ისევ გაუშვი?

— არა, სერ, ვერ დავიჭირე.

— გადაგრევს კაცს. ცხენი რა შენი საქმეა. წავიდ და მე დავიჭერ, ვიდრე ფერმიდან გაქცეულა. ხომ გეუბნებოდი, რომც ჩამოგაგდოს, მაინც შეჯექი-მეთქი.

— დიახ, სერ.

ჯერემი ვერ გარკვეულიყო, მაინც რისი ეშინოდა. ცხენმა დიდი შიში აჭამა. კინაღამ გული გაუსკდა. სემსონის ზურგს რომ მოსწყდა, მიწას დაენარცხა და იმავე წამს გვერდით ასვეტილი ცხენის ყოროებივით ფლოქვები ასე ახლოს დაინახა. სუსხმა ტკივილმა დააფეთა. ახლა კიდევ მამისაც ეშინოდა.

თვალები დახუჭა, რომ მშობლის სახე არ დაენახა. თავისი თავი წარმოუდგა თვალწინ. ჯერ წყნარად მიდიოდნენ. მერე სემსონმა ბილიკზე წაიგვერდა და ცხენის ზურგმა ლაჯებქვეშ ალმა-დალმა ქანაობა დაიწყო. უცებ სემსონი მარჯვნივ მიტრიალდა და ჯერემიმ იგრძნო, რომ ვარდებოდა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც შენელებულ კადრში და მაინც ვერაფრით უშველა თავს. მიწას მკერდით დაასკდა და სუნთქვა შეეკრა. სემსონი კი, ვითომც არაფერიო, რამდენიმე იარდის დაშორებით შედგა და დაელოდა.

ეს უკვე მეტისმეტია, ფიქრობდა ჯერემი. ამდენის მოთმენა აღარ შეეძლებოდა. სემსონი სულ ასე შვრებოდა, როგორც კი ბიჭი შეაჯდებოდა ხოლმე. ცხენი ალბათ გრძნობდა, რომ ჯერემის პატარა ფეხებს იმდენი ღონე არ ჰქონდათ, მხედარი ცხენის ზურგზე გაემაგრებინათ. ბიჭს ეჩვენებოდა, რომ ამასხარავებდნენ, აშინებდნენ... ამის ატანა აღარ შეეძლებოდა. როგორც იქნა, ჯერიმიმ წელი აითრია, მაგრამ ცხენისკენ ნაბიჯიც ველარ წადგა. ნაწყენმა და ტკივილით გამწარებულმა თოვლის გუნდები დაუშინა და ცხენი ბაგისაკენ გაქანდა. სინამდვილეში ასე მოხდა ყველაფერი, მაგრამ მამისთვის სიმართლე რომ ეთქვა, ვითომ გაუგებდა?

— ვერ დავიჭირე. შინისკენ გამოჰქენდა.

— გასაგებია. — თქვა მამამ, — მაგრამ ბაკში რატომ აღარ დაიჭირე?

— შემეშინდა.

— მაშ, ცხენი შენი საქმე არ ყოფილა...

ჯერემიმ მამის ხმაში სიბრაზესთან ერთად იმედის გაცრუებაც იგრძნო. შერცხვა. საკუთარი თავი შეზიზღდა, რომ თავისი უსუსურობა გასცა. უეცრად თვალწინ დედა დაუდგა, რომელიც სწორედ ამ ადგილზე იდგა ხოლმე და თითქმის იგივეს ეუბნებოდა მამას: „ასე აღარ შემიძლია, ჯეკ, მეტს ველარ გავუძლებ. ვერა ვარ კარგად". ჯერემი შეძრწუნდა, ლამის გული შეუწუხდა, ისე შეეზარა თავი.

ჯერემის მამა ტანდაბალი კაცი იყო, მოგრეხილი ფეხები, განიერი მხრები და ჩავარდნილი მკერდი ჰქონდა. ფერმერი თავისი ნებით არ გამხდარა. 1928 წელს მედიცინის შესასწავლად უნივერსიტეტს მიაშურა, მაგრამ დეპრესიის წლებმა დიდ სიღარიბეში ჩააგდო მისი ოჯახი. მამამისმა წერილი გაუგზავნა, ფული აღარა გვაქვსო. ამის მეტი ერთმანეთისთვის არც მიეწერათ და აღარც მიუწე-

რიათ. მამამ სწავლა მიატოვა... ჯერემის ეს დედისგან ჰქონდა გაგონილი, დედას თავისი ცხოვრების დრამატულ ფერებში დახატვა უყვარდა და ხშირად ყვებოდა ხოლმე ამ ამბავს, მამას კი სიტყვაც არასოდეს დასცდენია. დედა ერთთავად იმას გაიძახოდა, მამის სიძუნწე რომ არა, ჯეიკი სახელოვანი ქორეოგრაფი დადგებოდაო.

ეროვნული

ცხენების ამბავიც იცოდა ჯერემიმ. ერთ მშვენიერ დღეს მან [illegible] ხარახურასა და ძველმანებში მიგდებული მამის ჯილდოებით სავსე ყუთი იპოვნა. არაფერი უთქვამს, მაგრამ ყუთი თავის ოთახში, ფიჭვის კარადაში შეინახა. ხანდახან გამოიღებდა ხოლმე და გულისყურით ათვალიერებდა ნაირფერ ლენტებს. ზოგჯერ, როცა დედა ქალაქში სტუმრად ჩაიზე ან თმის დასახვევად წავიდოდა, მამა მაგიდაზე ხელადით წყალს და ბოთლით „ქენეიდიენ ქლაბს“ დადგამდა, კოდაკის კინოპროექტორს გამოიღებდა და ცხენების შოუს ძველ ფირებს უჩვენებდა. ჯერემის და მის უმცროს ძმებს ძალიან უყვარდათ ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახებში ჯდომა; პროექტორიდან გამოსულ შუქზე მტვრის ნამცეცები ცეკვავდნენ, ეკრანზე ტანდაბალი ფერმერისა და ცხენების გამოსახულებები ციმციმებდა. ჯერემის ისიც კარგად ახსოვდა, როგორ ბრაზდებოდა ხოლმე დედა, თუ ამ ამბავს შეესწრებოდა. „ხომ იცი, როგორ მეშინია.ჯეიკ. არ მინდა აქედანვე ცხენები ჩაიბეჭდონ თავში. ხომ იცი, მე თუ მოვკვდები, ეგ მომკლავს.“

როცა ჯერემი სულ პატარა იყო, ფერმაში ცხენები ჰყავდათ. მამამ კაცი იქირავა, სახელად ბილი ბლეიკი, რომელიც მინდვრის გაღაღმა პატარა ქოხში ცხოვრობდა და ცხენების დიდი ტრფიალი გახლდათ. ჯერემის ფილმები უკეთ ახსოვდა, ვიდრე სინამდვილე: აჩქარებული კადრები — ტვიდის ყავისფერ მოხდენილ კოსტიუმში გამოწყობილ მამას რბილი ფარფლებიანი ქუდი ახურავს, კვიცები სადავით მიჰყავს, ჩერდება, მირბის, კამერის წინ დგება. გაუბარსავ ბილი ბლეიკს გაცვეთილი კოსტიუმი და იმდროინდელი უსაყელო პერანგი აცვია. იგი განზე დგას და საქმიანად ელოდება ჯერემის მამას, რომ ცხენები ჩამოართვას.

მამა იტყოდა ხოლმე, ბილი ბლეიკს ცხოვრებამ არ გაუმართლა, თორემ ისეთი გულის კაცია, უკანასკნელ პერანგს გაიხდის და შენ ჩაგაცმევსო... მაშინ, როცა ჯერ კიდევ ცხენები ჰყავდათ, მამამ ბილი ბლეიკს მიწის ნაკვეთი აყიდინა და ლამაზი ფაშატი „ბლექ დაიამონდი“ აჩუქა. ბილის ჯერემის ტოლი გოგო ჰყავდა, სიუზი, რომელსაც ჯირკვლები აწუხებდა და ამიტომ ძალიან გასუქდა და ფქვილივით გათეთრდა. ბილის ფერმერობაში ხელი მოეცარა და ყელამდე ვალებში ჩაეფლო. ბოლოს კი გაგიჟდა საწყალი. აღარაფრის თავი აღარ ჰქონდა, ერთავად სამზარეულოში იჯდა და თავის თავს ელაპარაკებოდა, ხანდახან ტირილიც აუვარდებოდა ხოლმე. მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ მოხდა.

ცხენიანობას მოულოდნელად, სულ ერთ საღამოში მოეღო ბოლო. ჯერემის რწმენით, ეს ბრმა შემთხვევის ბრალი იყო. მამამ კვიცი იყიდა, სახელად რამზესი. ხტომაში უნდა გაეწვრთნა. მართლაც სანაქებო რამ იყო რამზესი, მაგრამ მეტისმეტად ველური გამოდგა. ბილი ბლეიკი ვიდრე გაგიჟდებოდა, სულ მის ქებაში იყო. „ის ნეხვიანი ტყიური ისა!!!“ იტყოდა ხოლმე ჩიფჩიფით.

ერთ საღამოს მამა რამზესს თავლის გვერდით ბაკში ავარჯიშებდა. ბაკი სამი მხრიდან ფიცრებით იყო შემოღობილი, მეოთხე მხარეს თავლის კედელი

იმიჯნებოდა, ბეტონის სამირკველი ექვს ფუტამდე აღწევდა, რომელზედაც წითელი ფილების კედელი აღმართულიყო. ბაკის კიდესთან ჯერემი, დედა და მისი უმცროსი ძმა იდგნენ, ძაღლები დაემწყვდიათ, რომ ცხენები არ დამფრთხალიყვნენ. პატარა ბიჭებს პიჟამოები ეცვათ და დასაძინებლად იყვნენ გამზადებული. ბილი ბლეიკი თავისი დანჯღრეული პიკაპით ზუსტად მაშინ მოადგათ, როცა რამზესი უზადოდ გადაახტა ორ ზღუდეს.

მესამე ზღუდესაც მშვენივრად გადაევლო, მაგრამ ჯერ მიწას არ შეხებოდა, რომ უცაბედად სასწაულად დაიკლაკნა და თავლისკენ ჰქნა პირი. მამამ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, მთელი სიმძიმით წინ მიაწყდა. ინერციის ძალამ იგი უზანგებიდან გამოაგდო და ძირს მოისროლა. გვერდულად მიენარცხა თავლის კედელს, მაგრამ ვიდრე მიწაზე დავარდებოდა, რამზესმა ზურგი შეაქცია და უკანა ფლოქვები უთავაზა მუცელში. კაცის თავი მიწაზე ნესვივით მიასკდა ბეტონს. სახამ ჯერემი გამოერკვეოდა, ბილი ბლეიკი უკვე მესერს გადაევლებოდა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. დედამ კვნესით და „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემოს" ძახილით ჩაიკეცა ძირს.

ჯერემი მაშინ ძალიან პატარა იყო, მაგრამ სამუდამოდ ჩაებეჭდა გონებაში, იმ ღამეს როგორ იჭყიტებოდა თავისი ოთახის ფანჯრიდან და ბინდში უცნობ კაცებს ხედავდა, რომლებსაც მამამისი მოჰყავდათ. ყურში თითქოს ახლაც ესმოდა ქვედა სართულიდან მათი მოგუდული ხმები. რამდენიმე დღის შემდეგ ვიღაც კაცი მოვიდა სატვირთო მანქანით და დედას თავლის კართან ფული ჩაუთვალა. მას შემდეგ ცხენი აღარ ჰყოლიათ.

ჯერემიმ იცოდა, მამა გაბრაზებული იყო. ისიც იცოდა, ცხენზე ხელმეორედ რომ არ შეჯდა, ეს აბრაზებდა. მამის ბუნებაში იყო რაღაც ქვასავით უტეხი და ჯერემი გრძნობდა, რომ თვითონ აკლდა მამის ეს თვისება. იდგა და უყურებდა, როგორ იცვამდა მამა პალტოს და ჩექმებს. თბილად ჩაფუთნული, თვალებაწითლებული და ლოყებატკვარცხული ბიჭი სასაცილო ჯუჯას ჰგავდა, მღელვარებისაგან სხეული უხურდა. რატომ შემოვიდა სამზარეულოში? დიდი შეცდომა დაუშვა. ცხენის ისე ძალიან არ შეშინებია, მაგრამ თავი ვერ აიძულა და ნაბიჯიც ვერ წადგა მისკენ. ალბათ ერთ-ორ დღეში ეს შიშიც გადაუვლიდა და ასეთი რამ აღარ დაემართებოდა. არა, მამისთვის ასერიგად არ უნდა გაეცრუებინა იმედი.

ჯერემის გაახსენდა, როგორ იყიდეს სემსონი ამ ზაფხულს ბლეიკებისგან. რაც თავი ახსოვდა, მუდამ ცხენზე ოცნებობდა, მაგრამ დედა სასტიკ უარზე იდგა. მთელი სიცოცხლე იმ ორმოცდაათ დოლარს აგროვებდა ბიჭი, მამამ ცხენში რომ გადაიხადა. ბლეიკებთან წასვლის წინა ღამეს მამამ თავლაში შეიყვანა და ქალაქში ნაყიდი ნახმარი უნაგირი და ალვირი უჩვენა. ჯერემი გრძნობდა, რომ მამა ერთგვარი ჯიბრიანი კმაყოფილებით ეუბნებოდა ხოლმე დედას, ბიჭმა ფული თავისი შრომით მოიპოვა და რაშიც უნდა იმაში დახარჯავსო. ეჰ, რა ბედნიერი და ამაყი იქნებოდა ახლა, თავის ტანდაბალ, მაგრამ ყოჩაღ ცხენზე ამხედრებულს რომ ჩაერბინა ბირკასა და ცერცველაში ჩაკარგული რკინიგზის მივიწყებული ხაზი და ისე მოსულიყო შინ.

შესაძლოა თავისი ბრალიც იყო, ვინ იცის! მაგრამ რაც მართალია, მართალია. ცხენს თავიდანვე უცნაურად წაუვიდა საქმე. ჯერ ერთი კვირის მოყვანილიც არ იყო, რომ სამოვრის ღობეზე გადმოხტომა მოინდომა და ეკლიან მავთულში გაიხლართა. მოიწვიეს ვეტექიმი, რომელმაც რაღაც ანტისეპტიკური საშუალებებით საწყალი მთლად ლურჯად შეღება და სასაქმებელი ზეთიც

გამოუწერა. ვიდრე მომჯობინდებოდა, ჯერემის ალვირში ხელჩაკიდებული დაჰყავდა სასეირნოდ. მერე როდესაც შეჯდა, უკვე გვიანი შემოდგომა იდგა. სემსონი ოჩანი და ჯიუტი ცხენი გამოდგა. ტყეში ფოთლების შრიალიც კი ქროთობდა. ჯერემი პირველად ბილიკზე გადმოაგდო, როცა მზის შუქზე ბებერი მუხის ჩრდილის ტოკვამ დააფრთხო. ჯერემის ძალიან ეწყინა. ის ხომ სემსონს თავისი ხელით აჭმევდა, ათასგვარი ნუგბარით უმასპინძლდებოდა, [illegible]ვივით ეფერებოდა, ფაფარს უვარცხნიდა, საათობით უჯდა თავლაში და ესაუბრებოდა.

ყურში თითქოს ისევ დედის ხმა ჩაესმა ჯერემის: „თავიდან მოვიშოროთ, ჯეიკ. ისიც რამზესივით ავზნიანია. ცუდი არაფერი მოსწიოს ბიჭს. უნდა მოვაცილოთ აქაურობას",

— რატომ არ დაიჭირე? — ჰკითხა მამამ. —ბაკში ადვილად დაიჭერდი.

— არ ვიცი.

— ბაკში უნდა დაგეჭირა და შემჯდარიყავი. იქ ალარ ჩამოგაგდებდა.

— შემეშინდა.

მამამ კარის სახელურს მოჰკიდა ხელი.

— გეხვეწები, მამი. მე წავალ.

— დარჩი. თავლაში მე შევიყვან. დილას კი ბლეიკს მივუბრუნებ. რა აზრი აქვს ცხენის ყოლას, თუ ზედ ვერ შეჯექი.

— გემუდარები, თითქოს იყვირა ჯერემიმ. — დავიტოვოთ! მე უბრალოდ ცოტა შეშინებული ვარ. გადამივლის...

მამას არაფერი უპასუხია, ზიზლით მიტრიალდა და გარეთ გავიდა. ჯერემი მარტო დარჩა სამზარეულოში. ფარდულის კარის მიჯახუნება და ურდულის ჩხაკუნი შემოესმა. სამზარეულოში სიჩუმე იყო, მხოლოდ ჩაიდნის თუხთუხი და საათის წიკწიკი ისმოდა. ბიჭი ქურასთან მივიდა და ჩაიდანი გამორთო. საძინებელი ოთახიდან დედის ხმა მოესმა:

— ჯეიკ, ჯეიკ, ჯერემი არ მოსულა?

ჯერემი კარს ეცა და გარეთ გავარდა.

— რისთვის გამომყევი? — არც შეუხედავს, ისე ჰკითხა მამამ, როცა ჯერემი წამოეწია. — ბილი ბლეიკს დავუძახებ, მოვიდეს და ცხენი უკანვე წაიყვანოს.

— მე დავიჭერ, მამი, შევჯდები, — ისევ სთხოვა ბიჭმა.

მამა შეჩერდა. რა მტანჯველი იყო ის წუთი. ვაითუ შეჯდომის ნება არ მომცესო, ფიქრობდა გამწარებული ბიჭი. მამა ერთხანს უტეხი სახით უყურებდა, მერე უცებ მოლბა.

— კარგი, წამოდი.

მამა დიდი ნაბიჯებით წავიდა წინ. ჯერემი ძუნძულით გაჰყვა. სემსონი თავლის კართან იდგა. პატარა ქურანა ცხენი იყო, დიდი თავი და აწეწილი ფაფარი ჰქონდა. მუცელი და ფეხები შარდით გაჟღენთილ ნამჯაში წოლისაგან დალაქავებოდა და ზედ თივის ნაგლეჯები აჰკვროდა. მის უკან წითლად შეღებილი თავლა და თოვლით გადათეთრებული ფერმა მოჩანდა. შორს შავად მოქუფრულ ცას მიბჯენილი ფოთოლგაცვენილი ტყეები გადაჭიმულიყო.

ცხენი ადგილიდან არ დაძრულა, ეგონა, თავლაში უნდა შეეყვანათ, მაგრამ ჯერემის მამა სადავეში სწვდა, მოქაჩა, კარს მოაცილა და იქვე მიაბა. კაცი ხმის ამოუღებლად შევიდა თავლაში. იქიდან რომ გამოვიდა, ხელში გრძელი კორდა ეჭირა. კორდას ერთ ბოლოზე მიბმული ჰქონდა ჯაჭვი, რაზა და ხის

გრძელი ორმაგი ლარტყა, რომლითაც თამბაქოს ჰკიდებდნენ ხოლმე ლუმელში გამოსაშრობად. მამამ ჯაჭვი ცხენს ყბის ქვეშ გაუტარა და მეორე მხარეს რკინის რგოლს გამოსდო. თოკი რომ დაქაჩა, ჯაჭვი ცხენის ყბაზე ჩამოჰკრა. ცხენი თავლას გამოაცილა და ბაკის შუაგულში გააჩერა.

ტყვიის გასროლასავით გაიჭახუნა ლარტყამ გავაზე. სემსონმა მოულოდნელობისაგან გულსაკლავად დაიჭიხვინა და ჯასხლტა. ისე შიუროროდა ლარტყმას, როგორც მოკრივე მოწინააღმდეგის მარჯვენას. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა, ცდილობდა ლარტყა თვალთახედვიდან არ დაკარგვოდა.

— მოიცა, შე სამგლევ, — თავისთვის ბურტყუნებდა ჯერემის მამა. — გაჩერდი! — შეუძახა ცხენს და ერთი კიდევ გადაუჭირა, მაგრამ ლარტყა ჯიდაოზე გადატყდა. მამამ გულიანად შეიგინა.

— მიდი, დაიჭირე. — თოკი ჯერემის მიაწოდა, ცხენმა გაიწია და ჯერემიც გაათრია.

— დაიჭი-მეთქი, გეუბნები. — ზურგიდან მოესმა მამის ხრინწიანი ხმა.

ჯერემიმ შიშისაგან აღარ იცოდა რა ექნა. სემსონი ვეებერთელა და მთლად გამხეცებული ეჩვენებოდა. დარწმუნებული იყო, ცხენი უეჭველად გადათქერავდა. თოკი მოქაჩა. სემსონმა ერთბაშად გაიწია და ჯერემი წააქცია. სწრაფად წამოხტა, მთელი ძალით დაეჭიდა თოკს და უკან გადაიზნიქა. ცხენი, როგორც იქნა, დაწყნარდა.

ამასობაში მამაც დაბრუნდა. ხელთათმანიან ხელში ცოცხის ტარი ეჭირა.

— კორდა მე მომეცი და შეჯექი, — უთხრა ბიჭს.

ჯერემიმ არაფერი უპასუხა. ახლა ცხენზე მეტად მამისა ეშინოდა. ძლივსძლივობით შეაბობლდა, რადგან ცოცხის ტარით დაშინებული სემსონი ადგილზე ვერ ისვენებდა და ცმუკავდა.

— ნელა ,შე სამგლევ შენა, — ბუზღუნებდა მამა.

როცა ჯერემი შეჯდა, მამამ ცხენი და ბიჭი ბაკის ჭიშკრიდან ღია მინდორში გაიყვანა. ყინვისაგან შემაგრებული თოვლი გაუკვალავი, თუმცა არც ისე ღრმა იყო. ციოდა. გამეფებულ სიჩუმეს ფერმის იქით შარაგზაზე მქროლავი მანქანის ზუზუნი, ლაგამის ღრღნის ხმა და ფეხქვეშ თოვლის ხრაშუნი არღვევდა. ჯერემიმ არ იცოდა რა ელოდა, მისი გონება უნაგირის შეგრძნებით და იმის შიშით იყო შეპყრობილი, თუ რა დაემართებოდა, მამას უცებ ცხენისათვის რომ შეეტია.

მამა შეჩერდა და სემსონს შეხედა. ცხენმა ისევ ფეთიანივით დაიწყო ტოკვა. ამ დროს ცოცხის ტარი შიგ ფერდში მოხვდა. ისეთი ხმა გამოსცა, ხალიჩებს რომ ბერტყავენ ხოლმე. სემსონი ყალყზე შედგა და ლამის მიწას მოსწყვიტა კაცი. მამას თოკი მკლავზე ჰქონდა დახვეული და ძირს ექაჩებოდა, ცხენის დაკავებას ცდილობდა. ყვითელი ჯოხი სეტყვასავით დაუშინა ცხენს. ჯერემის ესმოდა მამის ქოშინი და ხრინწიანი ბურტყუნი. ბიჭის ტანს ჟრუანტელი გაუდიოდა, სუნთქვითაც ველარ სუნთქავდა, დაფეთიანებული უნაგირს ჩაფრენოდა.

გახურებული დავლური გაემართა სამეულს და ეს ადგილი ქვეყნიერების ცენტრად ეჩვენებოდა ჯერემის. თითქოს კინოში ხედავდა, სიძულვილის და შიშის კვანძად შეკრულნი როგორ უვლიდნენ წრეს. ოფლმა ააპრიალა სემსონის ბეწვი და თოვლზე დაეწვეთა. თეთრი დუჟი გადმოსდიოდა პირსა და მკერდზე, თვალები გაფაციცებით ბურთებივით გადმოცვენაზე ჰქონდა. თოვლი ამ პატარა წრეში გათქერილი და გაბინძურებული იყო, რადგან ცხენს იქვე ესაქმა. გაშმაგებული ქაჩვისაგან სემსონს პირი გადახეხოდა და სისხლი სდიოდა.

ჯერემის მამაც გახვითქულიყო. წამით შეჩერდა, რომ პალტო და ქუდი გატკეპნილი თოვლის წრის იქით მოესროლა. ცხენი გახევებული იდგა და [illegible]ფიდა. ბიჭმა შეამჩნია, მამას პალტოს ხელიდან გაგდება უჭირდა, რადგან ხელიდან ჯოხის გაგდება ვერ მოესაზრებინა. მღელვარე განცდებს და [illegible] რიტმულ ცემას მოენუსხა თითქოს. მერე კაცმა ისევ ჯოხს დაავლო [illegible] გადაარტყა. ტკივილით გამწარებულმა სემსონმა დაიხვიხვინა და მჭიდრო წრე დაუარა.

უცნაურია, მაგრამ ცხენის ცემასთან ერთად ჯერემს დაძაბულობა და შიში უნელდებოდა. გეგონება, განცდების მუხტი ყინვისგან დამზრალ ნიადაგში მიწდებაო. ერთი შეხედვით მოგეჩვენებოდათ, რომ სამივენი მოყვარული მსახიობები იყვნენ და თავ-თავიანთ როლებს ეუფლებოდნენ. ბიჭს საბოლოოდ გაუარა შიშმა, განთავისუფლდა და ცხენის მოძრაობასაც შეეჩვია. სემსონი ვერსად გაიქცეოდა, მხოლოდ ყალყზე დადგომა შეეძლო, ისიც იმდენზე, რამდენზედაც თოკი გაუშვებდა. ჯერემი მხრებში გაშლილიყო, ოდნავ უკან გადაზნექილიყო, თეძოებს ცხენის მოძრაობას აყოლებდა და ასე ინარჩუნებდა წონასწორობას. მამის მძვინვარება აოცებდა, თანდათან შეებრალა კიდეც სემსონი, რომელსაც პირიდან სისხლი სდიოდა. უნდოდა მისთვის ეთქვა, შეწყვიტეო, მაგრამ რაღაც აკავებდა, უწინდებურად მისი აღარასოდეს შეეშინდებოდა.

ცემა შეწყდა. დაღლილობამ დააზავა კაცი და ცხენი. მობერილმა სუსტმა ნიავმა უკანასკნელი მღელვარებაც ბზესავით გაფანტა. სემსონი თრთოდა, მძიმედ ქშინავდა, ნესტოებით საბერველივით ისრუტავდა ჰაერს. იდგა ცხენი და კაცს შეჰყურებდა. კაციც ცხენს მისჩერებოდა. ისიც მძიმედ სუნთქავდა. მერე კაცი ერთბაშად გამოერკვა და პალტოს ასაღებად მიტრიალდა. როცა მობრუნდა, სემსონმა დაქანცულად აიქნია თავი. მოულოდნელად მამამ მკლავი მოიქნია და ცხენს შიგ დრუნჩში სთხლიშა მუშტი. ქანცმილეულ სემსონს დარტყმის აცილება არ უცდია, მხოლოდ ტკივილისაგან თვალები დახუჭა.

ფერმერმა პალტო აიღო და ცხენსა და ბიჭს თავლისაკენ წაუძღვა. ჯოხი იქვე ბრძოლის ველზე მიაგდო, თოვლში. ჯერემის ეს არ გამოჰპარვია, რადგან მამა ჩვეულებრივ წესრიგიანი იყო და უადგილო ადგილას არაფერს დატოვებდა. ჯერემი მშვიდად იჯდა ცხენზე, სადავე მარცხენა ხელით ეჭირა, როგორც ბილი ბლეიკმა ასწავლა. თავი მიატრიალა და ერთხელ კიდევ გახედა გათქერილ და ჰუჭყიან თოვლს.

როცა ბაკს მიაღწიეს, ჯერემი ჩამოქვეითდა, რომ ცხენი თავლაში შეეყვანა. მამა სემსონს მიუბრუნდა და ხელი ალერსიანად მოუთათუნა დრუნჩზე. ცხენი დაღლილი ფეხებით წაბარბაცდა.

— დამშვიდდი, ბიჭო, — სიყვარულით წაიღიღინა მამამ. — დამშვიდდი. ყოჩაღ, არაფერია, მალე გაგივლის.

ჯერემი იმ დღეს მეორედ გაოცდა დაქანცული, თვალებგაბრწყინებული მამის შეხედვაზე.

— ჯერემი, ცოტა გაატარე, ჯერ ნუ შეიყვან, გახურებულია. უნაგირი მოხსენი, ჩული დააფარე და გაატარ-გამოატარე, — უთხრა მამამ და ერთხანს გაჩუმდა. — ნუღარასოდეს შეგეშინდება მაგ ცხენის, — დაუმატა ბოლოს.

— არა, მამი, აღარ შემეშინდება.

კაცმა ისევ მოუთათუნა ცხენს ხელი. სემსონს თითქოს ესმოდა მისი. იდგნენ პირისპირ კაცი და ცხენი, როგორც ორი დამშრალი გლადიატორი და

უსიტყვოდ ებაასებოდნენ ერთმანეთს. მერე მამა მიბრუნდა და სახლისაკენ გაემართა.

ჯერემიმ ცხენი თვლის წინ გაატარ-გამოატარა. ბნელოდა. მა[illegible]ით ალერსიანად გაესაუბრა ცხენს. მერე უცებ ჯერემი ატირდა. დღის მოლევარე განცდების შემდეგ დაუფლებულმა შვებამ აუდუღა გული, [illegible] სიტყვით გამოუთქმელმა გარდაუვალობამ, რკინის ჩარჩოებში მომწყვდეულმა გრძნობებმა მოჰგვარა ცრემლი, წარსულმა, რომელიც ყველას გვაკავშირებს და იმ იდუმალმა გზამ, რომელსაც ახლა დაადგა.

## სეტყვა

ნიკ ბელი სახლის უკანა მდელოდან გვერდით ვერანდაზე გამოვიდა და ბაღის დასაკეც სკამზე დაჯდა. მშობლები და ორი უმცროსი ძმა სოფელში წავიდნენ სურსათის საყიდლად. ფერმაში მხოლოდ ნიკი და ძაღლი იყვნენ.

ცხელი დღე იდგა, იმ ზაფხულის ყველაზე ცხელი დღე. სიცხეს ჩიტებიც კი ისე გაეთანგა, რომ საწყლებს სიმღერის თავი აღარ ჰქონდათ. ირგვლივ ჰაერი არ იძვროდა. ერთი უცნაური მწერი დაცოცავდა გაზონზე საგრილობნში და ნიკის თავთან ბუზები დაბზუოდნენ; ეგ იყო და ეგ. სხვა ყველაფერი გარინდებულიყო. ნიკი მოკუზული, მკლავებჩამოყრილი იჯდა სკამზე, პერანგი გაეღელა, იქნებ მკერდი და იღლიები ოდნავ მაინც გაგრილებოდა. ფეხზე არ ეცვა.

მინდვრისაკენ გაიხედა და ჯარივით ჩამწკრივებულ მუქ მწვანე თამბაქოს ბუჩქებს მიაჩერდა. ფოთლებს უწყლობისგან დღითიდღე ეკარგებოდა ფერი. ხვალაც თუ არ იწვიმებდა, ნიკის მამას მორწყვა უნდა დაეწყო. სარწყავი წყალი წვიმასთან რას მოვიდოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო — თამბაქო ილუპებოდა.

გვალვა იყო ყველა უსიამოვნების თავი და თავი. აი, თუნდაც გუშინ, სუსტი ნიავიც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბლეიკის გამომშრალი სახნავი მინდვრიდან მიწა აეხვეტა და ნიკის ეზოში მიეყარა. დედას ლამის გული შეუწუხდა, რადგან მიწამ ფანჯრებში გაატანა და სახლი მთლად მტვრით გაივსო. დედამ თქვა, ფარდები უნდა ჩამოვხსნა და ხელახლა დავრეცხოო.

სოფლის შემოგარენში მცხოვრებ მებოსტნე ფერმერებს გვალვა პამიდვრის და კიტრის ნარგავებს უნადგურებდა, რადგან მათ სარწყავი სისტემა არ ჰქონდათ. იმათი არ იყოს, სარწყავი გუბურა და დანადგარი ბევრ მეთამბაქოვესაც არ გააჩნდა. ასე რომ, წლეულს ყველას დიდი ზარალი ელოდა. უკვე ერთი კვირა სრულდებოდა, რაც სოფელში წყლის მომჭირნეობით ხარჯვაზე გადავიდნენ და სელის მამას ყვავილნარიც კი ველარ მოერწყო.

ახლომახლო ქალაქებისა და სოფლების ცხოვრება და მრეწველობა მეთამბაქოობაზე იყო დამყარებული. თუ გვალვები გაგრძელდებოდა, ბევრი ფერმერი იძულებული გახდებოდა საქმე მიეტოვებინა და აქაურობას გასცლოდა. ბანკში კრედიტი არ იყო და დარჩენილი ფული მხოლოდ საკვებს თუ გასწვდებოდა. ბევრი მაღაზიის მეპატრონეც ამინდზე იყო დამოკიდებული. თვით ფრენკ სტ. ჯეიმზიც, აფთიაქის მფლობელი, რომელიც ქალაქში უმდიდრეს კა-

ცად ითვლებოდა და საკუთარი თვითმფრინავიც კი ჰქონდა. გვალვას საგონებელში ჩაეგდო. ფრენკ სტ. ჯეიმზის გახსენებაზე ნიკს ჩაეცინა.

დანარჩენების ბედ-იღბალიც ამინდზე ეკიდა. მაგალითად ხოსესი და სხვა მისთანების. ხოსე წარმოშობით პორტუგალიელი იყო. იგი სულ ახლახან დაბრუნდა სამშობლოდან, სადაც ცოლის სათხოვნელად იყო წასული [illegible] მზეთუნახავი კი ჩამოიყვანა. ხოსე ოცდაჩვიდმეტი წლისა იყო, პატარძალი კი სულ რაღაც ჩვიდმეტის, მაგრამ როგორც ნიკი ატყობდა, თურმე მაგას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. დიდებული ძაღლი ჰყავდათ, ოლ' ვიენის ეძახდნენ. ხოსეს თავის უბადრუკ ოცდაათაკრიან ნაკვეთში სარწყავი სისტემა არ ებადა და თანაც დიდი გირაო ჰქონდა გადასახდელი.

ნიკს ძალიან მოეწონა ხოსე. ერთხელ ხოსემ და ნიკმა მამის სათბური შეღებეს ერთად და მაშინ დაუახლოვდა. ხოსე ნიკს პორტუგალიურ სიტყვებს და იქაურ სიმღერებს ასწავლიდა. გულმოდგინედ იმუშავეს. ნიკის მამა იტყოდა ხოლმე, ხოსესთანა კარგი მუშაკი კიდევ სამი რომ მყავდეს ფერმაში, სანაღვლო არაფერი მექნებაო. ყველაზე უკეთ ნიკმა იცოდა, რა კეთილსინდისიერად იშრომა იმ დღეს ხოსემ და ამის გამოც იყო, რომ გულით უყვარდა იგი. ხოსე მინდორშიც არავის უდებდა ტოლს და მუხლჩაუხრელად მუშაობდა.

ბიზნესში ასეთ სიყოჩაღეს ვერ იჩენდა ხოსე, თუმცა ფერმის შესაძენად წელებზე ფეხს იდგამდა. ნებისმიერ დავალებას წუნდაუდებლად შეგისრულებდა, მაგრამ სხვების ხელმძღვანელობაზე თუ მიდგებოდა საქმე, უძლური იყო. ნიკს ეს მამისგან ჰქონდა გაგონილი. შესაძლოა, მართლაც ასე იყო, მაგრამ ნიკი ფიქრობდა, თუ კაცი გამრჯეა, მაშინ ცხოვრებაში ყველაფერს შესძლებსო. ასე თუ ისე, ნიკს იმედი ჰქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს ხოსე თავის მიზანს მიაღწევდა: ნიკს იმის იმედიც ჰქონდა, რომ იწვიმებდა.

უკვე მეოთხე დღე იყო ერთი და იგივე მეორდებოდა: ცა მოიქუფრებოდა და წვიმით იმუქრებოდა, მაგრამ როგორც კი ბაღის სკამებსა და მაგიდას შიგნით შეიტანდი, ღრუბელი მაშინვე იფანტებოდა. მეტი რაღა დაგრჩენოდა, ერთთავად ცაზე უნდა გშეროდა თვალი, ამინდის ცნობებისათვის გეგდო ყური და გულხელდაკრეფილს გეყურებინა, როგორ ოხრდებოდა თამბაქო.

სიცხე ოთხმოცდაათ გრადუსს* ასცდენოდა. მინდვრებიდან ავარდნილი ალმური შორს ხეებს ბლანდავდა. აუტანელი, სულისშემხუთველი პაპანაქება იდგა. ირგვლივ ჰაერის ძვრა არ იყო. დროდადრო შორს ვეება საავდრო ღრუბლები გაილანდებოდა, მაგრამ მალე თვალს მიეფარებოდა და წვიმა ისევ სანატრელი რჩებოდა. ღრუბელი გამოჩნდებოდა თუ არა, ნიკის დედა მყისვე სამზარეულოში შეირბენდა და სანთელს აანთებდა. ეს ჩვეულება თავისი კათოლიკე მეგობრებისგან შეეძინა, მაგრამ გვალვაზე ვერც ამან გასჭრა.

ფიქრებში გართულ ნიკს თავი დაბლა დაეხარა, რომ მზეზე თვალები არ სტკენოდა, და ბილიკს დასჩერებოდა. უეცრად რაღაც ძალამ თავი ააწევინა. გაიხედ-გამოიხედა. არაფერი ჩანდა. აღმოსავლეთით ისევ საავდრო ღრუბლები გროვდებოდა. მერეღა მიხვდა რამაც შეაკრთო. — სუსტმა სიომ წამოუბერა, ფოთლები აამრიალა, გაღეღილი ხალათი აუფრიალა და შიშველი მკერდი გაუგრილა.

---

* ოთხმოცდაათი გრადუსი ფარენგეიტით დაახლოებით ოცდათვრამეტ გრადუსს უდრის ცელსიუსით.

ნიკმა ისევ აღმოსავლეთისკენ გაიხედა. ღრუბლები თანდათან გადადიოდნენ და სადაცაა მთელ ჰორიზონტს დაფარავდნენ. ცას უკვე ელვის ძაფები სერავდა, მაგრამ იმ სიშორიდან ქუხილი არ აღწევდა. შავ, [illegible] ღრუბლებს ქვემოდან ვარდისფერი დაჰკრავდათ. რა იცოდა ნიკმა, რას მოასწავებდა ეს ვარდისფერი.

სიგრილეზე შეაჟრჟოლა. ხალათი შეიკრა, წამოდგა. ვერანდის კიდესთან ჩამოკიდებულ თერმომეტრს შეხედა. ოთხმოცდაცხრა გრადუსს უჩვენებდა. გაძლიერებულ ქარს ბლეიკის მინდვრიდან მიწა მათ ეზოში მოჰქონდა, შეამცივნა და ხალათის საყელო წამოიწია. დიდი ქარიშხალი იყო მოსალოდნელი.

ვერანდიდან მყუდრო მხარეს გადაინაცვლა, რომ უკეთ დაენახა რა ხდებოდა. შემკრთალი ძაღლი ფეხდაფეხ მიჰყვა. ქარი წუთიწუთს ძლიერდებოდა. ჰაერში ფოთლების შარიშურმა იმატა. შორიდან ჭექა-ქუხილმაც მოაღწია.

ნიკმა სახლს შეხედა და ღია ფანჯარა ეცა თვალში. ძაღლი შიგნით შეუშვა და ფანჯრების დასაკეტად გავარდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ტელევიზორის ანტენა გამორთო, რადგან შესაძლოა მეხიც ჩამოვარდნილიყო. მერე ისევ ვერანდაზე დაბრუნდა და სკამზე დაჯდა.

ქარი ახლა ხეებში ტრიალებდა და სულ რაღაც ერთი-ორი მილის დაშორებით ქუხდა. ნიკმა ეს მანძილი გაელვებასა და ქუხილს შორის დროის მონაკვეთის მიხედვით გამოთვალა. წამოდგა და ისევ თერმომეტრს შეხედა. ტემპერატურა ათ წუთში თორმეტი გრადუსით დაცემულიყო. ძაღლი კარს ფხოჭნიდა და ნიკმაც გარეთ გაუშვა.

ნეტავი სად იყვნენ ახლა მისიანები?! უეჭველია, ქარიშხლის პირველსავე ნიშანზე გამობრუნდებოდნენ. მაგრამ სოფელი ხომ სამი მილის დაშორებით მდებარეობდა სამხრეთით. ჰოდა, შესაძლოა, იქ სიმშვიდე სუფევდა. თუმცა, ჩრდილოეთით ღრუბლებს რომ შენიშნავდნენ, სასწრაფოდ წამოეიდოდნენ. მანქანაში საფრთხე არაფერი ემუქრებოდათ.

ნიკს უცებ სახლის უკან ეზოში დარჩენილი სკამები და მაგიდა გაახსენდა. თერმომეტრს შეხედა, ტემპერატურა კიდევ ათი გრადუსით დაცემულიყო. ვერანდიდან ჩამოხტა და სახლის უკან გავარდა. ის იყო, პირველ სკამს სტაცა ხელი, რომ მათი საოჯახო რემბლერიც შემოხრაშუნდა მოხრეშილ გზაზე და გარაჟში მიიმალა. ნიკმა სკამი ხის ფარდულში შეიტანა და მეორე სკამისა და მაგიდის წამოსაღებად გაიქცა.

ქარი გამეტებით ეხეთქებოდა ხეებს. საათში ორმოცი-ორმოცდაათი მილის სისწრაფით მაინც ქროდა. სკამი და მაგიდა ქარს ამოეყირავებინა. ნიკმა სკამს დაავლო ხელი და უცებ ზედ ყურთან იმისთანა დაიჭექა, რომ ადგილზე გაშეშდა, ჭექამ და ქარის ღმუილმა ერთ წამს დააყრუა. მერე წვიმის პირველი წვეთი დაეცა და ამან გამოაფხიზლა. ყინულივით ცივი იყო ის წვეთი.

დედა გარაჟიდან გამოვარდა, ცოტა ხნით ბილიკზე შეჩერდა და მერე ვერანდისკენ გაიქცა. ბიჭები თავქუდმოგლეჯილები გამოცვივდნენ და დედას გამოუსწრეს.

— შინ შედი, ნიკ! — დაუყვირა დედამ. ქარის ღმუილში მისი ხმა თითქოს შორიდან მოისმოდა.

— მაგიდას რა ვუყო?

— მოეშვი, შინ შედი.

— მამა სადღაა?

— ფარდულის კარის დასამაგრებლად წავიდა.

ნიკს გაახსენდა, რომ ასეთ დროს ფარდულის კარი უნდა გაეღოთ, რათა ქარიშხალს შიგნით ენავარდა, თორემ კარს მოგლეჯდა. სკამს ხელი დაავლო და ვერანდისკენ გავარდა. დედა კიბეზე იდგა და ცდილობდა ხელი წვიმისთვის შეეშვირა. ბიჭები შიგნით იყვნენ, ძაღლიც თან შეეყვანათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ამოდი ვერანდაზე, ნიკ. როგორი წვეთებია?

— დიდებია და ძალიან ცივი.

— მაშ, ცივია?

— ჰო, — იყვირა, რომ ქარიშხლის ხმა გადაეფარა.

— ვარდისფერი ღრუბლები ხომ არ შეგინიშნავს, ნიკ? მგონი, სეტყვას აპირებს.

ახლა კი მიხვდა ნიკი, რას მოასწავებდა ის ღრუბლები. წყეულიც იყოს სეტყვა, გაიფიქრა მან.

— ეს მოკლავს მამაშენს, ნიკ!

— იქნებ გადავრჩეთ! ადრეც ხომ ყოფილა ასე, მაგრამ გადაუვლია.

— ოჰ, ნიკ, ხომ ხედავ იმ ღრუბლებს? აბა, წვეთებს შეუშვირე ხელი!

ყინულივით ცივია, გაიფიქრა ნიკმა. მობერილმა ქარმა სუსხიანი წვეთები შეაშხეფათ სახეში. მიწაზე ერთბაშად გუბურები გაჩნდა. ქარმა გუბურიდან წყალი აიტაცა და ჰაერში დაატრიალა.

— ჯერ სეტყვა არ არის, დედი.

— მამაშენი სადღა დაიკარგა? რატომ არ მოდის? ამაზე მეტი ჭკუა აღარ უნდა ჰქონდეს?

არც ასეთი თქეში ვარგა მოსავლისთვის. მაგრამ ოღონდაც კი სეტყვა არ მოვიდესო, ფიქრობდა ნიკი.

— არაფერი უჭირს, დედი. ნუ სწუხხარ. კარს დაამაგრებს და მოვა. აი, ისიც.

მამა სწრაფი ნაბიჯით გამოსცდა გარაჟს. ქარიშხლის პირველი შემოტევა უკვე განელებული იყო და ახლა მხოლოდ ძლიერი წვიმა ასხამდა. მისტერ ბეკი მთლად გალუმპულიყო, მაგრამ თითქოს ვერც კი გრძნობდა ამას. იგი კიბესთან შეჩერდა და შეტრიალდა. გაუნძრევლად იდგა კოკისპირულ წვიმაში და უმეტყველო თვალებით შეჰყურებდა ცას.

— ოჰ, სემ, იქნებ გადავრჩეთ. ზელდას დავურეკავ და ვკითხავ. იმათთან თუ დაისეტყვა. თუ იქ არ დასეტყვილა, მაშინ შეიძლება ჩვენც გადავრჩეთ.

მამამ არაფერი უპასუხა. მისიზ ბელი დასარეკად შევიდა.

წვიმამ იკლო, მაგრამ მაინც ციოდა. ქარიც ისევ ქროდა და არც ჭექაქუხილის და ელვის ფერხული შეწყვეტილა. ნიკი სკამზე დაჯდა და მინდვრებს გახედა. თამბაქოს დიდრონი ფოთლები გაშმაგებით აწყდებოდა ერთმანეთს. ნიკის არასოდეს ენახა, რას უშვრება სეტყვა ამ დიდრონ ფოთლებს. სეტყვა მხოლოდ ერთხელ მოვიდა და ისიც მაშინ, როცა იგი ძალიან პატარა იყო. მართალია აღარ ახსოვდა, მაგრამ წარმოდგენით კი წარმოედგინა რა იყო. და ამის გაფიქრებაც კი შიშის ზარს სცემდა.

წვიმამ თითქმის გადაიღო, რომ უცებ ქარმა ხელახლა წამოუბერა. ნიკმ თერმომეტრს შეხედა. სამოცდახუთ გრადუსს უჩვენებდა. თითები ერთმანეთს გადააჭდო და თავისთვის ჩუმად ლოცვას მოჰყვა: „ღმერთო, ღმერთო, სეტყვისგან დაგვიფარე". ეს ჩვეულება სკოლაში ღვთისმეტყველების მასწავლებლისაგან შეითვისა.

— იწყება! — დაიღრიალა მამამ და აღმოსავლეთისკენ გაიშვირა ხელი.

ბლეიკის მინდვრების ბოლოდან წყლის კედელი დაძრულიყო/და წინ მოიწ და. ნიკმა გონს მოსვლა ვერ მოასწრო, ისე უცებ გაჩნდა [illegible] მის წინ ერთბაშად სეტყვამაც დასცხო.

დედა ფანჯარასთან იდგა და ტიროდა. მისტერ [illegible]ზე ამოჯ და. დამუშტული ხელები გვერდებზე მიეკრა, ცხვირ[illegible] წვე ეკიდა. იდგა და შეჰყურებდა, როგორ ულმობლად გადადიოდა ყინულოვ ტალღა მის მინდორზე. ამის შემხედვარე ნიკი ლამის ჭკუაზე აღარ იყო.

ყინულის ბურთულები ხმაურით ეხლებოდა ფანჯრებს და ცემენტის ბილი სიმინდის მარცვლებივით ხტებოდა და გუბურებისაკენ მიექანებოდა. ითით ოროლა ვერანდაზეც შემოვარდა. სეტყვა სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდ მალე ბნელმა კედელმა ტანკივით დაიხია უკან, მინდვრებს გადაევლო და დასავ ლეთისკენ გასრიალდა. ამის შემდეგ, ერთხანს კიდევ წვიმდა, ქუხდა, ელავ და ბოლოს წვიმამაც გადაიღო; როცა იქაურობა მიწყნარდა, მინდვრების და თვალიერებლად წავიდნენ.

სახლიდან ყველანი ერთად გამოვიდნენ. ბიჭები ჯერ პატარები იყვნენ და ბევრი არაფერი მოეთხოვებოდათ. მათ სიხარულის ყიჟინა დასცეს და დე შავ გუბურებთან მიირბინეს, სადაც წვიმის წყალს ყინულის ბურთულები მო გროვებინა. ძაღლი ხტუნვით მიჰყვათ უკან. შემდეგ ფეხშიშველი, საწვიმარ მოხურული ნიკი მოდიოდა. მას უკან დედა მოჰყვებოდა, რომელსაც ძალია უყვარდა მამა და ფერმა. სულ ბოლოს მამა მოაბიჯებდა. ნიკის მამა განათლე ბული კაცი იყო და ის ვირუსი რომ არა, თექვსმეტი წლის ასაკიდან მოყოლ ბული ნელ-ნელა რომ უსპობდა თვალებს, ფერმერი არავითარ შემთხვევაში არ გახდებოდა.

დადიოდნენ თამბაქოს რიგებში და ხედავდნენ ღეროებზე ჩამოკიდებულ დაგლეჯილ-დაფხრეწილ ფოთლებს. ძრწოლვით შეჰყურებდნენ ძირს დაფენილ უთვალავ ძვირფას ფოთოლს. ნიკის მამას უწინ მუშებიც კი დაუთხოვია, ფოთლებს უხეშად ეპყრობითო. ახლა კი... აღარცერთი იღებდა ხმას, აღარც დედა ტიროდა.

ფერმა რომ შემოიარეს ნიკი და დედა შინ გაბრუნდნენ. გზაზე ნელა ჩა მოდიოდა მანქანები და შიგ მსხდომნი გაშიშვლებულ ბუჩქებს უყურებდნენ. ერთი მანქანიდან ბლეიკის ძმისშვილის მეგობარი გოგო გადმოვიდა და სურა თების გადაღება დაიწყო. ამ გოგოზე ამბობდნენ, პირველი ქმარი ისეთ დღე ში ჩააგდო, თავი მოაკვლევინაო. მალე ფრენკ სტ. ჯეიმზის ქალიშვილმაც ჩა მოიარა ახალთახალი თანდერბერდით.

ცოტა ხანში გზაზე უილფ გრინვუდი გამოჩნდა მანქანით. უილფი ნიკის მამის მეგობარი იყო. თავის დროზე მამამ მას დიდად გაუმართა ხელი და ფერ მის საყიდლად ფული ასესხა.

— მამა სად არის, ნიკ?

— მინდვრებშია. უკან დაბრუნდით და შეგხვდებათ.

— რაიმე თუ გადარჩა?

— არა მგონია. წლევანდელი მოსავალი სულ დაილუპა.

— წავალ და მამაშენს ვნახავ.

ნიკი შინისაკენ წავიდა. იცოდა, უილფი სანუგეშო სიტყვას არ დაიშურებდა მამისთვის. ისინი ხომ ძველი მეგობრები იყვნენ. უილფიც ნიკის მამასავით ცხენების დიდი ტრფიალი გახლდათ.

— ნიკ, როგორ ფიქრობ, რას იზამს? — ჰკითხა დედამ.

— ალბათ მოჰრის. არ ვიცი. სხვა რა უნდა ქნას. დარწმუნებული ვარ არაფერი გადარჩებოდა.

— ნიკ, მგონი სჯობს აქედან წავიდეთ.

— სად?

— ხომ იცი, ახლახანს კარავი ვიყიდეთ. მამაშენს ძალიან გაუჭირდება ამ ბუჩქების თავისი ხელით მოჭრა. უილფს ვთხოვოთ და ის მოჰრის. ჩვენ აქ რადა გაგვაჩერებს. მთელი ზაფხული ამ გავერანებულ მინდვრებს ხომ არ ვუყურებთ?! სადმე წავიდეთ სამოგზაუროდ ერთი თვით. აბა, აქ რა გამაძლებინებს.

ნიკს ხმა არ გაუღია, წამოდგა და ფარდულში შევიდა კარვის დასათვალიერებლად. მის მობრუნებამდე მამა, უილფი, ბიჭები და ძაღლიც მოვიდნენ. ბიჭებს ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყი ეპოვათ და თვითონ უპირებდნენ გაზრდას.

ბარტყი მეორე დღესვე მოუკვდათ. ნიკმა საბარგულში თავად ჩაალაგა კარავი და სამგზავრო ნივთები. ვიდრე გაემგზავრებოდნენ, ბიჭებმა დასაფლავება გაუმართეს მისტერ ჩიტს. ბავშვებმა ბევრი იტირეს. დედამაც წაიტირა. მამამ ჩიტის საფლავზე პატარა ჯვარი აღმართა და პატარები ამით ცოტათი გაახალისა.

ყველანი მანქანაში ჩასხდნენ. საჭესთან დედა იჯდა, რადგან მამას მხედველობა ისე გაუფუჭდა, რომ მანქანის მართვა აღარ შეეძლო. ძაღლიც წინ მოკალათებულიყო და თავი მამის კალთაში ედო. ნიკმა ფანჯარაში გაიხედა და დაინახა უილფი, რომელიც ღეროების საჭრელ მაკრატელს ლესავდა. დაინახა მინდვრები და ხის ჯვარი, ბლეიკის ძმიშვილის მეგობარი გოგო, ფრენკ სტჯეიმის ქალიშვილი და თავისთვის გაიფიქრა:

„აქ ბევრი არაფერი მრჩება.“

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვსევოლოდ ივანოვი

## მოთხრობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ნოდარ ეგრალიძემ

### ფოტოგრაფი

ერთ პატარა ქალაქ პ.-ში, შემოდგომის ტალახიან ღამეს, ბანდიტებმა მოკლეს პასუხისმგებელი მუშაკი ვურანცევი. ეს პასუხისმგებელი მუშაკი მაინცდამაინც რაღაც დიდი სიქველითა და ღირსებით არ გამოირჩეოდა. სმით ცოტას სვამდა, სიკვდილითაც წყნარად, თავმდაბლურად მოკვდა. მეზობლებსაც არ გაუგიათ მისი ყვირილი, როცა ბანდიტები დაესხნენ თავს, — არადა ხელი კი გამოელო, რადგანაც დილით ქუჩის გაღმა ბანდიტის სისხლის ნაგუბარი ნახეს და ნაგუბარში კი ბეწვის ქუდი ეგდო.

პატარა ქალაქი შემოდგომის მაძღარი მზიანი დარით სუნთქავდა. მნათობი ლინჯად მირონინობდა თითქოსდა გაკვირვებულ, ცოტათი დაღლილ ცაზე, — რა რჯიდა ვურანცევს სასიკვდილოდ. განა ერთსა და ორ ბოთლს დაიყვანდა ძირამდე ასეთი მხიარული ცის შემყურე! ქალაქი უცებ გადიდგულდა. თავმდაბალ ვურანცევს მაშინვე რამდენიმე ცოლი გამოუჩნდა. ეს ცოლები ერთმანეთს ედავებოდნენ. მაინცდამაინც მე უნდა გამოვიჭიმო კუბოსთან. მათი ახლანდელი ქმრები კი ამას არ უშლიდნენ და თითქოს ეამაყებოდათ კიდეც ამგვარი გმირისა და თავიანთი ცოლების სიახლოვე. საბინაო კომიტეტებმა დროშები ამოქოქეს; სახანძრო რაზმი თავის მეზარადეებსა და თავისივე სასულე ორკესტრის საყვირებს ფერავდა. და აი ამ დროსვე დედაქალაქის ერთი ჟურნალის მდივანმა, ამხანაგმა შაზარიოვმა, კუშტმა და თითქოს ჩაჭეჭყილმა კაცმა, ფოტოგრაფ ნიკოლაი ნიკოლაევიჩს უთხრა: „აი, გადაიღეთ ეს", და მიაჩეჩა მოკლული ვურანცევის მისამართი, რკინიგზის ბილეთი და ჟურნალის უკანასკნელი ნომერი, სადაც ნიკოლაი ნიკოლაევიჩის ნამუშევრები იყო დაბეჭდილი — იქ ერთ-ერთი ბელადი მაყურებლისაკენ გვერდულად იჯდა და ცხვირპირი ჩამოსტიროდა. ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა გაიგო და ენიშნა ლვარძლიანი მდივნის წკიპურტი და განაწყენდა. ასე გაბრაზებული მივიდა კიდეც შინ ნიკოლაი ნიკოლაევიჩი. აქ კი რაც დატოვა და რასაც ნიადაგ ხედავდა, იგივე დახვდა — პრიმუსი გუგუნებდა, ცოლს შეფქვილული და კვერცხის გულით მოღლოწილი წინსაფარი ეკეთა. გარეთ კი იდგა ნანატრი შემოდგომის დღე, ხალხსაც (ასე ფიქრობდა ფოტოგრაფი) სულ სიკეთე გადასდიოდა. და მან აცრემლებული ხმით თქვა:

— წავალ მე, კლავა. ერთ ორ დღეს დავისვენებ.

კლავამ თავისი უხეიროდ შეთითხნილი ქუთუთოები მოჭმუხნა, — ესეც რაღაცით საწყენად დაურჩა ნიკოლაი ნიკოლაევიჩს. მან ბილეთი მარჯვენა ჯი-

ბიდან მარცხენაში გადიდო და საწოლქვეშ შეფორთხდა ჩემოდნის გამოსატანად.

ქალაქ პ.-ს კრემლი და ვოლგა ამშვენებდა: პატარა ქალაქის წინ ქუჩას ბულვარიც გასდევდა. ბულვარზე სკამები, როგორც რუსეთში, ყველგან სჩვევიათ, ნაჭრელები იყო მოსაწყენი სიტყვებით და ფრაზებით, [illegible] რატომღაც უწმაწურად მიაჩნიათ, თუმცა ეს სიტყვები ისევეა გავრცელებული და ისევე ხშირად ითქმება ხალხში, როგორც, ვთქვათ, ჩექმა ანდა ხელთათმანი, და, ალბათ, იმათი ხმარებაც ასევე აუცილებელია ამ ხალხისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოგრაფი ერთხანს იჯდა სკამზე, დააპირა თავისი პატარა ჯაყვით ამოეფხიკა რაღაც ფრაზა, რომელმაც მისი მორცხვი გული შეურაცხყო, მაგრამ ფრაზა ისე ღრმად იყო ხეში ნაკვეთი და ხესაც ისე მძლავრად ჩაეკრა იგი, რომ, მიუხედავად დიდი ჯაფისა და მონდომებისა, ერთ ასოსაც კი ვერ მიაყენა რაიმე შესამჩნევი ზიანი. გულში ნაწყენი დარჩა ამ გავლით და ვურანცევის ბინის მოსაძებნად გასწია.

ქუბო — უზარმაზარი, სქელი ფიცრებისაგან შეკრული — საწერ მაგიდაზე იდო. მაგიდის სპარსული შალი ეფარა, აი ისეთი, როგორებითაც ახლაც მუყაითად ვამარაგებთ სადის ქვეყანას. — ცოლებმა მორჩილად შეხედეს სახეში ფოტოგრაფს, ხოლო ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა კუშტად თქვა, აქ მე გადაღება არ შემიძლიაო; ჯერ ერთი, ვიწროობააო, მეორეც, კედლები კირითაა შეფეთქილი. — განსვენებულს თავზე შარავანდედი დაადგებათ. სჯობია, ხვალ გადავიღოთ, ქუჩაში, ანდა სადმე კლუბში მაინც გადაგვესვენებინათო. და წავიდა კვლავ, ბულვარი მოიარა, მივიდა კრემლის ძველ, მიწაში წასულ ჭიშკართან — ჭიშკართან უპატრონონი და [illegible] „ოცდაერთს" თამაშობდნენ. კარგი იქნებოდა რომ გადაეღო ეს უპატრონოები. მათი დაკორძებული ხელები ჩამოცვენილი ფოთლების ყვითელ და რუხ გროვებზე, კრემლის ჟანგიანი ჭიშკარი, რომელიც მტრედებს ისე ჩამოესკინტლათ, ზევით თეთრად შეღებილს ჰგავდა. მაგრამ ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა ეს ყველაფერი იმგვარი თავისთავადი სილამაზით შემკული დაინახა რომ დაიბნა, ვერ გაბედა გადაღება და მხოლოდ თავისთავსღა უთხრა ამაყად: აი გასამრჯელოს ხომ ვკარგავ, მაგრამ უანგაროდ მინდა ბუნებით დავტკბეო!

ასე გაამაყებული დახეტიალობდა საღამომდე კრემლის ახლო, ბულვარზე. რატომღაც ვეგეტარიანულ სასადილოში ისადილა. ყველა თავი საჭმელი უიშვიათესად ცუდი იყო, და ისიც გაუგებარი დაურჩა, რად სჭირდებოდა ქალაქ პ.-ს ვეგეტარიანული სასადილო. შემდეგ კვლავ ვურანცევის ბინაზე მივიდა. აქ კარებში იდგა ვურანცევის ერთ-ერთი ცოლი, ბაგეშელინდლული ქალი, გაქექილი ტყავის პალტო ეცვა. მან გახარებულმა ამცნო ნიკოლაი ნიკოლაევიჩს, თქვენი წინადადება მიღებულია და გმირის გვამი გადასვენებულია კლუბშიო, ხოლო ვისი სახელობისაც იყო კლუბი, იმის უვრცესი და მრისხანე ტიტული ცოტა კეკლუცად წარმოთქვა,ნიკოლაი ნიკოლაევიჩს ხელი გაუყარა. შეეცადა (ალბათ, მგლოვიარობის გამო) ქვედა კაბა არ გაექნია, განსაკუთრებით ის ადგილი, რომელიც ყველაზე მჭიდროდაა შემოტმასნილი ტანს, — და კლუბში წაიყვანა. გზაზე ისიც უამბო, დანარჩენი ცოლები წინ აღუდგნენ ჩემს დაჟინებულ მცდელობას, რომ თქვენი წინადადება გამეტარებინაო. და სულ იმის გამო, რათა დაამტკიცონ, ვითომ პასუხისმგებელს მე სხვა თავის ცოლებზე ნაკლებ ვუყვარდიო, ფოტოგრაფი კი კლუბში არ შეჰყვა და თანმხლები ქალი ცოტა გულნაკლული დაურჩა.

მთელი ღამე ფოტოგრაფს გამგელებული ბაღლინჯოები ჰამდნენ; კრემლის მოხატულ-აჭრელებული გუმბათი ქონგურებიან თავს ჩქნევდა და ამუნათებდა — რატომ ვერ გაბედე და ობიექტურად ვერ აღბეჭდე გაქრობის გზაზე მდგარი ასეთი სილამაზეო, — ფოტოგრაფმა გაიფიქრა. კუჭი დამძიმებული ჰქონდა და მერე ამ ტკივილმა მთელი სხეული დაუმძიმა და ფოტოგრაფს სევდა მოეძალა. წინდებსაც „შიდა პირი ამოუბრუნა", ასე უთხრა იქედნურად საკუთარ თავს.

გამოსვენება ცხრისთვის იყო დანიშნული. ფოტოგრაფი ცხრის ნახევარზე მივიდა. დარბაზს უზარმაზარი ბოქლომი ედო (დარაჯები გვამის შიშით ნაცნობებში წასულიყვნენ დასაძინებლად), კარები ვურანცევის ჩამტირალევმა მზარეულმა ქალმა გაუღო: „არავინ არაა", — ბოხი ხმით უთხრა, და ფოტოგრაფმა ხმადაბლა ჰკითხა: რაღა გატირებსო, და ქალმა ახლა უფრო მკაცრად მიუგო: „აი იმიტომაც ვტირი, რომ არავინ დასტირისო". ფოტოგრაფი კარებთან ჩამოჯდა, ქალი გვერდით მიუჯდა, და გაჰიმულად, ერთი და იმავე ფრაზების ღეჭვით დაუწყო ვურანცევის ცხოვრების ამბების მოყოლა.

ფოტოგრაფს ეძინებოდა, მზე თვალებს სჭრიდა; მზარეულის ხმა თანდათან ილეოდა და ილეოდა, — მაგრამ ახლა პასუხისმგებლის ცოლი გამოცხადდა, ის ქალი, ტყავისპალტოიანი. მან შეშინებულმა უთხრა ფოტოგრაფს, ქალაქში ყველა მაინც ასე ფიქრობდათ: ფოტოგრაფი დაიგვიანებს, დილით ჩაეძინებაო; ჩვენი ქალაქის ბაღლინჯოების ამბავი ყველამ იცის; მიუჩვეველ კაცს დაძინება უჭირს, — ყველას ძილი უტყდებაო.

და მართლაც, — ხალხმა ათისთვის დაიწყო დენა. გამოჩნდა ვურანცევის მეორე ცოლი, გამხდარი, ყბაჩა ქალი; მას მოჰყვა მესამე — დაბალი, რაღაც ცივად ალესილი ქალი, — ისეთი ცხვირი ჰქონდა, რომ იმ ცხვირის შემხედვარე კაცს აღარ უნდა გაჰკვირვებოდა ბევრი ცუდი და საწყენი ამბავი. ყველანი ხელს ართმევდნენ ნიკოლაი ნიკოლაევიჩს, კუბოსთან მიჰყავდათ, მერე კუბოსთან პოზაში დგებოდნენ და გადაღებას სთხოვდნენ. მიცვალებულს ნათელი სახე ჰქონდა; ქუთუთოები ისე მშვიდად გადმოჰფენოდა თვალებზე, თითქოს ნაჩვევი იყო ყოველდღე ბანდიტების ხელით სიკვდილს. და ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა თავისი დამძიმებული კუჭის გამო ერთობ დამცირებულად იგრძნო თავი, და თანაც ვურანცევის სახე ერთთავად ფოკუსში არ იყო. და ცოლებიც ეფარებოდნენ. მერე კი მეგობრები მოჯარდნენ... მთელ ღამეს ლაპარაკობდნენ ქალაქში, დედაქალაქიდან ცნობილი ფოტოგრაფი ჩამოვიდაო. გაზეთებისა და ჟურნალებისათვის იღებს სურათებს. კინემატოგრაფის ჯიხურიდან დემონსტრატორი ყურში ეჩურჩულებოდა შიჩაურ ხალხს, განსაკუთრებული აპარატი აქვსო ფოტოგრაფს, და შეიძლება ფოტოგრაფი არც არისო ეს კაცი, კინოში მუშაობისათვის ემზადება, მაგარი სპეციაო (და დემონსტრატორი გამოუცნობად ნიკაპს ქვემოთ გაიქნევდა მუშტს). კუბოსთან ერთ-ერთი პირველი მივიდა მაზრის მზეთუნახავი, მარია ზახაროვნა, მილიციის უფროსის საყვარელი, რომელსაც ისეთი სრულყოფილი ნაკვთები ჰქონდა, რომ უკვე ორი წელი იყო, რაც ამ ნაკვთების ყოველ დანახვაზე მილიციის უფროსი თავში წაივლებდა ხელს და ბღაოდა: „ბაბილონის სასწაულია, მა რა არის, ღმერთო, შენ შემეწიე!" ფოტოგრაფი, ამ ქალსაც გულღია კაცად ეჩვენა. სამჯერ დაუდგრომლად შეათამაშა მხრები, აი ის მხრები, რომელთათვის წარიწყმიდა სული მილიციის უფროსმა, და სამჯერვე ჩააჩხაკუნა ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა.

ბევრი ხალხი მოგროვდა უკვე: სახეები დაძაბული ჰქონდათ; ყველა ნი-

კოლაი ნიკოლაევიჩს შესცქეროდა, სანამ მან ჩურჩულით არ ჰკითხა [illegible]: „რაღას ელოდებიან, მალე გამოასვენებენ?" — მაშინვე კუბოს [illegible] დაუგრიალა ორკესტრმა, და ტყავისპალტოიანმა ნიკოლაი ნიკოლაევიჩს ჰკითხა: „რომელი გზით წავასვენოთ?" ამაზე ფოტოგრაფმა უპასუხა: ჩემთვის სულერთია, რადგანაც გადაღება ჭირს, ღრუბლებიაო ცაზე (და მართლაც [illegible]და). მაშინ კუბო შეჩერდა. მეგობრები დიდხანს ბჭობდნენ. მაგრამ მერე გადაწყვიტეს, სანამ ვატარებთ, იქნებ მზე გამოვიდეს, და ყველანი ვოლგის ან კრემლის ფონზე ვიქნებით გადაღებულიო, — და თუმცა ეს გზა ათჯერ გრძელი იყო, კუბო მაინც ჯერ ბულვარზე ჩაატარეს. აქ დიდხანს იდგნენ ცაცხვებქვეშ, მზეს უცდიდნენ, ფოტოგრაფს შეჰყურებდნენ. ბჭობდნენ: ნუთუ ჯერ ისეთი სისტემა ვერ გამოუგონიათ, რომ ღრუბლიან ამინდშიც გადაიღონო. ნიკოლაი ნიკოლაევიჩი თავისი აპარატის მოწყობილობას განუმარტავდა. და თუმცა მზემ მაინც არ გამოუნათათ, გადაღებით მაინც გადააღებინეს თავი. კრემლთანაც იდგნენ, ვოლგის ნაპირზეც. გემის კვამლი რომ გამოჩნდა, — ახლა გემს უცდიდნენ, გზად ფირზე გემიც მოვახვედროთო. კრემლის კარიბჭესთანაც გადაიღეს სურათი. მამაკაცებს ვაჟკაცურად გვერდზე მოეგდოთ ქუდები, ხოლო ქალები მომხიბლავად იღიმებოდნენ. ნიკოლაი ნიკოლაევიჩიც იღიმებოდა და კასეტებს უცვლიდა აპარატს.

წვიმა კი ამასობაში ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა; დახვეული თმები ჭუჭყიან კულულებად გადმოეკიდათ ლოყებზე; სასაფლაოზე ფერგადასული, მორყეული ჯვრები იდგა; სასაფლაოს ეკლესიის გუმბათი ჩაჰქცეოდა. ფეხები თიხაზე უსრიალებდათ; ცუდი მისადგომი იყო და კუბოს ჩაშვება გაუჭირდათ, თანაც მეგობრები და ცოლები ობიექტივში მოძვრებოდნენ. და ნიკოლაი ნიკოლაევიჩმა ვერასდიდებით ვერ მოახერხა მიცვალებულის სახის გამოჭერა და ალალბედზე ჩაიჩხაკუნა. ამ ორომტრიალში სიტყვის თქმაც დაავიწყდათ. დარაჯებს შეეშალათ და სამარეზე ჯვარი მოათრიეს და მერე, შეშინებულებმა, მოისროლეს. ასეც დარჩა ჯვარი, იქვე შორიახლო დაგდებული, წვიმა მსხვილ წვეთებად გუბდებოდა ჯვრის ზეთის საღებავზე, წვეთები ჭუჭყიანი და მყრალი იყო. არა, ნამდვილად ძნელი უნდა ყოფილიყო ასეთ ამინდში სამარეში ჩაწოლა.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩს მადლიერად ართმევდნენ ორივე ხელს და თითოეული ეკითხებოდა, სად ჩამოხდითო, დიდი დრო ხომ არ გჭირდებათ სურათის დასამზადებლად და რომელ ჟურნალში დაიბეჭდებაო. ტყავისპალტოიანმა კეკლუცად და ძრწოლით მოუჭირა თითებზე ხელი... ჩქარი მატარებელი საღამოს გადიოდა, ნიკოლაი ნიკოლაევიჩი საფოსტოს გაჰყვა. საფოსტო დედაქალაქში შვიდი საათის დაგვიანებით ჩავიდა; და დაგვიანებამაც კი გაახარა ნიკოლაი ნიკოლაევიჩი. ჯიბრიანად და ბრახაბრუხით შევიდა თავის ლაბორატორიაში, ფაციფუცით გაამჟღავნა, დაბეჭდა, და მაშინვე გული დაუწყნარდა, კუჭი რომ აწუხებდა, იმანაც კი გაუარა. მდივანი შაზარიოვი მაგიდას არ მოსცილებია, მაღლა არ აუხედავს. თავის ფერნაკლული ჩამჟავებული ცხვირისკენ დაითრია სურათები და გაუგებრად წაიბურტყუნა:

— თქვენ ამ ბოლო დროს სკეპტიციზმი დაგჩემდათ. აქ, ჯერ ერთი, მიცვალებული არსად არაა, და მერე კი, რაში მჭირდება, ვიღაც ოხრების სიფათები რომ დაგიხვავებიათ! ასეა, კინოოპერატორად ტყუილად ხომ არ ემზადებით!

შაზარიოვს კინო შდაბალ სიამოვნებად მიაჩნდა, და ამიტომაც ნეტარებით აღმოთქვა:

— ეს არ წავა, — და ნიკოლაი ნიკოლაევიჩს ყველა ანაბეჭდი უკან მიუყარა.

1927 წელი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თუუბ-ქოის უდაბნო

### თავი პირველი

მართლაც ასპიტის ბალახია! ცხენი კი არა, ქვა ვერ მოსრესს, ვერ გალეჭავს ასეთ ბალახს. ალბათ, ამიტომაცაა მთებში ეს ტინები ასე ჩამოშლილი, ჩამოტკვერილი, თითქოს ასპიტის ბალახის ულაჯოდ ხოხნისას ცხენს მიუფშვნია კბილებით.

და ყველაფერს, ზედ მყინვარებამდე, თუუბ-ქოის უდაბნოს ქვიშასავით ყვითელი ზეცა ჰხურავს. ამ ზეცაზედ კი ისეთი ვარსკვლავები სხედან, თითქოს არხარის წივა ხრჩოლავსო.

ამასაც ვერ იტყვის კაცი, იმიტომ, რომ არავინ იცის, არის კი ამ ცაზე, ვარსკვლავები?

და მაინც ამ ასპიტის ბალახებში, ქვიშებში იარა და იარა, იმ რაღაც ტიუმენიდან ურალისა და სხვა ადგილების ტრამალები გადმოიარა და ამხანაგ ომეხინის პარტიზანულ რაზმს მოაღწია აგიტატორმა, დემონსტრატორმა და, საერთოდ, ენალაქლაქა ბიჭმა ევდოკიმ გლუშკოვმა.

თუმც ენით ორმოცდაათ გაზეთს აჯობებდა, მის ლაყაფზე უფრო საკვირველი მაინც მისი პირისკანის ქალიშვილისებრ ალებასტრის ფერი იყო.

რა უდაბნოების მზე უნდა ყოფილიყო, რომ მისი ურაზესი კანი შეელახა, არადა მორცხვი სულაც არ იყო, თავიც მოჰქონდა. ეს როგორი ბარაქიანი სიტყვა მომდევსო, და განსაკუთრებით კი ის ეამაყებოდა, რა ენამოქარგული და ხერხიანი აგიტაცია შემიძლია გავწიოო.

სამ სახედარს ეკიდა გლუშკოვის ავლადიდება. პირველს — „კომანდირი" ერქვა და მისი ბარგი სიით ალნუსხული „სრულიად გამართული" ტყვიამფრქვევი იყო, დანარჩენებისა — კინემატოგრაფიული აპარატი „კოკი" და თურქმენულ ჭრელ საცალოში ჩაწყობილი ლენტების მრგვალი კოლოფები.

გლუშკოვი ფეხშიშველი იყო, ტერფები დაჰხეთქოდა, ფეხის თითები დაშაშროდა, შარვალი რატომღაც სულ ჩავარდნაზე ჰქონდა და ტოტების ნაკეცები სქელი, ყვითელი მტვრით გამოვსებოდა, თითქოს თვითონვე განგებ ჩაიყარაო. გაჰიმული იდგა ამხანაგ ომეხინის წინაშე და ისეთი ვარდისფერი ედო სახეზე, ვითომ მყინვარებიდან დაეშვაო.

— მასებზე ზემოქმედების გასაოცარი ხერხი ვიცი: ძველი წესწყობილების ამბებს ვუხსნი კარგად; ზემოხსენებული ამბების და სასიყვარულო დრამების დემონსტრირებას კი ვახდენ პატარა ეკრანზე, ბინის ელექტრონის საშუალებით, მანქანას ადამიანის ხელი ამოქმედებს, იმ მანქანას კი ეწოდება „კოკ", რაც რუსულად „გამარჯვებას" ნიშნავს.

— გამარჯვებაო? — ჰკითხა ომეხინმა და თუუბ-ქოის მთებისაკენ გაიხე-

და, თვალი მოავლო მყინვარებს ,რომლებიც მარტონი ჰკვეთდნენ ზეცას, და მათ ისე მიაშურეს თეთრების რაზმებმა, რომ კვალი არ დარჩენიათ.

— აუცილებლად გამარჯვება-მეთქი, უპასუხა გლუშკოვმა და [illegible] ალებასტრის პირისახის უთეთრესად გამოუჩნდა.

— მაშ რალა უშლის, — თქვა ომეხინმა. — ჩვენ ბურჟუაზიულ [illegible] რის წინააღმდეგი არც ვართ, თუკი აზრს ჩავდებთ მასში... უჩვენე.

უკვე წელიწადზე მეტი ხანი იყო, რაც ომეხინის რაზმი მონღოლეთის ბარხანებში დაწანწალებდა. ათეული თვეობით ლოლნიდნენ ცხენები უდაბნოური ძაპიტის ბალახს. და ამხანაგ ომეხინს ბევრი რამ ავიწყდებოდა. ახლა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა და მიაჩერდა სამ გაძვალტყავებულ სახედარს, ზედ დახვეულ მსუქან კრაზანებს, და გლუშკოვს, რომელიც ქეჩაზე აპარატ „კოკს“ დგამდა.

— ალბათ, სიყვარულზე იქნება, არა?

— უმთავრესად სიყვარულზეა, ამხანაგო.

— რად გვინდა მერე? აქ სიკვდილის ამბავია საჭირო.

— ჩვენ სათანადო სტრუქტურას მივუყენებთ.

მარტონი არიან ჰაპანაქებისადმი ზიზღით ალაპლაპებული მყინვარები, მარტონი კვეთენ ზეცას. მაღალნი არიან და ზარივით რეკენ თუუბ-ქოის მთები.

და თავის კარავისკენ მიბრუნებულმა ომეხინმა ამოიხლიჩინა:

— ვნახოთ ერთი, თუ მივუყენებთ.

## თავი მეორე

ლენტი შუამდე არ იყო მისული — გასლექილი და თავგზიანი, უქნარა „მუსუსი“ სიყვარულს უხსნიდა გრძელშლეიფიან ქალბატონს, მისი რაყიფი — ფუტურო და ქაჩალი ბოროტი კაცი ფარდას ეფარებოდა და უსმენდა, ხოლო გლუშკოვს უკვე ბოლომდე მოეფიქრებინა ერთი ისეთი საოცარი სიტყვა, რომლის მსგავსის წარმოთქმა ერთხელ მაინც რომ დასცლოდა, ძველი სამყაროს ნგრევას ალარაფერი ეშველებოდა, — და ამ დროს რაზმის ადგილსამყოფელში დამხმარე ძალა მოჭენდა — უცნობ ბილიკებზე ნატარი უფელი თათრები.

ეკრანი ჩაქრა, პარტიზანებმა „ურა“ იღრიალეს, და სემირეჩიელმა ყაზახმა ლუმაკშამ მრუდე დანით ყელი გამოსჭრა ფაშატს. სტუმრებისათვის ისე რეცხდნენ საძროხე ქვაბებს, თითქოს წამალი უნდა ეხარშათ შიგ. და, ტრამალის წესისამებრ, მოხარშული ხორცის პირველი ნაჭერი თვით ომეხინმა თავისი ხელით ჩაუდო პირში თათრების რაზმის უფროსს მაქსიმ პალეიკას.

— უშუალოდ თქვენს განმგებლობას ვემორჩილები, — უთხრა პალეიკამ და სწრაფად გადაყლაპა ლუკმა.

— შევგარგოთ, — უპასუხა ომეხინმა და სინი მიუჩოჩა. — სურათის თაობაზე კი ვიტყვი: ადამიანის მიზანშეწონილი ცხოვრების თვალსაზრისით სიყვარული საცოდაობაა.

— რატომ ამბობთ ასე... ცხოვრება არ გვიშლის სიყვარულს, განსაკუთრებით ბავშვის შობას. თუ არ შობე, რაღა ცხოვრებაა. ჩემი ჰკუით, მე ერთადერთი ქალი უნდა მყავდეს. ფიგურალურად რომ ვთქვათ, ანდა, მაგალითისათვის, ალეგორიით, — უნდა მიეკრა კისერზე და მთელი სიცოცხლე სწუწნო.

— არ გიჭერ მხარს, — შეეპასუხა ომეხინი

მას უნდოდა ჩაეკითხოდა პალეიკას, ბურჟუაზიულ წარმოშობასთან როგორა ხარო, მაგრამ გაისმა საყვირის მიმქრალი ხმა, თითქოს ცეცხლის ალივით მშრალ ჰაერში აირთქლდაო.

მხედრები ცხენებს მოახტნენ.

ფაშატის დამჭერელმა ყაზახრუსმა ლუმაკშამ ორი ყირგიზი მოიყვანა. შეშინებული ყირგიზები ცდილობდნენ უნაგირზე რუსულად — ქალურად მსხდარიყვნენ და ასე თქვეს, რომ ალ-რუსმა — თეთრმა ხალხმა — მეყინვარებიდან ომეხინის რაზმს უნდა მოუაროსო ზურგიდან. გზად ყირგიზების ჯოგებს იტაცებენო და ბიები — მამასახლისები — ჟათაქების ამოჟლეტას აპირებენო.

— ჩვენ თვითონ ჟათაქები ვართ, — თქვეს მათ, — გაგვიშვით, თავისუფლების ბილიკით მოვედით.

„ჟათაქი" ღარიბს ნიშნავს — თავისსავე თავს უთარგმნა გლუშკოვმა, — აუცილებლად უნდა ჩავინიშნო და გამოვიყენო ჩემს სიტყვაში, როგორც კი სურათის ჩვენებას მოვრჩები.

დღეები აქ ქარივით გამომშრალია, აქაური ცხოვრების სევდა ქარზე უფრო მშრალი და მარტივია, ხოლო ქარბორბალა ყვითელი ქვიშით მიჩუმქრავს ხოლმე ამ ცხოვრების დასასრულს.

აგერ დილით სამი პარტიზანიც წავიდა წყლის მოსაგროვებლად — და აღარ მობრუნებულან.

კაილის ველზე დარჩნენ დარაჯები სამარქათო ჯოგების სამწყესავად, ცარიელი კარვები, საქსაულებში საძოვნელად მიშვებული სამი სახედარი და აგიტატორი გლუშკოვი: იმას კი, უსაქმოსა და მოწყენილს, ისღა დარჩენოდა, რომ ქვაზე მიეძინა, ძაგორგლილი ლენტების გვერდით.

დარაჯები მღვდლის ცოლებისა და მოჯამაგირეების ზღაპრებს ჰყვებოდნენ. ბაგეებიდან დორბლივით ჩამოსდიოდათ დედაკაცის სხეულის მონატრება, და გლუშკოვი შეკითხვამ გამოაღვიძა:

— ნუთუ ისეთი დედაკაცი მართლა იზრდება სადმე, სურათში რომ ვნახეთ? ვინძლო ყველა ამოხოცეს, ისეთი ვინც იყო; თუ არ ამოუხოცავთ — ჩვენ მოვუთავებთ ხელს. რა კურტუმს იქნევ, შე ძუკნა, როცა აქ ამ ტანჯვაში ვართ?

გაიღიმა გლუშკოვმა და ეცხელა თავის წვირიანი ტანსაცმელი, მხურვალე და ოფლიანი მუცელი მოიქლექლიმა, ჩაფიქრდა, და მისთვის უჩვეულო დიდის გინებით მოაყოლა:

— ... ამოვჭრი და გადავაგდებ ლენტიდან ზემოაღნიშნულ ნაჭერს.

ხოლო ამ დროს.

ერთ-ერთ ბნელ ბილიკზე გვერდზე გასხლტნენ ცხენების ფლოქვები.

ფისიანი ღერის მუქშინდისფერმა შუქმა გაანათა ომეხინის ძარღვიანი ნიკაპი, ცხენის ფლოქვებზე მიცხებული სისხლი და ადამიანის ვარსკვლავისებურად დაჩეხილი მკერდი. კოჭებამდე ჩადგა ცხენმა კაცის მკერდში ფეხი.

ერთი იმ სამთაგანი იყო, დილით წყაზე რომ წავიდნენ.

ქვიშა ჩაიხვევს ხოლმე აქაური ცხოვრების დასასრულს.

პალეიკამ რევოლვერის თასმები შეისწორა და წყნარად უთხრა ომეხინს:

— მე ასე გთავაზობთ, გვამი გვერდზე გადავდოთ. ტყვეები კი არ გვინდა.

ფაფრიდან ფაფარს, ფაფახიდან ფაფახს მისწვდა გამოუკვეთელი ჩქამი, თითქოს ვაზნას დებდნენ.

— ტყვეები არ გვინდა.

— ზუსტად ასეა: — ჩაიჩურჩულა მებოლოევმ რაზმში და მობჯენილ წყვდიადს გახედა, — ზუსტად ასეა: ტყვეები არ გვინდა.

აულ თაჩის მახლობლად, როგორც უწყით, მოკლეს პოლკოვნიკი კანაშვილი, აჩეხეს სამოცდაცამეტი ატამანელი და დაატყვევეს კანაშვილის ძმა.

მთის მდინარესაც არ უნდოდა ტყვეები. სისხლისაგან წყალი [illegible] მღვრებში იმღვრევა. ხოლო ნისლის ფთილები მთაში გუშინდელს ჰგვანან.

— დახვრიტეთ, — თქვა პალეიკამ ისე, რომ ტყვისთვის არც შეუხედავს. იგი ამაოდ ეძებდა ასანთს, მთელი ღამე არ მოუწევია. და, რა თქმა უნდა, ხელში პაპიროსის ჭერა უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ხმლისა.

— ამხანაგო...

ომეხინმა ასანთი აუნთო. ასეთმა თავაზმა გააოცა პალეიკა, ლამის თავიც კი დაუკრა.

— გმადლობთ, ამხანაგო ომეხინო.

ომეხინმა ერთხელაც წაუკიდა ასანთს, ნამცეცა ანთებული კვარი ეჭირა და ჩაილაპარაკა:

— მაგრამ ,ამხანაგო, იგი ქალია და არა ძმა...

პლეიკამ კვლავ მოიძია ასანთი.

— ჩემი აზრი ასეთია: ნახევარი საათის შემდეგ დავხვრიტოთ. მე თვითონ დავკითხავ, მაშ ძმა კი არა. ცოლი ყოფილა? — ჰკითხა რატომღაც ომეხინს.

მან თავი დაუქნია და პალეიკამაც დახარა თავი.

— ცოლიც... შეიძლება დაიხვრიტოს.

— შეიძლება, — დაუდასტურა ომეხინმა. და მაშინღა იგრძნო პალეიკამ, რომ აბოლებული პაპიროსი ეკავა ხელში.

ალიონი იდგა. პარასკევი დღე. თათრები მარჯვედ, გულდაჯერებულად სჯრიდნენ ყელს ფაშატებს, და ასევე გულდაჯერებულად, თითქოს თავისი ბრწყინვით იქმნიან ბედნიერებასო, ასევე თამამად ბრწყინავდნენ თუჯბ-ქოის მყინვარები.

## თავი მესამე

— დავკითხე. ნეტავ იმ ქალს რაღა უნდა ვუდარაჯოთ. ისეთ ალიზის ქოხში ზის: ჩამოიშლება. ბანი გაჭექჭყავს. ვერც მოვასწრებთ, რომ ტყვიით გავუშვათ დანახარჯში. ესენიც აშენებენ რა სახლებს: ქოთანი უფრო მაგარია, იცის თავისი საქმე.

პალეიკას უყვარდა დიდ ომზე ლაპარაკი. ჰყვებოდა ხოლმე, ლვოვის აღებისას ჩემი სიმამაცისათვის მადიარის შავთმიანმა ქალმა შემიყვარა და ცოლად მინდოდა შემერთოო. ქორწილი ჩაშლოდა: ჯარს ლვოვი დაეტოვებინა, მაგრამ სამახსოვროდ მადიარის ქალს სიმღერასავით ლურჯი ფერის აბრეშუმის ხელსახოცები ეჩუქებინა.

ამის მოყოლისას იმ ხელსახოცთაგან ერთს ამოიღებდა და თუ ცხვირის მოხოცვის გასაჭირიც ადგა, ისე ჩარგავდა შიგ, თითქოს ბეჭედს ახვევსო.

ახლაც ასე იყო — თითი გაიწვდინა ხელსახოცისაკენ, მისი გალიფე შარვალი მთელ ლოდს გადაჰფარებოდა.

— დაჰკითხეთ, მაქსიმ სემიონიჩ?

— დაკითხვით კი დავკითხე. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ ალექსეი პეტ-

როვიჩ, რომ თქვენს მიერ ნახსენები ქართველი ქალი ცოლი კი არაა, კანაშვილის და ყოფილა. ელენე ჰქვია, და სხვათა შორის, გაუთხოვარიცაა. დაგვთანხმდა, რომ ამომწურავ ცნობებს მოგვცემს მთებში ბანდიტთა ბანდების მდგომარეობის შესახებ. ზურგიდან მისასვლელ გზებსაც მიგვასწავლის და ქალაქთან ბანდიტების ყველანაირ კავშირსაც გაგვაგებინებს.

პალეიკამ ისე მტკიცედ წარმოთქვა ეს უკანასკნელი [illegible] რომ ომეხინი მიხვდა — ტყუის. გაუნელებელი სიცხე ბაგეებიდან ყურებზე აუვარდა, მერე კისერზე ჩაჰყვა, და ასე მოეჩვენა, უკან-უკან მივაბიჯებო.

— თანახმა ვარ, რომ დახვრეტა გადავცდოთ. მე თვითონ დავკითხავ ამ ქალს, ამხანაგო პალეიკა.

— ძალიან მიხარია. თქვენ ისე მაგრად იცით პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ტრამალში ამდენ ხანს ყოფნით ისე კარგად შეისწავლეთ აქაურობა... კავშირი არა გაქვთ ქალაქთან, რომ იქ გადაგვეგზავნა?

კავშირი აქ წითელი დროშაა, ისიც ქარებმა და წვიმებმა შემოიდნეს.

რა ახირებული კაცი ხარ, პალეიკა. შენი გაზაფხულივით ლურჯი სული რა ვოქვი მე!

ომეხინი მიეიდა ადამისყამინდელ, თითქოს დაცეხვილ ყირგიზულ ალიზის ქოხთან, რამდენიმე პარტიზანი ქოხის უკანა კედელში მრგვალად გამობურღულ ნასვრეტებში იჭვრიტებოდა. წინ უდგებოდნენ, სახელოებს აღლეზდნენ ერთმანეთს.

— ოპერო, დაიე, მთელი მხარი ამაფხრიწე! მიდი და მიმიკერე ახლა.

— მაგ გოგრიანად რო შემძვრალხარ შიგ, როგორც ბაღლინჯო იღლიაში, დახეთ, რა წითლად გალუვდა. სისხლი მოაწვა. სხვას აღარ უხდათ...

უღლეური, თავის ძველ ფარაჯასავით ფერმკრთალი გლეხის ბიჭი ამაოდ ცდილობს ორ ჯირკვეთ თათარს შორის გაძრომას. ფარაჯის გვერდები ქამრით მაგრად გაჭერილ წელზე გადმოშლია, ორივე მხრიდან გადაგრეხილ ქამარს ერთიანად უფარავს და თვითონ იდაყვებით მიჰბჯენია აქეთ-იქიდან ამომდგარ გაბოძკილ თათრებს.

— ერთი წამით, ძმებო, ცალი თვალით შემახედეთ, — ეხვეწებოდა ჩია ბიჭი. — მიმიშვი ერთი, აბა.

მეორე, ხმელი, ცქაფი ფეხშიშველა ბიჭი, რომელსაც უმარჯვია და მოკლე ფარაჯა კონტა ხიფთანივით მოურგია ტანზე, გველთევზასავით გაძვრა გლუვ მრგვალ ზურგებს შორის და ზედ გლეხის ბიჭის იღლიასთან იპოვა ჭუჭრუტანა. ხიფთანიანის გამხმარი ფეხები სულ უჩუმრად ეყდრნობოდა თათრების მძიმე ჩექმებს. სიამოვნებისაგან შესჭყივლა:

— ვაი, რა ქალია... სულ იპუნდრება და იმუნდრება...

ჯგროდ შეყრილებმა გადაიხარხარეს:

— კიდევ პუნდრა-მუნდრას ისვამს?! რა ალქაჯია, მესამე დღეა უკვე. სხვა ქალი ცრემლს არ გაიშრობდა, აბა, ჩვენს რუს დედაკაცს რომ ასეთი ამბავი დამართოდა. ამას კი დარდიც არა აქვს.

— პოლონელი ქალია ეგ.

— შეიძლება ებრაელიცაა. ოღონდ თეთრი ქალია.

— ქმარი გენერალი ჰყოლია. ის ვერ დაუჭერიათ.

— რა ჯანდაბად უნდა ქმარი? ის კაცი არც ყოფილა რაზმში. თვითონ ეგ ქალი უფროსობდა თურმე. რა ალქაჯი დედაკაცია. შარვალი აცვია, დანა ჰკიდია, სიფათი კი მოუთითხნია...

ტყვე ქალის დანახვის მსურველების ახალი დუნდგო ირეოდა ჩამურულ ნასვრეტებთან, იდაყვებს აგლეჯდნენ ერთმანეთს. ერთს ძველი, ნატყვიარებიანი ფარაჯა გადაეროლვა და კალთა მიწამდე ჩასთრევდა. უკან არც [illegible] ისე გაუქანა თავში მწყენინებელს, იმას ქუდი თვალებზე ჩამოუფ[illegible] ფდა და დასცხო, საცა მოხვდებოდა, ყველას, ვინც კი აწვებოდა. [illegible] ჯები იქცა ერთ აწეწილ ბურდოდ, რომელიც დედის გინებით [illegible] ყდებოდა.

ომეხინი კარგა ხანი ამრეზილი უყურებდა სალდათებს, მერე მძიმე ნაგანს ხელი შეავლო და მათკენ გასწია.

— მოიცა, ბუზი ხო არა ხარ! რას მოცოცავ? სად არი ყარაული? აბა, გაეცალე, შენ გეუბნებიან.

კაცები გვერდზე გახტნენ, თითქოს მიკრულები იყვნენ და აადლიზეს ერთმანეთისო. ოფლის მჟისე სუნი მოედინა ომეხინს.

— სულ პუნდრას ისვამს, — მიმქრალი ხმით ამოიქშიტინა ცილაცამ.

ომეხინმა პარტიზანებს შემოუარა და კედელში თავის სიმაღლეზე დაუწყო ნასვრეტს ძებნა.

ასე მალლა არ აღმოჩნდა ჭუჭრუტანა. იგი მოტრიალდა.

— კი მაგრამ სად იყურებით?

— შენ ცოტა დაბლა ეძიე, დაბლა, ძმაო.

ომეხინმა უკმაყოფილოდ ოდნავ ჩაიტეხა ქუდი, ნასვრეტის წინ ლამის შუაზე მოიკეცა და შეიჭვრიტა. ჯერ ვერაფერს ხედავდა: ზედ ჭერთან დატანებული ვიწრო შუშები ბევრს ვერაფერს ანათებდნენ. ქოხი გამოცარიელებული იყო. ნაცარტუტის სუნი ასდიოდა. ფიჭვის საწოლების ორი ჭუჭყიანი ზოლი ჩანდა. საწოლს გრძელი ვიწრო სკამი უფრო ეთქმოდა, და ახლა უცებ დაინახა: რომ ამ სკამზე თეთრჩოხიანი ქალი ზის. ორი ხშირი ნაწნავი სწორ ხაზად ეშვებოდა ზურგზე. ნაწნავებს თითქოს მწვანე ფერი გადაჰკრავს. სახე არ უჩანს. სარკმლით შემოსული სინათლისკენ მიუქცევია. კალთაზე თეთრი ფაფახი უდევს. ბატკნის ფაფუკ, დავარცხნილ კრაველში ჩაფლული პატარა მრგვალი სარკე. გვერდით კუნძზე მრგვალი, ბრტყელი, ლურჯი ზარდახშა დევს. ქალს ხელში ფუნჯი უჭირავს, სახეზე ისვამს და თავს სარკის წინ ატრიალებს. მისი სახე სულ უფრო სცილდება ომეხინს. კედელს მიებჯინა, ეტყობა მძიმედ მოუვიდა: ალიზის კედლებმა ჭახანი გამოსცა. ქალმა მაშინვე კუნძს მოაფარა შავი ლაიკის ჩექმებით შემოსილი ფეხები და მოიხედა. უფრო აუვიდა სუნი სველ ნაცარს. ქალმა რუხი თვალები ზიზღით მიაცეცა კედელს. წარბები ზედ თვალებზე დაეფინა, ანდა წამწამები აეძგიბა წარბებამდე.

— ლი... ლორებო, — უფრო წამოიღრინა, ვიდრე წარმოთქვა მან.

სახე ფერმკრთალი აქვს, გამოხურვებული, უსიცოცხლო, რაღაც შინაგანის გამომხატველია და არა გარეგნობის. თვალები ონავარი ხიჭოებივით გაურბის.

ომეხინი ჭუჭრუტანას მოშორდა და გაიჭრიალა, თითქოს მკერდზე გაუსრიალდაო ელვასავით მარდი მწერი.

მხარზე მეგობრულად, მაგრამ მძიმედ დააწვა პალეიკას ხელი.

თითები გაფარჩხული და ჭუჭყიანი აქვს, ცხელ აბანოში ნახმარი ცოცხივით.

— დაჰკითხეთ?

— ვაპირებ, — უპასუხა ომეხინმა.

— ეგებ გადავაგზავნოთ და წერილი წავაყოლოთ? ნაწილი არასასურველადაა ალგზნებული. შეამჩნიეთ, არა ალექსეი პეტროვიჩ?

ომეხინმა ფართო პირი მოწკურა და უმალვე ჰკითხა:

— თქვენ, ამხანაგო პალეიკა, უფრო ამ ქალზე ზრუნავთ, ვიდრე... აქ ხომ მაგ ქალთან, პუდრის კოლოფის იქით არ წავა ბაზარი, [illegible] გვაქვს მასთან სალაპარაკო, მე დავკითხავ. დავკითხავ-მეთქი... — გაუმეორა ომეხინმა.

დაბალ ხმაზე ლაპარაკობენ, მოკუმულ ბაგეებს, მოკლე სუნთქვას არ სცილდება მათი ბგერები. მაგრამ ტყვე ქალს მახვილი ყურები ასხია. მთელი ტანით აეკრა ქოხის კედელს. ცხელა, ალმური მოსდებია მის სხეულს. რუხი, დახეთქილი კედელი იწოვს ქალის სიმხურვალეს — კედელიც თბილია, ძალზე თბილი, რაღა გასაკვირია, თუკი კედელს აყოლილი სითბო ახლო მდგომთ მისწვდებოდა, ერთს ლოყები აუწითლდა, მეორეს ყურები აელანძა.

— მე არ გითანაგრძნობთ, თუმცა ჩემთვის, როგორც სამხედრო ნაწილის უფროსისათვის, აუცილებელი იყო ამ ქალისგან გაგონილი ყველა ცნობა პირველს მე მცოდნოდა...

პალეიკა უცებ მხედრულად მიტრიალდა, ჩუმად ხელის აღებით მისცა სალამი და კარებს გაუყვა.

ომეხინმა უკვე ზურგში მიადევნა:

— მოიცათ, მაქსიმ! უნდა გავარკვიოთ, რაღა გაუგებარი დარჩეს. გჯერათ, რო...

უკანასკნელ სიტყვებს სიარულში ბურტყუნებდა. მუხლებით შორს მიაფრიალებდა ფარაჯის გრძელ კალთებს.

— ტყეში უნდა ვილაპარაკოთ, — მხარზეით გადმოხედა და უთხრა პალეიკამ.

— ტყეში?

— ტყეში. აქ, ამათთან, არ ივარგებს.

## თავი მეხუთე

ომეხინმა ფარაჯა საქსაულის ბუჩქზე მიაგდო. ცისფერი არაქაური ჩიტი გამოვარდა ბუჩქის ძირიდან.

„კაი ადგილია საფლავისათვის", გაიფიქრა ომეხინმა.

პალეიკა, ჯარისკაცს რომ არ სჩვევია, ისე განივრად მიიქნევდა ხელებს და ერთობ დაწინაურებული მიდიოდა.

...აილებს და საქსაულამდე კი არა, მთებამდე ივლის, მთებამდე თუ არა, კალის კლდეებამდე მივა, იქამდე კი სულ ცოტა ხუთი ვერსია, ძაღლის მანძილით — ასე ეძახიან ამ ხუთ ვერსს...

ველზე კოცონები ხრჩოლავდნენ. პარტიზანების ცხენები ისე გლეჯდნენ ბალახს, თითქოს ტოტებს კვნეტენო. მთები თითქოს კარვები იყო, სადაც სიკვდილს ეძინა.

მარტო მყინვარები კვეთდნენ ყვითელ ცას.

სუსხიანი მყინვარები დასცინიან უდაბნოს.

...მთებისკენ მიდის ეს კაცი, თუ რას აპირებს?

...ვერ მიაღწევ, ძმაო, ასეთი შავნაღვლიანი.

ჩვენ ვერცერთი ვერ გავაღწევთ ბოლომდე. სხვა ზაფხული იდგა პეტერ-ბურგში, სადაც მთის ნასახი არაა და ზღვა სწორ, ადამიანის ხელით ნაგებ ლოდებსაა მოფარებული. და მაინც იქაც ქრის ქარი, კალთებს გვიფრიალებს და ისედაც გამომშრალ ბაგეებს გვიხმობს. ჩემს სამშობლოში, ლებიაჟეში, გრინველი ლელიანში ჩუქდა და მერე ანკარა წყლისაკენ მიუდიოდა [illegible] ქვები. მე არ მინახავს ისინი. ეს ამბავი წიგნებმა მომაგონეს. პე[illegible] ბილიკები ვაკეზე და პირდაპირ მიემართება, მაგრამ მაინც შორს ვერსად წა-ვედი ამ ჩემი შავი ნაღველით...

I.

დაოსებული პალეიკა მკერდით წაწვა მიწაზე.

საქსაული ბასრი ეკლებით ჩავსო თხელ მაუდს და მიწაზე გართხმული სხე-ული დასერა. რა თბილი წვიმაოო — უკმაყოფილოდ გაიფიქრა ჯაგმა.

აქლოშინებული ომეხინი იქვე გაჩერდა. ბაგეები საქსაულის ღეროსავით გამკვრივებია. თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე ხის ქერქი ეჭამოს.

„თქვენა, მაქსიმ, ისე გატყობთ, მგონი, მართლა, ჰა?..“ — დააპირა ამის თქმა, და, როგორც სჩვეოდა, ლაპარაკის დროს მიწას გაუსვა და მოხარა მარ-ჯვენა ტერფი.

— ხდება ხოლმე, — ამოთქვა მან.

და ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, რომ იქვე ჯაგიდან, ღეროდან ასე ოთხი გო-ჯის დაცილებით, უცებ მოლურჯო თავი გამოშვა. იუხთაჩი ჰქვია იმას,რაც მსუ-ნავს ნიშნავს. ჩაფიქრებული და დიდებულია მისი ოდნავ მოღუნული დრუნჩი. პალეიკა იდაყვზე წამოიმართა, უჩუმრად ამოიღო ნაგანი. პირი ღია დაურჩა: ერ-თი კბილი თურმე სხვებზე დიდი გაზრდია. რაც მთავარია — ყველაზე ჩაყვით-ლებულია.

ომეხინისაკენ მიაბრუნა ოფლიანი თავი და უთხრა:

— აბა, ბათქი!

ომეხინს უარის თქმა უნდოდა, მაგრამ პალეიკამ თვალს გაუსწორა სამიზნე, და ომეხინმა წაიჩურჩულა:

— კარგი ერთი, ღმერთმანი, მაქსიმ სემიონიჩ, აბა რატომ უნდა გესროლო შენ?

— მე კი არა, თაგვს უნდა ესროლო. ვინც მოარტყამს, იმისი იყოს ის ქა-ლი. მიდი, ესროლე, თუ ღმერთი გწამს.

— გადაირია ეს კაცი! როდის იყო, რევოლვერს ვესროდი თაგვებს.

— ბათქი! ორამდე ვითვლი. ვინც მოკლავს — იმისია! სხვადასხვა სისტემა გვაქვს. ცეცხლი-მეთქი, რომ გეუბნებიან.

თაგვი გაინაბა, კუდი აპრიხა, ჰაერი შეისუნთქა, გასაქცევად მოემზადა... და უცებ, ომეხინმა, თითქოს საკუთარი თავის შეგრძნება გაუქრა, წაიჩურჩულა:

— დაითვალე!

## თავი მეხუთე

ქალს თავქვეშ ფაფახი ამოედო და მერხზე მიწოლილიყო. როცა პალეიკა ქოხში შეიჭრა და მაშინვე კარი მიხურა, ქალი უმალვე წამოდგა, დაჯდა და ორივე ხელით კუნძის კიდეს ჩაეჭიდა.

— ვიყვირებ მე. რ[illegible]ინდათ?

პალეიკამ ხმა არ გასცა. ასანთს გაჰკრა და სანთლის პატარა ნამწვი აანთო.

მიმოიხედა — სად დავდგაო. ქალმა თვალები მოჭუტა, თითქოს ქანის ასაღებად ასვენებსო, უცებ მოახრევინა ხელი იდაყვში და უთხრა:

— ასე იდექით!

ფრთხილად ამოიღო კოფთის ჯიბიდან პატარა მრგვალი სარკე. ქვედატანის გვერდითა ჯიბიდან საუმარილე, ცისფერი კოლოფი [illegible] პალეიკასთვის არც შეუხედავს, სახეზე პუდრის წასმა დაიწყო.

ბიბლიოთეკა

როცა ცხვირი სახეზე მეტად გაუთეთრდა, პომადა ოდნავ მიაკარა ბაგეებს.

— ქწარად გაიღიმა.

— ახლა არა მიჭირს რა.

პუდრი და პომადა შეინახა და პალეიკას შეხედა. პატარა სარკე ხელში შერჩა. აიმართა. ერთხელაც წაიღო სარკე ცხვირისკენ და პალეიკას გვერდზე აუქნია ხელი.

— შორს მიდექით.

პალეიკა სულაც ქალის ხელს არ დამორჩილებია. თითქოს ფუტკარმა ჩამოუფრინა, ისე მოეჩვენა ეს მიკარება, უმალვე მიდგა უკან.

სარკეში სანთლის ათინათი აკიაფდა, პალეიკამ ჩაქრობა მოინდომა — მაგრამ ბაგეები ერთმანეთს შეხმობოდნენ.

ქალი კვლავ დაჯდა და სარკე მუხლებზე დაიდო.

— გუშინდელივით კიდევ ასე ჩუმად იქნებით? რა გინდათ მაინც ჩემგან? მე ხომ ვიცი, დილით სადაც გამაგზავნით, და არაფერსაც არ გეტყვით. არც არაფერი ვიცი მე.

ცოტა ხანს ჩაფიქრდა. კვლავ თითქოს რაღაც წყლის ჭიაღუამ გაისრიალა მის ლოყაზე.

— მინდა, რომ ჩემს შემდგომ დამრჩომოდა...

— მე დამრჩენოდა?

— თქვენ რატომ, ისე... ასე მგონია, ჩემი ნაწნავები ვარგა ამისათვის. დაე, მათ იცოცხლონ... მიყვარს ისინი.

ქალმა ორივე ნაწნავი ერთად გადმოიგდო მკერდზე, და მათი ფუმფულა ბოლოები შეათამაშა.

„რა ეშმაკია“, — ბოღმით გაიფიქრა პალეიკამ, ხოლო იგრძნო, გულაჩვილებულს როგორ მოაწვა ცხვირში მდუღარება.

და მან ხმა დაიბოხა:

— უფრო სერიოზულ რასმე ვერაფერს მთხოვთ? ეგებ რამე სხვა ამბებიც არი?

— რა სასაცილოა! ეს ძაინაც სერიოზულია...

— ნუთუ არ შეიძლება, რომ ჩემი, ვთქვათ, რაიმე იოლი დახმარების იმედი გქონდეთ. ჩვენ, სულ თუ არაფერი, სადღაც რაღაცის მიჯღაბნა ხომ მაინც შეგვიძლია.

— დახმარებაო... ფუი! მერე... ხომ უნდა მიხვდეთ, ვინც ემსახურება ამათ, საერთოდ ცხოვრებაში ვინც ამ ღორებთან ერთად მოქმედებს, თვითონაც ეკარგება კეთილშობილება. მე კი, ვისაც ეს ღირსება აკლია, იმათი შემწეობა არც მინდა. წადით, აღარ მჭირდებით. სანთლის ნამწვისათვის მადლობელი ვარ. ჰო, მართლა, რა უნდა მეთქვა. ნება დამრთეთ ხვალისათვის თმა დავივარცხნო, თორემ ხვალე ველარ მოვასწრებ. ცოტა ხანს კიდევ გეჭიროთ სანთელი.

ქალმა მშვიდად, სიტყვებივით დასწავლული ჟესტით, თმის გაშლა დაიწყო.

პალეიკამ ნამწვი ეგრევ იატაკზე დადო უცებ. მისი დიდი მოუხეშავი ჩრდი-

ლი კედელზე ატორტმანდა. ჭერთან გადატყდა. თავი ჭერზე ნამორად ექცა. ქალს გვერდით მიუჯდა, და სანამ იგი გონს მოვიდოდა, ხელები დაუჭირა.

— დახმარებაო? ასე ამბობთ? ფუი, რა საძაგლობაა, გაფიქრებაც კი საშინელია... წადით. თქვენ ხელი მოშკიდეთ კიდეც. ბინძური ხელები გაქვთ, დაიხედეთ, ფრჩხილები მოგმტვრევიათ, მოკლეა, ყვითელი... პაპიროსის ნამწვავებს გიგავთ...

ქალმა ზიზღით შეაწმინდა თავისი ფაფუკი ხელები ჩოხის კალთას. უცებ მუხლებიდან სარკე ჩამოუცურდა, ჩამოვარდა და შუაზე გატყდა.

მან შეშინებულმა დახედა ნატეხებს, ხელში აიღო. თითქოს თვალს არ უჯერისო, ჩაიხედა და ატირდა, ფეხები დააბაკუნა და აკივლდა:

— თქვენგან მარტო უბედურება მოდის, ვაება, წართმევა! მძაგხართ, მძაგხართ! გაეთრიეთ! ვიცი, ხვალ რომ დამხვრეტთ, ვიცი... სარკე რაღას გამიტეხეთ.

ქალი ტახტზე შეხტა, მუხლმოკეცილი ჩაჯდა, თავი ფაფახში ჩარგო და აქვითინდა. ნაწნავები იატაკს დასწვდნენ, თრთოდნენ, იშლებოდნენ.

— ხედავ, რა ალქაჯია! — ამოიხრიალა ბალეიკამ. ყელი გაუშრა, თითქოს პაპიემაშესი არისო. — ხედავ ამ ალქაჯს, სარკე დაენანა. ყველგან როგორ ესწრაფვიან ცრუმორწმუნოებას.

ცოტა ხნით იყუჩა. თითებით ჯიბეში ხელსახოცი მოსინჯა. ეს მადიარული ხელსახოცი იყო. უკანასკნელი. კიდეები დაგლეჯილი ჰქონდა. აღარ ექნება აწი ასეთი ხელსახოცი პალეიკას. აღარც იმგვარი, სიმღერაში ნათქვამი სიყვარული ეღირსება. მორჩა. კაპუტ.

— ამას დაგიტოვებთ.

ქალი დუმდა.

— აგერ აქვე დავდებ. საცოლის ნაჩუქარია. ახლა ის, უეჭველია, მკვდარი იქნება. ამას სიყვარულის აზრითაც კი არ გეუბნებით, ისე, თუკი რამეს მაინც იგრძნობთ. მაშინ გამოსაჩენ ადგილზე გამოჰკიდეთ. ასე მგონია: დიდხანს იცოცხლებთ, რადგანაც ზოგიერთი მოსაზრების გამო, ვფიქრობ, რომ გადავდოთ თქვენი დახვრეტა.

— მე ჩექმები კი მაცვია, მაგრამ ფეხსახვევები არ მჭირდება. მოაშორეთ ეგ ხელსახოცი.

პალეიკა ჯიუტად მივიდა მერხთან, გულდასმით გაასწორა და დადო ხელსახოცი, კარგად გამოიხურა კარი და მკაცრად უთხრა დარაჯად მდგარ ორ თათარს.

— თვალი ფხიზლად გქონდეთ, იმიტომ რო — ალქაჯია.

თათარმა ერთი გვერდზე გადააპურჭყა.

— ვიცით.

შამხანა აიღო და ისევ გადააპურჭყა.

— ყველაფერი ვიცით, სოლაი.

პალეიკა შემოსვლისას რომ დაინახა, ომეხინი საწოლიდან წამოიწია.

— როგორია?

— არა უშავს.

— ისაუბრეთ?

პალეიკამ აძგიბა ხუჭუჭა წარბები და გადაიხარხარა.

— დედაკაცებში ბედი გქონიათ, ამხანაგო პალეიკა. ჰე-ე, რა ბედი მერე. მე

რა მაგრად ვისვრი და მაინც ავაცილე, თქვენს ბედად. მერე რას — თაგვს. ის ქალი ნებაყოფლობით...

— აბა რა.

— ნაგავია ქალი. ძმას ტყვია უთხლიშეს, რამდენი ჩახოცეს. ეგ კი მეოთხე დღეს.. ჰოდა, შეირთე კაცმა ცოლი. ახლა დავიდარაბას გადავეყრებით მაგ ქალის გამო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა დავიდარაბას? გავაგზავნოთ დანიშნულების ადგილზე და ეგ იქნება.

— მერე თქვენი ამბავი როგორ იქნება, ამხანაგო პალეიკა?

— ცოტა დრო გავატარეთ — და მორჩეს.

—ჰო... თითქოს რა უჭირს, თითქოს არც ვარგა ასე, ბედი გქონიჴ ქალებში, ამხანაგო პალეიკა.

— ჰო, მაქვს, — ამოიოხრა პალეიკამ.

ღამე ქვიშას არ უნელდება სიმხურვალე — გულივითაა. ქვიშა მთელ უდაბნოს მოეფინება, როგორც სისხლი სხეულს. ქარბორბალში ვინ შეიფარებს საქსაულს? საქსაულების გარშემო ღრუბლებივით იკრიბება ქვიშა.

## თავი მეექვსე

ხის ტახტი უნაგირზე ხმელი იყო. დაგებულ ფარაჯას საშინელი ნაკერავები ჰქონდა. ნაკერავი კი არა, საბელებიაო თითქოს. ხვალ, ალბათ, მთელ ტანზე ნაწოლები დააჯდება წითლად, ამ დოყლაპია თერძის დაყოლებული უხეში ნაკერავების ანაბეჭდები. რა სიამოვნებით დააწვენდა იმ თერძს ყველაზე ფაფუკი ადგილით ამ ფარაჯაზე. ნახავდა ერთი, როგორი ტრიალი, ხვნეშა და ტანის ქექვა აუტყდებოდა. ქავილი მარტო ნაკერავების გამო არ ჰქონდა ატეხილი, ომეხინი კვანწალობდა და თან ბურტყუნებდა:

— ნაკერავი და ღილები... ტილები და ტილები...

მაინც არ აწყენდა თერძს პასუხისგებაში ჩაშვება, ეგებ დაეჩვიოს წესიერად კერვას. უნდა შეუთვალოს, მაგრამ...

— ეშმაკს წაუღია ასეთი ცხოვრება. ტაფაზე დაგდებული ტილივით ხარ. ცხიმი კია, მაგრამ ჩასახეთქი არაფერი გვაქვს. ასეთ ყოფას ქალი თუ გაუხალისებს კაცს.

„კომისარი ეგერ გვერდით წევს, კედლის იქით, სძინავს უკვე. ალბათ, ტახივით ხვრინავს...“

ომეხინმა მიაყურადა.

„სუნთქვაც არ ისმის. მაშ კაი გუნებაზე ყოფილა“.

წეკო ამოიღო. მოსწია ერთი გავსება ჩიბუხი. კვლავ მიწვა, მარტო კალთა გადაიხურა ფარაჯის. სუნთქვა ისე ჰყრის, როგორც საწვრიმალოს დუქანში. სახლს ცხენოსანმა პატრულმა ჩაუქროლა. წლობით სძინებია ამ ფარაჯაზე და არ შეწუხებულა, ახლა კი... და უცებ ურცის სურნელი მოაგონდა. ხუთგზის უნდა გამოილოცოს ქალიშვილმა, თუკი ძილში მოეჩვენება ამ ბალახის სუნი... ახლა კიდევ პატრული გაჩნდა.. ისევ ხვნაზე ფიქრი სჯობია. აბა გაზაფხულის ცხელი დილითაა ხვნა კარგი. ხვნა... ხანა... ხვევნა... ხეირი... ხვევნა...

მოწყენილზე უცხო სიტყვათა პატარა ლექსიკონის კითხვა ილოდა. არადა

ყველა სიტყვა რუსული იყო შიგ... „უცხოსიტყვათა“ იმიტომაა დაბეჭდილი, რომ უფრო კარგად გაიყიდოსო. რა სასაცილო ხალხია.

... რაღაც თითქოს სააღდგომო პასკის ღამეაო. ისეთი სუნია, თითქოს აღდგომა თენდებაო. ალბათ, მთვარისა და უცხო მთების ბრალია. აქ ისეთი მთვარე იცის — თითქოს ყოველდღე აღდგომა თენდებოდეს...

ფარაჯა მოისროლა. ღილები კედელს მიეჯახუნა. სასთუმალთან ჩექმები აიღო.

— წავალ, დარაჯებს დავხედავ.

ცდილობდა, დეზები არ აეწკარუნებია, ისე ჩაეცვა ჩექმები.

მაგრამ უცებ მკაფიოდ მოესმა ქალის შეკივლება. რამდენიმე კაცის ღრიალი, მერე სროლა ჩამოიქცა, და უცნაური ის იყო, მთებში არ გახმაურებულა. თითქოს სიზმარში იყოო — ექო არასოდეს გესმის მაშინ.

ომეხინმა კარის ზღურბლზე წაიფორხილა.

ქოხთან ფანარი კიაფობდა, პარტიზანმა მის შუშას რამდენჯერმე გამოსდო ნაჩქარევად შებმული ხმალი. არნახული ყაშყაში და გნიასი ისმოდა იქ. ბანაკის მორიახლოს, ბუჩქებში, რაზმს აკიდებული ძაღლები ყმუოდნენ.

— ჩუმად! აბა-ა...

ცრუხიფთანიანი პარტიზანი ხელში მოეჭიდა, სიცილით მიახედა სამი თათრისკენ და ხმამაღლა ჩაჰყვირა ყურში, თითქოს სროლა ისევ გრძელდებოდა:

— ერთი ამათ დამიხედეთ... ამ გოგრა თავებს. ერთი დამენახა ნეტა.

— რა მოხდა აქ, ბიჭებო, ჰა?

ქოხის კუთხეში ქალი იდგა და ტიროდა, ცალ ხელში დანა ეჭირა, მეორეში — ფაფახი. ალბათ, რცხვენოდა, ტირილი რომ აუვარდა, და ამიტომ ამაზრზენად ხმამაღლა წიოდა:

— მხეცებო, ჯალათებო! დღეს კომისარი მომივარდა, ახლა კი ხროვად მოდიან... დამხვრიტეთ, ნუ მაწვალებთ! ახლავე ამწყვიტეთ! გველებო!

ომეხინმა რევოლვერის ბუდე შეიხსნა და ერთ-ერთ დარაჯს, ბეჭებში მოხრილ თაფარს შეხედა:

— რა იყო?

თათარმა ხელები დაუშვა .სახეზე უცებ ოფლმა დაასხა, ქუთუთოები რაღაცნაირად ჩამოებერა. ჯერ სხვებს გადახედა.

— ქალი არაა. ოთხი თვე იცდი, რაც უფიდან წამოვიდა, ქალი არაა. ხვალ მაინც უნდა ესროლო, კომისარმა ნახა, ჩვენც ცოტა ხელი ვახლოთ, მაგან...

თათარმა საწყლად დაახედა თავის გაქუცულ წვერზე, რომელზეც სისხლი დასდიოდა.

— მაგან დანა — აქ გაუსვა, უნდა დაკლას. რატომ ჩვენთვის ქალი არაა?

ხიფთანიანმა წამოიჭყივლა კიდეც:

— ამის სიფათს შეხედე, ძმაო, ამის თავ-ყბას უყურე, ქალი მოინდომა, ითმინე, ითმინე, როგორც რევოლუცია გითმენს შენ. აბა?

და სავსებით აღტაცებულმა ჩექმაზე თოფის კონდახი იტკიცა.

— შიშისაგან აიღეს და ჰაერში ბუთქეს... ქალი რომ მოემწყვდიათ კუთხეში.

— ჩაკეტეთ ეგ ქალი, — გაჯავრებით თქვა ომეხინმა. — მაგრად ჩაკეტეთ... ჯერ შენ უყარაული, — უბრძანა ხიფთანიანს.

იმან კი რაღაცის გამო ხმალი გააშიშვლა და გაქავავდა, მარტო კბილები

უცინოდა სიბნელეში, და ეს კბილები თითქოს ქოხიდან 15 ადლზეც კი ჩანდნენ, სადაც ომეხინი, თათრები და პალეიკა გამდგარიყვნენ.

ფანრები თბილ, თითქო გაოფლილ ქვებზე იდგა. შემოდგომის ქარი ოდნავ ურხევდათ ფარაჯის კალთებს.

— რამდენადაც... — ქვას დაჰყურებდა და ისე თქვა ომეხინმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანთელი ჩაღვენთილიყო, და ერთი შტერიც არ აღმოჩნდა, რომ ჩაღვენთი აეფხიკა, და ამის გამო ომეხინს უფრო ეძალებოდა ბრაზი.

— რამდენადაც ჩვენი სახელოვანი პარტიზანული რაზმის მეთაური ძალ სხვის ნებას დაჰყვა და მაშინვე ბოლო არ მოუღო ამ ქალს, ხოლო მისი შემდგომში ყოფნა სამარცხვინო დაღს დაასვამს ჩვენს რაზმს, — აუცილებლად მიმაჩნია დაუყოვნებლივ ვაასრულოთ რევოლუციური განაჩენი. ანარქიული გამოხდომების აკრედიტივების თავიდან ასაცილებლად — ყარაულებს: გადეინს, ალქაშის და ზაქია ყიზიმბაევს მიესაჯოს უმაღლესი ზომა. მაგრამ მხედველობაში ვიღებთ რა მათს შეუგნებლობას, განაჩენი ჩაითვალოს პირობითად. აღსრულებამდე მორიგეობა გასწიონ დაპატიმრებულ მოქალაქეზე... რითაც გამოისყიდიან თავის დანაშაულს. თუ არადა — ჯანაბას მაგათი თავი. გაიგე? წინააღმდეგი არის ვინმე? არის სხვა აზრი?

— არ არის, — უპასუხა პალეიკამ.

ომეხინი კვლავ ქვას ჩასცქეროდა და თათრებს ისე უთხრა:

— პირობითად დახვრეტა გაქვთ მისჯილი. წადით თქვენს ადგილზე და ახლა უყარაულეთ ისე, რომ არაფერი გავიგო თქვენზე. გესმის?

თათრებმა უცებ ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთს და დაიხიეს.

— ე, მესმის, ლექსე პეტროვიჩ, ე...

და მოკაკულმა თათარმა მდაბლად, თითქმის მიწამდე დაუკრა თავი.

— ე... გავბედავ და მოგახსენებთ, — თქვა პალეიკამ. — შეიძლება ვერ გაიგეს, განვუმარტოთ მაგათ.

— რაღა განმარტება უნდა, თუკი პატიებას არ იხვეწებიან. გასაგებია.

## თავი მეშვიდე

დილით ალიზის ქოხთან ნაკვალევი დაინახეს, რომელიც მთებისკენ მიდიოდა. ოთხი ცხენი წასულიყო ჭენებით. სამი ცხენის შორიახლო. გვერდითვე ეტყობოდა, ის ქალი — ელენე კანაშვილი მიაგელვებდა ყველაზე კარგ მატარებელ ბედაურს, პალეიკას ქურანა იორღას.

ცხოვრებაში ყველანაირი ამბავი ხდება, ისევე როგორც ყველანაირი წყალი მოედინება მდინარეებში. მაგრამ იმ დილით კი ომეხინს ძალზე ამღვრეოდა გული. უნაგირზე იჯდა, გრძელი ხმელი ფეხები სიოფლეზე ჩამოეწვართა და ბრაზით უყურებდა, როგორ არჩევდა პალეიკა ჯოგში ცხენს.

— როგორ ხვდები მოვლენებს?! — დაუყვირა პალეიკას. — ცუდად წოლილხარ, როგორც ჩანს, დედაკაცთან. რახან აითესა. ეტყობა, ცუდად მისწუწნიხარ.

პალეიკამ ყვირილით მოიქნია ჯოგში ქამანდი. ცხენები შეფრთხნენ, კარვების მხრიდან ფლოქვების თქარუნი მოისმა და პალეიკამ უბელო ცხენი გამოაგელვა.

— კა-მანდერო... უუნაგიროდ გინდა ჯდომა? კრაზანა ხომ არა ხარ. მიეცით უნაგირი!

თათრები პალეიკას გადაუდგნენ წინ.

— ჩემს უნაგირს გრუქნი. ეგებ ბედს ეწიო. ცხენს კი ვერ მოგცემ, თვალდახელშუა აგწაპნიან.

პალეიკას კიდევ ექვსი მხედარი მიჰყვა ჰენებით.

პალეიკა მარტო თავის ჭკუით დააქროლებდა ცხენს, ხან ბუჩქებს წაადგებოდა, ლოდებს, ღარტაფებს. ცხენს ლაგმით პირს აგლეჯდა, იგი ყალყზე დგებოდა, ერთ ადგილას ბზრიალებდა, ჩამოგდებაც კი დაუპირა მხედარს, რომლის სურვილი მისთვის გაუგებარი იყო.

პალეიკა თითქოს გაქცეულების მდევრად იყო გამოსული და იმავე დროს ომეხინსაც გაურბოდა.

მაგრამ ციცაბო ბილიკზე აი-ოლზის მთასთან ომეხინი მაინც დაეწია მას. ფლოქვების თქარუნის ხმაზე პალეიკამ მოიხედა და დაუყვირა:

— ისინი, ალექსი პეტროვიჩ, ტარაკნებივით ამოგვხოცავენ. ოთხნი არიან.

ომეხინი უნაგირზე ისევე გულდაჯერებულად იჯდა, თითქოს წიგნს უზისო, უცხო სიტყვათა ლექსიკონს, რომელიც წარმოუდგენლად სძაგდა. ფეხები, ოთხკუთხა, ბლაგვი, უსიცოცხლო, მჭიდროდ შემოსჭდობოდნენ ცხენის გვერდებს.

ბანაკიდან მეექვსე კილომეტრზე, ბილიკის გვერდით რამდენიმე ნაბიჯზე მათ დაინახეს გაქცეული ყარაულის ალიმ ქაშის გვამი. თავის ქალა ხმლით ჰქონდა გაჩეხილი. მერმე ქვევით ჩასრიალებულ ხმლის პირს ხალათიც ჩაესერა და ჩავარდნილი ჰლექიანი მკერდი მოეშიშვლებინა.

— ქალი მოუნდა ამასაც, — ცხენიდან არ ჩამომხდარა, ისე ცხენზეით თქვა ომეხინმა. — მე ასე ვფიქრობ, რომ ალბათ, უარი თქვა იმათთან ერთად მთაში გზის გაგრძელებაზე. არ უნდოდა მუშათა კლასის მოღალატე ყოფილიყო. ამიტომაც მიწაში ჩავფლათ, თორემ მგლები შეჭამენ.

შორს მშრალი ქარისაგან გამოფიტული კლდეები მოჩანდა. ლონივრად უნდა ეკრათ ქუსლი ცხენისთვის, სულ სისხლი დაედინათ, რომ კიდევ და კიდევ მოეკრიბა ქანცგაწყვეტილს ძალა.

აგერაც გიშრის კლდესთან პარტიზანისეული ცხენი ეგდო და მხედრის — ყარაულ გადეინის გვამი გართხმულიყო. ეს ახოვანი, ლამაზი ვაჟკაცი იყო, მხიარული, ანგალი. დაკრუნჩხული ხელები სადავეებში ჰქონდა ჩახლართული, ცხენის დამახინჯებულ თავთან იწვა.

გადეინს ჯერ კიდევ სული ედგა. მან მიმკვდარებული ქუთუთოები ასწია და ძლივს გასაგონი ხმით, თითქოს ქუთუთოებით ჰკითხა ომეხინს:

— უნდა მესროლო? ტყუილად გავექეცი შენს ტყვიას. საკუთარი ტყვიით სჯობია აზრაყი. აზრაყი — კაპუტ. იმან თქვა: გავიქცეთ, მოგვკლავს, მაინც დახვრეტაა. ქაშიმ თქვა — გავიქცეთ, ზაქიამ თქვა — გავიქცეთ, მაინც დაგვხვრეტენ. ჰე, სად უნდა გაიქცეს თათარი თავის პოლკიდან. ჰე... ზაქიას ქალი არა ჰყავს. ზაქია სულელი ცხვარია. ზაქიამ თავში მესროლა, ასე უთხრა ქალმა. სახეში არ მესროლო, ალექსეი პეტროვიჩ, ესროლე პირდაპირ გულში.

— ჰო, — თქვა ომეხინმა, და ცხენს სადავე აუკრიფა, — მალე გათავდება. მართლაც ვერ გაუგია, რას ნიშნავს „პირობითად". რას ნიშნავს პირობითადო? — უკან მოიხედა მან.

ყოჩაღი პენზელი ბიჭი უნაგირზე გასწორდა.

— პირობითად, — ამხანაგო კომისარო. ნიშნავს, რომ მოსაკლავები კი არიანო, მაგრამ შეიცოდეს, რადგან კაი ბიჭები [illegible]ან.

უახლოესი მთა წელამდე ბუჩქნარითაა დაფარული, თითქოს ქალის ქვედაკაბა აცვიაო. მერე კი ტიტველაა, კლდოვანი. ბუჩქებში ც[illegible]ობდა. მაღლა სწევდა ფაფუკ ჩიჩვირს და მხიარულად წიწკნიდა [illegible] ბალახს. ხალხის გამოჩენაზე არ დამფრთხალა.

ცხენს დაესვენა, ძალა მოეკრიბა, და ახლა მხიარულად დაიჭიხვინა. ცხენიდან კარგა შორს, კლდოვან ბილიკზე პირქვე ემხო გვამი. ქვის ნაბზარში ჭუჭყიანი თითები ჩასჭედოდა.

რევოლვერის ოთხი ტყვია ჰქონდა დახლილი — ზურგში, კისერსა და თავში.. სულ უაზროდ, ამპარტავნულად.

— ეს ქალის ნასროლია, — თქვა ომეხინმა.

მერე უკვე ერთი ცხენის ნაკვალევი გრძელდებოდა.

ომეხინმა მთებს გახედა. ბუჩქები დამთავრდა და ტიტველი ქვები იწყებოდა. მაღლა, სადღაც თოვლებში, რუხად ილანდებოდა აული. კლდეებში კვამლი ჩანდა. ქვებს მარადი სიმხურვალე ასდიოდა.

ომეხინმა მარცხენა სადავე მოსწია, თვითონ კი მარჯვნივ გადაქანდა.

— გვეყო! ამას იქით, ჩვენ თვითონ მივავახვრეტებ. უკან დაუჭი, ამხანაგო, ცხენი წამოიყვანე. მენანება შენი იორღა, მაქსიმ სემიონოვიჩ, მაგრამ ღმერთი შეგვეწევა და დავიჭერთ იმ ქალს.

უკნიდან, ზურგში, პალეიკას ჩურჩული მოესმა.

— ამხანაგო, შეამჩნიეთ თქვენ — ბოლოს ვინც დარჩენილა, ხელში იმ ქალის თმები ჰქონდა.

— მერე?

— ეგ ხომ ყველაზე უშნო იყო. ზაქია, ყველა მაგან დახოცა. ქალისთვის თმაში ხელის წავლება კი მოუსწრია...

ომეხინმა ცხენს სადავე მოჰქაჩა. პალეიკას გაუსწორდა და მისკენ ისე დაიხარა, რომ კუმისისა და ყურთის* სუნი იგრძნო.

— მერე რა, თუნდაც თმებში რომ წაევლო ხელი... მაგისთანა ქალები თმით უნდა ათრიო, თორემ თავი კი არ უნდა შეაკლა.

## თავი მერვე

იმ ნაკადამდე, რომელიც ზედ ბანაკთან ჩამოუდიოდათ, უბრად მოდიოდნენ. როცა ფლოქვებმა პარტიზანებისავე გადებული ბოგირი გამოაღვიძეს და წყალი თითქოს უფრო სწრაფად აჩქეფდა, პალეიკა ომეხინს წამოეწია, ხელი მისი უნაგირის ტახტას ჩასჭიდა და აბურტყუნდა.

— მე ხომ ყველაფერი ტყუილი გითხარით, ალექსეი პეტროვიჩ, ეგრევე მოვიტყუე. ეგებ ცოლიც იყო იმ კაცის, ეგებ დაც... შეიძლება პოლონეთის ჯაშუშიც არის. არ ვწოლილვარ იმ ქალთან და არც არაფერი მომხდარა, სულ ტყუილად ააცილეთ თიგვს. სჯობდა, მე ამეცილებინა. მარტო ჩემი ხელსახოცი ვაჩუქე.

---

* ყურთი — გამხმარი გაწურული მაწონი („მაწვნის ფხვნილი"). შუააზიელ მომთაბარეთა საგზალი (მთარგმნელის შენიშვნა).

— მერე?

— ხელში რომ ეჩვენებინა, თუკი მოისურვებდა საერთოდ სიმპატიით ყოფილიყო ჩემდამი, მან კი აიღო და..

ომეხინი უცებ მძიმედ მოტრიალდა უნაგირზე და თითქოს გულდაწყვეტილმა წამოიყვირა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წაიღო?!

პალეიკას ხმელ ლაწვისთავებზე ოფლმა დაასხა. ხელში სადავე ჩაუცურდა. და მოიტყუა.

— დასწვა. მერე ფერფლი მიჩვენა, თათრების ამბის შემდეგ. ფერფლი. რა ფერფლი დარჩებოდა აბრეშუმს? პაპიროსის ოდენა.

ომეხინს ძარღვებში ბლანტი სითბო ჩაეღვარა. ძილი მოუნდა, უზანგი დაეჭიმიდა და თითქოს გვერდზე გადაეგრიხა.

— ერთი მაგ ქალის თავიც, — ზანტად თქვა მან. — ოქმი უნდა შევადგინოთ მოსახსენებლად. მინდა, დღისითვე ის ქოხი დავათვალიეროთ, როგორ გაექცნენ ერთი. თათრები მეცოდება...

ქოხის კარზე, ზედ ანჯამასთან, წვრილი ლურსმნით პალეიკას ცისფერი აბრეშუმის ხელსახოცი იყო მიჭედებული.

— აბა, ასე, — ჩაილაპარაკა ფიქრიანად ომეხინმა, როცა დაინახა, რა აჩქარებით, ისე რომ ცხენიდან არც ჩამომხდარა, აგლიჯა პალეიკამ ხელსახოცი. — აქ მასხარად აგვიგდო იმ გათახსირებულმა დედაკაცმა. შევხვდები — ექვს ტყვიას მივარჭობ.

ცოტა გაიარა, ცხენი შეაჩერა, პალეიკას გახედა, თავი გადააქნია და უცებ ჩამოხტა ცხენიდან და კარვისკენ წავიდა. ვიღაც გამვლელმა პარტიზანმა ჩაავლო ხელი მისი ცხენის სადავეს.

საღამოს ომეხინმა შაშხანა აიღო, მჭიდე გამოუცვალა და რატომღაც ჩექმებს დეზები შეხსნა, თუმცა ძალიან უყვარდა დეზებით სიარული.

თოფი ძაან მძიმე ეჩვენა, ღამე გაუძლისად ჩახუთული, კარგი მხოლოდ ის იყო, რომ წყვდიადში მთები არ ჩანდნენ.

ნაკადზე გადებული ბოგირის სიახლოვეს ჩაჯდა. წყალს თითქოს დაეკლო. მთის ყვავილოვანი სურნელება ასდიოდა. ომეხინი მეორე ღამეს ტეხდა და ამის გამო ყველაფერი რატომღაც მლაშე ეჩვენებოდა. საფეთქლები უსივდებოდა და ღამის უკუნის სიმძიმეს გული ვეღარ უძლებდა.

ასე ეჩვენებოდა, თითქოს ფეხქვეშ პატარა, ნემსივით წვეტიანი კენჭები უჩხრიალებდა გაუთავებლად. ბანაკში კოცონები დაქრა. მერე მობრუნებულმა პატრულმა გადმოიარა ბოგირი, კაცები ხარხარებდნენ და ერთმა მათგანმა წყალში მუჭა თხილი გადააპნია.

ასე იჯდა დიდხანს ომეხინი. ძარღვებზე ტკივილმა მოუჭირა და ფეხები დაებუჟა. თოფი გვერდზე გადადო. სადღაც ცაზე ცისკრის ყვითელ-მწვანე ლაქა აკიაფდა, და ამ დროს ფლოქვების ყრუ ხმა მოესმა.

მხედარი ბანაკის მხრიდან ნელა მოუახლოვდა ბოგირს. ცოტა ხანს აღროვა და ცხენს წრუპუნით გაუჯავრდა. და ცხენმა დანდობილად დაჰკრა მიწას ფლოქვები.

— შენა ხარ, პალეიკა? — შეეხმაურა ომეხინი.

მხედარი შეკრთა და არაბუნებრივად ხმამაღლა წამოიყვირა.

— მე ვარ!

— მაღლა ასწიე თავი, მე გაჩვენებ, საითაც უნდა გაიქცე.

ომეხინმა მჭიდროდ, წესდებისამებრ, მაგრად მიიკრა მხარზე შაშხანის კონდახი.

ცხენი სროლაზე გახტა, ორჯერ ისკუპა და უნაგირტიალა ცხენი ბანაკისკენ დაოთხდა.

ომეხინმა გვამი გადმოაბრუნა, გიმნასტურის უბის-ჯიბიდან [illegible] ცისფერ ხელსახოცში გახვეული პაკეტი ამოიღო. შიგ ცოტა ფული და პოლეიკას საბუთები იყო. დოკუმენტებიც და საბუთებიც გვამს მიაყოლა, წყალში გადაუძახა. ხელსახოცი კი ჯიბეში ჩაიჩურთა.

შემდეგ მან, ყოვლად უმიზეზოდ, საქსაულის ღეროებისაგან კოცონი დაანთო, გააბოლა და წინ გაშლილი ხელსახოცი დაიდო. აალებული ტოტი გამოიღო ცეცხლიდან და ხელსახოცს შუაგული გაუტარა. ნატისუსალის სუნი დადგა. იმავე ჩხირით ომეხინმა ხელსახოცი ცეცხლში ჩააგდო. შტაბის მდივანს კი ეს უთხრა:

— დღეს მინდა ის სურათი ვნახო ბოლომდე, მაშინ თათრებმა რომ შეგვაწყვეტინეს. საინტერესოა, მაინც რა მორალი გამოვიდა იმათი სიყვარულიდან.

— ვეღარ ვნახავთ ბოლომდე იმ სურათს, ამხანაგო კომისარო, — უპასუხა მდივანმა.

— ვითომ რატომ ვეღარ უნდა ვნახო?

— იმიტომ, რომ უკვე ორი კვირაა, რაც დემონსტრატორი ამხანაგი გლუშკოვი სხვა მხარეს წავიდა და თქვენივე ნებართვით ვირები ცხენებით შეცვალა, რადგანაც ის ვირები, როგორც ცნობილია, მგლებმა დაგლიჯეს ვირის ჯოგისა და მეთვალყურის უყოლობის გამო.

— ორი კვირაა?

— დიახ, ასეა.

— ხედავ შენ, როგორ მიდის ცხოვრება. ცხოვრება ლამის ისე წავიდეს... — მაგრამ ბოლომდე აღარ უთხრა, როგორ მიდის ჩემი ცხოვრებაო, აღარც დაუმთავრებია ამხანაგ ომეხინს. მხოლოდ ჩაიცინა.

მთებში მკვრივი ქვები იცის, ადვილად გორდება. მხიარული და მწვანე მიწაა ქვების ძირში. ჩაქრა მთებში მზის ალი, და ღრუბლებმა დაფარეს ქვები, როგორც ნავლი დაედება ადამიანის კოცონს.

ხელში ბალახი მოხვდა. მართლა ასპიტის ბალახია; ვერც დაღეჭავ, ვერც მოსრეს.

და მაინც ასპიტის ბალახებშიც, ქვიშებშიც მიემართება კვლავ ურალიდან თუ სხვა ადგილებიდან, ამხანაგ ომეხინის პარტიზანული რაზმის გავლით იმ რაღაც ტიუმენიდან ტრამალდატრამალ წამოსული აგიტატორი, დემონსტრატორი და, საერთოდ, ენალაქლაქა ბიჭი ევდოკიმ გლუშკოვი.

1925

□

# რუმინული ხალხური პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუმინულიდან
თარგმნა ოთარ შალამბერიძემ

## ბანათური* დოინა*

რა ღამე იყო ულამო,
რა — უქორწილო ქორწილი? —
მთელ ღამეს მესიზმრებოდი
და მთელი ღამე გკოცნიდი.
წამოვხტი ხელის ცეცებით.
და... გაქრა,
    ვისაც ვეძებდი.
სანაცვლოდ სულის ნაღველი
ვპოვე — საურზე ნაწერი
ჩემივე წარბის კალმითა
თვალის მელანში ნაწებით.

## სატრფო ჯარში გამიმწესეს

ჯერით ერგო ჩემ საყვარელს
არმიაში სამსახური.
ბალ-ბოსტანი დამიტოვა
დახნული და დაფარცხული.
მე კი შხამას
    ხომ არ დავრგავ.
თუ მაგონებს წითურ სატრფოს?
ავდგები და დავრგავ იებს,
სიქეთეს რო აფრქვევს მარტო.

## ჭის თავს ამღერდა ერთხელ გუგული

ჭის თავს ამღერდა
    ერთხელ გუგული, —
შენს სიხარულსო
    შეიდი დღე ჰქვია,
მერე — მშვიდობით
    თავისუფლებავ
და ჯარისაკენ
    ნაბიჯით იარ!
მე კი არა ვარ
    შესაბრალისი,
საბრალო — ჩემი
    გუთან-ხარია,
ჩემი დედა და
    ჩემი მამაა,
რომელთაც ჯერ არ
    გაუხარიათ.

---

* ბანათი — მხარე რუმინეთში.

* დოინა — დაახლოებით ჩვენებური კაფია.

როცა ჰაბუკი
    მიდის სალდათში,
მშობლებს აწუხებთ
    ფიქრი ათასი;
ხარის თვალებშიც
    დგება ნაღველი,
მიწაც მკვრივდება
    ძნელად სახვნელი.

ასეა ჩვენი
    წუთისოფელი:
ჯერ მოგვხვეტავენ,
    ვით [illegible] ცრავებს,
მერე, [illegible]
    ერთხელ გაკრეჭენ და
გაკრეჭილ თავს კი
    ომში გვიკრავენ.

## მთების გაღმიდან ამოდის მთვარე

მწვანე ფოთოლი
    ველური თხილის!
მთების გაღმიდან
    ამოდის მთვარე.
ებრუნდები ჩემი
    საყვარლის ბინით
და ვხედავ ცოლის
    უძილო თვალებს.
მან რომ იცოდეს,
    ვისთანაც ვიყავ,
არც გამიღებდა
    ნამდვილად კარებს.
არადა, კი მყავს
    ისეთი ცოლი
წამალივით რო
    შეგარგებს ალერსს.
უკვე შინ მისულს
    ხელები თეთრი
ტანსაცმელს ისე
    მსუბუქად გხდიან.

არც გჯერა, მდურვის
    სიტყვები მკვეთრი
რომ შენი ცოლის
    ბაგედან ჰქრიან.
ჰე, ჩემო ცოლო,
    ჰეი, ცოლიკო,
იმ ჩემ საყვარელს
    ნუ დამიწყევლი!
მართალი არის
    შენს მიმართ იგი,
როგორც მის თვალზე
    მბრწყინავი ცრემლი.
ჩემ საყვარელთან
    მე ვითვლი წუთებს,
შენთან კი ვიყოფ
    ყოველგვარ ტანჯვას;
საყვარელი ხომ
    ერთ ღამეს მჩუქნის,
მე კი სიცოცხლეს
    სულ შენთან ვხარჯავ!

## გათხოვება მინდა მარა

გათხოვება მინდა, მარა,
პურის ცხობა რომ არ ვიცი?
ვშიშობ კიდეც,
    გათხოვებით
არ წავაწყდე რამე სირცხვილს.
გათხოვება მინდა, მარა,
შევეყრები ეშმას, ვიცი,
ეშმას თუ არ —
    მის დედიკოს,

აღარ უნდა ამას ფიცი.
მაინც ვნატრობ გათხოვებას:
მიცდის ჩემი დასაგველი,
გასაფენიც მიცდის ჩემი,
ვინ დათვალოს სხვა საქმენი?
ფანჯარაში სარკის ჩადგმაც
გახლავთ ფრიად სასურველი —
ყველა ქალს ჰსურს დაინახოს,
გათხოვება როგორ შვენის.

## შეყვარებულნი

ოქტომბერი დადის ბაღში,
ვარს ყვავილი მოუცვარავს.
ხოლო ვარდის ჩრდილიანში
ჰყნობს თეთრი გოგუცანა,
ბიჭის მასთან მოყმე ვინმე,
ჩრდილებს შორის მოსეირნე.
— მშვენიერო გოგუცუნა,
მპასუხე ძოწის პირით,
ქმრიანი ხარ თუ ფერია
ნელა ციდან მოვლენილი,
არც ცოლი ვარ, არც — ფერია
მაღლა ციდან მოვლენილი,
ყვავილი ვარ მიხაკისა,
ამ პაწია ბაღში ზრდილი.

შენ კი, შენ კი, ყმაწვილკაცო,
ვინაობას არც კი გვამცნობ?
მჯერა, არ ხარ მატყუარა,
ცოლიანი ხარ თუ არა?
— ო, ყვავილო მიხაკისა,
ვგრძნობ, ჩემ პასუხს როგორ ელი,
არც ცოლი მყავს, არც — საცოლე,
მე გახლავართ ოქტომბერი.
უქმურ ამინდს მოვუძღვები
და ყვავილის მკერდზე ვწვები.
ბოლოს განშორების წამებს
ყვავილი ვერ ურიგდება,
ერთს მომხედავს უნუგეშოდ
და ჩიტივით სული ჰხდება.

## პირთეთრა ყვავილები

წამოდექით!
წამოდექით!
თოვს პირთეთრა ყვავილები!
წამოდექით,
რუმინეთის მხვნელ-მთესველნო,
თოვს პირთეთრა ყვავილები!
თქვენთან მოდის შთაგონება,
შუაღამით,
როს მამლები ყივიან,
თოვს პირთეთრა ყვავილები!
შენს სულს ამ დროს
ყოვლკეთილი განაგებს
და ის მუსრავს
ბოროტების ფალანგებს.
ყოვლკეთილი —
შროშანებში გახვეული
ღმერთი ახალშობილი,
ღმერთი ჭეშმარიტებისა,
მზის სხივებით კალთებშემოქობილი
კვლავ შეუდგა დიდების გზას.
წამოდექით,
რუმინეთის მხვნელ-მთესველნო,
აგერ, ზეცის სამბრძანებლოს
კვლავ დაბრძანდა მბრძანებელი —
მოკაშკაშე კომეტა,
სიჭაბუკის მოციქული სწორედა.
ძალებს იკრებს დედამიწა
და ნახნავში
ღუღუნებენ გვრიტები.
მერცხლები რო
ერთი წამით გაჩუმდნენ,
გაიგებდი,
ვით სკდებიან კვირტები...
აგერ, მტრედიც, —
დასავლეთით მოჰყვა ფრთების არილი.
ალტაცება მოგვიტანა
და... პირთეთრა ყვავილი.
და სურვილი, რო მოასკდეს,
გულს ღიმილის დღეები,
რომ ჰყვაოდე ხეებივით
და დაბერდე ისე, როგორც
ბერდებიან ხეები...

## გავიგონე, ღმერთი, რჯული

არ მინახავს,
გავიგონე, ღმერთი, რჯული, —
ერთი წამით
აკრძალესო სიყვარული.
გავიგონე,
გაჩერდაო წყალი ოლთის,*
სიყვარულზე
ეგ არ ითქმის —
მაინც მოდის...
ერთი წამით
გაჩერდაო თვით მურეში,**
სიყვარული არ ჩერდება
თავის დღეში.
ერთი წამით
გაჩერდაო თვით ტირნავა,***
სიყვარული
კვლავ დის თავის ტვირთიანა...

## მწვანე ფოთოლი სამი ბოლქვისა

სამი ბოლქვის მწვანე ფოთოლს
ეს შაირი შეუყვსია.
ვინ, ვინ არის,
ვისაც ტრფობის
დასაწყისი შეუცვნია?
თვალ-წარბიდან იწყება თუ
მარჯნიანი ყელიდანა?
სიფრიფანა ბაგიდან თუ
ბეჭდიანი ხელიდანა?
ბერმა — ნახოს,
გინდა — ბიჭმა
კბილს გაჰკრავდა,
როგორც ფიჭას.

## შროშანებით სავსე მთაზე

შროშანებიან მთაზედა
ძლივს მიდის ცხენი იონის.
წარა-და-მარა ბორძიკობს,
გზა უდევს არცთუ იოლი.
იონი ისე მთვრალია,
სუმთლად შეცვლია ფერფური;
მაგრამ ღვინისგან კი არა,
ჯადოსგან არის ვნებული.
ვინ არი, სადაურია,
ჯადო იხმარა რომელმა?
ბანათის* ორმა ასულმა
კაცი გაახმო დგომელა.

## არდეალური ჩიტუნა

მაიორანის მწვანე ფოთოლი!
ჰოი, ჩიტუნავ,
არდეალისა,
ნეტა, რას დაჰფრენ
ბორცვიდან ბორცვზე,
ხევიდან ხევში,
თუ მთიდან მთაზე?
ხან ატუზულხარ
შესაბრალისად

---

* ოლთი
** მურეში — მდინარეები რუმინეთში
*** ტირნავა

* ბანათი — ოლქი რუმინეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმი საყვარლის
  სამოთხის კართან.
ხტენავ,
  თუ ის მძინარი ნახო,
ოუწვი,
  მშვიდად იძინოს რათა.
კდამიყოლა
  მე მისმა დარდმა
და უნაყოფო
  ხეს დამამსგავსა.
კვლავ შეფოთვლა რომ
  არ უწერია.
დაე, იძინოს! —
  რომ იმის ძილში
მცირე ხნით მაინც
  მოვითქვა სული
და ვიგრძნო წამი
  თავისუფლების.

## ბანათის გზებზე

შვანე ფოთოლი ცერცვისა!
ანათის გზებზე ცხვრის ფარა
იყლაკნება თახთახით.
შენით ცხვრებს მედიდურობა,
ვერცხლებრ უბზინავთ
  ფაცახი.
შუბლზე რო დაღლა ეტყობათ.
ქაც წესია ამათი —
დიდი მხარეა ბანათი
სამი გზით სამთავანათი:
ერთი გზა რკინიგზისაა,
მატარებლების სავალი.
მეორე — ქვისა,
  ზედ ხალხი
ირევა მრავალთმრავალი.
მესამე კიდევ — მიწისა —
საწყალ მწყემსთა და
  მეხრეთა,.
ზურგით რო მიაქვთ კარვები,
ქორფა კრავებიც — ეგრედა,
დუნაის წყალსაც
  ორთოლვას ჰგვრის
მათ წყნარ ლილინთან
  შეხვედრა...

## მე საყურე მიყიდია შენთვის, ჩემო გოგონა

თავსაფარი რო გიყიდე
გუშინ ჩემო გოგონა,
და უყავი?
  უთავსაფროდ
როგორ მოხველ, როგორა?
სხვა თავსაფარს ის გიყიდის,
ვინც ჩემსავით ბრიყვია, —
მასაც ისე შემოიხვევ,
როგორც ეს მოიხვიე
მძივი?
  მძივი რო გიყიდე
ბრჭყვიალა და ხატულა,
დღეს უმძივოდ რად მეჩვენე,
რამ გაგაუმადურა?
თუ გიყიდის ვინმე სხვა მძივს
სხვაფერად მოციმციმეს,
როგორც — ჩემი,
  ისიც ისე
დაიმნევა, ვიცი მე.
ის საყურე,
  გოგოვ, გუშინ,
შენთვის რო მიყიდია,
მაგ მშვენიერ ბიბილოზე
რატომ არ გაკიდია?
სხვა საყურეს ვინ გიყიდის,
ვინ გაბრიყვდეს, თქვი, კიდე, —
ისიც ისე დაიკიდო,
როგორც ეს დაიკიდე?

## ნეტა სიმღერას ვინ უდგამს სულსა

ვინც სიმღერას ჰქმნის,
ღია ხვდება
სამოთხის კარი,
რადგან სიმღერა
სწორედ მაშინ
გვანიჭებს ხალისს,
მოეძალება ადამიანს
როდესაც სევდა.
თვით უნუგეშოც,
სიმღერაში
ნუგეშინს ხედავს.
სიმღერა ფრთაა,
ფიქრიან კაცს
რო გაჰკრავს უცებ
და მის ცხოვრებას
ჩამოაფხრეწს
ერთ მტანჯველ ფურცელს...
როგორც მთესვარი
მარცვალს გაჰყრის
აოშვილ ხნულში,
სიმღერაც ასე იბადება
დარდიან გულში.
არ შეუძლია მარტო ბოროტს
სიმღერის შექმნა,
რადგან ყოველი
მისი ბგერა
იქცევა ლოცვად
ვინ ქმნის სიმღერას?
გაიარა
ტანჯვის გზა ვინაც
და არც ტკივილი
დაჰკლებია,
არც — სულის გმინვა.
ხმის მძლავრი ტალღა
პირველყოვლის
აცხრება იმას,
არ გამოდგება
ვისი გულიც
სიმღერის ბინად.
დიახ! მე ვმღერი,
ჩუმად რო ვარ,
მაშინაც ვმღერი!
დღითა და ღამით
ჩემში მოჩქეფს
ღვთიური ჩქერი
და სასწაული უნდა მოხდეს,
იგი რო დაშრეს,
სასწაული კი
სიკვდილში აქვს
ჩათქმული გამჩენს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალო, ვინ ჩანს ფანჯარაში

— ქალო,
ვინ ჩანს ფანჯარაში,
თითქოს კაცს ჰგავს,
რა კაცია?
— ჩუმად იყავ,
შე სულელო,
ეს ხომ ჩვენი ნაგაზია?
— აფრაკი ხარ,
მგონი, შენცა,
ძაღლს ტყაპუჭი
როდის ეცვა?
— იწექ, კაცო,
ღამის ლანდებს
მხოლოდ მშვიდი
ძილი აქშევს.
ეს მეზობლის
კატა არის,
რა ტყაპუჭებს
ხედავ აქ შენ?
— ჰოდა, ნახე,
რა დავმართო,
აქ რო დაძრწის წარამარა.
— მე გამიშვი,
მაგის მოკვლით
არ აგვცდება ხათაბალა.

## ჰოი, მწვანე ფოთოლი და ფოთლები თამბაქოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოი, მწვანე ფოთოლი და
ფოთლები თამბაქოსი.
ვინაც ცხენის ცნობა იცის,
ვენაცვალე ალღოში.
კარგ ცხენს კარგი
    მოვლაც უნდა,
ასე არის ოდიდან;
სიმინდი რომ სიმინდია,
წინ დაუდგი კოდითა.

შენი პეშვით
    ასვი წყალი,
დაბანე და დავარცხნე,
დაუბრმავო უნდა თვალი
მიზეზიან ლამაზებს.
ფაფარიც კი დაუწანი
აბრეშუმის ბაფთითა...
სიყვარულიც
    წინ დაგხვდება
ბუკითა და დაფითა!

## სევდა რო გაანაწილეს

სევდა რო გაანაწილეს,
გუთანს ვეკიდე სახნავში.
რა წესით გაყვეს,
    არ ვიცი,
მე იგი ტომრით დამხვდა შინ.
სხვებს თურმე
    (აგრე ჰყვებიან)
ბეწვის ოდენა რგებიათ.
ტრფობა რო გაანაწილეს,
სათიბში თივას ვთიბავდი.
რა წესით გაყვეს,
        არ ვიცი.

ის წესი რა ვთქი იმათი?
თითოსო, —
    (აგრეც ჰყვებიან)
თითო ურემი რგებია.
ხოლო საწყალი მთიბველი
სუყველას დავიწყებია.
და დავრჩი უსიყვარულოდ,
მწარე ხვედრს შერიგებული.
თურმე რა მალე ხუცდება
კაცი სევდისგან ვნებული.

## სიყვარული ნაყოფია ტკბილი

სიყვარული
ნაყოფია ტკბილი,
ვინ იქნება —
არ დაადგას კბილი?
მაგრამ ერთხელ
გემო თუ გაუსინჯა,
სიხარბის ზნე
შემორჩება გულს ხინჯად.

ვერ გაძლება
ტრფობით, როგორც ვიცი —
სთვლის დროს — ღვინით,
გაზაფხულზე — სიზმრით...
თვითონვე ვარ
სულ პირველი მსხვერპლი.
კაცი ვიყავ,
დავრჩი მარტო ფერფლი.

## ჰე, ნაპირო, დუნაისა

რაც ვუამბე
　　მაყვლის ფოთოლს,
დე, მკითხველსაც
　　ვაღირსოთო.
ჰე, ნაპირო, დუნაისა,
რა ღვთის წყრომას
　　ვესწრებითა?
ჩაივლიან სალდათები
მოწკრიალე დეზებითა.
გამჩენს წყევლას
.　შეუთვლიან —
რად გავჩნდითო
　　ტანმაღლები. —
ტყვიას ვერსად დავემალეთ,
ჩვენკენ მოქრის
　　გალაღებით...
მოშხაპუნობს
　　ტყვიის ზღველა
და ზედიზედ
　　მწ[illegible]ვს.
მოხვდა [illegible]
　　მეშვიდესაც...
ჩაიკარგა მთებში კვნესა...
იჩოქება კიდე ვილაც,
გოგოს ძლივს-ძლივს
　　ტყისკენ მიჰყავს.
თან ლაქლაქებს უსასრულოდ, —
სად მორბოდი, სულწასულო?
ამ სიკვდილის ველზე, ნეტა,
ვითომ რამე ეშველება
ე მაგ თვალებს —
　　მზეჩამქრალებს,
ე მაგ ტუჩებს —
　　ყორნის წილხვედრს?!
... ვაჟი ტყვიამ შეიწირა
თუ — ლაქლაქმა —
　　ვერვინ მიხვდეს.

## მწვანე ფოთოლი და ტიტა

მწვანე ფოთოლი და ტიტა!
— დედავ, დედავ,
　　უნდა გითხრა,
ჩემს გულს რაღაც ჩააფრინდა,
არც მეშვება არაფრითა.
არც ის ვიცი,
　　რა ჩიტია,
დიდია თუ ერცახეა?
— სახადია, შვილო, იგი
და სიყვარულს ეძახიან.

## უცხო ვარ უცხოთა შორის

მარტო ვსაუბრობ თხილნარში,
მწვანე ფოთლებთან ვსაუბრობ:
ხომ საწუხარი ბევრია,
გულს ეწუხების რა უფრო? —
უცხო ვარ უცხოთა შორის,
როგორც ყვავილი ეკლებთან.
ქარი რო ყვავილს შეარხევს,
ყვავილი ეკლებს ეკვრება.
ასე ვეკვრები უცხო ხალხს,
ასე მეკვრიან ისინიც.
უცხო ვარ უცხოთა შორის,
ვდუმვარ,
　　ვტირი თუ
　　　ვიცინი.
სხვებიც უცხონი არიან,
კეთილიცა და ბოროტიც:
უცხო ვარ
　　უცხოთა შორის,
უცხო დავრჩები ბოლომდის.

## მე რო ცხენი მყავს ფთიანი

ჰოიდა, მწვანე ფოთოლო,
ყაჩოს თვალის გახელავ!
მე რო ცხენი მყავს ფრთიანი,
ჩურონა ჰქვია სახელად.
ფეხი ისეთი მარდია,
ჩიტსაც შეიპყრობს გაფრენილს,
ღრუბელს ცვარ-ნამი წარსტაცოს,
ქოხს — გოგო ჩემი საფერი...
მიყვარსო? — რა სათქმელია...
არც მახსოვს სხვა არაფერი;
იგია ჩემი სიცოცხლე
და ჩემი სანთელ-საკმელი.

●

როცა შიშველ
ფეხებს ვუმზერ
სულ გარბიან
ჩემგან სადღაც
ეგ ფეხები
სანთლის დარი,
და გაკიდულ
შენს სველ კაბას
სილასავით
მაწნის ქარი...

## საყვარელო ეგ წარბები

საყვარელო,
ეგ წარბები
ბულბულის ფრთებს
დავადარე.
ზედ ხან ავდრად
აქცევ დარსა,
ხან კი—
ავდარს გაადარებ.

## მე რო სარტყელს ვატარებდი

მე რო სარტყელს
ვატარებდი
მოქლონებით გაწყობილსა,
სატრფოც მყავდა...
ვერ ნახავდით
ქალს ჩემფერად
კმაყოფილსა.
დამეკარგა ის სარტყელი.
ბიჭმაც
ჩაიქნია ხელი,
რა მონახავს
სარტყელს ზვარში,
იმ ბიჭს კიდევ —
არმიაში?

□

# იოზეფ როთი

## სადგურის უფროსი ფალმერაიერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა ზურაბ გ. აბაშიძემ

ავსტრიელი სადგურის უფროსის, ადამ ფალმერაიერის გასაოცარი ბედ-იღბალი უთუოდ ღირსახსოვარია და ღირსსაქებიც, მან უცნაურად დაასრულა თავისი სიცოცხლე, რაც, სხვათა შორის, დიდს არაფერს უქადდა და იქნებ მცირესაც ვერას მიაგებდა. კაციშვილი ვერ იფიქრებდა, რომ ფალმერაიერის ყისმათი უჩვეულოდ წარიმართებოდა. და მაინც მისწვდა, მოექრა მსხვრალი, ხოლო თვით მსხვერპლი თითქოს სიამოვნებით დაჰყვა განგებას.

1908 წელს გაამწესეს სადგურის უფროსად. ის იყო სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა ვენიდან ორიოდე საათის სავალზე მდებარე სადგურ ლ-ში, სამხრეთის რკინიგზაზე, და კიდევაც დაოჯახდა. ბრიუნელი კანცელარიის მოხელის ასული შეირთო, სანდომიანი, ოდნავ გონშეზღუდული, აღარც თუ ნორჩი ქალი. სიყვარულით იქორწინაო, იტყოდნენ მაშინ, იმ ხანებში ხომ ეგრეთ წოდებული ანგარიშიანი ქორწინება იყო მიღებული ჯერ კიდევ. მშობლები ცოცხალი აღარ ჰყავდა. ფალმერაიერმა ცოლის შერთვა გადაწყვიტა განათუ გონების კარნახით, არამედ საკუთარ, არცთუ ძლიერ გულისთქმას აყოლილმა. ამას სიყვარულით ქორწინებას ეძახდნენ. ორი შვილი შეეძინა, ტყუპები, ორივე გოგო. ვაჟს კი ელოდა. მთელი არსებით ეწადა ვაჟი და ორი ქალიშვილის ერთად მოვლინებამ ამა ქვეყნად მწარე იმედგაცრუება აღუძრა, ლამის ღვთის წყრომად მოეჩვენა. მაგრამ რაკი მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო და სიბერის პენსიაც განაღდებული ჰქონდა, თანდათან შეეგუა გარემოებას; სამი თვეც არ გასულა და შეიწყნარა ბუნების უხვი ნობათი, ბავშვების მიმართ სიყვარული გამოიჩინა, ზრუნავდა შვილებზე, როგორც ეგების კეთილსინდისიერ ბიურგერ მამას და რიგიან მოხელეს.

1914 წლის მარტის ერთ სადაგ დღეს ადამ ფალმერაიერი თავის სამუშაო ოთახში იჯდა. ტელეგრაფის აპარატი გამუდმებით აკაკუნებდა. გარეთ წვიმდა. ნაადრევი იყო ეს წვიმა. სულ რაღაც ერთი კვირის წინ რელსებიდან თოვლს ხვეტდნენ, მატარებლები საშინლად აგვიანებდნენ მოსვლასაც და გასვლასაც. იმ ღამეს კი უეცრად წვიმამ დასცხო და გააქრო თოვლი. პაწია სადგურის მიღმა თვალისმომჭრელად ციალებს ალპური თოვლის ხიბლი ხელთუთქმნელი, ვით მაცნე ზამთრის მარადი სუფევისა, და უკვე მერამდენე დღეა ბურუსი დაბოჟირებს, ახირებული, ჯერარყოფილი, ლეგა ბურუსი: ღრუბლები, ზეცა, წვიმა და მთები შენივთებულა.

წვიმდა, გრილოდა. სადგურის უფროსი არ მოსწრებია გაზაფხულის ასე ადრიანად მოსვლას. სამხრეთისაკენ — მერანს, ტრიესტს, იტალიას მიმავალი ექსპრეს-მატარებლები ამ პაწია სადგურზე არასოდეს ჩერდებიან. შეუნელებლივ ჩაუქროლებენ ხოლმე ექსპრესები ძოწისფერქუდიან ფალმერაიერს, დღეში ორჯერ ბაქანზე გამოსულს მათ შესახვედრად, ლამის ლიანდაგზე [illegible] აქცევს, დააკნინებს კაცი. დიდ ფანჯრებში გაიელვებს ბავშვთა სახე[illegible]თიან, ნაცრისფერ ტყლაპად ილუფხება. ფალმერაიერს, სადგურის უფროსს, ათასში ერთხელ თუ შეუსწრია თვალი სამხრეთს მიმავალ მგზავრის სახისათვის. მისთვის „სამხრეთი" გეოგრაფიულ ცნებაზე მეტს მოასწავებდა. სამხრეთი იყო ზღვა, — ზღვა მზისა, თავისუფლებისა და ბედნიერებისა.

სამხრეთის რკინიგზის მაღალი რანგის მოხელეებს და მათი ოჯახის წევრებს, რა თქმა უნდა, უფლება ჰქონდათ უფასო ბილეთით სარგებლობისა. როცა ტყუპები მოიჩიტნენ, სამი წლის გახდნენ, მშობლებმა ბოცენში წაიყვანეს. სახალხო მატარებლით მთელი საათი მიტაატებდნენ იმ სადგურამდე, სადაც გოროზი ექსპრესები ჩერდებიან, ჩასხდნენ, მერე ისევ გადმოსხდნენ, მაგრამ სამხრეთი კვლავაც შორს დარჩათ. ოთხი კვირა გაგრძელდა შვებულება. მათ ნახეს მილეთის მდიდარი ხალხი და ეგონათ, ისინი შემთხვევით არიანო ყველაზე მდიდრები, თითქოს შვებულებით კი არ იყვნენ ჩამოსული, არამედ შვებულებას წარმოადგენდა მთელი მათი ცხოვრება. რამდენადაც თვალი მიუწვდებოდა, მსოფლიოში მდიდართაგან არსად, არავის ტყუპი შვილი არა ჰყოლია, მით უფრო ქალიშვილი. და საერთოდაც: სწორედ მდიდარ ხალხს მიჰქონდა სამხრეთი სამხრეთისაკენ. სამხრეთის რკინიგზის მოხელე კი ჩრდილოეთის შუაგულ ცხოვრობდა მიწყივ.

მერე უკან გაბრუნდა და ხელახლა შევა სამსახურის ქაპანში. გაუთავებლად აკაკუნებდა მორზეს აპარატი. წვიმდა და წვიმდა.

ფალმერაიერმა თვალი მოაშორა საწერ მაგიდას და ზე აიხედა. საღამოს ხუთი საათი იყო. მზის ჩასვლამდე კარგა ხანი რჩებოდა, მაგრამ უკვე ბინდდებოდა, წვიმიანობამ იცის ასე. პერონის მინის სახურავის შვერილზე განუწყვეტლივ აბრახუნებდა წვიმა, ოთახში მიწყივ აკაკუნებდა მორზეს აპარატი, ტკბილი, ხანგრძლივი საუბარი გაება ბუნებასა და ტექნიკას. მინის სახურავქვეშ ფილაქნის მოლურჯო, თლილი ქვები მშრალი იყო, ხოლო ლიანდაგზე და რელსებს შორის დაყრილი წვრილი კენჭები ციმციმებდა წვიმის, გაბნეული სინოტივისა და სიბნელის მიუხედავად. სადგურის უფროსი ფალმერაიერი წარმოსახვის დიდი უნარით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ახლა ისეთი განცდა დაეუფლა, რომ დღევანდელი დღე გამორჩეული უნდა ყოფილიყო მის ბედ-იღბალში. ფანჯარაში იცქირებოდა. კანკალმა აიტანა. ოცდათექვსმეტ წუთში გამოივლის მერანის ჩქარი მატარებელი, ოცდათექვსმეტ წუთში სულ დაბნელდება, უკუნეთი ღამე დადგება. კანცელარიის ზემოთ, მეორე სართულზე, ტყუპებს გაჰქონდათ რიარია, როგორც ყოველთვის; ესმოდა მათი ფეხის ხმა, ბავშვური, ცოტა ველური. ფანჯარა გამოაღო, დათბა. მთები გადმოლახა და მოვიდა გაზაფხული. ორთქლმავლები მატარებლებს ადგენდნენ, სტვენდნენ, მტვირთავები ყაყანებდნენ და გადაბმისას ყრუდ ჟღრიალებდნენ ვაგონები, როგორც ყოველთვის. და ფალმერაიერის ყურში დღეს მაინც სხვაგვარად ჟღერდა ლოკომოტივების კივილი, თვითონ ხომ ძალიან უბრალო, ჩვეულებრივი კაცი იყო, ამიტომაც ეუცნაურებოდა. რომ ნაცნობ, მთლიანად გათავისებულ ჩქამებში დღეს

თითქოს ჩაესმოდა შემზარავი ხმა უჩვეულო ბედისწერისა. მოხდა, იმ დღეს მართლაც მოხდა საშინელი კატასტროფა, რომლის შედეგმაც სულერთიანად შეცვალა ფალმერაიერის ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ბ-სადგურიდან შეატყობინეს, ექსპრესი მცირე ხანს დაიგვიანებსო. ლ-სადგურში შესვლამდე ორი წუთით ადრე მეისრის შეცდომის გამო იგი ლიანდაგზე გაჩერებულ საბარგო მატარებელს დაეჯახა; მოხდა კატასტროფა.

ფალმერაიერმა ანგარიშმიუცემლად დაავლო ხელი ბაქანზე მიტოვებულ ანთებულ ფარანს. უცაბედად მოესურვა რაიმე საგნისათვის წაევლო ხელი. შეუძლებლად მიიჩნია ხიფათის მსხვერპლთან ხელცარიელი მისვლა, უიარაღოდ. ათი წუთი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, უპალტოოდ, კისერსა და მხრებზე წამდაუწუმ მათრახივით ხვდებოდა წვიმა.

კატასტროფის ადგილზე მისულმა ნახა, რომ უკვე დაეწყოთ მკვდრებისა და დაჭრილთა გამოყვანა, ნამუსრევში ჩაჭედილი ხალხის გამოხსნა. სიბნელე ისე სწრაფად ჩამოწვა, თითქოს ღამე თავად მოიჩქაროდა. პირველი შოკის ნახვა მოესწრო და კიდევ უფრო გაეუკუღმართებინა იგი. მახლობელი ქალაქიდან მოვარდნილი სახანძრო რაზმის მაშხალები წვიმაში ფართხალებდნენ, შიშინებდნენ, ტკაცუნობდნენ. ცამეტი დალეწილი ვაგონი ეყარა ლიანდაგზე. ორთქლმავლის მემანქანე და ცეცხლფარეში დახოცილიყვნენ და უკვე წაეყვანათ. რკინიგზელებს, მეხანძრეებსა და გადარჩენილ მგზავრებს ნამტვრევებიდან სახელდახელოდ ამოკრეფილი ნივთები მოემარჯვებინათ და ისე ერკინებოდნენ უქმურს. დაჭრილები გულსაკლავად გმინავდნენ, წვიმა შხაპუნებდა. მაშხალების ალს ტკაცუნი გაჰქონდა. სადგურის უფროსი ისე გაითოშა წვიმაში, რომ სულ კბილებს აკაწკაწებდა. გრძნობდა, საჭიროა მეც სხვებივით საქმეში ჩავებაო, თანაც შიშობდა, ვაითუ მე მაბრალებენ მომხდარ უბედურებას და დასახმარებლად არ მიმიშვანო. რამდენიმე რკინიგზელმა შეიცნო და ნაჩქარევი სალამი უთხრა საქმეში გართულმა. ფალმერაიერი პასუხად რაღაცას ლუღლუღებდა, ვერავინ მიხვდა, ბრძანება იყო თუ ბოდიშის მოხდა, თუმცა მისთვის არავის სცხელოდა, ასე ზედმეტად ამქვეყნად ჯერ არასდროს უგრძნია თავი. ჩივილს მოჰყვა, დაზარალებულთა მარაქაში ნუ გამრევთო, თვალებს უაზროდ აცეცებდა და უცებ შენიშნა ქალი, საკაცეზე იმ წამს დაწვენილი. მაშველები ის იყო გასცილდნენ და იწვა ქალი, ლეგა-ვერცხლისფერი ქურქით თეძოებამდე ჩაფუთნული. დიდრონი, შავი თვალები უახლოესი მაშხალისთვის მიეპყრო და ეტყობოდა, მოძრაობის თავი არა ჰქონდა, ეშხიან, ფერმკრთალ სახეს წვიმა დაჟინებით ესხურებოდა და მაშხალების ფართხალი ალი დაცვოთფინებდა. თავად სახესაც ეხურა ბაკმი ვერცხლისფერი, მომაჯადოებლად მონაცვლეობდა შუქი და ჩრდილი. თეთრი, გრძელი ხელები ქურქის ზემოთ უძრავად ეწყო, ვით ორი სალუქი, უსულო სხეული. ყურისწამღები ზრიალისა და ყიჟინის ზღვაში სადგურის უფროსს მოეჩვენა, საკაცეზე მწოლი ქალი თეთრი სიჩუმის კუნძულზეა დასვენებული და თვითონვე გამოსცემსო სიჩუმეს. გარშემო მოფუსფუსე გამრჯე ხალხი თითქოს მართლაც გვერდს უვლიდა საკაცეს, სადაც ქალი იწვა. ნუთუ მკვდარია? ან იქნებ შველა სჭირდება? ფალმერაიერი ნელა მიეახლა საკაცეს.

ცოცხალი იყო ქალი, არც არა მოსწეოდა. ფალმერაიერი დაიხარა. მაგრამ ქალმა დაასწრო, ვიდრე რამეს ჰკითხავდნენ, თითქოს შეკითხვისა შეეშინდაო და უთხრა, არაფერი მტკივა და მგონი ადგომაც კი შემიძლიაო. ერთადერთი რამ მაწუხებს, — ბარგი დამეკარგაო; თქვა და წამოდგომა დააპირა. ფალმერაიერი მიეშველა, მარცხენა ხელით ქურქი აიღო, მარჯვენა მხრებზე მოსჭიდა. წამოაყენა, ქურქი მოასხა, ხელი გარედან მოხვია და ორივენი სიტყვის უთქმელად წავიდნენ, რამდენიმე ნაბიჯი გაიარეს მიწაყრილზე, კიბეს აჰყვნენ და იქვე, მეისრის პაწია სახლში შევიდნენ. სიმშრალე, სითბო და სინათლე შემოეგებათ.

— ცოტა ხანს აქ დაბრძანდით, — უთხრა ფალმერაიერმა, — გარეთ საქმე მაქვს, ახლავე დავბრუნდები.

იმწამსვე მიხვდა, რომ სიცრუეს ამბობდა, თავის დღეში პირველად ამბობდა ტყუილს. მაგრამ აუცილებლად მიაჩნდა იგი. და თუმცა ახლა ქვეყანას ერჩივნა ქალთან დარჩენა, ამიტომაც ეჩოთირა, ვაითუ მის თვალში უსაქმური გამოვჩნდეო ამ დავიდარაბაში, როცა გარეთ ათასი ხელი ირჯებოდა ადამიანთა გადასარჩენად. ადგა და სასწრაფოდ განერიდა, ლიანდაგს მიაშურა და თავისდა გასაოცრად მხნეობაც ეყო და ძალისხმევაც დახმარებისა და გადარჩენისათვის, აქ ბრძანება გასცა, იქ რჩევა-დარიგება, მაგრამ ვიდრე გაჭირვებულთ ეხმარებოდა, ფუსფუსის ჟამს, განუწყვეტლივ ფიქრობდა ქოხში მიყვანილ ქალზე; თუმცა ამაზრზენი და სასტიკი იყო იმის წარმოდგენა, რომ იქნებ ველარასოდეს ენახა იგი, კატასტროფის ადგილს მაინც არ მოშორდა იმის შიშით, ადრე მობრუნებულს უმაქნისობას დამწამებსო უცნობი. ქალის მზერა თან დაჰყვებოდა, აღაგზნებდა; კაცს საკუთარი სიტყვისა და გონიერების რწმენა გაუახლდა, დატრიალდა და გაისარჯა ყოჩაღი, საზრიანი,მამაცი მაშველი.

ასე ამგვარად საქმიანობდა ორიოდე საათი და უცნობ ქალზე ფიქრობდა გამუდმებით. მას შემდეგ, რაც ექიმებმა და სანიტრებმა სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს დაჭრილებს, ფალმერაიერი გაემზადა მეისრის ქოხში გასაბრუნებლად: ერთ ნაცნობ ექიმს მიეჭრა, იმ მხარეს კატასტროფის კიდევ ერთი მსხვერპლი გველოდებაო. თავისი დაკაწრული ხელებისა და ამოგანგლული უნიფორმის დანახვამ საკუთარი ღირსების გრძნობა განუმტკიცა. მეისრის ოთახში შესულებმა ნახეს უცხო ქალი; იგი, ეტყობა, ადგილიდან არც დაძრულიყო და მხიარული ღიმილით შეეგება მათ, როგორც კარგა ხნის ნაცნობებს.

— გასინჯეთ ქალბატონი! — მიმართა ფალმერაიერმა ექიმს და თვითონ კარისაკენ გაემართა.

რამდენიმე წუთი გარეთ იცდიდა. ექიმი გამოვიდა და თქვა: — მცირეოდენი შოკია, მეტი არაფერი. უმჯობესია აქ დავტოვოთ. შეგიძლიათ თქვენ შეიკედლოთ?

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — მიუგო ფალმერაიერმა. ორივემ ერთად წაიყვანა უცნობი ქალი სადგურში, შერე კიბით აიყვანეს სადგურის უფროსის ბინაში.

— სამ-ოთხ დღეში სავსებით გამოკეთდება, — თქვა ექიმმა.

ფალმერაიერმა იმ წამს ინატრა. ნეტა მეტი, ბევრად მეტი დღე დარჩესო.

## III

ფალმერაიერმა თავისი ოთახი დაუთმო უცხო ქალს. მისი ცოლი ახლა ბავშვებსაც უვლიდა და ავადმყოფსაც. თვით ფალმერაიერი დღეში ორჯერ მოინახულებდა ხოლმე. ტყუპებს მკაცრად აუკრძალეს ცელქობა.

ერთი დღის მერე კატასტროფის კვალი უკვე აღარ ჩანდა; დაწყებულ იქნა ჯეროვანი გამოძიება, ფალმერაიერს დაკითხვა მოუწყვეს, დამნაშავე შეისრე სამსახურიდან დაითხოვეს. სადგურის უფროსი ძველებურად გამოდიოდა ხოლმე ბაქანზე და დღეში ორჯერ კვლავინდებურად ჩაუქროლებდნენ ექსპრესები შეუნელებლივ.

კატასტროფიდან მეორე დღე იწურებოდა, როცა ფალმერაიერმა შეიტყო სტუმრის გვარი,—გრაფის ქალი ვილევსკა, რუსი ყოფილა, კიევის მიდამოებიდან. ვენიდან მერანს მიმავალი. ბარგის ნაწილი აღმოეჩინათ და მიუტანეს, ყავისფერი და შავი ტყავის ჩემოდნები. მათ იუხტისა და უცხო სუნამოს სურნელი ასდიოდათ. ფალმერაიერის მთელი ბინა აივსო იმ სურნელით.

რაკი თავის სარეცელი უცხო ქალს დაუთმო, საწოლ ოთახში კი აღარ იძინებდა ქალბატონი ფალმერაიერის გვერდით, არამედ ქვემოთ, კაბინეტში. თუმცა აბა სად იყო ძილი. იწვა და ფხიზლობდა. დილით, ასე, ცხრა საათისათვის შევიდოდა საწოლ ოთახში, სადაც იწვა სტუმარი და მოიკითხავდა, როგორ გეძინათ, საუზმე თუ მიირთვითო. ახალდაკრეფილ იებს მიართმევდა, კონსოლზე მდგარ ვაზიდან გუშინდელებს მოაშორებდა და ქორფებს მოათავსებდა ახალ წყალში, მერე საწოლის ქვემო კიდესთან შეჩერდებოდა. უცხო ქალბატონი იწვა მის წინ, მისეულ ბალიშზე ედო თავი მისსავე საბანში გახვეულს. მოსული ლუღლუღით იტყოდა რაღაცას. დიდრონი შავი თვალები, თეთრყირმიზი, მწყაზარი სახე ეშორებოდა, როგორც უცხო ბუნების ხატი. წევს უცხო ქალი სადგურის უფროსის საწოლზე, მისეულ ბალიშზე უძევს თავი მისსავე საბანდახურულს.

— რატომ არ დაბრძანდებით? — ეტყოდა ქალი დღეში ორჯერ. ხისტი იყო და უცხო რუსის მიერ ხმადაბლა ნათქვამი გერმანული.

ფალმერაიერი არ ჯდებოდა.

— მაპატიეთ, არა მცალია, — ამოთქვამდა, მობრუნდებოდა და გაეცლებოდა.

ასე გაგრძელდა ექვსი დღე. მეშვიდე დღეს ექიმმა ურჩია უცხო ქალს, შეგიძლიათ გზა განაგრძოთო. ქმარი მერანში ელოდებოდა. წავიდა ქალი, მაგრამ განუქარვებელი დარჩა სურნელი ყველა ოთახში, განსაკუთრებით კი ფალმერაიერის საწოლში, სურნელი უცხო სუნამოსი და იუხტისა.

## IV

ის საოცარი ნელსურნელი უფრო მეტხანს შემორჩა ფალმერაიერის სახლს, მის მეხსიერებას და მის გულსაც, ვიდრე განცდა კატასტროფისა. რამდენიმე კვირა გაჭიანურდა მომხდარი უბედურების გარემოებათა ოფიციალური გამოკვლევა, ზედმიწევნით აღდგენა მისი მიმდინარეობისა. ფალმერაიერი რამდენჯერმე დაკითხეს. უცხო ქალზე ფიქრი აეკვიატა, თავგზა აუბნია ნელსურნელებამ, სახლსა და თვით მის არსებაში დავანებულმა, ამიტომ იყო, რომ ზუსტ შეკითხვებზე რიგიანად ვერ პასუხობდა. საკმაოდ იოლი სამსახური რომ არ ჰქონოდა, და თავადაც ამდენი წელი რომ არ ქცეულიყო იმ სამსახურის მექანი-

კურ ნაწილად, მართლაცდა გაუჭირდებოდა რიგიანი გაძღოლა მისი. ყოველდღე საათობით სინჯავდა ფოსტას უცხო ქალის ბარათის მოლოდინში. ეჭვი არ ეპარებოდა, ერთ წერილს მაინც მოგვწერსო სტუმართმოყვარეობის მადლობელს. ერთ მშვენიერ დღეს მართლაც მოვიდა მოზრდილი, ლურჯ[illegible]წერილი იტალიიდან. სამხრეთისაკენ გავაგრძელეთო გზა მე და ჩემმა [illegible]ახლა რომში შევჩერდითო სიცილიის გამგზავრებამდე. მეორე დღეს ტყუპი გოგონებისათვის მოვიდა ხილით სავსე კოხტა კალათა, ხოლო ვალევსკის, გრაფის ქალის ქმარს, სადგურის უფროსის ცოლისათვის ჩაის ვარდების სურნელოვანი, ქორფა თაიგული გამოეგზავნა. „დიდი ხანია ვაპირებდი, — იწერებოდა გრაფის ქალი, — და როგორც იქნა მოვახერხე წერილით მადლობა მოგახსენოთ, ჩემო კეთილო მასპინძლებო; მერანს ჩასულს კარგა ხანი დამჭირდა, ვიდრე შოკი დავძლიე, მერე თანდათან მოვმჯობინდი...“ ხილი და თაიგული ფალმერაიერმა მაშინვე აიტანა სახლში, წინა დღეს მიღწეული წერილი კი ერთხანს დაიტოვა, არ გამოაჩინა. სურნელოვანი იყო სამხრეთული ხილი და ყვავილები, ხოლო ამბრი წერილისა მის შეგრძნებას კიდევ უფრო ძალუმად ხვდებოდა. მოკლე იყო წერილი. ფალმერაიერმა ზეპირად ისწავლა უკვე იგი. სულ იცოდა, რომელი სიტყვა რას მოსდევდა. იისფერი მელნით ნაწერი ასოები, ფართოდ მოქნეულ, ღლარჭნილ ხაზებით აღბეჭდილნი, ვით კოხტა გუნდი უცხო ფრინველთა, მუქლურჯი ზეცის კაბადონზე ირაოდ გაფრენილი ნაზბუმბულიანი. კოხტა ჩიტები. „ანია ვალევსკა“ — ეწერა ბოლოში. რა ხანია გულით ეწადა უცხო ქალის სახელი გაეგო და ერთხელაც ვერ შებედა რომ ეკითხა, თითქოს სახელი ნაწილი იყო ქალის სხეულის დაფარულ მშვენებათა. ხოლო ახლა, რაკი სახელი შეიტყო, მოეჩვენა, თითქოს ქალმა გაანდო ინტიმური რამ საიდუმლო. ეჭვით შეპყრობილმა გადაწყვიტა, ჯერ თავად შეენახა წერილი და ცოლისთვის მხოლოდ ორი დღის შემდეგ ეჩვენებინა. ვალევსკას სახელი რა შეიტყო, გაიფიქრა, რა უგვანოა კლარა, ცოლის სახელი. მერე კლარას ხელების განურჩეველი მიხვრამოხვრა ეცა თვალში უცხო ქალის წერილის გაშლისას და მისი დამწერის ხელები წარმოიდგინა, გაახსენდა ვერცხლისფრად მოელვარე ორი უძრავი ხელი, ქურქის ზემოთ დაწყობილი. მაშინ უნდა მეკოცნა ხელზეო, გაუელვა თავში.

— სასიამოვნოა, დიდად მაამა ამ წერილმა, — თქვა ცოლმა და მაგიდაზე დადო წერილი. მის ლურჯ-ვარდისფერ თვალებში მოვალეობის ერთგულება მოჩანდა მხოლოდ და ნატამალიც არ იყო შეწუხებისა. ქალბატონ ფალმერაიერს უნარი შესწევდა ვალდებულებად ექცია დარდი და სიამე ეგრძნო მწუხარებაში. ასე ფიქრობდა მისი ქმარი, მანამდე ამის მაგვარი გულში არაფერი გაუვლია. ახლაღა მიხვდა. მოიმიზეზა, ამაღამ გადაუდებელი საქმე მაქვს მოსაგვარებელიო, საერთო ოთახს განერიდა და დაბლა, კაბინეტში წავიდა დასაძინებლად. თან ცდილობდა წარმოედგინა, რომ ზემოთ, მის საწოლში კვლავ იწვა ის უცხო ქალი.

ერთმანეთს მიჰყვებოდა დღეები და თვეები. სიცილიიდან კიდევ ორი ბარათი მოფრინდა, მოკითხვას უთვლიდნენ. დადგა ზაფხული, ცხელი ზაფხული. შვებულების დრომ რომ მოაღწია, ფალმერაიერმა გადაწყვიტა, არსად არ წავალო. ცოლ-შვილი ავსტრიის ერთ კურორტზე გაისტუმრა. თავად დარჩა და სამსახურებრივ საქმიანობას განაგრძობდა. რაც დაქორწინდა, მას შემდეგ პირველად დარჩა მარტო, უცოლოდ. განმარტოებაზე დიდ იმედს ამყარებდა. მაგრამ როცა ოჯახი გაისტუმრა, იგრძნო, რომ სულაც არ სურდა მარტო ყოფნა.

ყველა უჯრა გადააქოთა, უცხო ქალის წერილს ეძებდა, მაგრამ ვეღარ იპოვა. ეტყობა ცოლმა კარგა ხნის წინ დახია.

დაბრუნდა ცოლი და ბავშვები ჩამოიყვანა. ივლისი დასასრულს უახლოვდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია.

V

ფალმერაიერი თადარიგის ფენრიხი[1] იყო ეგერთა ოცდამეერთე ბატალიონში. რაკი საკმაოდ სოლიდური პოსტი ეჭირა, ერთ ხანს შეეძლო ზურგში დარჩენა თავისი მრავალი კოლეგის მსგავსად. მაგრამ მან ჩაიცვა მხედრული ფორმა, შეკრა ფუთა, გულში ჩაიკრა შვილები, ცოლს აკოცა და კადრის ნაწილს მიაშურა. თავისი სამსახური რკინიგზის ასისტენტს გადააბარა. ქალბატონი ფალმერაიერი ტიროდა, ხოლო ტყუპები სიხარულისაგან ცმუკავდნენ უჩვეულოდ მორთული მამის შემხედვარენი. ქალბატონი ფალმერაიერი დამშვიდობებისას ცრემლებს ყლაპავდა, თან გულში ამაყობდა თავისი მეუღლით. განშორების სევდისდაკვალ ვალდებულებების შეგნებასაც მეტყველებდნენ ქალის ცისფერი თვალები.

თავად სადგურის უფროსმა კი, მატარებლის კუპეში, თავის ამხანაგებთან რომ დარჩა, მაშინღა იგრძნო, რაოდენ მკაცრმა, ულმობელმა ჩამოჰკრა ჟამმა. მაგრამ მაინც ჰგონებდა, თანამგზავრ ოფიცერთაგან ყველაზე ხალისიანი განწყობა მაქვსო, თავადაც არ იცოდა, რატომ. ყველა ახალწვეული თადარიგის ოფიცერი იყო, მშობლიურ კერას იმ წუთს მოწყვეტილი. ყველანი აღფრთოვანებულნი აჰყვნენ სამშობლოს ძახილს, მაგრამ ახლა ცოლ-შვილისა და მშობლების დარდი მოეძალათ. ეტყობა მხოლოდ ფალმერაიერს მოევლინა ომი უნუგეშო ყოფიდან მხსნელად. ტყუპები ებრალებოდა, ცოლზეც წყდებოდა გული, რა თქმა უნდა, ცოლზეც. შინაობაზე დაიწყეს საუბარი; ამხანაგები სიამისაგან სახეანთებულნი მუსაიფობდნენ. ფალმერაიერმა საჭიროდ ჩათვალა თავადაც ჩაერთო სიტყვა, მაგრამ როგორც კი ახსენა სახლეულები, იგრძნო, ნათქვამი ნაძალადევი გამოუვიდა, უნიათო და უხალისო. გრაფის ქალის, ვალევსკას ამბის მოყოლა ერჩივნა თავისიანების გახსენებას. ამიტომ გაჩუმება არჩია. ეგონა, ორმაგ სიცრუეში ვამხილე თავიო, — ჯერ ერთი, გულისნადები რომ არ გაამჟღავნა, და მეორეც, თავის ცოლ-შვილზე რომ ჩამოაგდო სიტყვა, ვინც ახლა ბევრად უფრო იყო მისგან დაშორებული, ვიდრე ვალევსკა, გრაფის ქალი, მტრის ქვეყნის შვილი და, საკუთარი თავი შეეჯავრა.

VI

თავის ნაწილში გამოცხადდა და ბრძოლის ველზე ამოჰყო თავი. იბრძოდა როგორც შეჰფერის მამაც ჯარისკაცს, საველე ფოსტით ბანალურ, გულთბილ მოკითხვის ბარათებს უგზავნიდა სახლეულებს. ჯილდო დაიმსახურა, ლეიტენანტის წოდება მიიღო. მერე დაიჭრა და ლაზარეთში მოათავსეს. შვებულება ეკუთვნოდა, მაგრამ უარი განაცხადა და ისევ ფრონტზე გაბრუნდა. აღმოსავლე-

1. ოფიცრის ყველაზე დაბალი წოდება, რომელსაც ანიჭებდნენ კადეტთა სასწავლებლის კურსდამთავრებულებს. (მთარგმნელის შენიშვნა).

თის ფრონტზე იბრძოდა. ბრძოლის, ინსპექციისა და შეტევისაგან თავისუფალ დროს რუსული ენის შესწავლას მიჰყო ხელი შემთხვევით მონადავლებული წიგნებით. მთელი არსებით დაეწაფა სწავლას. გაზის ოხშივარსა და სისხლის დელგაში, თავსხმასა და ჭაობში, შლამში, ცოცხალთა ოფლის სუნსა და გახრწნილ გვამთა სიმყრალეში თანა სდევდა იუხტისა და უსახელო [illegible] სუნი, ამბრი ქალისა, ოდესღაც მის საწოლში რომ იწვა და თავი [illegible] ედო მისსავე საბანში გახვეულს. მის მშობლიურ ენას დაეწაფა და წარმოიდგენდა ხოლმე, როგორ დაელაპარაკებოდა ქალს მის ენაზე. მოფერების სიტყვებს სწავლობდა, მისათუთებას, ალერსის რუსულს. ესაუბრებოდა ქალს; უსაშველოდ განფენილმა მსოფლიო ომმა დააშორა და მაინც ეზრახოდა. ტყვედ ჩავარდნილ რუს ჯარისკაცებს ესაუბრებოდა. ყურებდაცქვეტილი უსმენდა მათ, ტონალობის უნატიფეს ელფერს სწვდებოდა და გაგონილს იბეჯითებდა. უცხო ენის ყოველი ახალი სიტყვა აახლოვებდა უცხო ქალთან. აღარაფერი უწყოდა მისი, ნაუცბათევი, ღია ბარათს განდობილი ორიოდე მოკითხვა შემორჩა ოდენ. მაგრამ მისთვის ცოცხლობს იგი ქალი, მას ელოდება და სულ მალე კიდეც მოინახულებს.

ბატალიონი სამხრეთისაკენ გადაისროლეს და რაკი რუსული ენა იცოდა, მცირე ხნის შემდეგ ფალმერაიერი ერთ-ერთ იმ პოლკში მოხვდა, რომელთაც შეადგინეს ეგრეთ წოდებული საოკუპაციო არმია; იგი ჯერ დივიზიის შეთაურის თარჯიმნად გაამწესეს, შემდეგ კი მზვერავთა და მეკავშირეთა ნაწილში გადაიყვანეს. ბოლოს კიევის მიდამოებში ამოჰყო თავი.

VII

ადგილის სახელი — სოლოვიენკი — კარგად ახსოვდა, რახანია გაითავისა და გაიშინაურა იგი. ვალევსკის საგვარეულო მამულის გამორკვევაც ადვილად შეძლო, — სოლოვკი რქმევია, კიევის სამხრეთით სამ ვერსზე განლაგებულს ფალმერაიერი შეიპყრო მოლოდინის ტკბილ-მწარე გრძნობამ. ბედის უსაზღვროდ მადლიერი, რომ ომიანობამ აქამდე მოიყვანა, გაუცნობიერებელ შიშსაც გრძნობდა ყველაფრის გამო, რასაც იგი მერმის უქადდა. ომი, შეტევის დროს მიღებული ჭრილობა, სიკვდილის აჩრდილი არარად უჩანდა, მოლოდინმა დაჩრდილა ყოველი. ხომ ყველაფერი აწონ-დაწონა? ნუთუ სახლში დახვდება ქალი? იქნებ მტრის არმიის შემოჭრის გამო გადაიხვეწა, უსაფრთხო ადგილს შეაფარა თავი? ვინ იცის, ეგებ შინაა ქმართან ერთად. უნდა მივიდეს და ნახოს. ფალმერაიერმა ეტლში ცხენი შეაბმევინა და დაიძრა.

თენდებოდა მაისის დილა. მსუბუქი, ორთვალა ეტლი აყვავებული მდელოების გასწვრივ მისრიალებდა მიხვეულ-მოხვეულ სილიან თემშარაზე, ტიალ მინდორში. ყოველდღიურ საამწყობრო ვარჯიშზე მიმავალმა ჯარისკაცებმა ჩაიარეს ფეხის ბრახუნითა და იარაღის ჟღარუნით. გალობდნენ ნათელ, მაღალსა და ლურჯ ცარგვალში შეფარებული ტოროლები. ნაძვის კორომთა ჩამუქებულ სილუეტებს ენაცვლებოდა არყნარის თვალმახარა ბაცი ვერცხლი. შორეული ბარაკებიდან ჯარისკაცული სიმღერის ნაფლეთები მოჰქონდა ქარს. ფალმერაიერს თავისი ბავშვობა გაახსენდა და მშობლიური კუთხე დაუდგა თვალწინ. ომამდელი სავალდებულო სამსახური იმავ სადგურის სიახლოვეს მოიხადა, საცა თავად დაიბადა, ბავშვობა გაატარა და სადაც მერმე მსახურობდა. მამამისიც რკინიგზის მოხელე იყო დაბალი რანგისა, საწყობი ებარა. ყრმობის

ასაკიდან აეკვიატა რკინიგზის ჩქამი და სუნი, ბუნების ხმებსა და სურნელთან შეზავებული, და მთელი სიცოცხლე სდევდა თან. ორთქლმავლების ყვილი მოძახილივით ჩაეწნოდა ჩიტთა გალობას. მძიმე კოლტები ქვანახშირის ბოლისა აყვავებული ველ-მინდვრის ნელსურნელს ენივთებოდა. ლიანდაგიდან აზიდული მიხაკისფერი ოხშივარი და მთის თავზე მოფარფატე ლურჯ[illegible]ილი ითქვიფებოდა ტკბილი ნაღველისა და მონატრების ცისფერ [illegible] ჩანდნენ განსხვავებულია აქაური ლანდშაფტი, იდუმალების ეშხს მოკლებული, თან მოწყენილი, აქა-იქ თუ გამოკრთება იასამანი, კოხტად შეფეთქილ მესერთა მილმა ვერ დალანდავ აყვავებულ ხეებს, ჰერდაბალ ქოხებს ქუდებივით დაუხურავთ ბრტყელი, განიერი სახურავები, იქით ხუტორები მოჩანს შორეთში ჩაკარგული, ჰალებში თავშეფარებული. რა განსხვავებულია ქვეყნები ერთმანეთისაგან! ნუთუ ადამიანთა გულებიც ასეა? გაუგებს ქალი? რაც უფრო უახლოვდებოდა ვალევსკის მამულს, ეს კითხვა უფრო მეტად უშანთავდა გულს, მიახლოვებისდაკვალ მატულობდა გულდაჯერება, რომ შინ იყო ქალი. მალე ირწმუნა, რომ სულ რამდენიმე წუთიღა აშორებდა მას. და მართლაც შინ დაუხვდა ქალი. არყის მეჩხერი ხეივნის თავში ჩამოქვეითდა ფალმერაიერი, ბატონისეული სახლისაკენ მიმავალ დამრეც აღმართს აუყვა ფეხით. ხნიერი მებაღე შეეკითხა, რა გნებავთო.

— გრაფის ქალის ნახვა მინდა! — მიუგო მოსულმა.

— მოვახსენებ, — თქვა დამხდურმა, ნელა გაეცალა და დაბრუნდა. დიახ დიახ, გრაფის ქალი შინაა და სტუმარს თხოვს მობრძანდესო. ვალევსკამ, რა თქმა უნდა, ვერ იცნო ფალმერაიერი. ბოლო ხანებში ბევრი სამხედრო პირი მიდიოდა მასთან და ესეც მორიგ ვიზიტად მიიჩნია.

— დაბრძანდით. — შესთავაზა ქალმა.

ეუცხოვა ძღერა დაბალი. ქუფრი ხმისა, შეკრთა, თუმცა შეიცნო იგი — გაშინაურებული ქრუანტელი, გათავისებული ელდა, უხსოვარ დროით ნალოლიავები სიხარული.

— ჩემი გვარია ფალმერაიერი! — თქვა ოფიცერმა.

გვარიც დავიწყებული ჰქონდა ქალს უთუოდ.

— გახსოვთ, — განაგრძო მოსულმა, — მე სადგურ ლ-ს უფროსი ვარ.

ქალი მიეახლა, ხელი მოჰკიდა ხელზე და ისევ მიაფრქვია სურნელი იგი, უხსოვარი დროიდან რომ აეკვიატა ფალმერაიერს, განსჭვალა, გათანგა და სცა ნუგეშინი. ერთი წამი დაჰყოვნდა ხელი ვაჟის ხელში.

— ჰო, მითხარით, მითხარით თქვენი ამბავი, — წამოიძახა ქალბატონმა ვალევსკამ.

ამანაც მოკლედ მოახსენა თავისი.

— თქვენი ცოლი, თქვენი შვილები? — ეკითხება გრაფის ქალი.

— ისინი დიდი ხანია აღარ მინახავს! — მიუგო ფალმერაიერმა. — ერთხელაც არ მისარგებლია შვებულებით.

შემდეგ მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ათვალიერებდა. თეთრად შეფეთქილ, ჰერდაბალ ფართო, თითქმის მთლად ცარიელ ოთახს ოქროსფრად ეფინა დილის მზის მსუყე ნათელი. ფანჯრის სიახლოვეს ბზუოდნენ ბუზები. გრაფის ქალის თეთრ-ყირმიზ, ბადრ სახეს დააკვირდა. თუ ესმის მისი? წამოდგა და შუა ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა.

— ნამეტანი სინათლეა? — იკითხა ქალმა.

— სიბნელე ჯობს! — მიუგო ფალმერაიერმა.

ქალი პატარა მაგიდასთან მიბრუნდა და ზარი დარეკა; შემოვიდა მოხუცი მსახური. ჩაის მოტანა დაავალა დიასახლისმა. სიჩუმეს მაინც არ დაადგა საშველი, ვიდრე ჩაის მიიტანდნენ, თითქმის კიდევაც იბარტყა სიჩუმემ. ფალმერაიერმა სიგარა გააბოლა და ვიდრე ქალი ჩაის უსხამდა, ანაზდად ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი ქმარი სად არის?

ქალმა ჯერ შეავსო ჩაის ფინჯანი, ჩანდა, წინდახედულ პასუხს არჩევდა და ბოლოს თქვა:

— ფრონტზეა, რა თქმა უნდა! სამი თვეა მისგან აღარაფერი მსმენია. ახლა წერილებს ვეღარ ვუგზავნით ერთმანეთს.

— ძალიან სწუხართ?

— უთუოდ არანაკლებ, ვიდრე თქვენი ცოლი თქვენს გამო.

— მომიტევეთ, სისულელე ვთქვი, თქვენ მართალი ხართ. — თქვა და ჩაის ფინჯანს დააშტერდა.

გრაფის ქალმა განაგრძო:

— მე უარი ვთქვი სახლიდან წასვლაზე. სხვები გაიქცნენ, თავად კი დავრჩი, არც ჩემს გლეხებს გავექცევი და არცა მტერს. ოთხი მსახურის, ორი საჯდომი ცხენისა და ერთი ძაღლის ამარა დავრჩი. ფული და სამკაული მიწაშია... დიდხანს ეძებდა ქალი სიტყვას, ვერ მოახერხა გერმანულად ეთქვა „დავფალი“ და ანიშნა მიწაზე. ფალმერაიერმა მიაშველა რუსული სიტყვა.

— იცით რუსული? — ჰკითხა ქალმა.

— დიახ, მიუგო სტუმარმა, — ვისწავლე, ბრძოლის ველზე ვისწავლე, — და რუსულად დასძინა.

— თქვენი გულისთვის, თქვენთვის ვისწავლე, რათა თქვენთან მესაუბრა რუსულად.

მშვენივრად ლაპარაკობთო; იმგვარად დაუდასტურა ქალმა, თითქოს სტუმარი ესოდენ ღრმააზროვანი წინადადების სათქმელად მხოლოდ იმად გაისარჯა, რომ ენის ცოდნა გამოემზეურებინა. ასე უქციეს გულისნადების გამხელა უმაქნის სტილისტურ ვარჯიშად, თუმცა იმავ პასუხმა საცნაურჰყო, რომ ქალი კარგად მიუხვდა ნათქვამს.

ახლა წავალო, გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე როდი წამოდგა, არ დაელოდა დაპატიჟებას, ირწმუნა, ქალი მართებულად გაიგებდა მის ურიგო საქციელს, და უთხრა:

— უახლოეს ხანს ისევ გეახლებით!

ქალმა არა უპასუხა რა, ვაჟი ხელზე ეამბორა და გაეცალა.

## VIII

წავიდა და თან იმედი გაიყოლა, რომ ფორტუნა მისკენ შემობრუნდებოდა. კანონიაო, ამბობდა თავისთვის, განა შეიძლება, ადამიანი მთელი არსებით მიელტვოდეს მეორე ადამიანს, ის მეორე კი დახშული დარჩეს, უგრძნობელი. ქალი მიუხვდა გულისთქმას. ახლა თუ არ ვუყვარვარ, მალე შევუყვარდები.

ფალმერაიერი მოხელისა და ოფიცრისათვის ნიშანდობლივი სიდინჯით ასრულებდა თავის მოვალეობას. პირველად, რაც არმიაში მსახურობდა, გადაწყვეტა შვებულება აეღო, ორკვირიანი. ამ დღეებში უნდა მიეღო უფროსი ლეიტენანტის წოდება. ამას ელოდა.

ორი დღის შემდეგ ისევ ეწვია სოლოვკის, იქ უთხრეს, გრაფის ქალი ვალევსკა შინ არ არის და შუადღემდე არ იქნებაო.

— მაშინ მანამდე ბაღში დაველოდები, — უთხრა დამხდურს. რაკი უკან გაბრუნება ვერ ჰკადრეს, ბაღში შევიდა და სახლის უკან გაჩერდა.

ფანჯრის ორ რიგს დააკვირდა, გუმანით ხვდებოდა, რომ გრაფის ქალი შინ იყო და ემალებოდა. ხან ერთ, ხანაც მეორე ფანჯარაში თითქოს ღია ფერის კაბის ანარეკლს შეასწრო თვალი, გულდაგულ ელოდა, მოთმინებით.

კოშკის საათმა თორმეტი დარეკა თუ არა, სახლში შევიდა. ქალბატონი ვალევსკა იქ დახვდა, ის-ის იყო კიბეზე ჩამოდიოდა. შემოტმასნული გულდახურული შავი კაბა ემოსა მეჩხერ ფარლულის არშიანი საყელოთი, მარცხენა მანჟეტზე ვერცხლის სამაჯური ეკეთა. ფალმერაიერს მოეჩვენა, ქალი ჩემი გულისთვის შეჭავშნულაო, და მის გულში მარად მოგიზგიზე კოცონს თითქოს კიდევ ერთი მცირე ალი შემოეგზნო. სიყვარული ახალ-ახალ სინათლეს შეიქმს. გაუღიმა. — კარგა ხანს მომიხდა ცდა, მაგრამ სიამოვნებით გელოდებოდით, თავადაც მოგეხსენებათ, სახლსუკან, ბაღს შევაფარე თავი და მეგონა ბედნიერება მქონდა თქვენი ხილვისა, ასე გაირბინა დრომ.

სადილობამ მოაღწია და თუ გნებავთ, დამეწვიეთ, — შესთავაზა გრაფის ქალმა. მართლაც მომშივნიაო, კვერი დაუკრა ვაჟმა, მაგრამ მორთმეული სამი თავიდან სულ ორიოდე ხემსს დასჯერდა.

გრაფის ქალმა უამბო, ომის დაწყების ამბავმა ქაიროში მოგვისწრო და უმალ გამოვსწიეთ შინისაკენო; მერე თავის მეუღლის გვარდიულ პოლკს გადასწვდა, მის მეგობრებს, თავის ბავშვობა გაიხსენა, დედ-მამა, სჩანდა, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ამგვარი მიეთ-მოეთით სიტყვის თქმა აღარ დაეცდია ისედაც სიტყვაძუნწი ფალმერაიერისთვის. ის კი კოპწია, ქერა ულვაშებზე ისვამდა ხელს, ვითომ გულისყურით უსმენდა. ქალის მხრით მოფრქვეულ სურნელს აღიქვამდა მთელი არსებით, ნაუბარს — ნაკლებ. თუმცა ქალის სიტყვებიც, მისი ენაც ნელსურნელებითაა შეზავებული, აბა უცხოს რას ეტყვის, რას გამოაპარებს. კაბის საბურველქვეშ სჭვრეტდა კენარ ტანს და ხელებიც მიელტვოდნენ ქალის სხეულს. რომ წამოდგნენ, სტუმარმა თქვა;

— კიდევ მინდოდა დავრჩენილიყავ, სადღეისოდ სარდლობას დავეთხოვე, ხოლო რამდენიმე დღეში, უფროს ლეიტენანტად განმაწესებენ თუ არა, გრძელვადიან შვებულებას ავიღებ.

— მერე საით აპირებთ გამგზავრებას? — ჰკითხა გრაფის ქალმა.

— არსაით, თქვენთან მსურს დავრჩე — მიუგო ფალმერაიერმა.

— მობრძანდით, დარჩით რამდენიც გნებავთ, თუ გნებავთ დღესვე, ანდა მერმის, ახლა კი მარტო უნდა დაგტოვოთ. თუ მესტუმრებით, მადლობა ღმერთს, ჩვენს სახლში ამდენი ოთახია, სულაც არ შევზღუდავთ ერთმანეთს.

ვაჟი დაემშვიდობა. რაკი ჩემად არა გცალიათ, მირჩევნია ქალაქს გავბრუნდეო.

სტუმარმა ეტლში მოიკალათა, ხოლო ქალი ზღურბლთან შეჩერდა, სახენათელი, შავკაბიანი ქალბატონი. მიმავალმა მათრახი რომ მოიმარჯვა, ბანოვანმა ნაზად, თითქოსდა განგებისი ნაძალადევი გულგრილობით დაუქნია ხელი.

## IX

ამ სტუმრობიდან ერთი კვირის შემდეგ უფროსი ლეიტენანტი, ადამ ფალმერაიერი შვებულებაში გაუშვეს. შინ მივდივარო, დაუბარა ამხანაგებს, თავად

ფი ვალევსკის სახლისაკენ გასწია და მისთვის გამზადებულ ოთახში დაიდო ბინა, პირველ სართულზე. აქ იგი ქალბატონთან ტრაპეზს იზიარებდა ყოველდღე, ათას რამეს უამბობდა, განცდილსა თუ გაგონილს, ბრძოლის ველზე გარდასულსაც გადასწვდებოდა და, როცა ქალი მუსაიფობდა, გულისყურს არ უდებდა მოსმენილს. ძილი გაუკრთა, ფხიზლობდა ისევ, როგორც რამდენიმე წლის წინ შინ, სადგურის შენობაში, როს გრაფის ქალმა მისეულ ოთახში [illegible] ვსი დღე-ღამე.

ერთ დახუთულ ღამეს, ქუჟუნა წვიმა რომ შრიალებდა ფოთლებზე, ფალმერაიერი წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა. მოზრდილ საკიბურს ყვითლად ანათებდა ნავთის ლამპა. წყნარი ღამე იყო, წვიმა მშვიდად ეპკურებოდა გარემოს, მონოტონურ სიმღერას ჰგავდა ღამის სიჩუმეში. უეცრად კიბემ გაიჭრიალა. ფალმერაიერი ის იყო ჭიშკარს გასცდა, მაგრამ ჩქამი იგრძნო ყურად და მოიხედა. მძიმე ჭიშკარი არ მიუხურავს და იქიდან დაინახა კიბეზე ქვემომავალი ვალევსკა, გრაფის ქალი, ჩაცმულ-დახურული, როგორც დღისით. ფალმერაიერმა სიტყვის უთქმელად დაუკრა თავი. ქალი მიუახლოვდა. ასე უბრად იდგნენ ორიოდე წამი. ფალმერაიერს ესმოდა საკუთარი გულის ძგერა. მოეჩვენა, რომ ქალის გულასაც ასეთივე ბაგაბუგი გაჰქონდა და მის გულისცემას უწყობდა ხმას. ჰაერი თითქოს ერთბაშად ჩაიხუთა, ღია ჭიშკარს სიოც კი არ ეკარებოდა.

— წვიმაში გავისეირნოთ, პალტოს მოგართმევთ, — მიმართა ფალმერაიერმა, პასუხს აღარ დაელოდა, თავის ოთახში შევარდა, პალტო გამოიტანა, ქალს მხრებზე მოასხა, და ვით იმ დაუვიწყარ საღამოს, კატასტროფის ჟამს, მხრებზე მოხვია ხელი. ამრიგად შეერივნენ ღამეულ წვიმას.

ხეივნის გასწვრივ მიდიოდნენ ნოტიო უკუნეთში. აქა-იქ ვერცხლისფრად გამოკრთოდა წვრიწვეტ, კენარ ხეთა ტანი, თითქოს შიგნით განათებული. ამ ქვეყნად უნაზეს ხეების ვერცხლისფერმა ციალმა მისაიდუმლოების სურვილი გააღვიძა ფალმერაიერის გულში და მისი ხელი ძალუმად შემოეჭდო ქალის მხრებს; დალტობილ პალტოს უხეშ ნაჭერქვეშ დამყილი ტანის მადლი ატანდა. წამით ისიც კი მოეჩვენა, რომ ქალი მისკენ მოილტოდა, ეხუტებოდა, მაგრამ გამოხდა ხანი და სხეულთ შორის ისევ გაჩნდა კარგა სიშორე. ვაჟის ხელი მხრებს მოეშვა, ზე აცურდა, დასველებულ თმებს შეეხო, ასევე სოველ ყურს გაუარა, გაწეწილ სახეს მოელამუნა, კიდევ წამი და ორივე ერთად შეჩერდა, შემობრუნდნენ, გულში ჩაიკრეს ერთმანეთი; ქალს მხრებიდან პალტო ჩამოუცურდა და უბრად და მძიმედ დაეშვა ძირს. სახე სახეს დაეწონა და ბაგეს — ბაგე, დიდხანს კოცნიდნენ ერთმანეთს ასე, წვიმიან ღამით გარემოცულნი.

X

უფროს ლეიტენანტ ფალმერაიერს ერთი პირობა ქალაქ შმერინკში გადაყვანა დაუპირეს და დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ იქვე დაეტოვებინათ. დარჩენა მტკიცედ გადაწყვიტა. ყოველ ცისმარე დილას და მუდამ საღამოს ლოცავდა მოწევნილ ომს და ოკუპაციას. ამ ქვეყნად ისე არაფრის ეშინოდა, როგორც მოულოდნელად დადებული დაზავებისა. გრაფი ვალევსკი მისთვის დიდი ხანია მკვდარი იყო, ბრძოლის ველზე დაცემული, ან აჯანყებულ კომუნისტ ჯა-

რისკაცთა მიერ მოკლული. ნეტავ მარადის გაგრძელდეს ომი და ფალმერაიერის სამსახური ამ ქალაქში, ამავ თანამდებობაზე.

ნუღარასოდეს მოვა მშვიდობა ქვეყნად. მზვაობრობა დაეუფლა ფალმერაიერს, თავკერძობა, ასე ემართებათ ხოლმე ადამიანებს, ვისაც მოზღვავებული გრძნობები თავგზას უბნევს და გონებას მიჰხდის. ჰგონიათ, დედამიწაზე მარტო მე ვარ ჩემი სატრფოს ამარაო. მაგრამ არსთა გამრიგე მას არაფერს ეკითხებოდა და თავად განაგებდა ქვეყნის არეულ-აწეწილ ბედ-იღბალს. რევოლუცია დაატყდა თავს. ამას კი არა და არ ელოდა გამიჯნურებული უფროსი ლეიტენანტი ფალმერაიერი.

უკიდურესმა საფრთხემ მოაწია, საბედისწერო ჟამმა დაჰკრა და მითელემილი გონიერება გამოაფხიზლა, სიფხიზლე გაუორკეცდა და შეაგნებინა, რომ ახლა საჭიროა იხსნას სიცოცხლე სათაყვანებელი ქალისა, საკუთარი სიცოცხლე, და მით უფრო ერთმანეთთან არდაშორება.

მოულოდნელად მოწევნილი რევოლუციური მოვლენებით შექმნილ ქაოსში ფალმერაიერს თავისი სამხედრო წოდებისა და საგანგებო სამსახურის წყალობით შემორჩა უწინდელ უფლებამოსილებათა ნაწილი და ისიც გაფაციცებით ცდილობდა მათს გამოყენებას. ავსტრიის არმია დაიშალა, გარმანიის ჯარებმა უკან დაიხიეს, დაიწყო რუსული წითელი არმიის შარში უკრაინისაკენ. აჯანყებული გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ თავიანთ ბატონყოფილთა სახლ-კარს. ამასობაში ფალმერაიერმა ორი კარგად დაცული ავტომანქანა იშოვნა გრაფის ქალის სამსახურად, ნახევარი დუჟინი ჯარისკაცი და ერთი კვირის საგზალი.

ერთ საღამოს ფალმერაიერი მოგრიალდა ავტომანქანით, თან ჯარისკაცები მოიყვანა და თუმცა გრაფის ქალი უარს ამბობდა, სახლს ვერ მივატოვებო, ფიცხელი შეგონებითა და ლამის ფიზიკური ძალდატანებით მაინც აიძულა თავისი სატრფო ბალში დაფლული საგანძური ამოეთხარა და სამგზავრო თადარიგი დაეჭირა. მზადება მთელი ღამე გრძელდებოდა და დასრულდა მხოლოდ მაშინ, როცა პირქუშად გამოანათა გვიანი შემოდგომის ნესტიანმა განთიადმა. ლტოლვილები გაუდგნენ გზას. ქერელის დიდი ტილოთი დახურულ ავტომანქანაში ჯარისკაცები ისხდნენ. გრაფის ქალი და ფალმერაიერი მსუბუქ ავტომანქანაში მოთავსდნენ, რომელსაც სამხედრო პირი მართავდა, და გაჰყვნენ ბადრაგს. მაშინ ცა და ქვეყანა დასავლეთით მიეშურებოდა. ამათ კი სამხრეთისაკენ გამგზავრება არჩიეს. დასავლეთისაკენ მიმავალი ყველა ქუჩა ახლა ნაღდად გაჭედილია შინ მიმავალი ჯარის ნაწილებით. ღმერთმა იცის, რა მოელის ადამიანს ახლადშექმნილი დასავლური სახელმწიფოების საზღვრებზე! იქნებ რუსეთის იმპერიის დასავლეთ საზღვრებზე ისევ გაჩაღდეს ომი. (შემდგომ აკი დრომ დაადასტურა ეს ვარაუდი). მერე, ვალევსკას, გრაფის ქალს ყირიმსა და კავკასიაში ჰყავს მდიდარი და გავლენიანი ნათესავები, თუ დასჭირდებათ, ისინი ახლაც, ამ შეცვლილ ვითარებაშიც დახმარებას აღმოუჩენენ. რაც მთავარია, გონიერული ინსტინქტი ორთავე მიჯნურს კარნახობდა, რომ დედამიწის ზურგზე მორიალე განუმტე ქაოსში, მარადიული დარჩა ოდენ ზღვა. ერთადერთი, რასაც შეეძლო მათთვის თავისუფლების გზა მიეცა. ჯერ უნდა ზღვამდე როგორღაც მიაღწიონ. ჯარისკაცები კავკასიამდე გაჰყვებიან დაპირებული ოქროს ეშხით, ბაჯაღლო ოქროს მოზრდილი თანხის მოიმედენი. აფორიაქებული, მაგრამ მხნე ლტოლვილები გაუდგნენ გზას.

ფალმერაიერი სარისტიანად გაისარჯა, იმგვარი თადარიგი დაიჭირა მგზავრობისათვის, რომ წინასწარ ივარაუდა ყოველი შესაძლო ფათერაკი. ამიტომ

ჩვენმა ლტოლვილებმა სულ ოთხიოდ დღეში მოახერხეს ტფილისს ჩასვლა. იქ ბადრაგს დათქმული გასამჯელო გადაუხადეს და დაითხოვეს. ბაქომდე მხოლოდ მოფერი გაიყოლიეს. სამხრეთშიც უამრავი რუსი ნახეს გადმოხვეწილი. არის-ტოკრატიული და მსხვილბურჟუაზიული წრის წარმომადგენლები ადრე კი დათქვეს. მაგრამ რა ჩამოვიდნენ, ნათესავები აღარ მოინახულეს და ნაცნობებ-თან შეხვედრასაც თავს არიდებდნენ. ფალმერაიერი შეუდგა ხომალდის ძებნას, რომელიც სატრფოსთან ერთად პირდაპირ წაიყვანდა ბაქოდან რომელიმე უსა-ფრთხო ქვეყნის ნავსადგურში. ამასობაში მაინც ვერ მოახერხეს და თავი ვერ დააღწიეს ვალევსკის ნაცნობ და მეგობარ ოჯახებთან შეხვედრას, ვინც ფალმე-რაიერივით ხომალდს ეძებდა თავის გადასარჩენად. გრაფის ქალი იძულებული შეიქმნა ტყუილი ეთქვა ფალმერაიერის ვინაობისა და მასთან ურთიერთობის თაობაზე. ბოლოს დარწმუნდნენ, რომ გაქცევის ორგანიზაცია მხოლოდ ერთობ-ლივი ქმედებით ეგებოდა. შეუთანხმდნენ დანარჩენი რვა ოჯახის წარმომადგენ-ლებს, რუსეთიდან ზღვით გამგზავრების მოიმედეთ, ერთი სანდო კაპიტანი მო-ნახეს და მისი კარგა დანჯღრეული ხომალდით თავდაპირველად კონსტანტინო-პოლს ჩავიდნენ, საიდანაც იტალიასა და საფრანგეთში რეგულარულად მიმოდი-ოდნენ გემები.

სამი კვირის შემდეგ ფალმერაიერმა თავის სათაყვანებელ ქალთან ერთად მონტე-კარლოს ჩააღწია, სადაც ვალევსკის ოჯახს ომამდე შეეძინა ვილა. ფალ-მერაიერს დაუდგა ჟამი ცხოვრებაში ჯერ არგანცდილ, უზენაეს ბედნიერებას-თან ზიარებისა. დედამიწის ზურგზე უტურფესი ქალი ეტრფოდა მას. და უმე-ტეს კიდევ: მას უყვარდა მსოფლიოს უმშვენიერესი ასული, ახლა იგი მოუცი-ლებლად თანა ჰყავდა, ისე, როგორც მისი ხატება ატარა გულით წელთა განმავ-ლობაში. ახლა თვით ჩასახლდა ქალის სულში. მიეახლებოდა და საათობით უმ-ზერდა ქალის თვალებში თავის ანარეკლს და საათი ისე არ გავიდოდა, რომ არ თანამიდგომოდნენ ერთურთს. ადრე ეგზომ ქედმაღალი ეს ქალბატონი გულისა და გრძნობის კარნახს არ აჰყვებოდა, ხოლო ახლა მთელი არსებით ჰმორჩილ-დებოდა ფალმერაიერის გრძნობებს, ვნებებს ავსტრიის სამხრეთ რკინიგზის ერთი სადგურის უფროსისა, მისი ნინველი იყო, მისი სატრფო, მისეული სამყა-რო. არც ფალმერაიერს და არც გრაფის ქალს სანატრელი სხვა აღარა ჰქონდათ. სადგურ ლ-ში იმ საბედისწერო ღამით დატრიალებულმა კატასტროფამ ფალმე-რაიერს გულში დააგზნო ქარიშხალი, რამაც აიტაცა ქალი, წარიტაცა და ათასი მილით დააშორა წარმომავლობას, ზნე-ჩვეულებებს, იმ გარემოს, სადაც ცხოვ-რობდა, განცდისა და განსჯის სრულიად უცხო სამყაროში გადაასახლა. სამყა-რო იგი გახდა ქალის ნავსაყუდელი. გარემომცველი დიდი სამყაროს ამბებს აინუნშიდაც არ აგდებდნენ. თან წამოღებული განძი მრავალი წლის უზრუნვე-ლი ყოფის თავდებობას წარმოადგენდა. მომავალზე ფიქრით თავს არ იწუხებ-დნენ. ბანქოს სათამაშო დარბაზში გასართობად თუ შევიდოდნენ, ფულის წა-გება არარად უჩანდათ და აგებდნენ კიდეც, — ვისაც თამაშის ბედი არ სწყა-ლობს, სიყვარულშია სვესვიანი, — ეს ანდაზა აგვიხდაო. სიხარულს ჰგვრიდათ ყოველი წაგება, თითქოს ცრურწმენის მოხმობით ეძიებდნენ დადასტურებას თავიანთი სიყვარულის [illegible]ლთუქმნელობის. როგორც ბედნიერ ადამიანებს სჩვე-ვიათ, ისინი მზად იყვნენ თავი გაეწირათ, ოღონდ ნეტარება ემრავლებინათ.

## XI

თუმცა ვალევსკას, გრაფის ქალს, ისე როგორც ქალთაგან [illegible]ს, არ შეეძლო ხანგრძლივ ჰყვარებოდა და არ შეჰყროდა საყვარელი მამაკაცის დაკარგვის შიში. (ამგვარი შიში აღვივებს ვნებას ქალისა და [illegible] სიყვარულს). ჰოდა ერთ მშვენიერ დღეს ქალმა ფალმერაიერს [illegible] ტოლს გაეყარე და შვილებსა და თანამდებობაზე უარი თქვიო, თუმცა მას საამისოდ საბაბი არ მიუცია. ფალმერაიერმა სასწრაფოდ მისწერა წერილი ჰაინრიხს, თავის ბიძაშვილს, ვენის განათლების სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირს და აცნობა, რომ თავის წარსულ ცხოვრებაზე საბოლოოდ ამბობდა უარს. რაკი ამჟამად და არც მერმის ვენაში ჩამოსვლას არ ვაპირებ, გაყრის საქმე გამოცდილ ადვოკატს მიანდეო.

ბიძაშვილის, ჰაინრიხის საპასუხო ბარათმაც არ დააყოვნა. თურმე უცნაური შემთხვევითობის წყალობით ფალმერაიერის სახელი უკვე ორი წლის წინ მოხვედრილა უგზოუკვლოდ დაკარგულთა სიაში. რაკი მისგან საერთოდ არაფერი სმენიათ, ცოლმა და ორიოდ ახლო ნათესავმაც მკვდრად ჩათვალეს, სადგურს უკვე კარგა ხანია ახალი უფროსი განაგებს. რახანია ქალბატონმა ფალმერაიერმა ქალაქ ბრიუნს მიაშურა და ტყუპებთან ერთად თავისი მშობლების სახლში დაიდო ბინა, გირჩევნია ისევ დუმილით აუარო ყველაფერს გვერდი, თუ ავსტრიის საზღვარგარეთულ წარმომადგენლობებში პასპორტისა და მიმოსვლის საქმეთა გამო შესაძლო დაბრკოლებები არ გაფიქრებსო.

ფალმერაიერმა მადლობა შეუთვალა ბიძაშვილს და აღუთქვა, ამიერიდან მხოლოდ შენთან ვიქონიებ მიმოწერასო, თან სთხოვდა, არსად წამოგცდეს რამეო. როცა სატრფოს გააცნო მიმოწერა, ქალი დამშვიდდა, ფალმერაიერთან განშორების ელდამ გაუარა. ოღონდ ერთხელ, სიყვარულს თავდავიწყებით მინებებულ ქალთა სულში ბუნების მიერ ჩანერგილ იდუმალი შიშით შეპყრობილმა ვალევსკამ, გრაფის ქალმა, თავის სატრფოს მოსთხოვა შვილი (ვინ იცის, ეგებ კაცობრიობის თვითშენახვის ინსტინქტმა უკარნახა). რაც დედობა მოიწადინა, იმ წამიდან ნატრობდა, ათასი სიკეთით შემკული შვილი მომეცი, ღმერთო, რათა მის დაფრთიანებას ვანაცვალოო თავი. თავად წინდაუხედავი, ფუქსავატი, ეგზალტირებული ბუნების ქალს კაიყმობის ნიმუშად უჩნდა სატრფო, აკი მისმა უსაზღვრო სიყვარულმა გამოიხმო უშუალობა და წინდაუხედაობა ქალისა. შვილს გააჩენს უთუოდ, საკუთარი სიკეთისა და სათაყვანო მამაკაცის სიქველეთა დვრიტას.

ქალი დაორსულდა. ფალმერაიერი სიხარულით ცას ეწია და როგორც გამიჯნურებულ მამაკაცებს სჩვევიათ, მადლობას უძღვნიდა ბედსა და სატრფოს, ვინც ამ ბედს სწია. სატრფოს ცივ ნიავს არ აკარებდა. სიყვარულმა აპოვნინა საკუთარი თავი. თუმცა მთავარი ჯერ მერმის მოელით. ცხოვრება ჯერ არ დაწყებულა. ექვსი თვის შემდეგ დაიწყება სიცოცხლე.

იმ ხანებში ფალმერაიერს ორმოცდახუთი წელი შეუსრულდა.

## XII

ვალევსკის ვილას ერთ დღეს უცხო კაცი მოადგა, კავკასიელი, გვარად კირძა-შვილი და გრაფის ქალს შეატყობინა, რომ გრაფი ვალევსკი ბედმა არ გასწირა, ომის ავბედითობისაგან პოკროშნის მონასტერში დავანებულმა წმინდა

პროკოფის ხატის მადლმა დაიხსნა, ბოლშევიკებს განარიდა და ახლა მონტე-კარლოს მოემართებაო. თოთხმეტიოდ დღეში აქ გაჩნდება. მოციქული, ყოფილი ატამანი კირძა-შვილი ახლა ბელგრადს უნდა გაემგზავროს კონტრრევოლუციის დავალებით. ბარემ წავა.

გრაფის ქალმა ვალევსკამ სტუმარს ფალმერაიერი წარუდგინა, როგორც ერთგული მოურავი. ვიდრე კავკასიელი იქ იყო, ფალმერაიერი დუმდა. შემდეგ სტუმარი მცირე მანძილზე გააცილა, და უკან რომ ბრუნდებოდა, მკერდში მძაფრი, მწვავე ჩხვლეტა იგრძნო. მისი სატრფო ფანჯარასთან იჯდა და კითხულობდა.

— აქ ნუ დახვდები, მოდი გავიქცეთ! — უთხრა ფალმერაიერმა.

— მე მას ყველაფერს ავუხსნი, დაველოდები! — მიუგო ქალმა.

— შენ დედა ხარ ჩემი შვილის; შეუწყნარებელი ვითარება შეგვექმნა! — უთხრა ფალმერაიერმა.

— აქ დაელოდე, ვიდრე ჩამოვა, მე ხომ ვიცნობ მას! ყველაფერს გაიგებს! — მიუგო ქალმა.

გრაფი ვალევსკი ამის მეტად აღარ უხსენებიათ. ელოდნენ.

ელოდნენ, ვიდრე ერთ დღეს მისი დეპეშა არ მოუვიდათ, მეორე დღეს, საღამო ხანს ის ჩამოვიდა. შესახვედრად ორივენი წავიდნენ.

• ვალევსკი ორმა გამცილებელმა გადმოიყვანა ვაგონიდან, მებარგულემ ბორბლებიანი სავარძელი მოაგორა და ჩამოსული სავარძელში მოათავსეს. მან თავისი გაყვითლებული, გამხმარი, წაგრძელებული პირი-სახე მიუშვირა ცოლს. სიცივისაგან დალურჯებული გრძელი, გაძვალტყავებული ხელებით იცოდვილა, ვერა და ვერ მოახერხა ორი ყავისფერი საბანი წამოეხურა ფეხზე, ფალმერაიერმა ხელი შეაშველა.

ფალმერაიერი აკვირდებოდა გრაფის სახეს, წაგრძელებულ, გაყვითლებულ, გამხმარ პირი-სახეს, წაწვეტილ ცხვირს, ნათელ თვალებს, თხელ ტუჩებზე დაფენილ შავ ულვაშს. გრაფს ბაქანზე ისევე მოაგორებდნენ, ვით სხვა, დანარჩენ ნაჭრებს ბარგისა. სავარძელს უკან ცოლი მოჰყვებოდა, ფალმერაიერი წინ მიუძღვოდა.

ფალმერაიერმა და შოფერმა ავტომანქანაში ჩასვეს ხეიბარი. ბორბლიანი სავარძელი ავტომობილის თავზე მოათავსეს.

მერე ხელით გადაიყვანეს და ატატებული შეიყვანეს ვილაში.

ფალმერაიერს თავი და მხრები ეჭირა, ხოლო მსახურს — ფეხები.

— მშია! — თქვა გრაფმა ვალევსკიმ.

როცა სუფრა გაშალეს, გამოირკვა, ვალევსკის დამოუკიდებლად ჭამა არ შეეძლო. ცოლმა დააპურა. ამაზრზენი სიჩუმე სუფევდა სადილობისას. მერე გრაფმა თქვა:

— მეძინება, ლოგინში დამაწვინეთ.

გრაფის ქალმა, მსახურმა და ფალმერაიერმა გრაფი თავის ოთახში გადაიყვანეს, პირველ სართულზე, და დაგებულ ლოგინში მოასვენეს.

— ღამე მშვიდობისა! — თქვა ფალმერაიერმა და თვალი შეასწრო, როგორ გაუსწორა მისმა სატრფომ ქმარს ბალიში და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

ამის შემდეგ ფალმერაიერი გაემგზავრა და მას უკან მისი აღარავის სმენია რა.

□

# ჰანს ჰენი იანი

## მედეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიესა

გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა

### ძიძა

მე რადა გითხრა, ჩემო ბატონო,
ხავულდაგულოდ ხომ მოუსმინე,
რაში მჟღავნდება თქვენს შორის ნეტავ
გულის მომწყვლელი შუამავლობა,
როგორც არ უნდა ვეცადო, მაინც
სულ ამაოა ეს ჩემი გარჯა,
თუ ქალბატონზე უმართებულოდ
ცუდ რამეს ფიქრობ, მე ვერ ავიტან.
ძალზე მაოცებ, რაც კი მან დღემდე
ტანჯვა-წამება გადაიტანა,
რომ არ კმარობ და ხელახლა იწყებ.
მთვარე ნახევრად რომ შეივსება,
მედეა მარტოლაც ხევდიანდება,
მისი წუხილი, ხევდა-ნაღველი
ხულაც არ არის გასაკვირველი,
რადგან ამბობენ, შვიდ წელიწადში
თანდათან უფრო გაფერმკრთალდაო.
მე კი მგონია, როცა მედეას
ნერვული კრუნჩხვა მოუვლის ხოლმე,
მაშინვე სახე აელეწება,
ძმის სულს ფიცულობს, ჯოჯოხეთიდან
მეჯაჯგურება, თავისკენ მითრევს,
ხან კიდევ მკოცნის, ასე გვიყვება, —
განწირული ვარ სასიკვდილოდო.
თუმცა დაამსხვრია ყველა ბორკილი,
მაგრამ ხელახლა ადებენ ხუნდებს,
იმ დღიდან გახდა ასე უკმეხი,
ამიტომ სახეაჭარხლებულს
პირიდან სიმწრის დორბლი სდის მუდამ,
ჩურჩულებენ კი გაფერმკრთალდაო.
ვფიქრობ, რაც უფრო დროზე მოდრეკენ,
იმდენად მისთვის უკეთესია.
ბოლო კვირაში რაც ითქვა, იცი,
არც მთლად ისეა, შენ რომ გგონია,
პირიქით, იგი ამ დღეებში დიდ
მწუხარებაშია ჩავარდნილი,
ისეთნაირად გაყინულიყო;
მის სხეულს ცეცხლიც ვეღარ ათბობდა,
დროდადრო იმას წუწუნებს მხოლოდ,
რასაც ყოველდღე ლაღადებს ხოლმე:
შენს ბედად როა დაბადებული
და შენ უყვარხარ გამორჩეულად,
შენ კი საკუთარ სხეულზე ფიქრით
დაგვიწყებია ცოლიც, შვილებიც.
ნუთუ არ ფიქრობ, მტანჯველმა ბედმა
სად გადმოაგდო, რასაც მედეა
გულში გაივლებს, ვერ დაგაძალებ,
სუყველაფერი შეუსრულე-თქო.
დიდი ხანია გადაივიწყა
მარადიული ყმაწვილქალობა,
დაუხაბამო მხოლოდ სიკვდილი
და სიყვარული შენი იწამა.
აი, ამ სიტყვებს გვეუბნებოდა,
თან წარმოთქვამდა ძველთაძველ ლოცვებს,
ხულით და გულით ღმერთებს შესთხოვდა,
ახალგაზრდობა, ძალოვანობა
და ჯანმრთელობა მიეცი იმას,
ვისაც შევწირე სალოცავი და
სისხლხორცეულად შევუერთდიო.
შვილებსაც ასე არ აკლებს ზრუნვას
და დღენიადაგ თავს დასტრიალებს.
შებინდებისას წამოიძახა:
დღეს იაზონი დაბრუნდებაო.
ამდენი ხანი რომ აღარ ჩანდი,
ამიტომ იყო სასომიხდილი.

ვაი, ჩემ თავსო, სიჩნთქვა ეკვროდა,
უბედურება თავს დამტყდომია,
ბედს ემდუროდა. შავკანიანი
ნეტავ რად გავჩნდი ქვეყანაზეო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 5, 1989 წ.

რაც ღმერთებმა ასე ინებეს,
რაღა მეთქმის, გამანდო ბოლოს.
ხოცა შევკადრე, ვრცლად რომ მოგითხრო,
ის დადუმდა, არა მითხრა რა.
უბედურების მიზეზი, ვფიქრობ,
ესა მედეას ჯადოქრობაა,
შენს სიშორეს ვერ აიტანა.
და ყველა ქალი, ნაყოფიერი,
ვისაც მეუღლე სხვაგან გაურბის,
რაღა თქმა უნდა, ვერ აიტანდა.
ჩვეულ შენთვის სიკეთე თესა
და ბოროტება არ უნდა ემკო.
შენი გული რომ შორსაა მისგან,
თავად განსაჯე სიტყვა და საქმე.

იაზონი

ქალზე თამამად მესაუბრები,
ვინც ძიძაც ხარ გასაგებია
და ამიტომაც ვიცი, სიცრუეს
არ წარმოთქვამენ შენი ბაგენი.
გთხოვ, გადაეცი დანაბარები,
რომ მისი მტერი არ ვარ, სჯეროდეს,
უმჯობესია, აკვამლებული
ცეცხლი ჩააქრობს, თორემ სახეზე
აღბეჭდება სუყველაფერი.

ძიძა

ნაუცბათევად ნათქვამ სიტყვაში
უმადურობის ვიგრძენ დასტური.
მის აკვამლებულ, საბედისწერო
ტაძარში მარად ილანდებიან,
იტოტებიან და ყვავილობენ
ეგ შენი ტანი და ღვთის სადარი
საყვარელ შვილთა მოხდენილობა.

იაზონი

ვალდებულია, ცეცხლი ჩააქროს.

ძიძა

წავალ ახლა და შენი პირიდან
რაც სასიკეთო სიტყვები ითქვა
სულ ერთიანად მას ჩავუკაკლავ,
ცუდს კი არაფერს არ მოვახსენებ.

(გადის).

უფროსი ძე

(შემოდის).

მითხარი, გულო, რა მემართება?
ნუ გაუჩნდები! მე დაჭრილი ვარ
ისრით ცბიერი ღმერთების მიერ.
სულ ამერია შიგნეულობა
და, როგორც ვატყობ, ავზნე დემონმა
ისეთნაირად დამრია ხელი,
რომ საკუთარ თავს ვეღარ ვცნობილობ.
აქ ცოტა ხნის წინ არა ვთქვი განა,
ჩვენი სასახლე ღმერთების სადგომს
უფრო ჰგავს-მეთქი? ჩემს გემოვნებას
რომ არ შეეფერის, ნუთუ ამიტომ
ინდომეს ჩემი გამოძევება?
უკეთეს ბინას ვეღარ მოვითხოვ?
ვისურვებ კიდევ ძმის გვერდში დგომას?
აღარაფერი არ მსურს ამქვეყნად,
სიტყვის გამტეხი, გაჭირვებული
და ბორგნეული მინდა რომ ვიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაზონი

რა დაგემართა, ჩემო კეთილო,
რატომ ხარ ეგრე შეშფოთებული,
თითქოს თვალებიც სულ ჩაგცვენია.

უფროსი ძე

ხმა შემომესმა მამაჩემო და
რაკი შეგიცან, ვალდებული ვარ,
ჩემი განზრახვა გაგიზიარო:
ერთი ამბავი გამახსენდა და
ამჟამინდელმა მკაცრმა კანონმა
სულით დამცა და გრძნობა დამიხშო.

იაზონი

იშვიათად თუ მომისმენია
შენი კერპობა და სიჯიუტე.

უფროსი ძე

ნაღდ სიმართლეზე ნაღდი სიტყვა ვთქვათ,
არ ჯობს ვიდრემდე დიდ სიცრუეზე,
რომლის ფინალი უიმედოა?
მე, რა თქმა უნდა, ხარი არა ვარ,
რქებით მესერი რომ გავარღვიო.
განა ღირს რამედ ეს ფირმანები,
რომ მოვისმინო ყოველდღიურად?
ვაიმე, ჩემ თავს, თვალთ მიბნელდება.
გამოგიტყდები მამავ და გეტყვი,
რომ დღის სინათლეს ბევრწილად მიჯობს
უკუნი ღამე. პატიებას გთხოვ
ჩემი უშვერი გამოთქმებისთვის,
რა ვქნა, ყბედობა არ მეხერხება.
ეს გული თვითონ მე მოვიშხამე,
ტანჯვა-წამება აღარ ამცდება,
სიკვდილს მოველი, ვერვინ მიშველის.

იაზონი

ავად ხომ არ ხარ, ანდა დაჭრილი,
ფეხზე ვერ დგები, რა გემართება?

უფროსი ძე

ეროსის ისრით ვარ დაკოდილი.

იაზონი

ჰო, შენს ასაკში ჩვეულებრივი
რამე მომხდარა და ეგ ჭრილობა
ფაქიზი გრძნობით გამოწვეული
სულაც არ არის განუკურნავი.

უფროსი ძე

შენს უნებურად მამასხარავებ?
დამნაშავე ვარ, ფლიდი, ორგული.
მაშ ნება მომეც და მომისმინე,
გულის ნადები გამოვამჟღავნო.

იაზონი

მოსაზრებებით არ შეგაწუხებ.

უფროსი ძე

ჩვენს სასახლესთან ცხენზე შევჯდე და
შენს საძებნელად გამოვეშურე.

გულს მოწოლილი სევდა-ნაღველი
რომ გამეფანტა, ჩემს გონებაში
ვეღარ ვმალავდი აღფრთოვანებას.
ბავშვთა ქვეყნიდან მშვიდობიანად
რომ გავაღწიე, ზღვისკენ მავალი
გზაც მომეჩვენა ღვინისფერად.
უცებ მომესმა ყალყზე შემდგარი
დიდი ულაყის ქშინვა-ჭიხვინი.
საფეთრაკოდ აძგერდა გული,
ხელად მომინდა შორი ქვეყნები,
ოკეანეთა ზრიალის სმენა
და უდაბური უდაბნოს ხილვა.
ცხენზე შემჯდარი ერთი არსება
საგულდაგულოდ მითვალთვალებდა.
ჩემმა ფაშატმა არად ჩააგდო,
მე კი იმ ულაყს შევავლე თვალი.
ჩემი ხრდალივით რძისფერი იყო
და ამორძალი სიცილ-ხარხარით
აღგზნებულ თეთრონს მიაჭენებდა.
ქალღმერთ დიანას თუ შევადრიდი,
მაგრამ ეს მხოლოდ სიზმარი იყო,
ან ბნელ სარკეში უქმად ყურება.
ის ჩემნაირი მშვიდი არ ჩანდა.
მის ულაყს სურდა, აქ ჩემს ბედაურს
რომ დასწეოდა. უკვე ნიკაპთან
ქალის ნელთბილი სუნთქვა ვიგრძენი,
ამასობაში მიმქროლავ ფაშატს
წამიერ ლუკმა დაადგა ყელზე.
მხედარ ქალიშვილს ბქეის სწავლება
რომ დავუპირე, რა უდროო დროს
გადამეღობე, დავბრკოლდი-მეთქი,
წამსვე შევნიშნე, უზრუნველყოფ
ულაყს ლაგამი როგორ ამოსდო
და მერე შოლტი გადაუჭირა.
რაც მოხდა, უცბად ძლივს გავიაზრე,
სულ ერთმანეთში არეულიყო
ცხენთა ფლოქვების თქარათქური და
ქვების ხრიგინი, მიწის ზანზარი.
ფაშატი ბუჩქზე გადავასკუპე
და ჩავუჭიდე ალკაზმულობას,
რადგან ცხენები ყალყზე დგებოდნენ.
უცებ თეძოში ტკივილი ვიგრძენ.
ზურგში კი მწვავე მტეხიარება
და თავს დამადგა გაქაფულ ცხენის
უშველებელი ჯოჯო აჩრდილი
თუ გამოიცნობ, რა დამემართა?
მე თვითონ მრჩება გამოსაცნობი!
პალევანდი უნდა გაუყარო ცხენს,
ანდა, მეტს ვიტყვი, ჯობს რომ გაგუდო.
ჩემ სიცოცხლეში ქალის როგორმე
გადავიტანდი, ოღონდაც ცხენმა
სულ გადალახოს დაბრკოლებანი.
თან ერთ ტკივილი არ მასვენებდა,
თან ძვლები მტეხდა გაუთავებლივ,
ცხენს რომ ვუცქერდი გაშტერებული.
რატომღაც გული მიღონდებოდა,
[illegible] შეგირიშე [illegible] კისკისით
ქალმა კისერზე [illegible] ხელი,
[illegible]
ბოლოსთვის [illegible] სიმწრის
ცრემლი [illegible]
კარს მომადგნენ [illegible], რადგან არაფრად
არ მიიჩნიეს ჩემი ფაშატი,
ვით საბედისო გზაზე მიმავალი.
ქანცი გამიწყდა. პირმოკუმული
გულამომჯდარი მწარედ ვტიროდი.
უეცრად ვიღაც შემეხო ნაზად,
დიახ, ნამდვილად ის იდგა ჩემ წინ,
ახალგაზრდებული, ქალწულებრივი
და ცხენის სუნით გაჯერებული,
მკლავები უცბად გავშალე ლაღად,
მაგრამ იმწამსვე ჩამომივარდა.
მსურდა, ულაყს რომ დავემსგავსებოდი,
გარდასახული ვდგავარ შენს წინ და
ის გარდაცვლილ ქალწულს მივტირი.

ᲘᲐᲖᲝᲜᲘ

დიდ ხათაბალას გადაწყდომიხარ,
ჯერხანად შენი დაქორწინება
გულში იდუმალაც არ გამივლია.
ჯერ შენ მზად არ ხარ იმ მზაკვრობისთვის,
რასაც ცხოვრება გვიმზადებს ყველას.
ქალი, რომელიც შენ მოგეწონა,
ვგონ ხალხში ვინმეც კი იყოს.
მშვიდად იყო, რადგან, ვიცი, მაგ შენ სისხლ
მდაბალია სისხლში რომ არ ერევა.

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲫᲔ

წინასწარ ვგრძნობდი, რასაც მეტყოდი
და თან მკლავს რომ დამარიგებდი,
ვფიქრობ, ტყუილად მეკამათები.
შენმა ცხენებმა სული დამიბნია
ბუთა-გორგება. მაშ, დაიხსომე
ის ყმაწვილქალი მეფე კრეონის
უბადრუკობის [illegible] გახდავს.

ᲘᲐᲖᲝᲜᲘ

შვილო, არასწორ გზას დადგომიხარ
და არჩევანიც არ მომწონს შენი.
მასზე უკეთეს სიყვარულს ალბათ
ვერც მონახავდი, სხვა სარგებლობაც
თუ მოჰყვებოდა მაგ ქორწინებას.

ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲘ ᲫᲔ

მამავ, შეჩერდი! ასე ხელდაბნეულ
მიდიხარ, როგორ მოქრისტიანდი!
მაგ სიტყვებს მერე რაღა ვილოცო,
ვის შევებრძოლო, დარჩი კი, არა და
ტკბილი ჩურჩულით ძალიან მიყვარს.
ჩემი ხბოების მწვანე მინდორზე
შვლის ჩოჩორები დახტუნაობენ.
ალბათ შენთვის და ხანდაზმულისთვის
[illegible], როცა მასში
არჩევანი სულ მთლად გადამწყვანდება



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყა აეროლებულ ჰაობის დარად
უბედურება დაისადგურებს.
ვიცი, მე გვირგვინს არვინ და[illegible],
რადგან მეკერდიდან ეროსის ისარს
მოუკვდინებლად ამომაძრობენ.
მიდი კრეონთან და მიმაჰანკლე,
თუგინდ მათხოვრად გადავიქცევი,
მუხლს მოვიყრი და შევევედრები,
ოღონდ ამაზე უარს ნუ მეტყვი.

იასონი

მე კი ეს გული სხვას მეუბნება.
ხომ შეიძლება, მეფე კრეონმა
სურვილი მართლაც შეგისრულოს და
ქორწინებაზე თანხმობა გითხრას.
მიუხედავად დაპირებისა
წლის დამლევამდე ჯვარს ვერ დაიწერ.

უფროსი ძე

რა გულითადად ირჯები, არა?
მაინც რამდენ ხანს გასტანს ლოდინი?

იასონი

სარეცელს ბრძოლით კი არ იღებენ,
ვით მტერი ციხეს... ახლა კი წავალ,
ნიღაბი რომ არ ჩამომაგლიჯო.

(გადის).

უფროსი ძე

სასძლოს მოკითხვა გადაეცი!
ჩემს ონავრობას როცა შეიტყობს,
ნეტავ რას იტყვის ძმა?
ბალღების აღმზრდელი
ატირდება.

(შემოდიან მედეა, ძიძა, მსახურები და
კრეონის მოციქული).

მოციქული

მეფე კრეონმა ახალშეძენილ
ნათესავებს და ამ ბინაში მყოფთ
დიდი მოკითხვა შემოგითვალათ,
ჯანმრთელობა და ბედნიერება
გისურვათ ყველას, თან დამაბარა,
ღვთის წყალობით და ლმობიერებით
კმაყოფილები თუ არიანო.

უფროსი ძე

მსახურო, მეფის დანაბარები
ხომ მართებულად უნდა გადმოგვცე?
ნათესავებად მოგვნათლა მეფემ?!
ლეგლურჯა ცაო, სქელო ღრუბელო,
რაც შუადღიდან დაბინდებამდე
ცის კაბადონზე მსხვილი ფესვები
გადაგიხლართავს, გამოაშუქე,
სხივს ყელოდები. ამო წვიმამ რომ
დედამიწაზე ჩამოაღწიოს,
ეგებ ეშველოს შეხუთულ ჰაერს.

მოციქული

დიახ, ამდენი ენის ჰარტალი
მართლაც ხელს მიშლის შევობარო და
ხან ყელს მიხლეჩავს, ხან სულ მალენჩებს,
ალბათ ამიტომ შემაწყვეტინე.
მედეავ, ჩემგან თქმული სალამი
უპირველესად შენ გეკუთვნოდა
და ვფიქრობ, ღირდა მისი მოსმენა.

მედეა

მე ყურს გიგდებდი, შენი მ[illegible]
პასუხიც უკვე ენაზე მადგას,
მაგრამ რადგანაც შემონათვალი
ჯერაც არ გითქვამს, ამიტომ ვდუმვარ.

მოციქული

მოვალეობას რა ვუთხარ, თორემ
მეც ხომ გული მაქვს. სახელდახელოდ
რომ შემეგებე გულდადინჯებით,
თავს იკატუნებ მოჩვენებითად,
თუ შეგნებულად ვერაფერს მამჩნევ?

მედეა

რა გითხრა ჩემზე, რომ გარიგებდა,
ზნე-ხასიათი შეისწავლე და
გამოძიება აწარმოეთ?

მოციქული

ეგ დავალება არ მოუცია.

მედეა

მაშ, მბრძანებელმა სულ არ იცოდა
შენი მაგვარი უგერგილობა?

მოციქული

მე თანაგრძნობა გამოგიცხადე,
შენ სჯა-ბაასით გული მატკინე,
რაც ჩრდილს მაყენებს და შეურაცხმყოფს.

მედეა

რაც დაგაბარეს, ის მსურს შევიტყო
და არა შენი უაზრო რონშვა.

მოციქული

ჩემი დატუქსვა ნაადრევია.
მეფე კრეონის დანაბარები
შენს ყურს რომ ჩასწვდა, უნდა გესაზრა,
რომ ჩვენს მბრძანებელს შენ კი არ სძულხარ
და ბედშავობა შენი კი არ სურს.
ახლა გჭირდება თავშეკავება
მეტმა სიფიცხემ უბედურება
მყობადში რომ არ გაგიათკეცოს.
გონებით უნდა აწონ-დაწონო,
საერთო ენაც გამონახო, რომ
დღე-დღეზე მათი დაქორწინება
შენთის და შენიანებისათვის
უსიამოვნო კი არა მარტო,
საგინებელი რომ არ შეიქნას.

მედეა

ახე მგონია, როცა თავიდან,
რაც უნდა გეთქვა, ის რომ არ გითქვამს,
მერე უეცრად გადაგავიწყდა,
რაკი ნათქვამით, წუწუნის გარდა,
მე ჯერჯერობით ვერრა შევიტყვე.

მოციქული

მე არაფერი დამვიწყებია,
მხოლოდ სიტყვები გადავხვე-გადმოვხვე,

რადგან ვშიშობდი, რომ სხვანაირად
სასურველ შედეგს ვერ მივაღწევდი.

მედეა

თუ საკუთარ ყურს მთლად დავუჯერებთ,
შტერი ყოფილხარ.

უფროსი ძე

დედავ, თანხმობა
განუცხადე და ქორწინებაზე
ცუდს ნურას ფიქრობ, ნუ გეშინია.

მოციქული

მადლობა, ჭკუის სწავლებისათვის
როცა თავიდან დანაბარები
თანდათან ფრთხილად შემოგაპარე,
ასე ვიფიქრე, ალბათ მედეამ
იაზონის და მეფის ასულის
შეუღლებაზე სუყველაფერი
იცის-მეთქი და კრეონის აზრსაც
გაგიზიარებ, რომ თანახმაა,
რადგან ორივეს ერთიმეორე
შეგყვარებიათ. სიძის პირველი
დაქორწინება ხელის შემშლელად
არ მიაჩნია, რადგან კოლხი ხარ
და არა ბერძენი. ამყამად კი
მბრძანებელს სურს, რომ დაგიყაბულოს.
ამ ამბით თუ არ გაალმასდები,
გპატიჟებს შენი ვაჟებიანად.

მედეა

ეს კაცი მართლა შერეკილია,
მონებო, ხწრაფად დააპატიმრეთ.

მოციქული

შავი ღრუბელი მოულოდნელად
კი არ ირღვევა. ო, ხულო ჩემო,
მე სხვანაირად წარმომედგინა.
შენ გავიწყდება, სანამ გულიდან
გადამივლიდა ეს თანაგრძნობა,
მანამდე ჩაწვდი და გამერიდე?

მედეა

მაგ სალანძღავი სიტყვებით, იცი,
აბუჩად მიგდებ და შეურაცხმყოფ,
განა მარტო მე, ჩემს უფროს ვაჟსაც,
ვით მოციქული მეფე კრეონმა
მართლა ცისთანაც გამოგაგზავნა.
აბა დაფიქრდი და მოისაზრე,
შე გულმავიწყო, შე სალახანავ,
ნუთუ ვერასგზით დაიმახსოვრე,
რომ იაზონი მეფე კრეონთან
მიტომ წავიდა, რათა ვაჟისთვის
ასულის ხელი გამოითხოვოს?
გონზე მოდი და სიზმარში მყოფმა
გამოიღვიძე, აი, სახაძო.
მშობლებმა უნდა მოითათბირონ,
მათი დანიშვნა რომ გადაწყვიტონ.
გამოიბერტყე ყურები ხწრაფად!

მოციქული

მე ის ამბავი გაუწყე მხოლოდ,

[illegible] [illegible]რეონმა რაც დამაბარა,
[illegible] [illegible]რია ას შემოქმედია
და თუ [illegible] [illegible]ფემ რამ ჩაიდინა
იყო მოხუცი კაცის შეცდომა.
ახო-ახოდ რომ [illegible]
სიმართლეს [illegible] რაც ითქვა,
თითქოსდა მეფის პირით თქმულიყოს.
ამ მქერდში მხოლოდ ჩემი გული ძგერს
და შეუძლია სულ მთლად გაყუჩდეს,
რადგან საკმაოდ გამოცდილია.
ასე ჯობია, თორემ ყვერსნი
ნამდვილად შფოთის თესვს დამარქმევდნენ.
ის კი, რაც მეფეს მართლაც არ უთქვამს,
ჩემი ორთავე თვალით ვნახილე,
დიახ, ვიხილე ვნებააშლილი
მეფის ქალიშვილს რარიგ ჰკოცნიდა,
თან ეხვეოდა აღტაცებული
და ბოლოს სადღაც გაუჩინარდა.
შენი მეუღლე იმ ასულს ჰყვარობს,
ამიტომაა რომ დაივიწყა
სულ მთლად თავისი მოვალეობა.

მედეა

ისევ განაგრძობ მაგ მცვახე ენით
თავისმომჭრელი ამბების თხრობას?
თავდაპირველად შენი თქმულიდან
თითქოს სხვა ვინმემ გვატკინა გული,
ახლა საკუთარ თვალებს იმოწმებ,
გსურს რომ ტყუილი შემოგვაპარო.
მაშ, ამოთხარეთ დაუყოვნებლივ
მერე სიმართლის მაცნე გახდება.
უნდა დაბრმავდეს, ვინც იაზონის
გაუტანლობას და ცოლქმრულ ღალატს
შეასწრო თვალი. მსურს ერთხელ კიდევ
გავიმეორო: ეგ საცოდავი
რასაც მოგვიყვა, სუყველაფერი
მოჭორილია. თუმც შორი გზიდან
შემოგვიარა, მაგრამ შინ მაინც
მშვიდობიანად ვერ დაბრუნდება!
ეგ რომ კრეონის ასულზე ამბობს,
ის უეჭველად ნავმისადგომი
სიძვის დიაცში აერეოდა,
იაზონი კი სახმლის მოყვარულ
ვილაც ბრიყვ კაცკას გადაეყარა.
დაუვსეთ თვალები!

მოციქული

ვაი, ჩემ თავს...

მონა

(შემოაქვს მოციქულის თვალები).
შენ რომ გვიბრძანე, აი, თვალები.

მედეა

ღმერთო, მიშველე, სიმართლე უთქვამს!
აქ ვხედავ ჩემი მარცხის მოწმეებს.
ღმერთთა შეწევნით, დათხრილ თვალებში,
ნიშანდობლივად ავის მთქმელი რამ
ამოვიკითხე. ვაიმე, ვაი!

…რონი უნდა მოვიდეს მალე.
…ი, გამოჩნდა კიდეც.
კრეონი
(შემოდის).
მედეა!
მედეა
…ქ ვარ, მეფეო!
კრეონი
…ყმაწვილებო,
…რა დაატეხე ამ ჩემს სასახლეს?
მედეა
…ჩემს სასახლეს რა დაატეხეო?
…ყმაწვილებო, ამიხსენით!?
…ვალ, მე გახლდი, შენ რომ გიხმობდი,
…ს მე ვიყავი, მოციქულისგან
…ვსიტყვე თუ არ დანაბარები,
…სუხი მყისვე გამოგიგზავნე.
როცა მსახური ამბავს მყვებოდა,
…ვურდი, თავად რომ მოხვიდოდი.
…ს ჩავიდინე სასახლის კარზე.
მაშ, სხვანაირად რა უნდა მექნა?
სულ სალანძღავი სიტყვებით უნდა
შევმკე აბა, იმ შენს მოციქულს?
…ილაც უგონო გლახაკის გამო
მეფე კრეონმა უნდა თქვას ნუთუ,
ჩემ სასახლეს რა დაატეხეო?
კარგია, აქ რომ გადაგეყარე,
მე ეს ამბავი ძალზე მახარებს.
კრეონი
(მუშტებს შემართავს).
არაბერძენი ბარბაროსი და
ჩვეულებრივი მტაცებელი ხარ.
შავკანიანო, შავი კანივით
შავია შენი ნამოქმედარიც.
არ მეგულება ბერძენი ქალი
ამგვარ სიმხეცეს რომ ჩაიდენდა.
ჩემს ერთგულ მონას თვალთ დაუბნელე,
რადგან ამბავი, რაც მან მოუთხრო,
არ მოეწონა.
მედეა
შენი მსახურის
ერთგულებისა რა მოგახსენო,
არც უგულოა და არც სულელი,
აყროლებული ლორი კი როა
ცხადზე ცხადია, გონებაჩლუნგი
კაცის ნაშობი, მრუში, მლიქვნელი,
შეიძლება კი რომ უკანონო
მეფის მსახური ერთგული იყოს?
ის უკანონო მეფეც შენა ხარ,
რომელიც კანონს სურვილისამებრ
იყენებ მხოლოდ, თუ მოინდომებ,
სწორს გაამრუდებ და თუ ისურვებ,
გახსივოსნებულს მონათლავ ბნელად,
ამიტომ არის, ჩემი არაფრად
ჩაგდება, როცა მუდამ ფერის კანს.

ხანდახან ახალს, ხან კი სამშობლოს
ბრალდება ხოლმე. …დე, იბატონოს
უზადალებულმა თვითმმართველობამ!
კრეონი
ხმა ჩაიკმინდე, თუ არ გინდა რომ
გააფთრებულმა მოგიღო ბოლო!
მედეა
შენს წინაალმდეგ შენი მსახურის
წმინდა თვალები მიწყვია მოწმედ.
თუ შეიცანი სისხლით მოსვრილი
მოწმე-მნახველი, ვინაც მომითხრო,
რომ იაზონი საკუთარ ასულს
გხურს გაურიგო, მე კი გწადია,
ზურგი მაქციოს? აბა, თვითონვე
გაიმეორე, იმ მოციქულის
თქმული სიტყვები. დაწინდვის
საქმეც ხომ მოაგვარე.
კრეონი
შიშმა შემიპყრო
თანდათანობით, შენმა მკივანა,
რიხიანმა ხმამ სულ ერთიანად
დამიხშო სმენა.
მედეა
მაშ, ალიარე!
შემეპასუხე! გაიმეორე!
ჩემ სიახლოვეს ერთი ვინმეც დგას
და ეეჭვება აქ მოსმენილი.
ის ერთი ვინმე — ველური ხარი,
დარჩა ყველაზე მოტყუებული.
შეხედე ჩემს ვაჟს, გაქვავებული
ამჟამად იმის მოლოდინშია,
ეგ მოტარტალე ძირმწარე ენა
სასიდან უმალ ამოგაგლიჯოს.
ვითომ რა იყო ჩემი მეუღლის
და საპატარძლოს სანახავად რომ
მიმიპატიჟე, ყმაწვილები კი
მისი საცოლის უბიწოების
დასანახავად თავიანთ მამის
დანაშაულზე. ო, ეს თავლითი
ახალგაზრდობა ბოროტად ცდილობს
გადაბირებას.
კრეონი
ო, უგუნურო!
ახლა მიგიხვდი გაგულისებას.
თეთრკანიანი ჩემი ასული
აბა, შენს ყმაწვილს მისთხოვდებოდა?
ვერ გაერკვიე, საქმრო ვინ იყო?
ნება მიბოძე, რომ დაგამშვიდო:
მე არასოდეს დავთანხმდებოდი,
ჩემი ძვირფასი, თეთრი გოგონა
ნახევრად ზანგს რომ გამოჰყოლოდა.
უცხოელები არ მიყვარს გულით,
იაზონი კი — ბერძენი გმირი
ვაჟკაცურია შესახედავად.
მას შევუთანხმდი და ნება დავრთე.

ჩემს ქალიშვილზე რომ იქორწინოს.
ჩემი ვალია, უცხო მიწიდან
გადმოხვეწილთა წუწილზეც ვიზრუნო
და ეგ ვაჟებიც დავაბინავო?
ჩემს ქვეყანაში ხომ გამონახეს
თავშესაფარი. ისინი უკვე
ვალში არიან მეფის წინაშე,
გადამთიელთა მეც თუ რამ მმართებს,
ეგ სხვა საქმეა. შენმა მეუღლემ
შენზე მოგვითხრო, რომ კოლხიაო,
შვილებზე კი თქვა, რომ ქორწინების
გარეშე მოხდა ყველაფერიო.
რა უფლება მაქვს, შევეპასუხო
და ასე ვუთხრა, არა, ეგ ეგრე
არ არის-მეთქი? ჩემი ასულის
ბედნიერებას, რა თქმა უნდა,
ხელს არ შევუშლი. ამ კანონებში
თუ არ ერკვევი, მაშინ საკუთარ
თავს დააბრალე. ასე მგონია.
შევაჯერებინე.

მედეა

დიახ, შევიგნე.
შენმა ნათქვამმა სულ შემიცვალა
განწყობილება. ჭეშმარიტების
გამოსაძეძნად მე ეს თვალები
აღარ მჭირდება. იმ ქვეყანაში
ვცხოვრობ ამჟამად, სადაც ღალატი
და ცოლ-ქმრის გაყრა, თავგასულობა
და სისხლის დალვრა წმინდა და კეთილ
საქმედ ითვლება, სადაც ჩაგრულებს
და გაბრიყვებულთ შორის გაძევება
არგუნეს წილად, სად ქვემძრომობით
და გაქნილობით კაცს თავიც მოაქვს.
იმაზე მკიცხავ, რომ შენს მოციქულს
თვალების დათხრა ვაკმარე მხოლოდ,
მერე რომ აღარ ავაკუწვინე.
მოწყალული რომ არ შევაწვევინე
და სადილად რომ არ შევჭამე.
გამოვასწორებ, დიდო მეფეო!
აბა, ამ ბიჭის თვალებს შეხედე!
გალურჯებია ტუჩები, სახე,
ნესტოები კი ისეთნაირად
გამობერვია, ჩანს სუნთქვა უჭირს.
სულმობრძავივით, ცოტა დააკლდა,
ლამის მიწაზე იხოხიალა,
ხელებით მუცელს ჩააფრინდა და
ღვიძლი კინაღამ დაიზიანა,
სათქმელი ყელში გაეჩხირა და
ხმამაღლა სიტყვას ვეღარ ამბობდა.
შეხედე ჩემს ვაჟს, ამნაირ ნაჯვარს,
ვისზეც მე მზე და მთვარე ამომდის,
ასეთი მოყმე, ვარგი ჭაბუკი,
ვინც შენს ქალიშვილს გულით ეტრფოდა.
მამაც იმიტომ გამოაგზავნა,
ნიშნობაზე რომ დათანხმებოდი,
სანამ იაზონს შენი ასული,
რაღა თქმა უნდა, აკოცნინებდა,
იგი საკმაოდ გამოცდილია,
რაკი ლირსშვავი, აუდის ...
უფროსი ძე
(კრეონისკენ ა... მაგრამ ბალღების აღმზრდელი ... და ორივე იატაკს დაეცემიან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრეონი

ჩემს სახლ-კარს სწრაფად უნდა გავშორდე,
სადაც ამდენი შერეკილია,
ამ მიყრუებულ არემარედან
თვით ჯოჯოხეთიც მახლობლად არის.
ახლა კი მივხვდი, იაზონს რაც სურს:
ადამიანებს რადგან მიელტვის,
სწორედ ამიტომ გაურბის მხეცებს.
აფრიკიდან კი არ ჩამოსულა.
ის ბერძენია. უგული იყო
ჩვენი შეხვედრა, ახლა, მედეავ.
ის მოახერხე, რომ უგულობა
აღარ მოიმკო.

(გადის).

მედეა

მარადიულია მელიოსი!
დედამიწაზე დამკვიდრებულ და
დაუსაბამოდ აქ მიმობნეულ
შთამომავლობას: შვილიშვილებს და
ბადიშიშვილებს, მათ სიტურფეს და
მომხიბვლელობას, რათა გვერდი-გვერდ
თვალი შეავლოს, კვლავ ციხკენ იხმობს.
დაბადებული ამქვეყნად ქალად
თვალცრემლიანი ვდგავარ შორეთში.
რადგან შევიცან სიკვდილის არსი.

ბალღების აღმზრდელი

მარადიულია მელიოსი!

მედეა

იუურე! ეგ ისე წავიმღერე.

ბრმა მოციქული

მე აქ გახლავარ.

მედეა

მაშ, მომისმინე!
ახლავე წადი მეფე კრეონთან,
უმალ მეზღებში ჩაუვარდი და
ჩემი სახელით სთხოვე, როგორმე
მე და ჩემს შვილებს ქვეყნიდან წასვლა
მხოლოდ ერთი დღით გადაგვიწიოს,
ერთ-ერთი ცაგი ავად გაუხდა
და გამგზავრებას ვერ მოასწრებს-თქო.
არ მოასვენო, სანამ სიკერპე
გულიდან სულ მთლად არ გადაუვლის.
ეს იასტანი ძღვნად მიუტანე.
ამ ოქროს ბეჭედს, რომელსაც გატან,
ერთ დროს მელიოსს ეკეთა თითზე.
მედეას მთელი გრძნეული ძალა
ამ ბეჭედშია ჩაქსოვილი-თქო.
თუ სინამდვილე არ დაგიჯერობს,

მაშინვე მოწმედ იაზონს უხმე.
რ დაამოწმებს, ჩემს უძვირფასეს
განძს და იარაღს მეფე კრეონის
ხელში რომ ვაგდებ. გულს რომ მოულბობ,
კვლავ მოწყალება გაუმეორე.
რახან ბედი გავახარუქრე.
ბედის ამარა აღმოვჩნდი უცებ.
თვითონ არ იცის, საით წავიდეს,
კოლხეთისაკენ გზა დახშული აქვს,
რადგან იქიდან, დაღვრილ სისხლისთვის
განდევნილია. დიდო მეფეო,
ხომ შეგიძლია, უძლურ დედაკაცს
და მის ყმაწვილებს მომავლისათვის
თავშესაფარი გამოუნახო,
რათა იაზონს მთლად ჩამოსცილდეს,
ცალკე იცხოვროს სამუდამოდ-თქო.
ეს იასტანი მეფეს მიართვი,
სასატრძლოს კი მოოქროვილი,
ჯერ არნახული ძვირფასი კაბა,
ჰელიოსიც რომ გაიმეტებდა.
არც სამოსელი, არც სამკაული,
ოქროს ძეწკვი თუ ოქროს ბეჭედი
და სამაჯური ძღვნად მინართმევი
ერთი წამითაც არ დაინანო.
თუ სინამდვილეს არ დაგიჯერებს,
მაშინვე მოწმედ უხმე იაზონს,
ეს სამოსელი ბევრჯერ უნახავს
და საყვარლისთვის განძის მირთმევა
ვიცი, ძალიან გაეხარდება.

მოციქული

გახარებია, მომეცი ხონჩა.
(ხელების ცეცებით მედეისკენ გასწევს).

მედეა

(შეეგებება და წინ გამოიყვანს).
იაზონს თავი გამარჯვებულად
უნდა მიაჩნდეს
(ბრმა მოციქული პატარა მონ
სადაც აქამდე
გაუძელ გულო ახლა მკერდიდან
არ ამოვარდე! ძიძავ, სადა ხარ!

ბალღების აღმზრდელი

მედეა ძიძას თავისთან უხმობს.
(მსახური დასაძახებლად მიდის).

მედეა

ვინმემ თუ იცის, როგორ გავწვალდი,
იმას ვცდილობდი, არ მეხმაურა,
კრიჭაშეკრული ვყოფილიყავი,
ზედმეტი ცრემლით თვალები რომ არ
დამწითლებოდა. რაც აქ დავსახლდი,
მას შემდეგ ერთხელ ვინმემ ხელი თუ
გამომიწოდა? ახეთი აწმყო,
გრძელი, ხანგრძლივი, ახლა რომ არის,
ალბათ აროდეს აღარ იქნება.

ძიძა

(შემოდის).
გადმომცეს, თურმე მეძებდი,

მედეა

დიახ.
მომაკვდავს ახლა ის მსურს შევიტყო,
თუ სად არიან ჩემი შვილები.

ძიძა

უცებ შეიჭრნენ საძინებელში,
მერე შიგნიდან ჩაკეტეს კარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

□

# ეჟი ანჯეევსკი

## ფერფლი და ალმასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

პოლონურიდან თარგმნა გიორგი მაჭუტაძემ

— აქ? — ჰკითხა ალეკმა.

შრეტერმა ყურადღებით მოავლო თვალი ვერანდას.

— არ ჩანს.

— იქნებ იმ მხარეს, მოედანზე ზის?

— შეიძლება. წამოდი.

კაფეს რომ გვერდით გაუარეს, ხელმიცკი და კრისტინა ვერანდიდან ძირს ჩამოდიოდნენ.

— ოჰ, პატარა კოსეცკი აქ ყოფილა! — გაუხარდა მაცეკს. — წამით დამიცადე, საყვარელო.

კრისტინა დატოვა, ფეხს აუჩქარა და ყმაწვილს დაეწია.

— ალეკ!

იგი შემოტრიალდა.

— როგორ ხარ? — მიესალმა ხელმიცკი. — ჰო, ანჯეის გადაეცი, დიდი საქმე აქვს, ხვალ საღამოს შემოგივლის-თქო. არ დაგავიწყდება? ხვალ რვა საათისათვის.

— არა, — უპასუხა ალეკმა. — გადავცემ.

— მადლობა. კარგი იყო მდინარეზე?

ალეკმა გაიღიმა.

— ნუღა იკითხავ!

შრეტერი მას შორიახლო ელოდა. ალეკი რომ მივიდა, შრეტერმა გაოცებული მზერა შეავლო.

— არაფერია, — უთხრა ალეკმა, — სად არის?

— აქაა.

— სად?

—ბოლო მაგიდასთან ზის. ქერა კაცია. ვიღაცა არის მასთან.

ალეკმა იქით გაიხედა.

— დაიცა, საიდანღაც მეცნობა.

— შესაძლებელია, — წაიბურდღუნა შრეტერმა.

ალეკმა იხსენა, იხსენა და ბოლოს მაინც მოაგონდა.

— კლიმჩაკი არ არის? ერთად ვიყავით სკოლაში. ომის დაწყებამდე და-

დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1. 2 1990 წ.

ამთავრა სკოლა და მამაშენი მთელ სკოლაში საუკეთესო „ისტორიკოსად“
მიიჩნევდა. ისაა?
— ის არის.
— აი, თურმე საიდან იცნობ! ის მეორე ვიღაა?
— არ ვიცნობ. არასდროს მინახავს.
— წავიდეთ.
— მოიცა, — შეაჩერა იგი შრეტერმა. — არ ვიცით, მეორე ვინ არის.
— ჩვენ რაში გვენაღვლება? შენმა სტუმარმა გვიერთგულოს, თორემ...
— ჩემსას წყალი არ გაუვა. იმდენი საქმე აქვს, არ შეიძლება ერთგული
არ იყოს.
— მაშ, აქ რაღას ვდგავართ?
ამასობაში კლიმჩაკმა შეამჩნია ისინი და ხელი დაუქნია. ერთი გამხდარი,
უფერული, შუა ტანის კაცი იყო, ცოცხალი, ეშმაკური სახე ჰქონდა, ღია
ფერის თმა უკან გადაეტკეცა. ვინც მასთან იჯდა, მისი კბილა გეგონებოდა.
წარმოსადეგი, კარგი აღნაგობის, ქერა, ლამაზი კაცი იყო, თუმცა უბრალო
სახე ჰქონდა. მაგიდაზე არაყიანი გრაფინი და ორი მაღალი ჭიქა სოდიანი
წყალი იდგა.
— გამარჯობა! — მეგობრულად მიესალმა კლიმჩაკი შრეტერს.
წამით იგი კოსეცკის მიაჩერდა.
— ხომ ვიცნობთ ერთმანეთს?
— რა თქმა უნდა, — უპასუხა ალეკმა.
— სკოლის ამხანაგები ვართ.
— ჰო.
— კარგია! დაბრძანდით! ჩემი მეგობარია, — თავის მეზობელზე ანიშნა
მან. — მასთან ყველაფერზე შეიძლება ლაპარაკი. ჩვენი ბიჭია. რაც მარ-
თალია, მართალია, დიდი ხანი არ არის, დღეს გადმოვიდა ჩვენთან, მაგრამ
არა უშავს. ყველა ახალმოსულს სიხარული მოაქვს ამქვეყნად. ადგა ეს ყმა-
წვილი. და უფროსობას აეჩხუბა...
— გვაცალე, ედიკ! — წაიბუზღუნა უცნობმა. — რა ატყდი.
— შენ რისი გრცხვენია? ჩვენი სტუმრები წესიერი ბიჭები, სკოლის ამ-
ხანაგები არიან. ესეც შესანიშნავი ყმაწვილია, მაგრამ ჯერ ვერ შევეგუე, ვია;
კომუნისტურ დაწესებულებებში აპირებდა კარიერის დაწყებას. გეუბნები,
ფრანეკ, სულ უბრალოდ გაფუჭდებოდი, რომ არ დაგელია და ჩხუბი არ აგე-
ტეხა. ჯანსაღმა ინსტიქტმა გაიღვიძა შენს არსებაში. ხომ არ ნანობ?
მან მხრები აიჩეჩა.
— რატომ უნდა ვნანობდე? ამდენს რად ლაპარაკობ.
— კარგი! დაიცადეთ, ამწუთში გავაჩენ სირჩებს. ნუ გეშინიათ, არავინ
დაგინახავთ. ძველ ამხანაგთან ხართ. მერე რა მოხდა? ვინმე გიკრძალავთ?
ჰეი, უფროსო! — დაუძახა მან კარში მდგარ მომტანს. — ორი სირჩა და ორი
სოდიანი წყალი მოგვიტანე.
ერთი წუთის მერე მან ჩვეულებრივ ჩამოასხა არაყი.
— ჯანმრთელად იყავით! წყალი დააყოლეთ. სიცხეში არაყს ყველაზე
მეტად სოდიანი წყალი უხდება.
— გადასარევია! — ხელი გაიწმინდა, როცა ყველამ დალია. — ახლა
საქმეს მივხედოთ. ფული გვაქვს?
— გვაქვს, — უპასუხა ალეკმა.

— რამდენი?

— ათი ცალია. დანარჩენი, როცა მიუიღებთ, მაშინ იქნება.

— რიგზეა. ხვალ შეიძლება საქონელი მივიღოთ. სად მოგიტანოთ?

ამჯერად ალეკმა პასუხის გაცემა შრეტერს დაუთმო.

— პარკში, — უპასუხა ექიმ. — საღამოს ექვს საათზე, მთავარ გუბურას-თან.

— შორსაა, დაწყევლოს ეშმაკმა, — დაიჭყანა კლიმჩაკი. — ნაყინიანი საზიდავი იქ მივა?

— ნამდვილად მივა, — დაარწმუნა ალეკმა.

კლიმჩაკი ცოტა ხანს დაფიქრდა.

— მაშ, კარგი! — თქვა მან ბოლოს. — ყოჩაღი ბიჭებია, არა, ფრანეკ? დიდებულად მოიგონეს ეს ყოველივე. დიდებულია! — ცოტა წყალი მოსვა მან. — მოვამთავროთ ეს საქმე და ზევე წავიდეთ. ორ-ორი დავადგეთ სანაპიროს. ჰაერი უნდა გამოვიცვალოთ. მასაც აწყენს აქაური ჰავა, მართალს გეუბნები, ფრანეკ?

— უჰ, რამდენს ტლიკინებ! — მოიქუფრა იგი.

— აღარ ვილაპარაკებ. ფულს მივიღებ და დღესვე გამოგემშვიდობები.

შრეტერმა ხელი ჩაიყო ჯიბეში და ფულიანი კონვერტი ამოიღო, მაგრამ ალეკმა იგი მაგიდის ქვეშ შეაგდო.

— ნახე! — წაიბურდღუნა მან. — ბებერი მოდის.

შრეტერმა ქუჩაში გაიხედა და წელში გაიმართა.

—ერთი წუთით, ბატონებო, — წყნარად თქვა მან.

შუა ქუჩაზე იმავე ღია ფერის კოსტუმში გამოწყობილი კოტოვიჩი მიდიოდა. ჰაბუკივით წელში გამართულს ხელში ჯოხი ეჭირა, მაღალი ტანის მამაკაცი აქეთ-იქით იხედებოდა და პირდაპირ კაფისკენ მიემართებოდა. შრეტერი სწრაფად წამოდგა ფეხზე. ტერასაზე ასასვლელთან შეხვდნენ ერთმანეთს.

— ოჰ, ამას ვის ვხედავ! — გაიხარა კოტოვიჩმა. — საღამო მშვიდობისა, ოქრო კაცო.

მეგობრულად ჩამოართვა ხელი შრეტერს.

— დაბრუნდა იანუში? — ჰკითხა ექიმ.

კოტოვიჩი მოიღუშა.

— ნაძირალა!

— არ დაბრუნებულა?

— შეიძლება საერთოდ აღარ დაბრუნდეს. გაიგეთ, ძვირფასო, რა დღეში ჩამაყენა? რა უსიამოვნება მომაყენა? სირცხვილია პირდაპირ.

— რა თქმა უნდა, გასაგებია, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მესმის ყველაფერი.

— რა არის გაუგებარი; ყველაფერი აშკარაა, მზესავით ნათელია. ნაძირალა!

— შეიძლება რაღაც დაემართა?

კოტოვიჩმა გაოცებით აძგიბა გაფარჩხული წარბები.

— იმას? არ გცნობიათ, ჩემო ბატონო. რა სალაპარაკოა. მრუშობს, ალბათ სადმე, ან ფულს წაიღებდა, ვინმე კახპასთან იქნება. ვიცნობ, საყვარელო, ჩემს ვაჟს. სამწუხაროდ, თქვენგან განსხვავებით სხვა წყობის კაცია. ვერაფერს იზამ კაცი. ღმერთი ყველას არ დააჯილდოებს კარგი შვილებით.

ნათქვამია, ფარაში კოჭლი ცხვარი არ გამოილევაო. ჯვარი დაუსვით თქვენს მეგობარს, იგი არ არის თქვენი ღირსი; ამას მე გეუბნებით. მისი შემ[illegible]

იგი შოფერს გამოეთხოვა და შუა ვერანდაზე გავიდა; თავაზიანად უღიმოდა სუფრასთან მსხდომთ და ქუდმოხდილი აძლევდა სალამს. [illegible] ყველა ცნობილ კაცს იცნობდა ქალაქში და თვითონაც ცნობილი [illegible] იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმ დროზდოვსკისთან მჯდარმა პანი კასია სტანევიჩმა შორიდან შენიშნა აღნაგი მამაკაცი და გახარებულმა ხელი დუქნია. კოტოვიჩი გზადაგზა სალამს არიგებდა, ისე მიდიოდა მათი სუფრისკენ.

—მოგესალმებით, ძვირფასო ქალბატონო! სალამი, ექიმო! რა სასიამოვნო შეხვედრაა. როგორ ბრძანდებით?

— კარგად! — გაიცინა პანი კასიამ. — იმ მშვენიერი საღამოს შემდეგ შეიძლება თავს ცუდად გრძნობდე?

ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდი და საგაზაფხულო ჭრელი კაბა ისე უხდებოდა, ოცდაათ წელზე მეტს ვერ მისცემდი. გახარებული გამოიყურებოდა. ოდნავ აჭზნებულ თვალები უბრწყინავდა. ტილოს კოსტიუმში გამოწყობილი შავთმიანი, ზეთისხილისფრად გარუჯული დროზდოვსკი სამხრეთელი, ესპანელი ან იტალიელი გეგონებოდა.

კოტოვიჩმა თავისუფალი სკამს გახედა.

— დავჯდე?

— რა თქმა უნდა, დაბრძანდით. ოცნებად მქონდა თქვენი ნახვა.

— თქვენ?

— იცით რატომ? დიდი სათხოვარი მაქვს, ძვირფასო დირექტორო.

— ყოველთვის მიმსახურეთ, — გულზე ხელი დაიდო მან. — მზად ვარ.

— სამწუხაროდ, ეს საკითხი ნივთიერ მდგომარეობას ეხება.

— რა უნდა ქნა. მარტო სულიერი საზრდოთი ვერ იცოცხლებს ადამიანი.

— მართალია, — ლაპარაკში ჩაერია დროზდოვსკი. — მე ექიმი ვარ და ამაზე შემიძლია ორიოდე სიტყვა გითხრათ. ნებას თუ მომცემთ, მე თვითონ გადავცემ დირექტორს თქვენს თხოვნას.

— დიდებულია! — გაუხარდა პანი სტანევიჩს. — ძალიან მიჭირს ასეთ რამეზე ლაპარაკი. ამისი საერთოდ არაფერი მესმის.

დროზდოვსკი კოტოვიჩის გვერდით გადაჯდა.

— უნდა გითხრათ, რომ პანი სტანევიჩს დანაზოგი — ოქროულობა, სამკაულები აქვს.

— გასაგებია, გასაგები, — უთხრა კოტოვიჩმა.

— ახლა უნდა ის ყოველივე ფულად აქციოს.

— ნამდვილად აწყობია! ყოჩაღ! ფული უნდა ცოცხლობდეს, ტრიალებდეს, მოგება მოჰქონდეს. ყველაფერი გასაგებია. საქმე მოგვარებულია. ჩემი მხრით, ყოველგვარ დახმარებას აღმოგიჩენთ. როდის მოვიდე თქვენთან?

პანი კასიამ დროზდოვსკის შეხედა.

— ხვალ რომ მოხვიდეთ?

— ჰო, ხვალ ჯობია მოსვლა, — დაემოწმა დროზდოვსკი და მომხიბლავად გაიღიმა. — ჩაშუადღევეს.

— ასე აჯობებს! — თავი დახარა კოტოვიჩმა. — სისწრაფე წარმატების საწინდარია. ხვალ ნაშუადღევს გეახლებით. მორჩა.

სკამის თხელ საზურგეს ფართო მხარბეჭით მიეყრდნო და ღრმად ამოისუნთქა.

— რა მშვენიერი დღეა! გაიხედეთ, რა გადანათებულია წიფლის ხეები. რა ნაზი ფერებია, რა სიცოცხლე და სილამაზეა! გენიალური მხატვარიც კი ვერ შეძლებდა დაეხატა ბუნების ეს პატარა სასწაული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუაღამე გადასული იყო, როცა რამდენიმე უძილო საათის შემდეგ შრეტერი წამოდგა, პატარა ლამპა აანთო, პორტფელიდან უბის წიგნაკი ამოიღო და დაწერა: „დავმარცხდი. ყველაზე ნაკლებად რომ ველოდი, სწორედ იმ მხრიდან ვიწვნიე დარტყმა. ვერაფერს იზამ. რომ გაიმარჯვო, დამარცხება უნდა ისწავლო. ალკა-ს ვძულვარ, მაგრამ მე უფრო მძულს იგი. ვნახოთ, რა მოხდება!“

IX

სადაგ დღეებში, შაბათის გარდა, საკომენდანტო საათის გამო, კონცერტები „მონოპოლში“ რვა საათზე იწყებოდა. კრისტინა შვიდზე უნდა ყოფილიყო ბარში. ხელმიცკიმ იგი რესტორნამდე მიაცილა.

თბილი დღე იყო, მაგრამ არა გუშინდელივით ლამაზი და საგაზაფხულოდ მორთული. ცაზე მიცურავდნენ ლეგა ღრუბლები; ხანდახან ქარი ამოვარდებოდა; ალბათ, ღამით იწვიმებდა. ქალაქში აუტანლად ცხელოდა. ბაზარში ყველაფერი დუღდა და გადადუღდა. მყვირალა ქუჩის ვაჭრები, ოქროსა და ვალუტის გადამყიდველები დარბოდნენ მოედანზე. დუქნებთან იდგა ერთი ყვირილი და რია-რია. გამუდმებით მოგრიალობდნენ და მიგრიალობდნენ სატვირთო მანქანები. მტვერი აყალყულიყო და ბენზინის აუტანელი სუნი იდგა. რადიოში ვიღაცა სიტყვას ამბობდა.

მესამე დღეს პირველად შორდებოდნენ ერთმანეთს. რესტორანთან კრისტინამ გამომშვიდობება დააპირა.

— ერთი წუთით დაიცადე, — ხელი დაუჭირა ვაჟმა.

— გვიანია უკვე.

— ერთი წამით. რას ფიქრობ, დღეს დიდხანს იქნები?

— წარმოდგენა არა მაქვს. ისე, ორშაბათობით ცოტა ხალხია.

— ათისთვის განთავისუფლდები?

— შეიძლება.

სამი მამაკაცი შემოვიდა რესტორანში, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მაცეკს ისევ კრისტინას ხელი ეჭირა.

— დაგელოდები.

— ახვალ მაღლა?

— წუთით ავირბენ.

— მერე?

— სალაპარაკო მაქვს. როგორც კი გამოვალ, შენთან მოვირბენ და ყველაფერს გეტყვი, კარგი?

კრისტინამ თავი დაუქნია.

— მხოლოდ ერთი წუთით.

— ცხადია. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება.

— ასე გგონია?

გვერდით მტვრისაგან გათეთრებულმა ჯიპმა გაიარა და რამდენიმე ნაბიჯის იქით, სასტუმროს წინ ხრჭიალით დაამუხრუჭა. მათდა უნებურად ორივემ იქითკენ გაიხედა. ხელმიცკი შეკრთა. იგრძნო, რომ სისხლი გაეყინა და ფეხები დაუმძიმდა. ჯიპიდან ნელ-ნელა, მძიმე-მძიმედ შჩუკა გადმოვიდა, მტვრიანი ლაბადა ეცვა, ცალ ხელში ჯოხი ეჭირა. მძღოლი, მაღალი, ჩამოქნილი კაცი ტროტუარზე იდგა; ტყავის ქურთუკი და წაღები ეცვა. [illegible] წლის ავტომატიანი მილიციელი მანქანაში უკან იჯდა.

უცებ მაცეკმა იგრძნო, რომ კრისტინა სახელოზე ექაჩებოდა.

— ასე რას მისჩერებიხარ?

მაცეკი ნელა, მძიმედ მიტრიალდა მისკენ. კრისტინამ ახლაღა შენიშნა, რომ ვაჟს ფერი აღარ ედო.

— მაცეკ! — შეშინებულმა უყვირა მან.

ვაჟმა გაღიმება სცადა, მაგრამ მხოლოდ სახე მოეღრიცა. თითქოს თხელ კედელს იქიდან ესმოდა შჩუკას ბოხი ხმა და მისი თანმხლების დაჭედილი წაღების პაკაპუკი. მიხვდა, რომ ისინი სასტუმროში შედიოდნენ.

— მაცეკ! — ისევ წაიჩურჩულა კრისტინამ. — რა დაგემართა?

ამჯერად ვაჟს მართლა გაეღიმა.

— არაფერია, სისულელეა, მნიშვნელობა არა აქვს. მართლა გეუბნები! — ხელზე ხელი მოუჭირა ვაჟმა. — რაღაც მომეჩვენა.

— რა მოგეჩვენა?

— სისულელეა ამაზე ლაპარაკი.

— რაღაც უცნაურად გამოიყურებოდი.

— ჰო? ახლა?

— ახლა არა.

— აი, ხედავ. მართლა უნდა წახვიდე?

— მართლა.

ქალიშვილი ერთხელ კიდევ დააკვირდა, მაგრამ მაინც ვერ დაწყნარდა.

— ვინ იყო ის ხალხი?

ვაჟმა გაიკვირვა.

— რომელი ხალხი?

— აი, ახლა რომ გადმოვიდნენ მანქანიდან.

ხელმიცკი მიბრუნდა. შჩუკა და მისი მხლებელი უკვე სასტუმროში შესულიყვნენ. მანქანასთან, ტროტუარზე ორი მილიციელი იდგა და პაპიროსს ეწეოდნენ.

— წარმოდგენა არა მაქვს, ალბათ, ჩამოსულები არიან.

— არ იცნობ?

— აბა საიდან უნდა ვიცნობდე!

ეს ისე უშუალოდ, გულგრილად წარმოთქვა, რომ კრისტინამ დაიჯერა.

— აბა, კარგად იყავი, — გაიღიმა ქალიშვილმა.

ვაჟმა თვალი გააყოლა და როცა რესტორნის კარი მოიხურა, მან უდიდესი შვება და დაღლილობა იგრძნო. ვერც კი შეამჩნია, რომ „მონოპოლში" სწრაფად შემოსულმა კაცმა გვერდი გაჰკრა. მერე ვიღაც სხვამ ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა იგი და ერთ-ორჯერ გამოხედა. მაცეკს თავი დაეხარა და გულში ისეთ საშინელ სიცარიელეს გრძნობდა, თითქოს დაბრმავდა, დაყრუვდა, უკუნეთ მარტოობაში ჩაიძირა. ძრავის გუგუნი ჩაესმა ყურში და მაშინღა მოეგო გონს. თავი ასწია. შჩუკას მხლებელი საჭესთან იჯდა, მილი-

ცილები უკან ისხდნენ. მანქანა დაიძრა და ბაზართან თვალს მიეფარა.

ხელმიცკი რესტორნიდან გამოვიდა და ნელ-ნელა გაუყვა ქუჩას. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მაშინღა მიხვდა, რომ სასტუმროსკენ არ მიდიოდა, შემობრუნდა და ანჯეის შეეფეთა. მოულოდნელობისაგან მაცეკი ტროტუარზე გაქვავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა! — მიესალმა ანჯეი. — სად დაიკარგე?

— მე? სწორედ შენთან მოვდიოდი. არ გითხრა შენმა ძამიკომ?

— წერილი არ მიგილია?

— რა წერილი?

ანჯეიმ ყურადღებით შეხედა.

— შვეიცარს დავუტოვე. სამჯერ შემოვიარე დღეს შენთან, მაგრამ ვერ გნახე. სად დაეხეტები?

— ხომ გითხარი, შენთან მოვდიოდი-მეთქი.

ანჯეი გაღიზიანდა.

— შეიძლება.

— შენთან ლაპარაკი შეუძლებელია. მოგწერე, ნუ მოხვალ, შვიდ საათზე მე თვითონ გამოგივლი-მეთქი. ახლა შვიდი საათია.

— მოხდა რამე?

— არაფერი მომხდარა. სახლიდან წამოვედი, სროკასთან ვათევ ღამეს.

— რა ამბავია? — შეშფოთდა მაცეკი.

— ისეთი არაფერი. არ ღირს ამაზე ლაპარაკი. წავიდეთ. ქუჩაში რას ვდგავართ? საით გავუყვეთ? „მონოპოლში?

— არა, დამაცა ცოტა ხანს.

მაცეკმა იგრძნო, რომ გაწითლდა. ანჯეიმ შეამჩნია ეს და დამცინავად გაიღიმა.

— ხომ არ მოგბეზრდა ეს რესტორანი?

— არა, მაგრამ რატომ უნდა წავიდეთ იქ? ორკესტრი გაგვაყრუებს. ჯობია, ჩემთან ავიდეთ.

— როგორც გინდა. ბევრი გილია.

— რაზე მეტყობა?

— ფეხსაცმელზე.

იგი მაცეკს ოთახში შეყვა. ღამის მაგიდაზე ერთი კონა ია იდო.

— ეს საიდან?

მაცეკმა ფანჯარა გააღო.

— რა?

— აი, ეს!

მაცეკი მობრუნდა.

— ვერ ხედავ? იებია.

— ვიცი.

— აბა, რა იყო?

— შენთვის ყიდულობ ყვავილებს?

ანჯეიმ პიჯაკი გაიძრო, საწოლზე ჩამოჯდა და კედლისკენ თითი გაიშვირა.

— იქ არის?

მაცეკმა თავი დაუქნია.

— ნომერშია?

— ჰო, ეს-ესაა დაბრუნდა.

— კარგი მეზობელი გყავს.

ხელმიცკის ხმა არ ამოუღია.

— რატომ წამოდი სახლიდან? — ჰკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ. — იჩხუბე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, რაღაც ამისდაგვარი.

— რა მოხდა?

— ოჰ, არც ღირს ამაზე ლაპარაკი. ოჯახური უთანხმოება ჩემი მომავლის, სწავლის თაობაზე, მიმიხვდი? მამაჩემისთვის ეს ქვეყანა ოცდაცხრამეტ წელს გაიყინა. საერთოდ ვერაფერს ხვდება, თუმცა რამდენიმე წელი იჯდა ბანაკში. სულ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, მომავალზე, ნივთიერ კეთილდღეობასა და ამდაგვარ რამეებზე ფიქრობს. მეც სულელურ მდგომარეობაში ვარ. ყველაფერს ხომ არ ვეტყვი, რასაც ვფიქრობ.

— იციან, რომ წასვლას აპირებ?

— იციან. აქედან დაიწყო ყველაფერი. რა თქმა უნდა, წარმოდგენა არა აქვთ, საით და რატომ მივემგზავრები. თუმცა ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ, სხვა ბევრი რამეცაა საფიქრალი.

ხელმიცკი ჩაფიქრდა.

— ეჰ, ადამიანი ვერ აფასებს, რა სიმდიდრის პატრონია. — უცებ თქვა მან. — დედა ან მამა რომ მყავდეს...

— შენ ამბობ ამას? — გაიოცა ანჯეიმ. — ასეთი რამ ხომ ფეხებზე გეკიდა, და სწორადაც იქცეოდი. არავინ და არაფერია შეყვარების ღირსი. რა საჭიროა? მერე უფრო მტკივნეულად რომ განიცადო განშორება? მაგრამ ახლა ვიკმაროთ... მომისმინე...

— გისმენ.

— დაჯექი! ყვირილს ხომ არ დავიწყებ. რა მოგდის? რაღაც გამოლენჩებული მეჩვენები.

— მე? რატომ?

— აბა, რა ვიცი. დაჯექი!

— განაგრძე, — უთხრა მაცეკმა და დაჯდა.

— ხვალინდელ დღეზეა ლაპარაკი. ფლორიანმა გამგზავრებამდე...

— წავიდა?

— ჰო, გუშინ წავიდა დავალებით. წერილი გამომიგზავნა. ხვალ დილით კალინუვკაში უნდა ვიყო. ბიჭები დამიცდიან. პირველივე ავტობუსით უნდა წავიდე. ყურს მიგდებ თუ არა?

მაცეკი წინ გადახრილი იჯდა. იდაყვები მუხლებზე ჩამოეყრდნო.

— გისმენ.

— ისეთი გამომეტყველება გაქვს, თითქოს არაფერი გესმოდეს.

— გისმენ! მაშ, დილით მიდიხარ...

— რახან ხვალინდელი საქმის მოგვარება შენ იკისრე, ფლორიანმა თქვა, სროკა, სვიდერი და თადეუში ხვალ დილით წამოვიდნენო. თუმცა მე ახლაც არ ვიცი, როდის, სად და რანაირად გინდა ამის გაკეთება. ბიჭები ხომ არ დაგეტოვებინა დასახმარებლად? კარგად მოიფიქრე. ყოველ შემთხვევაში ხვალ საღამოს კალინუვკაში უნდა იყო. შენი საბუთები უკვე გავამზადე. ძალიან

კარგი სახელი და გვარი გაქვს. აილე! — ახალი ქენკარტე[1] დააგდო მაგიდაზე. — სტანისლავ ცეშკოვსკი. სწორედ ხვალაა შენი დღეობა, [illegible]. რა ლამაზად აეწყო ყველაფერი, თუმცა გვეყოფა ხუმრობა. [illegible] გითხრა, ძალიან არ მომწონს შენი აჭაური ბინა და ის, რომ ქალაქ[illegible]. ალბათ, ას ნაცნობს მაინც გაიჩენდი და ყოველი გამვლელი გი[illegible]ამდი?

მაცეკმა თავი გააქნია.

— არა? მაშ, რას შვრებოდი ამ ორ დღეს? გოგოებს დასდევდი?

უცებ ხელმიცკი წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მერე კოსეცკის წინ გაუჩერდა.

— მისმინე, ანჯეი, მინდა სერიოზულად მოგელაპარაკო.

კოსეცკი კედელზე მიეყრდნო.

— გისმენ.

— მინდა...

— რა გინდა?

— მხოლოდ სწორად გამიგე. მინდა ყველაფერს ხაზი გადავუსვა და ახალი ცხოვრება დავიწყო. კარგად იცი, ლაჩარი არა ვარ, თუმცა კმარა. ჩემი ხომ გჯერა?

ანჯეიმ ყურადღებით შეხედა. მაცეკის სიტყვები თითქოს ოდნავადაც არ გაიოცა.

— განაგრძე, გისმენ.

— აღარ შემიძლია ასე ცხოვრება. არც მინდა. რა უიმედოდ მეჩვენება ყველაფერი. რამდენ ხანს ვიცხოვრო ასე? მერე რა იქნება? ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვიყო ჩვეულებრივად? ჰო, მესმის, ოდნავ გაოცებული ხარ, რომ ასე გელაპარაკები, მაგრამ...

მაცეკი დაჯდა და ანჯეის მუხლზე დაადო ხელი.

— ყური დამიგდე, ანჯეი, მინდა გულახდილად გელაპარაკო. იცი რა, ერთი გოგო გავიცანი. შემიყვარდა. მასაც ვუყვარვარ. ერთად ვაპირებთ ცხოვრებას. გამიგე, ანჯეი, აღარ მინდა კაცის კვლა, ხოცვა, სროლა, დამალვა. ჩვეულებრივი, უბრალო ცხოვრება მწადია და მეტი არაფერი. უნდა მიმიხვდე ამას.

ანჯეი წელში გაიმართა და წარბები შეჰმუხნა.

— მაპატიე, მაგრამ არაფერი მესმის. დაიცა! ერთი ისიც მითხარი, რანაირად უნდა გავიგო შენი სიტყვები? როგორც ჩემი მეგობრის თუ მეთაურის?

ხელმიცკი დაიბნა და წამ-წითლდა.

— ვერ გავიგე...

— განსაკუთრებულ ვერ ვთქვი? თავიდანვე გითხრობილებ: ამჯერად როგორც მეთაური, ისე გელაპარაკები. მორჩა და გათავდა. მიხვდი?

მაცეკმა დაბნეულად შეხედა.

— არ ვიცი, რა გითხრა... ისე გელაპარაკებოდი, როგორც უახლოეს მეგობარს. მეგონა, შენ მაინც გამიგებდი.

— გულს ნუ მიჩუყებ! — უხეშად შეაწყვეტინა ანჯეიმ.

საწოლიდან წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა. ეზოში ერთი მოსული, ჩამკვრივებული გოგო ახალგაზრდა ოფიცრანტს ელაპარაკებოდა. ქვემოდან ჭურჭლის წკრიალი ისმოდა. ბაღში ბეღურები ღუღუნებდნენ. უცებ მოაგონ-

[1] ქენკარტე — პიროვნების მოწმობა, რომელსაც ოკუპანტები პოლონელებს რომ აძლევდნენ.

და შაბათს ვაგასთან საუბარი. მოეჩვენა, თითქოს ეს საუბარი რამდენიმე თვის წინათ გაიმართა. იგი მაცეკს მიუბრუნდა.

— ვინ გითხრა, მე ბეჩიდერა, რომ ვერ გავიგებ? მაგრამ მოვეშვათ ამას. ფხიზლად ასწონ-დასწონე. გოგო შეგყვარებია. კეთილი. ეს შენი საქმეა. ის გოგოსაც უყვარხარ. ესეც შენი საქმეა. ასე ვთქვათ, თქვენი საქმეა. მაგრამ მოვალეობას თუ არ შეასრულებ, უკაცრავად ვარ და, შენი პირადული საქმე აღარ არის, იცი. რა ჰქვია ამას?

ხელმიცკი წამოჭარხლდა.

— მე ხომ გამქცევი არა ვარ, ანჯეი. მოვედი და ყველაფერი გითხარი.

— რა მითხარი? გაქცევა მინდაო. ელოდები, რომ მეგობრულად გადაგეხვევი, დაგლოცავ და გეტყვი: „დიდებულია, ძვირფასო, გოგო შეგყვარებია, ახლა, როგორც გესიამოვნება, ისე მოიქეცი". ღმერთო! რამდენჯერ გავწირეთ სიცოცხლე მე და შენ? განა მაშინ რომ შეგყვარებოდა ვინმე, მოხვიდოდი და მეტყოდი: „ყური დამიგდე, ანჯეი, ერთი გოგო შემიყვარდა, ბოლოს და ბოლოს მშვიდი ცხოვრება მწყურია, ჩემი იმედი ნუღარ გექნებათ." მეტყოდი ამას? ან ძველ ქალაქში რომ ვიყავით, მაშინ მეტყოდი?

— მაშინ სხვა ამბავი იყო.

— ცდები. ახლაც იგივე ჯარისკაცი ხარ.

ხელმიცკი მკვეთრად მიბრუნდა მისკენ.

— რატომ, რისთვის უნდა გავწიროთ ყველაფერი? მაშინ ეს გასაგები იყო. ახლა? მითხარი, რატომ უნდა მოვკლა ეს კაცი ან სხვა? რატომ დავხოცო?

— ნუ გაფურინდე. აქამდე იცოდი, რატომ უნდა გექნა ეს? შაბათს, ამაზე რომ ვლაპარაკობდით, კი იცოდი?

ხელმიცკი დუმდა.

— არა, — ამოილუღლუღა მან ბოლოს, — ამაზე არ მიფიქრია.

— რა სამწუხაროა!

— შენ ყველაფერი იცი.

— ამით თავის გამართლება არ შეიძლება.

— განა თავს ვიმართლებ, ანჯეი? აბა, ერთი კარგად ასწონ-დასწონე!

— შენ რას ფიქრობ?

— მე, პირიქით, ჩემს თავს ვიდანაშაულებ.

— თავს იდანაშაულებ, მშვიდი ცხოვრება გწადია, არა?

ხელმიცკიმ თავი დახარა.

— ანჯეი, — ჩუმად წარმოთქვა მან, — რით ვერ გაიგე, რომ ადამიანი შეიძლება შეიცვალოს?

— გავიგე, მაგრამ არის შეუცვლელი რაღაცაც, რასაც საფსებით ივიწყებ.

— დისციპლინა?

— არა, სულ სხვა რამ, ღირსება.

— ღირსება რა კეთილგონივრულია?

— ნუ მაცინებ. მოეშვი სიტყვების რახარუხს. რომანტიკოსები აღარა ვართ, რა შუაშია კეთილგონიერება. შენ ყიდვაცი ხომ არა ხარ? აბა, თვითონ დაფიქრდი, ვინ ხარ? მითხარი, შეგიცვლიათ, რომელს ეერთგულებ: ამას თუ იმას? არა, ძვირფასო, ასე არ გამოვა: ერთგულება უჩვენოდაც არსებობს. გავიწყდება, რომ ამდენი წლიწადი ჩვენთან იყავი და ახლაც ჩვენთან ხარ. აი, რა არის მთავარი. ადამიანს თავისი თავის ერთგული მაშინაა, როცა მოვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობა არ ავიწყდება. აი, რა არის ღირსება, გამიგე? შეიცვლები, თუ არ შეიცვლები, ეს არავის საქმე არ არის.

ხელმიცკი თავდახრილი იჯდა, ხელები მუხლებშუა ჩაეყო.

— ჰო, რა ვქნა? — ყრუდ იკითხა მან ბოლოს და ხმაში დაღლილობა გაუკრთა.

— უპირველეს ყოვლისა დამშვიდდი, თავი მოთოკე. მერე...

— ვიცი. ძალიან მიგაჩნია ის კაცი?

— ის არა, შე სულელო! ბრძანება ბრძანებაა. ან შენ შეასრულებ ან შენ ნაცვლად მე.

მაცეკი წელში გაიმართა.

— შენ?

— რა თქმა უნდა, აბა, რა გეგონა? შენ რა იფიქრე? თავიდანვე მინდოდა ეს საქმე მე მეკისრა. აბა გაიხსენე? შენ არ მთხოვე, ეს საქმე მე მომანდეთ, ფლორიანს მოელაპარაკეო?

მეზობელი ოთახიდან ვილაც გავიდა დერეფანში. კარი მიიხურა და გასაღებმა გაიჩხაკუნა.

ანჯეიმ მიაყურა.

— ის არის?

— ალბათ.

— წავიდა?

— შეიძლება.

— იცავენ?

— არ ვიცი. ხომ გითხარი, ეს წუთია, რაც მოვიდა-მეთქი.

— არ იცი, ხვალ რას აპირებს?

დაღლილმა მაცეკმა ნელა გადაისვა შუბლზე ხელი.

— ათ საათზე დაკრძალვაა... იმ ორს მარხავენ...

— ვის?

— აი, მათ! ვითომ არ იცი.

— ჰო, იმათ? კეთილი. მერე?

— არ ვიცი.

ანჯეი გაბრაზდა.

— კაცმა რომ თქვას როგორ წარმოგიდგენია ეს ყოველივე? სად, როდის? იცი, მაცეკ, აღარ მინდა თქმა, რა ჰქვია ამნაირ სამუშაოს. საერთოდ რატომ მოკიდე ხელი ასეთ რამეს? ნახე კაცპერი?

ხელმიცკი უცებ ვერ მიხვდა, ვისზე იყო ლაპარაკი

— ვინ კაცპერი?

— არ იცნობ კაცპერს?

— აჰ, იმ ყმაწვილს სახელმწიფო უშიშროებიდან? არა, არ მინახავს.

— არ გინდოდა ნახვა?

ანჯეიმ ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიყო და გაჯავრებული მოჰყვა ბოლთის ცემას.

— ვინ არის ის გოგო? — უცებ ჰკითხა მან.

— ამას არა აქვს მნიშვნელობა.

— იცის შენი ამბავი?

— იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— არაფერი.

ანჯეიმ მხრები აიჩეჩა.

— ადამიანურად მაინც გამეცი პასუხი.

— რატომ? ხომ მითხარი, ეს შენი საქმეაო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ანჯეი ოთახში მიდი-მოდიოდა. უცებ ხელმიცკი ფეხზე წამოდგა.

— აბა, კარგად იყავი!

ანჯეი წინ გაუჩერდა.

— კარგად ვიყო?

— ყველაფერს მოვაგვარებ.

— ხვალ?

— ჰო.

— კი მაგრამ, რანაირად?

— ეს უკვე ჩემი საქმეა. არავინ მჭირდება.მე თვითონ მოვუვლი ამას.

— რას სულელობ?

— ნუ გეშინია. სისულელეს არ ჩავიდენ. მიყვარს სიცოცხლე. შეგიძლია დამშვიდდე. მაგრამ მორჩა.

ანჯეიმ ყურადღებით შეხედა და უცებ, სიტყვა არ უთქვამს ისე, ფანჯარასთან მივიდა. ცოტა ხანს იდგა ასე, ბოლოს ჰკითხა:

— მაშ, კალინუვკაში არ დაგელოდო?

— არა.

მხოლოდ ახლა მიბრუნდა იგი მაცეკისაკენ და ფანჯრის რაფაზე ჩამოეყრდნო.

— რას იზამ, — მშვიდად უთხრა ანჯეიმ. — მაშასადამე, ჩვენი გზები გაიყარა. მათ მხარეზე გადადიხარ. ალბათ აღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს. ან შენ ხარ მართალი ან მე.

ცოტა ხანს ჩაფიქრებული იდგა, ბოლოს გასწორდა, მაცეკთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

— ჯერჯერობით!

ხელმიცკის ყელი გაშრობოდა, ძლივს ამოიღო ხმა.

— ჯერჯერობით, — ჩუმად უთხრა მან.

თვალწინ დაუდგა მკვდარი ამხანაგებისა და მეგობრების წარსული, როცა იმედებით იყო აღვსილი და ძმებს აღმერთებდა.

— ანჯეი! — მიაძახა მაცეკმა.

ანჯეი კართან შეჩერდა, სახეგაფითრებულს ტუჩები მოეკუმა.

— რა იყო?

— მითხარი... შენ თვითონ გჯერა, რომ მართალი ხარ?

— მე? — გაიკვირვა ანჯეიმ. — არა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ნახვამდის!

თხუთმეტი წუთის შემდეგ ხელმიცკი ძირს ჩავიდა, მსუქანი მეკარისაგან საფოსტო ქაღალდი იყიდა, ჰოლში მაგიდას მიუჯდა და საჩქაროდ ფანქრით წერილი დაწერა:

„საყვარელო, მხოლოდ ხვალ საღამოს გავთავისუფლდები. სხვანაირად არ შემიძლია. დღეს ნუ მოხვალ. მერე ყველაფერს აგიხსნი და გეხვეწები, ნერვებს ნუ აიშლი. ხვალ ვარშავაში წავალ. მატარებელი საღამოს ცხრაზე ჩამო-

დგება. ჩემთან ნუ წამოხვალ, მხოლოდ ერთი სიტყვა დამიწერე: „ჰო.“ ვაგზალზე შევხვდებით ერთმანეთს. წამოსვლას თუ ვერ შეძლებ, ან გამგზავრებამდე შემოგირბენ ან ვარშავიდან მოგწერ წერილს და მისამართს შეგატყობინებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი კარგად იქნება, საყვარელო. მაშ, ნუ იდარდებ. ერთი დღეღა დარჩა. არაფერზე იდარდო!.“

ნაწერი აღარ წაუკითხავს, ქაღალდი კონვერტში ჩადო. შიკრიკს გადასცა და აუხსნა, სად ვისთვის მიეტანა. მერე ღრმა სავარძელში ჩაესვენა.

ჰოლში არავინ ჩანდა. რესტორნიდან ყრუდ ისმოდა მუსიკის ხმა. ხელმიცკი ფიქრს მისცემოდა და ვერ შეამჩნია, მეკარეს მასთან ლაპარაკი უნდოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა, სათვალის ზემოდან გადმოხედა და პირდაპირ ჰკითხა:

— მოგეწონათ ოთახი?

ხელმიცკიმ ძალად გაიღიმა.

— საუცხოოა!

ცოტა ხნის შემდეგ, მეკარეს ვასიამოვნოო, დაუმატა:

— კარგია თქვენი ოსტროვეცი.

მეკარეს სახე დაემანჭა.

— ეჰ, ვარშავასთან რას მოვა. ვარშავაში ბრუნდებით, ძვირფასო ბატონო?

— ჯერ კრაკოვში.

— ჰო, ჩაფიქრდა მოხუცი. ლამაზი ქალაქია. ომამდე ვარ ნამყოფი. ყველაზე საუკეთესო სასტუმრო „ფრანცუსკია“, მაგრამ ვარშავას რას მიედრება.

შიკრიკმა უფრო ადრე მოუტანა პასუხი, ვიდრე ხელმიცკი ელოდა. მოუთმენლად გადახია კონვერტი, ხელები უთრთოდა. უბის წიგნაკიდან ამოხეული პატარა ქაღალდი იდო შიგ, რომელზეც წვრილი ასოებით ეწერა: — ჰო, მიყვარხარ.

— კარგი ამბავია? — პირდაპირ ჰკითხა მეკარემ.

ხელმიცკიმ თავი დაუქნია.

— დიდებული.

ერთხელ კიდევ გადაიკითხა ეს ორი სიტყვა. მერე დიდხანს დასცქეროდა, არც სიხარულს გრძნობდა და არც შვებას.

## X

მთელი ღამე კოკისპირულად წვიმდა, აგრილდა, ღრუბლიანი ამინდი იყო, ქარი ქროდა. ხელმიცკი ძალიან ადრე მივიდა სასაფლაოზე. მრავალი სიტყვა წარმოითქვა, დამკრძალავი პროცესია თერთმეტ საათზე ადრე გზას ვერ გააგრძელებდა, სასაფლაომდე კი გრძელი სავალი იყო, მთელი ქალაქი უნდა გაევლოთ, წითელი არმიის მოედნისთვის გვერდი აეხვიათ და სამი მაისის ხეივანს გაჰყოლოდნენ — ამას ერთი საათი მაინც დასჭირდებოდა. ხალხის რაოდენობის მიხედვით, ათ საათამდე დიდი ხნით ადრე ბაზრის მოედანზე რომ იყრიდა თავს, შეიძლებოდა გეფიქრა, დახოცილი მუშების დაკრძალვა დიდ მანიფესტაციად გადაიქცევაო. თორმეტის თხუთმეტი წუთი თუ იქნებოდა. მაშასადამე, ჯერ კიდევ დიდი დრო ჰქონდა.

ფართო, მაღალი ცაცხვებით დაჩრდილული ხეივანი სასაფლაოსკენ მიე-

მართებოდა. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ნიავქარი აშრიალებდა ტოტებგაშლილი ცაცხვების ახალგამოსულ ღია მწვანე ფოთლებს. ჯანღი ჩამოწოლილიყო. შორიდან, სასაფლაოს ბოლოდან ისმოდა ყვავების ჩხავილი.

ხელმიცკის პალტოს საყელო მაღლა აეწია, ხელები ჯიბეში ჩაიყო და ნელა მიჰყვებოდა ხეივანს, ირგვლივ სოლცარი სიჩუმე იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაფლაო ძველი, მიგდებული ჩანდა. ხეივნის ორივე მხარეს ხავსმოკიდებული საფლავის ქვები, ჩაჟანგული რკინისა და ჩაშავებული, გადაფერფლილი ხის ჯვრები მიუყვებოდნენ. ხშირ ბალახს დაეფარა საფლავები, ყვითლად ყელყელაობდნენ ბაბუაწვერები. ალბათ ეს იყო ძველი სასაფლაო. ვიწრო ხეივანში შეუხვია და თვალში ეცა მიგდებული საფლავები. ერთმანეთზე მიტყუპებულ მოუვლელ სამარხებზე უბრალო ხის ჯვრები იდგა. მაღალ ხეთა ჩრდილში მუდამ გრილოდა. უცებ ხელმიცკი შეჩერდა. თითქოს მიწასთან გასწორებულმა სამარემ მიიქცია მისი ყურადღება. ახლოს მივიდა. ჯვრის ნაცვლად სასაფლაოზე დიდი, უხეშად თლილი ქვა იყო. ქვაზე ნახევრად წაშლილი წარწერა დაინახა. დაიხარა და ისე წაიკითხა.

გამვლელო,
მეც ის ვიყავი, ვინც ხარ შენ,
შენც ის იქნები, ვინც ვარ მე.
მაშ, ვილოცოთ ერთმანეთისათვის!

ქვაზე გვარი არ ეწერა, არც თარიღი. იგი ამ წარწერას მისჩერებოდა და დააპირა „მამაო ჩვენოს" თქმა, მაგრამ შერცხვა, გზა განაგრძო. შავი თუნუქის ფირფიტაზე კითხულობდა სახელებსა და გვარებს, თარიღებს, მოკლე ახსნა-განმარტებებს, ჩვეულებრივ რომ აბოლოებდნენ ვიღაც უცნობის ცხოვრებას. სიჩუმე ჩამომდგარიყო. პატარა ციყვი ჩუმად გაძვრა საფლავებს შორის, უახლოეს ხესთან მიირბინა და ცქაფად აძვრა მაღლა. ხელმიცკიმ ხეს ჩაუარა; ტოტებში შემალული ციყვი პატარა, ცოცხალი თვალებით მისჩერებოდა. ცოტა იქით ვაგი ისევ შეჩერდა.

სამარე, სადაც გაჩერდა, ყველასგან გამოირჩეოდა. შავი მარმარილოს ფილაზე ოქროს ასოებით ეწერა: აქ განისვენებს ლეგიონერთა პირველი პოლკის მსროლელი იულიუშ სიძევიჩი, დაიბადა 1893 წელს და მამაცურად დაეცა 1915 წელს. გამოითვალა: განსვენებული მისი კბილა აღმოჩნდა. გვარის, დაბადებისა და გარდაცვალების წლების ქვეშ ლექსი ამოეკვეთათ. წაიკითხა:

ბრუნავ, ტრიალებ და მირიად ნაპერწკალსა ყრი,
იწვი, არ უწყი: იქნები კი თავისუფალი?
თუ ყველაფერი, რაც აქამდე გამოგყოლია,
განქარდება, რაც იყო შენი, შენი რაც არის.
დაგრჩება შენგან მხოლოდ ფერფლი, მხოლოდ ნაცარი,
და ქარიშხალი მიმოფანტავს ამ ქვეყანაზე.
მარადიული გამარჯვების მომწიფებული
უცებ გაკრთება დამარხული ფერფლში ალმასი...

ხელმიცკი მაშინვე მიხვდა, რომ რომელიღაც ცნობილი პოეტის ლექსის ნაწყვეტს კითხულობდა, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ლექსის ავტორი. ერთხელ კიდევ ჩაიკითხა და ჩუმად გაიმეორა: „დაგრჩება შენგან მხოლოდ ფერფლი, მხოლოდ ნაცარი, და ქარიშხალი მიმო-

ფანტავს ამ ქვეყანაზე“. რა დარჩა ამ უცნობი ყმაწვილკაცისაგან? მხოლოდ ფერფლი და ნაცარი?

მაცეკი თავდახრილი იდგა, გაყინული ხელები პალტოს ჯიბეში ჩაეწყო; მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ გაიცნობიერა, ამ საფლავში განსვენებულზე რომ ფიქრობდა, თავის თავს გულისხმობდა. „დარჩება შენგან მხოლოდ ფერფლი, მხოლოდ ნაცარი, და ქარიშხალი მიმოფანტავს ამ ქვეყანაზე“. თვალი ვერ მოაცილა ამ სტრიქონებს. ბოლოს სამარეს მოსცილდა, საფლავების ჯვრებს შორის გადიოდა და ჩუმად იმეორებდა ლექსს. მერე ასეთივე ვიწრო ხეივანში გავიდა. ხეივნის ბოლოს წითელი კედელი აღემართათ. იქ მთავრდებოდა სასაფლაო. ხეები აღარ ჩანდა, სიხალვათე იგრძნობოდა. ქარი ჩადგა და ისეთივე სიჩუმე ჩამოწვა, როგორც ხეების ქვეშ იყო. ნაწვიმარ მიწას სინოტივის სუნი ასდიოდა. ჯანღი თანდათან იფანტებოდა. მოქურუხებული ცა ნათდებოდა.

ხელმიცკიმ გვერდით პატარა ძელსკამი დაინახა და დაჯდა. წითელი კედლის იქით ბურუსში სამი უზარმაზარი წაბლის ხე ილანდებოდა. ხეებზე ხმამაღლა ჩხაოდნენ ყვავები. ეტყობოდა, ვიღაცამ დააფრთხო და აფრინდნენ. ცოტა ხანს დაფრინავდნენ, მერე ღრუბლივით დაეშვნენ შორეულ ხეებზე.

ხელმიცკი დაღლილობას გრძნობდა, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ გაძლო სკამზე. შინაგანად აწრიალებული იყო. წამოდგა და ხეივანში შევიდა. წითელ კედელთან უკან მობრუნდა. თორმეტი საათი სრულდებოდა. ფეხს აუჩქარა. მალე მთავარ ხეივანში გავიდა. ახლომახლო სულიერი არ ჭაჭანებდა. სასაფლაოს მეორე მხარეს გადავიდა და უცებ შეჩერდა. ის ორი სტრიქონი გაიმეორა, მაგრამ დაიბნა სულ. რამდენიმე სიტყვა ახსოვდა. ფერფლი, ნაცარი, უფსკრული... ჩუმად იმეორებდა სიტყვებს, მაგრამ ვერა და ვერ დაალაგა. რიტმიდან ამოვარდნილები ვერ შეერთდნენ. ხელმიცკიმ უკან გაბრუნება დააპირა, იმ საფლავს მოვძებნიო, როცა ორკესტრის შორეული ხმა გაისმა. ვაჟი დიდხანს იდგა გაუნძრევლად, მთელი ტანი ტყვიასავით დამძიმებოდა, გუშინდელივით დამძიმებოდა, კრისტინას რომ აცილებდა. უცებ შჩუკა დაინახა, მანქანიდან გადმოდიოდა. კარგად ისმოდა სამგლოვიარო მარშის საზეიმო, შენელებული ჰანგი. ხელმიცკიმ ძლივს გადაადგა გახევებული ფეხები და ნელა გაემართა მთავარი ხეივნისაკენ. ხეივნის თავში, სასაფლაოს ჭიშკართან ხალხი ირეოდა. მაშინვე შეამჩნია მათ შორის ფორმიანი მილიციელები.

ხელმიცკი ცაცხვის ხეს მიეყრდნო და შუბლზე ჩამოფხატული შლაპა აიწია. ცივ ოფლს დაეცვარა შუბლი. ორკესტრი თანდათან ახლოვდებოდა. სამგლოვიარო მარშის ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა და სასაფლაოზე ჩამოწოლილ სიჩუმეს ერწყმოდა. ხელმიცკიმ თვალი დახუჭა, აღარ ეწინააღმდეგებოდა აკვიატებულ აზრს, აქამდე რომ მოსვენებას არ აძლევდა. საკუთარი ხელით მოუღო ბოლო იმ ორ კაცს. ისინი კი არა, სხვა უნდოდა მოეკლა. მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას? ეს დანაშაული იმდენად უაზრო და სულელური იყო, რომ უფრო შემზარავი ჩანდა. თავის გასამართლებელს ვერაფერს პოულობდა. ყველაფერი მის წინააღმდეგ ლაპარაკობდა. ბრმა თანადგომა, ანჯეიმ რომ ახსენა? ღირსება და ერთგულება? არა, იგი გრძნობდა, რომ ამ კავშირითა და მოვალეობით კი არ იზომება სამართლიანობა, არამედ იმით, რაც ადამიანის არსებაშია. უცებ იგი საშინელებამ მოიცვა. როგორ მოხდა, რომ ორი ღამე კრისტინა გულში ჰყავდა ჩაკრული, დღისით კი თვალებში უყურებდა, ელაპარაკებოდა, თავს ბედნიერად გრძნობდა? რანაირად ეყო გაბედულება მისთვის სიყვარული აეხსნა? დღემდე მის გულში რამდენიმე

კაცი ცხოვრობდა: მკვლელი, ამხანაგი, მეგობარი, შემთხვევით გაცნობილი გოგოების სატრფო. ახალი ცხოვრება დაეწყო? პირველად იგრძნო, რომ ადამიანი ერთხელ ცხოვრობს. არ არსებობს ძველი და ახალი ცხოვრება, უკვალოდ არაფერი იკარგება, ხაზს ვერაფერს გადაუსვამ. ჰოდა, მერე? ამ ბოლო დღეებში, ყველაზე მღელვარებით სავსე წუთებშიც კი ქრისტინე ასე შორეული და მიუწვდომელი არ სჩვენებია. შეიყვარა და ამ სიყვარულის გულისთვის დაკარგა ყველაფერი, რასაც სიყვარულს უმადლოდა? გრძნობდა რომ დაიბნა: ხელიდან უსხლტებოდა ყველაზე მნიშვნელოვანი რგოლი, ყველა წინააღმდეგობას რომ აერთებდა, ხოლო შინაგანი ხმა, რისიც სწამდა, სჯეროდა, არც ხმამაღლა ჟღერდა და არც დამაჯერებლად.

ეტყობოდა, პროცესია სასაფლაოს მიუახლოვდა: სამგლოვიარო მარშის ხმა ისმოდა სასაფლაოზე. ჭიშკართან თავშეყრილი ხალხი მიიწ-მოიწია, და ნელა მიმავალ რკინიგზელთა რიგებში გაბრწყინდა ვერცხლისფერი საკრავები, ორკესტრმა დაკვრა შეწყვიტა. სიჩუმე ჩამოდგა. შორიახლო საწყალობლად აწივწივდა ჩიტი. ამ სიჩუმეში სამგლოვიარო პროცესია დიდ, შავ მდინარესავით შევიდა მთავარ ხეივანში. გამოჩნდა წითელი დროშები. მერე და მერე კიდევ იმატა. მალე დროშების მთელი ტყე გაჩნდა, ადამიანების თავზემოთ წითლად ბრწყინავდა და მაღლა-მაღლა ადიოდა.

ხელმიცკი ისევ საფლავებთან მივიდა და შლაპა მოიხადა. პროცესია ძალიან ნელა მიდიოდა ხეივანში. ისმოდა ნაბიჯების ხმა. წინ რკინიგზელთა ორკესტრი მიდიოდა; უკან გვირგვინებიანი მუშათა დეპუტაცია, მერე — ახალგაზრდობის დელეგაცია მიჰყვებოდა. ბოლოს დროშები, დროშების ტყე მიჰქონდათ მდუმარე, მოღუშულ ადამიანებს. მკაცრი, დაღლილი სახეები ჰქონდათ მოხუცებს, ახალგაზრდებს. ორ მძიმე კუბოს ეზიდებოდნენ მუშები. უკან ნათესავები მიაბიჯებდნენ, სულ ბოლოს კი — ხალხი.

თუმცა საკმაოდ შორს იყო, ხელმიცკიმ უცხო, უცნობ ადამიანებს შორის მაშინვე გამოარჩია მხარბეჭიანი, ახოვანი შჩუკა. პირველ რიგში მიდიოდა, თავდახრილი ხელჯოხს მძიმედ დაყრდნობოდა. ამასობაში სხვები ჩამოეფარნენ.

პროცესიამ მეზობელ ხეივანში შეუხვია. ხელმიცკიმ არ დაუცადა, ვიდრე ყველა გაივლიდა, პირდაპირ გადაჭრა გზა. დახოცილები სასაფლაოს ბოლოს უნდა დაემარხათ. ხელმიცკი ხეებს გამოსცდა და ველობზე გამოვიდა. ხალხს მაღლა აწეული კუბოები საფლავებთან მიეტანა. ირგვლივ წითელი დროშები ფრიალებდნენ. ხელმიცკი ახლოს მივიდა, ხელში შლაპა ეჭირა. სასაფლაოზე ხალხი მატულობდა. ბევრი მათგანი ბილიკზე ველარ დაეტია, აქეთ-იქით გავიდა და ახალმოთხრილ სამარესთან უსიტყვოდ დადგა. ახლა შჩუკა არსად ჩანდა; თვალი ვერ მოეცილებინა კუბოებისათვის, წინ რომ მიჰქონდათ. შორიდან ასე ეგონებოდა, ის ორი კუბო ყველას მიაქვსო.

ერთი პირობა ხალხში გარევა დააპირა, როცა მისკენ საეჭვოდ მომზირალი მილიციელი დაინახა.

წამით შეყოყმანდა და მასთან მივიდა.

— ვის კრძალავენ? — ჩუმად ჰკითხა.

გარეგნობით უბრალო მუშა ყმაწვილმა ყურადღებით ახედ-დახედა, ალბათ ჩამოსულ კაცად მიიჩნია და ჩახლეჩილი ხმით უპასუხა:

— ფაშისტი მხეცების მსხვერპლთ.

ხელმიცკიმ თავი დაუქნია და უკანა რიგებს შეერია. იქაც ცუდად ჩაცმული, ჩასკვნილი, მოუხეშავი მუშები იდგნენ. მათი უბრალო, [illegible]ჭული, მაგრამ ნაცრისფერი, მოტეხილი სახეები ისე ჰგავდნენ ერთმან[illegible], თითქოს თვითონ ცხოვრებას მოეშანდაკებინოს ისინი და მხოლოდ [illegible] კაცის გამომეტყველება დაეტოვებინოს. მხარდამხარ მდგომნი, [illegible] და დაღღვრემილები არ გამოირჩეოდნენ ერთმანეთისაგან არც ხნოვანებით არც სიმაღლით და არც ჩაცმულობით.

ახლოს მდგომმა მუშებმა ხელმიცკის გამოხედეს. თუმცა მათ მზერაში არაფერი ამოუკითხავს, თავი მაინც უცხოდ იგრძნო. სწორედ იმ წუთს კუბოები შეაჩერეს და უხილავმა ხელებმა ისინი მიწაზე დაუშვეს. ბრბო აჩქმაურდა, მიიწ-მოიწია. ხელმიცკიმ ამით ისარგებლა და უკან დაიხია. ხახხაწმინდა და ლეგა ღრუბლებში მზემ გამოაჭყიტა. ქარი ჩადგა. უცებ ამ საოცარ სიჩუმეში ხელმიცკიმ შჩუკას მოჰკრა თვალი.

იგი გაქრილი სამარიდან მიწაზე ავიდა და ბრბოს თავზე წამოდგა. ერთხანს არ განძრეულა. შორიდან კიდევ უფრო დიდი მოჩანდა. ბოლოს თავი ასწია.

— ამხანაგებო! — დაიყვირა მან.

შორს ისმოდა მისი ძლიერი, მჟღერი ხმა.

— სამი დღის წინათ, — ხმამაღლა, ოდნავ ყრუდ, მაგრამ რიხიანად თქვა მან, — ჩვენი დახოცილი ამხანაგების შემყურე ერთმა თქვენგანმა მკითხა: კიდევ დიდხანს გაგრძელდება პოლონეთში ასეთი ადამიანების ხოცვა? მაშინ ზუსტი პასუხი ვერ მივეცი. შეკითხვაზე მხოლოდ კითხვით ვუპასუხე: გეშინიათ?

ნელა ლაპარაკობდა, თითქოს ძლივძლივობით პოულობდა შესაფერის სიტყვას, მაგრამ მით უფრო მეტი ყურადღებით უსმენდნენ. ისეთი სიჩუმე იდგა, ბუზის გაფრენას გაიგონებდი. ხელმიცკი შორიდანაც კარგად ხედავდა მხარბეჭიან შჩუკას, ზლვა ჩალხს, რომ გადაჰკუერებდა. ახსოვდა მისი ფართო სახე და მძიმე, ნახევრად დახუჭული თვალები. ხელმიცკის თვალდახუჭულსაც თვალწინ ედგა ის ადამიანი. თავი დახარა, წვრილ ბაბუაწვერაზე ხოჭო მიცოცავდა მაღლა. იმ წუთს ვაჟს არაფერი აწუხებდა. მხოლოდ დაღლილობას გრძნობდა და ძილი უნდოდა. შჩუკას ბოხი ხმა მთელემარეს ჩაესმოდა.

— ამხანაგო! საკმარისია ერთი რამ, რომ აღარ იყო ყურადღების, პატივისცემის ღირსი. ესაა სიკვდილი იმ ყალბი იდეების სახელით, რასაც მოაქვს მონობა, უსამართლობა, ძალადობა და დამცირება. ისეთ წმიდათაწმიდა სიტყვებს როცა წარმოთქვამენ, როგორიცაა გმირობა, ძმობა, და სოლიდარობა, ჩვენ უსაშინლეს დანაშაულობათა წლები რომ გამოვიარეთ, უპირველეს ყოვლისა, ვკითხულობთ: რისი სახელით ჩაიდინე გმირობა? ვისთან ხარ და შენი აზრით, რა არის ძმობა? ეს კითხვები რომ არ დაგვესვა, ერთნაირად უნდა აღგვექვა ფაშისტი ჯარისკაცებისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა გმირობა. ასე არ მოვქცეულვართ. მთელი ამ წლების განმავლობაში ვკიცხავდით მათ საქციელს, ვინც ძალადობასა და უსამართლობას, ჩაგვრასა და დამცირებას ემსახურებოდა. ჩვენ ვკიცხავდით ცალკეულ ადამიანებს, რათა გადაგვერჩინა კაცობრიობა. სიკვდილი რომ ემუქრებოდა, დაუნდობლად ვკიცხავდით და ძვირად — მილიონობით მსხვერპლის, თანგრითლი

ქალაქებისა და გადამწვარი სოფლების, მილიონების ტანჯვისა და წამების ფასად გვიჯდებოდა ეს. დღესაც ასევე უნდა ვიმოქმედოთ, — წამით იყუჩა მან და დაამთავრა: დათვლილია ჩვენი მტრის, მთელი კაცობრიობის მტრის დღე. სულს ღაფავს ფაშისტური გერმანია — კაცობრიობის სირცხვილი. ომის დამთავრებას აღარაფერი აკლია, მაგრამ არავინ იფიქროს, თითქოს ომის დამთავრება ჩვენთვის ბრძოლის დამთავრებას ნიშნავდეს. ბრძოლა [illegible]-ნეთისათვის მხოლოდ ახლა იწყება. უფრო მეტი: მსოფლიოს ხვალინდელი დღისთვის. ამ ბრძოლაში დღეს, ხვალ, ზეგ ყველა ჩვენგანი შეიძლება დაიღუპოს. ისტორიული სამართლიანობის სახელით, ამქვეყნად ძალადობისა და უსამართლობის მოსპობის სახელით, ისეთი წყობილების სახელით, როდესაც ხალხი შექმნის ისტორიას, პიროვნებას კი ჯერარნახული ძალა ექნება, ამ სიმართლის სახელით გზა უნდა გავუკაფოთ ამ იდეებს და გავანადგუროთ ყველა, ვისაც არ უნდა გაიგოს ან ვერ გაუგია ჩვენი დროის უდიდესი ძვრები. და ისევ, როგორც მთელი წლების განმავლობაში, უკვე სხვა მტერთან ბრძოლაში მსხვერპლი უნდა გავიღოთ. მაგრამ ეს ნუ შეგაშინებთ, ამხანაგებო! მარტონი არა ვართ, არც ისინი არიან მარტო ბრძოლის ველზე რომ დაეცნენ. მათი რწმენა ჩვენი რწმენაა, მათი საქმენი კი საუკუნეებში იცოცხლებს. ხალხი მხოლოდ იმას ივიწყებს, ვინც მარტო იბრძვის დრომოჭმული იდეისთვის, დიად ისტორიულ სიმართლეს რომ ეწინააღმდეგება. ისტორია მათ მსჯავრს გამოუტანს და დაივიწყებს. ხოლო მათ, ვინც მიხვდა ისტორიული მომენტის სიდიადეს და ამხანაგების რწმენა გაიზიარა, ელოდებათ ომში დაღუპულთა, ადამიანისა და კაცობრიობისათვის, სამშობლოსა და მთელი მსოფლიოს მომავლისათვის დაცემულთა სახელი და დიდება. ადამიანისა და ქვეყნიერების მარადიულობის სახელით, ძმობის სახელით პატივი ვცეთ მშვიდობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლაში მოკლულ ამხანაგებს. დიდება და მარადიული ხსოვნა მათ!..

იგი გაჩუმდა, მაგრამ მისი ხმა თითქოს კიდევ ჟღერდა. ხალხი არ ინძროდა, სიჩუმე ჩამოვარდა. ხელმიცკი მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ვერ გაიგო, რას ლაპარაკობდა შჩუკა. მხოლოდ ხმა ესმოდა და ფიქრობდა... ვერ კი გაიხსენა, რას ფიქრობდა. თავი ასწია და თითქოს ნისლში დახრილი წითელი დროშები დაინახა.

სვენცკის ძალიან ეჩქარებოდა და სულ ჩიოდა, დაკრძალვა გაჭიანურდაო, იგი სასაფლაოდან პირველი წავიდა, თან ვეიხერტი და პავლიცკი გაიყოლია. მას მანქანით მიჰყვნენ კალიცკი, პოლკოვნიკი ბაგინსკი და კიდევ რამდენიმე ადგილობრივი ჩინოსანი. ორი მილიციელი იცავდა წესრიგს. მუშები ჯგუფ-ჯგუფად ტოვებდნენ სასაფლაოს. ბოლოს ერთი მანქანა დარჩა: პოდგურსკის ჯიპი. ის, შჩუკა და ვრონა სულ ბოლოს გავიდნენ! შჩუკა ფიქრს მისცემოდა. ვრონა მოტეხილი ჩანდა. ნელა მიდიოდნენ, ხმას არ იღებდნენ. ჭიშკართან პოდგურსკიმ ჰკითხა შჩუკას:

— სასტუმროში წაგიყვანოთ?

შჩუკა გაჩერდა.

— დაიცადეთ. სად არის მწვანე ქუჩა? შორსაა აქედან?

— აქედან კარგა მოშორებითაა, წითელი არმიის სახელობის მოედანთან, ბატორის გიმნაზიასთან. რამე საქმე გაქვთ?

— ჰო.

— ერთი გზა გვქონია. შინ მიდიხარ? — მიუბრუნდა იგი ვრონას.
— ჰო, — უპასუხა მან.

სამივე მანქანასთან მივიდა. ვრონა პირველი ჩაჯდა. შჩუკამ ფეხი შედგა, მაგრამ მაშინვე ჩამოვიდა. პოდგურსკიმ ეჭვიანად შეხედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— წადით, — თქვა შჩუკამ.
— თქვენ?
— ფეხით წავალ.
— რას ამბობთ, დაღლილი არა ხართ?
— სწორედ ამიტომ მინდა გავიარო. გარდა ამისა, მაპატიეთ, მინდა მარტო დავრჩე.

პოდგურსკის აშკარად ეწყინა.
— იქნებ მაინც წავსულიყავით?

შჩუკას გაეღიმა და მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი პოდგურსკის.
— დიდებული ჯიპია, მაგრამ ხანდახან საკუთარ ფეხებს უფრო ვენდობი, თუმცა ვკოჭლობ. ნახვამდის!

მანქანაში რომ ჯდებოდა, პოდგურსკის კოსეცკი გაახსენდა.
— ამხანაგო შჩუკა! — გასძახა მიმავალს.

შჩუკა შეჩერდა.
— ხომ არ გავიწყდებათ ის ამბავი?
— ცხადია, არა.
— რა გადაწყვიტეთ?

შჩუკა ჩაფიქრდა.
— ვნახოთ.

ცოტა ხანში იგი სამი მაისის სახელობის ხეივანში შევიდა. მოუხვია და ჯიპი დაინახა, რომელშიც პოდგურსკი და ვრონა ისხდნენ. მან ხელი დაუქნია და დაფიქრებულმა გზა განაგრძო. რამდენიმე ათეული ნაბიჯის დაშორებით შჩუკას ხელმიცკი მოჰყვებოდა.

№ 7 სახლი მწვანე ქუჩაზე ოთხსართულიანი სახლი აღმოჩნდა; მოსაწყენი წინამო ჰქონდა, ათას ადგილას ჭურვებით დაცხრილული; იქით გრძელი ეზო მოჩანდა. მცხოვრებლების სია კარზე არ იყო გამოკრული, და შჩუკამ დარაჯი მონახა. ბანჯგვლიანმა, აწოწილმა კაცმა, სმისაგან გაწითლებულ თვალებს რომ აფახულებდა, უთხრა, მასწავლებელი შრეტერი მესამე სართულზე ცხოვრობსო. სახლის შუა ნაწილი ბომბს ჩამოენგრია.

ჭუჭყიან ხის კიბეზე ბნელოდა. კიბის მოედანზე ფანჯრებს ჩარჩო არ ჰქონდა; კედლებიდან ბათქაში ცვიოდა. შჩუკას კომბოსტოს სუნი ეცა. შრეტერის ბინის კარზე მიეკრათ მასწავლებლის სადარბაზო ბარათი.

ერთ-ორჯერ დარეკა, მაგრამ კარს არავინ აღებდა. თითქოს შინ არავინ იყო. მხოლოდ მესამე დარეკვის შემდეგ დაიჩურჩულა კარის იქით ვიღაცამ. ბოლოს შეშინებული ქალის ხმა გაისმა:
— ვინ არის?
— მასწავლებელი შრეტერი მინდა, — უპასუხა მან.

სიჩუმე ჩამოვარდა. კიბეებზე ვიღაც ნელა ამოდიოდა. მეორე სართულზე ნაბიჯების ხმა შეწყდა. კარს იქით ისევ აჩურჩულდნენ.
— მასწავლებელი შინ ბრძანდება? — ოდნავ გაღიზიანებულმა იკითხა შჩუკამ.

არ არისო, იყო პასუხი.

— მისი მეუღლე?

— წავიდა, — მოისმა შეშინებული ხმა. — შინ არავინაა.

— არც მასწავლებლის და?

ამჯერად დიდხანს ჩურჩულებდნენ. შჩუკას რაღაცნაირად ღიმილს ჰგვრიდა ეს ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მითხარით ბოლოს და ბოლოს, — თავაზიანად იკითხა მან.

— შინაა, მაგრამ წევს, — დიდი ხნის მერე გაიგონა პასუხი.

— ვიცი, — თავი დაიქნია შჩუკამ, თითქოს პირისპირ ელაპარაკებოდა ვიღაცას. — სწორედ მასწავლებლის და მინდოდა მენახა. გადაეცით, რავენსბრიუკის თაობაზე რაღაც ცნობები სჭირდება-თქო.

— რაზე?

— რავენსბრიუკზე, რავენსბრიუკის ბანაკზე.

ამ ახსნა-განმარტებას, ეტყობა, ნდობით მოეკიდნენ: ცოტაოდენი ჩურჩულის შემდეგ ერთი ქალი იქით ოთახში გაშლაპუნდა. შჩუკა მიჩვეული იყო აქაურ ამბებს და მოთმინებით ელოდა, როდის გაუღებდნენ კარს. კაცმა რომ თქვას, დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ რაიმეს გაიგებდა, თავიდანვე გაუტყდა გული.

მეორე სართულზე კარი გაიღო და ნარეცხის საშინელი სუნი დადგა.

— ვინ გნებავთ? — ხმამაღლა იკითხა ქალმა.

— არავინ, — მიუგო მამაკაცმა, — ერთ ნაცნობს ველოდები.

შრეტერების ბინიდან გამოსულმა ხმებმა შჩუკა დააიმედა, დიდხანს ცდა აღარ დამჭირდებაო. მართლაც ორჯერ გაიჩხაკუნა გასაღებმა და კარი გაიღო.

ჩაბნელებულ წინკარში ათასი რამ ეწყო. დაბალი ტანის ფაშფაშა ქალმა, გახუნებული ცისფერი ბაიკის ხალათი რომ ეცვა, ბოდიში მოიხადა, დიდხანს გალოდინეთო. ერთ წუთს უსმენდა ქალის ახსნა-განმარტებას,საჭიროა სიფრთხილე ყოველნაირად დავიცვათო, მერე კი შეაწყვეტინა:

— შეიძლება მასწავლებლის დის ნახვა?

ქალმა შუაზე გაწყვიტა ღვარჭნილი წინადადება და ოთხკუთხა, ჩამოკიდებულლოყებიან სახეზე წყენა გამოეხატა.

— შემობრძანდით! — დერეფნის ბოლო კარისკენ მიათითა მან. — იქ არის.

ოთახში ბნელოდა და ისე იყო გამოტენილი ავეჯით, შჩუკა გაუბედავად შეჩერდა ზღურბლზე. ორი დიდი საწოლი, კარადა, კამოდი იდგა. იქვე ძველებური სარკიანი ტუალეტი დაინახა...

— შემოდით, — მოესმა ოთახიდან ქალის სუსტი ხმა.

ახლაღა შეამჩნია, რომ პირდაპირ კედელთან მიდგმულ ტახტზე გამხდარი, მთლად ფერწასული ქალი იჯდა, ჭაღარა თმა გადაევარცხნა. პირველად დედაბერი ეგონა, მაგრამ ახლოს რომ მივიდა, მიხვდა: ორმოცი წლის თუ იქნებოდა. ერთ დროს ლამაზი თვალები სიყვარულით უცქეროდნენ შჩუკას.

— გამარჯობათ, — გაწვლობილი, თითქმის გამჭირვალე ხელი გამოუწოდა შჩუკას. — გამიხარდა თქვენი მოსვლა.

ამ გულითადმა მიღებამ ოდნავ შეაცბუნა შჩუკა.

— მაპატიეთ რომ ასე შემოგეჭერით, — მისდა უნებურად მკვახედ უთხრა მან. — თქვენმა ძმამ გითხრათ რამე ჩემზე? შაბათს შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს...

— ვიცი, დაბრძანდით.

გაიხედ-გამოიხედა. სკამს ეძებდა. ტუალეტის წინ იდგა, იგი ტახტთან მიაჩოჩა და მძიმედ დაჯდა. მაშინვე დაღლილობა იგრძნო. კაცმა [illegible] თქვენ, აქ რამ მოიყვანა? ამ უცნობი, უცხო ქალის პირდაპირი, ალერსიანი მზერა აღიზიანებდა. ვერ იტანდა გულის ამაჩუყებელ შეხვედრას და [illegible], ვაითუ დღესაც იგივე გამეორდესო.

— სწორედ ასეთი წარმომედგინეთ, — მოულოდნელად უთხრა ქალმა.

კაცმა დაღლილი მზერა მიაპყრო.

— ვერ გავიგე...

— მარია ბევრს მიამბობდა თქვენზე. გაოცებული ვარ, რანაირად მიპოვეთ.

შჩუკა დიდხანს დუმდა.

— იცნობდით ჩემს მეუღლეს? — ჩუმად ჰკითხა მან ბოლოს.

ქალმა თავი დაუქნია.

— თითქმის ორი წელიწადს ერთ ბანაკში ვცხოვრობდით.

— ჰო!

ჯერ კიდევ არ სჯეროდა, რომ სრულიად შემთხვევით შეხვდა იმ ადამიანს, ძალიან რომ უნდოდა ენახა. მაშასადამე, ამ ქალმა შჩუკას მერე ნახა მარია, მასთან ერთად ინაწილებდა ბანაკში ცხოვრების სიდუხჭირეს, ესმოდა მისი ხმა, მის გვერდით იყო.

თითქოს მის ფიქრებს ჩახვდაო, ქალმა ჰკითხა:

— ასეთ შეხვედრას ალბათ არ ელოდით?

— არა, თურმე ჩემს მეუღლეს იცნობდით...

გრძნობდა, რომ რაღაც უნდა ეკითხა, მაგრამ ის კითხვები, მუდამ თავში რომ უტრიალებდა, ახლა სადღაც გაქრა. არ იცოდა, რა ეკითხა პირველად: როგორ ცხოვრობდა? როგორ მოკვდა?

— მარია ძალიან მამაცი ქალი იყო.

კაცმა მაინც ვერ მოძებნა სიტყვები.

— ჰო? — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა.

თავს ძალა დაატანა გაეგო, რას ამბობდა ტახტზე მწოლიარე ქალი. ხედავდა მის ტანჯულ, ბავშვივით პატარა სახეს, კეთილ, ალერსიან თვალებს, ესმოდა მისი ხმა, მაგრამ სიტყვა ვერ გაეგო. მხოლოდ მერე მიხვდა, რომ იგი მარიაზე ლაპარაკობდა. სიტყვა არ შეეწყვეტინებია, თვალდახუჭულს მუხლებზე დაეწყო დიდი ხელები. არ შემცდარა, ყველაფერი ისე ყოფილა, როგორც ვარაუდობდა. ახლა ამ ვარაუდს ხორცი ესხმებოდა. თითქოს ყველაზე შორეული სამყაროდან, მივიწყებული წარსულის სიღრმიდან დაუბრუნდა საყვარელი ქალი, ათასჯერის რომ მხარში სდგომია გასაჭირში და ადამიანის სიყვარულის შერყეული გრძნობა დაუბრუნებია. ქალი შეცვლილი კი არა, სწორედ ისეთი დაბრუნდა, სამუდამოდ რომ გამოეთხოვენ ერთ დღეს. იგი სიკეთის განსახიერება იყო თავისი ამხანაგებისათვის. ამხნევებდა მათ, და მისი მშვიდი ბუნების, კეთილგონიერებისა და თავგანწირვის, გამარჯვების რწმენის წყალობით ბევრი ქალი გადაურჩა უბედურებას. ძალიან უყვარდათ იგი.

ერთი პირობა კინაღამ ჰკითხა ქალს, რაც უკანასკნელ ხანს სულ აწვალებდა. მარიას სიკვდილის ამბავი მიიტანეთ, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა. მოკვდა. ჰოდა, რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, რანაირად მოკვდა? მათ ხსოვნაში ცოცხლობდა, ვისთან ერთად უმძიმეს განსაცდელს განიცდიდა. იმ ქალთა გულებში ცოცხლობს, [illegible] არ დაეცნენ და გადარჩნენ — ის ამას

ჰქონდა მნიშვნელობა და არა იმას: როგორ მოკვდა და რას განიცდიდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში. უცებ ადრეული სიმშვიდე იგრძნო და გაიფიქრა. სასამართლოზე ისეთი არაფერი მითქვამს, ბოლომდე ნაგრძნობი და ნაფიქრი [illegible] ალსავსე არ ყოფილიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოაჯირზე მიყრდნობილმა ხელმიცკიმ გადაწყვიტა ნელა დ[illegible] ცამდე. ცდილობდა ისე დაეთვალა: ყოველი ციფრი გონებაში ჩაებეჭდა... ხუთი, ექვსი, შვიდი... მეორე სართულზე ერთი ბინის კარი ღია იყო. სარეცხს წყალში ავლებდნენ.. თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი... მიხვდა, რომ ჩქარობდა და თვლას უკლო. საფეხურებზე ნახშირის მტვერი ეყარა. კედელზე ფართო ნაბზარის გაყოლებაზე ობობა მიცოცავდა... ოცდაოთხი, ოცდახუთი... მარჯვენა ხელში გლუვი, ცივი რევოლვერი ეჭირა. ობობა იმ ადგილას შეჩერდა, სადაც ბათქაში მთლიანად ჩამოცვენილიყო. კვლავ მიხვდა, რომ ჩქარობდა და გარკვევით არ გამოთქვამდა ციფრებს... ოცდათერთმეტი, ოცდათორმეტი... ერთფეროვანი, მექანიკური რიტმი უფრო მეტ სიმშვიდეს ანიჭებდა. ეზოდან გრამაფონის ხმა მოესმა... ორმოცდასამი, ორმოცდაოთხი... ნაცნობ ვალსს უკრავდნენ. ფირფიტა ძველი იყო. სანტიმენტალური ვალსი შიშინებდა... ორმოცდარვა... ობობა აღარ ჩანდა. ნეტა სად შეძვრა? დაიკარგა. „თუ არ ვიპოვე, კარგი არა მელის რა", — გაიფიქრა მან. ორმოცდათორმეტი, ორმოცდაცამეტი... ყურადღებით მოავლო თვალი კედელზე, ვერსად ნახა. სად გაქრა?.. ორმოცდათვრამეტი, ორმოცდაცხრამეტი. უცებ დაინახა ობობა ქვემოთ მოცოცავდა. სამოცი!..

ხელმიცკიმ გამშრალი ბაგე ენით დაისველა და კიბეს აუყვა. შვიდი საფეხური დაითვალა. კვირაშიც ხომ შვიდი დღეა. მაგრამ ვერაფრით მოიგონა, რა იყო კიდევ შვიდი. დარეკა. აი, თურმე რა ყოფილა! შვიდი მოსავლიანი და შვიდი მოუსავლიანი წელი. შვიდი მთავარი შეცოდება და შვიდი საიდუმლოება...

კარს იქით ნაბიჯების ხმა გაისმა.

— ვინ არის? — გაისმა ქალის ხმა.

— ელექტროსადგურიდან ვართ, — უპასუხა ხელმიცკიმ.

იგი მოწმე იყო, რა ხანი გავიდა, ვიდრე შჩუკას კარს გაუღებდნენ, და თავიდანვე მოემზადა ამისთვის. მაგრამ ყველაფერს კარგი პირი უჩანდა. კარი ოდნავ შეაღო და ხანდაზმული ქალის თავი გამოჩნდა.

— ისევ ელექტროსადგურიდან ხართ? ხუთშაბათს არ მოიტანეთ ანგარიში?

ხელმიცკის თავაზიანად გაეღიმა.

— მრიცხველი უნდა შევამოწმოთ, ქალბატონო.

— ვინ არის, ფელა, მანდ? — იკითხა მეორე ქალმა.

— ელექტროსადგურიდანაა, — უპასუხა მან.

ეტყობა, ნდობის აღმძვრელი შესახედაობა ჰქონდა, რადგან ქალმა კარი გაუღო. ოთახში შემოსულმა ხელმიცკიმ მიიხედ-მოიხედა. ჩაბნელებული ვიწრო დერეფანი. კარადა. სკივრები. იქით — კარი. მარჯვნივ, შემოსასვლელთან სამზარეულოს ღია კარი. იმ მეორე ქალს ხელში დიდი საცერი ეკავა. ახლა სიმშვიდე მართებდა. ნეტავი მინაურები არ შემოეგდოდნენო, გაიფიქრა. ხომ არ გაიცრუა ის [illegible]ე?

— იქაა მრიცხველი, — უთხრა ქალმა.

უცებ ფართო სახე გაუყვითლდა.

— ყვირილი არ იყოს, — ჩუმად უთხრა ხელმიცკიმ.

ხელით ანიშნა, სამზარეულოში შედიო. მაგრამ სანამ ქალი ადგილიდან დაიძვრებოდა, ისეთივე დაბალმა და ფაშფაშა ქალმა საცერი ქვაბზე დადო და შემოვიდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რად გინდა... — დაიწყო ქალმა და სიტყვები გაუწყდა.

— აბა, ცოცხლად! — წაისისინა ხელმიცკიმ.

ორივე შეშინებული გავარდა გარეთ. შიშისაგან ენა ველარ ამოიღეს. ფერწასულები იყვნენ, თვალები გადმოკარკლოდათ და ტუჩებს ისე აცმაცუნებდნენ, რომ ხელმიცკიმ ღიმილი ველარ შეიკავა .

— არ შეგეშინდეთ, — ალერსიანად უთხრა მათ, — ცუდი არაფერი გემუქრებათ. ის კაცი მინდა, ახლახან რომ შემოვიდა და მეტი არაფერი.

სამზარეულოს მოავლო თვალი. ერთგან კარი შენიშნა, გაალო. საკუჭნაო აღმოჩნდა. კარგია!

— აბა, სწრაფად!

ხმის ამოუღებლად, საჩქაროდ მიირბინეს მასთან. ჯერ ერთი შეაგდო საკუჭნაოში, მერე მეორე. ძლივს შეეტივნენ შიგ. ჩალის კონებივით მიეკვრნენ ერთმანეთს; ბუსავით თვალებში საშინელება ჩასდგომოდათ. თავზემოთ, თაროზე ერთი ნაჭერი ღორის ხორცი იყო. ხელმიცკიმ კარი მოხურა და გასაღებით დაკეტა. სიჩუმე ჩამოდგა, აქ აღარაფერი ესაქმებოდა. წინკარში გავიდა. სკივრები, ჩემოდნები, კარადა. საიდან გაჩნდა ამდენი ხარახურა? ერთი კარი. მეორე კარი. იქიდან ქალის ხმა ისმოდა. სიფრთხილე გამოიჩინა და ჯერ პირველი კარი გაალო. ოთახი ცარიელი იყო. „ყველაფერი რიგზეა! იმ ობობას არ გავუცურებივარ“, — გაიფიქრა მან.

ეზოში რომ მიდიოდა, ქალის სუსტი შეკივლება გაიგონა. სიტყვები ვერ გაარჩია, მაგრამ მიხვდა, რომ საშველად უხმობდნენ. ეზოში კაცის ჭაჭანება არ იყო. არც ჭიშკართან ჩანდა ვინმე. ქუჩაში გავიდა და ზომიერი, ნელი ნაბიჯით სამი მაისის სახელობის ხეივნისკენ გაუყვა. ოღროჩოღრო ქვაფენილზე ეტლი გარახრახდა. დათბა. მზემ გამოანათა. ქვაფენილზე, ცხენის ჩონჩორიკის გროვასთან ხმამაღლა ჟღურტულებდნენ ბეღურები. ყმაწვილი ქალი საბავშვო ეტლს მიაგორებდა. კუთხის სახლის წინ ავეჯიანი ფურგონი იდგა. კედელთან აღმართული სახლის ოვალურ სარკეში ხელმიცკიმ თავისი ფეხსაცმელები დაინახა. სამი მაისის სახელობის ხეივანში სკოლის მოსწავლეები გამოეფინნენ. საათზე დაიხედა. სამის ექვსი წუთი იყო.

მალე იგი წითელი არმიის სახელობის მოედანზე გავიდა. ბალაბანოვიჩის კაფეს ვერანდაზე მხოლოდ რამდენიმე კაცი იჯდა. ხელმიცკიმ მოედანი გადაჭრა და გვერდით ქუჩაზე შეუხვია. გასცდა პირველ, მეორე, მესამე სახლს. მშვენიერი ქვის სახლები იყო, იქით უშენი ადგილისათვის მესერი შემოევლოთ. მერე ერთსართულიანი წაგრძელებული ხის შენობა იდგა. ჭიშკარში შეიხედა. ბალიანი ფართო ეზო დაინახა, სიღრმეში ფაბრიკული ტიპის შენობები იდგა. ეზოს კუთხეში თეთრად შეღებილი ხის ფეხსალაგი დაინახა. შიგ შევიდა, კარი დაკეტა, მოშარდა, მერე ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და ორმოში ჩააგდო.

ქუჩაში საშინელი წყურვილი იგრძნო. ყელი გაუშრა. ტუჩები დაუსკდა.

წითელი არმიის სახელობის მოედანზე დაბრუნდა და კუთხის ბარში დახლთან ერთი მოთქმით შესვა დიდი კათხა ლუდი. მერე უმოკლესი გზით ბაზრისაკენ გაემართა. ბაზარი ხალხით იყო გაჭედილი.

ფარდულებს შორის რომ მიდიოდა, ხელმიცკიმ პირველსავე შემხვედრს ჰკითხა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა ამბავია?

ხანში შესულმა წვეროსანმა კაცმა, ჩალის ქუდი რომ ეხურა, მხრები აიჩეჩა, არ ვიციო. სხვაც დგას და მეც იმიტომ დავდექიო. ხელმიცკის შეკითხვა იქვე ველოსიპედთან მდგომმა ბიჭმა გაიგონა.

— ძალიან მნიშვნელოვანი ცნობა უნდა გადმოსცენ, — უთხრა მან. — ალბათ, ომი დამთავრდა.

ჩალისქუდიანი კაცი დაიჭყანა, ზიზღით ჩაიქნია ხელი და წავიდა.

— ახლა დაიწყება, — უთხრა ბიჭმა ხელმიცკის.

ბრბო უფრო და უფრო მატულობდა. ხალხი მოდიოდა. უცებ რადიომ გაიჩხაკუნა.

„ყურადღება! ყურადღება! — ხმამაღლა დაიწყო დიქტორმა .— ლაპარაკობს პოლონეთის რადიო „ვარშავა“ და პოლონეთის ყველა რადიოსადგური. გადმოგცემთ ძალიან მნიშვნელოვან ცნობას. დღეს, 8 მაისს, გერმანიის დედაქალაქის — ბერლინის ნანგრევებზე გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას. გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობის სახელით კაპიტულაციას ხელი მოაწერეს: კაიტელმა, ფრიდებურგმა და შტუმფმა.

წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის სახელით კაპიტულაციას ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირის მარშალმა ჟუკოვმა. მოკავშირეთა უმაღლესი მთავარსარდლობის სახელით — ავიაციის მარშალმა ტედერმა. კაპიტულაციის ხელმოწერას მეთვალყურეებად ესწრებოდნენ: ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი გენერალი სპაატსი და საფრანგეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდალი გერმანელი დელატრ დე ტასინი...“

ხალხი ჩუმად უსმენდა. არ ინძრეოდა. გაიგონებდნენ თუ არა გამვლელები გადმოცემის პირველივე სიტყვებს, ადგილზე დაესობოდნენ. ავტომანქანებიც ჩერდებოდნენ. პიპინი ჰკვეთდა სიჩუმეს.

„ხვალინდელი დღე ევროპაში მშვიდობის პირველი დღე იქნება, — განაგრძობდა დიქტორი. — პოლონეთი მსოფლიოს ყველა ხალხთან ერთად საზეიმოდ აღნიშნავს ჰიტლერული გერმანიის განადგურებას, მსოფლიოში უსაშინლესი ტირანიის დაცემას, ყველაზე სისხლისმღვრელი ომის გამარჯვებით დაგვირგვინებას, მარადიული მშვიდობის, თავისუფლებისა და ბედნიერების ერის დამკვიდრებას. პოლონელი ხალხისა და მისი დიდი მოკავშირეების გერმანელ ოკუპანტებზე გამარჯვების უკვდავსაყოფად, ჰიტლერიზმსა და ფაშიზმზე დემოკრატიის გამარჯვების აღსანიშნავად, მონობა[illegible] და უსამართლობაზე თავისუფლებისა და სამართლიანობის გამარჯვების უკვდავსაყოფად დღეს მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „გამოცხადდეს 1945 წლის 9 მაისი გამარჯვებისა და თავისუფლების ეროვნულ დღესასწაულად“.

მიწყდა დიქტორის ხმა, და მოედანზე ჩამოწოლილ სიჩუმეში გაისმა

ეროვნული ჰიმნი. მამაკაცებმა ქუდი მოიხადეს. ჰიმნი დამთავრდა, მაგრამ არავინ განძრეულა. მერე ხალხი უსიტყვოდ, ნელ-ნელა გაიფანტა.

„მონოპოლის“ შესასვლელთან სქელუა მეკარე იდგა.

— აი, ომიც დამთავრდა, — უთხრა მას ხელმიცკიმ.

მეკარემ ცხვირით ხმამაღლა დაისრუტუნა, თვალები ჩასწითლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეჰ, პან! ეს რომ დაუნგრეველ ვარშავაში გამეგონა...

— აბა, აბა! — უთხრა ხელმიცკიმ.

თავისი ოთახის გასაღები გამოართვა და ზემოთ ავიდა. ჯერ ფეხსალაგში შევიდა. პიჯაკის ჯიბიდან ჩეშკოვსკის გვარზე გამოწერილი საბუთი ამოიღო, დახია, ნაგლეჯები უნიტაზში ჩაყარა და წყალი მოუშვა. ზოგი ნახევი უნიტაზში დარჩა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩამოსწია ჯაჭვი. ამჯერად წყალმა ყველა ნაგლეჯი თან ჩაიტანა.

ოთახში რომ შევიდა, კარი გასაღებით დაკეტა. პალტო გაიძრო, შლაპა მოიხადა, გაუხდელი დაწვა და მაშინვე ჩაეძინა.

სანამ გარეთ გავიდოდა, სამზარეულოში შეიხედა.

— როზალია, არ იცით, სად არის პანი ალიცია? — იკითხა ზღურბლზე მდგარმა.

— აქა ვარ, აქ, — სამზარეულოდან გამოსძახა ცოლმა.

კოსეცკი ჰოლში დაბრუნდა. მას ძალიან შეფიქრიანებული პანი ალიცია შემოყვა. პალტოგაუხდელი და შლიაპიანი ანტონი რომ დაინახა, გაოცდა.

— მიდიხარ?

— ჰო, — ჩუმად უთხრა მან. — მეყოფა სახლში ჯდომა. ცოტა ჰაერიც უნდა ჩაყლაპოს კაცმა.

— დროა! — გაიხარა ცოლმა. — ნახავ, თუ არ მოგიხდება. ვახშამზე მოხვალ?

— რა თქმა უნდა. რომელი საათია? ჰო, ხუთი სრულდება.

ქალმა კარებამდე მიაცილა.

— წარმოგიდგენია, რა უსიამოვნო ამბავია... გუშინ მონტიორი გამოვიძახე, ონკანში წყალი მოწვეთავს, გამიკეთე-მეთქი. ყველაფერი რიგზეაო, მითხრა, აიღო ასი ზლოტი და წავიდა. დღეს სამზარეულოში შევედი: ონკანიდან ისევ მოწვეთავს. რა ხალხია! არავინ აღარაა სანდო.

კოსეცკი ჩაფიქრდა.

— ერთხელ კიდევ გამოიძახე.

— მონტიორი? ას ზლოტს კიდევ წაიღებს...

— ვნახოთ. მე თვითონ მოველაპარაკები.

— შენ?

— ჰო, მე.

გაოცებულ ქალს ხმა აღარ ამოუღია. კოსეცკიმ კარი გააღო და სახლის წინ გავიდა. დილიდან მოქუფრული ცა მოიწმინდა და მზემ გამოანათა.

ჰაერი გრილი და კამკამა იყო.

— რა ჩინებული ამინდია! მალე აყვავდება იასამანი.

კოსეცკიმ თავი მიაბრუნა და ყურადღებით ახედ-დახედა ვილის დამსკდარ კედლებს. პანი ალიციას ეს არ გამოეპარა.

— ხედავ, რას დაემსგავსა ჩვენი სახლი?..

— ნუ გეშინია. თანდათანობით ყველაფერს მოევლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი ვერ მიმხვდარიყო, რა მოუვიდა ქმარს, ასე რამ შეცვალა. შეწუხდა.

— იცი, რა?

— რა იყო?

— სულ ანჯეიზე ვფიქრობ...

— აჰ! — ხელი ჩაიქნია კოსეცკიმ.

— განა კარგად მოვიქეცით, რომ გავუშვით?

— პატარა უკვე აღარ არის, ძვირფასო. მოზრდილი ადამიანია და იცის, რა ქნას. მის ასაკში დამოუკიდებელი ვიყავი, მაგრამ ვმუშაობდი. თუკი დღემდე არ იცის შრომის ყადრი, ჩვენ ვეღარაფერს ვასწავლით.

— მაგრამ იცი, გავიწყდება, რა მძიმე პირობებში იზრდებოდა, — გაამართლა დედამ შვილი.

— მით უფრო! სწორედ ამიტომ უნდა გამოეჩინა მტკიცე ნებისყოფა, პასუხისმგებლობა ეგრძნო. მეც არ მიცხოვრია იოლი ცხოვრებით. თუმცა ახლა არა ღირს ფიქრების გამუქება. რაც იყო, იყო, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ თუკი იოლი, საეჭვო შემოსავალი ურჩევნია, სწავლისა და შრომის ნაცვლად ჰაერში უნდა იფარფატოს, ვერაფერს იზამ. თვითონ იცის თავისი საქმე.

— იცის კი? — ჩურჩულით თქვა ქალმა. — ამ ბოლო დროს ძალიან უცნაური მეჩვენებოდა.

— ჩემო ძვირფასო, ალიცია, — ხელი მოუჭირა კოსეცკიმ, — ადამიანს რომ სინდისი ქენჯნის, იგი ასე თუ ისე უცნაურად გამოიყურება.

ჭიშკართან იგი შედგა და ცოლისკენ მიბრუნდა,

— არ დაგავიწყდეს, როზალია მონტიორთან გაგზავნე.

იგი წელში გასწორდა და ისე, როგორც წინათ, მოქნილი ნაბიჯებით ქუჩას ქვემოთ დაუყვა. დამთავრდა ომი! ამქვეყნად კვლავ აზრი მიეცა ჩვეულებრივ საქმეს. ხალხს უწინდებურად უნდა ეცხოვრა. წარსული? დღეიდან მისთვის ხაზი უნდა გადაესვათ, მისი ადამიანური ტანჯვითა და შეცდომებით, ყველაფრისათვის, რაც იყო. შვიდობის პირველმა დღემ მისდა უნებურად გადახაზა წარსული დღეები. ისაა მნიშვნელოვანი, როგორ მოიქცევა კაცი ახლა და არა ის, როგორ იქცეოდა მაშინ. ომს თავისი კანონები აქვს, მშვიდობას — თავისი. ამ სულისკვეთებით აპირებდა შჩუკასთან საუბარს კოსეცკი და ეჭვი არ ეპარებოდა, გონიერი კაცია, სინამდვილის უტყუარი შეგრძნება აქვს და ყველაფერი კარგად ჩაივლისო.

გზაში რამდენიმე ნაცნობი შემოხვდა და გაიფიქრა, ამათ ორი დღის წინათ რომ ვენახე, უმრავლესობა, ალბათ, პირს ამარიდებდაო. დღეს კი ყველა შორიდანვე და ისევე მოკრძალებით ესალმებოდა, როგორც წინათ. ეს არც გასაკვირებია. პალტო ჩაიცვა, შლაპა დაიხურა და სანამ სახლიდან გავიდოდა, სარკეში ჩაიხედა; ასეთი ახსოვდა თავი, ვიდრე ბანაკში ჩასვამდნენ: წარმოსადეგი, კარგად შენახული შუახნის მამაკაცი იყო, ვაჟკაცური სახე, მაღალი შუბლი და პირდაპირი გამოხედვა ჰქონდა. „ვინ იცის, იქნებ სიცოცხლის სიყვარულია ზნეობრიობა", — გაიფიქრა მან.

ამდენი წელიწადია ბაზარში არ ყოფილა და გაუკვირდა, როცა ასეთ რიარიას შეესწრო, უამრავი ხალხი და მანქანა დაინახა. ომამდელ წლებთან შედარებით უზარმაზარი განსხვავება იყო. ადამიანები ბეჩავად, შესაბრალისად გამოიყურებოდნენ. დახავსებულ სახლებს ომის კვალი ემჩნეოდა, მხოლოდ

სამხედრო ავტომანქანებს დაინახავდი კაცი, ისიც გაცვეთილებსა და დამტვერილებს: ტროტუარზე ნაგვის ზვინები ეყარა; მიუხედავად ამ უბედურებისა, ყველაფერი დუღდა და გადადუღდა. სახლებზე ფრიალებდნენ თეთრ-წითელი დროშები. რადიოთი გადმოსცემდნენ მარშს „ვარსკვლავიანი დროშით“.

„მონოპოლის“ თავზეც ალემართათ დიდი ალამი. დაბალმა, [illegible] მეკარემ სათვალის ზემოდან გახედა მოახლოვებულ კოსეცკის და მაშინვე იაზრა, „ომამდელ სტუმარსა“ ჰგავსო.

— რომელ ნომერში ცხოვრობს ინჟინერი შჩუკა?, — ჰკითხა კოსეცკიმ, — მგონია, მეთვრამეტეში, არა?

გულგაცრუება გამოეხატა მეკარეს სახეზე.

— ცხოვრობდა, — წაიბურტყუნა მან.

— როგორ? წავიდა?

მეკარემ მრავლისმეტყველად ჩაიქნია ხელი.

— რა იყო? — ვერ მიუხვდა კოსეცკი.

— მოკლეს.

მეკარემ საუბარი დამთავრებულად ჩათვალა და მაგიდაზე დახვავებული წერილების გადაწყობას შეუდგა. კოსეცკი დიდხანს მისჩერებოდა სხვადასხვა ფერისა და ზომის კონვერტებს.

— როდის? — ჰკითხა მან.

მეკარემ ცხვირზე ჩამოწეული სათვალე გაისწორა.

— დღეს.

კოსეცკი ჩაფიქრებული იდგა, მერე მიტრიალდა და ნელა გაემართა გასასვლელისაკენ. მის დანახვაზე ჰოლში სავარძლიდან მამაკაცი წამოდგა, და მან პოდგურსკი იცნო. კოსეცკი მასთან მივიდა.

— რა მოგივიდა? ეს მართლა მოხდა?

— მართლა, — უპასუხა პოდგურსკიმ.

— ვინ ქნა ეს? როდის?

— ვინ? ისევ იმათ.

მან პირდაპირ შეხედა კოსეცკის და უთხრა:

— გელოდით.

— მე?

— ჰო. მინდა მოგელაპარაკოთ.

— ძალიან კარგი. სად ვილაპარაკოთ? აქ?

— არა. იქნებ კომიტეტში წავიდეთ. აქვე ახლოს, ბაზრის მეორე მხარესაა.

— კარგი .

უსიტყვოდ გადაიარეს ბაზარი და ჭიშკარში შევიდნენ, სადაც ავტომატებიანი დარაჯები იდგნენ.

პოდგურსკიმ კოსეცკი პირველი სართულის დიდი, მაღალი ოთახების წინ გაატარა. აქ უამრავი ხალხი: სამოქალაქოები და სამხედროები ირეოდა. საწერი მანქანების ტკაცუნი ლაპარაკს უშლიდა ხელს. მხოლოდ ბოლო დიდი ოთახი იყო თავისუფალი. მაგიდასა და ორ სკამს თუ არ ჩავთვლით, იმ ოთახში ავეჯი საერთოდ არ იდგა. ფანჯრები ბაზარს გადაჰყურებდნენ.

— რა იყო აქ ომამდე? — ვერ გაიხსენა კოსეცკიმ.

პოდგურსკიმ ფანჯარა მიხურა.

— აქ? საქალაქო მუზეუმი. გერმანელების დროს კი — ჟანდარმერია.

— მართალია, — თავი დაუქნია კოსეცკიმ. — ექსპონატები, რა თქმა უნდა, განადგურდა?

— განადგურდა.

კოსეცკიმ სკამი მაგიდასთან მისწია, დაჯდა და კითხვით აღსავსე მზერა მიაპყრო პოდგურსკის. დაღლილი და უგუნებო პოდგურსკი ფანჯარასთან იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გისმენთ.

— მგონია, მიმიხვდით, რაზე მინდა გელაპარაკოთ?

— ცხადია. — წყნარად მიუგო კოსეცკიმ. — ვხვდები კი არა, ნამდვილად ვიცი.

— ჰოდა, მაშინ...

— რა გითხრათ ინჟინერმა შჩუკამ?

— ყველაფერი მითხრა თქვენზე.

— რა?

პოდგურსკის შეაქრთოლა.

— არ იცით, რას მეტყოდა? ამის თქმაც საჭიროა? რანაირად უსწორებთ თვალს ადამიანებს? ოჰ, რა საშინელებაა!

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. პოდგურსკი მასთან ახლოს მივიდა.

— კაცმა რომ თქვას, ეს თქვენი საქმეა, — მშვიდად უთხრა მან. — რაც მე შემეხება, ერთ რამეს გეტყვით: ამხანაგი შჩუკას ჩვენების თანახმად, დღეს თქვენი საქმე სახელწიფო უშიშროების სამმართველოს უნდა გადავცე.

კოსეცკი ხმას არ იღებდა.

— სულ ესაა? — ჰკითხა მან ბოლოს.

— ჰო.

პოდგურსკი მიბრუნდა და ფანჯარასთან მივიდა.

— მეტი არაფერი გაქვთ სათქმელი? — ჰკითხა კოსეცკიმ.

პოდგურსკი დუმდა. კოსეცკი წამოდგა.

— კარგი. მაშინ იქნებ ორიოდე სიტყვა მათქმევინოთ?

— გისმენთ, — წაიბურტყუნა პოდგურსკიმ.

— აუცილებლად გარეთ უნდა იყურებოდეთ? არა ვარ ჩვეული ისეთ კაცთან ლაპარაკს, ზურგით რომ მიდგას.

პოდგურსკი მოტრიალდა.

— მაგრამ ზურგში ჩარტყმა ხომ გემარჯვებათ?

კოსეცკიმ თვალი გაუსწორა.

— კი, — მშვიდად უპასუხა მან. — ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელებას არ ჩაიდენ კაცი. მაგრამ მგონია, ერთი რამ არ გესმით, ან არ გინდათ გაიგოთ. ომი, განსაკუთრებით კი ასეთი ომი, ამ ბოლო დროს რომ დაგვატყდა თავს, ადამიანური ბუნების სხვადასხვა მხარეს ამჟღავნებს. ერთნი გმირები ხდებიან, სხვანი — დამნაშავენი. ასე არ არის?

პოდგურსკი დუმდა. ოდნავ წინწახრილი მაგიდას ჩამოყრდნობოდა.

— არ გინდათ მიპასუხოთ? — ჰკითხა კოსეცკიმ.

პოდგურსკიმ თავი ასწია.

— მგონია, ვერ გამიგეთ, — ხმას დაუდაბლა მან, — რატომ გამოგიძახეთ აქ. ყოველ შემთხვევაში არა საკამათოდ, ვინ და რატომ გახდა ომის დროს გმირი. გასაგებია?

კოსეცკიმ თავი დახარა.

— მართალია, მაგრამ იმასაც გეტყვით, სწორად ვერ გამიგეთ. საერთოდ არ ვაპირებ თქვენთან კამათს, მხოლოდ ის მინდა, რახან ჩემი ამბავი გცოდნიათ, ისიც გაგეგოთ, რას ვფიქრობ ამის თაობაზე.

— სასამართლოში თქვით.

— უკვე გამწირეთ, ხომ? — წამოიძახა კოსეცკიმ. — სერიოზულად უნდა მომისმინოთ. არა, იმიტომ არა, რომ ძველი ნაცნობები ვართ, როგორც ადამიანმა უნდა გითხრათ ორიოდე სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოდგურსკი შეყოყმანდა.

— კარგი,— თქვა მან ბოლოს. — მხოლოდ ბევრი არ გააგრძელოთ.

— ვეცდები, — უპასუხა კოსეცკიმ. — ჰო, იმას ვამტკიცებდი, ომისდროინდელ განსაკუთრებულ პირობებში ადამიანის არსებაში სხვადასხვა ინსტინქტი ილვიძებს. მაგრამ ომი დამთავრდა, არავინ ომობს. მიმაჩნია, რომ რაკი ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობებია, დროა აღდგეს ჩვეულებრივი საზოგადოებრივი ურთიერთობებიც. ბევრმა ადამიანმა ვერ გაუძლო იმ საშინელებას და გატყდა. ვერ აიტანა ის კოშმარი. ახლა იმის განსჯის დრო არ არის, ვინ უფრო დამნაშავეა — ის, ვინც დანაშაულისაკენ გვიბიძგებს, თუ ვინც დანაშაულს ჩაიდენს. ჰო, დანაშაული ჩადენილია, მაგრამ ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვეულებრივ პირობებში იმ ადამიანებს არ შეუძლიათ გამოსწორდნენ და საზოგადოებას სარგებლობა მოუტანონ? ან იქნებ გგონიათ, რომ იქსი, ბანაკში თავის ამხანაგებს რომ ჰპარავდა, ახლაც იქურდებს, როცა თავის საქმეს დაუბრუნდება და მშიერი აღარ იქნება? ან იგრეკი, ვთქვათ, ბოროტმოქმედთა ხელში იარაღი რომ იყო, ახლაც მხეცად დარჩება? ერთ წუთს კიდევ მელაპარაკეთ, — შეაჩერა მან პოდგურსკი. — ჯერჯერობით ეს საკითხი თეორიულ ჭრილში განვიხილე. ახლა, თუკი ჩემზე მოდგება საქმე, არ ვიცი, რა გელაპარაკათ ინჟინერმა შჩუკამ. შეიძლება გაამუქა ფერები, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა. მე რაც ვთქვი, იმასვე ვიტყვი. მგონია, კარგა ხანია მიცნობთ, და იცით, რას ვფიქრობ პირად პასუხისმგებლობაზე. რასაკვირველია, მრავალი მძიმე შეცდომა მომსვლია, მაგრამ ნუთუ ფიქრობთ, რომ შევიცვალე? არ შემიძლია, როგორც ომამდე, საზოგადოებას სარგებლობა მოვუტანო და პატივისცემა დავიმსახურო? ბოლოს და ბოლოს იმით ვინ რას მოიგებს, დამსვამენ თუ არა განსასჯელის სკამზე? ახლა აღარ ვლაპარაკობ ამ საქმის ფორმალურ მხარეზე. თქვენი ჩვენება საკმარისი არ არის. მოწმეებია საჭირო. ვთქვათ, მოწმეები გამოჩნდნენ და გამასამართლეს. მერე რა? რას მოიტანს ეს? ერთი ადამიანით ნაკლები იქნება, და სწორედ მაშინ, როცა ამდენი კაცი გვაკლია. კიდევ რა? ათეულობით კაცი, კარგად რომ მიცნობდნენ, იტყვის: „თუ ასეთი კაცი დაეცა, სხვას რაღა მოვთხოვოთ“. გარწმუნებთ, ეს პროცესი დადებით როლს ვერ შეასრულებს. ვერ განამტკიცებს ადამიანის შერყეულ რწმენას. ჰოდა, გეკითხებით, რა სარგებლობას მოუტანს ეს პროცესი საზოგადოებას? არა, პან ფრანეკ, — ხელი აიქნია მან. — ჩემსავით კარგად იცით, რომ კოსეცკი დასჯის ღირსია ბანაკში ჩადენილი დანაშაულისათვის, რასაც არ უარვყოფ, — ახლა, ომის შემდეგ, მინდა წინანდებურად ვემსახურო საზოგადოებას, თუ მეტად არა. აი, კიდევ რას გეტყვით, საკუთარ აზრებს გიმხელთ. თუმცა ამავე აზრისაა ყველა ცივილიზებული, პოლიტიკურად განვითარებული ხალხი. ომი ერთია, მშვიდობა — მეორე. მათ შორის უფსკრულია. ომს თავისი კანონები აქვს, მშვიდობას — თავისი. ომის პირველი დღე გადახაზავს მშვიდობას. და მშვიდობის პირველი დღე — ომს. იმას, რასაც მნიშვნელობა ჰქონ-

და ომის დროს, მშვიდობიანობის დროს აღარა აქვს მნიშვნელობა და პირიქით. გუშინდელი მტერი შეიძლება დღეს შენს მეგობრად იქცეს. ასეთია ეს ცხოვრება. მედლის ორი მხარე. ომი და მშვიდობა. არ უნდა აურიო ერთმანეთში. ასევე არ დასვა ერთად ორი სხვადასხვა ადამიანი. მათ შორის ნამდვილი ადამიანი აი, ისაა, ვისაც ახლა, ამ პერიოდში შეუძლია საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს. აი, ამის თქმა მინდოდა.

ბიბლიოთეკა

ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო ,გახსნა და პოდგურსკის მიაწოდა.

— გმადლობთ, — უარი უთხრა მან.

კოსეცკიმ მოუკიდა, ნაფაზი დაარტყა და დაჯდა.

— ახლა ისე მოიქეცით, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ. ჩემდათავად სათქმელი აღარაფერი მაქვს.

პოდგურსკი დიდხანს დუმდა. აი, ესეც, ასეთი აღმოჩნდა ეს კაცი, ვისაც ოდესღაც პატივს სცემდა და ნამდვილად პატიოსან ადამიანად მიაჩნდა! იგი იმდენად ნაძირალა აღმოჩნდა, სულით ხორცამდე შესძრა პოდგურსკი. იგი შეიძლებოდა ბანაკის ჯალათი ან ბოროტმოქმედების ყურმოჭრილი მონა ყოფილიყო. ასევე პატიოსან კაცად გაესაღებინა თავი. მხოლოდ ერთ რამეს ნატრულობდა: რადაც უნდა დაჯდომოდა, სიცოცხლე შეენარჩუნებინა. გინდ ბოროტება ჩაედინა და გინდ სიკეთე. გარემოებისდა მიხედვით უნამუსო იყო, თუ კი ცხოვრება მოითხოვდა — კეთილსინდისიერი. ნამდვილად რას წარმოადგენდა? ვინ აქცია მონად? როგორ თქვა შჩუკამ? წვრილი ბურჟუას გაკოტრება?

უცებ პოდგურსკიმ ისეთი დაღლილობა იგრძნო, რომ ერთი სული ჰქონდა, როდის დაამთავრებდა ლაპარაკს, ერთხელ და სამუდამოდ მორჩებოდა ამ სისაძაგლეს.

თავისდაუნებურად გადაისვა ხელი შუბლზე და ცივი ოფლი იგრძნო. რა ექნა? ეს კაცი თავისუფალი ყოფილიყო? დაევიწყებინა მისი ავკაცობა?

უნდოდა წამომდგარიყო და ეთქვა, წადითო, როცა თავში სისხლი აუვარდა: საკუთარმა ფიქრებმა შესძრა. „რა უნდა მექნა? — გაიფიქრა მან. — ლამის დანაშაულის მდუმარე თანამონაწილე არ გავხდი? კინაღამ დავეთანხმე მის ლაჩრულ, მცდარ მოსაზრებებს?“

მაშინვე სიმშვიდე დაეუფლა. გული ისევ სწრაფად უცემდა, მაგრამ მალე დაუწყნარდა. ყურმილი აიღო და სახელმწიფო უშიშროების ნომერი აკრიფა. გრძნობდა, რომ მაგიდის იქით მჯდარ კოსეცკის თვალი მისკენ ჰქონდა. იქით არ გაუხედავს, შინაგანად აწრიალებული იყო, ეგითუ ვრონა წასულიაო. ტელეფონი ვრონამ აიღო.

— მე ვარ, — უთხრა პოდგურსკიმ. — სალამი! ცოტა დროს დამითმობ?

— როდის? — ჰკითხა ვრონამ. — ახლა?

— ჰო.

— ჩემთან მოხვალ?

— ცხადია ეს ამბავი შენთვისაც საინტერესო იქნება.

— გელოდები, — დაამთავრა ვრონამ ლაპარაკი.

პოდგურსკიმ ყურმილი დადო და კოსეცკის გახედა. ერთ წამს ჩუმად უყურებდნენ ერთმანეთს. მეზობელი ოთახიდან ლაპარაკი და საწერი მანქანების ტკაცუნი ისმოდა. რაც უფრო გრძელდებოდა სიჩუმე ამ დიდ, ნახევრად ცარიელ ოთახში. მით უფრო ფითრდებოდა კოსეცკი. თითქოს სისხლი უშრებოდა. და ბოლოს მკვდრისფერი დაედო. „კმარა“ — გაიფიქრა პოდ-

გურსკიმ, სკამიანად გაჩოჩდა მაგიდიდან, წამოდგა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— აბა, წავიდეთ!

კოსეცკი არ განძრეულა. მაშასადამე, ყველაფერი დამთავრდა. ვერ მიმხვდარიყო, ვერ გაეაზრებინა, რა მოხდა უკანასკნელ წუთს. მხოლოდ ერთი რამ იცოდა: როგორც კი ფეხზე დადგებოდა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უფსკრულში გადაეშვებოდა. „წავაგე ბრძოლა" — გაუელვა თავში. ამასთან იმის ბუნდოვანი შეგრძნებაც გაუჩნდა, რომ შურისძიება სადღაც შორს იყო და შური ვიღაც სხვაზე უნდა ეძიათ. „იმედი მაქვს ძილის წამალს არ დამიკავებენ", — თავისდამოულოდნელად გაიფიქრა მან.

ხელმიცკიმ ღრმად ამოისუნთქა და ადგა. ძლივს აართვა ძილს თავი; ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რამდენიმე საათს ეძინოს, ჩამოღამებულიყოს. მაშინვე გამოფხიზლდა. ოთახში ბნელოდა, გარეთ კი ისევ დღე იდგა. საათზე დაიხედა: მალე რვის ნახევარი გახდებოდა. საწოლიდან წამოხტა, გაოფლილი სახე პირსახოცით მოიწმინდა. თმა გადაივარცხნა და პორტფელში საჩქაროდ ჩააწყო ნივთები: პიჟამო, პირსახოცი, საპონი, კბილის ჯაგრისი, ბინძური პერანგი. მერე პალტო ჩაიცვა და შლაპა დაიხურა. თითქოს ყველაფერი მოითავა, მაგრამ კართან მისული, კვლავ უკან დაბრუნდა და ჭიქიდან დამჭკნარი იების თაიგული ამოიღო. ისევ სურნელებას აფრქვევდა. იების კონა გააქანგამოაქანა და პალტოს ჯიბეში ჩაიდო.

მეკარემ გაიკვირვა, როცა ხელმიცკიმ უთხრა, ოთახს ვათავისუფლებო.

— დრო კიდევ გაქვთ. კრაკოვის მატარებელი ნაშუაღამევს გადის.

— არა უშავს, — უპასუხა ხელმიცკიმ. მანამდე რამდენიმე საქმე მაქვს მოსაგვარებელი.

მოხუცმა სათვალე გაისწორა და ანგარიშის გამოწერას შეუდგა.

— სამი დღე-ღამე, — იანგარიშა მან.

ხელმიცკიმ თავი დაუქნია.

— ზუსტად სამია.

მოეჩვენა, მას მერე, რაც აქ პირველად ოთახის დასაქირავებლად მოვედი, მთელი საუკუნე გავიდაო. მეკარე ნელა წერდა და უფრო ნელა ითვლიდა, ხელმიცკი მოუთმენლობისაგან წრიალებდა. ბოლოს და ბოლოს ანგარიში მზად იყო. ხელმიცკიმ გადაიხადა და მოხუცს კარგა გვარიანი ფეხის ქირაც მისცა.

— ოჰ, — გაიხსენა ხელმიცკიმ, — მომეცით რამდენიმე პაპიროსი. უნგრული კიდევ დაგრჩათ?

სწორედ ის პაპიროსი ამოიღო, პირველ ღამეს რომ ეწეოდნენ ის და კრისტინა.

მეკარემ კოლოფი ჯიბეში ჩაიდო და გამოთხოვებისას ისე აუჩუყდა გული, თითქოს ვინმე ძალიან ახლობელს ეთხოვებაო.

— დაიხსომეთ, — უთხრა მან და ხელმიცკის ხელი ჩამოართვა, — სანამ აქ ვარ, საუკეთესო ოთახი „მონოპოლში" თქვენი იქნება.

— დიდებულია! — გაუღიმა ხელმიცკიმ.

კარის ზღურბლზე გადააბიჯა, როცა მოხუცის ხმა გაიგონა:

— ვარშავაში როცა დაბრუნდებით, „სავოის" მოხუცი მეკარის სახელით სალამი გადაეცით უიაზდოვის ხეივნებს...

ბაზარში რომ შევიდა, ხელმიცკი დაწყნარდა. ერთხანს იდგა და ყოყმა-

ნობდა, მერე ნელ-ნელა გაუყვა ტროტუარს. რესტორან „მონოპოლის" შესასვლელი განათებული იყო, ვიღაც-ვიღაცები შედიოდნენ შიგ. რადიოს ქვეშ ხალხს მოეყარა თავი, უკანასკნელ ცნობებს უსმენდნენ. მოედანს ეფინებოდა იმ დიქტორის ხმა, ნაშუადღევს რომ გადმოსცემდა. სახლების სახურავებზე ფრიალებდნენ თეთრ-წითელი დროშები. შუა მოედანზე ფიცრულ ტრიბუნას აშენებდნენ. გვერდით, მიწაში, მაღალ ფლაგშტოკებს ასობდნენ.

იგი კუთხემდე მივიდა, მკვეთრად მოუხვია. მოედანზე, საიდანაც სამგზავრო ავტობუსები გადიოდნენ, ორი სატვირთო მანქანა იდგა. იგი მიმოსვლის განრიგთან მივიდა. უკანასკნელი ავტობუსი კალინუვკაში ერთი საათის წინ გასულა. პირველი ავტობუსი დილის შვიდ საათზე გადიოდა. მძღოლებს ჰკითხა, საით მიდიხართო. ერთი არსად არ აპირებდა, მეორე ვარშავაში მიდიოდა.

— თქვენ საით მიბრძანდებით? — ჰკითხა პირველმა.

ხელმიცკიმ კალინუვკის შემდეგი დიდი დასახლება დაასახელა. მძღოლმა მხრები აიჩეჩა.

— რას ამბობ, ბატონო... ამ ყიამეთში ტყეში ვიაროო?

პასუხის გაცემა დააპირა, როცა ტროტუარზე მიმავალი ორი პატრული დაინახა. ალბათ, მოედნისკენ შეუხვევენო, გაიფიქრა. ხელი შლიაპაზე მიიდო და ნელა წავიდა საპირისპირო მიმართულებით. მოედნის ბოლოს, რადიოსთან შეჯგუფული ხალხის ახლოს ისევ პატრულს მოჰკრა თვალი. კვლავ განზე გაუხვია. ცოტა ხანში ერთ ვიწრო ქუჩაზე გავიდა.

ირგვლივ სიჩუმე იდგა. გამვლელებს აქა-იქ თუ მოჰკრავდა თვალს. ერთ მხარეს ჩარიგებული სახლების მეორე სართული ჩამავალი მზის ოქროსფერ სხივებში გახვეულიყო. ფასადის ქვემო ნაწილსა და იქითა მხარეს აღმართულ სახლებს ჩრდილი ეფინათ. ხელმიცკიმ გვერდი აუარა დუქანს, რომლის კარის ზღურბლზე ვარდისფერი ბოლოკით სავსე კალათა იდგა. მაღალ-მაღალი, გამხდარი ქალი იქექებოდა კალათში, საუკეთესო კონებს ეძებდა, იქით, ჩაბნელებული სარდაფიდან ჩაქუჩის ხმა ისმოდა. წინ დაღლილი მოხუცი კაცი მიტუსტუსებდა და გაზეთს კითხულობდა. უკან ფეხმონგრეული ტაქსა მისდევდა.. მაღლა, მზის სხივებში გახვეული სახლის თავზე მტრედები ღუღუნებდნენ. ცოტა მოშორებით, ეზოდან გარმონის ხმა ისმოდა.

ერთხანს ამ ქუჩას მიუყვებოდა, მერე ისეთივე ვიწრო, მყუდრო ქუჩაზე შეუხვია და შეჩერდა. კაცმა რომ თქვას, რა უნდოდა აქ? რას ეძებდა? მართლა კალინუვკაში აპირებდა წასვლას? რკინიგზის ვაგზალი სულ სხვა ადგილას იყო. მატარებლის გასვლამდე ერთი საათი რჩებოდა. ერთი საათი. ალბათ, კრისტინა უკვე ელოდა. შეშინდა, არ დავაგვიანოო, და საჩქაროდ უკან მიბრუნდა. ისევ კუთხეში მიუხვია და რამდენიმე ათეული ნაბიჯის იქით ქვაფენილზე მომავალი სამი ავტომატიანი ჯარისკაცი დაინახა. შეკრთა და მაშინვე მოტრიალდა. ყვირილი მოესმა: „გაჩერდი!" კუთხემდე ერთი ნაბიჯიღა დარჩენოდა. ცალი ხელით პორტფელი ჩაბღუჯა და მეორე ხელი პალტოს ჯიბეში ჩაიყო, რევოლვერს ამოვიღებო. სწორედ მაშინ, როცა მიხვდა, რომ რევოლვერი არ ჰქონდა, ზურგში მაგარი დარტყმისაგან სუნთქვა შეეკრა. წინ გავარდა და თვალდაბნელებულმა ყრუ გასროლა გაიგონა. პორტფელი გაუვარდა და მიწაზე დაეცა. ზემოთ თეთრ-წითელი დროშა დაინახა. უფრო მაღლა — ლურჯი ცა. „საიდან გაჩნდა ეს დროშა" — გაიკვირვა მან. „რა მოხდა?"

ერთმა ჯარისკაცმა პორტფელი აიღო. მეორემ დაიჩოქა და პალტოს ჯი-

პეები გაუჩხრიკა. დამჭკნარი იის კონა ამოიღო და გადააგდო, მერე პალტო გაუხსნა.

— რა ამბავია? — ჰკითხა მესამე ჯარისკაცმა, ავტომატიანი იქვე ახლოს რომ იდგა.

მუხლებზე დაჩოქილმა პიჯაკის ჯიბიდან ქენკარტა ამოიღო და ამხანაგს გაუწოდა. მან დახედა და ჯიბეში ჩაიდო. ამასობაში პირველი ჯარისკაცი პორტფელს აცარიელებდა, ნივთებს ქვაფენილზე ყრიდა: პიჟამა, ბინძური პერანგი, საპონი... სამივე ჯარისკაცმა ერთმანეთს გადახედ-გადმოხედეს.

— დაწყევლოს ეშმაკმა! — წაიბურტყუნა მუხლებზე დაჩოქილმა ჯარისკაცმა.

წინ გადაიხარა და ხელმიცკის დააყურა. იგი ჯერ კიდევ სუნთქავდა, თვალები ღია ჰქონდა. მაგრამ უკვე ნისლი ჩასდგომოდა.

— ეჰ, შე კაცო, რა მიგარბენინებდა! — გულდაწყვეტილმა წამოიძახა.

□

ეროვნული

# მიხაილ ბულგაკოვი

## ძაღლის გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა გივი კიკილაშვილმა

I

უ-უ-უ-უ-ღუ-ღუ-ღუუ! ოჰ, შემომხედეთ, ვკვდები, ქარბუქი სახლის თაღქვეშ სულთათანას შემომღრიალებს და მეც ყმუილით ბანს ვაძლევ. დავიღუპე, ოჰ, დავიღუპე. არამზადამ, თავზე ჭუჭყიანი ჩაჩი რომ ახურავს — სახალხო მეურნეობის ცენტრალური საბჭოს მომსახურეთა ნორმალური კვების სასადილოს მზარეულმა — მდუღარე წყალი შემომასხა და მარცხენა ფერდი გამიფუფქა. ის გარეწარი პროლეტარი მაინც არ იყოს. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, როგორ მტკივა. მდუღარემ ძვლებამდე გამატანა. ახლა ვყმუი, ვყმუი, მაგრამ ყმუილი რას მიშველის.

ნეტავ რა დავუშავე? რა მოხდა, სანარცხე ორმო თუ გავქექე, სახალხო მეურნეობის საბჭოს ხომ არ შევუსანსლე რამე? ძუნწი ნაძირალა! ერთი იმისი სიფათისათვის შეგეხედათ: სიგრძეზე მეტი სიგანე აქვს იმ ცხვირ-პირჩაყანგებულ ქურდს. ოჰ, ხალხო, ხალხო, თქვენ რა გითხრათ! მდუღარე წყლით ჩაჩიანი შუადღისას გამიმასპინძლდა, ახლა კი უკვე ჩამობინდდა, ნაშუადღევის ოთხი საათი იქნება. ამას ხახვის სუნითა ვგრძნობ, პრეჩისტენკის სახანძრო რაზმის სამყოფლიდან რომ გამოდის. მეხანძრეები, როგორც მოგეხსენებათ, ვახშმად ისეთ ფაფას ჭამენ, არაფრად არ ვარგა, სოკო გეგონება. ისე კი პრეჩისტენკელი ნაცნობი ძაღლები ამბობენ, ნეგლინიზე რესტორან „ბარში" მორიგე კერძს, სოკოს, სოუს პიკანს ჭამენ, ულუფა 3 მანეთი და 75 კაპიკი ღირსო. თუმცა ვის რა უყვარს; რაღა ის სოკო გიჭამია და რაღა კალოში გილოკია... უ-უ-უ-უ...

ფერდი აუტანლად მტკივა და აშკარად ვგრძნობ, ჩემს კარიერას რაც მოელის: ხვალ დამდუღრული რომ დამიწყლულდება, საკითხავია, როგორ უნდა მოვირჩინო? ზაფხული რომ იყოს, სოკოლნიკზე შევირბენდი; იქ ძალიან კარგი, სწორედ საამისო ბალახია, ამას გარდა, მუქთად ვჭამდი ძეხვის წანათლებს; მოქალაქეები ქონიან ქაღალდებს ყრიან და ლოკვით გულს ვიჯერებდი. აი, ვიღაც ჯუჯლუნა ბერიკაცი მთვარის შუქზე გაუთავებლად „ძვირფასო აიდას" რომ არ მღეროდეს და გულს არ აღონებდეს, იქ ყოფნას რა სჯობია. ახლა კი, აბა, სად წახვალ? უკანალზე ჩექმა თქვენთვის თუ უთავაზებიათ? უთავაზებიათ. ნეკნებში აგური თუ მოგხვედრიათ? მე საკმაოდ მიგემია. ყველაფერი გამომიცდია, ბედს შეგუებული ვარ და, თუ ახლა ვტირი, მხოლოდ ფიზიკური ტკივილი და სიცივე მატირებს, იმიტომ რომ სული ჯერ არ ჩამღრძობია... ძაღლის სული რას არ გაუძლებს.

სხეული კი დალეწილ-დამსხვრეული მაქვს, ძალიან გამტანჯეს ადამიანებმა. რაც მთავარია, იმ არამზადამ მდუღარე წყალი ისე გადმომასხა, ბალანი გამაყრევინა. ჰოდა, მარცხენა ფერდს ველარაფერი დამიფარავს. ძალზე იოლად შეიძლება ფილტვების ანთება დამემართოს, ხოლო ფილტვების ანთება თუ დამემართა, მოქალაქენო, შიმშილით სიკვდილი მიწერია. ფილტვების ანთებიანი სადარბაზოში კიბის ქვეშ უნდა ვიწვე, მაგრამ იქ თუ ვიწვები, ჩემ ნაცვლად, უცოლო ძაღლის ნაცვლად, ნაგვის ყუთში საჭმლის საძებნელად ვინღა ირბენს? ფილტვი გამემსჭვალება, მუცელზე გავხოხდები, ძალა გამომეცლება და რომელიმე სპეცი კეტის დარტყმით სულს გამაფრთხობინებს, ბალთიანი მეეზოვეები კი ფეხებში ხელს მტაცებენ და საზიდარზე შემაგდებენ...

პროლეტართა შორის მეეზოვეები ყველაზე ბილწნი არიან, ნაყარნუყარნი, უდაბლესი კატეგორია. მზარეული სხვადასხვანაირია. მაგალითად, ცხონებულმა ვლასმა, პრეჩისტენკაზე რომ იყო, სიკვდილისგან რამდენი იხსნა. იმიტომ რომ ავადმყოფობისას უმთავრესია, რაიმე საკბილო მოიგდო. ბებერი ძაღლები იტყვიან ხოლმე, ვლასი ძვალს რომ გადმოგვიგდებდა, ხშირად ზედ ხორციც ჰქონდა შერჩენილიო; ღმერთმა აცხონოს, კაცური კაცი ის იყო, ნორმალური კვების საბჭოში კი არ დაწანწალებდა, ბატონის, გრაფ ტოლსტოის მზარეული გახლდათ. ნორმალური კვების სასადილოში რასაც სჩადიან, ძაღლის გონება ვერ წარმოიდგენს, არამზადები აყროლებული დამარილებული ხორცით წვნიანს ამზადებენ, იმათ კი, საწყლებმა, არაფერი იციან, შერბიან, თქლეფენ, სვლეპენ.

ზოგი მემანქანე ქალი მეცხრე თანრიგით ოთხ თუმან-ნახევარს ღებულობს, თუმცა ეს კი უნდა ითქვას, რომ საყვარელი ფილდეპერსის წინდებს აჩუქებს ხოლმე, მაგრამ იმ ფილდეპერსის გულისთვის რამდენი დამცირება უნდა აიტანოს. მას ხომ ჩვეულებრივს კი არა, ფრანგულ სიყვარულს აიძულებენ. ჩვენში დარჩეს და ეგ ფრანგები არამზადები არიან, ისე, ჩახეთქვა კი რიგიანი იციან, თანაც წითელ ღვინოს შეექცევიან. დიახ... ჰოდა, შეირბენს იქ მემანქანე ქალი, მაშ რას იზამს, ოთხ თუმან-ნახევრის პატრონი „ბარში" ხომ ვერ ივლის. კინემატოგრაფისთვისაც არა ჰყოფნის, კინემატოგრაფი კი ქალისათვის ცხოვრებაში ერთადერთი ნუგეშია. კანკალებს, ილრიჯება, მაგრამ მაინც სვლეპს... წარმოგიდგენიათ: ორ თავ საჭმელში 40 კაპიკს ახდევინებენ, როცა ორივე თავი ერთად სამი შაურიც არ ღირს, იმიტომ რომ დანარჩენი 25 კაპიკი მნემ ჩაიჯიბა. იმას კი განა ასეთი კვება სჭირდება? მარჯვენა ფილტვის ზედა ნაწილი რიგზე ვერა აქვს, ქალური სნეულებაც დაემართა ფრანგულ ნიადაგზე, სამსახურში ფული დაუქვითეს, სასადილოში აყროლებული ხორცი აჭამეს, აგერ ისიც... თაღქვეშ გამორბის, საყვარლის ნაყიდი წინდები აცვია. ფეხები გასთოშვია, მუცელს ქარი უყინავს, იმიტომ რომ ტანზე თითქოს ჩემნაირი ბეწვი უფარავს, ნიფხავიც კი სიფრიფანა აცვია, ცარიელი მაქმანი, საყვარლის თვალების სატყუარა. აბა, ერთი, გაბედოს და ფლანელისა ჩაიცვას, საყვარელი მაშინვე აყვირდება: სიკოხტავე სულ არა გაქვს! ჩემმა მატრონამ თავი მომაბეზრა, ველარ ვიტან ფლანელის ნიფხავს, ახლა ჩემი დრო დადგა. თავმჯდომარე ვარ და რასაც მოვიპარავ, სულ ქალებზე, კიბოს კისერსა და აბრაუ-დიურსოზე უნდა დავხარჯო. რადგან ახალგაზრდობაში საკმარისად ვიმარხულე. ჰოდა, მეყოფა მარხულობა, ხოლო საიქიო არ არსებობსო.

მებრალება ეს ქალი, მებრალება! მაგრამ ჩემი თავი უფრო მებრალება. ეგო-

იზმი კი არ მალაპარაკებს, არა, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ნამდვილად თანაბარ პირობებში არა ვართ. ის შინ მაინც არის თბილად, მე კი სად წამესვლელვარ? უ-უ-უ-უ-უ!

— მპუ, მპუ, მპუ! „შარიკ", ჰო, „შარიკ"... რა გაწკმუვლებს, ეშმაკმაწყალო? რა დაგემართა? უჰ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუდიანმა დედაბერმა, ქარბუქმა, ჭიშკარი მიაჯახუნა, ქალს ცოცხი ყურში გასცხო, კაბა მუხლებამდე აუფრიალა, კრემისფერი წინდები და ცუდადგარეცხილი მაქმანიანი საცვლის ვიწრო ზოლი გამოუჩინა, სიტყვა გააწყვეტინა და ძაღლი ნამქერში გაახვია.

— ღმერთო ჩემო... რა ამინდია... უჰ... მუცელი მტკივა. დამარილებული ხორცის ბრალია, ნამდვილად იმის ბრალია! ეს საშინელება როდის დამთავრდება?

ქალმა თავი ჩაღუნა და ქარბუქს შეუტია, თაღქვემოდან გარეთ გაიჭრა, ქუჩაში კი ქარმა ატრიალა, ატრიალა, ხან აქეთ მიაგდო, ხან იქით, მერე თოვლის ფანტელებში გაახვია, დააბზრიალა და გააუჩინარა.

თაღქვემოთ დარჩენილ ძაღლს დასახიჩრებული ფერდი ტანჯავდა; ცივ კედელს აეკრა, სული შეეხუთა და მტკიცედ გადაწყვიტა, აღარსად წავალ, აქვე თაღქვეშ ჩავიღრძობიო. სასოწარკვეთამ ხელი დარია. გული ისე სტკიოდა, ისე უწუხდა, ისეთ შიშსა და მარტოობას გრძნობდა, რომ წვრილი, ძაღლური ცრემლები თვალებიდან ძიძიბებივით ამოებურცებოდა ხოლმე და უმალვე უშრებოდა. დასახიჩრებულ ფერდზე გათოშილი ბალანი ბლუჯა-ბლუჯად ეკიდა, მათ შორის კი ნაფუფქი წითელ ლაქებად მოუჩანდა. მზარეულები რა უგუნურნი, გონებაჩლუნგნი, ულმობელნი არიან. „შარიკ!" — დაუძახა იმ ქალმა. აბა რანაირი „შარიკია"?[1] შარიკი ხომ ჩამრგვალებულ-ჩასუქებული და სულელია, შვრიის ფაფას თქვლეფს, წარჩინებულთა შთამომავალია, ეს კი ბანჯგვლიანი, აწოწილი, გაბურძგნული, ფერდდაფუფქული მაწანწალა, უსახლკარო ძაღლია. თუმცა, გულკეთილად ნათქვამზეც მადლობას მოვახსენებთ.

ქუჩის გადაღმა გაჩირაღდნებული მაღაზიის კარი გაჯახუნდა და იქიდან მოქალაქე გამოვიდა. სწორედაც — მოქალაქე და არა ამხანაგი, უფრო სწორად კი — ბატონი. მოახლოვდა — ახლა კი აშკარაა, რომ ბატონია, არ გეგონოთ, პალტოს გამო დავასკვენი. რა სისულელეა! პალტო ახლა ბევრ პროლეტარსაც აცვია. რა თქმა უნდა, ასეთი საყელოიანი არა, მაგრამ შორიდან შეიძლება შეგეშალოს. აი, თვალების მიხედვით კი არც ახლოდან შეგეშლება და არც შორიდან. თვალებისნაირი ქვეყნად არაფერია, ბარომეტრივითაა. შიგ ყველაფერი ჩანს — სული ერთიანად გამოცარიელებული ვის აქვს, ტყუილ-უბრალოდ ნეკნებში ჩექმის ჭვინტს ვინ ამოგკრავს, ან ყველაფრისა ვის ეშინია. აი, ყველაზე უგვანო ლაქიას რომ ჩაასობ კბილს კოჭში, სწორედ ეგ არის სასიამოვნო. თუ გეშინია, ახია შენზე. მაშ ლირსიცა ყოფილხარ... ღრ-რ-რ... აუ-აუ...

ბატონმა ქუჩა თავდაჯერებულად გადმოჭრა, ქარბუქის სვეტი გაარღვია და თაღქვეშ შევიდა. ჰო, ჰო, ამას ზედვე ეტყობა, აყროლებული, დამარილებული ხორცით მუცელს არ ამოიყორავს. თუ სადმე მაინც შეაპარეს, ერთ ალიაქოთს

---

1. შარიკი (რუს.) — ბურთულა. უთარგმნელი დავტოვეთ, იმიტომ რომ შემდეგ ამ სიტყვიდან არის ნაწარმოები გვარი — შარიკოვი.

ატეხს, გაზეთში დაწერს? მე, ფილიპ ფილიპოვიჩს, ასე და ასე გამომასპინძლდნენო.

აი, თანდათან მოახლოვდა. ეს მაძღრისად ჭამს და არ იპარავს, წიხლს არ ამოგკრავს, მაგრამ თვითონაც არავისი ეშინია. იმიტომ არ ეშინია, რომ მუდამ მაძღარია. გონებრივად მომუშავე ბატონია, წამახული ფრანგული წვერი და ჭაღარა, ფუმფულა ულვაშები აქვს, ყოჩაღ ფრანგ რაინდებს რომ ჰქონდათ, ისეთი, მაგრამ ქარს მისგან საძაგელი სუნი მოაქვს — საავადმყოფოსი, აგრეთვე სიგარისაც.

ნეტა ვიცოდე, ცენტრალური მეურნეობის კოოპერატივში რა ჯანდაბა უნდოდა? აგერ აქვე რომ არის... რას დაეძებდა? ამ გამოფხეკილ მაღაზიაში რა უნდა ეყიდა? მდიდრული მაღაზიების გზა აერია? ეს რა არის? ძეხვი. ბატონო, რომ იცოდეთ მაგ ძეხვს რისგან ამზადებენ, მაღაზიას ახლოს არ გაეკარებოდით. მე მომეცით.

ძაღლმა მთელი ძალა მოიკრიბა, რაც კი დარჩენოდა, და თაღქვეშიდან ტროტუარისკენ გაშმაგებული გახოხდა. ქარბუქმა თავზე თითქოს თოფი დააქუხაო, ნაჭრის პლაკატი აბფრიალა, ზედ უზარმაზარი ასოებით რომ ეწერა: „შესაძლოა თუ არა გაახალგაზრდავება?"

ნამდვილად შესაძლოა. მე სუნმა გამაახალგაზრდავა, წელი ამათრევინა, ორი დღის ნაშიმშილევი ცარიელი კუჭი ამიწვა, ნივრითა და პილპილით შეზავებული, დაკეპილი ცხენის ხორცის სამოთხისებურმა სუნმა საავადმყოფოს სუნი დამავიწყა. ვგრძნობ, ვიცი — ქურქის მარჯვენა ჯიბეში ძეხვი უდევს. თავს დამადგა. ოჰ, ჩემო მბრძანებელო! აბა, შემომხედე, სულსა ვლაფავ; რა ვქნათ, საზიზღარმა ბედმა ასეთი მონური სული გვარგუნა!

ძაღლი მუცელზე გველივით გახოხდა, თან ცრემლად იღვრებოდა. აბა, დახედეთ მზარეულის ნახელავს. თქვენ ხომ არაფერს გამოიმეტებთ. ოჰ, მდიდრებს ძალიან კარგად ვიცნობ! ისე კი, რაში გჭირდებათ? აყროლებული ცხენის ხორცი რად გინდათ? მოსსოფლმრეწვის გარდა ვერსად ნახავთ ისეთ ადგილს, სადაც ამგვარ საწამლავს შემოგთავაზებენ. დღეს თუ ისაუზმეთ, მამაკაცის სასქესო ჯირკვლების წყალობით მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულო კაცო? უ-უ-უ-უ... ამქვეყნად რაები ხდება? როგორც ჩანს, სიკვდილი ჯერ ნაადრევია, ხოლო სასოწარკვეთილება ჭეშმარიტად ცოდვაა. სხვა გზა არა მაქვს, ხელები უნდა აგულოკო.

უცნაური ბატონი ძაღლისკენ დაიხარა, თვალთა ოქროს რკალები გაიელვა და მარჯვენა ჯიბიდან თეთრი, გრძელი შეკრულა ამოიღო. ყავისფერი ხელთათმანები არ გაუხდია, შეკრულას ქაღალდი ისე შემოაცალა, ქარბუქმა უმალვე რომ გაიტაცა, „განსაკუთრებულ კრაკოვურ" ძეხვს ცალი მხარე მოაგლიჯა და ნაგლეჯი ძაღლს მიუგდო. ოჰ, უანგარო კაცო! უ-უ-უ!

— ფიტ-ფიტ, — დაუსტვინა ბატონმა და მკაცრი ხმით დაუმატა: — ჭამე! შარიკ, შარიკ!

ისევ — შარიკ! მონათლეს რაღა. თუმცა, თქვენ ისე მომეპყარით, შეგიძლიათ, რასაც ინებებთ, ის დამიძახოთ.

ძაღლმა კრაკოვურის კანი თვალის დახამხამებაში გაგლიჯა, პირში თქლაფუნით შეიგდო და უმალ გადასანსლა, თანაც თვალები აუცრემლდა, იმიტომ რომ სიხარბისაგან კინაღამ კანიც მიაყოლა და ამის გამო ძეხვი და თოვლი გულზე დაადგა. ხელს კიდევ და კიდევ გილოკავთ. შარვალზე გკოცნით, მწყალობელო!

— ჯერ ეს იკმარე...—ბატონი ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, თითქოს ბრძანებას იძლევაო. იგი შარიკასკენ დაიხარა, თვალებში გამომცდელად ჩააცქერდა და მოულოდნელად ხელთათმანიანი ხელი მუცელზე ინტიმურად, ალერსიანად ჩამოუსვა.

— ო-ჰო, — მრავლისმეტყველად ჩაილაპარაკა მან, — საყვედური არა მქონია, ძალიანაც კარგი, სწორედ შენ მჭირდები. აბა, გამომყევი. — მერე თითები აატკაცუნა. — ფიტ-ფიტ!

გამოგყვეთ? თუნდაც ქვეყნის კიდემდე გამოგყვებით, თუ გინდათ, ფეტრის ფეხსაცმელი მირტყით, ხმასაც არ ამოვიღებ.

მთელი პრეჩისტენკა ფარნებით იყო გაჩირაღდნებული. შარიკას ფერდი აუტანლად სტკიოდა, მაგრამ ტკივილი დროდადრო ავიწყდებოდა, რადგან მხოლოდ იმის დარდი ჰქონდა, იმ ორომტრიალში ქურქიანი, დიდებული მოჩვენება თვალთაგან არ დაჰკარგოდა. ცდილობდა მის მიმართ სიყვარული და ერთგულება რითიმე გამოეხატა. პრეჩისტენკაზე როცა მიდიოდნენ, სანამ ობუხოვის შესახვევს მიაღწევდნენ, ეს შეიდჯერ მაინც გამოხატა. ბოტზე აკოცა, მკვდარ შესახვევთან გზის გასაკაფავად ისე ველურად შეჰყმუვლა, ვიღაც შეშინებული ქალი ტუმბაზე დაჯდა, ორჯერაც თავის შესაცოდებლად დაიწკმუვლა.

რომელიღაც არამზადა, ვითომდა ციმბირელი მაწანწალა კატა საწვიმარი მილის უკანიდან გამოძვრა და თუმცა ქარბუქი მძვინვარებდა, ძეხვის სუნი მაინც იკრა. შარიკას ელდა ეცა, ამ უცნაურმა მდიდარმა კაცმა თალქვემოდან მე, დაჭრილი ძაღლი თუ გამომიყვანა, ვაითუ ეს ქურდბაცაცაც წამოიყვანოს, მაშინ ხომ მოსსოფლმრეწვის ნაწარმი შემცირდებაო, ამიტომ კატას კბილები ისე გაუკრაჭუნა, რომ ის გახვრეტილი შლანგივით აქშუტუნდა და მილზე მეორე სართულამდე აცოცდა. — ღ-რ-რ-რ... აუ! მოუსვი აქედან! ვერ მოგართვეს მოსსოფლმრეწვი, შე პრეჩისტენკის მაწანწალავ და არამზადავ!

ბატონმა ძაღლს ერთგულება დაუფასა და როცა სახანძრო რაზმის ფანჯარას გაუსწორდნენ, საიდანაც ვალტორნის სასიამოვნო ბუბუნი მოისმოდა, მეორე, მომცრო, ხუთი მისხლისოდენა ნაგლეჯით დააჯილდოვა.

რა უცნაური ვინმეა. უნდა, რომ მიმიტყუოს. თავს რაზე იწუხებს! მე თვითონ არსად წავალ. გავყვები, სადაც მიბრძანებს.

—ფიტ-ფიტ-ფიტ! აქეთ!

ობუხოვზე? ბატონი ბრძანდებით. ამ შესახვევს ძალიან კარგად ვიცნობთ.

— ფიტ-ფიტ! აქეთ? სიამოვ... ოჰ, არა, რას ბრძანებთ. არა. მანდ შვეიცარია. ამაზე უარესი კი ამქვეყნად არაფერია. შვეიცარი მეეზოვეზე უფრო სახიფათოა, საძულველზე საძულველია. კატაზე უფრო საზიზღარი. ბუზმენტებიანი მტარვალი.

— ნუ გეშინია, შემოდი.

— სალამი, ფილიპ ფილიპოვიჩ.

— სალამი, ფიოდორ.

აი, კაციც ეს ყოფილა. ღმერთო ჩემო, ეს ვინ შემახვედრა ჩემმა ძაღლურმა იღბალმა. რა კაცია ასეთი, შვეიცრის თვალწინ ძაღლს ქუჩიდან საბინაო ამხანაგობის სახლში რომ შეიყვანს? ერთი ამ არამზადას უყურეთ — არც ხმას იღებს, დგას ოქროსსირმიანი ქუდით თავმორთული, თითქოსდა ასეც უნდა იყოს. პატივისცემით ეპყრობა, ბატონებო, როგორი პატივისცემით! მაშ მეც იმასთან ვარ და იმას მივყვები. რაო, გაგაშეშეს? უჰ, ერთი დამაკბენინა, პროლე-

ტარულ, კოჟრებიან ფეხში კბილი გამაკვრევინა. ყველაფერის ჯავრი ამამყრევინა, რაც შენისთანებისგან დამცირება მიგემია. ჯაგრისით ჩემთვის დროშნი რამდენჯერ მიგიჩქვია, ჰა?

— წამო, წამო!

ეროვნული

გასაგებია, გასაგებია, თავს ნუ იწუხებთ. სადაც წაბრძანდებით, გამოგყვებით. თქვენ ოღონდ გზა მიჩვენეთ და არ ჩამოგრჩებით, თუმცა ფერდი ძალიან მაწუხებს.

— ფიოდორ, წერილები არ მომსვლია? — ჩასძახა ბატონმა კიბიდან.

ქვემოდან მოწიწებით მოისმა:

— არა, ფილიპ ფილიპოვიჩ! (მერე ინტიმურად ხმადაბლა დაადევნა), — მესამე ბინაში საბინაო ამხანაგობის ხალხი შეასახლეს.

ძაღლის ზვიადი მწყალობელი კიბის საფეხურზე მკვეთრად შემოტრიალდა, მოაჯირზე გადაიხარა და შეშფოთებით ჩაეკითხა:

— რაო?

ქვემოთ მდგარმა შვეიცარმა თავი მაღლა ასწია, ხელისგული პირზე მოიფარა და დაუდასტურა:

— დიახ, ერთბაშად ოთხნი.

— ღმერთო ჩემო, წარმომიდგენია, ბინაში რა ამბავი იქნება. რაო შესახლებულებმა?

— არაფერი.

— ფიოდორ პავლოვიჩი რას შვრება?

— შირმებისა და აგურის მოსატანად წავიდა. ბინა უნდა გადატიხრონ.

— ეშმაკმა უწყის, რა ხდება!

— ფილიპ ფილიპოვიჩ, თქვენი ბინის გარდა ყველა ბინაში შეასახლებენ. ახლა კრება ჩატარდა. ახალი ამხანაგობა აირჩიეს, ძველი კი გააპანღურეს.

— ეს რა ამბავია. ოჰ-ოჰ-ოჰ... ფიტ-ფიტ.

მოვდივარ, მოვჩანჩალებ. ხომ ხედავ, ფერდი რომ მაწუხებს, ნება მიბოძეთ, ჩექმა აგილოკოთ.

შვეიცრის სირმიანი ქუდი ქვემოთ გაუჩინარდა. მარმარილოს ბაქანზე ძაღლმა მილებიდან მონადენი სითბო იგრძნო; ერთხელაც შეტრიალდნენ და ბელეტაჟზე ამოჩნდნენ.

## II

წერა-კითხვის სწავლა აუცილებელი სულაც არ არის, როცა ხორცის სუნი ისედაც ერთ ვერსზე გცემს. მაგრამ თუ მოსკოვში ცხოვრობთ და ცოტა ჭკუა მაინც გაქვთ, წერა-კითხვას ძალაუნებურად, თანაც ყოველგვარი კურსების გარეშე ისწავლით. ორმოცი ათასი მოსკოველი ძაღლიდან თითო-ოროლა მთლად გამოტვინებულს თუ ნახავთ, ცალკეული ასოებისგან „ძეხვის" შედგენა რომ ვერ შეძლოს.

შარიკამ სწავლა ფერებით დაიწყო. ოთხი თვისა შეიქნა თუ არა, მთელ მოსკოვში ცისფერ-მწვანე ფირნიშები გამოჰკიდეს, რომელზედაც ეწერა МСПО — ხორცით ვაჭრობა. ვიმეორებთ, ეს სულაც არ იყო საჭირო, რადგან ხორცის სუნს ისედაც იგრძნობ. ერთხელ მარცხიც მოუვიდა: თვალმახარა ცისფერმა ფირნიშმა მიიტყუა, ყნოსვა კი მოტორიდან გამონაბოლქვი ბენზინის კვამლით დახ-

შული ჰქონდა და ხორცის სავაჭროს ნაცვლად მიასნიცკაიას ქუჩაზე ელექტრომოწყობილებათა მაღაზიაში შეელეტა, ძმებს — გოლუბიზნერებს რომ ეკუთვნოდა. იქ ძმებისგან გვარიანად იწვნია იზოლირებული მავთულის გემო, რასთანაც მეეტლის მათრახი მონაგონია. ეს მნიშვნელოვანი მომენტი შარიკას განათლების დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. მან იქვე ტროტუარზე დაასკვნა, რომ „ცისფერი“ ყოველთვის „ხორცის“ მაუწყებელი არ გახლავთ. სიმწრისაგან აწკმუვლებულმა კუდი უკანა ფეხებშუა ამოიძუა და გაიხსენა, რომ ხორცის მაღაზიების ყველა ფირნიშზე პირველი ადგილი მარხილის მსგავს, გაფარჩხულ ოქროსფერ ან მოწითალო ნიშანს ეკავა.

მერე უფრო გაუადვილდა. „ა“ დაისწავლა სიტყვიდან „Главрыба“, მოხოვოიას კუთხეში რომ მოჩანდა, მერე დაიხსომა „ბ“ — ფირნიშის ბოლოდან შერბენა უფრო ეხერხებოდა, იმიტომ რომ დასაწყისისაკენ მილიციელი იდგა.

შორენკეცების კვადრატები, რითაც მოსკოვში სახლის კუთხეები იყო მოპირკეთებული, უსათუოდ „ყველს“ ნიშნავდა. სამოვრის შავი ონკანი, რითაც სიტყვა იწყებოდა, უეჭველად აღნიშნავდა ყოფილ მეპატრონე ჩიჩკინს, მთებად დამდგარ წითელ ჰოლანდიურ ყველს, ძაღლების მოძულე გულღრძო ნოქრებს და მქისე ბაქშტეინს.

თუ გარმონს უკრავდნენ, რაც „ძვირფას აიდას“ ცოტათი მაინცა სჯობდა, და სოსისების სუნი იდგა, თეთრ პლაკატზე გამოსახული პირველი ასოებიდან ძალზე მარჯვედ ერთიანდებოდა და წარმოიქმნებოდა სიტყვა „უწმაწ “, რაც შემდეგს ნიშნავდა: „უწმაწური სიტყვები არ წარმოთქვათ და ხურდა მოითხოვეთ“. აქ ზოგჯერ ჩხუბი ატყდებოდა ხოლმე, ხალხს, თუმცა იშვიათად, ცხვირპირში მუშტებს უბათქუნებდნენ. ხოლო ძაღლებს ერთავად ხელსახოცსა და ჩექმას სთავაზობდნენ.

თუ ფანჯრებში დაძველებული ლორი ეკიდა და მანდარინები ეწყო... გაუ-გაუ... გა... სტრონომია. თუ მუქი ბოთლები, შიგ ცუდი რამ სითხე ასხია... ღვი-ი-ნო... ღვინო... ყოფილი ძმები ელისეევები.

უცხო კაცმა ძაღლი ბელეტაჟზე თავისი მდიდრული ბინის კართან მიიყვანა და დარეკა. ძაღლმა მაშინვე მაღლა აიხედა და ფართო კარის გვერდით, შიგ ვარდისფერი დატალღული მინა რომ იყო ჩასმული, დიდი შავი დაფა დაინახა, ზედ ოქროსფერი ასოები რომ იყო გამოსახული. პირველი სამი ასო უმალვე შეაერთა: „პ-რ-ო-პრო“, მაგრამ ამ ასოებს თავგასიებული რაღაც მოჰყვებოდა, ვინ იცის, რას რომ აღნიშნავდა. „ნუთუ პროლეტარია“? — გაიფიქრა გაოცებულმა შარიკამ... „ეს შეუძლებელია“. მან ცხვირი მაღლა ასწია, ქურქი ერთხელაც დაყნოსა და გულდაჯერებულმა გაიფიქრა: „არა, აქ პროლეტარის სუნი არ დგას. რაღაც ბრძნული სიტყვაა, ღმერთმა უწყის, რას ნიშნავს.“

ვარდისფერი მინის მიღმა მოულოდნელად მხიარულმა შუქმა იფეთქა და შავი დაფა უფრო ჩაამუქა. კარი სრულიად უხმოდ გაიღო და თეთრწინსაფრიანი, მაქმანისთავსაბურავიანი ახალგაზრდა ლამაზი ქალი ძაღლისა და მისი ბატონის წინ აღიმართა. ძაღლმა იგრძნო, რომ ღვთიური სითბო შემოეგზნო, ხოლო ქალის კაბამ შროშანის სურნელება შემოაფრქვია.

„ოჰო, აი, ეს კი კარგი რამეა“, — გაიფიქრა ძაღლმა.

— ბატონო შარიკ, მობრძანდით, — ირონიულად შეიპატიჟა ბატონმა და შარიკა მორიდებით, კუდის ქიცინით შებრძანდა.

მოიდრეული წინკარი უამრავი საგნით იყო გადაჭედილი. ძაღლი გააოცა იატაკამდე დაშვებულმა სარკემ, სადაც უმალ აირეკლა მეორე გაწეწილ-გაბურძგნული შარიკი. ჩემოთ მოჩანდა ირმის შემზარავი რქები, კედელთან უთვალავი ქურქი და კალოში, ხოლო ჭერთან ოპალის ტიტა, ელექტროშუქს რომ აფრქვევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფილიპ ფილიპოვიჩ, ასეთი ბიჭაგი სად ნახეთ? — ღიმილით ეუბნებოდა ქალი ბატონს, თან მძიმე ქურქის გახდაში ეხმარებოდა. შავბურა მელიის ბეწვი მოლურჯო ნაპერწკლებს აფრქვევდა. — ღმერთო ჩემო! ქეციანია!

— რა სისულელეს ამბობ? ქეცს სად ხედავ? — მკაცრად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეკითხებოდა ბატონი.

მან ქურქი გაიხადა; ახლა ინგლისური შავი მაუდის კოსტიუმი ეცვა და მუცელზე ოქროს მკრთალი ძეწკვი მხიარულად უელავდა.

— მოიცა, ნუ ტრიალებ, ფიტ... ნუ ტრიალებ, სულელო. ჰმ!.. ეს ქეცი არ არის... გაჩერდი, შე ეშმაკო... ჰმ! ჰა-ო, დამწვარია. ანუ რომელმა არამზადამ დაგმდუღრა? ჰა? გაჩერდი-მეთქი!..

„მზარეულმა, კატორღელმა მზარეულმა!“ — საწყალობლად შეხედა ბატონს ძაღლმა და ოდნავ წამოიყმუვლა.

— ზინა, ახლავე გასასინჯ ოთახში შეიყვანე! — უბრძანა ქალს ბატონმა, — მე კი ხალათი მომიტანე.

ქალმა დაუსტვინა, თითები ატკაცუნა. ძაღლი ცოტა კი შეყოყმანდა, მაგრამ მერე უკან გაჰყვა. ორივენი, ქალიცა და ძაღლიც, მკრქალი შუქით განათებულ ვიწრო დერეფანში მოხვდნენ, ერთი გალაქული კარი უკან მოიტოვეს, დერეფნის ბოლოში მოექცნენ, მერე მარცხნივ ბნელ საკანში შევიდნენ, რომელიც ძაღლს უმალვე არ მოეწონა, რადგან იქ ავის მომასწავებელი სუნი იდგა. წყვდიადმა გაიტკაცუნა და თვალისმომჭრელ დღედ გადაიქცა, თანაც ყოველი მხრიდან ყოველივე ელავდა, ბრწყინავდა და ქათქათებდა.

„არა, არა... — გულში დაიყმუვლა ძაღლმა. — ნურას უკაცრავად, არ დაგმორჩილდებით! გასაგებია... ჯანდაბას თქვენი ძეხვიანად. ეტყობა, ძაღლების ლაზარეთში შემიტყუეს. ახლა სასაქმებელ ზეთს დამალევინებენ და მთელ ფერდს დანებით დამისერავენ, ხელ კი თითის მიკარებაც არ შეიძლება!“

— ე-ე, სად მიიწევ?! — შეჰყვირა იმან, ვისაც ზინას ეძახდნენ.

ძაღლი თავის დაღწევას შეეცადა. ზამბარასავით შეიკუმშა და კარს ჯანსაღი ფერდით ისე მიეჯახა, ბინაში ყველაფერი აზრიალდა. მერე უკან გადახტა, ერთ ადგილას ბზრიალასავით დატრიალდა და თეთრი ვედრო გადააყირავა, საიდანაც ბამბის გუნდები გადმოცვივდა და იატაკზე მიმოიფანტა. ტრიალისას მის ირგვლივ აქანავდა კედელზე მიდგმული ელვარე ინსტრუმენტებით სავსე კარადები, ათამაშდა თეთრი წინსაფარი და ქალის შეშლილი სახე.

— სად გარბიხარ, შე გადარეულო?.. — გამწარებით ყვიროდა ზინა, — უჰ, შე წყეულო!

„სათადარიგო გასასვლელი სად ექნებათ?..“ ფიქრობდა ძაღლი. იგი გაექანა, მოიკრუნჩხა და მინას ალალბედზე მიაწყდა იმ იმედით, მეორე კარი ეს იქნებაო. მინა გრიალ-ზრიალით ჩამოიფშვნა, მოწითალო საზიზღარი სითხით სავსე მუცელგაბერილი ქილა თაროდან გადმოხტა, სითხემ იატაკი უმალ დაფარა და იქაურობა აამყრალა. ნამდვილი კარი გაიღო.

— გაჩერდი, შე მხეცო, — ყვიროდა ხალათის ცალ სახელოში ხელგაყ-
რილი ბატონი და ძაღლს ფეხებზე ეჯაჯგურებოდა. — ზინა, ქეჩოში ჩაეჭიდე ამ
არამზადას!

— ღმერ... ღმერთო ჩემო, ეს ძაღლია!

კარი უფრო ფართოდ გაიღო და კიდევ ერთი მამრობითი სქესის ხალათია-
ნი პიროვნება შემოვიდა, მინის ნამსხვრევებზე ხრაშახრუშით გადაირბინა და
ძაღლს კი არა, კარადას ეცა; გამოაღო და ოთახი ტკბილი, გულისამრევი სუ-
ნით გაავსო, მერე ძაღლს ზემოდან მუცლით გადაემხო და ზედ დააწვა. ძაღლი
ფეხსაცმლის ზონრებს ზემოთ წაეტანა და წვივში კბილები გულიანად ჩაასო.
კაცმა შეჰყვირა, მაგრამ არ დაბნეულა. გულისამრევმა სითხემ ძაღლს სული შე-
გუბა, თავბრუ დაახვია, მერე ფეხები მოუდუნა, კისერი მოაღრეცინა და საით-
კენღაც გვერდულად გააქანა. „გმადლობთ, ყველაფერი დასრულდა,—გაიფიქრა
ოცნებამორეულმა ძაღლმა და პირდაპირ წვეტიან მინაზე გაიშხლართა: — მშვი-
დობით, მოსკოვო! ვეღარასოდეს ვიხილავ ჩიჩკინს, პროლეტარებსა და კრაკო-
ვურ ძეხვს. ძაღლური ჭირთათმენის საფასურად სამოთხეში მივდივარ. ძმებო,
მტარვალებო, რა დაგიშავეთ, ამ დღეში რომ ჩამაგდეთ?“

ძაღლმა ფეხები ერთიც გაჭიმა და სული გააცხო.

---

როცა მკვდრეთით აღდგა, თავი ცოტათი უბრუოდა და გულისრევას ოდნავ
გრძნობდა, ფერდი კი თითქოს აღარ ჰქონდა, ტკბილად გაყუჩებოდა. ძაღლმა
მარჯვენა მიბნედილი თვალი გამოახილა, განზე გაიხედა და დაინახა, რომ ფერ-
დი და მუცელი მჭიდროდ ჰქონდა გაბანდული. „მაინც თავისი მიქნეს ამ ძაღლის
ნაშობებმა, —გაიფიქრა ბუნდოვნად, — თუმცა კი იმარჯვეს, რაც მართალია,
მართალია.“

— სევილიიდან გრენადამდე... სადაც ბინდბუნდს არ კვეთს შუქი, — აბ-
ნეულად, მცდარად ჩაიმღერა ვიღაცამ.

გაოცებულმა ძაღლმა ორივე თვალი მთლიანად გაახილა და თეთრ ტაბუ-
რეტზე კაცის ფეხი დაინახა. კაცს შარვალი და საცვალი აეკაპიწებინა, შიშვე-
ლი, ყვითელი წვივი შემხმარი სისხლითა და იოდით ჰქონდა მოსვრილი.

„ფარისევლები! — გაიფიქრა ძაღლმა, — ეტყობა, ამას ვუკბინე. ჩემი ნა-
მოქმედარია. ახლა მიმტყეპავენ!“

— სერენადის ხმა გაისმის და მახვილთა ჩახაჩუხი! შე მაწანწალავ, ექიმს
რატომ უკბინე? ჰა? მინა რატომ ჩაამსხვრიე? ჰა?

— უ-უ-უ-უ, — შესაბრალისად წაიწკმუცლა ძაღლმა.

— კარგი, კარგი, გონს ხომ მოხვედი, ახლა იწექი, რეგვენო.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, ასეთი ნერვიული ძაღლის შემოტყუება როგორ მო-
ახერხეთ? — გაისმა მამაკაცის სასიამოვნო ხმა და ტრიკოტაჟის საცვლის ტოტი
დაბლა დაეშვა. თამბაქოს სუნი დატრიალდა და კარადაში შუშები აწკარუნდა.

— მოფერებით, ცოცხალ არსებასთან მოპყრობის ერთადერთი საშუალე-
ბით. ტერორით ცხოველთან ვერაფერს გახდებით, განვითარების რა საფე-
ხურზეც არ უნდა იდგეს. ამას ვამტკიცებდი, ვამტკიცებ და მომავალშიც და-
ვამტკიცებ. ტყუილად ჰგონიათ, რომ ტერორით რამეს გახდებიან. ვერა,ვერა,
ვერაფერს გახდებიან, როგორიც არ უნდა იყოს ტერორი. — გინდ თეთრი,

გინდ წითელი და გინდაც ყავისფერი! ტერორი ნერვული სისტემის სრულ პარალიზებას იწვევს. ზინა! ამ არამზადას მანეთისა და ორმოცი კაპიკის კრაკოვული ძეხვი ვუყიდე. გეთაყვა, აჭამე, გულისრევა როცა გაუვლის.

ცოცხმა მინის ნამსხვრევები ააწკარუნა და ქალის ხმა ყეყლუცურად გაისმა:

— კრაკოვული! ღმერთო ჩემო, საყასბოში აბაზის ჩ[illegible] ვერ უყიდეთ? კრაკოვულ ძეხვს მეც კარგად მივირთმევ.

— აბა, გაბედე. მე შენ გიჩვენებ მირთმევას! ამით ადამიანს კუჭი მოეწამლება. ზრდადასრულებული ქალიშვილი ხარ, ბავშვივით კი იქცევი, ყველანაირი სისაძაგლე შეგიძლია პირში იკრა. არ გაბედო-მეთქი! გაფრთხილებ: არც მე და არც ექიმი ბორმენტალი არ მოგხედავთ, როცა მუცლის გვრემა დაგემართება... „ყველას, ვინც კი გეტყვის, რომ აქ სხვა ვინმე შეგედრება..."

ზარის რბილი წკარუნი მთელ ბინას ხშირ-ხშირად ეფინებოდა, ხოლო შორს, წინკარში, დროდადრო ლაპარაკი გაისმოდა. ტელეფონი წკრიალებდა, ზინა გაქრა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა პაპიროსის ნამწვი ვედროში ჩააგდო, ხალათის ღილები შეიბნია, კედელზე ჩამოკიდებული სარკის წინ ფუმფულა ულვაშები გაისწორა და ძაღლს დაუძახა:

— ფიტ, ფიტ. ჰო, არაფერი გიშავს, არაფერი გიშავს. აბა, პაციენტების მისაღებად წავიდეთ.

ძაღლი მოდუნებულ ფეხებზე წამოიმართა, შეტორტმანდა და აკანკალდა. მაგრამ მალე გაიმართა და ფილიპ ფილიპოვიჩის ხალათის გაფრიალებულ კალთას კვალდაკვალ გაედევნა. ძაღლმა დერეფანი ისევ გაიარა, მაგრამ ახლა იქაურობა ზემოდან როზეტის ჩახჩახა შუქით იყო განათებული. გალაქული კარი გაიღო და იგი ფილიპ ფილიპოვიჩთან ერთად კაბინეტში შევიდა.კაბინეტის მოწყობილობამ თვალი მოსჭრა. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ რომ ერთიანად შუქი აკაშკაშებდა: შუქი ენთო ნაძერწ ჭერზე, მაგიდაზე, კედელზე, შუქი აციმციმებდა კარადების მინებს. შუქში ლივლივებდა უამრავი ნივთი, რომელთაგან ძაღლს ყველაზე უფრო თვალი მოსტაცა კედელზე მიმაგრებულ ნუყრზე მდგარმა ბუმ.

— დაწექი, — უბრძანა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

მოპირისპირე მხარეს ჩუქურთმიანი კარი გაიღო და იქიდან ის — დაკბენილი გამოვიდა. ახლა, ჩახჩახა შუქზე ძალიან ლამაზი, ახალგაზრდა, წვერწვეტა კაცი გამოვიდა. მან ფილიპ ფილიპოვიჩს ქაღალდის ფურცელი მიაწოდა და უთხრა:

— ისევ ის არის...

იგი უმალვე გაუჩინარდა, ხოლო ფილიპ ფილიპოვიჩმა ხალათის კალთები გაშალა, უზარმაზარ საწერ მაგიდას მიუჯდა და ძალიან მედიდური და წარმოსადეგი შეიქნა.

„არა, ეს ლაზარეთი არ არის, სადღაც სხვაგან მოვხვდი, — გაიფიქრა გულაფორიაქებულმა ძაღლმა და ტყავგადაკრულ მძიმე დივნის წინ დაფენილ ჭრელ ნოხზე გაწვა.— ამ ბუს ამბავს კი გამოვარკვევთ..."

კარი რბილად გაიღო და ვიღაც კაცი შემოვიდა. მისმა გარეგნობამ ძაღლი ისე გააოცა, რომ დაიწკმუვლა, ოღონდ ძალზე გაუბედავად...

— ჩუმად! ოჰ-ოჰ, ჩემო კარგო, თქვენი ცნობა შეუძლებელია.

შემოსულმა ფილიპ ფილიპოვიჩს თავი ძალზე მოწიწებით, თავმდაბლად დაუკრა.

— ხი-ხი! პროფესორო, თქვენ ჯადოქარი და სასწაულმოქმედი ხართ, — თქვა მან დარცხვენით.

— შარვალი გაიხადეთ, გეთაყვა, — უბრძანა ფილიპ ფილიპოვიჩმა და წამოდგა.

„ღმერთო დიდებულო, — გაიფიქრა ძაღლმა, — რა უცნაური ვინმეა!"

უცნაურს თავზე მთლად მწვანე თმა ჰქონდა, კეფაზე ჟანგისფერ-თამბაქოსფერი რომ დაჰკრავდა, სახე ნაოჭებით დაღაროდა, მაგრამ ჩვილი ბავშვივით ვარდისფრად უბრწყინავდა. მარცხენა ფეხს ვერ ხრიდა და ნოხზე მიათრევდა, სამაგიეროდ, მარჯვენა ფეხით ისე მოხტოდა, ბავშვებმა ასკინკილის თამაშისას რომ იციან. საუცხოო პიჯაკის ბორტზე პატიოსანი თვალი დაეკოსებინა.

ძაღლი ისეთმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, გულისრევაც კი გადაავიწყდა.

ტიაუ, ტიაუ... — წკმუოდა ოდნავ.

— გაჩუმდი! ჩემო კარგო, როგორ გძინავთ?

— ხე-ხე, პროფესორო, მარტონი ვართ? ეს ენით აუწერელია, — დარცხვენით თქვა სტუმარმა. — პაროლ დ' ონნერ![1] — ოცდაათი წელია, ასეთი რამ არ განმიცდია, — სუბიექტი შარვლის ღილებს მისწვდა, — პროფესორო, თუ დამიჯერებთ, ყოველღამ შიშველი ქალიშვილები გუნდ-გუნდად მეზმანებიან. ნამდვილად მოჯადოებული ვარ. თქვენ გრძნეული ხართ.

— ჰმ, — ჩაიბუზღუნა შეფიქრიანებულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა, როცა სტუმარს თვალის გუგებს უსინჯავდა.

სტუმარმა ღილები, როგორც იქნა, დაიმორჩილა, ზოლიანი შარვალი გაიხადა და გასაოცარი საცვალი გამოაჩინა, ზედ აბრეშუმის ძაფით შავი კატები რომ იყო ამოქარგული და სუნამოს სუნი უდიოდა.

ძაღლმა კატების დანახვა ვერ აიტანა და ისე დაიღრინა, რომ სუბიექტი შეხტა.

— ვაი!

— იცოდე, მიგტყეპავ! ნუ გეშინიათ, არ იკბინება.

„მე არ ვიკბინები?" — გაუკვირდა ძაღლს.

სტუმარს ჯიბიდან პატარა კონვერტი ამოუვარდა და ნოხზე დაეცა. ზედ თმაგაშლილი ლამაზი ქალი იყო გამოსახული. სუბიექტი შეხტა, დაიხარა, კონვერტი აიღო და სახე ერთიანად აელეწა.

— ოღონდ იცოდეთ, — გამაფრთხილებლად უთხრა მას შუბლშეკრულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა და თითი მუქარით დაუქნია, — მაინც იცოდეთ, ზედმეტი არ მოგივიდეთ!

— მე ზედმეტი არ... — ბუტბუტებდა დარცხვენილი სუბიექტი, თან გახდას განაგრძობდა. — ძვირფასო პროფესორო, მხოლოდ თავსა ვცდი.

— მერე? შედეგი როგორია? — მკაცრად ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

ექსტაზმორეულმა სუბიექტმა ხელები აიქნია.

— პროფესორო, ღმერთს გეფიცებით, ოცდახუთი წელია, ამის მაგვარი არაფერი განმიცდია. უკანასკნელად 1899 წელს პარიზში, რიუ დე ლა პეზე.

[1] პაროლ დ' ონერ (ფრ.) — პატიოსანი სიტყვა.

— რაღამ გაგამწვანათ?

სტუმარს სახე დაენისლა.

— წყეული ცხიმძვალი![1] პროფესორო, ვერ წარმოიდგენთ, იმ უქნარებმა საღებავის მაგივრად რა შემომაჩეჩეს. შეხედეთ ერთი, — ბუტბუტებდა სუბიექტი და თვალებით სარკეს დაეძებდა. — ცხვირ-პირი უწყალოდ მომწამლეს. — დაუმატა გამძვინვარებულმა. — პროფესორო, ახლა რა უნდა ვქნა? — ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩს ცრემლნარევი ხმით.

— ჰმ, თავი მთლიანად გადაიპარსეთ.

— პროფესორო, — შესაბრალისად შესძახა სტუმარმა. — მერე ხომ ისევ ჭაღარა თმა ამომივა. ამას გარდა, სამსახურში ხომ ფეხს ვეღარ მივადგამ. ისედაც სამი დღეა არ მისულვარ. ეჰ, პროფესორო, ისეთი საშუალება რომ აღმოგეჩინათ, თმასაც აახალგაზრდავებდეს!

— ყველაფერს ერთბაშად ვერ შევძლებთ, ჩემო ძვირფასო, — ბუტბუტებდა ფილიპ ფილიპოვიჩი.

იგი დაიხარა და პაციენტის შიშველი მუცლის თვალიერებას შეუდგა. თვალები უელავდა.

— ასე, დიდებულია, ყველაფერი რიგზეა. მართალი რომ გითხრათ, ასეთ შედეგს არც მოველოდი. ბევრი სისხლი, ბევრი სიმღერა... ჩაიცვით, გეთაყვა!

„ო, ჩემო ტურფავ, ჩემო ლამაზო!“.. — ტაფასავით აჟღრიალებული ხმით წამოიმღერა სახევაბრწყინებულმა პაციენტმა და ჩაცმას შეუდგა. როცა თავი მოიწესრიგა, შეკუნტრუშდა, სუნამოს სუნი დააფრქვია, ფილიპ ფილიპოვიჩს თეთრი ფულის[2] დასტა მიუთვალა და ორივე ხელი ნაზად ჩამოართვა.

— შეგიძლიათ ორი კვირა არ მოხვიდეთ, — უთხრა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — მაგრამ მაინც გთხოვთ: გაფრთხილდით.

— პროფესორო! — კარს გარეთ შესძახა ექსტაზმორეულმა პაციენტმა, — ნურაფრის დარდი ნუ გექნებათ, — ნეტარებით ჩაიხითხითა და გაუჩინარდა.

ზარის წკრიალი მთელ ბინას მოეფინა, გალაქული კარი გაიღო, ფეხდაკბენილი ექიმი შემოვიდა, ფილიპ ფილიპოვიჩს ფურცელი მიაწოდა და უთხრა:

— წლები არასწორად არის ნაჩვენები. ალბათ 54-55 უნდა ვიგულისხმოთ. გულის ტონები ყრუა.

ექიმი გაუჩინარდა და მის ნაცვლად კაბის შარიშურით ქალი შემოვიდა, გვერდზე დარდიმანდულად ჩატეხილი შლაპა რომ ეხურა და მომჩვარულ, დანაოჭებულ ყელზე მანიაკი უბრწყინავდა, ქვემო უპეებზე საშინელი შავი ტომრები ეკიდა, ხოლო ლოყები თოჯინასავით წითლად ულაღანებდა. ქალი ძალიან ღელავდა.

— ქალბატონო! რამდენი წლისა ხართ? — ძალიან მკაცრად ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

ქალი შეშინდა და წითელი ფერუმარილის ქვეშ სახე გაუფითრდა კიდევაც.

— პროფესორო, გეფიცებით... რომ იცოდეთ, რანაირი დრამა მაქვს!..

— რამდენი წლისა ხართ, ქალბატონო? — უფრო მკაცრად გაუმეორა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— სინდისს გეფიცებით... ჰო, ორმოცდახუთისა...

---

1. ცხიმძვალი — კოსმეტიკურ საშუალებათა დამამზადებელი ტრესტი.

2 თეთრი ფული — თუმნიანი.

— ქალბატონო, — შეჰყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — ხალხი მელის. თუ შეიძლება, დროს ნუ მაკარგვინებთ, მარტო თქვენ ხომ არა ხართ!

ქალს მკერდი მძლავრად ამოებურცა.

— მხოლოდ თქვენ, სახელგანთქმულ მეცნიერს გეტყვით, მაგრამ გეფიცე-ბით, ეს ისეთი საშინელებაა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენი წლისა ხართ? — გამკივანი ხმით წამოიყვირა გამძვინვარე-ბულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა და სათვალე გაიელვა.

— ორმოცდათერთმეტისა! — უპასუხა შიშისაგან მოკრუნჩხულმა ქალმა.

— საცვალი გაიხადეთ, ქალბატონო, — უთხრა გულდამცხრალმა ფილიპ ფილიპოვიჩმა და კუთხეში მდგარ მაღალ თეთრ ეშაფოტზე მიუთითა.

— პროფესორო, გეფიცებით, — ბუტბუტებდა ქალი და აკანკალებული თითებით წელზე რაღაც კნოპკებს იხსნიდა, — ის მორიცი... გამოგიტყდებით, როგორც აღსარებისას...

— სევილიიდან გრენადამდე... — აბნეულად წამოიმღერა ფილიპ ფილიპო-ვიჩმა და მარმარილოს პირსაბანის სატერფულს ფეხი დააჭირა. წყალი აჩხრიალ-და.

— ღმერთს გეფიცებით! — თქვა ქალმა და ლოყებზე ხელოვნურ ლაქებს შორის ცოცხალი ლაქები დააჩნდა, — ვიცი, რომ ეს ჩემი უკანასკნელი გატა-ცებაა.ის ისეთი თაღლითია! ოჰ, პროფესორო! ბანქოს მოთამაშე და შულერია, მთელი მოსკოვი იცნობს, არც ერთ მკერავ ქალს, ყველაზე საძაგელსაც კი ხელი-დან არ გაუშვებს. ის ხომ საშინლად ახალგაზრდაა. — ქალი ბუტბუტებდა და შრიალა კაბის ქვემოდან მაქმანის დაჭმუჭნულ გუნდას იძრობდა.

ძაღლს გუნება მთლად წაუხდა, თავში ყველაფერი აერია.

„ჯანდაბას თქვენი თავი, — ბუნდოვნად გაიფიქრა, თავი თათებზე ჩამო-დო და სირცხვილისაგან ჩათვლიმა, — არც შევეცდები, — რომ გავიგო, ეს რა უბედურებაა — მაინც ვერაფერს გავიგებ".

იგი რაღაცის წკარუნმა გამოაფხიზლა. თვალი გაახილა და დაინახა, რომ ფილიპ ფილიპოვიჩმა თასში ბრჭყვიალა მილაკები ჩაყარა.

ლოყებდალაქავებულმა ქალმა მკერდზე ხელები მიიჭირა და ფილიპ ფი-ლიპოვიჩს იმედიანად შეხედა. მედიდურად შუბლშეჭმუხნული ფილიპ ფილი-პოვიჩი მაგიდას მიუჯდა და რაღაცის ჩაწერას შეუდგა.

— ქალბატონო, მაიმუნის საკვერცხეები უნდა გადაგინერგოთ, — გამოუ-ცხადა ქალს და მკაცრად შეხედა.

— ოჰ, პროფესორო, ნუთუ მაიმუნისა?

— დიახ, — მტკიცედ უპასუხა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— ოპერაციას როდის გამიკეთებთ? — მიკნავებული ხმით ჰკითხა ფერ-დაკარგულმა ქალმა.

— სევილიიდან გრენადამდე... უჰმ... ორშაბათს. კლინიკაში დილას და-წვებით. ჩემი ასისტენტი მოგამზადებთ.

— აჰ, კლინიკაში არ მინდა. იქნებ აქ, თქვენსა, პროფესორო?

— იცით რა, ოპერაციებს შინ ძალზე იშვიათად ვაკეთებ. ძალიან ძვირი და-გიჯდებათ — ორმოცდაათი თუმანი.

— თანახმა ვარ, პროფესორო!

წყალი ისევ აჩხრიალდა, ბუმბულებიანი შლაპა გალივლივდა, მერე კი თეფ-შივით მოტვლეპილი თავი გამოჩნდა და ამ თავის მფლობელი ფილიპ ფილიპო-

ვიჩს მოეხვია. ძაღლი თვლემდა, გულისრევამ გაუარა, ფერდი დაუამდა, სითბოთი ნასიამოვნებმა წაიხვრინა კიდევაც და საამური სიზმრის ნაგლეჯის ნახვა მოასწრო; ვითომ ბუს ბოლოდან მთელი ბღუჯა ბუმბული გამოგლიჯა. შემდეგ მის თავზემოთ ვიღაც აღელვებულმა კაცმა დაიწკნავლა.

— მე მოსკოვში მეტისმეტად ცნობილი ვარ, პროფესორო, რა უნდა ვქნა?

— ბატონებო, — ყვიროდა აღშფოთებული ფილიპ ფილიპოვიჩი, — ასე არ შეიძლება! თავი უნდა შევიკავოთ. რამდენი წლისაა?

— თოთხმეტისა, პროფესორო... ხომ გესმით, ეს ამბავი რომ გახმაურდეს, დავიღუპები. რამდენიმე დღის შემდეგ უცხოეთში მივლინებით უნდა გამგზავნონ.

— მე ხომ იურისტი არ გახლავართ, გეთაყვა... ორი წელი მოიცადეთ და ცოლად შეირთეთ.

— ცოლიანი ვარ, პროფესორო.

— ოჰ, ბატონებო, ბატონებო!

კარი იღებოდა, მომსვლელები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, კარადაში ინსტრუმენტებს ჩხარაჩხური გაუდიოდა, და ფილიპ ფილიპოვიჩი შეუსვენებლად მუშაობდა.

„ეს რა ბილწი ბინაა, — ფიქრობდა ძაღლი, — თუმცა აქ ყოფნა კი კარგია! ნეტავ მე რა ჯანდაბად ვუნდივარ? ნუთუ აქ საცხოვრებლად დამტოვებს? რა უცნაური ვინმეა! ამან ერთი კი მოინდომოს და თვალის დახამხამებაზე ისეთ ძაღლს გაიჩენს, ყველა სახტად დარჩება! ანდა იქნებ ლამაზი ვარ. ეტყობა, ჩემი ბედი ეს არის! ბუ კი საძაგელია... თავხედია."

ძაღლი საბოლოოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა დასაღამოვდა და ზარის რეკვა შეწყდა — სწორედ იმ წამს, როცა კარი უკანასკნელად გაიღო და განსაკუთრებული მომსვლელნი შემოვიდნენ. ისინი ერთბაშად ოთხნი იყვნენ, ყველანი ახალგაზრდები და ძალიან სადად ჩაცმულნი.

„ამათ რაღა უნდათ?" — გაიფიქრა გაკვირვებულმა ძაღლმა. ფილიპ ფილიპოვიჩი სტუმრებს გაცილებით უფრო მტრულად შეხვდა. იგი საწერ მაგიდასთან იდგა და შემოსულებს ისე უყურებდა, როგორც მხედართმთავარი მტრებს შესცქერის. მიმინოსებური ცხვირის ნესტოები ებერებოდა. შემოსულნი ნოხს ტკეპნიდნენ.

— პროფესორო, თქვენთან აი, რა საქმეზე მოვედით... — წამოიწყო ერთმა მათგანმა, თავზე ხშირი გრუზა თმა მეოთხედი არშინის სიმაღლეზე რომ ედგა.

— ბატონებო, ასეთ ამინდში უკალოშოდ სიარული არას გარგებთ, — დამრიგებლური ხმით გააწყვეტინა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — ჯერ ერთი, გაცივდებით, მეორე კიდევ ის, რომ ნოხები დამისვარეთ, მე კი სულ სპარსული ნოხები მაქვს.

გრუზათმიანი დადუმდა და ოთხივენი ფილიპ ფილიპოვიჩს გაოცებულნი შეაშტერდნენ. დუმილმა რამდენიმე წამს გასტანა. სიჩუმე მხოლოდ ფილიპ ფილიპოვიჩის თითების კაკუნმა დაარღვია, მაგიდაზე მდგარ ხის მოხატულ ლანგარზე რომ გაისმოდა.

— ჯერ ერთი, ჩვენ ბატონები არა ვართ, — ბოლოს ხმა ამოიღო ოთხთაგან ყველაზე ნორჩმა, ატმისლოყებამ.

— ჯერ ერთი, — მასაც გააწყვეტინა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — თქვენ კაცი ხართ თუ ქალი?

ოთხივენი კვლავ დადუმდნენ და პირდაღებულნი გაშეშდნენ. ამჯერად გონს მოეგო პირველი, გრუზათმიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა განსხვავებაა, ამხანაგო? — ჰკითხა მან ფილიპ ფილიპოვიჩს ქედმაღლურად.

— ქალი ვარ, — გამოტყდა ტყავისქურთუკიანი ატმისლოყება ყმაწვილი და ძალიან გაწითლდა. მასთან ერთად რატომღაც წამოჭარხლდა ერთ-ერთი მომსვლელი — ფაფახიანი ქერა კაცი.

— თუ ასეა, თქვენ შეგიძლიათ კეპი გეხუროთ, ხოლო თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, გთხოვთ, ქუდი მოიხადოთ, — შთამბეჭდავად თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— მე თქვენი მოწყალე ხელმწიფე არა ვარ, — უკმეხად განაცხადა ქერა კაცმა და ფაფახი მოიხადა.

— ჩვენ იმიტომ მოვედით, — კვლავ დაიწყო გრუზათმიანმა შავტუხმა.

— უპირველეს ყოვლისა, ვინ ჩვენ ბრძანდებით?

— ჩვენ — ამ სახლის ახალი სახლმმართველობა, — წამოიწყო შავტუხამ, თან ეტყობოდა, რომ ბრაზს იკავებდა. — მე — შვონდერი, ეს — ვაიზემსკაია, ის — ამხანაგი პიოსტრუხინი და აი, ის — ჟაროვკინი. ჰოდა, ჩვენ...

— ფიოდორ პავლოვიჩ საბლინის ბინაში თქვენ შეგასახლეს?

— ჩვენ, — უპასუხა შვონდერმა.

— ღმერთო ჩემო, დაღუპულა კალაბუხოვის სახლი! — შესძახა სასოწარკვეთილმა ფილიპ ფილიპოვიჩმა და ხელი ხელს შემოჰკრა.

— რაო, პროფესორო, გეცინებათ? — აღშფოთდა შვონდერი.

—მეცინება კი არადა, მთლად სასოწარკვეთილი ვარ, — შეჰყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — ოროთქლით გათბობას ახლა რაღა ეშველება?

— მასხარად გვიგდებთ, პროფესორო პრეობრაჟენსკი?

— ჩემთან რა საქმეზე ხართ მოსული? რაც შეიძლება სწრაფად მითხარით, ახლა სასადილოდ გავდივარ.

— ჩვენ, სახლის მმართველობა, — მძულვარედ წამოიწყო შვონდერმა, — თქვენთან ჩვენი სახლის მცხოვრებთა საერთო კრების შემდეგ მოვედით. კრებაზე სახლის ბინების შემჭიდროვების საკითხი იყო დაყენებული.

— რაზე რა იყო დაყენებული? — შეჰყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — კეთილინებეთ და თქვენი აზრები უფრო ნათლად ჩამოაყალიბეთ.

— შემჭიდროვების საკითხი იყო დაყენებული.

— კმარა! მივხვდი! თქვენ იცით თუ არა, რომ ამა წლის 12 აგვისტოს დადგენილებით ჩემი ბინა ყოველგვარი შემჭიდროებისა და შესახლება-გამოსახლებისგან თავისუფალია?

— ვიცით, — უპასუხა შვონდერმა, — მაგრამ საერთო კრებამ თქვენი საკითხი განიხილა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჭარბი ფართობი გიკავიათ. ჭარბზე ჭარბი ფართობი. შვიდ ოთახში მარტოდმარტო ცხოვრობთ.

— მე მარტოდმარტო ვცხოვრობ და ვმუშაობ შვიდ ოთახში, — უპასუხა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — და მერვე ოთახსაც ვისურვებდი. ერთი ოთახი ბიბლიოთეკისთვის უსათუოდ მჭირდება.

ოთხივე სტუმარს ენა ჩაუვარდა.

ძურველო! ჰო-ჰო-ჰო, — ჩაილაპარაკა ქერა კაცმა, ახლა ქუდმოხდილი რომ იდგა, — მაგარი რამეა, ჩემმა მზემ.

— ენით აუწერელია! — შესძახა ყმაწვილმა, ქალი რომ გამოდგა.

— მე მაქვს მისაღები ოთახი — ესეც იცოდეთ — ამასთანავე ბიბლიოთეკაც რომ არის, სასადილო ოთახი, ჩემი კაბინეტი — 3. გასასინჯი — 4! საოპერაციო — 5. ჩემი საძინებელი — 6 და მსახურთა ოთახი — 7. მოკლედ, არ მყოფნის... ჰო, თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩემი ბინა თავისუფალია და ლაპარაკს მოვრჩეთ. შემიძლია სასადილოდ წავიდე?

— უკაცრავად, — თქვა მეოთხემ, მკვრივ ხოჭოს რომ ჰგავდა.

— უკაცრავად, — გააწყვეტინა მას შვონდერმა. — სწორედ სასადილო და გასასინჯი ოთახების თაობაზე სალაპარაკოდ ვართ მოსულნი. საერთო კრება გთხოვთ, რომ თქვენივე ნება-სურვილით, შრომითი დისციპლინის წესსა და რიგზე, სასადილო ოთახი დათმოთ. მოსკოვში სასადილო ოთახი არავის აღარა აქვს.

— აისედორა დუნკანსაც კი, — წკრიალა ხმით შეჰკივლა ქალმა.

ფილიპ ფილიპოვიჩს რაღაც დაემართა, რის გამოც სახე ნაზად წამოუწითლდა, თუმცა კრინტი აღარ დაუძრავს, იცდიდა, შემდეგ რა მოხდებოდა.

— გასასინჯი ოთახიც უნდა დათმოთ, — განაგრძობდა შვონდერი, — გასასინჯი მშვენივრად შეგიძლიათ კაბინეტს შეუერთოთ.

— ჰო-ო, — უცნაური ხმით წარმოთქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — საჭმელი სადღა მივირთვა?

— დასაძინებელ ოთახში, — ერთხმად უპასუხა ოთხივემ.

ფილიპ ფილიპოვიჩის სახეზე სიწითლეს ოდნავ ნაცრისფერი შეეპარა.

— საჭმელი დასაძინებელ ოთახში მივირთვა, — წამოიწყო მან ოდნავ მოგუდული ხმით, — გასასინჯში ვიკითხო, მისაღებში ჩავიცვა, მსახურთა ოთახში ოპერაციები ვაკეთო, ხოლო სასადილო ოთახში ავადმყოფები გავსინჯო. შესაძლოა აისედორა დუნკანი ასე იქცევა. შესაძლოა კაბინეტში სადილობს, ბოცვრებს კი სააბაზანოში კვეთს. შესაძლოა, მაგრამ მე აისედორა დუნკანი არ გახლავართ!.. — უცებ შეჰყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა და მის სახეზე სიწითლეს სიყვითლე შეენაცვლა, — მე სასადილოში ვისადილებ, ოპერაციებს საოპერაციოში გავაკეთებ! ეს გადაეცით საერთო კრებას, და უმორჩილესად გთხოვთ, საკუთარი საქმეების მიხედვად მიბრძანდეთ, ხოლო მე შესაძლებლობა მომეცით, საჭმელი იქ მივირთვა, სადაც ყველა ნორმალური ადამიანი მიირთმევს, ესე იგი, სასადილო ოთახში, და არა წინკარში ანდა ბავშვთა ოთახში.

— მაშინ, პროფესორო, თქვენი მხრივ ჯიუტი წინააღმდეგობის გამო, — უთხრა ფილიპ ფილიპოვიჩს აღელვებულმა შვონდერმა, — თქვენზე საჩივარს შევიტანთ ზემდგომ ინსტანციებში.

— ჰო-ო, — თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — მაშ ასე? — მისმა ხმამ საეჭვოდ თავაზიანი ელფერი მიიღო, — გთხოვთ, ერთ წუთს შეიცადოთ.

„ბიჭიც ესა ყოფილა, — გაიფიქრა აღფრთოვანებულმა ძაღლმა, — მთლად ჩემნაირია. ოჰ, ახლა კი კბილს გაჰკრავს, ჰო, ჰო, გაჰკრავს. ჯერ არ ვიცი, რანაირად გაჰკრავს, მაგრამ ისე გაჰკრავს... მიდი, დასცხე! იმ კანჭმაღალს ახლა ჩექმის ზემოთ მუხლებქვემოთა მყესში უნდა ეძგერო... ღრ-ღრ-ღრ..."

ფილიპ ფილიპოვიჩმა ტელეფონის ყურმილი ბრახუნით აიღო და შიგ ჩასძახა: — თუ შეიძლება. — ჰო... გმადლობთ... პიოტრ ალექსანდროვიჩს სთხო-

ვეთ, გეთაყვა. პროფესორი პრეობრაჟენსკი. პიოტრ ალექსანდროვიჩი ხართ? ძალიან მიხარია, მანდ რომ დამხვდით. გმადლობთ, კარგად გახლავართ. პიოტრ ალექსანდროვიჩ, თქვენი ოპერაცია გაუქმებულია. რა? საერთოდ გაუქმებულია ისევე, როგორც ყველა სხვა ოპერაცია. აი, რატომ: მე ვწყვეტ მუშაობას მოსკოვში და საერთოდ რუსეთში... ახლა ჩემთან ოთხნი შემოვიდნენ, რომელთაგან ერთი კაცურად გადაცმული ქალია, ორი მათგანი კი რევოლვერით შეიარაღებული. ცდილობენ ბინის ნაწილი დაშინებით წამართვან.

— უკაცრავად, პროფესორო, — წამოიწყო ფერმიხდილმა შვონდერმა.

— მომიტევეთ... შესაძლებლობა არ მაქვს, რაც მითხრეს, ყველაფერი გავიმეორო. ამგვარი უაზრობაზე ლაპარაკი არ მეხალისება. საკმარისია, გითხრათ, რომ შემომთავაზეს, გასასინჯი ოთახი დავთმო, სხვანაირად თუ ვიტყვით, იძულებულს მხდიან, ოპერაცია იქ გავაკეთოთ, სადაც აქამდე ბოცვრებს ვკვეთდი. ასეთ პირობებში არათუ არ შემიძლია, უფლებაც არა მაქვს, რომ ვიმუშაო. ამიტომ საქმიანობა უნდა შევწყვიტო, ბინა დავკეტო და სოჭში გავემგზავრო. გასაღები შემიძლია შვონდერს გადავცე. ოპერაციები ამან გააკეთოს.

ოთხნი გაშეშდნენ. ჩექმებზე თოვლი უდნებოდათ.

— მაშ რა ვქნა... მე თვითონაც ძალიან არ მესიამოვნება.. რაო? ოჰ, არა, პიოტრ ალექსანდროვიჩ! არა, ასე ყოფნა აღარ შემიძლია. მოთმინების ძაფი გამიწყდა. აგვისტოს მერე ეს უკვე მეორედ ხდება.რაო? ჰმ... როგორც გენებოთ. თუნდაც ასე. ოღონდ ერთი პირობით: ვისგანაც არ უნდა იყოს, როცა არ უნდა იყოს და რაც არ უნდა იყოს, მაგრამ ხელთ უნდა მქონდეს ისეთი ქაღალდი, რის შემწეობითაც ვერც შვონდერი და ვერც სხვა ვინმე ჩემი ბინის კართან მოსვლასაც ვეღარ გაბედავს. საბოლოო ქაღალდი. ფაქტიური. ნამდვილი! ჯავშანი. ჩემი სხეულის ხსენებაც რომ აღარ იყოს. მორჩა. ამათთვის მკვდარი ვარ. ჰო, ჰო. კარგი. ვისგან? კარგი... ჰო, ეს სხვა ამბავია. ჰო... კარგი. ყურმილს ახლავე გადავცემ. ინებეთ, — სისინით მიმართა შვონდერს ფილიპ ფილიპოვიჩმა, — ახლა დაგელაპარაკებიან.

— უკაცრავად, პროფესორო, — უთხრა მას შვონდერმა; ხან წამოწითლდებოდა, ხანაც ჩაყვითლდებოდა, — თქვენ ჩვენი ნათქვამი დაამახინჯეთ.

— გთხოვთ ამგვარი გამოთქმები არ იხმაროთ.

დაბნეულმა შვონდერმა ყურმილი აიღო და ამოილუღლუღა:

— გისმენთ. დიახ... სახლის კომიტეტის თავმჯდომარე... ჩვენ ხომ წესების მიხედვით ვმოქმედებთ... პროფესორს ხომ ისედაც განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს... ჩვენ ვიცით, მის მუშაობას რა მნიშვნელობაც აქვს... გვინდოდა მისთვის მთელი ხუთი ოთახი დაგვეტოვებინა... კარგი... რადგან ასეა... კარგი...

ერთიანად სახეაჭარხლებულმა შვონდერმა ყურმილი დაკიდა და შემოტრიალდა.

„რა გააპანღურა! ბიჭიც ეს ყოფილა! — გაიფიქრა აღფრთოვანებულმა ძაღლმა. — ნეტავი რა სიტყვა იცის ისეთი? ახლა შეგიძლიათ, რამდენიც გინდათ, მირტყათ, აქედან აღარსად წავალ".

გაპანღურებულ შვონდერს სამნი პირდაღებულნი უცქეროდნენ.

— რა სამარცხვინოა! — ამოღერღა მან.

— ახლა დისკუსია რომ იყოს, — წამოიწყო აღელვებულმა ქალმა და სახეზე ალმური აჰკრა, — პიოტრ ალექსანდროვიჩს დავუმტკიცებდი...

— უკაცრავად, დისკუსიის დაწყებას განა ამწუთასვე არ აპირებთ? — ზრდილობიანად ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

ქალს თვალები წამოენთო.

— პროფესორო ირონიას მიგიხვდით, ჩვენ ახლავე წავალთ... მაგრამ მე სახლის კულტგანყოფილების გამგე ვარ და მინდა...

— რა გინდათ? — ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— მინდა შემოგთავაზოთ, — ქალმა უბიდან თოვლით დასველებული კაშკაშა ჟურნალები ამოიღო, — რამდენიმე ჟურნალი შეიძინეთ გერმანელი ბავშვების დასახმარებლად. თითო ხუთი შაური ღირს.

— არა, არ შევიძენ, — მოკლედ უპასუხა ფილიპ ფილიპოვიჩმა და ჟურნალებს ალმაცერად გახედა.

იქ მყოფთაგან სამს სახეზე უკიდურესი განცვიფრება გამოესახა, ხოლო ქალს ლოყები შტოშისფრად დაეფიფქა.

— უარს რატომ ამბობთ ?

— არ მინდა.

— გერმანელ ბავშვებს არ თანაუგრძნობთ?

— თანავუგრძნობ.

— ათიოდე შაური გენანებათ?

— არა.

— მაშ უარს რატომ ამბობთ?

— არ მინდა.

ერთხანს დუმდნენ.

— იცით რა, პროფესორო, — წამოიწყო ქალიშვილმა და ამოიხვნეშა, — ევროპაში სახელი რომ არ გქონდეთ განთქმული და ზოგიერთი პიროვნება, ვის ავკარგიანობასაც, ვიმედოვნებ, უსათუოდ გამოვარკვევთ (ქერა კაცი ქურთუკის კალთაზე მისწვდა და ჩამოქაჩა, მაგრამ ქალიშვილმა ხელით მოიცალა), ასე აღმაშფოთებლად რომ არ გესარჩლებოდეთ, ნამდვილად დაგაპატიმრებდით.

— რა ბრალდებით? — ცნობისმოყვარედ ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— პროლეტარიატის მოძულე ხართ! — ამაყად უთხრა ქალმა.

— დიახ, პროლეტარიატი არ მიყვარს, — ნაღვლიანად დაუდასტურა ფილიპ ფილიპოვიჩმა და კნოპს თითი დააჭირა. სადღაც ზარმა გაიწკრიალა. დერეფანში გამავალი კარი გაიღო.

— ზინა, — გასძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — სუფრა გააწყე. ნებას მომცემთ, ბატონებო?

ოთხივენი კაბინეტიდან ხმაამოუღებლად გავიდნენ, მდუმარედ გადაიარეს მისაღები ოთახი, ასევე მდუმარედ გავიდნენ წინკარიდან და მათ უკან სადარბაზო შემოსასვლელის კარი მძიმედ და ზრიალით დაიხურა.

ძაღლი უკანა ფეხებზე წამოდგა და ფილიპ ფილიპოვიჩის წინაშე ნამაზის მაგვარი რაღაც შესარულა.

## III

სამოთხის ყვავილებით მოხატულ, ფართო შავი არშიით შემოსალტულ თეფშებზე თხლად დათლილი ორაგული და დამარინადებული გველთევზა ეწყო, სქელ ფიცარზე ყველის დაცვარული ნაჭერი იდო, ხოლო თოვლშემოფენილ ჩანახში ხიზილალა მოჩანდა. თეფშებს შორის რამდენიმე წერწეტა ჭიქა და ბროლის სამი გრაფინი იყო ჩადგმული, რაშიც სხვადასხვა ფერის არაყი ესხა. ყოველივე ეს მოთავსებული გახლდათ მარმარილოს პატარა მაგიდაზე. მაგიდა კი

კოხტად იდგა მუხის უზარმაზარ, მოჩუქურთმებულ კარადასთან, საიდაც მინას და ვერცხლის ბრჭყვიალი გაუდიოდა. შუა ოთახში მდგარ აკლდამასავით მძიმე მაგიდას თეთრი სუფრა ეფარა, ზედ ორი კაცისთვის გაწყობილი თეფშები და დანა-ჩანგალი, პაპის ტიარასავით დახვეული ხელსახოცები და სამი მუქი ბოთლი მოჩანდა.

ზინამ ვერცხლის დახუფული ლანგარი შემოიტანა, რაშიაც რაღაც თუთუხებდა. ლანგრიდან ისეთი სუნი იფრქვეოდა, ძაღლს პირი უმალ ნერწყვით აევსო. „სემირამიდას ბაღები"! — გაიფიქრა მან და პარკეტზე კუდი ჯოხივით აარაკუნა.

— აქეთ, აქეთ! — ბრძანა ფილიპ ფილიპოვიჩმა და ლანგარს ხარბად გადახედა. — ექიმო ბორმენტალო, გემუდარებით, ხიზილალას მოეშვით და თუ კეთილ რჩევას ყურად იღებთ, ინგლისური კი არა, ჩვეულებრივი რუსული არაყი დაისხით.

დაკბენილმა ლამაზმა კაცმა ფართო მხარბეჭი შეარხია, ზრდილობიანად ჩაიცინა და გამჭვირვალე არაყი დაისხა. ახლა ხალათი აღარ ეცვა. მშვენიერ შავ კოსტიუმში იყო გამოწყობილი.

— ნოვობლაგოსლოვენურია? — იკითხა მან.

— ღმერთმა დაგვიფაროს, გეთაყვა, ეს სპირტია, — უპასუხა პროფესორმა. — დარია პეტროვნა არაყს თვადაც კარგად ამზადებს.

— რას ამბობთ, ფილიპ ფილიპოვიჩ, ყველა ამბობს, ძალიან კარგია, ოცდაათგრადუსიანიაო.

— არაყი ოცდაათგრადუსიანი კი არა, ორმოცგრადუსიანი უნდა იყოს, ეს პირველ ყოვლისა,—დამრიგებლურად გააწყვეტინა ფილიპ ფილიპოვიჩმა,—ამას გარდა, ღმერთმა უწყის, შიგ რას ჩააწკუმპლებენ. შეგიძლიათ მითხრათ, რა მოეპრიანებათ?

— ყველაფერი, რასაც ინებებენ, — დამაჯერებლად თქვა დაკბენილმა.

— მეც მაგ აზრისა ვარ, — კვერი დაუკრა ფილიპ ფილიპოვიჩმა და ჭიქაში რაც ესხა, ყელში ერთ ყლუპად გადაუძახა. — ...მმ... ექიმო ბორმენტალო, გემუდარებით, ახლავე ეს დააყოლეთ, და თუ მეტყვით, რომ ეს... მთელი სიცოცხლე მოსისხლე მტრად მიგულეთ. სევილიიდან გრენადამდე...

თავად მან ამ სიტყვებთან ერთად გაფარჩხულ ვერცხლის ჩანგალზე შავი პურის პატარა ნაჭრისნაირი რაღაც წამოაგო. დაკბენილმაც მის მაგალითს მიჰბაძა. ფილიპ ფილიპოვიჩს თვალები გაუბრწყინდა.

— განა ეს ცუდია? — თან ღეჭავდა და თან ამბობდა ფილიპ ფილიპოვიჩი. — განა ცუდია? მიპასუხეთ, პატივცემულო ექიმო.

— შეუდარებელია, — გულწრფელად უპასუხა დაკბენილმა.

— დიახაც... ივან არნოლდოვიჩ, ესეც ყურად იღეთ, ცივი საუზმეულისა და წვნიანის დაყოლება წესად აქვთ მხოლოდ მემამულეებს, ვინც ბოლშევიკებს ჯერ კიდევ ყელგამოუღადრავნი დარჩათ. თუ კაცი საკუთარ თავს ოდნავ მაინც სცემს პატივს, მხოლოდ ცხელ საუზმეულს დააყოლებს. ხოლო მოსკოვური ცხელი საუზმეულიდან ეს უპირველესია. ოდესღაც ამ კერძს დიდებულად ამზადებდნენ სლავურ ბაზარზე. აჰა, შენც მიირთვი.

— ძაღლს სასადილოში აჭმევეთ? — გაისმა ქალის ხმა, — მერე ხომ აქედან ვერაფრით გაიტყუებთ.

— არა უშავს. საწყალი დამშეულია, — ფილიპ ფილიპოვიჩმა ჩანგალზე წამოგებული ხორცის ნაჭერი ძაღლს მიაწოდა; ძაღლმა ნაბოძვარი მეფო-

კუსის სიმარჯვით ჩამოართვა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ჩანგალი ქურქლის სარეცხ ჯამში რახუნით ჩააგდო.

ამის შემდგომ თეფშებს კიბორჩხალების სუნი და ოხშივარი ავდინა; სუფრის ჩრდილში მჯდარ ძაღლს ისეთი შესახედაობა ჰქონდა, დენთის საწყობის გუშაგი გეგონებოდათ. ფილიპ ფილიპოვიჩს კი გადაკეცილი ხელსახოცის ბოლო საყელოში შეეტენა და ქადაგებდა:

— ივან არნოლდოვიჩ, ჭამა სახუმარო რამ არ არის. ჭამა უნდა იცოდე. მაგრამ ადამიანთა უმეტესობამ, მერწმუნეთ, ჭამა საერთოდ არ იცის. მარტო ის კი არ უნდა იცოდე, რა ჭამო, არამედ ისიც—როდის ჭამო და როგორ ჭამო. (ფილიპ ფილიპოვიჩმა კოვზი მრავალმნიშვნელოვნად გაიქნია.) თანაც ჭამის დროს რა ილაპარაკო. დიახ. თუ იმაზე ზრუნავთ, რომ საჭმლის მონელება მოწესრიგებული გქონდეთ, გულით გირჩევთ — სადილობისას ბოლშევიზმზე და მედიცინაზე ნუ ილაპარაკებთ. ამას გარდა, ღმერთო დაგვიფარე, სადილობამდე საბჭოთა გაზეთებს ნუ წაიკითხავთ.

— ჰმ... სხვა გაზეთები რომ არ არის.

— ჰოდა, ნურანაირს ნუ წაიკითხავთ. იცით რა, ჩემს კლინიკაში ოცდაათი დაკვირვება ჩავატარე და რა გგონიათ? ის პაციენტები, რომელნიც გაზეთებს არ კითხულობენ, თავს საუცხოოდ გრძნობენ. ხოლო ისინი, ვისაც საგანგებოდ ვავალებდი, რომ „პრავდა" წაეკითხათ, — წონას იკლებდნენ.

— ჰმ... — ინტერესით ჩაურთო წვნიანისა და ღვინისგან სახეწამოწითლებულმა დაკბენილმა.

— გარდა ამისა, მუხლის დაქვეითებული რეფლექსები, უხეირო მადა, მძიმე სულიერი მდგომარეობა.

— დასწყევლოს ეშმაკმა...

— დიახ. მაგრამ ეს რა დამემართა? მედიცინაზე ლაპარაკი თვითონ წამოვიწყე.

ფილიპ ფილიპოვიჩი სკამის საზურგეზე გადაწვა და ზარი დარეკა. ალუბლისფერი ფარდიდან ზინა გამოჩნდა. ძაღლს წილად ერგო ზუთხის დიდი უფერული ჩამონათალი, რაც არ მოეწონა. მერე სისხლიანი როსტბიფის ნაჭერიც მიუგდეს. ძაღლმა ეს ნაჭერიც შესანსლა და უცებ იგრძნო, რომ ძილი მოერია და საჭმლის თვალით დანახვა აღარ უნდოდა. „უცნაური შეგრძნებაა, — ფიქრობდა ქუთუთოებდამძიმებული და თვალმილულული, — არანაირი საჭმელის დანახვა აღარ მინდა. სადილის შემდეგ მოწევა კი სისულელეა".

სასადილო ოთახი უსიამოვნო ლურჯი კვამლით გაივსო. ძაღლს თავი წინა თათებზე დაედო და თვლემდა.

— სენ ჟიულიენი კარგი ღვინოა, — ძილში ჩაესმოდა ძაღლს, — მაგრამ ახლა აღარსად არის.

ჭერითა და ნოხებით შესუსტებული, მოგუდული ხმა ქორალისა საიდანღაც ზემოდან და გვერდიდან გაისმა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა დარეკა და ზინა შემოვიდა.

— ზინუშა, ეს რა ხმა ისმის?

— ფილიპ ფილიპოვიჩ, ისევ საერთო კრება გამართეს, — უპასუხა ზინამ.

— ისევ! — მწუხარედ შესძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — ჰო, მაშასადამე, ახლა კი კალაბუხოვის სახლს აღსასრული დაუდგა. უნდა გავემგზავროთ. მაგრამ საკითხავია, სად? ყველაფერი რიხინ-რიხინით წავა. ჯერ ყოველ საღამოს სიმღერა, მერე საპირფარეშოებში მილები გაიყინება, მერე ორთქ-

ლის განყოფილებაში ქვაბი გასკდება და ასე შემდეგ. კალაბუხოვს აღარაფერი ეშველება.

— ფილიპ ფილიპოვიჩი დაგვინაღვლიანდა, — ღიმილით [illegible] და მოგროვებული თეფშები გაიტანა.

— მოდი და ნუ დანაღვლიანდები! — შესძახა ფილიპ [illegible] არადა, რა სახლი იყო!

— ფილიპ ფილიპოვიჩ, თქვენ ყველაფერს ძალზე მუქი ფერებით წარმოსახავთ, — შეედავა დაკბენილი ლამაზი კაცი, — ისინი ახლა მკვეთრად შეიცვალნენ.

— ჩემო კარგო, თქვენ ხომ მიცნობთ? მე ფაქტების მიხედვით, დაკვირვებათა მიხედვით მსჯელობის მოყვარული კაცი ვარ და უსაფუძვლო ჰიპოთეზებს ვერ ვეგუები. ეს ძალიან კარგად არის ცნობილი არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც. როცა რაიმეს ვამბობ, მაშ რაღაც ფაქტს ვემყარები, რის მიხედვითაც დასკვნას ვაკეთებ. ფაქტი ჩვენ წინაშეა: ჩვენს სახლში საკიდარისა და კალოშების ამბავი.

— ეს საინტერესოა...

„კალოშები წვრილმანია. კალოშები ვერ მოგვანიჭებს ბედნიერებას, — გაიფიქრა ძაღლმა, — მაგრამ ეს კაცი გამოჩენილი პიროვნებაა“.

— აი, ინებეთ, ბატონო ჩემო, კალოშების სადგარი. 1903 წლიდან ამ სახლში ვცხოვრობ და ამ ხნის განმავლობაში 1917 წლის მარტამდე არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა — წითელი ფანქრით ხაზს ვუსვამ — ა-რ-ც-ე-რ-თ-ი, რომ ქვემოთ, ჩვენი სადარბაზოდან, რომლის კარი საერთო იყო და არ იკეტებოდა, თუნდაც ერთი წყვილი კალოში დაკარგულიყო. არ დაგავიწყდეთ, აქ 12 ბინაა და მე მიღება მაქვს. ჩვიდმეტი წლის მარტში ერთ მშვენიერ დღეს ყველა კალოში დაიკარგა, მათ შორის ჩემი ორი წყვილიც, ამას გარდა, შვეიცარმა სამი ჯოხი, პალტო და სამოვარი დაკარგა. გეთაყვა! ორთქლით გათბობაზე აღარაფერს ვამბობ. დაე, ასე იყოს: რაკილა სოციალური რევოლუციაა — გათბობა საჭირო აღარ არის. მაგრამ გეკითხებით: რაც ეს ამბავი დაიწყო, მას შემდეგ მარმარილოს კიბეზე ყველა ტალახიანი კალოშებითა და თექის ჩექმებით რატომ დადის? კალოშები დღემდე ბოქლომდადებულ კარადაში რატომ უნდა ეწყოს, თანაც გუშაგად ჯარისკაცი ედგეს, რომ ვინმემ არ აწაპნოს? სადარბაზოს კიბიდან ნოხი რატომ აიღეს? განა კარლ მარქსი კიბეზე ნოხის დაფენას კრძალავს? განა კარლ მარქსს სადმე ნათქვამი აქვს, პრეჩისტენკაზე, კალაბუხოვის სახლის მეორე სადარბაზოს კარი ამოფიცრეთ და უკანა შესასვლელიდან იარეთო? ეს ვის სჭირდება? პროლეტარიატს რატომ არ შეუძლია, კალოშები დაბლა დატოვოს და კიბეები არ დასვაროს?

— ფილიპ ფილიპოვიჩ, პროლეტარიატს ხომ კალოშები საერთოდ არც აქვს, — ხმის ამოღებას შეეცადა დაკბენილი.

— რას ბრძანებთ! — დასჭექა ფილიპ ფილიპოვიჩმა და ჭიქაში ღვინო დაასხა. — ჰმ... სადილის შემდეგ ლიქიორის დალევა შეუწყნარებლად მიმაჩნია: კაცს ამძიმებს და ღვიძლზე ცუდად მოქმედებს... რას ბრძანებთ! პროლეტარიატს ახლა კალოშები აცვია და ის კალოშები... ჩემია! ეს სწორედ ის კალოშებია, 1917 წლის გაზაფხულზე რომ დამეკარგა. საკითხავია, ვინ აითრია? მე? შეუძლებელია. ბურჟუა საბლინმა? (ფილიპ ფილიპოვიჩმა თითი ჭერისკენ აიშვირა) ამის გაფიქრებაც კი სასაცილოა. შაქრის ქარხნის მეპატრონე პოლოზოვმა? (ფილიპ ფილიპოვიჩმა გვერდზე მიუთითა) არავითარ

შემთხვევაში! ეს სწორედ ამ მგალობლებმა ჩაიდინეს! დიახ! კარგი, მაგრამ კიბეებზე მაინც იხდიდნენ იმ კალოშებს (ფილიპ ფილიპოვიჩი წამოჭარხლდა.) კიბის ბაქნებიდან ყვავილები სად ეშმაკთან წაიღეს? ელექტროშუქი ოცი წლის განმავლობაში, ღმერთმა დალოცოს ჩემი მეხსიერება, თუ მხოლოდ ორჯერ ჩაქრა, ამჟამად აკურატულად ყოველთვე ერთხელ [illegible] ქრება? ექიმო ბორმენტალო, სტატისტიკა საშინელი რამ გახლავთ — [illegible] უკანასკნელი ნაშრომი წაკითხული გაქვთ და ეს სხვებზე უკეთ მოგეხსენებათ.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, რღვევაა.

არა, — ყოველგვარი ყოყმანის გარეშე შეედავა ფილიპ ფილიპოვიჩი.— არა, ძვირფასო ივან არნოლდოვიჩ, თვით ამ სიტყვის ხმარებისგან თავი თქვენ პირველმა შეიკავეთ. ეს მირაჟია, კვამლია, ფიქციაა, — ფილიპ ფილიპოვიჩმა მოკლე თითები გაფარჩხა და სუფრაზე კუს მსგავსი ორი ჩრდილი აბობლდა. — რა არის ეგ თქვენი რღვევა? ყავარჯნიანი დედაბერი? კუდიანი დედაბერი, რომელმაც ყველა ფანჯარა და ყველა ნათურა ჩაამსხვრია? ის ხომ საერთოდ არ არსებობს. ამ სიტყვაში რას გულისხმობთ? — მძვინვარედ ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა ჭურჭლის კარადის გვერდით თავდაყირა ჩამოკიდებულ მუყაოს საბრალო იხვს და კითხვას თვითონვე უპასუხა. — აი, რა არის: თუ მე, იმის მაგივრად, რომ ყოველ საღამოს ოპერაციები ვაკეთო, ჩემს ბინაში გუნდურ სიმღერას დავიწყებ, რღვევა მაშინ დაიწყება. საპირფარეშოში როცა შევალ, უკაცრავად ამ სიტყვებისთვის, უნიტაზის გვერდით თუ დავიწყებ მოშარდვას და ამასვე იზამენ ზინა და დარია პეტროვნა, საპირფარეშოში რღვევა მაშინ იქნება. მაშასადამე, რღვევა ფეხისადგილებში კი არ არის, თავებშია. ამიტომაც, როცა ეს ბარიტონები გაჰყვირიან — რღვევას დასცხეო! —მე მეცინება.( ფილიპ ფილიპოვიჩს სახე გვერდზე ისე მოექცა, რომ დაკბენილმა პირი დააღო.) გეფიცებით, მეცინება! ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მათგანი თავში მუშტებს უნდა იცემდეს! ჰოდა, როცა თავიდან ყოველგვარ ჰალუცინაციას გამოიბერტყავს და ფარდულების დასუფთავებას — თავის უშუალო საქმეს — შეუდგება, რღვევა თავისთავად გაქრება. ვერვის ხელეწიფების ორთა უფალთა მონება! შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ტრამვაის ლიანდაგიც დახვეტო და ვიღაც ესპანელი კონკიაყლარუნების ბედ-იღბალიც მოაგვარო. ექიმო, ამას ვერავინ ახერხებს და, მით უმეტეს, ვერ მოახერხებენ ისინი, ევროპელების განვითარებას ორასი წლით რომ ჩამორჩნენ და საკუთარი შარვლის ღილების შეკვრასაც კი აქამდე რიგიანად ვერ ახერხებენ!

ფილიპ ფილიპოვიჩი ეშხში შევიდა, მიმინოსებრი ცხვრის ნესტოები დაებერა. მაძღრისად ნასადილევი და ძალ-ღონით აღვსილი, ძველი წინასწარმეტყველის მსგავსად ჰექდა; თავი ვერცხლისფრად უელავდა.

მისი ხმა მთვლემარე ძაღლს მიწისქვეშა ყრუ გუგუნივით ჩაესმოდა. ხან ეზმანებოდა, რომ ყვითელთვალება ბუ გამოუხტებოდა და სულელურად უყურებდა, ხან მზარეული ელანდებოდა, საძაგელი სიფათი რომ ჰქონდა და გახინთული თეთრი ჩაჩი ეხურა, ხან აბაჟურჩამოფარებული ნათურის მჭახე ელექტროშუქით განათებული ფილიპ ფილიპოვიჩის აწკეპილი ულვაში მოეჩვენებოდა. ხანაც მარხილი ნელა გაიჭრიალებდა და გაქრებოდა, ძაღლის კუჭი კი წვენში მოტივტივე, დაჩეჩქვილი როსტბიფის ნაჭერს ინელებდა.

„ამას შეუძლია ფული მიტინგებზე გამოსვლით იშოვოს. — ბუნდოვან

ოცნებას მიეცა ძაღლი. — უმაღლესი კლასის საქმოსანია, თუმცა, როგორც ეტყობა, ფული ისედაც ჩეჩქივითა აქვს".

— პოლიციელი! — ყვიროდა ფილიპ ფილიპოვიჩი. — პოლიციელი! — „უპუ-პუ-პუ!" — რაღაც ბუშტუკები უსკდებოდა ძაღლს ტვინში... — პოლიციელი! მხოლოდ და მხოლოდ ამით ეშველება. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ბალთიანი იქნება თუ წითელი კეპი[1] ეხურება. ყოველ ადამიანს გვერდით პოლიციელი უნდა დაუყენო და დაავალო, ჩვენს მოქალაქეებს ვოკალური აღტკინება გაუნელოს. მეუბნებით, რღვევააო. ექიმო, მე კი გეტყვით, რომ ჩვენს სახლში და არც ერთ სახლში მანამდე არაფერი გაუმჯობესდება, სანამ ამ მომღერლებს არ დააშოშმინებენ! როგორც კი ესენი თავიანთ კონცერტებს შეწყვეტენ, ყოველივე თავისთავად გამოკეთდება.

— კონტრრევოლუციურ აზრებს ამბობთ, ფილიპ ფილიპოვიჩ, — ხუმრობით უთხრა პროფესორს დაკბენილმა, — ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმემ გაიგონოს.

— სახიფათო არაფერია, — ფიცხად შეედავა ფილიპ ფილიპოვიჩი. — არავითარი კონტრრევოლუცია აქ არ არის. ჰო, მართლა, აი, კიდევ სიტყვა, რომელსაც ვერ ვიტან. აბსოლუტურად გაუგებარია, ამ სიტყვაში რა იგულისხმება. ეშმაკმა უწყის! ამიტომ ვამბობ: არავითარი კონტრრევოლუცია ჩემს ნათქვამში არ არის. აქ საღი აზრი და ცხოვრებისეული გამოცდილებაა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა გაკეცილი ქათქათა ხელსახოცის ბოლო საყელოდან გამოიძრო, მოჭმუჭნა და გამოუცლელი ღვინის ჭიქის გვერდით დადო. დაკბენილი მაშინვე წამოდგა და მადლობა გადაიხადა: „მერსი".

— ერთ წუთს მოიცადეთ, ექიმო, — შეაჩერა იგი ფილიპ ფილიპოვიჩმა და ჯიბიდან საფულე ამოიღო. თვალი მოჭუტა, თეთრი ქაღალდები გადათვალა, დაკბენილს მიაწოდა და უთხრა: — ივან არნოლდოვიჩ, დღეს ორმოცი მანეთი გერგებათ. გთხოვთ.

ძაღლისგან დაკბენილმა პროფესორს მადლობა ზრდილობიანად გადაუხადა და წამოწითლებულმა ფული პიჯაკის ჯიბეში ჩაიტენა.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, ამ საღამოს არ გჭირდებით? — ჰკითხა მან პროფესორს.

— არა, გეთაყვა, გმადლობთ. დღეს აღარაფერს გავაკეთებთ. ჯერ ერთი, ბოცვერი მოკვდა; მეორეც, ამაღამ დიდ თეატრში „აიდაა". დიდი ხანია, არ მომისმენია. მიყვარს. გახსოვთ? დუეტი... ტარი-რა-რიმ.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, ამდენს როგორ ასწრებთ? — პატივისცემით ჰკითხა ექიმმა.

— ყველაფერს ის ასწრებს, ვინც არსად მიიჩქარის, — შეგონებით უთხრა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — მთელს დღეს თუ კრებებზე ვირბენ და ბულბულივით ვიგალობებ, იმის მაგივრად, რომ ჩემი უშუალო საქმე ვაკეთო, ვერაფერსაც ვერ მოვასწრებ — ფილიპ ფილიპოვიჩის თითებქვეშ ჯიბეში ციური ხმით აჟღერდა რეპეტირი, — რვა საათი შესრულდა... მეორე აქტზე მივალ... მე შრომის განაწილების მომხრე ვარ. დიდ თეატრში იმღერონ, ხოლო მე ოპერაციებს გავაკეთებ. ასე სჯობია. ჰოდა, არავითარი რღვევა არ იქნება... იცით რა, ივან არნოლდოვიჩ, თვალყური კარგად ადევნეთ, როგორც

[1] წითელი კეპი — მაშინდელი მილიციელის ქუდი.

კი შესაფერისი გვამი იქნება, მაშინვე მაგიდიდან მასაზრდოებელ სითხეში ჩაუშვით და ჩემკენ გამოეშურეთ!

— დარდი ნუ გექნებათ, ფილიპ ფილიპოვიჩ, პათოლოგოანატომები შემპირდნენ.

— ძალიან კარგი, ჩვენ კი მანამდე ამ მაწანწალა ნევრასთენიკს დავაკვირდებით, თან ფერდიც შეუხორცდება.

„ჩემზე ზრუნავს, — გაიფიქრა ძაღლმა, — ძალიან კარგი კაცია. ვიცი, ვინც არის, ძაღლთა ზღაპრების ჯადოქარი, მისანი და გრძნეულია. შეუძლებელია, რომ ყოველივე ეს მესიზმრებოდეს. ვაითუ, სიზმარია? (ძაღლი ძილში შეკრთა,) აი, გამეღვიძება... და აღარაფერი იქნება. არც აბრეშუმშემობურული ლამპები, არც სითბო, არც სიმაძღრე. კვლავ წილად მხვდება ჭიშკართან გდება, საშინელი თოში, მოყინული ასფალტი, შიმშილი, ავგული ხალხი... სასადილო, თოვლი, ღმერთო, რა შავი დღე მომელის!...“

მაგრამ ამის მაგვარი არაფერი მომხდარა. ჭიშკარი კი მართლაც განქარდა, როგორც საძაგელი ზმანება და უკან აღარ დაბრუნებულა.

რღვევა, ეტყობა, არც ისე საშიში ყოფილა. რღვევის მიუხედავად ფანჯრის რაფებქვეშ რუხი გარმონები დღეში ორჯერ ვარვარდებოდა და სითბო მთელ ბინაში ტალღებად მილივლივებდა.

სრულიად ცხადია და აშკარა: შარიკამ ძაღლის კუთვნილი იღბლიანი ბილეთი ამოიღო. თვალები ახლა დღეში ორჯერ მაინც პრეჩისტენკელი ბრძენის მიმართ მადლიერების ცრემლებით ევსებოდა. ამას გარდა, სასტუმრო ოთახსა და მისაღებში კარადებს შორის ყველა ტრიუმოში იღბლიანი ლამაზი ძაღლის ანარეკლი მოჩანდა.

„მე ლამაზი ვარ, იქნებ ძაღლთა უცნობი პრინცი-ინკოგნიტოც ვიყო, — ფიქრობდა შარიკა და სარკეთა სანახებში მოსეირნე კმაყოფილების გამომხატველი დრუნჩის მქონე ყავისფერ, ბანჯგვლიან ქოფაკს გაჰყურებდა. — ძალიანაც შესაძლებელია, რომ ბებიაჩემი მყვინთავ ძაღლს გადაეყარა და შესცოდა. განა არა ვხედავდი, დრუნჩზე თეთრი ხალი რომ მქონდა. საკითხავია, საიდან უნდა მქონოდა? ფილიპ ფილიპოვიჩი დიდი გემოვნების მქონე კაცია, პირველსავე გზად წაწყდომილ მაწანწალა ძაღლს შინ არ მოიყვანდა“.

ერთ კვირაში ძაღლმა იმდენი საჭმელი შესანსლა, ბოლო თვენახევრის მანძილზე ქუჩაში შიმშილობისას რომ არ უჭამია, რა თქმა უნდა, წონას თუ ვიგულისხმებთ, თორემ ფილიპ ფილიპოვიჩისეული საჭმლის ხარისხი სალაპარაკოც არ იყო. იმასაც თუ არ ვიანგარიშებთ, რომ დარია პეტროვნა სმოლენსკის ბაზარზე ყოველდღიურად ხორცის ჩამონაჭრებს ყიდულობდა 18 კაპიკად და შინ მთელი გროვა მოჰქონდა, იმის თქმაც კმარა, ძაღლი საღამოს 7 საათზე სადილს სასადილო ოთახში რომ მიირთმევდა. თუმცა ფაქიზი ზინა პროტესტს გამოთქვამდა. ამ სადილების დროს ფილიპ ფილიპოვიჩს ღვთაების სახელი საბოლოოდ მიეკუთვნა. ძაღლი უკანა თათებზე დგებოდა და პიჯაკს ლოღნიდა. ფილიპ ფილიპოვიჩის ზარი — ორი მძლავრი, სწრაფი დარტყმა დაიმახსოვრა და მის შესახვედრად წინკარში ყეფით გავარდებოდა ხოლმე. შავმურა მელიის ქურქში გამოწყობილი ბატონი ჯიქურ შემოიჭრებოდა, მილიონობით თოვლის ფიფქს აელვარებდა, მანდარინის, სიგარის, სუნამოს, ლიმონის, ბენზინის, ოდეკალონის, მაუდის სუნს დააფრქვევდა და მისი ხმა მთელ ბინაში მეთაურის საყვირივით დაიქუხებდა.

— შე ლორო, ბუ რატომ დაფლითე? რა დაგიშავა? რა დაგიშავა-მეთქი? პროფესორი მეჩნიკოვი რატომ დაამსხვრიე?

— ფილიპ ფილიპოვიჩ, ეს ერთხელ მაინც უნდა გავამათრახოთ, — ამბობდა აღშფოთებული ზინა, — თორემ მთლად თავს გაუვა, ნახეთ ერთი, თქვენს კალოშებს რა უყო.

ეროვნული

— არავისი გამათრახება არ შეიძლება, — ღელავდა ფილიპ ფილიპოვიჩი, — ეს ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრე. ადამიანზე და ცხოველზე მხოლოდ ჩაგონებით უნდა იმოქმედო. ხორცი აჭამეთ?

— ღმერთო ჩემო, მთელი სახლი შესანსლა. რას მეკითხებით, ფილიპ ფილიპოვიჩ. მიკვირს, მუცელი რატომ არ უსკდება.

— ჰოდა, ღმერთმა შეარგოს... ბუმ რა დაგიშავა, ხულიგანო?

— უ-უ! — აწკმუვლდებოდა ლაქუცა ძაღლი, თათებს ამოატრიალებდა და მუცელზე გახოხდებოდა.

მერე ქეჩოში ხელს ჩაავლებდნენ, მისაღებ ოთახს გაატარებდნენ და კაბინეტში შეათრევდნენ. ძაღლი წკმუოდა, იღრინებოდა, ნოხს ებღაუჭებოდა, საჯდომით მისრიალებდა, თითქოს ცირკში ყოფილიყო. შუა კაბინეტში, ნოხზე, შუშისთვალებიანი, მუცელგამოღადრული ბუ ეგდო, რაღაც წითელი ძონძები, ნაფტალინის სუნი რომ უდიოდა, გარეთ გამოსჩროდა. მაგიდაზე ერთიანად დალეწილი პორტრეტი მოჩანდა.

— განზრახ არ ავალაგე, რომ ცქერით დამტკბარიყავით, — მოახსენებდა შეწუხებული ზინა ფილიპ ფილიპოვიჩს, — ეს არამზადა მაგიდაზე შეხტა და ბუს ბოლოზე ეძგერა! გონს მოსვლა ვერც კი მოვასწარი, მთლიანად გამოფატრა. ფილიპ ფილიპოვიჩ, დრუნჩი ბუზე მიუჭყლიტეთ, რომ იცოდეს, ნივთების წახდენა როგორია.

ატყდებოდა ყმუილი. ნოხზე გაკრულ ძაღლს ბუსკენ მიათრევდნენ, რომ დრუნჩი ზედ მიეჭყლიტათ, ხოლო ძაღლი ცხარე ცრემლებს აფრქვევდა და ფიქრობდა, — მცემეთ, ოღონდ სახლიდან ნუ გამაგდებთო.

— ბუ მეფიტულეს დღესვე გაუგზავნეთ. ამას გარდა, აი, 8 მანეთი, ტრამვაისთვის კი 16 კაპიკი, მიურთან წადი და ამას კარგი საყელური თავისი ჯაჭვით უყიდე.

მეორე დღეს ძაღლს ფართო, ბრჭყვიალა საყელური გაუკეთეს, თავდაპირველად, სარკეში როცა ჩაიხედა, ძალიან შეწუხდა, კუდი ამოიძუა და სააბაზანოში შეძუნძულდა, თან იმას ფიქრობდა, საყელური სკივრს ან ყუთს როგორმე უნდა მივახეხო და გავგლიჯოო. მაგრამ ძალიან მალე მიხვდა, სულელი რომ იყო. ზინამ ჯაჭვით ობუხოვის შესახვევში სასეირნოდ გაიყვანა ძაღლი პატიმარივით მილასლასებდა და სირცხვილისგან იწვოდა, მაგრამ პრეჩისტენკაზე როცა ჩაიარეს, სანამ ქრისტეს ტაძარს მიაღწევდნენ, მშვენივრად მიხვდა, ცხოვრებაში საყელურს რა მნიშვნელობაც ჰქონდა. გზად შემოხვედრილ ყველა ძაღლს თვალებში უსაზღვრო შური ეხატებოდა, ხოლო შესახვევთან რომელიღაც აწოწილმა, კუდწაჭრილმა მაწანწალა ძაღლმა „ბატონების მლოქველი“ და „მლიქვნელი“ უწოდა. როცა ტრამვაის რელსებზე გადაიარეს, მილიციელმა საყელური კმაყოფილებითა და პატივისცემით შეათვალიერა. შინ როცა დაბრუნდნენ, ყველაზე უფრო არნახული რამ მოხდა, რასაც მთელ სიცოცხლეში არ მოსწრებია: შვეიცარმა ფიოდორმა სადარბაზოს კარი შარიკას საკუთარი ხელით გაუღო და შიგნით შეუშვა. თანაც ზინას უთხრა:

— დახე, ფილიპ ფილიპოვიჩს როგორი ბანჯგვლიანი ძაღლი უშოვია. თან რა საოცრად ჩასუქებულია.

— მაშ რა იქნება, ექვსი ძაღლის სამყოფსა ნთქავს, — განუმარტა ყინვისგან სახეაწითლებულმა და დამშვენებულმა ზინამ.

„გინდა საყელური გკეთებია და გინდა პორტფელი", — გულში იოხუნჯა ძაღლმა და ბელეტაჟში კურტუმის ქნევით შებრძანდა.

რაკიღა საყელურის ღირსება შეაფასა, ძაღლი პირველი ვიზიტით სამოთხის იმ კუთხეს ეწვია, სადაც მანამდე შესვლა სასტიკად აკრძალული ჰქონდა — სახელდობრ, მზარეულ დარია პეტროვნას სამფლობელოსკენ გასწია. მთელი ბინა დარიას სამფლობელოს ორ მტკაველადაც არ ღირდა. ზემოდან შო-რენკეცებით მოპირკეთებულ შავ ქურაში ყოველდღე ცეცხლი გუგუნებდა და ბობოქრობდა. ჰაერლუმელს ტკაცუნი გაჰქონდა. დარია პეტროვნას სახე ალის სვეტებში მარადიული ტანჯვითა და დაუოკებელი ვნებით ეწვოდა, ცხიმით ეპოხებოდა და უპრიალებდა. ყურებზე მოდურად გადავარცხნილ და კეფასთან შეკონილ ქერა თმაზე 22 ყალბი ბრილიანტი უბრწყინავდა. კედ-ლების გასწრივ კაკვებზე ოქროსფერი ქვაბები ეკიდა, მთელი სამზარეულო სურნელებას გაევსო, დახუფული ჭურჭლები თუხთუხებდა და ქშუტუნებდა...

— გაეთრიე! — აყვირდა დარია პეტროვნა. — გაეთრიე, შე უპატრონო, შე ჯიბგირო! შენღა მაკლდი! მოგცხებ ახლა საჩხრეკს!...

— რას მერჩი? აბა, რას იყეფები? — ალერსით ჰუტავდა თვალებს ძაღ-ლი. — სადაური ჯიბგირი მე ვარ? საყელურს განა ვერ ხედავთ? — და კარ-ში გვერდულად მიძვრებოდა, დრუნჩის შეყოფას ლამობდა.

ქოფაკი შარიკი რაღაც საიდუმლოს ფლობდა, რითაც ადამიანთა გულებს იმორჩილებდა. ორი დღის შემდეგ იგი უკვე ნახშირის კალათის გვერდით იწ-ვა და დარია პეტროვნას საქმიანობას უცქეროდა. იგი უმწეო ყრუნჩებს წვრი-ლი ბასრი დანით თავებსა და ფეხებს აჭრიდა, მერე მძვინვარე ჯალათივით ძვლებზე ხორცს აგლეჯდა, ქათმებს შიგნეულობას აცლიდა, ხორცსაკეპში რაღაცას ატარებდა. შარიკი ამ დროს ყრუნჩის თავს ჯიჯგნიდა. დარია პეტროვ-ნა რძეში ჩამბალი ფუნთუშის ნაჭრებს ჯამიდან იღებდა, ფიცარზე დახვეც-ილ ხორცის ფაფაში ურევდა, ზედ ნაღებს მოასხამდა, მარილს მოაყრიდა და კატლეტებს ამზადებდა. ქურა, თითქოს ხანძარიაო, ისე გუგუნებდა, ტაფა-ზე დაწყობილი კატლეტები თუხთუხით იბუშტებოდა და ხტოდა. ქურის საფარი დროდადრო განზე გრუხუნით გამოიწევოდა და შემზარავ ჯოჯოხეთს გამოაჩენდა, სადაც ალი ბრიალებდა და ბობოქრობდა.

საღამოთი ქვის ხახა ჩანავლდებოდა. სამზარეულოს ფანჯარაზე გაფარე-ბული პატარა თეთრი ფარდის ზემოთ პრეჩისტენკის მრუმე და ნესტიანი ღამე ჩაწოლილიყო და ერთადერთი ვარსკვლავი კიაფობდა. სამზარეულოს იატაკი დანესტილიყო. ქვაბები სიბნელეში იდუმალად და მკრთალად იკვეთე-ბოდა, მაგიდაზე მეხანძრის ქუდი მოჩანდა. შარიკი თბილ ქურაზე ისე იწვა, როგორც ლომი ჭიშკარზე, ცალი ყური ცნობისმოყვარედ აეცქვიტა და უცქე-როდა, შავულვაშა, აღელვებული კაცი, წელზე ტყავის ფართო ქამარი რომ ჰქონოდა შემორტყმული, ნახევრად გამოღებული კარის იქით, ზინასა და დარია პეტროვნას ოთახში, დარია პეტროვნას როგორ ეხვეოდა. დარიას სა-ხე, მქვდრისფერი, გაპუდრული ცხვირის გარდა, ტანჯვითა და ვნებით წამონ-თებოდა. შავულვაშას სახეზე შუქის ჭრილი სააღდგომო ვარდივით დაჰფე-ნოდა.

— დემონივით არ შემომიჩნდა, — ბინდბუნდში ბუტბუტებდა დარია პეტროვნა, — მომეშვი! ზინა სადაცაა მოვა. რაო, შენც ხომ არ გაგაახლეს?

— ჩვენ ეგ არა გვჭირდება, — თავს ძლივსღა იკავებდა ხმაჩახლეჩილი შავულვაში. — ოჰ, რა ცეცხლივით ქალი ხართ!

საღამოობით პრეჩისტენკის ვარსკვლავი მძიმე ფარდებს მიეფარებოდა და თუ დიდ თეატრში „აიდა" არ იყო და არც სრულიად რუსეთის ქირურგიული საზოგადოების კრება ტარდებოდა, ღვთაება კაბინეტში ღრმა სავარძელში მოკალათდებოდა. ჭერქვეშ შუქი არ ჩახჩახებდა, მხოლოდ ერთი მწვანე ლამპა ენთო მაგიდაზე. შარიკა ჩრდილში ხალიჩაზე იწვა და შემზარავ რაღაცებს თვალმოუშორებლად უცქეროდა. მინის ჭურჭელში ჩასხმულ საზიზღარ, მწლაკე და მღვრიე, სქელ სითხეში ადამიანის ტვინი იყო ჩადებული. ღვთაებას ხელები იდაყვებამდე დაეკაპიწებინა, მოწითალო რეზინის ხელთათმანები ჩაეცვა და სლიპინა ბლაგვ თითებს ტვინის ხვეულებში აფათურებდა. დროდადრო ღვთაება პატარა პრიალა დანას მოიმარჯვებდა და ყვითელ დრეკად ტვინს სათუთად ჭრიდა.

— ნილოსის წმინდა ნაპირებისკენ, — წყნარად ღიღინებდა ღვთაება, ტუჩებს იკვნეტდა და დიდი თეატრის ოქროსფერ დარბაზს იხსენებდა.

ამ დროს ძილები მეტისმეტად ვარვარდებოდა. სითბო მათგან ჭერისკენ მიიწევდა და იქიდან მთელ ოთახს ეფინებოდა. ძაღლის ბალანში უკანასკნელი, თვით ფილიპ ფილიპოვიჩის ხელს გადარჩენილი, ჩამოუვარცხნელი, მაგრამ უკვე განწირული რწყილი გამოცოცხლებოდა. ბინაში დაფენილი ხალიჩები ხმებს აყრუებდა. შემდეგ კი შორს შემოსასვლელი კარი გაჯახუნდებოდა.

„ზინკა კინემატოგრაფში წავიდა, — გაიფიქრა ძაღლმა, — როცა დაბრუნდება, ალბათ ვივახშმებთ. დღეს, მგონი, ხბოს დაბეგვილი ხორცი გვექნება!"

●

იმ საშინელ დღეს შარიკას დილითვე გულმა რაღაც ავი უგრძნო. ამის გამო უეცრად მოიწყინა და საუზმე — ნახევარი ჭიქა შვრიის ფაფა და გუშინდელი ცხვრის ძვალი — უხალისოდ შეჭამა. მისაღებ ოთახში მოწყენილმა გაიარა და საკუთარ გამოსახულებას ოდნავ შეჰყმუვლა. მაგრამ მას მერე, როცა ზინამ იგი ბულვარში გაასეირნა, დღე ჩვეულებრივი გზით წარიმართა. მიღება იმ დღით არ ყოფილა, იმიტომ რომ, როგორც ცნობილია, სამშაბათობით მიღება არ არის. და ღვთაება კაბინეტში იჯდა. მაგიდაზე სურათებით აჭრელებული რაღაც დიდი წიგნები გადაეშალა. სადილს ელოდნენ. ძაღლი ცოტათი გამოაფხიზლა იმაზე ფიქრმა, რომ დღეს მეორე კერძად, როგორც ზუსტად შეიტყო სამზარეულოში, ინდაური ექნებოდათ. როცა დერეფანში ჩაიარა, გაიგონა, ფილიპ ფილიპოვიჩის კაბინეტში უსიამოვნოდ და მოულოდნელად როგორ გაიწკრიალა ტელეფონმა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ყურმილი აიღო, ყური მიუგდო და უეცრად აღელდა.

— დიდებულია, — გაისმა მისი ხმა, — ახლავე წამოიღეთ, ახლავე!

იგი აფუსფუსდა, დარეკა და შემოსულ ზინას უბრძანა, სასადილოდ სუფრა სასწრაფოდ გაეშალა.

— სადილი! სადილი! სადილი!

სასადილო ოთახში უმალ თეფშები აწკრიალდა. ზინა გარბი-გამორბო-

და. სამზარეულოდან დარია პეტროვნას ბუზღუნი გაისმა, ინდაური მზად არ არისო. ძაღლმა ისევ იგრძნო შეშფოთება.

„არ მომწონს, როცა სახლში ალიაქოთია", — ფიქრობდა იგი... ეს გაიფიქრა თუ არა, ალიაქოთი უფრო უსიამოვნო შეიქნა. უმთავრესად ყოვლისა იმის წყალობით, რომ ოდესღაც დაკბენილი ექიმი ბორმენტალი მოვიდა. მან თან ჩემოდანი მოიტანა, საძაგელი სუნი რომ უდიოდა, პალტო არც კი გაუხდია, დერეფანი ისე გაიარა და გასასინჯი ოთახისკენ გაეშურა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ყავის ჭიქა გამოუცლელი დატოვა, რაც არასოდეს ჩაუდენია და ბორმენტალის შესახვედრად გაიქცა, რაც ასევე არასოდეს უქნია.

— როდის მოკვდა? — შეჰყვირა მან.

— სამი საათის წინ, — უპასუხა ბორმენტალმა და ჩემოდნის გახსნა ისე დაიწყო, დათოვლილი ქუდიც კი არ მოუხდია.

„ვინ მოკვდა? — უკმაყოფილოდ გაიფიქრა ძაღლმა და ფილიპ ფილიპოვიჩს ფეხებში გაეხლართა. — ალიაქოთს ვერ ვიტან".

— ფეხებში ნუ მედები! ჩქარა! ჩქარა! ჩქარა! — ყველა მხარეს გასძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა და, როგორც ძაღლს მოეჩვენა, ყველა ზარის რეკვა ატეხა. ზინამ მოირბინა. — ზინა! დარია პეტროვნა ტელეფონთან იყოს. ჩაიწეროს, არავის არ მივიღებთ! შენ მჭირდები. ექიმო ბორმენტალო, გემუდარებით — სწრაფად, სწრაფად, სწრაფად!

„არ მომწონს, არ მომწონს", — განაწყენებული ძაღლი მოიღუშა და ბინაში ხეტიალს შეუდგა, ალიაქოთმა კი მთლიანად გასასინჯ ოთახში გადაინაცვლა. ზინა უეცრად ისეთ ხალათში გამოწყობილი აღმოჩნდა, სუდარას რომ წააგავდა, და გასასინჯი ოთახიდან სამზარეულოსკენ აქეთ-იქით სირბილს მოჰყვა.

„საჭმელად ხომ არ წავიდე? ჯანდაბას ამათი თავი", — გადაწყვიტა ძაღლმა და უცებ მოულოდნელი რაღაც გაიგონა.

— შარიკას არაფერი აჭამოთ, — დაიგრგვინა ბრძანებამ გასასინჯი ოთახიდან.

— მაგას თვალს მოასწრებ?

— ჩაამწყვდიეთ!

შარიკა სააბაზანოში შეიტყუეს და კარი ჩაუკეტეს.

„რა თავხედობაა, — გაიფიქრა ჩაბნელებულ საბზანოში ჩამწყვდეულმა შარიკამ, — ნამდვილი უგუნურება..."

ძაღლმა სააბაზანო ოთახში თხუთმეტიოდე წუთი უცნაურ გუნებაზე გაატარა — ხან გაბრაზებულმა და ხან გულდამძიმებულმა. ყოველივე მოსაწყენი, ბუნდოვანი შეიქნა...

„კარგი, დიდად პატივცემულო ფილიპ ფილიპოვიჩ, ნახავთ, ხვალ კალოშები თუღა გექნებათ, — ფიქრობდა იგი, — ორი წყვილი ხომ უკვე იყიდეთ, ერთ წყვილს კიდევ იყიდით. გირჩევნიათ, ძაღლების ჩამწყვდევას მოეშვათ".

მაგრამ ცხარე ფიქრი უეცრად გაუწყდა, უცებ რატომღაც თვალწინ დაუდგა ადრეული ყმაწვილობის დროინდელი სურათი — პრეობრაჟენსკის საყარაულოსთან მზით გაბრწყინებული უკიდეგანო ეზო, ბოთლებზე დამსხვრეული მზის სხივები, თავისუფალი მაწანწალა ძაღლები.

„ვერსადაც ვერ წახვალ, რა თავისუფლება, რის თავისუფლება, აქედან ფეხს არსადაც არ გაადგამ, სიცრუე რა საჭიროა, — ცხვირს ასრუტუნებდა სევდამორეული ძაღლი. — მივეჩვიე. მე ბატონის ძაღლი ვარ, ინტელიგენტუ-

რი არსება. უკეთეს ცხოვრებას გემო გავუგე. ან კი თავისუფლება რა არის? კვამლი, მირაჟი, ფიქრია... ბედშავი დემოკრატების ნაბოდვარი..."

შემდეგ საააბაზანოს სიბნელე ისეთი შემზარავი შეიქნა, ძაღლი აყმუვლდა, კარს ეცა და ფხოჭნა დაუწყო.

— უ-უ-უ! — როგორც კასრში, ისე დაირხა მთელ [illegible]

„ბუს ისევ გავფატრავ". — ბრაზიანად, მაგრამ უძლურად გაიფიქრა ძაღლმა. მერე მისუსტდა: ერთხანს იწვა, ხოლო როცა წამოდგა, უეცრად ბალანი ყალყზე დაუდგა, აბაზანაში რატომღაც მგლის საძაგელი თვალები მოეჩვენა.

ამ ტანჯვა-წამებაში იყო, როცა კარი გაიღო. ძაღლი სააბაზანოდან გავიდა, ტანი შეიბერტყა და სამზარეულოსკენ წასვლა კუშტად დააპირა, მაგრამ ზინამ საყელურში ხელი ჩაავლო და გასასინჯი ოთახისკენ ძალდატანებით წაიყვანა. ძაღლს გულმა რეჩხი უყო.

„რაში ვჭირდები? — გაიფიქრა მან ეჭვიანად. — ფერდი მომირჩა... ვერაფერი გამიგია".

ძაღლი ზინამ გასასინჯ ოთახში მოპრიალებულ პარკეტზე სრიალ-სრიალით მიიყვანა. იქ იგი არნახულმა შუქმა გააოცა. ჭერს ქვემოთ თეთრი ბურთი ისე ბრწყინავდა, რომ თვალს ჭრიდა. თეთრ ნათებაში ქურუმი იდგა და პირმოკუმული ღიღინებდა, ნილოსის წმინდა ნაპირებს უმღეროდა. ფილიპ ფილიპოვიჩის ცნობა მხოლოდ ოდნავ საგრძნობი სუნით შეიძლებოდა. შეკრეჭილ ჭაღარა თმას პატრიარქის კუნკულის მსგავსი თეთრი ჩაჩი უფარავდა; ღვთაება ერთიანად თეთრი ტანსაცმლით იყო შემოსილი, ხოლო თეთრი სამოსლის ზემოდან რეზინის ვიწრო წინსაფარი ეპიტრაქილივით ჩამოეფარებინა. ხელებზე შავი ხელთათმანები მოერგო.

დაკბენილსაც კუნკულა ეხურა. გრძელი მაგიდა გაეშალათ, გვერდიდან კი პატარა, ოთხკუთხედი, ელვარეფეხიანი მაგიდა მიედგათ.

ძაღლმა ყველაზე მეტი სიძულვილი დაკბენილის მიმართ იგრძნო, უფრო მეტად კი მისი დღევანდელი გამოხედვის გამო. მანამდე გაბედულად და პირდაპირ მომზირალ თვალებს იგი ახლა აქეთ-იქით აცეცებდა და ცდილობდა, ძაღლისთვის არ შეეხედა. ახლა მის გამოხედვაში დაძაბულობა, სიყალბე გამოსჭვიოდა, თვალთა სიღრმეში კი ავი, საძაგელი განზრახვა, ანდა იქნებ დანაშაულიც იმალებოდა. თვალებდაბინდულმა ძაღლმა მას უხალისოდ შეხედა და კუთხეში მიიყუჟა.

— ზინა, საყელური. — ხმადაბლა თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — ოღონდ არ აალელვო.

ზინასაც თვალები უმალ დაკბენილის თვალთა მსგავსად საძაგელი გაუხდა. იგი ძაღლს მიუახლოვდა და ხელი გადაუსვა, ოღონდ ესეც აშკარა სიყალბე იყო. ძაღლმა სევდიანად, ზიზღით შეხედა.

„რა გაეწყობა... თქვენ სამნი ხართ, რაც გინდათ, ის მიყავით, ოღონდ გრცხვენოდეთ... ის მაინც ვიცოდე, რას მიპირებთ..."

ზინამ საყელური შეხსნა. ძაღლმა თავი გადააქნია და დაიფრუტუნა. დაკბენილი წინ აესვეტა და გულისამრევი, საძაგელი სუნი შეაფრქვია.

„ფუ, რა სისაძაგლეა... ასე რატომ მერევა გული და რად მეშინია..." — გაიფიქრა ძაღლმა და უკან დაიხია, რათა დაკბენილს გარიდებოდა.

— ეჭიმო, სწრაფად, — მოუთმენლად თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

ჰაერი მოტკბო სურნელებით განიმსჭვალა. დაკბენილს ძაღლისთვის სა-

ძაგელი, დაძაბული მზერა არ მოუცილებია, მარჯვენა ხელი ისე გაუტანა ზურგს უკან და დასველებული ბამბის გუნდა ცხვირზე მიაჭირა. შარიკა გაოგნდა, ოდნავი თავბრუსხვევა იგრძნო, მაგრამ განზე გახტომა მაინც მოასწრო. დაკბენილიც მისკენ გაქანდა და ბამბა მთელ დრუნჩზე [illegible] შემოახვია. ძაღლს სული მყისვე შეუგუბდა, მაგრამ თავის დაღწევა [illegible] მოასწრო. „არამზადები...“ — გაუელვა გონებაში... — „რას მერჩიან?“ ბამბა დრუნჩზე კვლავ შემოახვიეს. იმავე წამს მოულოდნელად მისალევ ოთახში თვალწინ ტბა წარმოუდგა, ხოლო ტბაზე ნავებში ძალზე მხიარული, არაამქვეყნიური, არნახული, ვარდისფერი ძაღლები მოჩანდნენ. შარიკას ფეხები ისე მოუდუნდა, თითქოს ძვლები სულ გაუქრაო.

— მაგიდაზე! — სადღაც მხიარულად დაიბუხუნა ფილიპ ფილიპოვიჩმა და მისი ხმა ნარიჯისფერ ჭავლებს შეერია. ძაღლს შიშმა გაუარა და ახლა სიხარული დაეუფლა. სულმიმქრალს დაკბენილი ორ წამს უყვარდა. მერე მთელი ქვეყნიერება თავდაყირა დადგა. ძაღლმა მაინც იგრძნო, მუცელზე ცივი, მაგრამ სასიამოვნო ხელი როგორ შეეხო. მერე ყოველივე გაქრა.

## IV

ვიწრო საოპერაციო მაგიდაზე ფეხებგაფარჩხული ძაღლი შარიკა იწვა და თეთრი მუშამბის ბალიშზე თავი უმწეოდ გადაქანებოდა. მუცელი გაკრეჭილი ჰქონდა. ექიმ ბორმენტალს მანქანა მოემარჯვებინა და ბალანს ახლა თავზე კრეჭდა. ფილიპ ფილიპოვიჩი მაგიდის კიდეს ხელისგულებით დაყრდნობოდა, თვალებიც სათვალის ოქროს რკალებივით გაბრწყინებოდა, ამ პროცედურას აკვირდებოდა და ხლელვებული ამბობდა:

— ივან არნოლდოვიჩ, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ის იქნება, როცა მე თურქულ კეხში[1] შევიჭრები. გემუდარებით, მორჩი მყისვე მომაწოდოთ და მაშინვე გაკერვას შეუდექით. იქ თუ სისხლი ჩაიქცა, დროს დავკარგავთ და ძაღლიც მოგვიკვდება. თუმცა ამას ისედაც არავითარი შანსი არა აქვს,— ცოტა ხანს დუმდა, მერე თვალები მოჭუტა, ძაღლს თითქოს დამცინავად მოხუჭულ თვალში შეხედა და დაუმატა: — იცით რა, მებრალება, წარმოიდგინეთ, მივეჩვიე.

ფილიპ ფილიპოვიჩმა ხელები ისე აღმართა, თითქოს ბედშავ შარიკას უძნელესი გმირობისთვის გზას ულოცავდა. ცდილობდა, შავ რეზინზე ნამცეცი მტვერიც არ დაცემულიყო.

გაკრეჭილი ბალნის ქვემოთ ძაღლის მოთეთრო კანი აელვარდა. ბორმენტალმა მანქანა გვერდზე მიაგდო და სამართებელი მოიმარჯვა, ძაღლს უმწეო პატარა თავი გაუსაპნა და გაპარსვას შეუდგა. სამართებლის პირს ღრაჭუნი გაუდიოდა, ალაგ-ალაგ სისხლმა ამოჟონა. დაკბენილმა გაპარსვა მოათავა, გაპარსული თავი ბენზინით დასველებული ბამბით გაუწმინდა, მერე გაშიშვლებული მუცელი გაუჭიმა, ამოიხვნეშა და წარმოთქვა:

— მზადაა.

ზინამ ნიჟარის ზემოთ ონკანი გაალო და ბორმენტალი ხელების დასაბანად გაექანა. ზინამ შუშა მოიმარჯვა და ხელები სპირტითაც გადაბანინა.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, მე შემიძლია წავიდე? — ჰკითხა ზინამ და ძაღლის გაპარსულ თავს შიშმორეულმა გახედა.

---

[1] თურქული კეხი — თავის ქალის ძვლის ღრმული, სადაც ჰიპოფიზია მოთავსებული.

ზინა გაუჩინარდა. ბორმენტალი კვლავ აფუსფუსდა. მარლის თხელი ნაჭრები შარიკას თავის გარშემო შემოუწყო. ახლა ბალიშზე ძაღლის ჯერ არნახული მელოტი თავის ქალა და უცნაური წვეროსანი დრუნჩი ჩანდა.

ახლა ქურუმიც შეირხა. იგი წელში გაიმართა, ძაღლს თავზე დახედა და თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთო, შეგვეწიე. დანა.

ბორმენტალმა მაგიდაზე დახვავებული მოელვარე ხელსაწყოებიდან პატარა მუცელამობერილი დანა გამოარჩია და ქურუმს მიაწოდა. მერე ხელებზე თავადაც ისეთივე ხელთათმანები მოირგო, როგორიც ქურუმს ეკეთა.

— სძინავს? — იკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— სძინავს.

ფილიპ ფილიპოვიჩმა კბილი კბილს დააჭირა, თვალები მწვავედ, მსუსხავად აელვარა, დანა შემართა და შარიკას მუცელი მთელ სიგრძეზე მარჯვედ ჩაუსერა. კანი უმალ გადაიშალა და სისხლმა სხვადასხვა მხარეს ითქრიალა. ბორმენტალი ჭრილობას გაშმაგებით ეძგერა და მარლის გუნდები დააჭირა, მერე შაქრის სატეხისნაირი პატარა მაშები ჭრილობის კიდეებს მოუჭირა და ჭრილობა შეშრა. ბორმენტალს შუბლი ოფლით დაცვაროდა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ძაღლს მუცელი მეორედ ჩაუსერა, ხოლო როცა ორივემ კაუჭებით, მაკრატლებით, რაღაც კაკვებით ძაღლის სხეულის გახლეჩა იწყეს, მუცლიდან ვარდისფერი და ყვითელი, სისხლის წვეთებით დაცვარული ქსოვილები ამოცვივდა. ფილიპ ფილიპოვიჩი ძაღლს მუცელში დანას უტრიალებდა. მერე შეჰყვირა:

— მაკრატელი!

დაკბენილმა ინსტრუმენტი, როგორც მეფოკუსემ, ხელში წამით გააელვა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ხელი ღრმად ჩაყო, რამდენიმეჯერ შეატრიალ-შემოატრიალა და შარიკას მუცლიდან სათესლე ჯირკვლები რაღაც ნაგლეჯებთან ერთად ამოაცალა. გულმოდგინებისა და მღელვარებისგან ერთიანად გალუმპული ბორმენტალი მინის ქილისკენ გაექანა და იქიდან სხვა, სველი, ჩამოგრძელებული სათესლე ჯირკვლები ამოიღო. პროფესორისა და მისი ასისტენტის ხელებში რაღაც მოკლე, სველი სიმები ათამაშდა და აწივლდა. მოხრილი ნემსები ჩამჭერებში ხშირ-ხშირად ატკაცუნდა. შარიკას თავისი სათესლე ჯირკვლების ადგილას სხვა სათესლე ჯირკვლები ჩააკერეს. ქურუმმა ოდნავ უკან დაიხია, ჭრილობაში მარლის გუნდა ჩაჩურთა და ბორმენტალს უბრძანა:

— ექიმო, კანი სწრაფად შეკერეთ, — მერე კედლის მრგვალ თეთრ საათს გახედა.

— 14 წუთს მოვუნდით, — კბილებში გამოსცრა ბორმენტალმა და მოხრილი ნემსი მომჩვარულ კანს შეასო. მერე ორივენი ისე აჩქარდნენ, როგორც მკვლელებს სჩვევიათ ხოლმე.

— დანა! — შეჰყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

დანა ხელში თითქოს თავისით შეუხტა, რის შემდეგაც ფილიპ ფილიპოვიჩს სახე შემზარავი გაუხდა. მან ფაიფურისა და ოქროს კბილები დაკრიჭა და შარიკას შუბლზე წითელი გვირგვინი ერთი მოსმით შემოუხაზა. ბალანგაპარსული ტყავი სკალპივით გააძრეს, თავის ქალა გააშიშვლეს. ფილიპ ფილიპოვიჩმა შესძახა:

— ტრეპანი!

ბორმენტალმა პრიალა ციბრუტი მიაწოდა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ციბრუ-

ტი შარიკას თავის ქალას ტუჩების კვნეტით მიაბჯინა და ერთიმეორისგან თითო სანტიმეტრის დაშორებით პატარ-პატარა ხვრელების გაბურღვას შეუდგა, ისე, რომ ეს ხვრელები მთელ თავის ქალას ირგვლივ შემორიგებოდა. თითო ხვრელის გაბურღვას ხუთ წამზე მეტს არ მონდომებია. მერე უცხო მოყვანილობის მქონე ხერხის ბოლო პირველ ხვრელში ჩაუშვა და ხერხვა ისეთნაირად შეუდგა, როგორც ქალის ხელსაქმის ყუთს ხერხავენ ხოლმე, თავის ქალა ხმადაბლა წიოდა და ძიგძიგებდა. სამი წუთის შემდეგ თავის ქალას სარქველი ახადეს და შარიკას მოაცილეს.

ახლა შარიკას ტვინი — მოლურჯო ძარღვებითა და მოწითალო ლაქებით დაფარული თალი გაშიშვლდა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ტვინის გარსი მაკრატლით გაკვეთა. ერთხელ სისხლის შადრევანმა იფეთქა, პროფესორს კინაღამ თვალში მოხვდა და ჩაჩი დაუწინწკლა. ბორმენტალმა პინცეტს ხელი წამოავლო, სისხლის შადრევანს ვეფხვივით მიეტანა, ძარღვს პინცეტი ჩაუჭირა და სისხლის დენა შეაჩერა. ბორმენტალს ოფლი ღვარად სდიოდა, სახე დამრგვალებოდა და აჭრელებოდა. მზერა ხან პროფესორის ხელებისკენ ჰქონდა მიმართული, ხან ინსტრუმენტების მაგიდაზე მდგარი თეფშისკენ. ფილიპ ფილიპოვიჩი ხომ მართლაც საზარელი შესახედავი შეიქნა. ცხვირს აქშუტუნებდა, კბილები ისე დაეკრიჭა, ღრძილები უჩანდა. მან ტვინს გარსი გადააძრო, ხელი სადღაც ღრმად ჩაყო და გაკვეთილი ფიალიდან ნახევარსფეროების ამოზიდვას შეუდგა. ამ დროს ბორმენტალს ფერი ეცვალა, ცალი ხელი შარიკას ფერდზე შემოაჭდო და ხმაჩახლეჩილმა თქვა:

— პულსი მკვეთრად ეცემა...

ფილიპ ფილიპოვიჩმა მას გაშმაგებულმა შეხედა, რაღაც ჩაიბურტყუნა და ხელი უფრო ღრმად ჩაყო. ბორმენტალმა მინის ამპულა ტკაცანით გადატეხა, შპრიცი შეავსო და შარიკას სადღაც გულთან მზაკვრულად შეასო.

— თურქული კეხისკენ მივიწევ, — შეჰყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა და შარიკას თავიდან ნაცრისფერ-ყვითელი ტვინი გასისხლიანებული ლიპი ხელთათმანებით ამოწია. მან შარიკას წამით ალმაცერად დახედა და ბორმენტალმაც მეორე ამპულას უმალ თავი წაატეხა, გრძელი შპრიცი აიღო და ამპულიდან ყვითელი სითხე ამოქაჩა.

— გულში? — გაუბედავად ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩს.

— რაღას მეკითხებით? — ღვარძლიანად დაიგრგვინა პროფესორმა, — ისედაც ხუთჯერ უკვე მოგიკვდათ. უჩხვლიტეთ! გაგონილა? — და სახე შთაგონებული ყაჩაღისა გაუხდა.

ექიმმა ძაღლს ნემსი გულში ერთი ჩაკვრით, მსუბუქად ჩაასო.

— ცოცხალია, მაგრამ ძლივსღა ფეთქავს, — მოკრძალებით ჩაიჩურჩულა მან.

— ცოცხალია თუ არ არის ცოცხალი, მაგაზე მსჯელობის დრო აღარ არის, — შემზარავად ასისინდა ფილიპ ფილიპოვიჩი, — მე ხელი კეხში მაქვს. სულ ერთია, მაინც მოკვდება... დალახვროს ეშმაკმა... ნილოსის წმინდა ნაპირებისკენ... დანამატი მომეცით.

ბორმენტალმა შუშა მიაწოდა, რომლის შიგნით, სითხეში, ძაფით პატარა თეთრი კოშტი ეკიდა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ცალი ხელით — „ევროპაში ბადალი არა ჰყავს... ღმერთმანი!..“ — თავში გაურბინა ბორმენტალს, — ძაფზე ჩამოკიდებული კოშტი აიტაცა, მეორე ხელით მაკრატელი მოიგდო, სადღაც გაბრტყელებულ ნახევარსფეროებს შორის ღრმად შეაცურა და ასე-

თივე კოშტი მოკვეთა. შარიკას კოშტი თეფშზე დააგდო, ახალი კოშტი ძაფთან ერთად ტვინში შეასრიალა და მოკლე თითებით, ახლა თითქოს რაღაც სასწაულით რომ დაწვრილებოდა და მოქნილება შეეძინა, ქარვისფერი ძაფი ჩანასკვა და კოშტის ჩამაგრება მოახერხა, ამის შემდეგ თავის ქილიდან რაღაც მჭიმავები და პინცენტი ამოიღო, ტვინი ძვლის ფიალაშივე ჩადო, [illegible]- დაიწია და უკვე დამშვიდებულმა იკითხა:

ბიბლიოთეკა

— მოკვდა, რა თქმა უნდა?

— ძაფისებრი პულსია, — უპასუხა ბორმენტალმა.

— ადრენალინი გაუშეორეთ.

პროფესორმა ტვინს გარსი შემოაფარა, მოხერხილი სარქველი ზომაზე მოარგო, სკალპი გადმოჭიმა და დაიგრგვინა:

— გაკერეთ.

ბორმენტალმა თავი ხუთ წუთში შემოკერა, კერვისას სამი ნემსი გაუტყდა.

და.

სისხლით შეღებილი ბალიშის ფონზე შარიკას უსიცოცხლო დრუნჩი ჩანდა. თავზე შემორკალული ჭრილობა ჩანდა. ფილიპ ფილიპოვიჩი ძაღლს ახლა კი საბოლოოდ გასცილდა, როგორც გამაძღარი ვამპირი. ერთი ხელთათმანი წაიძრო, საიდანაც ოფლნარევი პუდრის ღრუბელი გამოიჭრა, მეორე ხელთათმანი შემოიფხრიწა, იატაკზე დააგდო, კედელზე მიმაგრებულ ღილაკს თითი დააჭირა და დარეკა. ზღურბლზე მომდგარმა ზინამ პირი გვერდზე მიაბრუნა, რათა გასისხლიანებული შარიკა არ დაენახა. ქურუმმა სისხლით მოსვრილი ჩაჩი ცარციანი ხელებით მოიხადა და წარმოთქვა:

— ზინა, ახლავე პაპიროსი მომიტანე. აბაზანა და სუფთა თეთრეული გამიმზადე.

მან ნიკაპი მაგიდის კიდეს დააყრდნო, ძაღლს მარჯვენა ქუთუთო ორი თითით აუწია, სიცოცხლემილეულ თვალში ჩახედა და თქვა:

— დალახვროს ეშმაკმა. არ მომკვდარა. მაგრამ მაინც მოკვდება. ეჰ, ექიმო ბორმენტალო, მებრალება, ალერსიანი ძაღლი იყო, თუმცა ეშმაკობაც არ აკლდა.

V

## ექიმ ბორმენტალის დღიურიდან

თხელი რვეული საწერი თაბახის ფორმატისა, ბორმენტალის ხელით შევსებული, დასაწყისში ორ გვერდზე ფაქიზად და მკაფიოდაა ჩაწიკწიკებული, შემდეგ უკვე გაკრული ხელითაა ნაწერი, მღელვარება ეტყობა, მელნის ლაქები უფრო მეტი და მეტი ჩანს.

1924 წლის 22 დეკემბერი, ორშაბათი
ავადმყოფობის ისტორია

ლაბორატორის ძაღლი დაახლოებით 2 წლისა. ხვადი. ჯიში — ეზოს ძაღლი. სახელი — შარიკა. ბალანი თხელი, ალაგ-ალაგ დაბუჩქული, მურა თრთვილნარევი. კუდი ნადუღი რძის ფერი. მარჯვენა ფერდზე მთლად მოშუშებული დამწვრობის კვალი. კვება პროფესორთან მოსვლამდე — ცუდი, ერთი კვირის შემდეგ, რაც პროფესორთანაა, წონა ძალზე მომატებული — 8 კგ. (ძახილის ნიშანი). გული, ფილტვები, კუჭი, ტემპერატურა...

23 დეკემბერი. საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე ჩატარდა ევროპაში პირველი ოპერაცია პროფესორ პრეობრაჟენსკის მეთოდით. შარიკს გაუკეთდა ქლოროფორმის ნარკოზი, ამოეცალა სათესლე ჯირკვლები და მათ ნაცვლად გადაენერგა მამაკაცის სათესლე ჯირკვლები დანამატთან [illegible]ენებთან ერთად, რაც ამოცლილი ჰქონდა ამ ოპერაციამდე 4 საათისა და 4 წუთით ადრე გარდაცვლილ 28 წლის მამაკაცს და პროფესორ პრეობრაჟენსკის მეთოდის მიხედვით ინახებოდა სტერილიზებულ ფიზიოლოგიურ ხსნარში.

უშუალოდ ამის შემდეგ შარიკას აეხადა თავის ქალის სარქველი, ამოეკვეთა ტვინის დანამატი — ჰიპოფიზი და შეეცვალა ადამიანის ჰიპოფიზით, რაც ზემოხსენებულ მამაკაცს ჰქონდა ამოცლილი.

გაუკეთდა 8 კუბური სანტიმეტრი ქლოროფორმი, 1 შპრიცი ქაფური და გულში 2 შპრიცი ადრენალინი.

ოპერაციის ჩვენება: პრეობრაჟენსკის მიერ ჩატარებული ცდა ჰიპოფიზისა და სათესლე ჯირკვლების კომბინირებული გადანერგვისა, ჰიპოფიზის შემთავსებლობის საკითხის გამოსარკვევად, ხოლო შემდგომში ადამიანის ორგანიზმის გაახალგაზრდავებაზე მისი გავლენის დასადგენადაც.

ოპერაცია ჩაატარა პროფ. ფ. ფ. პრეობრაჟენსკიმ.

ასისტენტობას უწევდა ექიმი ი. ა. ბორმენტალი.

ოპერაციის შემდეგ ღამით: პულსის მრავალჯერ სახიფათოდ დაცემა. სიკვდილის მოლოდინი. ქაფურის უზარმაზარი დოზები პრეობრაჟენსკის მეთოდით.

24 დეკემბერი. დილით — გაუმჯობესება. სუნთქვა ორმაგად გახშირებული, ტემპერატურა 42. ქაფური, კოფეინი კანქვეშ.

25 დეკემბერი. კვლავ გაუარესება. პულსი ძლივს ისინჯება, კიდურების გაციება, თვალის გუგები არ რეაგირებს, ადრენალინი გულში, ქაფური პრეობრაჟენსკის მეთოდით, ვენაში ფიზიოლოგიური ხსნარი.

26 დეკემბერი. მცირედი გაუმჯობესება. პულსი 180, სუნთქვა 92, ტემპერატურა 41. ქაფური, ოყნით კვება.

27 დეკემბერი. პულსი 152, სუნთქვა 50, ტემპერატურა 39,8, თვალის გუგები რეაგირებს. ქაფური კანქვეშ.

28 დეკემბერი. მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. შუადღისას მოულოდნელი ოფლის ღვრა, ტემპერატურა 37,0. ოპერაციის ჭრილობები ადრინდელ მდგომარეობაშია. გადახვევა. მადა დაეტყო. კვება თხიერი.

29 დეკემბერი. უეცრად დაეწყო შუბლზე და ფერდებზე ბალნის გაცვივნა. საკონსულტაციოდ გამოძახებულ იქნენ: კანის სნეულებათა კათედრის პროფესორი ვასილი ვასილიევიჩ ბუნდარევი და მოსკოვის საჩვენებელი ვეტერინალური ინსტიტუტის დირექტორი. მათ ეს შემთხვევა ლიტერატურაში აღუწერლად მიიჩნიეს. დიაგნოსტიკა დაუდგენელი დარჩა. ტემპერატურა ნორმალურია.

(ფანქრით ჩანაწერი)

საღამოთი პირველი ყეფა გაისმა (8. 15 წ.) ყურადღებას იქცევს ტემბრის მკვეთრი ცვლილება და ტონის დადაბლება. ნაცვლად სიტყვისა „გაუ-გაუ“ ისმის „ა-ო“, ოდნავ წააგავს კვნესას.

30 დეკემბერი. ბალნის გაცვივნამ საერთო გამელოტების ხასიათი მიიღო. აწონვამ მოულოდნელი შედეგი მოგვცა — წონა 30 კგ. ძვლების ზრდის (დაგრძელების) ხარჯზე. ძაღლი კვლავინდებურად წევს.

31 დეკემბერი. კოლოსალური მადა.

(რვეულში მელნის ლაქა. ლაქის შემდეგ აჩქარებული ხელნაწერი).

დღის 12 ს. 12 წ. ძაღლმა გარკვევით წამოიყეფა ა-ბ-ი-რ.

(რვეულში ჩანაწერები წყდება და შემდეგ, ალბათ, აღელვებისგან შეცდომით წერია):

1 დეკემბერი. (გადახაზულია და გასწორებულია) 1925 წ. 1 იანვარი. დილით ფოტოსურათი გადავუღეთ. გარკვევით ყეფს: „აბირ". ამ სიტყვას ხმამაღლა და თითქოს გახარებული იმეორებს. დღის 3 საათზე (მსხვილი ასოებით) გაიცინა, რის გამოც შინამოსამსახურე ზინას გული შეუღონდა. საღამოთი რვაჯერ წარმოთქვა სიტყვა „აბირ-ვალგ", „აბირ".

(ფანქრით ნაწერი დახრეცილი ასოები). პროფესორმა სიტყვა „აბირ-ვალგ" გაშიფრა, მისი მნიშვნელობაა „გლავრიბა"... ეს შემზარ...

2 იანვარი. ფოტოსურათი გადაღებული აქვს მაგნიუმის ნათებისას გაღიმებულს. ლოგინიდან წამოდგა და უკანა თათებზე ნახევარ საათს თავდაჯერებული იდგა. თითქმის ჩემსიმაღლეა.

(რვეულში ფურცელია ჩამატებული).

რუსულმა მეცნიერებამ კინაღამ მძიმე დანაკარგი განიცადა.

პროფესორ ფ. ფ. პრეობრაჟენსკის ავადმყოფობის ისტორია.

1 ს. და 13 წ. — პროფესორი პრეობრაჟენსკი დიდხანს იყო გულწასული. წაიქცა და თავი სკამის ფეხს ჩამოჰკრა. ვალერიანის ტინქტურა.

ჩემი და ზინას თანდასწრებით ძაღლმა (თუ, რა თქმა უნდა, შეიძლება ძაღლი ვუწოდოთ) პროფ. პრეობრაჟენსკის დედა შეაგინა.

(ხელნაწერი წყდება).

6 იანვარი. (ხან ფანქრით, ხან იისფერი მელნით).

დღეს, მას შემდეგ, რაც კუდი მოსწყდა, გარკვევით წარმოთქვა სიტყვა „ლუდხანა". მუშაობს ფონოგრაფი. ეშმაკმა უწყის, რა ხდება.

დაბნეული ვარ.

პროფესორმა მიღება შეწყვიტა. საღამოს 5 საათის შემდეგ, გასასინჯი ოთახიდან, სადაც ეს არსება ბოლთასა სცემს, აშკარად გაისმის უწმაწური გინება და სიტყვები: „კიდევ ორი".

7 იანვარი. იგი ძალიან ბევრ სიტყვას წარმოთქვამს: „მეეტლე", „ადგილები არ არის", „საღამოს გაზეთი", „საუკეთესო საჩუქარი ბავშვებს", და ყველანაირი ლანძღვა-გინებას, რაც კი რუსულ ლექსიკონშია.

უცნაური შესახედაობისაა. ბალანი მხოლოდ თავზე, ნიკაპზე და მკერდზე შემორჩა, სხვაგან მელოტია. მომჩვარული კანი აქვს. სასქესო ორგანოს არეში მამაკაცურად ყალიბდება, თავის ქალა მნიშვნელოვნად გაეზარდა. შუბლი დაბალი და გადაქანებული აქვს.

ღმერთმანი, შევიშლები.

ფილიპ ფილიპოვიჩი თავს ჯერ კიდევ ცუდად გრძნობს. დაკვირვებათა უმეტესობას მე ვაწარმოებ. (ფონოგრაფი, ფოტოსურათები).

ქალაქში მითქმა-მოთქმაა.

შედეგები აურაცხელია. დღეს მთელი შესახვევი ვიღაც უსაქმურებითა

და დედაბრებით იყო სავსე, ფანჯრებს ქვემოთ უქნარები ახლაც დგანან. დილის გაზეთებში განსაცვიფრებელი ცნობა დაიბეჭდა. „ობუხოვის შესახვევში მარსელის გამოჩენაზე მითქმა-მოთქმა უსაფუძვლოა. ამ ხმებს სუხარევკელი ვაჭრები ავრცელებენ და მკაცრად დაისჯებიან". დალახვროს ეშმაკმა, რა მარსელზეა ლაპარაკი? ეს ნამდვილი კოშმარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო უარესი რამ საღამოს გაზეთებში გამოქვეყნდა — ახალშობილი ვიოლინოს უკრავსო. იქვე სურათია — ვიოლინო და ჩემი ფოტოსურათი, ქვემოთ კი წარწერა:

„პროფ. პრეობრაჟენსკი, ვინც დედას საკეისრო გაკვეთა ჩაუტარა". ეს ენით გამოუთქმელი რამაა... მან წარმოთქვა ახალი სიტყვა „მილიციელი".

დარია პეტროვნა თურმე ჩემზე შეყვარებული ყოფილა და ფილიპ ფილიპოვიჩის ალბომიდან ჩემი ფოტოსურათი მოუპარავს. მას შემდეგ, რაც რეპორტიორები გავყარე, ერთი მათგანი სამზარეულოში შეპარულა და ა. შ.

რა ამბავია მიღების დროს! დღეს ზარი ოთხმოცდაორჯერ დარეკეს კარზე. ტელეფონი გამორთულია. უშვილო ქალები ჭკუაზე შეიშალნენ, მოდიან და მოდიან...

შვონდერის მეთაურობით სახლის კომიტეტის მთელი შემადგენლობა გვეწვია. რატომ, თვითონაც არ იციან.

8 იანვარი. დიაგნოზი გვიან ღამით დავსვით. ფილიპ ფილიპოვიჩმა, როგორც ჭეშმარიტმა მეცნიერმა, თავისი შეცდომა აღიარა — ჰიპოფიზის შეცვლა გაახალგაზრდავებას კი არა, სრულ გ-ა-ა-დ-ა-მ-ი-ა-ნ-ე-ბ-ა-ს იწვევს (სამჯერ არის ხაზგასმული). ამის გამო მისი საკვირველი, განსაცვიფრებელი აღმოჩენის მნიშვნელობა ოდნავადაც არ მცირდება.

დღეს მან ბინაში პირველად გაიარა, დერეფანში ელექტრონათურას უყურებდა და იცინოდა. მერე ჩემი და ფილიპ ფილიპოვიჩის თანხლებით კაბინეტში შევიდა. უკანა თათებზე (გადახაზულია)... ფეხებზე მტკიცედ დგას და ტანმორჩილი, სუსტი აგებულების მქონე მამაკაცს მოგაგონებთ.

კაბინეტში იცინოდა, უსიამოვნო, თითქოს ხელოვნური ღიმილი აქვს. მერე ქეფა მოიფხანა, მიმოიხედა, და მის მიერ გარკვევით წარმოთქმული ახალი სიტყვა ჩავიწერე: „ბურჟუები". იგინება. ეს გინება მეთოდური, განუწყვეტელი და, როგორც ჩანს, სრულიად უაზროა. ცოტათი ფონოგრაფიული ხასიათისაა: თითქოს ამ არსებას სალანძღავი სიტყვები სადღაც ადრე გაუგონია, ტვინში ავტომატურად, ქვეცნობიერად შეუტანია და ახლა დასტა-დასტად აფრქვევს. თუმცაღა მე ხომ ფსიქიატრი არა ვარ, ეშმაკმა წაიღოს.

ფილიპ ფილიპოვიჩს გინება რატომღაც გულს საოცრად უმძიმებს, არის მომენტები, როცა იგი ახალ მოვლენათა გულგრილი, თავშეკავებული დამკვირვებელი აღარ არის და მოთმინებას როგორღაც კარგავს. მაგალითად, როცა ეს არსება ილანძღებოდა, ფილიპ ფილიპოვიჩმა უცებ ნერვულად შეჰყვირა:

— გაჩერდი!

ამას არავითარი ეფექტი არ მოუხდენია.

კაბინეტში გასეირნების შემდეგ მე და ფილიპ ფილიპოვიჩმა შარიკა გასასინჯ ოთახში საერთო ძალით დავაბრუნეთ.

ამის შემდეგ ვითათბირეთ. უნდა ვაღიარო, რომ ეს საოცრად ჭკვიანი და საკუთარ თავში დარწმუნებული კაცი დაბნეული პირველად ვნახე. მან ჩვეულებისამებრ ჩაიღიღინა და შემეკითხა, ახლა რა უნდა ვქნათო? მერე თვითონვე ზუსტად ეს თქვა პასუხად: „მოსკოვკერვა, დიახ... სევილიიდან გრენადამდე. მოსკოვკერვა, ძვირფასო ექიმო...“ მე ვერაფერს მივხვდი, [illegible] მიმართა: „ივან არნოლდოვიჩ, გთხოვთ, საცვლები, შარვალი და [illegible]დოთ“.

9 იანვარი. ლექსიკონი ყოველ ხუთ წუთში (საშუალოდ) ახალი სიტყვით მდიდრდება, დღევანდელი დილის შემდეგ კი ფრაზებითაც. როგორც ჩანს, გონებაში სიტყვები გაყინული ჰქონია, ახლა უდნება და გარეთ გამოდის, შემდეგ კი ხმარებაში რჩება. გუშინდელი საღამოს მერე ფონოგრაფმა ჩაიწერა: „ხელს ნუ იკვრევინები“, „არამზადავ“, „საფეხურიდან ჩაეთრიე“, „მე შენ გაჩვენებ სეირს“, „ამერიკის აღიარება“, „პრიმუსი“.

10 იანვარი. შემოსვა შედგა. პერანგის ჩაცმა ხალისით დაგვანება, მხიარულად იცინოდა კიდეც. საცვლის ჩაცმაზე გაძალიანდა, პროტესტს გამოთქვამდა. ჩახლეჩილი ხმით ყვიროდა: „რიგში ჩადექით, მამაძაღლებო, რიგში!“ ჩავაცვით. წინდები დიდი გამოდგა.

(რვეულში რაღაც სქემატური ჩანახატებია, როგორც ჩანს, ადამიანის ფეხებად ძაღლის თათების გარდაქმნას რომ გამოსახავს).

ტერფის უკანა ნაწილის ძვალი (planta) გრძელდება. თითების წამოზრდა. ფრჩხილები.

მრავალჯერადი სისტემატური წვრთნა საპირფარეშოში სიარულის მისაჩვევად. მოსამსახურეები მთლად დათრგუნულნი არიან.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აღლოიანია. საქმე სავსებით რიგზე მიდის.

11 იანვარი. შარვალს უკვე შეეგუა. გრძელი, მხიარული ფრაზა წარმოთქვა: „მომე ერთი პაპიროსი, შარვლითა ხარ შენამოსი“.

თავზე ბალანი სუსტი, აბრეშუმისებრი აქვს. იოლად შეგეშლებათ და თმა გეგონებათ. მაგრამ კეფა დათრთვილული მაინც დარჩა. დღეს ყურებიდან უკანასკნელი ღინღლი ჩამოსცვივდა. მადა კოლოსალური აქვს. ქაშაყს გულიანად შეექცევა.

საღამოს 5 საათზე დიდი ამბავი მოხდა: არსების წარმოთქმული სიტყვები გარე მოვლენებისგან მოწყვეტილი პირველად არ აღმოჩნდა, უკვე მათ მიმართ რეაქციას წარმოადგენდა. როცა პროფესორმა უბრძანა: საჭმლის ნარჩენებს იატაკზე ნუ ყრიო, — მოულოდნელად უპასუხა: მომეშვი, შე ტილიანოო!

ფილიპ ფილიპოვიჩი სახტად დარჩა, მერე გონს მოეგო და უთხრა:

— თუ თავს კიდევ მისცემ ნებას და მე ან ექიმს გაგვლანძღავ, იცოდე, მოგხვდება.

მე შარიკას ამ დროს სურათი გადავუღე. თავდები ვარ, რომ მან პროფესორის ნათქვამი გაიგო. სახეზე წყენის ჩრდილი დაეფინა. საკმაოდ გაღიზიანებულმა წარბშეკვრით გამოიხედა, მაგრამ გაჩუმდა.

ვაშა, ნათქვამს ხვდება!

12 იანვარი. შარვლის ჯიბეებში ხელების ჩაწყობა. ვცდილობთ გინებას გადავაჩვიოთ. „იაბლოჩკოს“ უსტვენდა. საუბარში გვყვება.

არ შემიძლია, რამდენიმე ჰიპოტეზა რომ არ გამოვთქვა: ჯერჯერობით ჯანდაბას გაახალგაზრდავება. სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანია: პროფ. პრე-

ობრაჟენსკის განსაცვიფრებელმა ცდამ ადამიანის ტვინის ერთ-ერთი საიდუმლო გაამჟღავნა. ამიერიდან ჰიპოფიზის — ტვინის დანამატის — იდუმალი ფუნქცია გამორკვეულია. იგი ადამიანის იერსახეს განსაზღვრავს. მის ჰორმონებს ორგანიზმის უმნიშვნელოვანესი ჰორმონები — ადამიანის იერსახის ჩამომყალიბებელი ჰორმონები შეიძლება ვუწოდოთ. მეცნიერების სრულიად ახალი დარგი წარმოიშვა: ჰომუნკულუსი ფაუსტის რეტორტის გარეშე შეიქმნა. ქირურგის სკალპელმა ადამიანის ახალ ერთეულს სიცოცხლე მიანიჭა. პროფ. პრეობრაჟენსკი, თქვენ შემოქმედი ხართ. (ლაქა).

თუმცა გადავუხვიე... მაშ ასე, იგი საუბარში გვყვება. ჩემი ვარაუდით საქმე შემდეგნაირადაა: შეთავსებულმა ჰიპოფიზმა ძაღლის ტვინში მეტყველების ცენტრი გახსნა და სიტყვები ღვარად დაიძრა. ჩვენ წინაშეა აღორძინებული, გარდაქმნილი ტვინი და არა ახლად შექმნილი ტვინი. ო, რა საოცარი დადასტურებაა ევოლუციური თეორიისა! ო, რა დიადი ჯაჭვია ძაღლიდან ქიმიკოს მენდელეევამდე! კიდევ ერთი ჩემი ჰიპოთეზა: შარიკას ტვინმა ძაღლური ცხოვრების პერიოდში უამრავი ცნება დააგროვა. ყველა სიტყვა, რომელთა ხმარება მან პირველ რიგში დაიწყო, ქუჩური სიტყვებია; ეს სიტყვები გაგონილი და ტვინში ჩამარხული ჰქონდა, ახლა ქუჩაში როცა მივდივარ, ყველა ძაღლს ფარული შიშით ვუცქერი. ღმერთმა უწყის, მათ ტვინში რა იმალება.

შარიკა კითხულობდა (3 ძახილის ნიშანი). ამას მივხვდი „გლავრიბას" მიხედვით. თანაც ბოლოდან კითხულობდა. ისიც ვიცი, ეს გამოცანა რით უნდა აიხსნას: ძაღლის მხედველობითი ნერვების წყვეტილობით.

მოსკოვში წარმოუდგენელი რამ ხდება. შვიდი სუხარეველი ვაჭარი უკვე დააპატიმრეს, რადგან ხმა დაყარეს, მეორედ მოსვლის ჟამი დგება, რაც ბოლშევიკებმა გამოიწვიესო. დარია პეტროვნაც ამას ამბობდა. თანაც თარიღს ზუსტად ასახელებდა: 1925 წლის 28 ნოემბერს, წმინდა მოწამე სტეფანეს დღეს, დედამიწა ციურ ღერძს შეეჯახებაო... ვიღაც თაღლითები უკვე ლექციებს კითხულობენ. ამ ჰიპოფიზითი ისეთი აყალმაყალი გამოვიწვიეთ, ლამის სახლიდან გავიქცეთ. მე პრეობრაჟენსკისთან დავბინავდი, მისივე თხოვნით, და მისაღებ ოთახში შარიკასთან ერთად ვათევ ღამეს. გასასინჯი ოთახი მისაღებ ოთახად ვაქციეთ. შვონდერი მართალი გამოდგა. საბინაო კომიტეტი ნიშნს გვიგებს. კარადებს ერთი მინაც აღარ შერჩა, იმიტომ რომ ის არსება დახტის. ძლივს გადავაჩვიეთ.

ფილიპ ფილიპოვიჩს უცნაური რაღაც ემართება. როცა ჩემი ჰიპოთეზების შესახებ მოვუყევი და იმედი გამოვთქვი, რომ შეიძლებოდა, შარიკა განგვევითარებინა და მაღალი ფსიქიკის მქონე პიროვნებად გვექცია, მან ჩაიფრუტუნა და მიპასუხა: „ასე გგონიათ?" ტონი ავის მომასწავებელი ჰქონდა. ნუთუ შევცდი? მოხუცმა რაღაც მოისაზრა. სანამ მე ავადმყოფობის ისტორიას ვუზივარ, იგი იმ კაცის ავადმყოფობის ისტორიას უზის, ვისი ჰიპოფიზიც გამოვიყენეთ...

(რვეულში ფურცელია ჩამატებული)

კლიმ გრიგორიევიჩ ჩუგუნკინი. 25 წლისა! უცოლო. უპარტიო, თანამგრძნობელი. სამჯერ არის გასამართლებული და გამართლებული: პირველად სამხილის უქმარისობის წყალობით, მეორედ წარმოშობამ გადაარჩინა, მესამედ — 15 წლით პირობითი კატორღა. ქურდობა. პროფესია — სამიკიტნოებში ბალალაიკის დამკვრელი.

ტანდაბალია, სუსტი აღნაგობისა. ღვიძლი გადიდებულია (ალკოჰოლი). სიკვდილის მიზეზი — ლუდხანაში („სტოპ-სიგნალი“ პრეობრაჟენსკის საგუშაგოსთან) გულში დანის ჩაცემა.

მოხუცი თავაუღებლად ჩაჰკირკიტებს კლიმის ავადმყოფობას. ვერ გამიგია, რა მოხდა. რაღაც ჩაიბურტყუნა იმის თაობაზე, რატომ ვერ მოვისაზრე, პათოლოგო-ანატომიურში ჩუგუნკინის მთელი გვამი გამესინჯაო. რა მოხდა, ვერ გამიგია. განა სულ ერთი არ არის, ჰიპოფიზი ვისია?

17 იანვარი. რამდენიმე დღეა არარაფერი ჩამიწერია: ინფლუენციით ვიყავი ავად. ამ ხნის მანძილზე იერსახე საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

ა) სხეულის აღგანობით დასრულებული ადამიანი;

ბ) წონა დაახლოებით 3 ფუთი;

გ) ტანმორჩილი;

დ) თავი პატარა;

ე) მოწევა დაიწყო;

ვ) ჭამს ადამიანის საჭმელს;

ზ) ტანსაცმელს დამოუკიდებლად იცვამს.

თ) დალაგებით საუბრობს.

ესეც თქვენი ჰიპოფიზი (ლაქა).

ამით ავადმყოფობის ისტორიას ვამთავრებ. ჩვენ წინაშე ახალი ორგანიზმია. მასზე დაკვირვება [1]თავიდან უნდა დავიწყოთ.

დანართი: ლაპარაკის სტენოგრამები, ფონოგრაფის ჩანაწერები, ფოტოსურათები.

ხელმოწერა: პროფესორ ფ. ფ. პრეობრაჟენსკის ასისტენტი
ექიმი ბორმენტალი.

## VI

ზამთრის საღამო იყო. იანვრის მიწურული. სადილობამდე მომსვლელთა მიღებას ბევრი დრო არ უკლდა. მისაღები ოთახის კართან, წირთხლზე, ქაღალდის თეთრი ფურცელი ეკიდა, რაზედაც ფილიპ ფილიპოვიჩის ხელით ეწერა:

„ბინაში მზესუმზირის ჭამას ვკრძალავ“.

ფ. პრეობრაჟენსკი.

ლურჯი ფანქრით გამოყვანილი მსხვილი ასოები კი ბორმენტალის ნაწერი იყო:

---

[1] ტექსტში სხვადასხვაობაა: იხ. გვ. 220.

„მუსიკალური ინსტრუმენტების დაკვრა საღამოს 5 საათიდან დილის 7 საათამდე აკრძალულია".

შემდეგ ზინას წაეწერა:

„როცა დაბრუნდებით, ფილიპ ფილიპოვიჩს უთხარით, რომ მე არ ვიცი, იგი სად წავიდა. ფიოდორმა თქვა, შვონდერთან ერთად წავიდაო".

პრეობრაჟენსკის დაეწერა.

„მინების ჩამსმელს ასი წელი უნდა ველოდო?"

დარია პეტროვნას ბეჭდური ასოებით გამოეყვანა:

„ზინა მაღაზიაში წავიდა, თქვა, მოვიყვანო".

აბრეშუმის აბაჟურჩამოფარებული ლამპის წყალობით სასადილო ოთახში უკვე საღამო დასადგურებულიყო. ბუფეტიდან შუაზე გადატეხილი შუქი მოილტვოდა, — სარკის მინები გარდიგარდმო ჯვარედინად აეწებათ. ფილიპ ფილიპოვიჩი მაგიდისკენ დახრილიყო და გაზეთის უზარმაზარ გადაშლილ ფურცელში თავი ჩაერგო. სახეზე რისხვის ცეცხლი უელავდა, კრიჭაშეკრული ნაწყვეტ-ნაწყვეტ- მოკვეცილ სიტყვებსისროდა. იგი ცნობას კითხულობდა:

„არავითარი ეჭვი არ არის, რომ იგი მისი უკანონო (როგორც გახრწნილ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ამბობდნენ) შვილია. აი, როგორ ერთობა ჩვენი ფსევდომეცნიერული ბურჟუაზია! ყოველ მათგანს შვიდი ოთახი შეუძლია იქონიოს მანამდე, სანამ მართლმსაჯულების ელვარე მახვილი მათ თავზე წითლად არ იელვებს.

ორი კედლის იქით ბალალაიკაზე დაყინებითა და დარდიმანდული სიმარჯვით უკრავდნენ ჩახლართულ ვარიაციებს სიმღერისა—„მთვარე ანათებს", ეს ხმები და ცნობის სიტყვები ფილიპ ფილიპოვიჩს საძულველი დომხალივით ერეოდა თავში. მან ცნობა ჩაიკითხა, — ფუიი, — თქვა და ანგარიშმიუცემლად ალილინდა:

— მთვარე ანა-თებს... მთვარე ანა-თებს... მთვარე ანა-თებს... ფუი, რას ამეკვიატა ეს წყეული მელოდია!

ფილიპ ფილიპოვიჩმა ზარი დარეკა. ზინამ ფარდის კალთებს შუა თავი შემოყო.

— უთხარი, 5 საათია და მორჩი-თქო. თანაც, გეთაყვა, აქ მოუხმე.

ფილიპ ფილიპოვიჩი მაგიდასთან სავარძელში იჯდა. მარცხენა ხელის თითებში სიგარის ყავისფერი ნამწვი უჩანდა. ფარდასთან, კარის წირთხლზე მიყრდნობილი და ფეხებგადახლართული იდგა ტანმორჩილი, უსიმპათიო გარეგნობის კაცი. ხეშეში თმა ბუჩქ-ბუჩქად ისე ადგა თავზე, ამოძირკვული მინდორი გაგახსენდებოდათ. სახეს გაუპარსავი ღინღლი უფარავდა. შუბლი საოცრად დაბალი ჰქონდა. აჯაგრული ხშირი თმა ლამის აქეთ-იქით გაფანტული შავი წარბებიდანვე ეწყებოდა.

მარცხენა იღლიასთან გარღვეულ პიჯაკზე ნამჯის ღერები მიეკვროდა, ზოლიანი შარვალი მარჯვენა მუხლთან გაფხრეწოდა, ხოლო მარცხენა მუხლთან იისფერი საღებავით დასვროდა. ქახჭახა ცისფერ ჰალსტუხზე ყალბი ლალის ქინძისთავი ებნია. ამ ჰალსტუხს ისეთი მყვირალა ფერი ჰქონდა, როცა ფილიპ ფილიპოვიჩი დაღლილ თვალებს დროდადრო მოხუჭავდა, სიბნელეშიაც კი ხან ჭერზე, ხან კედელზე ცისფერშარავანდიან ბრიალა მაშხალას ხედავდა. როცა გაახელდა, კვლავ ბრმავდებოდა, რადგან თვალებს ჭრიდა მარაოსებრი შუქის მფრქვეველი ლაქის შტიბლეტები და თეთრი გეტრები.

„თითქოს კალოშები აცვია", —უსიამოვნოდ გაიფიქრა ფილიპ ფილიპო-

ვიჩმა, ამოიოხრა, მერე ჩამქრალი სიგარის ანთებას ხვნეშით შეუდგა. კართან მდგარი კაცი პროფესორს თვალებამღვრეული უცქეროდა, პაპიროსს ეწეოდა და პერანგის გულისპირს იფერფლავდა.

კედლის საათმა ხუთჯერ დარეკა. საათის შიგნით რეკვის ხმა ჯერაც არ მიმწყდარიყო, როცა ფილიპ ფილიპოვიჩი საუბარს შეუდგა.

— მე მგონი, ორჯერ უკვე გთხოვე, სამზარეულოში ტახტზე, მით უმეტეს დღისით, არ დაიძინო-მეთქი?

კაცმა ხრინწიანად ჩაახველა, თითქოს ყელში ძვალი გასჩხერიაო. და მერე უპასუხა:

— სამზარეულოში უფრო სასიამოვნო ჰაერია.

ხმა უჩვეულო ჰქონდა, ყრუ და თანაც გუგუნა, თითქოს პატარა კასრიდან ამოდისო.

ფილიპ ფილიპოვიჩმა თავი გადააქნია და ჰკითხა:

— ეს სისაძაგლე საიდანა გაქვს? ჰალსტუხზე გეკითხები.

კაცმა ფილიპ ფილიპოვიჩის თითს მზერა გააყოლა, წინ წამოზიდული ტუჩებისკენ თვალები დაბრიცა და ჰალსტუხს სიყვარულით დახედა.

—სისაძაგლე რატომაა? — თქვა მან. — ჩინებული ჰალსტუხია. დარია პეტროვნამ მაჩუქა.

— დარია პეტროვნამ სისაძაგლე გაჩუქათ, ისეთივე სისაძაგლე, როგორიც ეგ ფეხსაცმელია. ეგ რა პრიალა ჯღანებია? საიდანა გაქვს? რა ვთქვი? წესიერი ფეხსაცმელი იყიდეთ-მეთქი. აბა, ეს რა არის? ნუთუ ექიმმა ბორმენტალმა ეს ამოარჩია?

— მე ვუთხარი, რომ ლაქის ფეხსაცმელი ეყიდა. რაო, მე სხვაზე ნაკლები ვარ? კუზნეცკზე გადით, ყველას ლაქის ფეხსაცმელი აცვია.

ფილიპ ფილიპოვიჩმა თავი გადააქნია და მძიმედ, დინჯად თქვა:

— ტახტზე ძილს უნდა მოეშვათ. გასაგებია? ეს რა თავხედობაა! თქვენ ხომ ხელს უშლით. იქ ქალები არიან.

კაცს სახე მოექუშა, ლაშები ჩამოეჩაჩა.

— თორემ ეგენიც ქალბატონები მყავანან. ჩვეულებრივი მოახლეები არიან, ისე კი იპრანჭებიან, თითქოს კომისრის ცოლები იყვნენ. ეს სულ ზინკას ენატანიობის ბრალია.

ფილიპ ფილიპოვიჩმა მკაცრად შეხედა:

— არ გაბედო, რომ ზინას ზინკა დაუძახო! გასაგებია?

დუმილი.

— გასაგებია თუ არა, გეკითხები?

— გასაგებია.

— ეგ საშინელება ახლავე მოიძრე. თქვენ... შენ... სარკეში თქვენ თავს შეხედეთ, რას გავხართ. ბალაგანია ნამდვილი. ნამწვები იატაკზე არ დაყაროთ — მეასედ გთხოვთ. შინ ერთი უწმაწური სიტყვაც აღარ გავიგონო! არ გადააფურთხოთ! აი, საფურთხებელი. პისუარი ფაქიზად იხმარეთ. ზინასთან ყოველგვარი ლაპარაკი შეწყვიტეთ. გიჩივით, რომ სიბნელეში უსაფრთდებით. ჰკუით იყავით, იცოდეთ! პაციენტს ვინ უპასუხა, ამ ჩემ ფეხებსო!? რაო, თავი მართლა დუქანში ხომ არ გგონიათ?

— მამილო, რაღაც ძალიან მჩაგრავთ, რომ იცოდეთ, — უეცარდ ტირილნარევი ხმით თქვა კაცმა.

ფილიპ ფილიპოვიჩი გაწითლდა, სათვალე აუელვარდა.

— თქვენი მამილო ვინ არის? ეს რა ფამილიარობაა? ეს სიტყვა მეტად აღარ გავიგონო! სახელითა და მამის სახელით მომმართეთ!

კაცს სახე თავხედურად წამოენთო.

— რა ყველანი ამას მიმეორებთ... არ გადააფურთხო, არ მოსწიო. იქით არ წახვიდე... რა ამბავია ბოლოს და ბოლოს? თითქოს ტრამვაიში ვიყო. რა გამიმწარეთ სიცოცხლე?! „მამილოს" რაც შეეხება, ტყუილად მიწყრებით, განა გთხოვეთ, ოპერაცია გამიკეთეთ-მეთქი? — კაცი აღშფოთებით იღრინებოდა. — კარგია, ხომ იცი! ცხოველს ხელი სტაცეს, დანით თავი დაუსერეს, ახლა კი ყველაფერი ეთაკილებათ. მე იქნებ ოპერაციის ნებას არ გრთავდით. ასევე (კაცმა თვალები ჭერისკენ ისე მიმართა, თითქოს რაღაც ფორმულის გახსენება სწადიაო), ასევე არც ჩემს ნათესავებს მოუტანიათ ნებართვა. მე იქნებ უფლება მაქვს, გიჩივლოთ.

ფილიპ ფილიპოვიჩს თვალები მთლად დაუმრგვალდა, სიგარა ხელიდან გაუვარდა. „რა ტიპია", — გაუელვა თავში.

— თქვენ უკმაყოფილო ბრძანდებით, ადამიანად რომ გაქციეთ? — ჰკითხა მან კაცს და თვალები მოწკურა. — იქნებ გირჩევნიათ, რომ ისევ ნარცხის ორმოებს ქექავდეთ? ქუჩაში ითოშებოდეთ? ეს რომ მცოდნოდა...

— ყველანი რა სულ ამას დამძახით, ნარცხის ორმო, ნარცხის ორმოო. მე ლუკმა პურს ვშოულობდი. ოპერაციის დროს რომ შემოგკვდომოდით? ამაზე რას მოგვახსენებთ, ამხანაგო?

— ფილიპ ფილიპოვიჩი-მეთქი! — ბრაზით შესძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — მე თქვენი ამხანაგი არა ვარ! ეს საშინელებაა! — „კოშმარია, კოშმარი", — გაუელვა ფიქრმა.

— მაშ რა, რაღა თქმა უნდა... — ირონიულად წამოიწყო კაცმა და ფეხი ძლევამოსილად გადგა განზე, — განა არ გვესმის. ჩვენ რა ამხანაგები ვართ! როგორ შეგედრებით. უნივერსიტეტში არ გვისწავლია, 15 ოთახიან და აბაზანიან ბინებში არ გვიცხოვრია. ოღონდ ახლა დროა, ასეთ რამეებს თავი ვანებოთ, ამჟამად უფლებები ყველასა აქვს...

გაფითრებული ფილიპ ფილიპოვიჩი კაცის მსჯელობას ისმენდა. კაცმა ლაპარაკი შეწყვიტა და საფერფლისკენ დემონსტრაციულად გაემართა, ხელში დაღეჭილი პაპიროსი ეჭირა. ბაჯბაჯით მიდიოდა. ნამწვს ნიჟარაში დიდხანს ჭყლეტდა ისეთი გამომეტყველებით, თითქოს ამბობდა: „აჰა შენ! აჰა შენ!" პაპიროსი რომ ჩააქრო, უეცრად კბილები გააკაპუნა და ცხვირი იღლიაში შეყო.

— რწყილი თითებით დაიჭირეთ! თითებით! — მრისხანედ შეჰყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — ვერ გამიგია, რწყილი საიდან გიჩნდებათ?

— რაო, მე ვამრავლებ, თუ რას მშვრები? — იწყინა კაცმა. — ეტყობა, რწყილებს ვუყვარვარ, — მან თითები პიჯაკის სახელოს სარჩულში მოაფათურა და მსუბუქი მოწითალო ბამბის ნაგლეჯი ჰაერში გააფრინა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა მზერა ჭერზე გამოსახულ ყვავილწნულებს მიაპყრო და თითები მაგიდაზე ააკაკუნა. კაცმა რწყილს ბოლო მოუღო, მერე კარს მოსცილდა და სკამზე ჩამოჯდა. თანაც ხელები პიჯაკის გადანაკეცების გასწვრივ გაიწოდა და მტევნები ძირს ჩამოუშვა. თვალები პარკეტისკენ დაბრიცა. თავის ფეხსაცმელს ათვალიერებდა და ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ფილიპ ფილიპოვიჩმა იქით გაიხედა, სადაც ფეხსაცმლის ბლაგვ ჰვინტებზე მკვეთრი ათინათი ბრწყინავდა, თვალები მოჭუტა და წამოიწყო:

— ჩემთვის რა ამბავი გინდოდათ, კიდევ გეთქვათ?

— დიდი არაფერი! უბრალო რამეა. ფილიპ ფილიპოვიჩ, მე საბუთი მჭირდება.

ფილიპ ფილიპოვიჩი შეტოკდა.

— ჰმ... დალახვროს ეშმაკმა! საბუთი! მართლაც... ჰმ... [illegible] როგორმე შეიძლებოდეს... — ხმაზე მერყეობა და ნაღვლიანობა ეტყობოდა.

— რას ბრძანებთ, — თავდაჯერებულად თქვა კაცმა, — უსაბუთოდ ყოფნა როგორ იქნება? ამაზე უკაცრავად გახლავართ. თავადაც მოგეხსენებათ, უსაბუთოდ არსებობა ადამიანს სასტიკად აკრძალული აქვს. ჯერ ერთი, საბინაო კომიტეტის თავმჯდომარე...

— საბინაო კომიტეტის თავმჯდომარე რა შუაშია?

— როგორ თუ, რა შუშია? როგორც კი შემხვდება, ამას მეკითხება, დიდად პატივცემულო, როდის ჩაეწერებიო?

— ოჰ, ღმერთო ჩემო, — მჭმუნვარედ წამოიძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა.— შეგხვდება, გეკითხება... წარმომიდგენია, რას ეუბნებით. მე ხომ კიბეებზე წანწალი აგიკრძალეთ.

— კატორღელი ხომ არა ვარ? — გაიკვირვა კაცმა და საკუთარი სიმართლის რწმენა ლალის ქინძისთავიდანაც კი გამოუკრთა. — „წანწალი" რას ჰქვია?! საკმაოდ საწყენ სიტყვას მეუბნებით. მეც ისევე დავდივარ, როგორც ყველა ადამიანი დადის.

ეს თქვა და ლაქის ფეხსაცმელები იატაკს გაუსვ-გამოუსვა.

ფილიპ ფილიპოვიჩი გაჩუმდა, თვალები განზე გაექცა. „თავი უნდა შევიკავო", — გაიფიქრა, ბუფეტთან მივიდა და ჭიქა წყალი ერთბაშად გადაჰკრა.

— დიდებულია, — ახლა უფრო მშვიდად თქვა მან, — საქმე ის არ არის, რა სიტყვას გეტყვით. აბა, რას გეუბნებათ ეგ თქვენი მშვენიერი საბინაო კომიტეტის თავმჯდომარე?

— რა უნდა მითხრას... ტყუილად ლანძღავთ და მშვენიერს უწოდებთ. ის ინტერესებს იცავს.

— ხომ ვერ მოგვახსენებთ, ვის ინტერესებს იცავს?

— ცხადია, ვის ინტერესებსაც — მშრომელი ელემენტისას.

ფილიპ ფილიპოვიჩმა თვალები დაჭყიტა.

— თქვენ სადაური მშრომელი ხართ?

— ცხადია, რომ ნეპმანი არა ვარ.

— ჰო, კარგი. აბა, მაშ რა სჭირდება თქვენი რევოლუციური ინტერესების დასაცავად?

— ცხადია, რაც სჭირდება — ჩემი ჩაწერა. ამბობს, კაცი მოსკოვში ჩაუწერავი რომ ცხოვრობდეს, ასეთი რამ სად გაგონილაო. ეს — ერთი. უმთავრესი კი საალრიცხვო ბარათია. მე არ მსურს, დეზერტირი ვიყო. ახლა კიდევ — კავშირი, ბირჟა...[1]

— ნება მიბოძეთ, შევიტყო, რით უნდა ჩაგწეროთ? — ამ სუფრით, თუ ჩემი პასპორტით? რაც არ უნდა იყოს, გარემოებას ანგარიში მაინც ხომ უნდა გავუწიოთ! ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ. ე... ჰმ... თქვენ ხომ, ასე ვთქვათ, მოულოდნელად მოვლენილი არსება ხართ, ლაბორატორიული. — ფილიპ ფილიპოვიჩი სულ უფრო ნაკლებ დამაჯერებლად ლაპარაკობდა.

[1] კავშირი, ბირჟა — იგულისხმება პროფკავშირი და შრომის ბირჟა, სადაც უმუშევართა რეგისტრირაცია ხდებოდა.

კაცი ძლევამოსილად დუმდა.

— მაშ კარგი. ბოლოს და ბოლოს რა არის საჭირო, რომ ჩაგწეროთ და, საერთოდ, ყველაფერი თქვენი საბინაო კომიტეტის თავმჯდომარის გეგმის მიხედვით მოვაგვაროთ? თქვენ ხომ არც სახელი გაქვთ, არც გვარი...

— ამას სამართლიანად არ ამბობთ. სახელი არხეინად შემიძლია ამოვირჩიო. გაზეთში დაიბეჭდება. მორჩა და გათავდა.

— რა გინდათ; რომ დაირქვათ?

კაცმა ჰალსტუხი გაისწორა და უპასუხა:

— პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩი.

— ნუ სულელობთ, — პირქუშად უთხრა ფილიპ ფილიპოვიჩმა. —მე სერიოზულად გელაპარაკებით.

კაცს გესლიანმა, დამცინავმა ღიმილმა ულვაში განზე მოუქცია.

— რაღაც ვერ გამიგია. — თქვა მან მხიარულად და საზრიანად. — მე დედის გინების ნება არა მაქვს. გადაფურთხების ნება არა მაქვს. თქვენგან კი მხოლოდ ეს მესმის —სულელო, სულელოო. როგორც ჩანს, რესეფესერეში გინების უფლება მხოლოდ პროფესორებს ჰქონიათ.

ფილიპ ფილიპოვიჩს სახეზე სისხლი მოაწვა. იგი წყალს ისხამდა და ჭიქა გაუტყდა. წყალი მეორე ჭიქაში დაისხა, დალია და გაიფიქრა: „ცოტა ხანიც და უკვე ჭკუის დარიგებას დამიწყებს და მართალიც იქნება. თავის დაჭერას ველარ ვახერხებ".

იგი სკამზე შეტრიალდა, ტანი მომეტებული ზრდილობით დადრიკა და მტკიცედ წარმოთქვა:

— უკაცრავად. ნერვები მოშლილი მაქვს. თქვენი სახელი უცნაური მეჩვენა. საინტერესოა, ასეთი რამ საიდან ამოქექეთ?

— საბინაო კომიტეტის თავმჯდომარემ მირჩია. კალენდარში მაძებნინა, ამოირჩიე, რა გინდაო, ჰოდა, მეც ამოვირჩიე.

— არც ერთ კალენდარში ასეთი რამ არ შეიძლება იყოს.

— მართლაც რომ საკვირველია, — ჩაიცინა კაცმა, — ის ხომ გასასინჯ ოთახში გკიდიათ.

ფილიპ ფილიპოვიჩი არც წამომდგარა, შპალერზე მიმაგრებულ ზარს ისე მისწვდა. ზარის ხმაზე ზინა შემოვიდა.

— გასასინჯი ოთახიდან კალენდარი შემომიტანე.

ცოტა ხნის მერე ზინამ კალენდარი შემოიტანა და ფილიპ ფილიპოვიჩმა კაცს ჰკითხა:

— აბა, სად არის?

— 4 მარტს ზეიმობენ.

— მაჩვენეთ... ჰმ... დალახვროს ეშმაკმა... ზინა, ახლავე ღუმელში შეუძახე.

შეშინებულმა ზინამ თვალები დაჭყიტა, ხოლო კაცმა თავი საყვედურით გააქნია.

— გვარს ხომ არ მომახსენებდით?

— თანახმა ვარ. გვარი მემკვიდრეობითი მივიღო.

— რაო? მემკვიდრეობითი? სახელდობრ?

— შარიკოვი.

კაბინეტში, მაგიდის წინ, ტყავის ქურთუკში გამოწყობილი საბინაო კომიტეტის თავმჯდომარე შვონდერი იდგა, ექიმი ბორმენტალი სავარძელში იჯდა. თანაც ექიმს ყინვისგან აწითლებულ სახეზე (ის-ის იყო, დაბრუნდა) დაბნეულობა ეხატებოდა, ისევე, როგორც მის გვერდით მჯდარ ფილიპ ფილიპოვიჩს.

— რა დავწერო? — მოუთმენლად ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა შვონდერს.

— ასე, — წამოიწყო შვონდერმა, — ეს არც ისე ძნელია. [illegible] დაწერეთ, მოქალაქე პროფესორო. ასე და ასე, ამის წარმომდგენი ნამდვილად ჩემს ბინაში... ჰმ... ჩასახული პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩ შარიკოვი არის-თქო.

გაოცებული ბორმენტალი სავარძელში შეირხა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ულვაში შეატოკა.

— ჰმ... დალახვროს ეშმაკმა! ამაზე მეტი სისულელის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ის კი არ ჩასახულა, არამედ უბრალოდ... ჰო, ერთი სიტყვით...

— ეგ თქვენი საქმეა, — ღვარძლიანად თქვა კმაყოფილმა შვონდერმა, — ჩაისახა თუ არა... საერთოდ, ცდა ხომ თქვენ ჩაატარეთ, პროფესორო! ჰოდა, მოქალაქე შარიკოვი თქვენ შექმენით.

— თანაც სულ იოლად, — ჩაილრინა წიგნების კარადასთან მდგარმა შარიკოვმა, ჰალსტუხს სარკეში რომ ათვალიერებდა.

— ძალიან გთხოვთ, — მკვახედ უთხრა მას ფილიპ ფილიპოვიჩმა, — ლაპარაკში ნუ ერევით. ტყუილად ამბობთ, სულ იოლადო, ეს იოლი სულაც არ არის.

— როგორ არ ჩავერიო, — ჩაიდუდუნა განაწყენებულმა შარიკოვმა.

შვონდერმა დაუყოვნებლივ მხარი აუბა:

— უკაცრავად, პროფესორო, მოქალაქე შარიკოვი სავსებით მართალია. მას უფლება აქვს, საკუთარ ბედ-იღბალზე ლაპარაკში ჩაერიოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საბუთებს ეხება. საბუთი ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა.

ამ დროს გამაყრუებელმა წკრიალმა იქ მყოფთ საუბარი შეაწყვეტინა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ყურმილში ჩასძახა: — გისმენთ, — გაწითლდა და შეჰყვირა:

— გთხოვთ, სისულეების გამო ნუ გამაცდენთ. თქვენ რა გესაქმებათ? — და ყურმილი ორკაპს მთელი ძალით ჩამოაცვა.

შვონდერს სიხარულმა სახე გაუცისკროვნა.

სახეწამოჭარხლებულმა ფილიპ ფილიპოვმა შესძახა:

— ერთი სიტყვით, ამ ამბავს მოვრჩეთ.

მან ბლოკნოტიდან ფურცელი ამოხია, რამდენიმე სიტყვა ჩაჯღაბნა და მერე გაღიზიანებულმა ხმამაღლა წაიკითხა:

— „ვადასტურებ"... ეშმაკმა უწყის, ეს რა არის... ჰმ..." „რომ ამის წარმომდგენს, თავის ტვინზე ოპერაციის მეშვეობით ჩატარებული ლაბორატორიული ცდის შედეგად წარმოქმნილ ადამიანს საბუთები ესაჭიროება"... დალახვროს ეშმაკმა! მე საერთოდ ვეწინააღმდეგები ამ იდიოტური საბუთების მიღებას. ხელმოწერა — „პროფესორი პრეობრაჟენსკი".

— საკმაოდ უცნაურია, პროფესორო, — იწყინა შვონდერმა. — საბუთებს იდიოტურს რანაირად უწოდებთ? მე უსაბუთო, თანაც მილიციაში სამხედრო აღრიცხვაზე აუყვანელ მცხოვრებს სახლში ვერ გავაჩერებ. უეცრად ომი რომ დაიწყოს იმპერიალისტ მტაცებლებთან?

— მე საომრად არსადაც არ წავალ! — უცებ პირქუშად მიაწკმუვლა კარადას შარიკოვმა.

შვონდერი გაოგნდა, მაგრამ მალევე გონს მოეგო და შარიკოვს ზრდილობიანად მიმართა:

— მოქალაქე შარიკოვო, ძალზე შეუგნებლად ლაპარაკობთ. სამხედრო აღრიცხვაზე დადგომა აუცილებელია.

— აღრიცხვაზე დავდგები, მაგრამ ომში წასვლა ვერ მოგართვით, — მტრულად უპასუხა შარიკოვმა.

შეცბუნების რიგი ახლა შვონდერს დაუდგა. პრეობრაჟენსკიმ ბორმენტალს თან ჯავრიანად და თან გულისწყრომით გადახედა: ესეც თქვენი მორალიო.. ბორმენტალმა თავი მრავალმნიშვნელოვნად დაუკრა.

— მე ოპერაციისას მძიმედ ვარ დაჭრილი, — პირქუშად დაიყმუვლა შარიკოვმა, — აი, ნახეთ, რა დღეში ჩამაგდეს, — მან თავზე მიუთითა. ოპერაციის შემდეგ დარჩენილი ძალზე ახალი ნაიარევი შუბლს გარდიგარდმო გასდევდა.

— თქვენ ანარქისტ-ინდივიდუალისტი ხართ? — ჰკითხა შარიკოვს შვონდერმა და წარბები მაღლა აზიდა.

— მე თეთრი ბილეთი მეკუთვნის, — უთხრა შარიკოვმა ამის პასუხად.

— ჰო, კარგი, ამას ჯერ თავი გავანებოთ, — უპასუხა გაოცებულმა შვონდერმა, — ახლა პროფესორის მოწმობა მილიციაში უნდა გავგზავნოთ და საბუთს მოგცემენ.

— იცით რა... — უცებ შეაწყვეტინა შვონდერს ფილიპ ფილიპოვიჩმა, ეტყობოდა, რაღაც ფიქრი არ ასვენებდა, — ამ სახლში თავისუფალი ოთახი ხომ არა გაქვთ? მე თანახმა ვარ, რომ ვიყიდო.

შვონდერს წაბლისფერ თვალებში ყვითელი ნაპერწკლები აუკიაფდა.

— არა, პროფესორო, დიდად ვწუხვარ, იმედიც არ უნდა ვიქონიოთ, რომ გამოჩნდება.

ფილიპ ფილიპოვიჩმა ტუჩები მოკუმა და აღარაფერი თქვა: ტელეფონი ისევ ხმამაღლა აწრიალდა. ფილიპ ფილიპოვიჩს არც უკითხავს, ვინ რეკავსო, ყურმილი ორკაპიდან ხმაამოუღებლად ჩამოაგდო. ყურმილმა ცოტა ხანს იტრიალა და ცისფერ შნურს ჩამოეკონწიალა. ყველანი შეკრთნენ. „მოხუცს ნერვები აეშალა", — გაიფიქრა ბორმენტალმა, ხოლო თვალებმოელვარე შვონდერმა გამოსამშვიდობებლად თავი დახარა და გავიდა.

შარიკოვი ჩექმების რანტის ჭრაჭუნით უკან გაედევნა.

პროფესორი და ბორმენტალი მარტონი დარჩნენ. ფილიპ ფილიპოვიჩი ცოტა ხანს დუმდა, მერე თავი ოდნავ გააქნ-გამოაქნია და წარმოთქვა:

— კოშმარია ნამდვილად. ხედავთ? გეფიცებით, ძვირფასო ექიმო, ამ ორ კვირაში უფრო მეტად გავიტანჯე, ვიდრე ბოლო 14 წელიწადში! ეს რა ტიპია, ღმერთო ჩემო.

შორს ყრუდ გაისმა მინის ჭახანი, რასაც ქალის შეკივლება მოჰყვა და და მყისვე მიწყდა. დერეფნის შპალერზე უწმინდური ჩრდილი გაკრთა გასასინჯი ოთახის მიმართულებით. მერე იქ რაღაც გამოექანა. კარი მიჯახუნდა, სამზარეულოში დარია პეტროვნამ ხმადაბლა შეჰკივლა. მერე შარიკოვი აყმუვლდა.

—ღმერთო ჩემო, კიდევ რაღაც მოხდა! — შესძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა და კარისკენ გაექანა.

— კატაა, — დაასკვნა ბორმენტალმა და ფილიპ ფილიპოვიჩს მიჰყვა. მათ ღერეფანში ჩაიქროლეს, წინკარში შეცვივდნენ, იქიდან კი საპირფარეშოსა და სააბაზანოსკენ მიმავალ ღერეფანს გაუყვნენ. სამზარეულოდან ზინა [illegible]იჭრა და ფილიპ ფილიპოვიჩს შეეჩეხა.

— რამდენჯერ გიბრძანეთ, კატა აქ არ გააჭაჭანოთ-მეთქი, — [illegible] გაცოფებულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — სად ბრძანდება?! ივან არნოლდოვიჩ, გეთაყვა, მისაღებში პაციენტები დაამშვიდეთ!

— სააბაზანოში, სააბაზანოში ზის წყეული, — შესძახა სულშეგუბებულმა ზინამ.

ფილიპ ფილიპოვიჩი სააბაზანოს კარს მიაწვა, მაგრამ კარი არ დამორჩილდა.

— ახლავე გააღე!

ჩაკეტილი სააბაზანოს კედლებს რაღაცა ხტომა-ხტომით გაუყვა. ტაშტები ჩამოცვივდა. შარიკოვმა კარს შიგნით დაიღმუვლა:

— მოგკლავ...

მილებში წყალი ხმაურით გადმოთქლიშინდა. ფილიპ ფილიპოვიჩი კარს მიაწვა, რათა შეეგლიჯა. სამზარეულოს ზღურბლზე გახვითქული და სახედამანჭული დარია პეტროვნა გამოჩნდა. ზემოთ, ჭერის პირას სააბაზანოდან გამომავალი ფანჯრის მინა ჩატყდა და ორი ნატეხი ძირს ჩამოვარდა. ნატეხებს კვალდაკვალ უზარმაზარი ხატაურა კატა გადმოჰყვა. კისერზე ცისფერი ბაფთი რომ ეკეთა და პოლიციელსა ჰგავდა. იგი პირდაპირ მაგიდაზე მდგარ მოგრძო ლანგარზე დაეპერტყა, შუაზე გააპო, ლანგრიდან იატაკზე ჩახტა, შემდეგ სამ თათზე შემოტრიალდა, მარჯვენა წინა თათი ისე აიქნია, თითქოს ცეკვავსო, უმალ ვიწრო ღრიჭოში გასხლტა და უკანა კიბეზე გავარდა. ღრიჭო გაფართოვდა და კატის ნაცვლად თავშალმოხვეული სახედამჭკნარი დედაბერი თეთრკოპლებიანი ქვედაკაბის ფლასუნით სამზარეულოში შემოვიდა, მოძუწული პირი საჩვენებელი და ცერი თითით მოიწმინდა, იქაურობა შეშუპებული, ნემსებივით წვრილი თვალებით მოათვალიერა და ცნობისმოყვარედ თქვა:

— ოჰ, ღმერთო დიდებულო!

გაფითრებულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა სამზარეულო გადაჭრა და დედაბერს მრისხანედ ჰკითხა:

— რა გინდათ?

— მოლაპარაკე ძაღლის ნახვა მინდოდა, — უპასუხა დედაბერმა პირფერულად და პირჯვარი გადაიწერა.

ფილიპ ფილიპოვიჩი კიდევ უფრო გაფითრდა, დედაბერს ახლოს მიეჭრა და სულშეხუთულმა ჩასჩურჩულა.

— ამწუთას მიბრძანდით სამზარეულოდან!

დედაბერმა კარისკენ დაიხია და განაწყენებულმა ჩაილაპარაკა:

— ძალიან კადნიერად მომმართავთ, ბატონო პროფესორო.

— მიბრძანდით, რომ გეუბნებით! — გაიმეორა ფილიპ ფილიპოვიჩმა და თვალები ბუსავით დაუმრგვალდა, გარეთ გასულ დედაბერს კარი მიუჯახუნა. — დარია პეტროვნა, მე ხომ გთხოვეთ!

— ფილიპ ფილიპოვიჩ, — უპასუხა სასოწარკვეთილმა დარია პეტროვნამ და შიშველი ხელები მომუშტა. — რა ვქნა? ხალხი ათელი დღე ჩვენს კარს აწყდება, საშველი აღარა გვაქვს.

სააბაზანოში წყალი ყრუდ და მოისხანედ მოთქლიშინებდა, მაგრამ ლაპარაკი აღარ მოისმოდა. შემოვიდა ექიმი ბორმენტალი.

— ივან არნოლდოვიჩ, ძალიან გთხოვთ... ჰმ... იქ რამდენი პაციენტია?

— თერთმეტი, — უპასუხა ბორმენტალმა.

— ყველანი შინ გაუშვით, დღეს მიღება აღარ გვექნება.

ფილიპ ფილიპოვიჩმა კარზე მიაკაკუნა და შესძახა:

— ამწუთას გარეთ გამოდით! კარი რატომ ჩაიკეტეთ?

— ღუ-ღუ! — შესაბრალისად გაისმა შარიკოვის ხმა.

— რა ჯანდაბაა! არ მესმის. წყალი ჩაკეტეთ.

— აუ! აუ!..

— წყალი ჩაკეტეთ-მეთქი!.. რა ჩაიდინა ნეტავ იმ წყეულმა... — ყვიროდა გამძაგებული ფილიპ ფილიპოვიჩი.

ზინამ და დარია პეტროვნამ სამზარეულოს კარი გამოაღეს და გარეთ გამოიხედეს. ფილიპ ფილიპოვიჩმა კარზე მუშტი კვლავ ააბრაგუნა.

— ეგერ სად არის! — შეჰყვირა დარია პეტროვნამ სამზარეულოში.

ფილიპ ფილიპოვიჩი იქით გაექანა. გატეხილ ფანჯარაში, ჭერქვეშ, პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩმა ჯერ ცხვირ-პირი გამოაჩინა, შემდეგ თავი სამზარეულოსკენ გადმოყო. პირისახე მოღრეცილი ჰქონდა, თვალები ცრემლიანი, ხოლო მთელ ცხვირზე ახალი განაკაწრი ალისფერ სისხლიან ზოლად ჩასდევდა.

— გაგიჟდი? — ჰკითხა მას ფილიპ ფილიპოვიჩმა. — გარეთ რატომ არ გამოდიხართ?

შარიკოვმა თავადაც დანაღვლიანებულმა და შეშინებულმა მიმოიხედა და ისე უპასუხა:

— კარი ჩამეკეტა.

— საკეტი გახსენით, რაო, საკეტი არასოდეს გინახავთ?

— არ იხსნება ეს წყეული! — უპასუხა შეშინებულმა პოლიგრაფმა.

— ღმერთო ჩემო! ალბათ დამცველი ჩაეკეტა! — შესძახა ზინამ და ხელი ხელს შემოჰკრა.

— იქ პატარა ღილაკია! — ყვიროდა ფილიპ ფილიპოვიჩი, ცდილობდა წყლის ხმა დაეფარა. — დააწექით და ქვემოთ ჩაწიეთ... ქვემოთ-მეთქი! ქვემოთ!

შარიკოვი გაუჩინარდა და ერთი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდა ფანჯარაში.

— იმ სიბნელეში რა ჩემ ფეხებს დაინახავ, — შეშინებულმა დაიღრინა ზემოდან.

— ნათურა აანთეთ, გაცოფდა ნამდვილად!

— ნათურა იმ წყეულმა კატამ გაჩლიჩა, — უპასუხა შარიკოვმა. — იმ არამზადას ფეხებში ვეცი და ონკანი მოვაძრე, ახლა კი ვეღარ მიპოვია.

სამივემ ხელი ხელს შემოჰკრა და ერთ ადგილას გაშეშდნენ.

ხუთი წუთის შემდეგ ბორმენტალი, ზინა და დარია პეტროვნა კარის ძირას გვერდიგვერდ ისხდნენ მილივით დახვეულ სქელ ხალიჩაზე და ეს ხალიჩა კარქვემოთ ღრიჭოსთვის მიეჭირათ, ხოლო შვეიცარ ფიოდორს ხის კიბე კედელზე მიეყუდებინა, ხელში დარია პეტროვნას ანთებული საქორწინო კელაპტარი ეჭირა და სააბაზანოს ფანჯრისკენ მიბობღავდა. მისი ნაცრისფერი, დიდრონი უჯრედებით მოხატული უკანალი ჰაერში გაკრთა და ფანჯარაში გაუჩინარდა.

— დუ... გუ-გუ! — რაღაცას ყვიროდა შარიკოვი წყლის გრიალში.

მერე ფიოდორის ხმა გაისმა:

— ფილიპ ფილიპოვიჩ, კარი მაინც უნდა გავაღოთ, წყალი გარეთ გამოვა და სამზარეულოდან ამოვხაპოთ.

— გააღეთ! — მკაცრად გასძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

სამეული ხალიჩიდან წამოდგა. სააბაზანოს კარს შიგნიდან მოაწვნენ, წყალი უმალვე დერეფანში გამოიჭრა და სამ ნაკადად გაიყო. ერთი ნაკადი აბაზანოს მოპირდაპირე საპირფარეშოში შევარდა, მეორე მარჯვნივ, სამზარეულოში შესხლტა და მესამე მარცხნივ, წინკარისკენ გაექანა. ზინამ ხტომა-ტყაპუნით წინკარამდე მიირბინა და კარი მიაჯახუნა. თავით ფეხებამდე გალუმპულმა ფიოდორმა კოჭამდე წყალი რატომღაც ღიმილით გამოტოპა.

— ძლივს დავუცე. მაღალი წნევაა, — განმარტა მან.

— ის სადაა? — ჰკითხა ფიოდორს ფილიპ ფილიპოვიჩმა და ცალი ფეხი წყევლით ასწია.

— გარეთ გამოსვლისა ეშინია, — თქვა ფიოდორმა და სულელურად ჩაიცინა.

— უნდა მცემოთ, მამილო? — გაისმა სააბაზანოდან შარიკოვის ნამტირალევი ხმა.

— რეგვენო! — მოკლედ უპასუხა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

ზინა და დარია პეტროვნა, მუხლებამდე კაბააკვალთულები და ფეხშიშველები, შარიკოვი და შვეიცარი, ასევე ფეხშიშველნი და შარვლის ტოტებაკაპიწებულნი, სამზარეულოს იატაკს სველი ჩვრებით წმენდნენ, ჩვრებს ჭუჭყიან ვედროებში წურავდნენ და წყალს ნიჟარაში ასხამდნენ. მიტოვებული ქურა გუგუნებდა. წყალი კარიდან კიბეზე მითქრიალებდა, კიბის ჭრილში ილვრებოდა და სარდაფში ჩადიოდა.

ბორმენტალი წინკარში პარკეტზე დამდგარ ღრმა გუბეში ფეხის წვერებზე წამოწეულიყო და ოდნავ გამოღებული, ჯაჭვით ჩამაგრებული კარიდან მოლაპარაკებას აწარმოებდა.

— დღეს მიღება არ იქნება. პროფესორი შეუძლოდაა. თუ შეიძლება, კარს მოსცილდით, მილი გაგვისკდა...

— მიღება როდის იქნება? — დაჟინებით მოითხოვდა პასუხს ვიღაცა კარს იქიდან, — მე მხოლოდ ერთი წუთი მჭირდება...

— არ შემიძლია, — ბორმენტალმა ფეხის წვერებს ქუსლები შეუნაცვლა.. — პროფესორი წევს, თან მილიც გახეთქილია, ხვალ მობრძანდით. ზინა! ჩემო კარგო! აქედან აწმინდეთ, თორემ სადარბაზოს კიბეზე გადაილვრება.

— ჩვრებით ველარ აგვიწმენდია.

— ახლავე ტოლჩებით ამოვხაპავთ, — გამოსძახა ფიოდორმა, — ახლავე.

ზარის ხმა მალიმალ გაისმოდა, ბორმენტალს უკვე მთელი ტერფები წყალში ედგა.

— ოპერაცია როდის იქნება? — არ ეშვებოდა ვიღაცა და ცდილობდა თავი ღრიჭოში შემოეყო.

— მილი გასკდა...

— კალოშებით შემოვალ...

კარს იქით მოლურჯო სილუეტები მოჩანდა.

— არ შეიძლება, ხვალ მობრძანდით.

— მე ჩაწერილი ვარ.

— ხვალ. წყალსადენის კატასტროფაა.

ფიოდორი ექიმის ფეხებთან ტბაში ცმუკავდა. წყალს ტოლჩით ხაპავდა,

ხოლო სახედაკაწრულმა შარიკოვმა ახალი ხერხი მოიგონა, უზარმაზარი ჩვარი მილივით დაახვია, გუბეში მუცელზე გაწვა და წყალს წინკარიდან უკანვე, სამზარეულოსკენ გადენა დაუწყო.

— რას სჩადი, შე ოხერო, მთელი ბინა წყლით უნდა გაავსო? — ბრაზობდა დარია პეტროვნა. — ნიჟარაში ჩაასხი.

— რა დროს ნიჟარაა, — უპასუხა შარიკოვმა, თან მღვრიე წყალს ხელებით იჭერდა, — სადარბაზოში გაგვექცევა.

დერეფნიდან სკამი ღრაჭუნით გამოსრიალდა, ზედ ფილიპ ფილიპოვიჩი იდგა; ცდილობდა თავი შეემაგრებინა, ზოლიანი ლურჯი წინდები ეცვა.

— ივან არნოლდოვიჩ, პასუხის გაცემას თავი გაანებეთ, საწოლ ოთახში წამოდით, ფეხსაცმელს მოგცემთ.

— არა მიშავს, ფილიპ ფილიპოვიჩ, ეს არაფერია.

— კალოშები ჩაიცვით.

— არაფერია, სულ ერთია, ფეხები უკვე სველი მაქვს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — შეწუხდა ფილიპ ფილიპოვიჩი.

— რა მავნე ცხოველია! — უცებ გამოეპასუხა შარიკოვი. იგი სამზარეულოდან დაყუნცული გამოთოხარიკდა. ხელში საწვნე ეჭირა.

ბორმენტალმა კარი მიხურა, თავი ველარ შეიკავა და გაიცინა. ფილიპ ფილიპოვიჩს ნესტოები დაებერა, სათვალე აუელვარდა.

— ეგ ვისზე თქვით? — ჰკითხა შარიკოვს ზემოდან. — ნება მიბოძეთ, შევიტყო.

— კატაზე ვამბობ, იმ არამზადაზე, — უპასუხა შარიკოვმა, თან თვალები გააცეცა.

— იცით რა, შარიკოვო, — უთხრა ფილიპ ფილიპოვიჩმა, როცა სული მოითქვა, — თქვენზე უფრო თავხედი არსება ნამდვილად არ მინახავს.

ბორმენტალმა ჩაიხითხითა.

— თქვენ ძალიან თავხედი ხართ, — განაგრძობდა ფილიპ ფილიპოვიჩი. — ამის თქმას როგორ ბედავთ? ყველაფერი თქვენ ჩაიდინეთ და მაინც თავს ნებას აძლევთ... ოჰ, არა! ეშმაკმა უწყის, ეს რა უბედურებაა!

— შარიკოვო, მითხარით, გეთაყვა, — წამოიწყო ბორმენტალმა, — კატებს კიდევ რამდენ ხანს უნდა სდიოთ? გრცხვენოდეთ! ეს ხომ უმსგავსობაა! ველურო!

— ველური რატომა ვარ? — მოიღუშა შარიკოვი. — ველური სულაც არა ვარ. ბინაში მისი ატანა შეუძლებელია. სულ იმას ცდილობს, რამე აწაპნოს. დარიას ფარში მოსტაცა. მინდოდა ჭკუა მესწავლებინა.

— ჭკუის სწავლება თქვენ თვითონ გჭირდებათ! — უპასუხა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — აბა, სარკეში ჩაიხედეთ, ნახეთ, სახე რას გიგავთ.

— კინაღამ თვალი გამომთხარა, — პირქუშად მიუგო შარიკოვმა და ჭუჭყიანი, სველი ხელი თვალზე მოისვა.

როცა წყლისგან ჩაშავებული პარკეტი ცოტათი შეშრა და ყველა სარკე აბანოს ბურით დაიბინდა, ზარის რეკვაც შეწყდა. ფილიპ ფილიპოვიჩს ტარსიკონის წითელი ფეხსაცმელი ეცვა. წინკარში იდგა.

— აი, ეს თქვენ, ფიოდორ.

— უმორჩილესად გმადლობთ.

— ტანსაცმელი ახლავე გამოიცვალეთ, ამას გარდა, დარია პეტროვნასთან შედით და არაყი დალიეთ.

— უმორჩილესად გმადლობთ. — ფიოდორი შეყოყმანდა და მერე თქვა: — კიდევ იცით რა, ფილიპ ფილიპოვიჩ, მომიტევეთ... მეხათრება, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მე-7 ბინაში მინა... მოქალაქე შარიკოვმა ქვები დაუშინა...

— კატას დაუშინა? — ჰკითხა შუბლმოღრუბლულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— საქმე ის არის, რომ ბინის პატრონს დაუშინა. ის ახლა იმუქრება, სასამართლოში ვიჩივლებო.

— დალახვროს ეშმაკმა!

— შარიკოვი იმათ მზარეულ ქალს მოეხვია. ბინის პატრონმა გარეთ გამოაგდო. ჰოდა, წაიჩხუბნენ.

— თუ ღმერთი გწამთ, ასეთი რამ მაშინვე შემატყობინეთ ხოლმე. რამდენია საჭირო?

— მანეთ-ნახევარი.

ფილიპ ფილიპოვიჩმა ჯიბიდან სამი ბრჭყვიალა ათშაურიანი ამოიღო და ფიოდორს გაუწოდა.

— იმისთანა არამზადის გამო მანეთ-ნახევრის გადახდა განა ღირს? — კართან გაისმა ყრუ ხმა, — ის თვითონ...

ფილიპ ფილიპოვიჩი შეტრიალდა, ტუჩი მოიკვნიტა, შარიკოვს ხმაამოუღებლად მიაწვა, მისაღებ ოთახში შეაგდო და კარი გასაღებით გადაკეტა. შარიკოვმა კარს შიგნიდან მუშტები დაუშინა.

— არ გაბედო! — შეჰყვირა გაწამებულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— ეს კი ნაღდად ასეა, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ფიოდორმა, — ასეთი თავხედი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.

ბორმენტალი მაშინვე იქ გაჩნდა.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, გთხოვთ, ნუ ღელდებით.

ენერგიულმა ესკულაპმა მისაღები ოთახის კარი გააღო და მისი ხმა იქიდან მოისმა:

— თქვენ რა? სამიკიტნოში ხომ არა ხართ?

— ეგრე... — მტკიცედ დაუმატა ფიოდორმა, — ეგრე მოგიხდება... ერთი ყურის ძირშიც...

— ეგ როგორ იქნება, ფიოდორ, — ნაღვლიანად ჩაიბუტბუტა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— მომიტევეთ, ფილიპ ფილიპოვიჩ, თქვენ მებრალებით.

VII

— არა, არა, — დაჟინებით ამბობდა ბორმენტალი, — კეთილინებეთ და გაიკეთეთ.

— რა არის, მართლა და მართლა, — უკმაყოფილოდ აბუზღუნდა შარიკოვი.

— გმადლობთ, ექიმო, — ალერსიანად უთხრა ბორმენტალს ფილიპ ფილიპოვიჩმა, — თორემ შენიშვნების მიცემა უკვე მომბეზრდა.

— ჭამის ნებას, სულ ერთია, არ მოგცემთ, სანამ არ გაიკეთებთ. ზინა, შარიკოვს მაიონეზი აალაგეთ.

— რას ჰქვია, ამაცალოთ? — განაწყენდა შარიკოვი, — ახლავე გავიკეთებ.

მან მარცხენა ხელით ზინას კერძისკენ გზა გადაუღობა, ხოლო მარჯვენით საყელოში ხელსახოცი შეიტენა და საპარიკმახეროს კლიენტს დაემგვანა.

— ჩანგალით, გეთაყვა, — დაუმატა ბორმენტალმა.

შარიკოვმა ღრმად ამოიოხრა და სქელ საწებელში ზუთხის ნაჭრების ძებნას შეუდგა.

— შეიძლება არაყი კიდევ დავლიო? — იკითხა მან.

— იქნებ იკმაროთ? — მიმართა შარიკოვს ბორმენტალმა, — ბოლო ხანს არაყს მეტისმეტად მიეძალეთ.

— გენანებათ? — შარიკოვმა ბორმენტალს წარბშეკვრით შეხედა.

— სისულელეს ამბობთ... — ჩაურთო მკაცრად მზირალმა ფილიპ ფილიპოვიჩმა, მაგრამ ბორმენტალმა გააწყვეტინა.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, თავს ნუ შეიწუხებთ, მე თვითონ მოვუვლი. შარიკოვო, სისულელეს ჩმახავთ, თანაც აღმაშფოთებელი უფრო ის არის, რომ ამას გადაჭრით, თავდაჯერებულად ამბობთ. არაყი, რა თქმა უნდა, არ მენანება, მით უმეტეს, რომ ჩემი კი არა, ფილიპ ფილიპოვიჩისა გახლავთ. უბრალოდ, არაყის უთავბოლო სმა მავნებელია. ეს ერთი, მეორეც — თქვენ უარაყოდაც უწესოდ იქცევით.

ბორმენტალმა აწებილ ბუფეტზე მიუთითა.

— ზინუშა, გეთაყვა, თევზი კიდევ გადმომიღეთ, — სთხოვა ზინას პროფესორმა.

შარიკოვი ამასობაში გრაფინს მისწვდა, ბორმენტალს ცერად გახედა და ჭიქა შეივსო.

— სხვებსაც უნდა შესთავაზოთ, — უთხრა მას ბორმენტალმა, — ამგვარად: ჯერ ფილიპ ფილიპოვიჩს უნდა მიართვათ, მერე მე შემივსოთ და ბოლოს თქვენთვის დაისხათ.

შარიკოვს ტუჩები ოდნავ შესამჩნევმა სატირულმა ღიმილმა გაუპო. მან გრაფინი აიღო, ჭიქები არაყით შეავსო და მერე წამოიწყო:

— თქვენთან ყველაფერი ისეა, როგორც ზეიმზე, აქ ხელსახოციო, იქ ჰალსტუხიო, თანაც „უკაცრავად" „გეთაყვა", „მერსი" არ უნდა დაგავიწყდეს ნამდვილად როგორც უნდა იქცეოდეთ, ისე კი არ იქცევით, თავს ისევე იტანჯავთ, როგორც მეფის რეჟიმის დროს იტანჯავდნენ.

— იქნებ ბრძანოთ, „ნამდვილად" როგორ უნდა ვიქცეოდეთ?

შარიკოვმა ფილიპ ფილიპოვიჩს შეკითხვაზე არ უპასუხა, ჭიქა აიღო და წარმოთქვა:

— ყველას გისურვებთ...

— თქვენც ასევე გისურვებთ, — ირონიანარევი ხმით უთხრა ბორმენტალმა.

შარიკოვმა ჭიქა ყელში ჩაიცალა, დაიმანჭა, პურის ნაჭერი ცხვირთან მიიტანა, დაყნოსა და მერე გადაყლაპა, თანაც თვალები ცრემლით აევსო.

— სტაჟი, — უეცრად ჩაილაპარაკა თითქოს ბურანში წასულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

ბორმენტალმა გაოცებით გადახედა.

— უკაცრავად...

— **სტაჟი!** — გაიმეორა ფილიპ ფილიპოვიჩმა და თავი მწარედ გადააქნია. — ვერაფერს გახდები — კლიმი.

ბორმენტალი ფილიპ ფილიპოვიჩს თვალებში უაღრესად ცნობისმოყვარეობით ჩააცქერდა:

— თქვენ ასე გგონიათ, ფილიპ ფილიპოვიჩ?

— კი არ მგონია, დარწმუნებული ვარ.

— ნუთუ... — წამოიწყო ბორმენტალმა, შარიკოვს ცერად [illegible] ჩუმდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარიკოვმა შუბლი საეჭვოდ შეჭმუხნა.

— Später[1]... — ხმადაბლა თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— Gut,[2] უპასუხა ასისტენტმა.

ზინამ ინდაური შემოიტანა. ბორმენტალმა ფილიპ ფილიპოვიჩს წითელი ღვინო დაუსხა და შარიკოვსაც შესთავაზა.

— არ მინდა. არაყი მირჩევნია. — თქვა შარიკოვმა. სახე აუპრიალდა, შუბლი გაუოფლიანდა, გამხიარულდა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ღვინო დალია და ცოტათი მოლბა, თვალები გაუცისკროვნდა, ახლა უფრო კეთილგანწყობილი უყურებდა შარიკოვს, ვისაც ხელსახოციდან ამოჩრილი შავი თავი არაყანში ჩავარდნილი ბუზივით მოუჩანდა.

დანაყრებულმა ბორმენტალმა კი მოქმედებისკენ მისწრაფება გამოამჟღავნა.

— აბა, ამ საღამოს მე და შენ რას ვაპირებთ? — ჰკითხა მან შარიკოვს.

შარიკოვმა თვალები აახამხამა და მერე უპასუხა:

— ყველაფერს სჯობია, ცირკში წავიდეთ.

— ყოველდღე ცირკში სიარული, მე მგონი, საკმაოდ მოსაწყენია, — გულთბილად თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — მე თქვენს ადგილზე ერთხელ მაინც თეატრში წავიდოდი.

— თეატრში მე არ წავალ, — მტრულად თქვა შარიკოვმა და პირზე ჯვარი გადაისახა.

— სუფრასთან სლოკინი სხვებს მადას უკარგავს, — ანგარიშმიუცემლად უთხრა ბორმენტალმა შარიკოვს. — უკაცრავად, მაგრამ თეატრი მაინც რატომ არ მოგწონთ?

შარიკოვმა ცარიელი ჭიქა თვალთან მიიტანა, თითქოს დურბინდიაო, ისე გახედა, დაფიქრდა და ტუჩები გამობურცა.

— მიქარვაა და მეტი არაფერი... მარტო დგანან და ლაპარაკობენ... კონტრრევოლუციაა ნამდვილი.

ფილიპ ფილიპოვიჩი სკამის გოთურ საზურგეს გადააწვა და ისე ახარხარდა, პირში ოქროს კბილები აუელვარდა. ბორმენტალმა მხოლოდ თავი გადააქნია.

— იქნებ რამე წაგეკითხათ, — შესთავაზა მან შარიკოვს, — თორემ ხომ იცით...

— მე ისედაც ვკითხულობ და ვკითხულობ... — უპასუხა შარიკოვმა და უცებ სიხარბემორეულმა ნახევარი ჭიქა არაყი სწრაფად დაისხა.

— ზინა, — შესძახა შეშფოთებულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — არაყი აიღე, გეთაყვა. აღარ გვინდა. მაინც რას კითხულობთ?

თავში უეცრად სურათი გაუკრთა: უკაცრიელი კუნძული, პალმა, ნადირის ტყავით შემოსილი და ჩაჩჩამოფხატული კაცი. „რობინზონი იქნება საჭირო..."

---

1 მერე (გერმ.)

2 კარგი (გერმ.).

— იმას… რა ჰქვია… ენგელსის მიმოწერას იმასთან… რა ჰქვია იმ ეშმაკის კერძს — კაუცკისთან.

ბორმენტალს ჩანგალზე წამოგებული თეთრი ხორცის ნაჭერი შუა გზაზე გაუშეშდა, ხოლო ფილიპ ფილიპოვიჩს ღვინო დაექცა. შარიკოვმა ამასობაში დრო იხელთა და არაყი გადაჰკრა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა იდაყვები მაგიდას დააყრდნო, შარიკოვს დააცქერდა და შეეკითხა:

— ნება მიბოძეთ, შევიტყო, რა შეგიძლიათ, წაკითხულის შესახებ გვითხრათ?

შარიკოვმა მხრები აიჩეჩა.

— არ ვეთანხმები.

— ვის? ენგელსს თუ კაუცკის?

— არც ერთს, — უპასუხა შარიკოვმა.

— დიდებულია, ღმერთსა ვფიცავ. ყველა, ვინც კი იტყვის, რომ სხვა… თავად თქვენ რას შემოგვთავაზებდით?

— აქ რა არის შემოსათავაზებელი?… სულ რაღაცას წერენ და წერენ… კონგრესიო, ვიღაც გერმანელებიო… კაცს თავი გაგისივდება. ყველაფერი უნდა აიღო და გაანაწილო…

— ასეც მეგონა, — შესძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა და ხელი სუფრას დაჰკრა, — სწორედ ეს მეგონა.

— თქვენ საამისო ხერხიც იცით? — ჰკითხა დაინტერესებულმა ბორმენტალმა.

— რა დიდი ხერხი ამას სჭირდება! — უპასუხა არაყისგან ენაამოდგმულმა შარიკოვმა, — იოლი საქმეა. თორემ რას ჰგავს: ერთი შვიდოთახიანშია გამოჭიმული, ორმოცი წყვილი შარვალი აქვს, მეორე კი დაწანწალებს, ნაგვის ყუთებში საჭმელს დაეძებს.

— შვიდი ოთახი, რა თქმა უნდა, ჩემი მისამართით ახსენეთ, არა? — ჰკითხა ამაყად თვალებმოჭუტულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

შარიკოვი მოიკუნტა და გაჩერდა.

— რაკი ასეა, კარგი, მე განაწილების წინააღმდეგი არა ვარ. ექიმო, გუშინ უარი რამდენს უთხარით?

— ოცდაცხრამეტ კაცს, — უმალ უპასუხა ბორმენტალმა.

— ჰმ… 390 მანეთი. მაშ ეს სამი კაცის კისერზეა. ქალებს — ზინასა და დარია პეტროვნას სათვალავში ნუ გავრევთ. თქვენს წილად, შარიკოვო, 130 მანეთი მოდის, კეთილინებეთ და გადაიხადეთ.

— კარგი ამბავია, — უპასუხა შეშინებულმა შარიკოვმა, — მაინც რის გამო?

— ონკანისა და კატის გამო, — უცებ დაუყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა, ირონიანარევი სიმშვიდე გაუქრა.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, — შესძახა შეშფოთებულმა ბორმენტალმა.

— მოიცადეთ. იმ უმსგავსობის გამო, რაც თქვენ ჩაიდინეთ და რის შედეგადაც მიღება ჩაიშალა. ამის ატანა შეუძლებელია. კაცი მთელ ბინაში ველურივით დახტის და ონკანს გლეჯს. მადამ პოლასუხერს კატა ვინ მოუკლა? ვინ?

— თქვენ, შარიკოვო, სამი დღის წინ კიბეზე ქალს უკბინეთ! — შეუტია ბორმენტალმაც.

— იმ ქალმა სიფათში გამილაწუნა, — ამოიწკნავლა შარიკოვმა, — სიფათი ნათხოვარი კი არა მაქვს!

— იმიტომ გაგილაწუნათ, რომ მკერდზე უჩქმიტეთ, — შეჰყვირა ბორმენ-ტალმა და ჭიქა გადააყირავა. — თქვენ დგახართ...

— თქვენ დგახართ განვითარების უდაბლეს საფეხურზე, — [illegible] შეჰყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი [illegible] ვად სუსტი არსება ხართ, თქვენი ყოველი საქციელი აშკარად ცხოველურია, თავს კი ნებას აძლევთ, უნივერსიტეტში განათლებამიღებული ორი ადამიანის წინაშე აუტანელი მოურიდებლობით წამოაყენოთ კოსმოსური მასშტაბის და ასევე კოსმოსური სისულელეების შემცველი რჩევა იმის თაობაზე, ყველაფე-რი როგორ განაწილდეს... ამას სჩადით თქვენ, ვინც კბილის ფხვნილი ჩაითქლი-ფეთ...

— სამი დღის წინ, — დაუმოწმა ბორმენტალმა.

— ჰოდა, — გრგვინავდა ფილიპ ფილიპოვიჩი, — კარგად დაიმახსოვრეთ... ჰო, მართლა, ცხვირიდან თუთიის მალამო რატომ მოიცილეთ? კარგად დაიმახ-სოვრეთ, რომ ხმაგაკმენდილმა უნდა უსმინოთ, რასაც გეტყვიან, ისწავლოთ და შეეცადოთ სოციალური საზოგადოების ოდნავ მაინც შესაფერი წევრი გახდეთ. ჰო, მართლა, ის წიგნი რომელმა არამზადამ მოგცათ?

— თქვენ ყველას არამზადას ეძახით, — უპასუხა ორმხრივი შემოტევისაგან გაოგნებულმა და შეშინებულმა შარიკოვმა.

— მივხვდი, ვინც მოგცათ, — შესძახა ბრაზისგან გაწითლებულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— მერე რა მოხდა. ჰო, შვონდერმა მომცა. ის არამზადა არ არის... ჩემი განვითარებისთვის ზრუნავს...

— ვხედავ, როგორ განვითარდით კაუცკის წაკითხვის შემდეგ, — გამყივანი ხმით წამოიყვირა სახეგაყვითლებულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა, მან კედელზე ღი-ლაკს თითი გააფთრებით დააჭირა. — დღევანდელი ამბავი ამას საუცხოოდ ადასტურებს. ზინა!

— ზინა! — შეჰყვირა ბორმენტალმა.

— ზინა! — აყვირდა შეშინებული შარიკოვიც.

გაფითრებულმა ზინამ სასადილო ოთახში შემოირბინა.

— ზინა, მისაღებ ოთახში... მისაღებ ოთახშია?

— მისაღებ ოთახშია, — მორჩილად უპასუხა შარიკოვმა, — აჯასპილით მწვანეა.

— მწვანე წიგნი...

— ოჰ, ახლა დააწვევინებს, — განწირულად შესძახა შარიკოვმა. — წიგნი ბიბლიოთეკისაა!

— მიმოწერა ჰქვია, აი, იმისი... ენგელსისა იმ წყეულთან... ღუმელში ჩაუ-ძახეთ!

ზინა მისაღები ოთახისკენ გაექანა.

— ამ შვონდერს, გეფიცებით, პირველსავე ხეზე ჩამოვახრჩობდი, — შეს-ძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა და ინდაურის ფრთას კბილები გააფთრებით ჩაასო, — ეს განსაცვიფრებელი ნაძირალა სახლში მუწუკივით შემოგვეჩხირა. ის არ იკ-მარა, გაზეთებში უაზრო პასკვილებს რომ წერს...

შარიკოვმა პროფესორს მწყრალი ირონიული მზერა მიაპყრო. ფილიპ ფი-ლიპოვიჩმა თავის მხრივ შარიკოვს თვალი ცერად შეავლო და გაჩუმდა.

„ოჰ ჩვენს ბინაში სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდეთ," — უცებ წინასწარმეტყველურად გაიფიქრა ბორმენტალმა.

ზინამ მრგვალი სინით მარჯვენა მხრიდან უფერული და მარცხენა მხრიდან შებრაწული ღვეზელი და ყავადანი შემოიტანა.

— ამას მე არ შევჭამ, — უმალ მუქარითა და გულისწყრომით განაცხადა შარიკოვმა.

— არც არავინ გთავაზობთ. წესიერად მოიქეცით. ექიმო, მიირთვით.

სადილი მდუმარედ დაასრულეს.

შარიკოვმა ჯიბიდან გაჭყლეტილი პაპიროსი ამოიღო და გააბოლა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ყავა დალია, მერე საათს დახედა, რეპეტირს თითი დააჭირა და რეპეტირმა რვა საათი და თხუთმეტი წუთი ნაზად ჩამოაწკარუნა. ფილიპ ფილიპოვიჩი ჩვეულებისამებრ გოთურ საზურგეს გადააწვა და პატარა მაგიდაზე დადებულ გაზეთს მისწვდა.

— ექიმო, გთხოვთ, ცირკში გაჰყევით. ოღონდ, თუ ღმერთი გწამთ, პროგრამა ნახეთ — კატები ხომ არ არიან?

— ნეტავი ისეთ გარეწრებს ცირკში როგორ უშვებენ, — პირქუშად ჩაილაპარაკა შარიკოვმა და თავი გადააქნია.

— იქ ვილას არ უშვებენ, — ორაზროვნად თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — რა აქვთ პროგრამაში?

— სოლომონსკისთან, — დაიწყო კითხვა ბორმენტალმა, — რაღაც ოთხი იუსემსი და მკვდარი წერტილის კაცი.

— ეგ იუსემსი რაღა არის? — ეჭვიანად იკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— ეშმაკმა უწყის. ეს სიტყვა პირველად მესმის.

— მაშ აჯობებს, ნიკიტინებთან წახვიდეთ. აუცილებელია, რომ ყველაფერი ცხადი იყოს.

— ნიკიტინებთან... ნიკიტინებთან... ჰმ... სპილოებია და საოცარი სიმარჯვე ადამიანებისა.

— მაშ ასე. სპილოების თაობაზე რას იტყვით ძვირფასო შარიკოვო? — უნდობლად ჰკითხა შარიკოვს ფილიპ ფილიპოვიჩმა.

შარიკოვი განაწყენდა.

— რაო, განა მაგდენი გაგება აღარა მაქვს? კატა სხვა ამბავია. სპილო სასარგებლო ცხოველია, — უპასუხა შარიკოვმა.

— ჰო-ო, ძალიან კარგი. რაკიღა სასარგებლოა, წადით და უყურეთ. ივან არნოლდოვიჩს უნდა გაუგონოთ. ცირკის ბუფეტში ლაპარაკი არავის გაუბათ. ივან არნოლდოვიჩ, უმორჩილესად გთხოვთ, შარიკოვს ლუდი არ შესთავაზოთ.

ათი წუთის შემდეგ ივან არნოლდოვიჩმა და შარიკოვმა ცირკისკენ გასწიეს. შარიკოვს დრაპის პალტო ეცვა, საყელო წამოეწია, თავზე კეპი ეხურა. საჩიხი იხვის ნისკარტს რომ უგავდა. ბინაში სიჩუმემ დაისადგურა. ფილიპ ფილიპოვიჩი თავის კაბინეტში შევიდა და მწვანეთალფაქიანი მძიმე ლამპა აანთო, რის შედეგადაც უზარმაზარი კაბინეტი ფრიად მყუდრო გახდა. ფილიპ ფილიპოვიჩი ბოლთის ცემას შეუდგა. სიგარის ბოლო მკრთალ-მწვანე ფერად დიდხანს ღვიოდა. პროფესორს ხელები შარვლის ჯიბეში ჩაეყო და მისი სწავლული შუბლი მტანჯველ ფიქრს შეეჭმუხნა. მან ტუჩები ააწკლაპუნა, „ნილოსის წმინდა ნაპირებისკენ..." — ჩაიმღერა კბილებში და მერე რაღაც ჩაიბუტბუტა. ბოლოს სიგარა საფერფლეზე დადო, შემინულ კარადასთან მივიდა და ჭერზე ჩამოკიდებული სამი მძლავრი ნათურით კაბინეტი მთლიანად გააჩირაღდნა. კარადის მე-

სამე თაროდან ფილიპ ფილიპოვიჩმა ვიწრო ქილა ჩამოიღო და შუბლშეჭმუხნულმა ნათურების შუქზე თვალიერება დაუწყო. სქელსა და გამჭვირვალე სითხის ფსკერზე ცურავდა შარიკას ტვინიდან ამოღებული პატარა თეთრი კოშტი. ტუჩებდაბრეცილი ფილიპ ფილიპოვიჩი ფრუტუნებდა და ამ კოშტს თვალებით ნთქავდა, თითქოს უნდოდა, სითხეში ჩაუძირავ თეთრ კოშტში გა[illegible] მიზეზი საოცარი ამბებისა, რამაც პრეჩისტენკის ბინაში ცხოვრება ყირაზე დააყენა.

სავსებით შესაძლებელია, რომ დიდად განსწავლულმა კაცმა ეს კიდევაც განჭვრიტა. ყოველ შემთხვევაში, ტვინის დანამატის ცქერით გული როცა იჯერა, ქილა კარადაში შეინახა, კარადა გასაღებით დაკეტა, გასაღები ღრმად ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო, თავი მხრებში ჩარგო, ხელები პიჯაკის ჯიბეებში ღრმად ჩაიწყო და დივანზე მოკალათდა. იგი დიდხანს აბოლებდა მეორე სიგარას, რომლის ბოლო ერთიანად დაღეჭა, და ბოლოს, მარტოდმარტომ, ჭაღარა ფაუსტივით მწვანედ შეფერილმა, შესძახა:

— ღმერთმანი, მგონი, გავბედავ.

არავინ გამოპასუხებია. ბინაში ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ობუხოვის შესახვევში 11 საათზე, როგორც ცნობილია, მოძრაობა მინელდება ხოლმე. ხამუშ-ხამუშ გაისმოდა მხოლოდ დაგვიანებული გამვლელის ფეხის ხმა, სადღაც ფარდების მიღმა ჩაიბაკუნებდა და მიწყდებოდა. კაბინეტში ფილიპ ფილიპოვიჩის თითებქვეშ ჯიბეში ნაზად წკარუნობდა რეპეტრი... პროფესორი ცირკიდან ექიმ ბორმენტალისა და შარიკოვის დაბრუნებას მოუთმენლად ელოდა.

## VIII

არავინ იცის, რა გადაწყვიტა ფილიპ ფილიპოვიჩმა. შემდგომი კვირა ისე მიილია, განსაკუთრებული არაფერი მოუმოქმედია. და, იქნებ მისი უმოქმედობის შედეგი გახლდათ, ბინაში ასეთი ამბები რომ მოხდა.

წყლისა და კატის გამო დატრიალებული დავიდარაბიდან ექვსი დღის შემდეგ შარიკოვთან საბინაო კომიტეტიდან ის ახალგაზრდა მოვიდა, ქალი რომ გამოდგა, და საბუთები გადასცა. შარიკოვმა საბუთები დაუყოვნებლივ ჯიბეში ჩაიწყო და ამის შემდეგ უმალ ექიმ ბორმენტალს მოუხმო.

— ბორმენტალო!

— თუ შეიძლება, სახელითა და მამის სახელით მომმართეთ! — უთხრა მას ფერშეცვლილმა ბორმენტალმა.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ექვს დღეში ქირურგმა რვაჯერ მოასწრო თავის აღსაზრდელთან წაჩხუბება. ობუხოვის ოთახებში ვითარება ძალზე დამძიმდა.

— მაშ თქვენც სახელითა და მამის სახელით მომმართეთ! — სრულიად საფუძვლიანად მიუგო შარიკოვმა.

— არა! — დაიგრგვინა კართან მომდგარმა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — ნებას არავის მივცემ. ჩემს ბინაში ამ სახელითა და მამის სახელით მოგმართონ. თუ გინდათ, რომ „შარიკოვი" ფამილარულად აღარ გიწოდოთ, მეც და ექიმიც ბორმენტალიც „ბატონ შარიკოვს" დაგიძახებთ.

— მე ბატონი არა ვარ, ბატონები ყველანი პარიზში არიან — დაიღრინა შარიკოვმა.

— შვონდერის ნამუშევარია! — ჭექდა ფილიპ ფილიპოვიჩი. — არა უშავს, იმ არამზადასაც გავუსწორებ ანგარიშს. ჩემს ბინაში ბატონების გარდა ვერავინ

იბოგინებს, სანამ აქ ვარ! თუ არა, ან მე წავალ აქედან, ან თქვენ, უფრო კი თქვენ წახვალთ. დღეს გაზეთში განცხადებას გამოვაქვეყნებ და, მარწმუნეთ, ოთახს მოგიძებნით.

— როგორ არა, არც ისეთი სულელი ვარ, აქედან რომ წავიდე, — ფრიად მტკიცედ უპასუხა შარიკოვმა.

—რაო? — ფილიპ ფილიპოვიჩს ფერი ისე ეცვალა, რომ ბორმენტალი მისკენ გაექანა და შეშფოთებულმა სახელოზე ხელი ნაზად ჩაჰკიდა.

— იცით რა, მოსიო შარიკოვო, ნუ თავხედობთ! — ბორმენტალმა ხმას აუმაღლა. შარიკოვმა უკან დაიხია და ჯიბიდან სამი ქაღალდი ამოიღო: ერთი მწვანე, ერთი ყვითელი და ერთიც თეთრი, თან ამ ქაღალდებზე უთითებდა და თან ამბობდა:

— აგერ, საბინაო ამხანაგობის წევრი ვარ და ნამდვილად მეკუთვნის № 5 ბინაში პასუხისმგებელ მოქირავნე პრეობრაჟენსკისთან 16 კვადრატული არშინი, — შარიკოვი დაფიქრდა და დაუმატა: — კეთილინებეთ. — რის გაგონებაზეც ბორმენტალს გონებაში მექანიკურად გაუელვა, ეს ახალი სიტყვააო.

ფილიპ ფილიპოვიჩმა ტუჩზე იკბინა და კბილებში გაუფრთხილებლად გამოსცრა:

— ვფიცავ, ამ შეოხდერს ბოლოს და ბოლოს მოვკლავ.

შარიკოვმა მისი ნათქვამი ძალზე დაკვირვებით, ყურადღებით მოისმინა, რაც თვალთა გამომეტყველებაზეც დაეტყო.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, vorsichtig[1]... — გამაფრთხილებლად წამოიწყო ბორმენტალმა.

— იცით, რას გეტყვით... თუ საქმე ასეთ სისაძაგლემდე მივა! — შეჰყვირა ფილიპ ფილიპოვიჩმა რუსულად. — შარიკოვო... ბატონო, იცოდეთ, თუ თავს ერთხელ კიდევ მისცემთ თავხედობის ნებას, აღარ გასადილებთ და, საერთოდ, ჩემს სახლში ჭამას აგიკრძალავთ. 16 არშინი კარგი რამეა, მაგრამ ეგ ფარატინა ქაღალდი ხომ არ მავალდებულებს, რომ გაჭამოთ და გასვათ!

შარიკოვი შეშინდა, პირი დააღო.

— საჭმლის გარეშე დარჩენა არ შემიძლია, — აბუტბუტდა იგი, — აბა, საჭმელ-სასმელს ვინ მომცემს?

— მაშ წესიერად მოიქეცით! — ერთხმად უპასუხა ორივე ესკულაპმა.

შარიკოვი საკმაოდ დაწყნარდა და იმ დღეს არავისთვის არაფერი უვნია, გარდა საკუთარი თავისა: ბორმენტალი ცოტა ხნით სახლიდან რომ გავიდა, შარიკოვმა ამით ისარგებლა, მისი სამართებელი ხელში მოიგდო და ლაწვი ისე ჩამოისერა, რომ ფილიპ ფილიპოვიჩმა და ბორმენტალმა გაჭრილზე ნაკერები დაადეს, რის გამოც შარიკოვი დიდხანს ყმუოდა და ცრემლად იღვრებოდა.

შემდგომ ღამეს პროფესორის კაბინეტში, სადაც მწვანე ბინდბუნდს დაესადგურებინა, ორნი ისხდნენ — თვით ფილიპ ფილიპოვიჩი და მისი ერთგული, მუდამ გვერდით მყოფი ბორმენტალი. სახლში უკვე ყველას ეძინა. ფილიპ ფილიპოვიჩს ლაჟვარდისფერი ხალათი და წითელი ფეხსაცმელი ემოსა, ხოლო ბორმენტალს პერანგი ეცვა და ლურჯი აჭიმები ეკეთა. მრგვალ მაგიდაზე, სქელი ალბომის გვერდით ერთი ბოთლი კონიაკი იდგა, ლამბაქზე დაჭრილი ლიმონი ეწყო, იქვე იდო სიგარების ყუთი. მეცნიერებს ოთახი სიგარის კვამლით გაევსოთ და ბოლოს მომხდარ ამბავზე ცხარედ მსჯელობდნენ: იმ საღამოს შარი-

[1] ფრთხილად (გერმ.).

კოვმა ფილიპ ფილიპოვიჩის კაბინეტში პრეს-პაპიეს ქვეშ ამოდებული ორი ცალი თუმნიანი აწაპნა, შინიდან წავიდა და გვარიანად გამომთვრალი გვიან დაბრუნდა, ეს კიდევ არაფერი. მას ორი უცნობი მოჰყვა. მათ სადარბაზოს კიბეზე აურზაური ატეხეს, ამბობდნენ, ღამე შარიკოვთან უნდა გავათიოთო. ეს უცნობები იქაურობას მხოლოდ მაშინ გაეცალნენ, როცა ამ ალიაქოთის [illegible] საცვლებს ზემოდან საშემოდგომო პალტომოხურულმა ფიოდორმა [illegible] ორმოცდამეხუთე განყოფილებაში ტელეფონით დარეკა. უცნობები იმწამსვე გაიძურწნენ, როგორც კი ფიოდორმა ყურმილი დაკიდა. უცნობების წასვლის შემდეგ გაქრა მალაქიტის საფერფლე, წინკარში სარკის ქვემოთ რომ იდო, ასევე გაქრა თახვის ტყავის ქუდი ფილიპ ფილიპოვიჩისა და მისივე ჯოხი, ზედ ოქროს ხვეულით რომ ჰქონდა წარწერილი: „ძვირფასსა და პატივცემულ ფილიპ ფილიპოვიჩს მადლიერი ორდინატორებისაგან...“ შემდეგ რომაული ციფრი XXV მოსდევდა.

— ვინ იყვნენ ისინი? — შეუტია შარიკოვს მუშტებშეკრულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

შარიკოვი ბარბაცებდა, ქურქებს ეგლისებოდა, ბურტყუნებდა, იმათ არ ვიცნობ, მაგრამ ვიღაც მამაძაღლები კი არ არიან, კარგი ხალხიაო.

— ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ორივენი ძალზე მთვრალები იყვნენ... მაშ როგორღა მოახერხეს? — უკვირდა ფილიპ ფილიპოვიჩს და იმ ადგილს უცქეროდა, სადღაც აქამდე იუბილეზე მიძღვნილი სახსოვარი იდო.

— სპეციალისტები ყოფილან, — განმარტა ფიოდორმა და დასაძინებლად გასწია, ჯიბეში ნაჩუქარი მანეთიანი ედო.

ორი თუმნიანის მოპარვა შარიკოვმა ცივად იუარა, ამას გარდა, კიდევაც ჩააქარაგმა, ბინაში მარტო მე ხომ არა ვარო.

— ჰოო, თუმნიანები იქნებ ექიმმა ბორმენტალმა აართქლა? — ჩაეკითხა ფილიპ ფილიპოვიჩი შემზარავად მშვიდი ხმით.

შარიკოვი შექანდა, მიბლეტილი თვალები გამოახილა და ვარაუდი გამოთქვა:

— იქნებ ზინკამ აიღო?

— რაო? — შეჰყვირა კართან მოჩვენებასავით მომდგარმა ზინამ და მკერდზე ხელი მიიფარა, რადგან კოფთაზე ღილები შეხსნილი ჰქონდა. — ამას როგორ ბედავს...

ფილიპ ფილიპოვიჩს კისერი წამოუჭარხლდა.

— დამშვიდდი, ზინუშა, — უთხრა ზინას და ხელი გაუწოდა, — ნუ ღელდები, ჩვენ ყველაფერს მოვაგვარებთ.

ზინამ უმალ პირი დააღო და აბღავლდა, ლაწვზე მიდებული ხელი უხტოდა.

— ზინა,როგორ არა გრცხვენია? მაგას ვინ იფიქრებს? ფუი, რა თავის მოჭრაა! — ამბობდა დაბნეული ბორმენტალი.

— ოჰ, ზინა, რა სულელი ხარ, ღმერთო, შემინდე, — წამოიწყო ფილიპ ფილიპოვიჩმა.

მაგრამ ამ დროს ზინამ ტირილი თვითონვე შეწყვიტა, ყველა დადუმდა, რადგან შარიკოვი ცუდად გახდა, მან თავი კედელს მიახალა და რაღაც ხმა ამოხდა — „ი“ თუ „ე“ ანდა „ეეე!“ სახე გაუფითრდა და ყბა აუცახცახდა.

— გასასინჯი ოთახიდან ვედრო მოუტანეთ ამ არამზადას!

ყველანი შარიკოვის მოსავლელად დატრიალდნენ, როცა დასაძინებლად

მიჰყავდათ, ბორმენტალის მკლავებში მოქცეული, ბარბაცებდა და ძალიან ნაზად,მელოდიურად იგინებოდა, უწმაწურ სიტყვებს რის ვაივაგლახით გამოთქვამდა.

მთელი ეს ამბავი დაახლოებით ღამის პირველ საათზე მოხდა. ახლა კი ნაშუაღამევის 3 საათი იყო, მაგრამ კაბინეტში მაინც ორნი ფხიზლად ისხდნენ ლიმონიანი კონიაკით შეხურებულნი. იმდენი მოეწიათ, ფენა-ფენად გაწოლილი კვამლი ძლივს იძვროდა.

ფერმიხდილმა ექიმმა ბორმენტალმა წელწვრილი ჭიქა ასწია, თვალებში სიმტკიცე ეტყობოდა.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, — შესძახა გრძნობით, — არასოდეს დამავიწყდება, ნახევრად მშიერი სტუდენტი თქვენთან რომ მოვედი და კათედრაზე შემიფარეთ. ფილიპ ფილიპოვიჩ, მერწმუნეთ, ჩემთვის მარტო პროფესორი, მარტო მასწავლებელი კი არა, უფრო მეტი ხართ... თქვენდამი ჩემი უსაზღვრო პატივისცემა... ძვირფასო ფილიპ ფილიპოვიჩ, ნება მიბოძეთ, გაკოცოთ.

— ოჰ, ჩემო კარგო... — ჩაიბურტყუნა დაბნეულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა და წამოდგა. ბორმენტალი მოეხვია და თამბაქოს კვამლით შეყვითლებულ ულვაშებზე აკოცა.

— ღმერთმანი, ფილიპ ფილი...

— გული როგორ ამიჩუყეთ, როგორ ამიჩუყეთ... გმადლობთ, —ეუბნებოდა ბორმენტალს ფილიპ ფილიპოვიჩი, — ჩემო კარგო, ზოგჯერ ოპერაციაზე გიყვირით ხოლმე, მომიტევეთ ბებრული სიფიცხე. ეს უთუოდ სიმარტოვისაგან მემართება... სევილიიდან გრენადამდე...

— ფილიპ ფილიპოვიჩ, არა გრცხვენიათ? — გულწრფელი გზნებით შესძახა ბორმენტალმა, — თუ არ გინდათ, რომ მაწყენინოთ, ასეთ რამეს ნუღარ მეტყვით...

— გმადლობთ... ნილოსის წმინდა ნაპირებისაკენ... გმადლობთ... მეც შემიყვარდით, როგორც ნიჭიერი ექიმი.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, გეუბნებით!.. — ფიცხლად შესძახა ბორმენტალმა, წამოხტა, დერეფანში გამავალი კარი მჭიდროდ მიხურა, უკან დაბრუნდა და ჩურჩულით განაგრძო, — ეს ხომ ერთადერთი გამოსავალია. მე, რა თქმა უნდა, ვერ გავბედავ, რჩევა მოგცეთ, მაგრამ, ფილიპ ფილიპოვიჩ, თქვენს თავს შეხედეთ, როგორ გაიტანჯეთ. ასე მუშაობა უკვე შეუძლებელია!

— ნამდვილად შეუძლებელია, — დაუდასტურა ფილიპ ფილიპოვიჩმა და ამოიოხრა.

— არა, ეს წარმოუდგენელი რაღაცაა, — ჩურჩულებდა ბორმენტალი, — ამას წინათ მითხარით, ვშიშობ, არაფერი შეგემთხვათო, რომ იცოდეთ, ძვირფასო პროფესორო,გული როგორ ამიჩუყეთ. მაგრამ მე ხომ ბავშვი არა ვარ და თავადაც შემიძლია მივხვდე, რა საშინელება შეიძლება მოხდეს. მაგრამ უდავოდ მწამს, რომ სხვა გამოსავალი არ არის.

ფილიპ ფილიპოვიჩი წამოდგა და ბორმენტალს ხელის ქნევით შეუყვირა.

— ნუ მაცდუნებთ, ნუ ცდილობთ, ამაზე სიტყვაც აღარ დაძრათ, — პროფესორი ოთახში სიარულს მოჰყვა და კვამლი აატალღა. — გაგონებაც არ მინდა. თუ იცით, რა მოხდება, რომ გაგვიგონ? ჩვენ ხომ იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ, პირველი ნასამართლობის მიუხედავად მხედველობაში მიიღებენ ჩვენს წარმოშობას. ჩემო ძვირფასო, ჩვენ ხომ შესაფერისი წარმოშობა არა გვაქვს.

— რა ბრძანებაა! მამაჩემი ვილნოში სასამართლოს გამომძიებელი იყო, — მწუხარედ უპასუხა ბორმენტალმა და კონიაკის ჭიქა გამოცალა.

— აი, ხომ ხედავთ, ეს ცუდი მემკვიდრეობაა. ამაზე უხეირო რამის წარმოდგენაც შეუძლებელია. თუმცა, უკაცრავად, მე უფრო უარესად მ[illegible] მამაჩემი საკათედრო ტაძრის დეკანოზი გახლდათ. მერსი. სევილი[illegible]დამდე... სადაც ბინდბუნდს არ კვეთს შუქი... ოჰ, ეშმაკმა დალახვროს...

— ფილიპ ფილიპოვიჩ, თქვენ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ხართ და ვიღაც, უკაცრავად გახლავართ, მამაძაღლის გამო... ხელს როგორ გახლებენ, რას ბრძანებთ!

— მით უმეტეს, ამისთანა რამეს არ ვიზამ, — შეედავა ჩაფიქრებული ფილიპ ფილიპოვიჩი. იგი შემინულ კარადასთან შეჩერდა და თაროს დააცქერდა.

— რატომ?

— იმიტომ რომ თქვენ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი არა ხართ.

— რას ბრძანებთ...

— ჰოდა, აი... კატასტროფის ჟამს კოლეგა გასაჭირში რომ მიატოვო, თვითონ კი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერებას თავი შეაფარო, ეს რას ემგვანება? შარიკოვი კი არა ვარ, მოსკოველი სტუდენტი გახლავართ.

ფილიპ ფილიპოვიჩმა მხრები მაღლა ასწია და ძველი დროის ფრანგ მეფეს დაემგვანა.

— ეჰ, ფილიპ ფილიპოვიჩ... — მწუხარედ შესძახა ბორმენტალმა. — მაშ რა უნდა ქნათ? უნდა ელოდოთ, როდის შეძლებთ ეს ხულიგანი ადამიანად აქციოთ?

ფილიპ ფილიპოვიჩმა იგი ხელის აწევით შეაჩერა, კონიაკი დაასხა, ცოტა მოსვა, მერე ლიმონი გამოწუწნა და წამოიწყო:

— ივან არნოლდოვიჩ, რა გგონიათ, გამეგება რამე, მაგალითად, ადამიანის ტვინის აპარატის ანატომიისა და ფიზიოლოგიისა? რა აზრისა ხართ?

— ფილიპ ფილიპოვიჩ, აბა, რას მეუბნებით? — გულმხურვალედ უპასუხა ბორმენტალმა და ხელები გაშალა.

— ჰო, კარგი. ყალბი მოკრძალების გარეშე მოგახსენებთ. მეც მგონია, რომ ეს საკითხი ისე გამეგება, მოსკოვში უკანასკნელი კაცი არ უნდა ვიყო.

— მე კი მგონია, რომ პირველი ხართ არა მარტო მოსკოვში, არამედ ლონდონშიც და ოქსფორდშიც! — ფიცხლად შეაწყვეტინა ბორმენტალმა.

— ჰო, კარგი, თუნდაც ასე იყოს. ჰოდა, იცოდეთ, მომავალო პროფესორო ბორმენტალო: ამას ვერავინაც ვერ შეძლებს. დიახ. შეგიძლიათ არც მკითხოთ. პირდაპირ დამიმოწმოთ. ვინც შეგეკითხებათ, უთხარით, პრეობრაჟენსკიმ თქვათქო. Finita, კლიმ! — უცებ საზეიმოდ შესძახა ფილიპ ფილიპოვიჩმა და კარადა წკარუნით გაეპასუხა. — კლიმი, — გაიმეორა მან. — იცით რა, ბორმენტალო, თქვენ ჩემი სკოლის პირველი მოწაფე და, ამას გარდა, ჩემი მეგობარიც ხართ, როგორც დღეს დავრწმუნდი. ამიტომ, როგორც მეგობარს, საიდუმლოდ გეტყვით,— რა თქმა უნდა, ვიცი, არ გამთათხავთ, ბებერმა ვირმა პრეობრაჟენსკიმ ამ ოპერაციაზე ფეხი მესამე კურსელივით წაიტეხაო. მართალია, აღმოჩენა ხელთა გვაქვს, თავადაც იცით — როგორი, — ფილიპ ფილიპოვიჩმა ფანჯარაზე ჩამოფარებული ფარდისკენ ორივე ხელი მწუხარედ გაიწოდა. ალბათ მოსკოვზე მიანიშნებდა, — მაგრამ ესეც იცოდეთ, ივან ივანოვიჩ, ამ აღმოჩენის ერთადერთი შედეგი ის იქნება, რომ შარიკოვი ყველას წამოგვაჯდება

აი, აქ, — პრეობრაჟენსკიმ ხელი წაქანებულ, დამბლისკენ მიდრეკილ კისერზე დაირტყა, — ფიქრი ნუ გაქვთ! ახლა ვინმე აქ რომ დამაწვენდეს და გამწკეპლავდეს, — გულფიცხად განაგრძობდა ფილიპ ფილიპოვიჩი, — გეფიცებით, ხუთ თუმანს მივცემდი! სევილიიდან გრენადამდე... ეშმაკმა დალახვროს, მე ხომ იცით, რამდენი ვიმუშავე — კაცი ვერ წარმოიდგენს. ახლა კი ეს არის საკითხავი — რატომ? რატომ და იმიტომ, ერთ მშვენიერ დღეს მშვენიერი ძაღლი ისეთ გარეწრად მექცია, თმას ყალყზე რომ დაგიყენებს!

—მართლაც რომ საოცრებაა!

— სავსებით გეთანხმებით. აი, ექიმო, რა ხდება, როცა მკვლევარი იმის ნაცვლად, რომ ბუნებას პარალელურად, ხელის ცეცებით მიჰყვეს, საკითხის ფორსირებას იწყებს და ფარდას ახდის: აჰა, ინებეთ, შარიკოვი, თვალ-გული გაიძღეთ.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, სპინოზას ტვინი რომ იყოს?

— დიახ! — დაიგრგვინა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — დიახ! თუკი ბედუკუღმართი ძაღლი დანის ქვეშ არ მოკვდება, ხომ ნახეთ, ეს ოპერაცია რანაირიცაა. ერთი სიტყვით, მე, ფილიპ პრეობრაჟენსკის, ჩემს სიცოცხლეში ამაზე ძნელი არაფერი გამიკეთებია. შეიძლება სპინოზას, ანდა სხვა ასეთი ეშმას ჰიპოფიზი გადაუნერგო და ძაღლისგან ფრიად მაღლა მდგომი არსება წარმოქმნა. მაგრამ რა ჯანდაბად გინდა? აი, რა არის საკითხავი, ამიხსენით, გეთაყვა, რა საჭიროა სპინოზების ხელოვნურად შეთითხნა, თუკი ყოველ ქალს შეუძლია დაბადოს, როცა ინებებთ. ხოლმოგორში მადამ ლომონოსოვამ ხომ დაბადა სახელოვანი შვილი! ექიმო, კაცობრიობა ამაზე თავად ზრუნავს და ევოლუციის მეშვეობით ყოველწლიურად საძაგელი მასიდან რჩეულებს გამოყოფს და დედამიწის დამამშვენებელ ათეულობით გამორჩენილ გენიოსს ქმნის. ექიმო, ახლა ხომ მიხვდით, შარიკოვის ავადმყოფობის ისტორიაში თქვენი დასკვნა რატომაც არაფრად მივიჩნიე. ჩემი აღმოჩენა, ეშმაკსაც წაუღია, რასაც ელოლიავებით, გროშის ფასად არ ღირს... ოჰ, ნუ მედავებით, ივან არნოლდოვიჩ, მე ხომ უკვე მივხვდი. ტყუილ-უბრალოდ არასოდეს არაფერს ვამბობ, ძალიან კარგად იცით. თეორიულად ეს საინტერესოა. კეთილი! ფიზიოლოგები აღფრთოვანდებიან, მოსკოვი გადარეულია... მაგრამ პრაქტიკულად რას მივაღწევთ? ხელში ვინ შემოგვრჩა? — პრეობრაჟენსკიმ თითი გასასინჯი ოთახისკენ გაიშვირა, სადაც შარიკოვს ეძინა.

— საშინელი არამზადა.

— ვინ არის იგი? — კლიმი, კლიმი,— შეჰყვირა პროფესორმა. — კლიმ ჩუგუნოვი[1] (ბორმენტალმა პირი დააღო) — აი, ინებეთ: ორჯერ ნასამართლევი, ალკოჰოლიკი, „ყველაფრის გამნაწილებელი". ქუდისა და ორი თუმნიანის ამწაპნელი (ფილიპ ფილიპოვიჩს იუბილეზე ნაჩუქარი ჯოხი გაახსენდა და სახე წამოუჭარხლდა) — თავხედი და ღორი... არა, იმ ჯოხს ვიპოვი. ერთი სიტყვით, ჰიპოფიზი დახურული საკანია, ადამიანის მოცემულ სახეს რომ განსაზღვრავს, მოცემულს! სევილიიდან გრენადამდე...—მძვინვარედ ჰექდა ფილიპ ფილიპოვიჩი, — და არა ზოგადსაკაცობრიოს. ეს — მინიატურული სახით — თვით ტვინია. ჰოდა, სრულებითაც არ მესაჭიროება. ჯანდაბამდე გზა ჰქონია. მე სხვა რამ მქონდა საზრუნავი, ევგენიკა, ადამიანთა ჯიშის გაუმჯობესება, გაახალგაზრ-

[1] ტექსტში განსხვავებაა, აქამდე იყო „ჩუგუნკინი".

დევებას კი გადავაწყდი. ნუთუ გგონიათ, რომ ამას ფულის გულისთვის ვაკეთებ? მე ხომ მაინც მეცნიერი ვარ.

— თქვენ უდიდესი მეცნიერი ხართ! — შესძახა ბორმენტალმა და კონიაკი გადაჰკრა. თვალები ჩაუსისხლიანდა.

— ორი წლის წინ პატარა ცდის ჩატარება განვიზრახე. მას შემდეგ [illegible] ჰიპოფიზისაგან პირველად მივიღე სქესობრივი ჰორმონის ნაწური. ამის ნაცვლად კი ხელთ რა მაქვს. ღმერთო ჩემო! ამ ჰორმონებს ჰიპოფიზში, ღმერთო ჩემო... რიკოვისაგან რა შეიძლება დადგეს.

ბორმენტალმა უეცრად სახელოები დაიკაპიწა, თვალები დაბრიცა და წარმოთქვა:

— მაშინ იცით, რას გეტყვით, ძვირფასო მასწავლებელო, თუ თქვენ არ გსურთ, პასუხისმგებლობას მე ვიკისრებ და დარიშხანს თავად შევაჭმევ. იმას აღარ დავგიდევთ, მამაჩემი სასამართლოს გამომძიებელი რომ იყო. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ ჩვენი საკუთარი ექსპერიმენტული არსებაა.

ფილიპ ფილიპოვიჩი ჩაცხრა, მოდუნდა, სავარძელში ღრმად ჩაჯდა და ისე თქვა:

— არა, ამის ნებას არ მოგცემთ, ძვირფასო ბიჭო. მე სამოცი წლი ა ვარ და უფლება მაქვს, დაგარიგოთ. დანაშაულს ნურასოდეს ჩაიდენთ, ვის მიმართაც არ უნდა იყოს მიმართული ეს დანაშაული. სიბერემდე სინდისი შეუბღალავი იქონიეთ.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, მომიტევეთ, ეს ვაჟბატონი ახლა შვონდერმაც თუ დაამუშავა, მერე ნახეთ, რაც იქნება! ღმერთო ჩემო, მე ახლაღა ვხვდები, შარიკოვისგან რა შეიძლება დადგეს.

— ჰოო! ახლაღა მიხვდით? მე კი ოპერაციიდან ათი დღის შემდეგ ყველაფერს მივხვდი. ეს კი იცოდეთ, ყველაზე დიდი სულელი შვონდერია. ვერც მიმხვდარა, რომ შარიკოვი მისთვის უფრო საშიშია, ვიდრე ჩემთვის. შვონდერი ახლა ყოველნაირად ცდილობს შარიკოვი ამიმხედროს, მაგრამ ვერ მოუსაზრებია, რომ შარიკოვს ვინმე ახლა მის წინააღმდეგ თუ აამხედრებს, იგი მას ერთიანად გაიცამტვერებს.

— მაშ რა იქნება! ჯერ კატებს რა დღეს აყრის. მას ხომ ძაღლის გული აქვს.

— ოჰ, არა, არა, — უპასუხა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — ექიმო, უდიდესი შეცდომა მოგდით, ძაღლს რას ერჩით, ღვთის გულისათვის, ცილს ნუ სწამებთ. კატები დროებითი ამბავია... ამას დისციპლინა და ორი-სამი კვირის მონდომება სჭირდება. გარწმუნებთ. ბევრი-ბევრი ერთი თვე გავა და კატების დევნას მიატოვებს.

— ახლა რატომ არ უნდა მიატოვოს?

— ივან არნოლდოვიჩ, ეს ელემენტარული რამაა... აბა, რას მეკითხებით? ჰიპოფიზი ჰაერში ხომ არ გამოეკიდება? რაც უნდა იყოს, ძაღლის ტვინშია გადანერგილი, აცალეთ შეეგუოს. ამჟამად შარიკოვი ძაღლური ჩვევების ნაშთებსღა ამჟღავნებს და იცოდეთ, კატების დევნა ყველაზე უკეთესია, რასაც იგი სჩადის. თუ დაფიქრდებით, საშინელება ის გახლავთ, რომ მას უკვე ძაღლური კი არა, სწორედ ადამიანური გული აქვს. ყველაზე უხეირო რამ, რაც კი ამქვეყნად არსებობს!

უკიდურესად გაცხარებულმა ბორმენტალმა ღონიერი ხმელი ხელები მომუშტა, მხრები შეარხია და მტკიცედ თქვა:

— რა თქმა უნდა. მოვკლავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამას გიკრძალავთ! — კატეგორიულად უთხრა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

— მომიტევეთ, მაგრამ...

ფილიპ ფილიპოვიჩმა უცებ ყურები ცქვიტა, თითი შემართა.

— მოიცადეთ... ფეხის ხმა მომესმა.

ეროვნული

ორივემ ყური მიუგდო, მაგრამ დერეფანში სიჩუმე [illegible]

— მომეჩვენა, — თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა და გაცხარებით დაიწყო ლაპარაკი გერმანულად. რამდენჯერმე რუსული სიტყვაც გაურია. სისხლის სამართლის დანაშაულიც ახსენა.

— ერთ წუთს მოიცადეთ, — ახლა ბორმენტალმა ცქვიტა ყურები და კარისაკენ ნაბიჯი გადადგა. ფეხის ხმა აშკარად ისმოდა. ვიღაც კაბინეტს უახლოვდებოდა. თან ბუტბუტიც ერთვოდა. ბორმენტალმა კარი გამოაღო და განცვიფრებულმა უკან დაიხია. გაოგნებული ფილიპ ფილიპოვიჩი სავარძელში გაშეშდა.

დერეფნის განათებულ ოთხკუთხედში ღამის პერანგისამარა, სახეწამოწითლებული, გაალმასებული დარია პეტროვნა გამოჩნდა. ექიმსაც და პროფესორსაც თვალი მოსჭრა ძლიერი და, როგორც ორივეს შიშისაგან მოეჩვენა, სრულიად შიშველი სხეულის ხვავრიელებამ. დარია პეტროვნა ღონიერი ხელებით რაღაცას მოათრევდა და ეს „რაღაცა“ არ ემორჩილებოდა, უკანალზე ჯდებოდა, შავი ბალნით დაფარულ მოკლე ფეხებს პარკეტზე მოათრევდა და ერთმანეთში ხლართავდა. „რაღაცა“, რაღა თქმა უნდა, თავგზააბნეული, ჯერ კიდევ მთვრალი, თმაგაჩეჩილი, პერანგისამარა შარიკოვი იყო.

უზარმაზარმა, შიშველმა დარია პეტროვნამ შარიკოვი კარტოფილის ტომარასავით შეანჯღრია და მერე წარმოთქვა:

— ბატონო პროფესორო, დატკბით ჩვენი ვიზიტორის, ტელეგრაფ ტელეგრაფოვიჩის ცქერით. მე განათხოვარი ვარ, მაგრამ ზინა უბიწო ქალწულია. კიდევ კარგი, გამომეღვიძა.

ამ სიტყვის თქმისთანავე დარია პეტროვნა სირცხვილმა აიტანა, ერთი წამოიკივლა, მკერდზე ხელები აიფარა და გაიქცა.

— დარია პეტროვნა, მოგვიტევეთ, თუ ღმერთი გწამთ, — უკან დაადევნა გონს მოსულმა და სახეალანძულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

ბორმენტალმა პერანგის სახელოები უფრო მაღლა აიკეცა და შარიკოვისაკენ დაიძრა. ფილიპ ფილიპოვიჩმა ბორმენტალს თვალებში ჩახედა და თავზარი დაეცა.

— რას სჩადით, ექიმო... მე გიკრძალავთ...

ბორმენტალმა შარიკოვს მარჯვენა ხელი ქეჩოში დასტაცა და ისე დააბერტყა, პერანგი მკერდზე გადაუფხრიწა.

ფილიპ ფილიპოვიჩი ბორმენტალისაკენ გაექანა და ჩაეჭიდა, ცდილობდა, ჩია შარიკოვი ქირურგისათვის ჭანგებივით მძლავრი ხელებიდან გამოეტაცა.

— ცემა-ტყეპის უფლება არა გაქვთ! — ყვიროდა იატაკზე ჩამჯდარი, სანახევროდ გაგუდული შარიკოვი და თანდათან ფხიზლდებოდა.

— ექიმო! — ღრიალებდა ფილიპ ფილიპოვიჩი.

ბორმენტალი ცოტათი გონს მოეგო და შარიკოვს ხელი გაუშვა. იგი უმალვე აზლუქუნდა.

— ჰო, კარგი, — ჩაისისინა ბორმენტალმა. — დილამდე მოვიცადოთ. როცა გამოფხიზლდება, მერე ნახოს, რა ბენეფისს გავუმართავ.

მან შარიკოვს ხელები იღლიაში ამოსდო და მისაღები ოთახისაკენ წაათრია დასაძინებლად.

შარიკოვი წიხლების აყრას ცდილობდა, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა ფეხები გააბორძიკა, ლაჟვარდისფერი ხალათის კალთები ააფრიალა, ხელები და თვალები დერეფნის ჭერზე ჩამოკიდებულ [illegible]საკენ აღაპყრო და აღმოხდა:

ბიბლიოთეკა

— უჰ-უჰ...

IX

ექიმი ბორმენტალი შარიკოვს კი შეჰპირდა, დილაზე ბენეფისს გაგიმართავო, მაგრამ ეს ბენეფისი აღარ შედგა, ვინაიდან პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩი სახლიდან გაქრა. ბორმენტალი სასოწარკვეთილებას მიეცა, მერე გაფთრდა, საკუთარ თავს ლანძღავდა, ამბობდა, ნამდვილი ვირი ვარ, სადარბაზოს გასაღები როგორ არ დავმალეო, გაჰყვიროდა, ეს არ მეპატიებაო, მერე იმით დაასრულა, რომ ინატრა, ნეტავი შარიკოვს ავტობუსი გასრესდესო. ფილიპ ფილიპოვიჩი კაბინეტში იჯდა, თითები თმაში შეეყო და გულამღვრეული ამბობდა:

— წარმომიდგენია, ქუჩაში რა ალიაქოთი ატყდებოდა... წარმომიდგენი-ა. სევილიიდან გრენადამდე, ღმერთო ჩემო.

— იქნებ ჯერ კიდევ საბინაო კომიტეტში იყოს, — ბობოქრობდა ბორმენტალი.

მან საბინაო კომიტეტში შეირბენა, შვონდერს წაეჩხუბა და ისე გამოლანძღა, რომ იგი დაჯდა და განცხადება დაწერა ხომოვნიკის რაიონის სასამართლოში შესატანად, თან ყვიროდა, მე პროფესორ პრეობრაჟენსკის აღსაზრდელის დარაჯი არა ვარ, მით უმეტეს, რომ ეს აღსაზრდელი, პოლიგრაფი, არამზადა გამოდგა, გუშინ კოოპერატივში სახელმძღვანელოების შესაძენად მიდიოდა და საბინაო კომიტეტს ამ საბაბით 7 მანეთი დასტყუაო.

ფიოდორმა მთელი სახლი სახურავიდან სარდაფამდე გაჩხრიკა. რაშიც გასამრჯელოდ სამი მანეთი მიიღო, მაგრამ შარიკოვის კვალს ვერსად მიაგნო.

მხოლოდ ერთი რამ გამოირკვა — პოლიგრაფი შინიდან თურმე გათენებისას წავიდა, პალტო ეცვა, კეპი ეხურა და ყელზე შარფი ჰქონდა მოხვეული. ამას გარდა, თან წაიღო ბუფეტიდან აწაპნული ერთი ბოთლი ცირცელის ნაყენი, ექიმ ბორმენტალის ხელთათმანები და თავისი ყველა საბუთი. დარია პეტროვნამ და ზინამ უსაზღვრო სიხარული დაუფარავად გამოხატეს, იმედი გამოთქვეს, შარიკოვი იქნებ აღარასოდეს დაბრუნდესო. შარიკოვს დარია პეტროვნასაგან წინა დღეს სამი მანეთი და ათი შაური უსესხია.

— ახია თქვენზე! — ბრღღვინავდა ფილიპ ფილიპოვიჩი და მუშტებს იქნევდა. ტელეფონი მთელ დღეს წკრიალებდა. ტელეფონი წკრიალებდა მეორე დღესაც. ექიმებმა უჩვეულოდ ბევრი პაციენტი მიიღეს, მესამე დღეს კი კაბინეტში მწვავედ წამოიჭრა საკითხი, რომ შარიკოვის ამბავი მილიციისათვის შეეტყობინებინათ, რათა მოსკოვში უგზო-უკვლოდ დაკარგული აღმოეჩინათ.

მილიცია ახსენეს თუ არა, ობუხოვის შესახვევის მყუდროება სატვირთო მანქანის ღმუილმა გაპო და სახლის ფანჯრები აზრიალა. მერე ზარი გულდაჯერებით აწკრიალდა და პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩი შემოვიდა. თავი ძალზე ღირსეულად ეჭირა, კეპი მოიხადა, პალტო რქაზე ჩამოკიდა. ახლა სხვანაირად გამოწყობილი აღმოჩნდა. ნახმარი ტყავის ქურთუკი. ტყავისავე გაცრეცილი

შარვალი და მაღალი, მუხლებამდე ზონარებგაყრილი ინგლისური ჩექმები ეცვა. წინკარში უმალვე კატების საშინელი სუნი დატრიალდა. პრეობრაჟენსკიმ და ბორმენტალმა გულხელი ერთდროულად დაიკრიფეს, წინ ახლოს დადგნენ და სმენად იქცნენ, უცდიდნენ, პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩი ახლა რას იტყოდა. მან ხეშეშა თმაზე ხელი გადაისვა, ჩაახველა და ისე მიმოიხედა, აშკარად დაეტყო, შეცბუნებული რომ იყო და ამის დაფარვას მოურიდებლობით ცდილობდა.

— ფილიპ ფილიპოვიჩ, — წამოიწყო მან ბოლოს. — თანამდებობა მომცეს.

ორივე ექიმი შეიშმუშნა და ორივეს ყელიდან გაურკვეველი მშრალი ხმა ამოხდა. პრეობრაჟენსკიმ პირველმა მოიკრიბა გონება, შარიკოვისკენ ხელი გაიწოდა და უთხრა:

— ქაღალდი მომეცით.

ქაღალდზე დაბეჭდილი იყო: „ამის წარმომდგენი ამხანაგი პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩ შარიკოვი ნამდვილად არის მოსკოვის კომუნალური მეურნეობის განყოფილებაში ქალაქ მოსკოვის მაწანწალა ცხოველებისგან (კატებისაგან და სხვ.) გამწმენდი ქვეგანყოფილების გამგე".

— მაშ ასე, — გულმძიმედ თქვა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — იქ ვინ მოგაწყოთ? თუმცა თვითონაც მივხვდი.

— დიახ, შვონდერმა მომაწყო, — უპასუხა შარიკოვმა.

— ნება მიბოძეთ, გკითხოთ — ასეთი საძაგელი სუნი რატომ აგდით?

შეფიქრიანებულმა შარიკოვმა ქურთუკს დასუნა.

— მერედა რა მოხდა, რომ ამდის... ცხადია, სპეციალობის გამო. გუშინ კატებს ვახრჩობდით და ვახრჩობდით...

ფილიპ ფილიპოვიჩი შეკრთა. ბორმენტალს შეხედა. ექიმს თვალები შარიკოვისათვის დამიზნებულ ორ შავ ლულას მიუგავდა. შარიკოვს ყოველგვარი შესავლის გარეშე სწრაფად მიუახლოვდა და ყელში მსუბუქად, თავდაჯერებულად სწვდა.

— მიშველეთ — ამოიწკნავლა გაფითრებულმა შარიკოვმა.

— ექიმო!

— ფილიპ ფილიპოვიჩ, ფიქრი ნუ გაქვთ, არაფერს ჩავიდენ, — მტკიცე ხმით თქვა ბორმენტალმა და მერე შეჰყვირა: — ზინა, დარია პეტროვნა!

ისინი წინკარში გამოეცხადნენ.

— აბა, გაიმეორეთ, — უთხრა შარიკოვს ბორმენტალმა და ყელი ქურქში ოდნავ ჩაარგვევინა. — გთხოვთ, მომიტევოთ...

— ჰო, კარგი, გავიმეორებ,—ჩახრინწული ხმით თქვა მთლად გაოგნებულმა შარიკოვმა, უცებ ჰაერი ჩაისუნთქა, განზე გაიწია და შეეცადა დაეყვირა, მიშველეთო, მაგრამ ყვირილი ვერ მოახერხა და თავი ქურქში მთლიანად ჩამალა.

— ექიმო, გემუდარებით.

შარიკოვმა ბორმენტალს თავი დაუქნია იმის ნიშნად, გემორჩილები და გავიმეორებო.

— ...გთხოვთ, მომიტევოთ, ღიდად პატივცემულო დარია პეტროვნა და ზინაიდა?...

— პროკოფიევნა, — ჩაიჩურჩულა შეშინებულმა ზინამ.

— უჰ, პროკოფიევნა... — თქვა და სული მოითქვა ხმაჩახლეჩილმა შარიკოვმა, — ...რომ თავს ნება მივეცი...

— იმ ღამეს საძაგლად მოქცეულიყავი სიმთვრალისას.

— სიმთვრალისას...

— ალარასოდეს აღარ ვიზამ...

— აღარ ვი...

— ხელი გაუშვით, ხელი გაუშვით, ივან არნოლდოვიჩ, — ერთდროულად შეევედრა ბორმენტალს ორივე ქალი, — ხელი გაუშვით, თორემ გაგუდავთ.

ბორმენტალმა შარიკოვს ხელი გაუშვა და მერე ჰკითხა:

— სატვირთო მანქანა გიცდით?

— არა, — მოწიწებით უპასუხა პოლიგრაფმა, — მანქანით მხოლოდ მომიყვანეს.

— ზინა, მანქანა გაუშვით. ახლა ეს მიბრძანეთ: ისევ ფილიპ ფილიპოვიჩის ბინაში დაბრუნდით?

— მაშ სად წამესვლება? — მოკრძალებით უპასუხა შარიკოვმა და თვალები გააცეცა.

— ძალიან კარგი. თქვენგან ზედმეტი სიტყვა აქ აღარავინ გაიგონოს. თუ რაიმე კიდევ დაგიშავებიათ, იცოდეთ, საქმე ჩემთან გექნებათ. გასაგებია?

— გასაგებია, — უპასუხა შარიკოვმა.

სანამ ბორმენტალი შარიკოვს ათვინიერებდა, ფილიპ ფილიპოვიჩი დუმდა. იგი წირთხლთან ატუზულიყო, ფრჩხილს იკვნეტდა და პარკეტს ჩაშტერებოდა. მერე შარიკოვს უეცრად შეხედა და ყრუ ხმით, მექანიკურად ჰკითხა:

— რას უშვრებით, აი, იმ... დახოცილ კატებს?

— დააფეშხოებენ, — უპასუხა შარიკოვმა, — მუშათა კრედიტით ცილას დაამზადებენ.

ამის შემდეგ ბინაში მყუდროებამ დაისადგურა და ამ მყუდროებამ ორ დღეს გასტანა. პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩი დილას სატვირთო მანქანით მიდიოდა, საღამოთი ბრუნდებოდა და ფილიპ ფილიპოვიჩთან და ბორმენტალთან ერთად წყნარად სადილობდა.

ბორმენტალსა და შარიკოვს თუმცა ერთად ეძინათ მისაღებ ოთახში, ერთმანეთს მაინც არ ელაპარაკებოდნენ, ისე რომ ბორმენტალმა პირველმა მოიწყინა.

ორი დღის შემდეგ ბინაში გამხდარი, თვალებმოხატული, კრემისფერწინდებიანი, გაცრეცილპალტოიანი ქალიშვილი გამოჩნდა. ბინის დიდებულებამ ძალზე შეაცბუნა. იგი შარიკოვს უკან მისდევდა და წინკარში პროფესორს შეეჩეხა.

ფილიპ ფილიპოვიჩი გაოგნებული შეჩერდა და თვალებმოწკურულმა ჰკითხა:

— ნება მიბოძეთ, შევიტყო, რა ხდება?

— მე ამასთან ხელს ვაწერ. ჩვენი მემანქანეა, აქ ჩემთან ერთად იცხოვრებს. ბორმენტალი მისაღები ოთახიდან უნდა გამოვასახლოთ. მას თავისი ბინა აქვს, — ძალზე მტრულად, პირქუშად განუმარტა შარიკოვმა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა თვალები აახამხამა. იგი სახეწამოჭარხლებულ ქალიშვილს უყურებდა და ფიქრობდა, მერე ძალზე თავაზიანად მიიწვია:

— გთხოვთ, ერთი წუთით ჩემს კაბინეტში შემობრძანდეთ.

— მეც შემოვალ, — სასწრაფოდ, ეჭვიანად უთხრა ფილიპ ფილიპოვიჩს შარიკოვმა.

ამ დროს, მეუსეულად, თითქოს მიწიდან ამოსხლტაო, იქვე გაჩნდა ბორმენტალი.

— უკაცრავად, —უთხრა მან შარიკოვს. — პროფესორი ქალთან ისაუბრებს, ხოლო მე და თქვენ აქ დავრჩებით.

— თქვენთან დარჩენა არ მინდა, — ბრაზიანად უპასუხა შარიკოვმა და შეეცადა უკან გაჰყოლოდა სირცხვილისაგან ალმურმოდებულ ქალიშვილსა და ფილიპ ფილიპოვიჩს.

— არა, უკაცრავად, — ბორმენტალმა შარიკოვს მკლავზე ხელი ჩასჭიდა და გასასინჯი ოთახისკენ წაიყვანა.

ხუთ წუთს კაბინეტიდან არაფერი მოისმოდა, მერე კი უცებ მოაღწია ქალიშვილის ყრუ ქვითინმა.

ფილიპ ფილიპოვიჩი მაგიდასთან იდგა, ხოლო ქალიშვილს სახეზე მაქმანშემოვლებული ჭუჭყიანი ცხვირსახოცი აეფარებინა და ტიროდა.

— ამ არამზადამ მითხრა, ბრძოლაში ვარ დაჭრილიო, — ქვითინებდა ქალიშვილი.

— ცრუობს, — მტკიცედ უთხრა ფილიპ ფილიპოვიჩმა, თავი გააქნია და განაგრძო. — გულწრფელად მებრალებით, მაგრამ პირველივე შემხვედრის ნებას ხომ არ უნდა აჰყვეთ, მხოლოდ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო..., შვილო, ეს ხომ უმსგავსობაა... იცით, რა... — მან საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია და სამი ცალი სამთუმნიანი ამოიღო.

— თავს მოვიწამლავ, — ტიროდა ქალიშვილი, — სასადილოში ყოველდღე დამარილებული ხორცია... ეს კიდევ სულ მემუქრება... მეუბნება, წითელი მეთაური ვარო... ჩემთან მდიდრულად მორთულ ბინაში იცხოვრებო... ყოველდღე ანანასს გაჭმევო... ამბობს, ფსიქიკა გულკეთილი კაცისა მაქვსო, მარტო კატები მძულსო. ბეჭედი გამომართვა, სახსოვრად მქონდესო...

— ჰო, ჰო, ჰო, — გულკეთილი კაცის ფსიქიკა... სევილიიდან გრენადამდე, — ბუტბუტებდა ფილიპ ფილიპოვიჩი. — ბევრი რამის გადატანა მოგიწევთ — ჯერ ისე ახალგაზრდა ხართ...

— ნუთუ სწორედ იმ სახლის თალქვეშ?

— როცა ფულს სესხად გაძლევენ, უნდა გამომართვათ, — ჩაიბურდღუნა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

მერე კარი ფართოდ გაიღო და ბორმენტალმა შარიკოვი ფილიპ ფილიპოვიჩის მიწვევით კაბინეტში შემოიყვანა. შარიკოვი თვალებს აცეცებდა, თავზე ბალანი ჯაგარივით აშლოდა.

— არამზადა, — თქვა ქალიშვილმა, ნამტირალევი და მოთხუპნული თვალები უელავდა, გაპუდრულ ცხვირზე ცრემლების ნაკვალევი ზოლ-ზოლად ჩასდევდა.

შარიკოვმა ვა-ბანკზე თამაში არჩია.

— კოლჩაკის ფრონტზე დავიჭერი, — ჩაილრინა მან.

ქალიშვილი წამოდგა და კარისკენ ქვითინით გაემართა.

— მორჩით ტირილს, — დაადევნა მას ფილიპ ფილიპოვიჩმა. — მოიცადეთ. ბეჭედი მიბოძეთ, — მიმართა შარიკოვს.

შარიკოვმა ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი თითიდან მორჩილად წაიძრო.

— კარგი, კარგი, — უცებ გულბოროტად უთხრა მან ქალიშვილს, — იცოდე, ამას არ შეგარჩენ. ხვალვე შტატების შემცირებას მოგიწყობ.

— ნუ გეშინიათ, — გასძახა ქაშილევილს ბორმენტალმა, — ნებას არ მივცემ, რომ რაიმე გავნოთ. — მერე შარიკოვისაკენ შეტრიალდა და ისე შეხედა, რომ მან უკან დაიხია და კეფა კარადას შეახალა.

— რა გვარისაა ეს ქალიშვილი? — ჰკითხა მას ბორმენტალმა. — რა გვარისა-მეთქი! — დაიღრიალა უეცრად და ისე გამძვინვარდა, საზარელი შესახედავი შეიქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვასნეცოვა, — უთხრა შარიკოვმა და გასასხლტომის მოსაძებნად თვალი განზე გააპარა.

ბორმენტალმა შარიკოვს ქურთუკის ლაცკანზე ხელი ჩასჭიდა და უთხრა:

— იცოდე, დასუფთავების მეურნეობაში ყოველდღე მე თვითონ შევამოწმებ, მოქალაქე ვასნეცოვა შეამცირეს თუ არა, ჰოდა, თუ შევიტყობ... რომ შეამცირეთ... მაშინ... საკუთარი ხელით აქვე მიგახვრეტთ. მიფრთხილდით, შარიკოვ! მე მგონი, გასაგებად გეუბნებით.

შარიკოვი ბორმენტალს ცხვირზე თვალჩაშტერებით უცქეროდა.

— რევოლვერები ჩვენ თვითონ მოგვეძევება... — უხალისოდ ჩაიბურტყუნა პოლიგრაფმა, უეცრად დრო იხელთა და კარებში მარჯვედ გასხლტა.

— მიფრთხილდით! — დერეფანში წამოეწია ბორმენტალის ყვირილი.

იმ ღამით და მეორე დღეს, შუადღემდე, მყუდროება არ დარღვეულა, თუმცა ეს მყუდროება ავდრის წინ წამოგრაგნილ ქუფრ ღრუბელს მიაგავდა: ყველანი დუმდნენ, მეორე დღეს კი, როცა პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩი, რომელსაც დილით გულმა რაღაც ცუდი უგრძნო, სამსახურში სატვირთო მანქანით შუბლმოღრუბლული წავიდა, პროფესორმა პრეობრაჟენსკიმ უდროო დროს მიიღო ერთი აღრინდელი პაციენტი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი, სქელი, ტანმაღალი კაცი. იგი მიღებას დაჟინებით ითხოვდა და ფილიპ ფილიპოვიჩი დაიყოლია. კაბინეტში როცა შემოვიდა, ქუსლი ქუსლს თავაზიანად მიარტყა და პროფესორს მიესალმა.

— ტკივილები გაგიახლდათ, ჩემო კარგო? — ჰკითხა ლოყებჩაცვივნულმა ფილიპ ფილიპოვიჩმა, — დაბრძანდით, გეთაყვა.

— მერსი. არა, პროფესორო, — უპასუხა სტუმარმა და მუზარადი მაგიდის კუთხეში ჩამოდო. — თქვენი დიდად მადლიერი გახლავართ... ჰმ... ფილიპ ფილიპოვიჩ, თქვენთან სხვა საქმეზე ვარ მოსული... თქვენდამი უდიდესი პატივისცემით ვარ განმსჭვალული და ამიტომ... ჰმ... მინდა, რომ გაგაფრთხილოთ. აშკარა მონაჩმახია, ნამდვილი არამზადის შეთითხნილი... — პაციენტმა პორტფელში ხელი ჩაყო და ქაღალდი ამოიღო. — კიდევ კარგი, უშუალოდ მე მომახსენეს...

ფილიპ ფილიპოვიჩმა ცხვირზე, სათვალის ზემოდან, პენსნე დაიკოსა და კითხვას შეუდგა. იგი დიდხანს ბუტბუტებდა თავისთვის და სახის ფერი წარამარა ეცვლებოდა. „... ამას გარდა, იმუქრებოდა, საბინაო კომიტეტის თავმჯდომარეს, ამხანაგ შვონდერს მოვკლავო, რაც იმას ადასტურებს, რომ ცეცხლმსროლელი იარაღი აქვს. კონტრრევოლუციურ აზრებს გამოთქვამს, როგორც აშკარა მენშევიკი, თავის ასისტენტთან, ივან არნოლდოვიჩ ბორმენტალთან საუბრისას, ვინც მის ბინაში მალულად, ჩაუწერავად ცხოვრობს. ისე გაკადნიერდა,

რომ სოციალ-მოსამსახურეს, ზინაიდა პროკოფიევნა ბუნინას ჩემულსი ლუმელში დააწვევინა. დასუფთავების ქვეგანყოფილების გამგის პ. პ. შარიკოვის ხელმოწერით ვადასტურებ. საბინაო კომიტეტის თავმჯდომარე შვონდერი, მდივანი პიოსტრუხინი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნებას მიბოძებთ, ეს დავიტოვო? — ჰკითხა სტუმარმა ფილიპ ფილიპოვიჩმა და სახე აუფორიაქდა, — ანდა უკაცრავად, იქნებ თქვენ გესაჭიროებათ, რათა საქმეს კანონიერი მსვლელობა მისცეთ?

—მომიტევეთ, პროფესორო, — ძალზე განაწყენდა პაციენტი და ნესტოები დაებერა, — ჩვენ მართლა ძალიან აგვითვალწუნეთ. მე... — თქვა ეს და მამალი ინდაურივით აიფხორა.

— ოჰ, მომიტევეთ, მომიტევეთ, ჩემო კარგო! — აბუტბუტდა ფილიპ ფილიპოვიჩი, — შემინდეთ, ღმერთმანი, თქვენი განაწყენება არ მინდოდა. ნუ გამიწყრებით, ამ წყეულმა ისე გამაწამა...

— იციო, მისი ნახვა მაინტერესებს, — წყენამ მთლიანად გაუარა პაციენტს, — ერთხელ შევავლებ თვალს, მაინც რა არამზადაა ასეთი. მოსკოვში თქვენზე ნამდვილ ლეგენდებს ჰყვებიან...

ფილიპ ფილიპოვიჩმა ხელი სასოწარკვეთით ჩაიქნია. პაციენტმა იგი შეათვალიერა და გაიფიქრა, პროფესორი მოკუზულა და ამ ბოლო ხანს თითქოს უფრო გაჭაღარავებულაო.

დანაშაული მომწიფდა და ლოდივით უეცრად მოწყდა, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე. სატვირთო მანქანით დაბრუნებულ პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩს გული ავს უგრძნობდა. ბინაში შესულს ფილიპ ფილიპოვიჩის ხმა შემოესმა. იგი შარიკოვს გასასინჯ ოთახში მოუხმობდა. შარიკოვი გასასინჯ ოთახში შევიდა და გაოცებულმა ბორმენტალის სახეზე ლულებად ქცეულ თვალებს გაუცნობიერებელი შიშით შეხედა. მერე კი მზერა ფილიპ ფილიპოვიჩს მიაპყრო. ასისტენტს ირგვლივ კვამლის ღრუბელი ეხვია, სამეანო სავარძლის კრილა სახელურზე ჩამოდებული პაპიროსიანი მარცხენა ხელი ოდნავ უთრთოდა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა შარიკოვს უკიდურესად ავის მომასწავებელი სიმშვიდით უთხრა:

— ახლავე აიღეთ შარვლები, პალტო, ყველაფერი, რაც გჭირდებათ, და აქედან გასწით!

— რით? — გულწრფელად გაუკვირდა შარიკოვს.

— დღესვე წადით ჩემი ბინიდან, — მონოტონურად გაიმეორა ფილიპ ფილიპოვიჩმა და საკუთარ ფრჩხილებს თვალებმოჭუტული დააცქერდა.

პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩს თითქოს ავი სული ჩაუსახლდა; ეტყობა, აღსასრული მოუახლოვდა და ბედისწერის მახვილი თავს დაადგა. იგი გარდაუვალ ხვედრს თვით შეეგება და ავად, მჭახედ ჩაილრინა:

— რა ამბავია, მართლა და მართლა! რა გგონიათ, თქვენს ოხტში ვერ მოვალ? თექვსმეტი არშინი მეკუთვნის და აქედან ფეხს ვერავინ მომაცვლევინებს.

— მოშორდით აქაურობას! — გულში ჩამწვდომად ჩაიჩურჩულა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

შარიკოვმა სიკვდილს თავადვე მოუხმო. მან მარცხენა ხელი ასწია და კატის აუტანელი სუნით აქოთებული, დაკბენილი თითებით ფილიპ ფილიპოვიჩს ბრაწი აჩვენა, მერე მარჯვენა ხელით ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო და [illegible] თოდ შემართულ ბორმენტალს მიუშვირა. ბორმენტალის პაპიროსი [illegible] მოწყვეტილი ვარსკვლავივით დაექანა, ხოლო რამდენიმე წამის შემდეგ [illegible] ნებული ფილიპ ფილიპოვიჩი მინის ნამსხვრევებზე დახტოდა და კარადასა და ტახტს შორის აქეთ-იქით აწყდებოდა. დასუფთავების ქვეგანყოფილების გამგე ტახტზე ხელფეხგაფარჩხული ეგდო და ხრიალებდა, მკერდზე ქირურგი ბორმენტალი დასწოლოდა და პატარა თეთრი ბალიშით გუდავდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სახეშეშლილი ექიმი ბორმენტალი სადარბაზო შემოსასვლელში გავიდა და ზარის ღილაკის გვერდით ქაღალდი მიაკრა, რაზედაც ეწერა:

„პროფესორის ავადმყოფობის გამო დღეს მიღება არ იქნება. გთხოვთ, ზარის რეკვით ნუ შეგვაწუხებთ".

ბორმენტალმა ზარის მავთული ბრჭყვიალა ჯიბის დანით გადაჭრა, სარკეში დაკაწრულ-დასისხლიანებული სახე და დაფხაჭნილი, ოდნავ აცახცახებული ხელები შეათვალიერა, მერე სამზარეულოს კარი შეაღო და სმენადქცეულ ზინას და დარია პეტროვნას უთხრა:

— პროფესორი გთხოვთ, შინიდან არსად გახვიდეთ.

— კარგი. — მოკრძალებით თქვეს ზინამ და დარია პეტროვნამ.

— ნება მომეცით, უკან გასასვლელი კარი დავკეტო და გასაღები წავიღო, — განაგრძო ბორმენტალმა. — ასე დროებით ვიქნებით, მაგრამ იმის გამო არა, რომ არ გენდობით, ხომ იცით, ვინმე მოვა, თქვენ თავს ვერ შეიკავებთ და შემოუშვებთ. ჩვენ კი არ გვცალია, ხელი გვეშლება.

— კარგი. — უპასუხეს ქალებმა და უმალ გაფითრდნენ. ბორმენტალმა ჯერ უკან გასასვლელი კარი დაკეტა, მერე სადარბაზოში გასასვლელი კარი, ბოლოს წინკარის კარიც, და მისი ფეხის ხმა გასასინჯ ოთახთან მიწყდა.

ბინაში სიჩუმემ დაისადგურა, ყველა კუთხე-კუნჭული მოიცვა. ამაზრზენი, შეშფოთებული ბინდბუნდი შემოიჭრა, ერთი სიტყვით, წყვდიადი გამეფდა. თუმცა მეორე ეზოში მცხოვრები მეზობლები მერე ამბობდნენ, გასასინჯი ოთახის ფანჯრებში, ეზოს რომ გადმოჰყურებს, იმ ღამით პრეობრაჟენსკის ყველა შუქი ენთო და თვით პროფესორის თეთრი ჩაჩიც დავინახეთო... ამის შემოწმება ძნელია. ეს კი უნდა ითქვას, როცა ყველაფერი დასრულდა, ზინა ამბობდა, მას შემდეგ, რაც ბორმენტალი და პროფესორი გასასინჯი ოთახიდან გამოვიდნენ, კაბინეტში ივან არნოლდოვიჩის მოქმედებამ ძალიან შემაშინაო. იგი ბუხართან ჩაცუცქდა, იმ დასტიდან, სადაც პროფესორის პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიას წერდნენ, ლურჯყდიანი რვეული ამოიღო, საკუთარი ხელით დახია და ცეცხლს მისცა! ექიმი ერთიანად გამწვანებული ჩანდა და მთელი ცხვირ-პირი, დიახ, მთელი ცხვირ-პირი დაკაწრულ-დალადრული ჰქონდაო. ფილიპ ფილიპოვიჩიც იმ საღამოს ისეთი შესახედავი გახლდათ, ცნობა გაგიჭირდებოდათო. ამას გარდა... თუმცა შესაძლოა პრეჩისტენკის ბინადარი უბიწო ქალწული ზინა ცრუობდა კიდეც.

ერთი რამ კი შეგვიძლია უდავოდ ვთქვათ: იმ ღამეს მთელ ბინაში შემაძრწუნებელი სიჩუმე იდგა.

## მოთხრობის დასასრული

### ეპილოგი

გასასინჯ ოთახში მომხდარი ბრძოლიდან ათი დღის შემდეგ ღამით, ზუსტად იმავე დროს, ობუხოვის შესახვევში, პროფესორ პრეობრაჟენსკის ბინაზე ზარის მკახე ხმა გაისმა.

— სისხლის სამართლის მილიციას და გამომძიებელს კარი გაუღეთ, თუ შეიძლება.

გაისმა ფეხის ხმა, ბრაგაბრუგი და შუქით გაჩირაღდნებულ მისაღებ ოთახში, სადაც ხელახლა შემინული კარადები იდგა, თავი მოიყარა კარგა ბლომა ხალხმა. მოსულთაგან ორი მილიციის ფორმაში იყო გამოწყობილი, ერთს შავი პალტო ეცვა და პორტფელი ეჭირა. იქვე იყვნენ: გულდაწყვეტილი, ფერმიხდილი თავმჯდომარე შვონდერი, ჭაბუკ-ქალი, შვეიცარი ფიოდორი, ზინა, დარია პეტროვნა და ნახევრადჩაცმული ბორმენტალი, უჰალსტუხო ყელზე ხელს მორცხვად რომ იფარებდა.

კაბინეტის კარი გაიღო და ფილიპ ფილიპოვიჩი გამოვიდა. მას ყველასთვის ნაცნობი ლაჟვარდისფერი ხალათი ეცვა. უმალ ყველამ შეამჩნია, რომ ფილიპ ფილიპოვიჩი ამ ბოლო კვირას ძალზე მოკეთებულიყო. ძველებურად ქედმაღალი და ენერგიული, ღირსეულად წარსდგა სტუმართა წინაშე და მოიბოდიშა, ხალათით მოსილი რომ შეგხვდითო.

— ნუ მოგერიდებათ, პროფესორო, — უთხრა მას ძალზე შეცბუნებულმა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა კაცმა, — მაგრამ ჩვენ ორდერი გვაქვს თქვენი ბინის გასაჩხრეკად, — კაცმა ფილიპ ფილიპოვიჩის ულვაშებს თვალი ალმაცერად შეავლო და დაასრულა. — დასაპატიმრებლადაც, გაჩხრეკის შედეგის მიხედვით.

ფილიპ ფილიპოვიჩმა თვალები მოწკურა და ისე ჰკითხა:

— გაებედავ და გკითხავთ, ვის დაპატიმრებას აპირებთ და რა ბრალდებით?

კაცმა ლოყა მოიფხანა, პორტფელიდან ქაღალდი ამოიღო და კითხვას შეუდგა:

— დაპატიმრებულ იქნეს პრეობრაჟენსკი, ბორმენტალი, ზინაიდა ბუნინა და დარია ივანოვა მოსკოვის კომუნალური მეურნეობის დასუფთავების ქვეგანყოფილების გამგის პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩ შარიკოვის მკვლელობის ბრალდებით.

მისი ბოლო სიტყვები ზინას ქვითინმა დაფარა, ირგვლივ მყოფნი აფორიაქდნენ.

— ვერაფერი ვამიგია, — უპასუხა მოსულს ფილიპ ფილიპოვიჩმა და მხრები მეფურად ზეასწია. — რომელ შარიკოვზე მელაპარაკებით? ოჰ, უკაცრავად, ჩემს ძაღლზე... ოპერაცია რომ გავუკეთე?

— მომიტევეთ, პროფესორო, ძაღლზე კი არა, როცა უკვე ადამიანი იყო, იმაზე. აი, საქმე როგორ გახლავთ.

— ანუ როცა ლაპარაკობდა? — ჰკითხა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — ეს გაადამიანებას კიდევ არ ნიშნავს, თუმცა ამას მნიშვნელობა არა აქვს. შარიკი არავის მოუკლავს და ახლაც ცოცხალი გახლავთ.

— პროფესორო, — თქვა ძალზე განცვიფრებულმა შავპალტოიანმა კაცმა, — მაშინ უნდა წარმოგვიდგინოთ. ათი დღეა, რაც დაკარგულია და ცნობები, უკაცრავად გახლავართ, ძალზე ცუდი გვაქვს.

— ექიმო ბორმენტალო, კეთილინებეთ და შარიკა გამომძიებელს წარუდგინეთ, — უბრძანა თავის ასისტენტს ფილიპ ფილიპოვიჩმა და შავპალტოიანს ორდერი გამოართვა.

ექიმმა ბორმენტალმა ცალყბად გაიღიმა და გავიდა. როცა უკან დაბრუნდა და დაუსტვინა, კაბინეტის კარიდან უცნაური ძაღლი გამოხტა. ალაგ-ალაგ გამელოტებული იყო და ალაგ-ალაგ ბალანი წამოზრდოდა. ცირკში გაწვრთნილნათამაშევივით უკანა თათებზე შემდგარი მოდიოდა, მერე ოთხივე თათზე დადგა და იქაურობა მოათვალიერა. მისაღებ ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კოშმარული შესახედაობის ძაღლი, შუბლზე წითელი ნაიარევი რომ შემორკალოდა, კვლავ უკანა თათებზე წამოდგა და სავარძელში ღიმილით ჩაჯდა.

მეორე მილიციელმა უეცრად პირჯვარი გადაიწერა, უკან დაიხია და ზინას ორივე ფეხზე ერთდროულად დააბიჯა.

შავპალტოიანმა კაცმა პირი დაალო და ასევე პირდაღებულმა წარმოთქვა:

— მომიტევეთ. რა ხდება, ეს ხომ დასუფთავებაში მსახურობდა?

— იქ მე არ დამინიშნავს, — უპასუხა ფილიპ ფილიპოვიჩმა. — თუ არ ვცდები, რეკომენდაცია ბატონმა შვონდერმა მისცა.

— ის არის, — თქვა ხმამილეულმა მილიციელმა, — ნამდვილად ის არის.

— უეჭველია, — გაისმა ფიოდორის ხმა. — ოღონდ ისევ შებალნულა ეს არამზადა.

— ის ხომ ლაპარაკობდა... კხე... კხე...

— ახლაც ლაპარაკობს, მაგრამ თანდათან ნაკლებად, ისე რომ, ისარგებლეთ და მოუსმინეთ, თორემ მალე სულ დადუმდება.

— კი მაგრამ, რატომ? — ხმადაბლა იკითხა შავპალტოიანმა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა მხრები აიჩეჩა.

— მეცნიერებას ჯერჯერობით მხეცის ადამიანად გარდაქმნის საშუალებანი არ გააჩნია. მე შევეცადე და, როგორც ხედავთ, არ გამიმართლა. ერთხანს ილაპარაკა და კვლავ პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდა. ატავიზმია.

— უხამს სიტყვებს ნუ წარმოთქვამთ, — უეცრად ჩაიღრინა ძაღლმა და სავარძლიდან წამოდგა.

შავპალტოიანი კაცი უცებ გაფითრდა და გვერდზე გადაქანდა, პორტფელი ხელიდან გაუვარდა, მილიციელი დაბარბაცებულს გვერდიდან ამოუდგა, ფიოდორი უკანიდან. ატყდა ერთი ალიაქოთი და ამ ალიაქოთში ყველაზე გარკვევით სამი ფრაზა გაისმა:

ფილიპ ფილიპოვიჩისა:

— ვალერიანის წვეთები. გრძნობა დაკარგა.

ექიმ ბორმენტალისა:

— თუ შვონდერი პროფესორ პრეობრაჟენსკის ბინაში კიდევ გამოჩნდება, კიბეზე დავაგორებ.

და შვონდერისა:

— გთხოვთ, ექიმის ნათქვამი ოქმში შეიტანოთ.

●

მილთა ნაცრისფერი წყება მხურვალებას აფრქვევდა, პრეჩისტენკის მრუმე ღამესა და ეულ ვარსკვლავს ფარდები ფარავდა. ძაღლ[illegible], მედიდური უმაღლესი არსება სავარძელში იჯდა, ხოლო ძაღლი შარიკი ტყავის დივანთან ხალიჩაზე გაშხლართულიყო. ძაღლს მარტის ნისლისაგან ყოველ დილას თავის ტკივილი აწუხებდა, შუბლს ნაწიბურზე მტანჯველ რკალად რომ შემოვლებოდა. მაგრამ საღამოობით სითბოში ტკივილი უყუჩდებოდა და გონებაში აზრები მწყობრად, თბილად მიედინებოდა.

„როგორ გამიმართლა. ამ ბინაში დავმკვიდრდი. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩემს წარმოშობაში რაღაც ვერ არის რიგზე. უეჭველად მყვინთავი ძაღლია გარეული. ბებიაჩემი კახპა იყო, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ბებრუხანას. თუმცა თავი რატომღაც დამისერეს, მაგრამ არაფერია, ქორწილამდე მომირჩება."

შორს შუშები ყრუდ აწკარუნდა. დაკბენილი გასასინჯ ოთახში კარადებს ალაგებდა.

ჭაღარა ჯადოქარი კი იჯდა და ღიღინებდა:

— ნილოსის წმინდა ნაპირებისკენ...

ძაღლი შემზარავ საქმეთა მოწმე იყო. მედიდური კაცი სლიპინა ხელთათმანებით შემოსილ ხელებს ჭურჭელში ჰყოფდა და ტვინს იღებდა. — ჯიუტი და შეუპოვარი სულ რაღაცას ესწრაფოდა, ჭრიდა, ათვალიერებდა, თვალებს წკურავდა და მღეროდა:

— ნილოსის წმინდა ნაპირებისკენ...

1925 წ. იანვარი–მარტი.

მოსკოვი

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰუგო ფრიდრიხი

გერმანულიდან
თარგმნა ლამარა ნაროუშვილმა

# თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა

## (ბოდლერიდან ჩვენს დრომდე)

### I. მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

### თანამედროვე ლირიკა: დისონანსები და ანომალიები

მეოცე საუკუნის ევროპულ ლირიკას ადვილად ვერ მიუდგები. იგი ბუნდოვნად და გამოცანებით მეტყველებს; ამასთან, გამოირჩევა თვალშისაცემი პროდუქტიულობით. დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი ამ ლირიკოსთა შემოქმედების მნიშვნელობაში, როგორებიც არიან: გერმანიაში რილკე, ტრაკლი და სხვა ბენამდე, საფრანგეთში — აპოლინერი და სხვ. სენ-ჟონ პერსამდე, ესპანეთში — გარსია ლორკა და სხვ. გილიენამდე, იტალიაში — პალაცესკი და სხვ. უნგარეტიმდე, ანგლოსაქსებში — იეტსი და სხვ. ტ. ს. ელიოტამდე. ლირიკა თანამედროვეობის სულიერ მდგომარეობას არანაკლები ძალით გამოხატავს, ვიდრე ფილოსოფია, რომანი, თეატრი, მხატვრობა და მუსიკა.

ამ პოეტების კითხვისას მკითხველი თავისდა უნებურად თანამედროვე ლირიკის ერთ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას ეცნობა. ეს არის ბუნდოვანება, რომელიც ერთნაირი ძალით იზიდავს და თავგზასაც უბნევს მას; სიტყვის ჯადოსნური ძალა და იდუმალება კი იპყრობს, მაგრამ გაგება უჭირს. გაუგებარობა და მიმზიდველობის ამ თავშეყრას შეიძლება დისონანსი ვუწოდოთ, რადგან იგი წარმოშობს დაძაბულობას, რომელიც უფრო შეშფოთებას ელტვის, ვიდრე სიმშვიდეს. საერთოდ, დისონანსური დაძაბულობა თანამედროვე ხელოვნების მიზანია. ი. სტრავინსკი თავის Poétique musicale-ში (1948) წერს: „არაფერი გვაიძულებს, მხოლოდ სიმშვიდეში ვპოვოთ კმაყოფილება. საუკუნეზე მეტია, უამრავი მაგალითი მიგვანიშნებს ისეთ სტილზე, სადაც დისონანსმა დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა და თავისთავად საგნად იქცა. იგი არც არაფრისთვის გვამზადებს და არც რაიმე გვამცნობს. დისონანსი ისევე არ შეიცავს უწესრიგობას, როგორც კონსონანსი — დამაჯერებლობის გარანტიას". ეს სავსებით სწორია ხსენებული ლირიკის მიმართაც.

მისი ბუნდოვანება წინასწარგანზრახულია. ჯერ კიდევ ბოდლერი წერდა: „საამაყოა, გაუგებარი დარჩე". გ. ბენის აზრით, წერდე ლექსებს, ნიშნავს: უმთავრესი საგნები გაუგებარ ენამდე აამაღლო. მთლიანად ჩაიძირო იმ საგნებში, რომლებიც არ საჭიროებენ, რომ ვინმე მათში დაარწმუნო". აღტაცებით მიმართავს სენ-ჟონ-პერსი პოეტს: „შენ ორენოვანო ორწვეტიან საგნებს შორის, თავად კამათო ყველა მოდავეს შორის, მეტყველო მრავლისმეტყველად, მსგავსად მავანისა, რომელსაც გზა დაჰკარგვია ფრთებსა და ეკლებს შორის ბრძოლაში". და კვლავ უფრო ფხიზელი მონტალე: „არავინ დაწერდა ლექსებს, პოეზიის პრობლემა რომ გაგებინება იყოს."

* იბეჭდება შემოკლებით.

მსურველს უპირველესად ვურჩევდით, რომ თვალი იმ სიბნელეს შეაჩვიოს, რომელიც თანამედროვე ლირიკას მოსავს. აღსანიშნავია მისი მიდრეკილება, რაც შეიძლება გაერიდოს ცალსახა შინაარსს. ლექსი ისწრაფის, თავის თავში დასრულებული, მნიშვნელობით მრავალსახოვანი წარმონაქმნი იყოს, აბსოლუტურ ძალთა წნული, რომელიც შთამაგონებლად ზემოქმედებს წინარაციონალურ ფენებზე, მაგრამ, ასევე, მოძრაობაში მოჰყავს ცნებათა იდუმალი ზონები.

თანამედროვე ლექსის ეს დისონანსური დაძაბულობა საცნაურია სხვა ასპექტშიც. ასე, მაგალითად, მისტიკური, ოკულტური წარმომავლობის დამახასიათებელი ნიშნები კონტრასტს ქმნიან მკვეთრ ინტელექტუალობასთან, გამოთქმის სისადავე — ნათქვამის სირთულესთან, ენობრივი დასრულებულობა — შინაარსობრივ დაუმთავრებლობასთან, სიზუსტე — აბსურდულობასთან, მოტივის უმნიშვნელობა — სტილის მკვეთრ მოძრაობასთან. ეს ნაწილობრივ ფორმალური დაძაბულობებია და ხშირად სწორედ ასეთებადაა ნაგულისხმევი, მაგრამ ისინი თავს იჩენენ შინაარსშიც.

თუ თანამედროვე ლექსი სინამდვილეს ეხება — ადამიანი იქნება ეს თუ ნივთი — იგი არ მიმართავს აღწერას, მის დამოკიდებულებაში არ მოჩანს სითბო, ხედვამ და გრძნობამ დაკარგა ინტიმურობა, ხდება სინამდვილის გაუცხოება და დეფორმაცია. ლექსს აღარ სურს, იმ საზომით შეაფასონ, რასაც ჩვეულებრივ სინამდვილეს ეძახიან, თუნდაც ეს სინამდვილე საკავშირო თავისუფლებაში გასაჭრელად გამოეყენებინოს და მისი რაღაც ნარჩენები თან გაეყოლებინოს. სინამდვილე კარგავს სივრცისეულ, დროულ, ნივთიერ და სულიერ განზომილებებს, იცლება იმ განსხვავებებისაგან, რომლებიც ნორმალურ მსოფლშეგრძნებას ახლავს: ქრება განსხვავება მშვენიერსა და მახინჯს, ახლობელსა და შორეულს, ცასა და მიწას შორის.

ერთ-ერთი განმარტების თანახმად (რომელიც რომანტიკული პოეზიიდან ამოიკითხეს და სრულიად უმართებულოდ განაზოგადეს), ლირიკა გულის, გრძნობის ,პიროვნული სულის ენაა, რაც მიგვანიშნებს ინტიმურში განმუხტვას სულიერ საუფლოში დაბრუნების მეშვეობით: მას უმარტოსულესიც კი გაუზიარებს ყველას, ვისაც კი გრძნობის უნარი აქვს. სწორედ ამ კომუნიკაციურ მყუდროებას გაურბის თანამედროვე ლექსი. იგი თავს არიდებს ტრადიციულად გაგებულ ჰუმანურობას, „განცდას", „სენტიმენტალობას, ხშირად პოეტის პიროვნულ „მე"-საც. თავის ლექსებში პოეტი გვევლინება არა კერძო პირად, არამედ მთხზველ, მოაზროვნე არსებად, ენის ოპერატორად, ხელოვანად, რომელიც თავისი მბრძანებლური ფანტაზიით [illegible] ირეალური ხედვის ფერიცვალებას ნებისმიერ, თავისთავადი მნიშვნელობის [illegible] მასალაზე გამოსცდის. გამორიცხულია, [illegible] რომ ახალი ლექსი სულის ჯადოსნურ სილამაზეში იღებდეს სათავეს და მასვე აღვიძებდეს. მაგრამ ეს რაღაც სხვაა, ვიდრე გრძნობა. იგი წმინდა სუბიექტურობის მრავალხმიანობა და აბსოლუტურობაა, რომელიც ვეღარ დაიყოფა ცალკე გრძნობით ღირებულებებად.

„გრძნობა? გრძნობა არ გამაჩნია", — ამბობს თავის თავზე დიდი კადოქარი ბენი. იქ, სადაც სენტიმენტალობა ჩნდება, დაუნდობელი, დისონანსური სიტყვების რიკოშეტი აცამტვერებს მას.

შეიძლება ვილაპარაკოთ თანამედროვე პოეზიის აგრესიულ დრამატულობაზე. იგი თემების ან მოტივების მიმართებას განაგებს და მათ ერთმანეთს უფრო უპირისპირებს, ვიდრე უქვემდებარებს; ასევე განაგებს მათს მიმართებას მშფოთვარე სტილთან, რომელიც ნიშანს და აღსანიშნს აშორიშორებს. მაგრამ განსაზღვრავს ლექსისა და მკითხველის ურთიერთმიმართებასაც, წარმოშობს შოკს, რომლის მსხვერპლიც მკითხველია. მკითხველი თავს ვეღარ გრძნობს მშვიდად, აფორიაქებულია. მართალია, პოეზიის ენა მუდამ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან, რომლის დანიშნულებაც ურთიერთგაგებინებაა. ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგალითად, დანტე ან გონგორა), საქმე ეხებოდა ზომიერ, თანდათანობით განსხვავებას. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ამ განსხვავებამ პოეტურსა და ჩვეულებრივ ენას შორის რადიკალური ხასიათი მიიღო: უზომო დაძაბულობა შინაარსის ბუნდოვანებასთან ერთად მკითხველის შეშფოთებას იწვევს. ჩვეულებრივი სიტყვები უჩვეულო მნიშვნელობით გვევლინება, სიტყვები, რომლებიც სრულიად დაშორებულ სპეციალობებს განეკუთვნება, ლირიკულად იმუხტება, სინტაქსს არღვევს ან კუმშავს გამიზნულად პრიმიტიულ, უზმნო ფრაზებად. პოეზიის უძველესი მხატვრული ხერხი — შედარება და მეტაფორა ახლებურად გამოიყენება. იგი შედარების ბუნებრივ წევრს გვერდს უქცევს და ლამობს საგნობრივად და ლოგიკურად შეუთავსებელი ირეალურად შეაკავშიროს. როგორც თანამედროვე მხატვრობაში ფერთა და ფორმის წყობამ დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა და ყოველივე საგნობრივს ადგილი უცვალა, ან სულაც გააძევა, რათა მხოლოდ თვითონ განხორციელდეს, ასევე, ლირიკაშიც, ენის რიტმულმა წყო-

ბამ შეიძლება აზრისაგან დაცლილი ტონების თანამიმდევრობა და ინტენსივობის მრუდეები წარმოშვას. ასეთი ლექსის გაგება, შინაარსიდან გამომდინარე, გამორიცხულია, რადგან მისი ნამდვილი შინაარსი ფორმის გარეგანი და შინაგანი ძალების დრამატიზმშია. ხოლო რაკი ამგვარი ლექსი მაინც ენად რჩება, ოღონდ ისეთ ენად, რომელსაც არ გააჩნია გასაზიარებელი საგანი, მას დისონანსური შედეგი მოაქვს. კერძოდ, თავის მსმენელს თან იზიდავს და თან აბნევს.

ასეთი მოვლენები მკითხველში ბადებს ანომალიის შთაბეჭდილებას. ამას ადასტურებს პოეზიის თანამედროვე თეორეტიკოსთა ამოსავალი ცნება: მოულოდნელობა, განცვიფრება. ვინაც სურს განგვაცვიფროს, ნორმიდან გადახვევას უნდა მიმართოს. რა თქმა უნდა, ანომალია საშიში ცნებაა. იგი ქმნის ილუზიას, თითქოს არსებობდეს დროს სრულიად მოწყვეტილი რაღაც ნორმა. მაგრამ ხდება ხოლმე, რომ ერთი ეპოქის „ანომალია" მეორე ეპოქაში ნორმად გვევლინება, მაშასადამე, ასიმილაციას განიცდის. რასაც ვერ ვიტყვით ამ ლირიკაზე, რომელიც ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, და ვერც მის ფრანგ ფუძემდებლებზე. რემბო და მალარმე ფართო წრემ ვერ გაითავისა. ეს დღესაც ასეა, თუმცა მათზე ძალიან ბევრი დაიწერა. ასიმილაციისადმი დაუქვემდებარებლობა უახლესი პოეტების ქრონიკულ თვისებადაც დარჩა.

ცნება „ანომალიას" ჩვენ ევრისტიკულად ვიხმართ: ასევე — სიტყვა „ნორმალურს". ისტორიულ ვითარებათა გაუთვალისწინებლად, ნორმალურად მივიჩნევთ ადამიანის ისეთ სულიერ და ფსიქიკურ მდგომარეობას, რომელსაც ძალუძს, მაგალითად, გოეთეს ან თუნდაც ჰოფმანსტალის ტექსტის გაგება. იგი საშუალებას მოგვცემს, უფრო ნათლად შევიცნოთ თანამედროვე ლირიკის ის მოვლენები, რომლებიც ისე ძლიერ დაშორდნენ დასახელებულ პოეტთა შემოქმედებას, რომ იძულებული ვართ, მათ ანომალია ვუწოდოთ. „ანომალია" არ არის ღირებულებითი შეფასება და არ ნიშნავს „გადაგვარებას", თანამედროვე პოეზიის უკრიტიკო თაყვანისმცემელი მას თავგამოდებით იცავს ობივატელური შეზღუდულობისაგან, სკოლისა და ოჯახის გემოვნებისაგან. ეს არის ბალღური მიდგომა, რომელიც სრულიადაც არ გამოხატავს ასეთი პოეზიის მამოძრავებელ იმპულსს, და ამასთან, ამჟღავნებს სამიათასწლოვანი ევროპული ლიტერატურის უცოდინარობას. თანამედროვე პოეზია (და ხელოვნება) არც განუკითხავ აღტაცებას იმსახურებს და არც ხელაღებით უარყოფას. როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, იგი შესწავლის ღირსია, მაგრამ მკითხველსაც აქვს უფლება, ძველი პოეზიის საზომებით მიუდგეს მას და არ [illegible] განსაჯოს. ჩვენ თავს შევიკავებთ, [illegible] საზომები გამოვიყენოთ, მაგრამ ისე ნებას მივცემთ, მათი დახმარებით [illegible] აღწეროთ და შევიმეცნოთ იგი.

დიახ, შესაძლებელია შევიმეცნოთ ისეთი პოეზიაც, რომელიც ქვეყანაზე ნაკლებად მოელის გაგებას, რადგან იგი, ელიოტის თქმით, არ შეიცავს ისეთ აზრს, „რომელიც მკითხველის ჩვეულებას დააკმაყოფილებს", და იქვე დასძენს: „...ზოგიერთ პოეტს ამგვარი აზრი სიმშვიდეს აკარგვინებს, რადგან ზედმეტად ეჩვენება და მიაჩნია, რომ პოეტური ინტენსივობის შესაძლებლობები აზრისაგან დაცლის შედეგად ჩნდება. „და მაინც, ასეთი პოეზიაც შეიძლება შევიმეცნოთ და აღვწეროთ, თუნდაც მასში ისე დიდი თავისუფლება ტრიალებდეს, რომ შემეცნებას, დიდი-დიდი, მხოლოდ თვით ამ თავისუფლების დადგენა შეუძლია. ამ თავისუფლებით მიღწეული შინაარსისა კი ვერა. მით უმეტეს (თუ კვლავ ელიოტს მივმართავთ), ეს შინაარსი იმდენად მრავალმნიშვნელოვანია, რომ თავად პოეტსაც ძალზე მცირე წარმოდგენა აქვს იმაზე, რაც დაწერა. ასეთი პოეზიის შემეცნება მისი სტილის უპირველეს დამახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს ამ პოეზიის ძნელად და სრულიაც შეუძლებელ გაგებას. სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც შეიძლება მოიძებნოს, შემეცნებას, ითვალისწინებს რა ისტორიულ პირობებს, იმდენად რჩება პოეტური ტექნიკა, ანუ სრულიად განსხვავებულ ავტორთა ენის აშკარა მსგავსება. და ბოლოს, შემეცნება მიჰყვება ამ ტექსტების მრავალმნიშვნელოვნებას, ჩაერთვება რა იმ პროცესში, რის გამოწვევასაც ეს ტექსტები მკითხველში ლამობენ — შემოქმედებითი, დაუსაზღვრელი, ღიაობაში შეკრული ინტერპრეტაციის პროცესში.

## უარყოფითი კატეგორიები

თანამედროვე ლირიკის შესწავლა იმ ამოცანის წინაშე დგას, რომ მოიძიოს კატეგორიები, რომლებითაც მის აღწერას შეძლებს. გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რასაც კრიტიკაც ადასტურებს, რომ უპირატესად ჯერ უარყოფითი კატეგორიები გვხვდება. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს კატეგორიები აქ ასრულებს არა უარყოფითი შეფასების, არამედ დეფინიტორის როლს: უფრო მეტიც, ხშირად ეს დეფინიტორული გამოყენება წარმოადგენს ამ ისტორიული პროცესის ერთ შემადგენელ ნაწილს, რითაც თანამედროვე ლირიკა ძველს გაემიჯნა.

ცვლილებამ, რომელმაც თავი იჩინა მეცხრამეტე საუკუნის პოეზიაში, შესაბამისად შეცვალა პოეზიის თეორიისა და კრიტიკის ცნებები. მეცხრამეტე საუკუნის ბოლომდე, ნაწილობრივ შემდეგაც, პოეზია იდგა საზოგადოების სმენის არეში, მისგან მოელოდნენ ჩვეულებრივი მატერიების თუ სიტუაციების იდეალიზებულ ხატებას, თვით დემონურის ახსნაშიც — მანუგეშებელ ძალას. ლირიკას, მართალია, განასხვავებდნენ სხვა სახეობათაგან, მაგრამ მათზე მაღლა არ აყენებდნენ. შემდეგ კი პოეზია ოპოზიციაში ჩაუდგა ცხოვრების კეთილდღეობით გატაცებულ საზოგადოებას, იქცა ჩივილად სამყაროს იდუმალებათა მეცნიერული გაშიფვრისა და საზოგადოების პოეზიისაგან გათიშვის გამო. გაჩნდა ტრადიციასთან მკვეთრი განხეთქილება; პოეტურ ორიგინალობას ამართლებდა პოეტის უჩვეულობა. პოეზია ამიერიდან საკუთარ თავში მბრუნავ ტკივილის ენად იქცა, რომელიც განკურნებას კი არ ესწრაფვის, არამედ ნიუანსირებულ სიტყვას. პოეზიის წმინდა და უმაღლესი გამოხატულება ამიერიდან გახდა ლირიკა, რომელიც თავის მხრივ ოპოზიციაში ჩაუდგა სხვა ლიტერატურას, თავად კი მოიპოვა თავისუფლება — შეუზღუდავად და ანგარიშგაუწევლად ეთქვა ყველაფერი, რასაც მისი მბრძანებლური ფანტაზია, არაცნობიერამდე გაშლილი შინაგანი სამყარო და ცარიელ ტრანსცენდენტთან თამაში შთააგონებდა. ეს ცვლილება მკაფიოდ აირეკლა სწორედ იმ კატეგორიებში, რომლებითაც პოეტები და კრიტიკოსები ლირიკის შესახებ მსჯელობენ.

წინათ, ლექსის განსჯისას, უპირატესად შინაარსეული ღირსება ჰქონდათ მხედველობაში და მას დადებითი კატეგორიებით აღწერდნენ. გოეთესეულ რეცენზიებში ვხვდებით ასეთ შეფასებებს: სასიამოვნო განწყობილება, სიხარული, ჰარმონიული სავსეობა; „ყოველგვარი სითამამე ქედს იხრის კანონიერი ზომიერების წინაშე"; კატასტროფები წყალობად შემოიქცევა; მდაბალი ამაღლდება; პოეზიის სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ „იგი გვასწავლის — ადამიანის მდგომარეობა სასურველად მივიჩნიოთ"; მას „შინაგანი ხალისიანობა" აქვს, „ბედნიერი ხედვა სინამდვილისა", და ინდივიდუალური ზოგადადამიანურამდე ამყავს. ფორმალური მახასიათებლებია: სიტყვის სიუხვე, „თავდაჭერილი ენა", რომელიც „უპრეტენზიო სიფხიზლით და სიზუსტით მოქმედებს". ყოველ სიტყვას სწორად და „დამატებითი მნიშვნელობის" გარეშე ირჩევს. შილერი ასეთ ცნებებს იყენებს: ლექსი გვაკეთილშობილებს, აფექტს ღირსებას სძენს, „იგი თავისი საგნის იდეალიზაციაა, ურომლისოდაც დაკარგავდა ლექსად წოდების უფლებას". ლექსი გაურბის იმ „უჩვეულობებს", რომლებიც „იდეალურ ზოგადს" უპირისპირდება. მისი სრულყოფილება მშვენიერი ხელიდან მოდის. მისი მშვენიერი ფორმა — „ურთიერთკავშირის მარადიულობიდან". ვინაიდან ასეთი მოთხოვნები და შეფასებები უნდა გამოიწვევს საპირისპირო შეფასებებს, წინა ეპოქა მიმართავდა ნეგატიურ კატეგორიებსაც, მაგრამ მხოლოდ დაგმობის მიზნით: ფრაგმენტულობა, შეშლილობა, „სახეების ცარიელი გროვა", ღამე (ნათელის მაგიერ), „გონებამახვილი ეკიზურობა", „მოქანავე ოცნება", „მოფარფატე ზღაპარი" (გრილპარცერი).

და, აი, ჩვენ წინაშეა პოეზიის სხვა ტიპი და სხვა, თითქმის მხოლოდ ნეგატიური კატეგორიები, თანაც უმეტესად არა შინაარსთან, არამედ ფორმალურ მხარესთან დაკავშირებული. უკვე ნოვალისი მათ იყენებს არა დაგმობის, არამედ აღწერის, უფრო მეტიც — ქების საშუალებად. ლექსი „განზრახ შემთხვევითი პროდუქტია"; იგი ნათქვამს წარმოგვიდგენს „შემთხვევით, თავისუფალ კავშირებში; რაც უფრო პიროვნული, ლოკალური, ტემპორალურია ლექსი, მით უფრო ახლოს დგას პოეზიის ცენტრთან". უნდა ითქვას, რომ „ტემპორალური" და ა. შ. მაშინდელ ესთეტიკაში დაუშვებლად შემოზღუდულს ნიშნავდა.

ნეგატიური კატეგორიების ყველაზე დიდ დახვავებას შემდგომ ლოტრეამონთან ვხვდებით. 1870 წელს მან წინასწარმეტყველურად მოხაზა მომავალი ლიტერატურის სურათი. მართალია, ეს (რამდენადაც, საერთოდ შესაძლებელია სხვადასხვა ნილაბს ამოფარებული ქაოსის გაგება) თითქოს გამაფრთხილებლად ჟღერდა; გასაოცარი კი ის არის, რომ მან, შემდგომი ლირიკის ერთ-ერთმა გზის გამკვლევმა, ამ ლირიკის ნიშნები იმგვარად წარმოადგინა, თითქოს სულ ერთი იყო, სურდა თუ არა მას ნავარაუდევი ლირიკის განვითარება. ეს ნიშნებია: შიში, ქაოსურობა, ღირსების დაცემა, გრიმასები, გამონაკლისისა და უცნაურის აღზევება, ბუნდოვანება, აწყვეტილი ფანტაზია, პირქუშობა და სიბნელე, უკიდურეს წინააღმდეგობებად გახლეჩა, არარასკენ სწრაფვა. შემდეგ, ანაზდად, ასეთ და მსგავს ცნებათა ნიაღვარში იკვეთება ცნება „ხერხი". მაგრამ მას სხვაგანაც ვხვდებით, მაგ. ელუარის ლექსში „ავადმყოფობა" — Le Mal (1932), რომელიც წარმოადგენს ნგრევის სურათთა გროვას. პირველ სტროფში ვკითხულობთ: „და იყო კარი, როგორც ხერხი". პიკასოს ზოგიერთ სურათში, ყოველგვარი ობიექტური აუცილებლობის გარეშე, ვხვდებით გეომეტრიული სიბრტყეებით გარდიგარდმო გადებულ

ხერხს, ან მხოლოდ ხერხის კბილებს; სხვაგან მანდოლინის სიმები ხერხს გვაგონებს. რაიმე გავლენაზე აქ ფიქრიც ზედმეტია. ხერხის ამ სიმბოლოს ამოტივტივება საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ უნდა მივიჩნიოთ ბოლო საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიისა და ხელოვნების უაღრესად საყურადღებო სტრუქტურულ ნიშნად.

თანამედროვე ლირიკაზე დაწერილ გერმანელ, ფრანგ, ესპანელ, ინგლისელ მკვლევართა ნაწერებიდანაც მოვიყვანთ მთავარ ცნებებს. გავხაზავთ, რომ ისინი აქ გამოყენებულია აღწერით საშუალებად და არა უარყოფით შეფასებად. მაგალითად: დეზორიენტაცია, ჩვეულის განადგურება, დაკარგული წესრიგი, შეუკავებლობა, ფრაგმენტულობა, ერთხელ ნათქვამის გამეორება, მიჯრითი სტილი, პოეტურობადაკარგული პოეზია, მყვირალა სახეები, უხეში ანაზდეულობა, დისლოკაცია, ასტიგმატური ხედვა, გაუცხოება... და ბოლოს, ერთი ესპანელის, დამასო ალონსოს ნათქვამი: „ჩვენი ხელოვნების განსაზღვრისათვის ამჟამად არ გაგვაჩნია არავითარი სხვა საშუალება, გარდა უარყოფითი ცნებებისა“. ეს 1932 წელს დაიწერა და დღესაც, 1956 წელს, შეგვიძლია იგი უცვლელად გავიმეოროთ.

ასეთი ცნებებით მსჯელობა კრიტიკულ უსინდისიერებას ნიშნავს. თუმცა, გვხვდება სხვაც. ვერლენი რემბოს ლექსებს „ვერგილიუსურს“ უწოდებს. მაგრამ ვერგილიუსისეული ასევე რასინის ლექსებიც. დადებით დახასიათებას აქ მხოლოდ ძალზე მიახლოებითი მნიშვნელობა აქვს და იგი სრულებითაც არ ეხება არსებითს: ჩქმალავს რემბოს საგნობრივსა და ლექსიკურ დისონანსებს. ერთი ფრანგი კრიტიკოსი წერს ელუარის პოეზიის „თვითმყოფ სილამაზეზე“. მაგრამ ეს დადებითი ცნება სრულიად ეკარგება უარყოფით ცნებათა რიგში და სწორედ ესენი ახასიათებენ ამ „თვითმყოფ სილამაზეს“. იგივე ხდება მხატვრობის შეფასებისას. პიკასოს მიერ დახატულ ყელს უწოდებენ „ელეგანტურს“. ეს სწორიც არის და არც არის სწორი, რადგან ვერ მიესადაგება ამ სრულიად ირეალური ხატის ელეგანტურობას, რომელიც აღარ წარმოადგენს ადამიანის ფიგურას, არამედ ხის მონტაჟია. რატომ არ ყოფნით გამბედაობა, ესეც ჩართონ ელეგანტურობის დეფინიციაში?

ისმის კითხვები, რატომაა, რომ თანამედროვე პოეზია ნეგატიური კატეგორიებით ბევრად უფრო ზუსტად აღიწერება, ვიდრე დადებითით? ეს კითხვა უმიზნებს ამ ლირიკის ისტორიულ განსაზღვრულობას და მომავლის კითხვას: პოეტები იმდენად წინ წავიდნენ, რომ დღესდღეობით მათ ვერც ერთი ცნება ვერ დაეწევა და ამიტომ შემეცნებაც იძულებულია ნეგატიურ ცნებებს მიმართოს, როგორც დროებით საშუალებას? სწორია ჩვენ მიერ ადრე მინიშნებული შესაძლებლობა, რომ აქ საქმე გვაქვს საბოლოო გაუთავისებადობასთან, რაც თანამედროვე პოეზიის ერთ-ერთ [illegible] დამახასიათებელ ნიშნად უნდა [illegible]ვე შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ ეს არ ვიცით. ჩვენ წინაშეა მხოლოდ ანომალიის ფაქტი, მისგან გამომდინარეობს აუცილებლობა, რომ ამგვარი ანომალიის ელემენტების ზუსტი შესწავლისას იმ ცნებებს უნდა მივმართოთ, რომლებსაც იგი თვითონ უკარნახებს მორჩილ დამკვირვებელს.

## მეთვრამეტე საუკუნის თეორიული წანამძღვრები: რუსო და დიდრო

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ევროპულ მწერლობაში თავი იჩინა ისეთმა მოვლენებმა, რომლებიც გვიანდელი ლირიკის პრელუდიად გვესახება. შევეცდებით ეს რუსოსა და დიდროს მაგალითზე ცხადვყოთ.

აქ არ შევეხებით რუსოს, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების პროექტის ავტორს, ან როგორც ბუნების მოტრფიალე სიკეთის ენთუზიასტს, ხოლო თუ შევეხებით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საქმე გვაქვს პოლუსების შეურიგებელ დაძაბულობასთან, რაც მთელ მის შემოქმედებას გამსჭვალავს. ესაა დაძაბულობა ინტელექტუალურ სიმძაფრესა და ემოციურ სიფიცხეს შორის, ლოგიკური აზროვნების ნიჭსა და გრძნობის უტოპიზმისადმი ქედის მოხრას შორის, — თანამედროვე დისონანსის განსაკუთრებით ძლიერი შემთხვევა. მაგრამ ჩვენთვის ამჟამად უფრო მნიშვნელოვანია სხვა დამახასიათებელი ნიშნები.

მართალია, რუსო მემკვიდრეა მრავალი ტრადიციისა, მაგრამ ეს ტრადიციები მისი მიზნისათვის აუცილებლობას აღარ წარმოადგენს, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მას სურდა სრულიად მარტო მდგარიყო მხოლოდ საკუთარი თავისა და ბუნების წინაშე. ყველაფერი ექვემდებარება ამ სურვილს. რუსომ თავი ისტორიის ნულოვან წერტილზე დააყენა. იგი აუფასურებს ისტორიას, სახელმწიფოს, საზოგადოებასა და ცხოვრებას საკუთარი პროექტებით, რომელთათვისაც ისტორიულ პირობებში მოქცევა უკვე გაყალბება იქნებოდა. თავისი ორიგინალური პოზიციით იგი განასახიერებს ტრადიციის თანამედროვე ნგრევის პირველ რადიკალურ ფორმას, ამავე დროს, გვევლინება გარემოსთან განხეთქილებად. რუსოს უფრო ფსიქოპათად მიიჩნევდნენ, [illegible]

მანიით შეპყრობილი ადამიანის კლასიკურ მაგალითად, მაგრამ ასეთი შეფასება არ არის საკმარისი იგი ვერ გვიხსნის, თუ რატომ იყო აღტაცებული თანამედროვე და შემდგომი ეპოქა სწორედ ამ განდგომით და, აქედან გამომდინარე, მისი განსაკუთრებულობით. აბსოლუტური „მე", რომელიც ვერგაგების სიდიადის პათოსითაა შერწყმული, ბზარს ჩენს მისა და საზოგადოებას შორის. მართალია, ამის მიზეზი რუსოს პიროვნების კათოლიკურ მიდრეკილებებშია საძიებელი, მაგრამ იგი, ამავე დროს, თანხვდება იმ საუკუნის უკვე ზეპიროვნულად ქცეულ გამოცდილებასაც ეს არის საკუთარ ანომალიაში საკუთარი მოწოდების დადასტურების დანახვა, „მე"-სა და სამყაროს უცილო შეურიგებლობაში ისე ძალუმ დარწმუნება, რომ ჩნდება მაქსიმა „სჯობს ადამიანებს სძულდე, ვიდრე ნორმალური იყო" ასეთია თვითინტერპრეტაციის სქემა, რომლის ცნობაც მომდევნო საუკუნის პოეტებთან არ გაგვიჭირდება. ვერლენმა რუსოს მოსწრებულად უწოდა poètes maudits, „უკანონო პოეტი". ვერგაგებული „მე"-ს ტანჯვა გარემოყაროსაგან მის მიერვე გამოწვეული სრული მოკვეთის გამო და საკუთარ შინაგან სამყაროში გამოკეტვა სიამაყის აქტია და იგი უპირატესობის პრეტენზიად გვევლინება.

გვიანდელ ნაწარმოებში — „ეული მეოცნების სეირნობა" რუსომ შეძლო წინარაციონალური არსებობის დამაჯერებლად დახატვა. მისი შინაარსი სიზმარეული ბინდია, რომელიც მექანიკური დროიდან შინაგან დროში გადაინაცვლებს, სადაც აღარ არის განსხვავება წარსულსა და აწმყოს, ქაოსსა და სიკეთეს, ფანტაზიასა და სინამდვილეს შორის. შინაგანი დროის აღმოჩენა ახალი არ არის, მაგრამ ის ლირიკული ინტენსიობა, რითაც რუსო შინაგან დროში იძირება, განსაკუთრებით — მისი მიკუთვნება გარესამყაროსადმი მტრულად განწყობილი სულისათვის, მომავალი პოეზიისათვის გზის გამკვალავი ძალა აღმოჩნდა, რითაც თავს ვერ დაიწონებდნენ ლოკისა და სხვათა მიერ ჩატარებული დროის ფილოსოფიური ანალიზები. მექანიკური დრო, საათი ტექნიკური ცივილიზაციის წყეულ სიმბოლოდ არის აღქმული (ბოდლერთან და უფრო გვიან სხვებთან, მაგალითად, მაჩადოსთან), შინაგანი დრო ხდება თითქოს ციხესიმაგრე, სადაც იგი შემზღუდველ რეალობისაგან თავს აფარებს.

ფანტაზიასა და სინამდვილეს შორის განსხვავების ძიება რუსოს სხვა ნაწერებშიც გვხვდება. მხოლოდ ფანტაზიას, — გვარწმუნებს იგი „ახალ ელოიზაში" — მოაქვს ბედნიერება: განხორციელება კი ბედნიერების სიკვდილია. „ილუზიის ქვეყანა ერთადერთია ამქვეყნად, რომელშიც ღირს ცხოვრება: ისე უბადრუკია ადამიანის არსებობა, რომ მხოლოდ ისაა მისთვის ლამაზი, რაც არ არის" (VI, 8). ამას ემატება შემოქმედებითი ფანტაზიის ცნება, რომელსაც შეუძლია სუბიექტის განკარგულებით შექმნას არარსებული და იგი არსებულზე მაღლა დააყენოს („აღსარება", II, 8). ამგვარი ფრაზების მნიშვნელობის გაზვიადება მომავალი პოეზიისათვის შეუძლებელია. მართალია, რუსოს საკუთარი ბედნიერების სენტიმენტალური სურვილიც ალაპარაკებს, მაგრამ თუ ამას ჩამოვაცილებთ, მაშინ დავინახავთ, რომ ფანტაზია აქ გაბედულად მაღლდება იმ უნარამდე, რომელმაც, თუმცა იცის თავისი მოჩვენებითობა, მაგრამ თან სურს იგი, რადგან სჯერა, რომ არარა (რუსოსთან ჯერ კიდევ მორალურ არარად გაგებული) სულის არავითარ სხვა პროდუქტიულობას არ დაუშვებს, გარდა წარმოსახვითისა; მხოლოდ ასეთი პროდუქტიულობა აკმაყოფილებს სულის აღმაფრენას. ამით თავისთავად მოიხსნება აუცილებლობა იმისა, რომ ფანტაზიით შექმნილი სინამდვილით გაიზომოს. ფანტაზია აბსოლუტურობას იძენს. ფანტაზიის ასეთ გაგებას კვლავ მე-19 საუკუნეში შევხვდებით, რომელიც მძაფრდება დიქტატორულ ფანტაზიამდე და საბოლოოდ თავისუფლდება რუსოს სენტიმენტალურ შეფერილობათაგან.

დიდროც ფანტაზიას დამოუკიდებელ მნიშვნელობას აძლევს და უფლებამოსილს ხდის მას, მხოლოდ საკუთარი თავი გაიხადოს საზომად. მისი აზრები სხვაგვარად ვითარდება, ვიდრე რუსოსი, ისინი უკავშირდება გენიის მისეულ გაგებას, რომელიც დიალექტიკურად გადმოგვცა „რამოს ძმისწულსა" და თავის ენციკლოპედიურ წერილში გენიის შესახებ. პირველ თხზულებაში იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხშირი, უფრო მეტიც — უცილო თანხვედრა ამორალობისა და გენიალობისა, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უვარგისობისა და სულიერი სიდიადისა — ფაქტია რომელსაც ვერ უარვყოფთ, თუმცა კი ვერც ავხსნით. ამ აზრის სითამამე უმაგალითოა. ანტიკურობიდან მოყოლებული შეხედულება, რომ ესთეტიკური ძალები თანხმობაშია შემეცნებით და ეთიკურ ძალებთან, აქ მოხსნილია. მხატვრული გენია აქ სრულ დამოუკიდებლობას იძენს. შევადაროთ ამას ლესინგისა და კანტის ცდა, გენიალობა საკუთარი და ჭეშმარიტებისეულ ღირებულებასაც დაუკავშირონ. არანაკლებ გაბედულია ენციკლოპედიური წერილიც. მართალია, იგი გენიის უფრო ადრეულ გაგებას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც გენიალობა ბუნებრივი ნა-

თვალმხილველი ძალაა და მას უფლება აქვს, ყველა წესი დაარღვიოს. მაგრამ ვერც ერთ წინამორბედთან ვერ წაიკითხავთ შემდეგს: გენიას უფლება აქვს იყოს ბარბაროსი და ასევე შეცდეს. სწორედ მისი გასაოცარი, გამაოგნებელი შეცდომებია, რომ აგვიტაცებენ ხოლმე. გენიალობა თვალისმომჭრელ შეცდომებს აფრქვევს. თავისი იდეების არწივისებური ფრენით გატაცებული აშენებს სახლებს, სადაც გონივრულობა ვერასოდეს ვერ ჩასახლდება; მისი ქმნილებები თავისუფალი კომბინაციებია, რომლებიც მას უყვარს, როგორც პოეზია; მისი უნარი უფრო წარმოქმნაა, ვიდრე აღმოჩენა. ამიტომ „ჭეშმარიტი და მცდარი აღარ არის გენიის განმასხვავებელი ნიშნები." ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში ცნება „ფანტაზია" ხშირადაა გამოყენებული. იგი გენიის წარმმართველი ძალაა, ის, რაც დასაშვებია გენიისათვის, დასაშვებია ფანტაზიისთვისაც. მისი სწრაფვაა, იყოს სრულიად ძალთა თვითმოძრაობა, რომლის ხარისხსაც განსაზღვრავს შექმნილ სახეთა მოცულობა, ზემოქმედების ძალა, შინაარსობრივად შეუზღუდავი წმინდა დინამიკა, რომელმაც უნდა ჩამოიტოვოს განსხვავება სიკეთესა და ბოროტებას, ჭეშმარიტებასა და მცდარობას შორის. შემდეგდროინდელი პოეზიის დიქტატორულ ფანტაზიამდე აქედან სულ რამდენიმე ნაბიჯია.

დიდროსთან სხვა რამესაც ვხვდებით, უპირატესად, მაშინდელი მხატვრობის კრიტიკულ შეფასებებში. მათში ჩანს ნახატის ატმოსფერული ღირებულებისადმი განსაკუთრებული მგრძნობელობა. აქ არის სრულიად ახალი შეხედულება ფერების და სინათლის სიუჟეტისაგან დამოუკიდებელი კანონების შესახებ. უფრო საყურადღებოა ის, რომ ფერწერის ანალიზი აქ ერწყმის პოეზიის ანალიზს. ამას თითქმის არაფერი აქვს საერთო ძველ მოძღვრებასთან, რომელსაც კაზმავდნენ მცდარად გაგებული ჰორაციუსის ფორმულით: „ut pictura poesis". ჩვენთვის აქ საინტერესოა სპეციფიკურად თანამედროვე მიახლოება პოეზიაზე მსჯელობისა სახვით ხელოვნებაზე მსჯელობასთან. მას კვლავ ვხვდებით ბოდლერთანაც და იგი ჩვენს დრომდე აღწევს. ფერწერაზე კრიტიკულ წერილებში პოეზიის ისეთ ღრმა გაგებას ვხვდებით, რომელსაც იმ დროს ჯ. ბ. ვიკოს გაგება თუ შეედრება. მაგრამ დიდრო ამ იტალიელს არ იცნობდა. იგი ხედავს, რომ ლექსისათვის ბგერა იგივეა, რაც ნახატისათვის ფერი. მათ საერთობას დიდრო „რიტმულ მაგიას" უწოდებს. იგი თვალს, ყურს და ფანტაზიას უფრო ღრმად ხვდება, ვიდრე ობიექტური სიზუსტე. რადგან „სიცხადე მავნებელია". აქედან მოდის მოწოდება: „პოეტებო, იყავით ბუნდოვანნი!" — რითაც იგულისხმება, რომ პოეზიამ უნდა მიმართოს ღამეულ, შორეულ, შემაძრწუნებელ და იდუმალებით მოცულ საგნებს. დიდროსთვის პოეზია საერთოდ აღარ არის „ჭეშმარიტი [illegible]რების გამოთქმა. იგი თავის[illegible]ბით აღძრული ემოციური მოძრაობაა, რომელსაც უფლება აქვს „უკიდურესობაში გადავარდეს" სწორედ უკიდურესი ბგერათგანლაგების მეშვეობით. მაშასადამე, ენის მაგიას აქ გადამწყვეტი უპირატესობა ენიჭება ენის შინაარსთან, სახეთა დინამიკას კი სახეების მნიშვნელობასთან შედარებით. განმანათლებლობის ეპოქის დასასრულს დიდრო პოეზიას აღარჩენს როგორც საიდუმლოებას, „იეროგლიფურ წნულს", [illegible] ძალებით „სიმბოლურ მეტყველებას", რომელიც დამაჯერებლობით ჯაბნის აზრს. რა შორს მიდის ზოგჯერ დიდრო სინამდვილისაგან თავდახსნაში, ეს კარგად ჩანს მის ერთ, შესაძლოა, ბოლომდე გაუცნობიერებელ, მაგრამ განსაცვიფრებელ ფრაზაში: „მატერიის წმინდა და აბსტრაქტული განზომილებები არ არის მოკლებული გარკვეულ გამომხატველობით ძალას". ამასვე იტყვის შემდეგ ბოდლერი, ოღონდ უფრო თამამად და ამით დასაბამს მისცემს იმ ახალ პოეზიას, რომელსაც შეიძლება აბსტრაქტული პოეზია ვუწოდოთ.

დიდრომ გაგების თეორიაც ჩამოაყალიბა, რომელიც ზოგადად ასე გამოიყურება: გაგება იდეალურ შემთხვევაში მხოლოდ საკუთარი თავის გაგებაა; რაც შეეხება კონტაქტს პოეზიასა და მკითხველს შორის, — ენის უქმარისობის გამო ზუსტად გადმოგვცეს მნიშვნელობები, — აქ გაგება კი არ არის, არამედ მაგიური შთაგონებაა. და ბოლოს, დიდროთი იწყება მშვენიერების ცნების გაფართოება. იგი ბედავს, თუმცა ძალიან ფრთხილად, უწესრიგობა და ქაოსი ესთეტიკურად გამოსახატავ რეალობებად გაიაზროს და უჩვეულობაში ნებადართული მხატვრული ეფექტი დაინახოს.

ეს ყველაფერი გასაოცარი სიახლეებია, რომლებიც იმ ადამიანში გაბრწყინდა, ვისაც იდეათა, ინტუიციის, მიხვედრების სიუხვის გამო, ხშირად წყლისა და ცეცხლის სტიქიას ადარებდნენ — ვულკანს, პრომეთეს და სალამანდრას. რასაკვირველია, ამ იდეების ჟამმა მაშინ ჩამოჰკრა, როცა იგი კვლავ დაივიწყეს, რადგან დიდი ხნის წინ უკვე სხვებში გადასულიყო.

## ნოვალისი მომავალი პოეზიის შესახებ

დიდროსა და რუსოს მიერ მიგნებული ფანტაზიისა და პოეზიის ფუნქციის ახალი განსაზღვრებები გაძლიერდა გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ რომანტიზმში. გზა, რომელსაც აქედან მივყავართ მეცხრამეტე საუკუნის შუა და ბოლო წლების ავტორებთან, ნათელია და მრავალგზის აღუწერიათ. გამეორება აქ საჭირო არ არის. ჩვენ დავჩერდებით იმ უმნიშვნელოვანესი სიმპტომების აღწერას, რომლებიც რომანტიზმში გამოვლინდა და თანამედროვე პოეზიის სიმპტომებადაც გვევლინებიან.

გავიხსენოთ ნოვალისი. პოეზიას არ შევეხებით. მოსაზრებებმა კი, რომლებიც „ფრაგმენტებში“ და „ოფტერდინგერის“ ცალკეულ გვერდებზე გვხვდება, მის პოეზიას ბევრად გაუსწრო. მათში მოცემულია რომანტიზმის პოეზიის განსაზღვრის ცდა, მოხაზულია მომავალი პოეზიის ცნება, რომლის სრულ მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ შევიმეცნებთ, თუ მას გავზომავთ პოეტური პრაქტიკით ბოდლერიდან ჩვენ დრომდე.

რასაც ნოვალისი პოეზიაზე ამბობს, თითქმის მხოლოდ ლირიკას ეხება, რომელიც ამიერიდან „უბრალოდ პოეტურად“ გვევლინება. მისი აზრით, ლირიკის ბუნებაა განუსაზღვრელობა და დანარჩენ ლიტერატურასთან სრული დისტანცია. მართალია, ამას ზოგჯერ „სულის გამოხატვას“ უწოდებს, მაგრამ ამ აზრს უპირისპირდება ის დებულებები, რომლებიც ლირიკულ სუბიექტს განსაზღვრავენ, როგორც ნეიტრალურ განწყობილებას, როგორც შინაგან მთლიანობას, რომელიც ზუსტ განცდად არ ყალიბდება. პოეტურ აქტში წამყვანია „ცივი გონიერება“. „პოეტი წმინდა ფოლადია, მაგარი, როგორც კვესი“. როგორც საგნობრივ, ისე სულიერ მასალაში ლირიკა ლამობს ჰეტეროგენულთა გათქვეფას, გარდასვლების ფოსფორული შუქით განათებას. იგი „თავდასაცავი საშუალებაა ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან“. მისი ფანტაზია ტკბება თავისუფლებით — სურვილისამებრ „აიოს-დაიოს საგნები“. იგი მომღერალი ილუზიაა ჩვეულებათა სამყაროსი, სადაც პოეტური ადამიანები ვერ ცხოვრობენ, რადგან ისინი „წინათგრძნობით დაჯილდოებული, მაგიური ადამიანები არიან“. მაშ, კვლავ მაგია და პოეზია იგივდება, რაც ძველი ტრადიციიდან მოდის, ოღონდ ახლებურ კავშირში „კონსტრუქციასთან“ და „ალგებრასთან“, რასაც ამ პოეზიის ინტელექტუალურ ნიშან-თვისებას უწოდებს თავად ნოვალისი. პოეტური მაგია მკაცრია, იგი „ფანტაზიისა და აზროვნების ენერგიის შეერთებაა“, „ოპერირებაა“, რომელიც თავისი ზემოქმედებით დიდად განსხვავდება მხოლოდ ტკბობისაგან, რომელიც ამიერიდან ისევ იქნება პოეზიის თანმხლები. მაგიიდან ნოვალისი იღებს „გრძნებით შეკვრის“ ცნებას. „თითოეული სიტყვა გრძნებითი შელოცვაა — იგი ნებისმიერ საგანს გამოიწვევს“. აქედან წარმოიდგება ფანტაზიის „მაგიურობა“; აგრეთვე: „მგოსანი ჯადოქარია“, და პირიქითაც. მის ხელთაა, მოჯადოებულნი აიძულოს „რათა მე ისე დაინახონ, ირწმუნონ, იგრძნონ, როგორც მას სურს“. დიქტატორული („პროდუქტიული“) ფანტაზია სულის უდიდესი საჩუქარია, დამოუკიდებელი „გარეგამღიზიანებელთაგან“. „ამდენად, მისი ენა „თვითენაა“, გაზიარების განზრახვის გარეშე. პოეტური ენა „მათემატიკური ფორმულების ენასავითაა: ისინი თავისთვის ქმნიან რაღაც სამყაროს მხოლოდ საკუთარ თავს ეთამაშებიან“, ასეთი ენა ბუნდოვანია იმდენად, რომ ზოგჯერ პოეტი „თვითონაც არ გაეგება საკუთარი თავისა“. მართლაც, მისთვის მთავარია „სულის მუსიკალური მხარე“, ტონისა და დაძაბულობის თანმიმდევრობანი, რომლებიც აღარ არიან დამოკიდებული სიტყვის მნიშვნელობაზე. მართალია, გაგებისაკენ მაინც არის სწრაფვა, მაგრამ იგი განდობილთა მცირე წრით არის შემოფარგლული. ეს განდობილნი პოეზიისაგან აღარ მოელიან მისი „დაბალი ჯიშის“ მაჩვენებლებს, როგორიცაა „სიწორე, გარკვეულობა, სიწმინდე, დასრულებულობა, წესრიგი“, რადგან არსებობს უფრო მაღალი მაჩვენებლები: ჰარმონია, ევფონია. გარდა ამისა, განდობილნი მოელიან ენისა და შინაარსის მკვეთრ გათიშულობას პირველის სასარგებლოდ: „ლექსები მხოლოდ სასიამოვნოდ მჟღერი, მაგრამ სრულიად მოკლებული აზრსა და კავშირს; სულ რამდენიმე ბწკარია გასაგები, როგორც სრულიად განსხვავებულ საგანთა ნამსხვრევები“. მაშასადამე, ენის მაგია უფლებამოსილია მოჯადოების მიზნით სამყარო ფრაგმენტებად აქციოს, ბუნდოვანება, შეუკავშირებლობა ლირიკული შთაგონების წინაპირობებია. „პოეტი სიტყვებს იყენებს როგორც კლავიშებს“, მათში აღვიძებს ძალებს, რომლის შესახებაც ყოველდღიურ ენას წარმოდგენაც არა აქვს. მალარმე ლაპარაკობს „სიტყვათა კლავირზე“. უწინდელი პოეზიის საწინააღმდეგოდ, რომელიც „თავის მარაგს ადვილად მისაწვდომ წესრიგში“ აქცევდა, ნოვალისი წერს: „მე ვიტყოდი, რომ ყოველი პოეზიის გულში ქაოსი უნდა ციმციმებდეს“. ახალი პოეზია ესწრაფვის ყოველმხრივ „გაუცხოებას“, რათა „უფრო მნიშვნელოვან სამშობლოში წაგვიძღვეს“. მისი „ოპერაცია“ მდგო-

მარჯობს იმაში, რომ „მათემატიკოს-ანალიტიკოსის მსგავსად", ნაცნობიდან უცნობი გამოიყვანოს. თემატურად პოეზია მიჰყვება შემთხვევას, მეთოდურად — ალგებრის აბსტრაქციებს, რომლებიც „ზღაპრის აბსტრაქციებს" უახლოვდებიან; კერძოდ, ჩვეულებრივი სამყაროსაგან მოწყვეტით, რომელსაც „ზედმეტად დიდი სიცხადე სჭირს", ესაა ნეიტრალური ინტიმურობა გრძნობის წილ, ფანტაზია სინამდვილის წილ, სამყაროს ნანგრევები სამყაროს ერთიანობის ნაცვლად. ჰეტეროგენულთა აღრევა, ქაოსი, ენის ბუნდოვანებითა და მაგიით მოხიბვლა. მაგრამ, ასევე, მათემატიკასთან ანალოგიით, ცივი ოპერირება, რომელიც ინტიმურს აუცხოებს; ეს ზუსტად ის სტრუქტურაა, რომელშიც თავსდება ბოდლერის პოეზიის თეორია, რემბოს, მალარმეს და დღევანდელ პოეტთა ლირიკა. ეს სტრუქტურა გამჭვირვალეა იქაც, სადაც ცალკეული წევრები გადასახმელი, ან სულაც დასამთავრებელია.

ყველაფერს ავსებს ფრ. შლეგელის მოსაზრებები ჭეშმარიტისა და ზნეობრივისაგან მშვენიერის გათიშვის შესახებ, ქაოსის პოეტურ აუცილებლობაზე, „ექსცენტრულსა და საშინელზე", როგორც პოეტური ორიგინალობის წინაპირობაზე. ნოვალისსაც და შლეგელსაც საფრანგეთში ბევრი მკითხველი ჰყავდათ და მათ იქ რომანტიზმის წარმმართველ აზრს მისცეს ბიძგი.

ჩვენ ამას მოკლედ შევეხებით ქვემოთ. ფრანგული რომანტიზმი უშუალო შუამავალია იმისა, რაც აქამდე ვთქვით ბოდლერის, ახალი პოეზიის პირველი დიდი ლირიკოსის შესახებ, რომელიც ამავე დროს ევროპაში თანამედროვე ლირიკისა და ხელოვნების პირველი გაბედული თეორეტიკოსიცაა.

## ფრანგული რომანტიზმი

ფრანგული რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მოდა, ორმოცდაათიან წლებში ჩაქრა. მაგრამ იგი სულიერ ბედისწერად გადაეცა შემდგომ თაობებს, მათაც კი, ვინც მის დამარხვას ლამობდა და სხვა მოდა შემოჰქონდა. ის, რაც რომანტიზმში ზომიერებას სცილდებოდა — პოზა, ბრწყინვალება, გრძნობა, რომელიც იცვითებოდა, და ტრივიალობა — გაქრა. მაგრამ საუკუნის მეორე ნახევრიდან შეცვლილი, რომანტიკულობას სულ უფრო მეტად მოკლებულ ფსიქიკურ განწყობილებას რომანტიზმი აწვდის გამომსახველობით ხერხებს, მის ჰარმონიაში ხმოვანის დისონანსები იმალებოდა.

1859 წელს ბოდლერი წერდა: „რომანტიზმი ციური ან ჯოჯოხეთური წყალობაა, რომელსაც მარადიულ იარებს ვუმადლით". ეს ფრაზა კარგად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ რომანტიზმი, მაშინაც კი, როცა კვდება, შემდგომ მოსულთ თავის დაღს ასვამს. ისინი [illegible] მას, რადგან მის ტყვეობაში იმყოფებიან. თანამედროვე პოეზია დერომანტიზებული რომანტიზმია.

ბიბლიოთეკა

სიმწარე, გლოვა, მუქ ფერებში ხატვა გარდაუვალი. მაგრამ, ამავე დროს, ნალოლიავები გამოცდილებაა რომანტიკოსისა. ანტიკურსა და შემდგომ ყოფის კულტურაში, მეთვრამეტე საუკუნემდე, სიხარული იყო სულის უზენაესი ღირებულება, რომელიც მიუთითებდა ბრძენის თუ მორწმუნის, რაინდის, კარისკაცის, ელიტის წევრის სრულყოფილებას. მწუხარება, თუ იგი დასახელდებოდა, ულირსობად ითვლებოდა, თეოლოგთათვის კი — ცოდვად. მეთვრამეტე საუკუნის რომანტიზმამდელი სევდიანი განწყობილება ვითარებას ცვლის. სიხარული, ხალისიანი განწყობილება ლიტერატურაში ქრება. მათი ადგილი დაიკავა მელანქოლიამ და მსოფლიო სევდამ. ისინი არ საჭიროებდნენ მიზეზს, არც საზრდოს საკუთარი თავის გარდა, და სულის კეთილშობილების გამოსახულებად იქცნენ. რომანტიკოსმა შატობრიანმა აღმოაჩინა უსაგნო სევდა, „მწუხარებისა და შიშის მეცნიერება" ხელოვნების მიზნამდე აამაღლა, ხოლო სულიერი განხეთქილება ქრისტიანობის წყალობად მიიჩნია. რომანტიკოსები თავს კულტურის გვიანდელი ეპოქის წარმომადგენლად თვლიდნენ. დეკადენტური ცნობიერება ფრთებს შლის, როგორც უცხო მომხიბლაობის წყარო. ის, რაც დამანგრეველი, ავადმყოფური, კრიმინალურია, საინტერესო ხდება. ვინის ლექსში — La Maison du Berger — ლირიკა გაისმის მოთქმად იმ საშიშროების გამო, სულისათვის ტექნიკას რომ მოაქვს. არარას ცნება იწყებს თავისი როლის შესრულებას. მიუსე მისი პირველი მოქადაგეა იმ მწარე გამოცდილების საფუძველზე, რომ ნაპოლეონის მიერ ანთებული ილუზიით შეპყრობილი ახალგაზრდობა ვნებებისაგან დაცლილი, მოხვეჭის სურვილით ამოძრავებულ სინამდვილეს ეჯახება და ორივეს — ილუზიასა და მოხვეჭას უაზრობაში, უბედურებაში, დუმილსა და არარაში დანთქმულს ხედავს. „მე მჯერა არარასი, როგორც მჯერა საკუთარი თავისა", — წერს იგი. სევდა და ჩივილი ბოლოს გადაიზრდება შიშში რაღაც ავის მომასწავებლის წინაშე. ერთ ლექსში, რომელსაც შინაარსთან დისონანსური სათაური აქვს (Vers dorés 1845) და სადაც პოეტი ადამიანურს არაადამიანურით აუფასურებს, ასეთ სტრიქონებს ვხვდებით: „ვეშინოდეს ყრუ კედლიდან მზირალი თვალის, რო-

მელიც შენ გითვალთვალებს". ჩვენ ვნახავთ, როგორ განვითარდება და იერს შეიცვლის ბოდლერთან ყველა ეს განწყობილება.

გერმანელი რომანტიკოსების მსგავსად, რომელთა შემოქმედებასაც პლატონის იდეები შეერწყა, ფრანგი რომანტიკოსებიც პოეტს განმარტავენ, როგორც ვერგაგებულ ნათელმხილველს, როგორც ქურუმს ხელოვნების წმინდა ტაძარში. პოეტები ქმნიან პარტიას ბურჟუაზიული პუბლიკის წინააღმდეგ და ბოლოს — პარტიებს ერთმანეთის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 1801 წელს მადამ სტალის მიერ გამოქვეყნებული ფორმულა — ლიტერატურა საზოგადოების გამოხატულებააო, კარგავს აზრს. ლიტერატურა იმეორებს რევოლუციის პროტესტს არსებული საზოგადოების წინააღმდეგ; იგი ოპოზიციის ლიტერატურაა, ანუ „მომავლის ლიტერატურა", დახაზრულ, განდგომის, თავისი მარტოსულობით სულ უფრო მეტად ამაყი ლიტერატურა. რუსოს სქემა — ერთადერთობისა ნორმიდან გადახვევის საფუძველზე — ამ თაობათა და, ასევე, შემდგომთა დაკანონებულ სქემად იქცა.

ეჭვს გარეშეა, რომ პოეტის თვითკურთხევამ, ტკივილის, სევდის, სამყაროს არარაობის ნამდვილმა თუ მოგონილმა ცოდნამ გასაქანი მისცა იმ ძალებს, რომლებმაც ლირიკას ბევრი სარგებლობა მოუტანა. რომანტიზმის დროს ფრანგული ლირიკა, წინა სამი საუკუნის ბრწყინვალების შემდეგ, ახალ აღმავლობას განიცდის. ბევრი სილამაზე და სიდიადეა ამ პოეზიაში, თუმცა არა ევროპული რანგისა. ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის აზრი, რომელიც ყველგან (და საფრანგეთშიც) გამოითქვა, და რომლის მიხედვითაც პოეზია კაცობრიობის თაურენაა, ტოტალური სუბიექტის ტოტალური ენაა, რომლისთვისაც მასალებს შორის არ არსებობს არავითარი ზღვარი, მაგრამ ასევე არ არსებობს ზღვარი რელიგიურსა და პოეტურ ენთუზიაზმს შორის. ფრანგული რომანტიკული ლირიკა გამოირჩევა შინაგან გამოცდილებათა სიღრმითა და დახვეწილობით. სამხრეთული, აღმოსავლური, ეგზოტიკური ატმოსფეროს ხიბლით, ქმნის მომაჯადოებელ სატრფიალო და ბუნებისადმი მიძღვნილ პოეზიას, ფლობს ლექსის ვირტუოზულ ტექნიკას. იგი თვალისმომჭრელად ბრწყინვალეა, ლაღი, ზეპროდუქტიული. მჭევრმეტყველური ვიქტორ ჰიუგოსთან, ვისაც ერთნაირი ძალით ეხერხება შექმნას უზენაესი ინტიმურობა და ნათელმხილველური სახეები. მიუსესთან იგი ცინიზმისა და ტკივილის მიქსტურაა, ლამარტინთან, ზოგჯერ, წმინდა ტონია, რომლის შესახებაც თავად შეეძლო ეთქვა, ხავერდივით რბილიაო.

აქედან იღებს სათავეს თანამედროვე პოეზიისათვის ეგზომ ნაყოფიერი თეზის წესიც, როცა პოეტი უშუალოდ ენიდან და სიტყვაში ჩადებული იმპულსიდან ამოდის. ვიქტორ ჰიუგომ ეს მეთოდი არა მარტო გამოიყენა, არამედ დაასაბუთა ბევრი წინამორბედის მოშველიებით. Contemplations-ის („ჭვრეტა") ერთ ცნობილ ნაწყვეტში ვკითხულობთ: „სიტყვა ცოცხალი არსებაა, უფრო ძლიერი, ვიდრე ის, ვინც მას იყენებს; სიბნელეში შობილი ქმნის იმ აზრს, რომელიც სურს, იგი თვითონაა ის — და გაცილებით მეტიც — რასაც ფიქრი, ხედვა, გრძნობა გარედან მოელის; იგია ფერი, ღამე, სიხარული, ოცნება, სიმწარე, ოკეანე, უსასრულობა; იგი ღმერთის ლოგოსია". ყველაფერი ეს უნდა გავიხსენოთ, ასევე — დიდროს ჯერ კიდევ ბოლომდე გაუაზრებელი და ნოვალისის უფრო გაბედული გამონათქვამები, თუ გვსურს ჩავწვდეთ მალარმეს აზრს ენის ინიციატივის შესახებ, რომელიც, რასაკვირველია, თავისი სიმკაცრით უპირისპირდება ვიქტორ ჰიუგოს აწყვეტილ აღტაცებას.

## გროტესკისა და ფრაგმენტის თეორია

ნაყოფიერი აღმოჩნდა გროტესკის თეორიაც, ვიქტორ ჰიუგო მას აყალიბებს „კრომველის" (1827) წინასიტყვაობაში, როგორც დრამის თეორიის ნაწილს. ფრანგული რომანტიზმის იდეურ მემკვიდრეობაში მას უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს. მისი ძირი, როგორც ჩანს, საძიებელია ფრ. შლეგელის გამონათქვამში ირონიისა და მახვილგონიერების შესახებ, რომლის სფეროშიაც შედის შემდეგი ცნებები: ქაოსი, მარადი სიცოცხლე, ფრაგმენტული, ტრანსცენდენტული ბუფონადა. ოცდახუთი წლის პოეტის ბევრი მოსაზრება ორიგინალურია, ბრწყინვალე მიგნებებითურთ, რომელთაც, რასაკვირველია, ღრმა ჩახედულებას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ ისინი თანამედროვე პოეზიის წინამავალი სიმპტომებია.

სიტყვა „გროტესკული" თავდაპირველად გვხვდება მხატვრის ენაში და ორნამენტულს ნიშნავს, — უმეტესად იგავარაკული მოტივებიდან ნასესხებ ორნამენტებს ფერწერულ ტილოზე. მეჩვიდმეტე საუკუნიდან მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და მოიცვა უჩვეულო ბურლესკურ-კომიკური, დეფორმირებული და უცნაური ყველა სფეროში. ასევე ვიქტორ ჰიუგოსთან, ოღონდ, იგი მახინჯსაც მოიცავს. მისი გროტესკის თეორია შემდგომი, ოღონდ, უკვე ენერგიული ნაბიჯია, მშვენიერი და მახინჯი რომ გაათანაბროს, ის, რაც აქამდე დისკვალიფიცირებული, მხოლოდ დაბალ ლიტერატურულ სახეობებსა და სახვითი ხელოვნების პერიფერიულ ზონებში იყო ნებადართული, მეტაფიზი-

კური გამოხატვის სიმაღლეზე აიყვანეს. ვიქტორ ჰიუგო სამყაროს ისეთ გაგებას ემყარება, რომლის თანახმადაც იგი არსებითად საპირისპირო სუბსტანციებადაა გახლეჩილი და სწორედ ამ გახლეჩილობით იძენს უფრო მაღალი ერთიანობის სახეს. ეს აზრი მანამდეც ხშირად გამოუთქვამთ. იგი ანტიკურ ხანაში გაჩნდა. ჰიუგო მხოლოდ ახლებურად უსვამს მახვილს სიმახინჯის როლს. იგი აღარ არის მხოლოდ მშვენიერების საპირისპირო, არამედ საკუთარი მნიშვნელობაც აქვს. ხელოვნებაში გროტესკი გვევლინება, როგორც რაღაც არასრულისა და შეუსაბამოს ხატი. ჩაკლულობა „შესაფერი საშუალებაა — იყოს ჰარმონიული". ნათლად მოჩანს, „ჰარმონიის" ამ ძალზე შეცვლილ გაგებაში როგორ მოიწევს წინა პლანზე დისჰარმონიის, ფრაგმენტთა დისჰარმონიის ცნება. გროტესკულმა უნდა დაგვახსნას მშვენიერებისაგან და თავისი „მკაცრი ხმით" გვიხსნას მონოტონურობისაგან. იგი არღვევს ადამიანში ანომალიურისა და უფრო მაღალი შრეების დისონანსს. ამსხვრევს რა მოვლენებს ცალკეულ ფრაგმენტებად, ამით საცნაურს ყოფს იმას, რომ „დიადი მთელი" საერთოდ მხოლოდ ფრაგმენტებში გვეძლევა. რადგან „მთელი" ადამიანს არ თანხვდება, ' რომელი მთელი? საყურადღებოა, რომ ამაზე ან სრულიად არ არის არავითარი პასუხი, ან ძალიან ბუნდოვანი პასუხია. თუნდაც ეს მთელი, როგორც ჰიუგოს სწამდა, ქრისტიანულად იყოს გაგებული, იგი მაინც ცარიელი ტრანსცენდენციაა. ჰიუგო იცნობს მხოლოდ მის ნანგრევებს, გროტესკულის გრიმასს, რომელსაც აღარაფერი აქვს საერთო სიცილთან. ამგვარად დანახულ გროტესკში სიცილი ადგილს უთმობს მანჭვას ან ძრწოლას. იგი გრიმასია, შეშფოთების გამომწვევი საშუალებაა, რომელსაც თანამედროვე სული უფრო მიელტვის, ვიდრე განმუხტვას.

რომანტიზმის თეორიები, რომლებსაც რამდენიმე წლის შემდეგ თეოფილ გოტიესთან ვნახავთ, მიეკუთვნება იმ ნიშან-თვისებათა რიგს, რაზეც ბოდლერი ლაპარაკობს. ისინი გვიჩვენებენ გზას, სადაც შემდგომ ვერლენის არლეკინის ლექსები გაჩნდება. რემბოსა და ტრისტან კორბიერის გრიმასების პოეზია, სიურრეალისტებისა და მათი წინამორბედი ლოტრეამონის „შავი იუმორი", და ბოლოს, უახლეს პოეტთა აბსურდები, ყოველივე ეს ემსახურება ბუნდოვან მიზანს — დისონანსებსა და ფრაგმენტებში მიანიშნონ ტრანსცენდენცია, რომლის ჰარმონიასა და მთლიანობასაც ვეღარავინ დაინახავს.

## II. ბოდლერი

### სიახლის პოეტი

ბოდლერით ფრანგული ლიტერატურა ევროპულ მოვლენად იქცა. ეს [illegible]იდან ჩანს, რომელიც ამერიკიდან [illegible]ში, იტალიასა და ესპანეთში ვრცელდება. საფრანგეთშიაც იგრძნობოდა, რომ ბოდლერისაგან სხვა, უფრო ამაღლებული ნაკადები მოედინებოდა, ვიდრე რომანტიკოსთაგან. მათ გამსჭვალეს რემბოს, ვერლენის, მალარმეს მთელი შემოქმედება. უკანასკნელმა აღიარა, რომ იქიდან დაიწყო, სადაც ბოდლერი გაჩერდა. სიცოცხლის მიწურულს ვალერიმ პირდაპირი დამაკავშირებელი ხაზი გაავლო, რომელსაც ბოდლერიდან მის შემოქმედებასთან მივყავართ. ინგლისელმა ტ. ს. ელიოტმა მას უწოდა „ნებისმიერ ენაზე შექმნილი თანამედროვე პოეზიის უდიდესი მაგალითი".

ამგვარ გამონათქვამებში ლაპარაკია „სიახლის" პოეტზე. ამას სრულიად უშუალო გამართლება აქვს, რადგან ამ სიტყვის შემქმნელია ბოდლერი, ვინც ეს სიტყვა (Modernität) 1859 წელს იხმარა. იგი ბოდიშს იხდიდა ახალი სიტყვის შემოღებისათვის, მაგრამ საჭიროდ თვლიდა თანამედროვე ხელოვნების უჩვეულობის გამოსახატავად: უნარს, დიდი ქალაქის უდაბნოში დაინახოს არა მხოლოდ ადამიანის განადგურება, არამედ იგრძნოს აქამდე შეუმჩნეველი იდუმალი მშვენიერებაც. ეს საკუთრივ ბოდლერის პრობლემაა. სახელდობრ: რა სახეს მიიღებს პოეზია კომერციულ და ტექნიკურ ცივილიზაციაში? მისი პოეზია გზას გვიჩვენებს, პროზა კი თეორიულ გააზრებას ამ გზის. სინამდვილის ბანალურობიდან რაც შეიძლება შორს, იდუმალის საუფლოში მივყავართ, ოღონდ ისე, რომ სინამდვილის ცივილიზაციური მიმზიდველობა ამ საუფლოსთანაა წილნაყარი და პოეტურ ემოციურობას იძენს. ეს გახლავთ თანამედროვე ლირიკისა და მისი ერთდროულად გენიოსი და მაგიური სუბსტანციის შესავალი.

ბოდლერის მთავარი ნიშანია მისი გონებრივი გაწვრთნილობა და შემოქმედებითი ცნობიერების სიფხიზლე: იგი აერთებს პოეტურ გენიალობას და კრიტიკულ ინტელექტს. მისი შეხედულებები ლექსის თხზვის პროცესზე მისი პოეზიის სიმაღლეზე დგას. ხშირ შემთხვევაში კი წინ უსწრებს კიდეც მას, ისევე, როგორც ნოვალისთან ხდება. ამ შეხედულებებმა შემდგომ უფრო ძლიერი ზემოქმედება მოახდინა, ვიდრე მისმა ლირიკამ. ისინი თავმოყრილია წერილების კრებულში — „ესთეტიკური იდეები" და „რომანტიკული ხელოვნება". პირვე

გამოქვეყნდა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1869 წელს და შეიცავს მოსაზრებებსა და პროგრამას, რომელიც ავტორმა არა მარტო თანამედროვე ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, არამედ მუსიკასა და მხატვრობაზე დაკვირვებიდან გამოიტანა. აქ, უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე დიდროსთან, მეორდება ის ფაქტი, რომ ახალი მიზნებისაკენ მიმართული ფიქრი პოეზიაზე ხელოვნების სხვა დარგებსაც მიმართავს. ეს ჩანაწერები დროის ცნობიერების „საერთოდ— თანამედროვეობის" ანალიზს მოიცავს, რადგან ბოდლერს პოეზია და ხელოვნება ესმის, როგორც დროის ზვედრის გადამუშავება სახეებად. უკვე იკვეთება ნაბიჯი, რომელსაც მალარმე გადადგამს — ნაბიჯი ონტოლოგიური პოეზისაკენ და ონტოლოგიურად დაფუძნებული პოეზიის თეორიისაკენ.

## უპიროვნო პოეზია

გამოკვლევებმა დიდი ღვაწლი დასდეს ბოდლერისა და რომანტიკოსების ურთიერთკავშირის გამოვლენას. აქ საუბარი გვექნება მისი შემოქმედების იმ თავისებურ ნიშნებზე, რომლებმაც მას საშუალება მისცა რომანტიზმის მემკვიდრეობა ისეთ აზროვნებად და პოეზიად გარდაექმნა, რომელმაც, თავის მხრივ, შემდეგდროინდელი ლირიკა წარმოშვა.

„ბოროტების ყვავილები" (1857) არ არის აღსარებლობითი ლირიკა, არც პირად განცდათა დღიური, თუმცა მასში ბევრი ტკივილია ასახული მარტოსული, უიღბლო, ავადმყოფი პოეტისა. ბოდლერს არც ერთი ლექსი არ დაუთარიღებია ვიქტორ ჰიუგოსავით, ვერც ერთში ვერ იპოვით ბიოგრაფიული ფაქტების კვალს. ბოდლერით იწყება თანამედროვე ლირიკის უპიროვნობა, იმ აზრით მაინც, რომ ლირიკული სიტყვა აღარ მომდინარეობს პოეზიისა და ემპირიული პირის ერთიანობიდან, რასაც რომანტიკოსები ელტვოდნენ მანამდელი მრავალსაუკუნოვანი ლირიკისაგან განსხვავებით. უაღრესად საყურადღებოა, რას ამბობს ამის თაობაზე თავად ბოდლერი. მისი სიტყვების მნიშვნელობას არ ამცირებს ის ფაქტი, რომ პოეტი ედგარ ალან პოს ახლოსავე გამონათქვამებს მიჰყვება, პირიქით იგი მათ სწორ მიმართულებას აძლევს.

საფრანგეთის გარეთ ლირიკა და გული ყველაზე გადაჭრით ედგარ პომ გათიშა. იგი მის სუბიექტად სახავდა ენთუზიასტურ აღელვებას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პიროვნულ ვნებებთან, და ასევე არც „გრძნობამორეულ გულთან" (the intoxication of the heart) იგი მასში გულისხმობს მთლიან განწყობილებას და მას სულს უწოდებს, უბრალოდ, რათა სახელი დაარქვას, თან მუდამ დასძენს: „არა გული"-ო. ბოდლერი სიტყვასიტყვით იმეორებს ამასვე, ოღონდ თავისებურად აყალიბებს. „გულის მგრძნობიარობა პოეტს ხელს უშლის მუშაობაში" „ფანტაზიის მგრძნობიარობისაგან" განსხვავებით (გვ. 1031 შმდ.). აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოდლერს ფანტაზია ესმის, როგორც ინტელექტით წარმართული ოპერირება. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ეს თვალსაზრისი ნათელს ჰფენს ზემოთ მოყვანილ სიტყვებს. ისინი მოითხოვენ ყოველი პიროვნული სენტიმენტალობის დაძლევას ნათელმხილველი ფანტაზიის სასარგებლოდ, რომელიც მძიმე ამოცანებს უკეთესად ერევა, ვიდრე გრძნობები. იგი პოეტს ასეთ დევიზს უყენებს: „ჩემი ამოცანა გარეადამიანურია" (გვ. 1044). ერთ ბარათში იგი მიანიშნებს თავის „პოეზიის განზრახ უპიროვნობაზე", რითაც გვეუბნება, რომ პოეზიას უნარი შესწევს გამოხატოს ადამიანის ყოველგვარი ფსიქიკური მდგომარეობა, განსაკუთრებით კი ექსტრემული „ცრემლები? კი ბატონო, ოღონდ ისეთი, რომლებიც გულიდან არ მოდის". ბოდლერი პოეზიას განმარტავს სწორედ როგორც პიროვნული სულის განეიტრალების უნარს. ეს ყველაფერი ჯერ ბოლომდე გაუაზრებლად, ხშირად ძველ წარმოდგენებში შებურვილი სახით გვევლინება. მაგრამ მასში იმთავითვე საცნაურია პიროვნების ნეიტრალიზაციიდან ლირიკული სუბიექტის დეჰუმანიზაციისაკენ სვლის ისტორიული აუცილებლობა. მასში უკვე იკვეთება ის უპიროვნობა, რომელიც შემდგომ ტ. ს. ელიოტმა და სხვებმა პოეზიის სიცხადისა და ვარგისიანობის წინაპირობად გამოაცხადეს.

„ბოროტების ყვავილების" თითქმის ყველა ლექსი „მე"-ს სიღრმიდან მოდის. ბოდლერი მთლიანად საკუთარ თავში ჩაღრმავებული ადამიანია, მაგრამ ეს საკუთარ თავში ჩაღრმავებული ადამიანი, ლექსის წერისას, ვერ ამჩნევს თავის ემპირიულ „მეს", იგი წერს საკუთარ თავზე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თანამედროვე ლირიკის სატკივარს განიცდის. ეს სატკივარი კრულვასავით აწევს მას. ბოდლერს საკმაოდ ხშირად აქვს ნათქვამი, რომ მისი ტკივილი მარტო მისი ტკივილი როდია, რომ პირადი ცხოვრებიდან თუკი მის ლექსებს რამე გამოჰყოლია, მხოლოდ ბუნდოვანი ნიშნები. ისეთ ლექსებს, როგორიც, მაგალითად, ვიქტორ ჰიუგომ შვილის სიკვდილზე დაწერა, იგი არასოდეს დაწერდა. მკაცრი, მეთოდური საფუძვლიანობით ზომავს საკუთარ თავში ყველა ფრაზას, რომლებიც თანამედროვე ლირიკის აუცილებლობით ჩნდება: შიში, სასოწარკვეთა, სრული მარცხი გულით სასურველი, მაგრამ სიცარიელეში გარიდებული იდეალურის,

ეკი ლაპარაკობს თავის შეშლილობაზე, რომ თავს იდო ახეთი ხვედრი. „შეშლილობა" და „ბედისწერა" მისი მთავარი სიტყვაა. შემდეგია „კონცენტრაცია" და იქვე — „მეს" ცენტრალიზაცია. „იგი ითავისებს ემერსონის ნათქვამს: „გმირი იგია, ვისაც უმოძრაოდ ცენტრირებულია". საპირისპირო ცნებებია: „განზავება" და „პროსტიტუცია". ბოლო სიტყვა მოდის მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი ილუმინატებისაგან[1] და ნიშნავს ბედის ანაბარა საკუთარი თავის მიტოვებას, სულიერი ბედისწერის დაუშვებელ უარყოფას, ლტოლვას სხვებისაკენ. გაუაზრებლობით გამოწვეულ ლალატს ეს ყველაფერი თანამედროვე ცივილიზაციის სიმპტომებია, როგორც ბოდლერი ხაზს უსვამს, საშიშროებანი, რომელთა წინაშე თავადაც სიფხიზლე მართებს „შემოქმედს საკუთარი ნიჭის ხვედრის წყალობით" (გვ. 676)

## კონცენტრაცია და ფორმის ცნობიერება: ლირიკა და მათემატიკა

„ბოროტების ყვავილებს" საერთო თემატური ხაზი გასდევს, რომელიც მას ერთ კონცენტრირებულ ორგანიზმად კრავს. შეიძლებოდა ერთიან სისტემაზეც გველაპარაკა, მით უმეტეს, რომ სტატიები, დღიურები და ზოგიერთი პირადი ბარათი თემათა მოფიქრებულ ურთიერთკავშირზე მეტყველებს. თემა ბევრი არ არის; საკვირველია, რა ადრე გაჩნდნენ ისინი მის შემოქმედებაში. უკვე ორმოციან წლებში, „ბოროტების ყვავილების" გამოქვეყნებამდე და შემდეგაც, სიკვდილამდე, ბოდლერი ამ თემების წრეს არ გადაამიჯებს. მას ადრე დაწერილ დაუმთავრებელ ესკიზზე მუშაობა უფრო იზიდავდა, ვიდრე ახლის დაწერა. ამაში ზოგიერთი მის უნაყოფობას ხედავდა. სინამდვილეში კი ეს ინტენსივობა, რომელიც ერთხელ მიკვლეულს ღრმავებს და აძლიერებს, ააქტიურებს მხატვრული განხორციელების ნებას, რადგან მხოლოდ ფორმის სიმწიფე უზრუნველყოფს ნათქვამის ზეპიროვნულობას. ბოდლერის თემათა სიმცირე უნდა გავიგოთ როგორც ძირითადი დაძაბულობის მატარებლები, ვარიანტები, მეტამორფოზები, რომელთაც მოკლედ შეიძლება სატანურსა და იდეალურს შორის დაძაბულობა ვუწოდოთ. დაძაბულობა არ მოიხსნება, მაგრამ მთლიანობაში მას იგივე წესრიგი და თანმიმდევრობა აქვს, რაც ჟოველ ცალკე აღებულ ლექსს გააჩნია.

მომავალი პოეზიის ორი გზა აქ ჯერ კიდევ განუყოფელ მთლიანობას ქმნის. შეუნელებელი დაძაბულობა რემბოსთან აბსოლუტურ დისონანსად მაღლდება, მაგრამ თან ყოველ წესრიგსა და კავშირს ანგრევს. მალარმეც ამძაფრებს დაძაბულობას, მას სხვა თემებზე ავრცელებს და იქ კვლავ ბოდლერისეულ წესრიგს ამყარებს, მაგრამ სრულიად ახალ, ბუნდოვან ენაზე გადააქვს იგი.

კონცენტრირებული თემატიკით ბოდლერი ახორციელებს განზრახვას არ აჰყვეს „გულის ჩქროლვას", შესაძლოა, მან კიდეც იჩინოს თავი პოეზიაში, მაგრამ თვითონ პოეზია არ არის, არამედ მხოლოდ მასალაა. წმინდა პოეზიისაკენ მიგვიყავართ შრომას, არქიტექტურული ნაგებობის გეგმაზომიერ აღმართვას, ენის იმპულსებით ოპერირებას. ბოდლერს არაერთხელ გაუმახვილებია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ „ბოროტების ყვავილები" არ წარმოადგენს მხოლოდ ალბომს, არამედ — მთლიანობას დასაწყისითურთ, დანაწევრებული გაგრძელებითა და დასასრულით. ეს მართლაც ასეა. შინაარსობრივად იგი გამოხატავს სასოწარკვეთილებას, ულონობას, იდეალურში ციებ-ცხელებრივ აღმაფრენას, სიკვდილისაკენ ლტოლვას, ავადმყოფურ გზნებას; მაგრამ ეს უარყოფითი ხასიათის შინაარსები გაერთიანებულია მოფიქრებულ კომპოზიციაში. პეტრარკას Canzioniere-სა და გიუგოს „ჰიმნის" გვერდით „ბოროტების ყვავილები" არქიტექტურულად უმკაცრესი წიგნია ევროპულ ლირიკაში. ყველაფერი, რაც ბოდლერმა ამ კრებულში შეიტანა მისი პირველი გამოცემის მერე, როგორც თავად ერთ კერძო წერილში აღიარებს, იმ ჩარჩოებში რჩება, რაც 1845 წელს მონიშნა და პირველ გამოცემაში დაასრულა. მასში გარკვეული როლი შეასრულა რიცხვთა კომპოზიციის ძალიან ძველმა ტრადიციამაც. იგი ას ლექსს ხუთ ჯგუფად კრავს, რაც კიდევ ერთი ნიშანია ფორმალური კონსტრუქციისაკენ სწრაფვისა. აქ რომ საერთო ფორმისკენ სწრაფვაა, ეს ეჭვს გარეშეა. ამას გარდა, მის ლექსებში ქრისტიანული აზროვნების კვალი გვაფიქრებინებს, რომ გამოკვეთილად ზუსტ ფორმალურ სტრუქტურაში გვიანდელი შუა საუკუნეების სიმბოლიკა მეორდება, რომლის კომპოზიციურ ფორმებშიც კოსმოსის ღვთაებრივი წესრიგი ირეკლებოდა.

ბოდლერმა შემდეგ გამოცემაში უარი თქვა რიცხობრივ დამრგვალებაზე, თუმცა შინაგანი წესრიგი გააძლიერა. მისი გამოცნობა ძნელი არ არის. შესავალი ლექსის მერე ლექსების პირველი ჯგუფი (Spleenet Idéal) წარმოადგენს კონტრასტს აღმაფრენასა და დაშვებას შორის. შემდეგი ჯგუფი (Tableaux Parisiens) გვევლინება დიდი ქალაქის გარეგან სამყაროში უკანდახევის, მესამე ჯგუფი (Le Vin) კი — ხელოვ-

---

[1] ილუმინატი — საიდუმლო რელიგიურ-განმანათლებლური საზოგადოების წევრი (მთარგმნელის შენიშვნა).

ნების სამოთხეში გაქცევის მცდელობად. ამასაც არ მოაქვს სიმშვიდე და მოჰყვება იმით გატაცება, რაც დამანგრეველია; ეს მეოთხე ჯგუფის შინაარსია, რომელსაც კრებულის საერთო სათაური აქვს („ბოროტების ყვავილები"). როგორც შედეგი ყველაფრისა, მეხუთე ჯგუფი დამცინავი ჯანყია ღმერთის წინააღმდეგ. ბოლო ცდად რჩება სიკვდილში, აბსოლუტურ უცნობში სიმშვიდის პოვნა. ასე თავდება ეს ქმნილება ბოლო და მეექვსე ჯგუფში (La Mort). მაგრამ არქიტექტონული გეგმა ცალკე ჯგუფების შიგნითაც იკითხება, როგორც თავისებური დიალექტიკური თანმიმდევრობა ლექსებისა. ამის ჩვენება აქ არ არის საჭირო, რადგან არსებითი მთელში გვეძლევა. იგი წესრიგის მოძრავი სტრუქტურაა, რომლის საზღვრებიც ერთმანეთს ენაცვლებიან. იცვლებიან და მთლიანობაში ზემოდან ქვემოთ დამავალ მრუდს ქმნიან. ბოლო პუნქტი ყველაზე ღრმა წერტილია. მას ჰქვია „უფსკრული", რადგან მხოლოდ უფსკრულში ბოგინობს „ახლის" დანახვის იმედი. რომელი ახლის? უფსკრულის იმედს სამისო სიტყვა არ გააჩნია.

ბოდლერმა „ბოროტების ყვავილები" რომ დასრულებულ ნაგებობად ჩამოაყალიბა, ამით ერთხელ კიდევ გახაზა თავისი დისტანცია რომანტიკოსთაგან, რომელთა ლირიკული კრებულები თავისუფალ თანმიმდევრობაში ფორმალურადაც იმეორებენ შთაგონების აქტს. ამას ერთვის ის როლი, რომელსაც ფორმალური ძალები ასრულებენ მის შემოქმედებაში. ისინი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე სამკაული, ვიდრე საჭირო გასათუთება. ისინი გადარჩენის საშუალებებია. იმედივით ნანატრი მშფოთვარე სულიერ მდგომარეობაში. პოეტებმა ძველთაგანვე იცოდნენ, რომ მწუხარება სიმღერაში ნელდება. ეს არის ცოდნა ტანჯვის კათარზისზე სიტყვის დახვეწილ ფორმად ქცევის მეშვეობით, მაგრამ მხოლოდ ცხრამეტე საუკუნეში, როცა მიზეზიანი მწუხარება უმიზნო მწუხარებამ, გაუკაცრიელებამ და ბოლოს, ნიჰილიზმმა შეცვალა, ფორმა იქცა ნანატრ ხსნად, მიუხედავად იმისა, რომ ის, როგორც დასრულებული და მშვიდი, სიმშვიდედაკარგულ შინაარსთან დისონანსში იმყოფება. ჩვენს წინ კვლავ თანამედროვე პოეზიის ძირითადი დისონანსია, როგორც ლექსი გულს გაემიჯნა, ასევე გაემიჯნა ფორმა შინაარსს. მისი ხსნა ენის ხელშია, შინაარსი კი უწინდებურად გადაუჭრელი რჩება.

ბოდლერი ხშირად ლაპარაკობს ფორმის გზით ხსნაზე. აი მაგალითად, შემდეგ ნაწყვეტში, რომლის აზრი არც ისე უწყინარია, როგორც ეს შეიძლება ტრადიციული სიტყვების გამო მოგვეჩვენოს: „ხელოვნების სასწაულებრივი უპირატესობა ის არის, რომ „საზარელი" მაღალმხატვრულად გამოხატული, „მშვენიერებად" გადაიქცევა და რიტმში მოქცეული, დანაწევრებული ტკივილი სულს მშვიდი სიხარულით ავსებს" (გვ. [illegible]). [illegible] დებულება ჯერ კიდევ საბურველში [illegible] ბოდლერის შემოქმედებაში უკვე მოიკიდა ფეხი, სახელდობრ იმას, რომ ფორმადქმნის ნება ძლევს უბრალოდ გამოხატვის ნებას. მაგრამ იგი ცხადყოფს მის ძლიერ მოთხოვნილებას — ფორმის მეშვეობით მიაღწიოს დამაჯერებლობას. მოთხოვნილებას „ფორმათა მაშველი რგოლისადმი", როგორც ამას შემდეგ გილიენის ერთი ლექსი გვამცნობს. სხვაგან ნათქვამია: „სრულიად აშკარაა, მეტრული კანონები არ წარმოადგენს გამოგონილ ტირანიას. ისინი წესებია, რომლებსაც სულის ორგანიზმი თავად მოითხოვს. მათ არასოდეს აუკრძალავთ საკუთარი თავის განხორციელების ორიგინალობა. გაცილებით უფრო სწორია საწინააღმდეგო: რომ ისინი ორიგინალობას მუდამ ეხმარებოდნენ მომწიფებაში" (გვ 774). სტრავინსკი თავის „მუსიკალურ პოეტიკაში" ამ ადგილს მოიშველიებს. მალარმე და ვალერი ამ აზრს გაიმეორებენ — არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ძველ რომანულ ფორმათცნობიერებას ადასტურებს, არამედ იმიტომაც, რომ იგი თანამედროვე პრაქტიკასაც მხარს უჭერს, სადაც რითმის პირობითობები, მარცვალთა რაოდენობა, სტროფის აგებულება ინსტრუმენტივით გამოიყენება, რითაც ენას რანდავენ და იმ რეაქციისაკენ უბიძგებენ, რომელსაც ლექსის შინაარსობრივი მხარე ვერასოდეს გამოიწვევდა.

ბოდლერმა ერთხელ დომიეს ხოტბა შეასხა იმისათვის, რომ იგი მდაბალს, ტრივიალურს, დაცემულს უდიდესი სიზუსტით გამოხატავს. მას შეეძლო იგივე ეთქვა თავის პოეზიაზეც. იგი აერთიანებს მომაკვდინებლობასა და სიზუსტეს და ამითაც მომავალი პოეზიის პროლოგად გვევლინება. ნოვალისით და ედგარ პოთი პოეზიის თეორიაში შემოდის გაანგარიშების ცნება. ბოდლერი მას გადაიღებს: „მშვენიერება გონებისა და გაანგარიშების ნაყოფია", — წერს მისთვის ძალიან დამახასიათებელი ანალიზისას ხელოვნურის (კერძოდ, ხელოვნებისეულის) უპირატესობის შესახებ წმინდა ბუნებრივზე (გვ. 911). მისთვის შთაგონებაც მიშვებული ბუნებაა, შერყვნილი სუბიექტივობაა, და თუ იგი ლექსის შექმნის ერთადერთი მამოძრავებელია, მასაც ისევე მიუყავართ უზუსტობისაკენ, როგორც „გულის ჩქროლვას". იგი მისასალმებელია როგორც ჯილდო მხატვრული სამუშაოს ჩატარებისა, რომელსაც, თავის მხრივ, მხოლოდ ვარჯიშის მნიშვნელობა

აქვს. შემდეგ იგი იძენს მოცეკვავის გრაციას, რომელმაც „უჩუმრად ათასჯერ დაიმტვრია ძვლები, ვიდრე მაყურებლის წინაშე წარსდგებოდა. დიდია ინტელექტუალურისა და ნების მომენტების მნიშვნელობა პოეტური შემოქმედების აქტში. როგორც ბოდლერი ახასიათებს, ასევე, როგორც ნოვალისთან, აქაც თავისით მოტივტივდება ხოლმე მათემატიკის ცნება სტილის სიზუსტის გამოსახატავად. ბოდლერი მას უწოდებს „მათემატიკის საოცრებას". მეტაფორა იძენს „მათემატიკურ სიზუსტეს", ეს ყველაფერი პოს გვაგონებს, რომელიც წერდა პოეტური ამოცანების „მათემატიკური პრობლემის მკაცრ ლოგიკასთან ნათესაური კავშირის შესახებ". მისი კვალი მალარმესთან იჩენს თავს და ჩვენი დროის პოეტიკამდეც აღწევს.

## ბოლო პერიოდი და თანამედროვეობა

ბოდლერის გამიჯვნა რომანტიზმისაგან თემატიკაშიც გამოვლინდა. ის, რაც მან რომანტიზმისაგან მიიღო მემკვიდრეობით (და ეს საკმაოდ ბევრია), ისეთ მკაცრ გამოცდილებად აქცია, რომ რომანტიკოსები მასთან მოთამაშეებად გამოიყურებიან. რომანტიკოსებმა, გვიანი განმანათლებლობის ეპოქაში კვლავ ისტორიის (პრინციპულად უძველესი) ესქატოლოგიური ხედვა განავითარეს და საკუთარი ეპოქა უკანასკნელ ეპოქად გამოაცხადეს. მაგრამ აქ უპირატესად ის განწყობილება ვლინდებოდა, რომლის პაროქსიზმს ანელებდა კულტურის დაისის ფერთა სილამაზე. ბოდლერიც თავის ეპოქას ბოლო ეპოქად მიიჩნევს, მაგრამ მასთან ეს ყველაფერი სხვაგვარ სახეებსა და განცდებშია გამოხატული. ესქატოლოგიური ცნობიერება, რომელიც ევროპას მე-18 საუკუნიდან მსჭვალავს და ჩვენს დრომდე აღწევს, მასთან შეშინებული და ერთდროულად შემაშინებელი სიფხიზლის ფაზაში შედის. 1840 წელს ბოდლერმა დაწერა ლექსი: „რომანტიზმის მზის ჩასვენება". იგი აგებულია სინათლისა და სინათლის თანდათანობით კლებაზე, რომელსაც ბოლოს ცივ ღამეში ჭაობებისა და საზიზღარი ცხოველების წინაშე ძრწოლის საუფლოში ჩავყავართ. ეს სიმბოლიკა ცხადია. იგი მიუთითებს საბოლოო დაბნელებაზე, დასაღუპავად განწირული სულის საკუთარი თავისადმი ნდობის დაკარგვაზე. ბოდლერმა იცის, რომ დროის ბედის შესაფერი პოეზია შესაძლებელია მხოლოდ ღამეულისა და ანომალიურის წვდომით. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც საკუთარი თავისაგან გაუცხოებულ სულს ჯერ კიდევ შეუძლია თხზვა და „პროგრესის" ტრივიალობისაგან თავის დახსნა, რომელშიც ალსასრულის ჟამი იმოხება. იგი ლოგიკურად უწოდებს თავის „ბოროტების ყვავილებს" „უკანასკნელი ჟამის მუზათა დისჰარმონიულ ქმნილებას".

რომანტიკოსებისაგან განსხვავებით [illegible] ად სხვა საზომით მიუდგა მოდერნიზმის ცნებას. ეს უაღრესად რთული ცნებაა. უარყოფითი თვალსაზრისით, იგი გულისხმობს უმცენარო დიდი ქალაქების სამყაროს. მის სიმახინჯეს, ასფალტს, ხელოვნურ განათებას, ქვის თხრილებს, ცოდვებს და ადამიანთა ზიმზიმში მარტოსულობას, ასევე გულისხმობს ორთქლითა და ელექტრობით ამუშავებული ტექნიკისა და პროგრესის ეპოქას. ბოდლერი პროგრესს განმარტავს, როგორც „სულის პროგრესულ დასუსტებას, მატერიის პროგრესულ გაბატონებას" (გვ 766), სხვაგან — როგორც „სულის ატროფიას" (გვ. 1208). ჩვენ ვიცით, რომ არის „უსასრულო ზიზღი" პლაკატების, გაზეთების მიმართ, „ყველაფრის გამაუფასურებელი დემოკრატიის აღმავლობის მიმართ". მსგავსი რამ თქვეს სტენდალმა, ტოკვილმა და, ცოტა მოგვიანებით, ფლობერმაც. მაგრამ ბოდლერის მოდერნიზმის ცნებას მეორე მხარეც აქვს. იგი დისონანსურია და უარყოფითს მიმზიდველს ხდის. უბადრუკს, ლპობადს, ბოროტს, ღამეულს. ხელოვნურს თავისი ხიბლი აქვს, რომელიც პოეტურ აღქმას იმსახურებს. ისინი შეიცავს იდუმალებას, რომელსაც პოეზია ახალ გზებზე გაჰყავს. ბოდლერი დიდი ქალაქის ნაგავში მისტერიას გრძნობს. მისი ლირიკა ამ მისტერიას გამოხატავს ფოსფორისებურ ნათებად. ამას ემატება ისიც, რომ იგი კვეთს უკრავს ყოველ მოქმედებას, რომელიც ბუნებას გამოთიშავს, რათა ხელოვნურის აბსოლუტური სამეფო დაამყაროს. ვინაიდან ქალაქების კუბური ქვის მასებს ბუნებრივი არაფერი სცხიათ, მიუხედავად იმისა, რომ ბოროტების ადგილსამყოფელს ქმნიან, ისინი გონის თავისუფლებას განეკუთვნებიან, წმინდა გონის არაორგანულ ლანდშაფტებად გვევლინებიან. მსგავსი მტკიცება შემდგომ ლირიკოსებთან მხოლოდ ნაწილობრივ გვხვდება. თუმცა მეოცე საუკუნის ლირიკაც დიდ ქალაქებს იმ იდუმალ ფოსფორისებურ ნათელში ხვევს რომელიც ბოდლერმა აღმოაჩინა.

მასთან დიდი ქალაქების სურათები დისონანსური, ამიტომ უკიდურესად ინტენსიურია. ისინი ათავსებენ გაზის შუქსა და ლაისის ზეცას, ყვავილების სურნელსა და კუპრის სუნს. ისინი სავსეა სურვილითა და გოდებით და, თავის მხრივ, დისონანსს ქმნიან ლექსის თავისუფალ, მღელვარე კონტურთან. ბანალურიდან მიღებულნი, როგორც სააფთიაქო ნელ-

ული — შხამიანი მცენარისაგან, ისინი ლირიკულ გარდასახვაში „ბანალობის ბიწის" საწინააღმდეგო საშუალებად გარდიქცევიან. უსახური ჯვარს იწერს ჟღერადობის არისტოკრატულობაზე და იძენს იმ „გალვანურ ძრწოლას", რომელიც პოს შემოქმედებაში მოსწონს. წვიმის ნაკადულებიანი, მტვრიანი ფანჯრები, რუხი, ერთმანეთში შეზრდილი სახლების წყება, მეტალის შხამიანი სიმწვანე, ცისკარი, როგორც ჭუჭყიანი ლაქა, როგორც მეძავთა პირუტყვული ძილი, ომნიბუსების ორომტრიალი, უბაგეო სახეები, დედაბრები, სასულე საკრავთა მუსიკა, ნაღველში ამოვლებული თვალის კაკლები, აშმორებული სუნამო მისი პოეტურად „გალვანიზებული" ლირიკის შინაარსებია, ელიოტთან ისინი კვლავ განაგრძობენ არსებობას.

## სიმახინჯის ესთეტიკა

ბოდლერი ხშირად ლაპარაკობს მშვენიერებაზე, მაგრამ მას ვხვდებით მხოლოდ ფორმათა აგებულებასა და ენის ვიბრაციაში. საგნები აქ მშვენიერის ძველ გაგებას ვეღარ იტანენ. ბოდლერი იყენებს მნიშვნელობაშეცვლილ, პარადოქსულ დამატებებს, რათა მშვენიერს აგრესიული ხიბლი, „უცხო ეშხი შესძინოს", იმისათვის, რომ მშვენიერება ბანალურობისაგან იქნას დაზღვეული და ბანალური გემოვნება აცთუნოს, იგი უცნაური უნდა იყოს. „წმინდა და უცნაური" — გვაუწყებს მშვენიერების მისეული დეფინიცია, მაგრამ სიმახინჯეც უსურვებია დაუფარავად, როგორც ექვივალენტი იდუმალებისა, სადაც ფეხი უნდა შედგას იდეალურში შესასვლელად. „სიმახინჯეს ლირიკოსი ახალ ხიბლს შთაბერავს" (გვ. 1114). ის, რაც უგვანოა, აღძრავს მოულოდნელ განცვიფრებას, ეს კი, თავის მხრივ, იწვევს „მოულოდნელ შეტევას", ნორმიდან გადახვევა უფრო მძაფრად, ვიდრე ოდესმე, თანამედროვე პოეზიის წინაპირობად გვევლინება და, ასევე, მის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად: ესაა ბანალურისა და ტრადიციულის მიმართ გაღიზიანებულობა, რომელიც ბოდლერის თვალში ძველი სტილის მშვენიერებასაც ახასიათებს. ახალი „მშვენიერება", რომელშიც შეიძლება „მახინჯს" თანხვდებოდეს, მშფოთვარეა, რადგან იღებს რა ბანალურს, ერთდროულად აძლევს მის დეფორმაციას და უჩვეულობას სძენს, აგრეთვე „ძრწოლასა და ხუმრობას" ერთვის, — ასე სწერია ბოდლერის ერთ-ერთ წერილში.

ეს გამძაფრებაა იდეებისა, რომლებიც ფრ. შლეგელის „ტრანსცენდენტური ბუფონადით" და ვ. ჰიუგოს გროტესკის თეორიით მოევლინნენ ლიტერატურას. ბოდლერს მოეწონა ედგარ პოს დახასიათება „Tales of the Grotesque and the Arabesque" „რადგან გროტესკული და არაბესკული ადამიანის სახეს ამეტყველებს[?]". ამასთან ბოდლერის გროტესკს არაფერი აქვს საერთო, იგი შეუწყნარებელია კომიკურის მიმართ", ლომიერში იწონებს „სისხლიან მასხრობას", ავითარებს „აბსოლუტურად კომიკურის მეტაფიზიკას", გროტესკულში ხედავს იდეალურისა და სატანურის შეხებას და აფართოებს მას „აბსურდის" ცნებით, რომელსაც მომავალში დიდი ასპარეზი მოელის (გვ. 710 შმდ). საკუთარი და, ასევე, საერთოდ ადამიანის გამოცდილება, რომ ის განდევნილია ექსტაზსა და დანარცხებას შორის, „აბსურდულის კანონიდან" გამომყავს (გვ. 188). ეს კანონი ადამიანს აიძულებს, „ტანჯვა საცილოში გამოხატოს". ბოდლერი ლაპარაკობს „აბსურდულის გამართლებაზე" და ადიდებს სიზმარს, რომელიც რეალურად შეუძლებელს „აბსურდულის საშინელ ლოგიკას" ანიჭებს, აბსურდული ირეალურში გასახედია, რაში შერასაც ბოდლერი და მისი შემდგომი ლირიკოსები ლამობენ, რათა რეალურის ვიწრო არტახებს თავი დააღწიონ.

## „არისტოკრატული სიამოვნება — არ მოსწონდეთ"

პოეზია, რომელიც საკუთარი თავის გამართლებისათვის ახალ ცნებებს საჭიროებს, მკითხველს ან მიიზიდავს, ან სულაც განიზიდავს. რუსოთი გაჩენილი ბზარი ავტორსა და მკითხველს შორის რომანტიკოსებთან მარტოსული პოეტის საყვარელ თემად იქცა. ბოდლერი მას უფრო მძაფრი ჟღერადობით მოსავს. იგი მას ანიჭებს იმ დრამატულ აგრესიულობას, რაც ამიერიდან ევროპული ლიტერატურისა და ხელოვნების დამახასიათებელ ნიშნად იქცა— იქაც კი, სადაც შოკში ჩაგდების განზრახვა ჩამოყალიბებულ პრინციპად კი არ გვევლინება, არამედ უშუალოდ ნაწარმოებიდან გამომდინარეობს. ბოდლერს ჯერ ისევ ჰქონდა ეს პრინციპები, იგი ლაპარაკობს „არისტოკრატული სიამოვნების შესახებ — არ მოსწონდეთ", „სიძულვილის ქმნილებას", მიესალმება პოეზიას, რომელიც „ნერვულ შოკს" იწვევს, თავს იწონებს მკითხველის დაბნევითა და იმითაც, რომ მის ლექსს ვერავინ ჩასწვდება. „პოეტური ცნობიერება, ერთ დროს სიხარულის უშრეტი წყარო, ამჟამად წამების იარაღთა უღეველი არსენალია" (გვ 578). ყველაფერი ეს მეტია, ვიდრე მხოლოდ რომანტიზმის მანერებისათვის მიბაძვა. პოეზიის შინაგანი დისონანსები ლი-

კიურად გადაიზარდა დისონანსად მკითხველსა და ნაწარმოებს შორის.

## დაქცეული ქრისტიანობა

შინაგან დისონანსებზე აქ დაწვრილებით არ შევჩერდებით. შევეხებით მხოლოდ ზემოთ უკვე მოხსენებულ დისონანსს სატანურსა და იდეალურს შორის. მას გვერდს ვერ ავუვლით, რადგან აქ თავს იჩენს შემდგომი ლირიკის შინაარსობრივი თავისებურება, რომელსაც ცარიელ იდეალობას ვუწოდებთ. „პოეტის სულს რომ ჩავწვდეთ, საჭიროა მის შემოქმედებაში ის სიტყვები მოვძებნოთ, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება. სიტყვა გაგვიმხელს, რითია პოეტი შეპყრობილი" (გვ. 111). ბოდლერის ამ სიტყვებში ინტერპრეტაციის ბრწყინვალე პრინციპი გვეძლევა. იგი შეიძლება თავად ბოდლერს მივუყენოთ. მისი სულიერი სამყაროს სიმკაცრე, მისი რიცხვით მცირე, მაგრამ ინტენსიურ თემათა უცვლელობა ნებას გვაძლევს მათი ცენტრი ყველაზე უფრო ხშირად გამეორებულ სიტყვებში ამოვიკითხოთ. ეს წამყვანი სიტყვებია, ისინი უმტკივნეულოდ ლაგდება ორ მოპირდაპირე ჯგუფად. ერთ მხარეზე: წყვდიადი, უფსკრული, შიში, უკაცრიელობა, უდაბნო, საპყრობილე, სიცივე, შავი, ლპობა.. მეორე მხარეზე: აღმაფრენა, ლაჟვარდი, ზეცა, იდეალი, სინათლე, სიწმინდე — თითქმის ყოველ ლექსს მსჭვალავს მათი მღელვარე ანტითეზა. ზოგჯერ ანტითეზა იკუმშება და ლექსიკურ დისონანსად იქცევა: „ჭუჭყიანი სიდიადე", „დაქცეული და მომაკვდინებელი", „მიმზიდველი ძრწოლა", „შავი და ნათელი". შეუთავსებელთა ასეთ შეწყვილებას ჩვეულებრივ ოქსიმორონს უწოდებენ, რაც პოეტური მეტყველების ძველი მხატვრული ხერხია რთული სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად. ბოდლერთან იგი, ჭარბი გამოყენების გამო, თვალში საცემია, მისი ძირითადი დისონანსის შესანიშნავი აზრი გაუჩნდა ბოდლერის ერთ მეგობარს, როცა იგი მთელი ნაწარმოებისათვის სათაურად აქცია: „ბოროტების ყვავილები"

ამ სიტყვათჯგუფს უკან ქრისტიანობის ნაშთი იმალება. ბოდლერი წარმოუდგენელია ქრისტიანობის გარეშე, თუმცა თავად იგი აღარ არის ქრისტიანი. ამ ფაქტს ვერაფერს აკლებს მისი მრავალგზის აღწერილი „სატანიზმი", ვინც თავს სატანისაგან შეპყრობილად გრძნობს, თუმცა საკუთარ თავში ქრისტიანულ ნიშნებს ატარებს, მაინც სრულიად სხვა რამეა, ვიდრე ქრისტიანული ხსნის რწმენა. რამდენადაც ამის მოკლედ თქმა ნებას გვაძლევს, ბოდლერის სატანიზმი არის ფინი — ანიმაციურ ბოროტების (და ამით, ბანალური) აჯობოს ინტელექტის მიერ გამოგონილი ბოროტების საშუალებით, რათა ბოროტების ამ უმაღლესი საზომით იდეალურში შეჭრა განახორციელოს. ამიტომ — „ბოროტების ყვავილების" სიმშვიდეებში და ავადმყოფური გადახრები. „[illegible] ვილის გამო" ისინი სა[illegible]ბენ ბუნებას, სიცილს, სიყვარულს, რათა მასში, „ახალში" გაჭრის კარს მიაგნონ. შემდეგი მთავარი სიტყვის მიხედვით ადამიანი „ჰიპერბოლურია", მარად ზემსწრაფი სულიერ აგზნებულობაში, მაგრამ იგი არსებითად გაგლეჯილი ადამიანია, რომელმაც თავისი სატანური საწყისი უნდა დაიკმაყოფილოს, რათა ზეციური იგრძნოს. ამ სქემაში კვლავ ცნაურდება ადრეული ქრისტიანობის ფორმები: მანიქეიზმი და გნოსტიციზმი, გადმოცემული მეთვრამეტე საუკუნის ილუმინატებისა და ჟ. დე მესტრის მიერ. ასეთ გამეორებას ვერ ავხსნით მხოლოდ ზეგავლენით. ამ სქემაში მეტყველებს ბოდლერის მოთხოვნილება. მასში (და იგი ხშირად სცილდება მის პიროვნებას) სიმპტომატურია, რომ თანამედროვე ინტელექტუალიზმი ძველ ფორმებს უბრუნდება, თანაც ისეთს, რომლებიც მის შინაგან განხეთქილებას ეხმიანება.

მრავალი მოსაზრება, რომლებიც მოჰყავთ ბოდლერის ქრისტიანობის დასამტკიცებლად, სურათს ვერ ცვლის. მას ჰქონდა ლოცვის სურვილი, უაღრესად სერიოზულად ლაპარაკობდა ცოდვაზე, ღრმად იყო გამსჭვალული ადამიანის დამნაშავეობის შეგნებით — ისე ძლიერ, რომ გულიანად გაიცინებდა ქვეყნის ფსიქიატრებზე, რომლებიც მის ტანჯვას „დედასთან დათრგუნვილი კავშირით" ახსნიდნენ, მაგრამ მან ვერ იპოვა გამოსავალი. მისი ლოცვა, უძალოქმნილი უმწეობისაგან, ბოლოს საერთოდ აღარ არის ლოცვა. მართალია, იგი წერს ტკივილზე, მასში ხედავს ადამიანის ღირსების ნიშანს და იცნობს წყევლას, რომელმაც შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მასში ცოცხლობს გზასაცდენილი იანსენისტი[1], მაგრამ მასში არ არის არავითარი შემართება, შინაგანი განხეთქილების უფრო მეტად გამძაფრების გარდა. იგი ორივე მხრივ უზომოა. ეს კარგად მოჩანს მის დამოკიდებულებაში ქალის მიმართ. მისი წყევლა ვერ ხვდება ჰუმანურ შუაგულს. ბოდლე-

---

1 იანსენიზმის მიმდევარი. დააარსა ეპისკოპოსმა იანსენიუსმა ჟან იპრენში (1636 წ.). ეს არის ადრეულ ქრისტიანობასთან დაკავშირებული თეოლოგიური რეფორმატორული მოძრაობის მიმდევრები, ნაწილობრივ შერისხული, როგორც ერეტიკული. დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთში.

რის „ჰიპერბოლური" დაძაბულობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა ქრისტიანული, მას რომ ხსნის იმედის მისტერიის ნათელი ადგეს. ქრისტე მის ლექსებში ძალზე იშვიათი მეტაფორაა, ზოგჯერ იგი მამა-ღმერთისაგან მიტოვებული სახეა. დაწყევლილობის შეგნების უკან იმალება დაწყევლილობით „ტკბობის სურვილი". ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია ქრისტიანული მემკვიდრეობის გარეშე, მაგრამ რაც მისგან ხელთ გვრჩება, ქრისტიანობის ნანგრევებილაა. თომისტი კათოლიკების წარმოდგენაში სამყაროს შექმნის შესახებ ბოროტებას მხოლოდ შემთხვევითი ადგილი უჭირავს. ისევე, როგორც ერთ დროს მანიქეველები, ბოდლერიც მას ცალკე გამოყოფს დამოუკიდებელ ძალად. ამ ძალის პარადოქსულ ხლართში მისი ლირიკა ნორმიდან გადახვევის გამბედაობას იკრებს. გვიანდელ პოეზიას (რემბოს გამოკლებით) აღარ ახსოვს, რომ ანომალია მომაკვდავი ქრისტიანობის ჩირქოვანი წყლულიდან იღებს სათავეს; ანომალია კი რჩება. თვით უფრო მკაცრად ქრისტიან პოეტებსაც არ სურთ, ან არ ძალუძთ დააღწიონ მას თავი, ეს კარგად მოჩანს ტ. ს. ელიოტის მაგალითზე.

## ცარიელი იდეალობა

დანგრეული ქრისტიანობის ფონზე გასაგები ხდება ბოდლერის პოეზიის კიდევ ერთი, შემდგომი დროისათვის მნიშვნელოვანი თავისებურება. იგი დაკავშირებულია ისეთ ცნებებთან, როგორიცაა: „ცოცხლოვანი სული", „იდეალი", „ზესვლა", მაგრამ ზესვლა საითკენ? აქა-იქ მიზნად ღმერთია დასახელებული, უფრო ხშირად კი სრულიად ზოგადი სახელდებია. რას ნიშნავს ეს? პასუხს გვაძლევს ლექსი Elévation (ზეამაღლება). შინაარსი და ინტონაცია მიუთითებს სიმაღლეზე. სამი სტროფი მიმართვაა საკუთარი სულისადმი — აიჭრას ტბებზე, მინდვრებზე, მთაზე, ტყეებზე, ღრუბლებზე, მზეზე, ეთერსა და ვარსკვლავებზე მაღლა, ტრანსცენდენტურ ცეცხლოვან სფეროში, რომელიც მას მიწიერი მიაზმებისაგან გაწმენდს. აქ წყდება მიმართვა. მას მოსდევს ზოგადი ხასიათის გამონათქვამი: ბედნიერია, ვინც ამას შეძლებს და ასეთ სიმაღლეზე ისწავლის „ყვავილთა და უტყვ საგანთა" ენას.

ლექსი მოძრაობს პლატონური და ქრისტიანულ-მისტიკური წარმომავლობის ცნობილ სქემაში. ამ სქემის მიხედვით, სული ადის ტრანსცენდენტურში, რომელიც მას ისე გარდაქმნის, რომ იგი, მოიხედავს რა უკან, მიწიერი საბურველის მიღმა მის (მიწიერის) ჭეშმარიტ არსს დაინახავს. ეს ის სქემაა, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების მიერ ascensio-დ ან elevatio-დ არის წოდებული. ბოლო [illegible] სტროფი ლექსის სათაურია, საგულისხმოა სხვა თანხვდომებიც. ანტიკური და ქრისტიანული მისტიკოსების თანახმად, უზენაესი ცა წარმოდგენილია საკუთრივ ტრანსცენდენციად, ცეცხლოვან ზეცად, ემპირიუმად. ბოდლერთან მას ჰქვია: „ნათელი ცეცხლი". და როცა შემდეგ ვკითხულობთ: „განიწმინდე თავი", გვახსენდება მისტიკაში ცნობილი purificatio-ს აქტი. და ბოლოს: მისტიკა ზესვლას ჩვეულებრივ ანაწევრებდა ცხრა საფეხურად, რომელთა შინაარსი, ცვალებადიც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან მთავარი იყო თვითონ საკრალური რიცხვი — ცხრა. მას ჩვენს ლექსშიც ვხედავთ: ზუსტად ცხრა ფიგურაა, რომელთა ზემოთაც უნდა აიჭრას სული. ეს არის გასაოცარი. მისტიკური ტრადიციის ზეგავლენაა? ალბათ, იგი იმ ზეგავლენას ჰგავს, რომელიც მასზე ქრისტიანობამ საერთოდ მოახდინა. მთავარი ეს არ არის. შეიძლებოდა სვედენბორგისა ან სხვა ახალ მისტიკოსთა გავლენაზეც გვეფიქრა. ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს. სწორედ იმით, რომ ლექსი ასე ზუსტად თანხვდება მისტიკურ სქემას, ნათელი ხდება, თუ რა აკლია მას სრული თანხვდომისათვის: სახელდობრ, ზესვლის შედეგი — მიღწევა ან თუნდაც მიღწევის სურვილი. ესპანელი მისტიკოსის ხუან დე ლა კრუსის სიტყვებია: „მე მივფრინავდი ისე მაღლა, ისე მაღლა, რომ ჩემი ნავარდი მიზანს ეწია". ბოდლერმა, მართალია, ამ მიღწევის შესახებ იცის, მაგრამ ისიც იცის, რომ მას იგი არ უწერია, როგორც ამას ლექსის ბოლო სტრიქონებში გვამცნობს. აქ ბუნდოვანი ლაპარაკია „ღვთაებრივ სახმელზე", „თვალშეუდგამ უსაზღვროებაზე", „ნათლით გამსჭვალულ სივრცეებზე", ღმერთის ხსენება კი არსადაა. ჩვენ იმასაც ვერ ვიგებთ, თუ როგორია ყვავილთა და საგანთა ეს ამიერიდან გასაგები ენა. ზესვლის მიზანი არა მარტო შორსაა, არამედ ცარიელიც. იგი უშინაარსო იდეალობაა, წმინდა დაძაბულობის პოლუსია, რომელსაც ჰიპერბოლურად ესწრაფვიან, მაგრამ ვერ კი აღწევენ.

ასეა ყველგან ბოდლერთან. ცარიელი იდეალობა რომანტიზმში იღებს სათავეს. ბოდლერი მას აქცევს მიმზიდველობის ძალად, რომელიც, აღვიძებს რა ზემოთკენ უსაზღვროდ დაძაბულ სწრაფვას, თავად დაძაბულს ქვე ანარცხებს. იგი ბოროტებას ჰგავს, იძულებაა, რომელსაც უნდა დაემორჩილო, დამორჩილებული კი შვება არ უწერია. აქედან — „იდეალობა" და „უფსკრულის" გათანაბრება, გამოთქმები, როგორიცაა: „მღრღნელი იდეალი", „იდეალის"

ობრილში ვზივარ", „მიუდგომელი ლაჟვარდი"— კლასიკოს მისტიკოსთა შემოქმედებაშიც ვხვდებით. იქ ისინი გამოხატავენ ღვთაებრივი წყალობის ტკივილნარევი სიხარულით მოსილ ამაღლებას, ნეტარების წინა საფეხურს. ბოდლერთან ორივე პოლუსს, სატანურ ბოროტსა და ცარიელ იდეალობას, ერთი აზრი აქვთ — ის ემოციები შემართონ, რომლებიც ხელს შეუწყობენ ბანალური სამყაროდან გაქცევას, მაგრამ ეს გაქცევა უმიზნოა და დისონანსურ ემოციებს ვერ სცილდება.

ხოლო ლექსი „მოგზაურობა", რომელიც ბაჯრის ყველა საშუალებას გამოცდის, მთავრდება სიკვდილის გადაწყვეტილებით. რას მოიტანს სიკვდილი, — ლექსმა არ იცის, მაგრამ იგი თავისკენ იზიდავს პოეტს, რადგან სიკვდილს აქვს შანსი, „ახალში" შეგვიძღვეს. ეს ახალი რაღაა? მას ვერ განვსაზღვრავთ. იგი ცარიელი რამაა, რაც უპირისპირდება რეალურის უსახოობას. ბოდლერის იდეალობის თავში დგას სრულიად უარყოფითი და შინაარსდაცლილი ცნება სიკვდილისა.

თანამედროვე ლირიკის ქაოსურობაა ის, რომ მას რეალობიდან გაქცევის სურვილი ნევროზამდე აჭვალებს. ამავე დროს, იგი უძლურია, არწმუნოს ან შექმნას შინაარსობრივად განსაზღვრული, აზრობრივად ჩამოყალიბებული ტრანსცენდენტი. ამას მისი პოეტები მიჰყავს დინამიური დაძაბულობისკენ, რომელსაც არ მოსდევს შვება და ასევე — იდუმალებისკენ თავად იდუმალების გამო. სწორედ აქ თვითმიზანია. ბოდლერი ხშირად ლაპარაკობს ზებუნებრიობასა და მისტერიაზე. რას გულისხმობს მათში? ამას გავიგებთ, თუ ამ სიტყვებს სხვა შინაარსით დავტვირთავთ, ვიდრე აბსოლუტური იდუმალებაა. სახელდობრ, ცარიელი იდეალობა, გაურკვეველი „სხვა", რემბოსთან კიდევ უფრო მეტად გაურკვეველი, მალარმესთან უკვე არარად ქცეული, და თანამედროვე ლირიკის საკუთარ თავში მბრუნავი იდუმალება — ეკვივალენტებია.

## ენის მაგია

„ბოროტების ყვავილები" არ წარმოადგენს ბუნდოვან ლირიკას. იგი თავის ანომალიურ ფსიქიკურ მდგომარეობას, თავის იდუმალებას და დისონანსებს გასაგები ლექსებით გამოხატავს. ბოდლერის პოეზიის თეორიაც უაღრესად ნათელია, ამასთან ისეთ შეხედულებას და პროგრამას ვეცნობით, რომელსაც წინა ლირიკაში ან სულ ვერ შევხვდებით, ან თუ შევხვდებით, მხოლოდ მინიშნების სახით. მაგრამ იგი შემდგომ, სულ მალე გაბატონებული ბუნდოვანი პოეზიის ერთგვარ შემზადებად გვევლინება. აქ უმთავრესად საქმე ეხება ენის მაგიისა და ფანტაზიის ცნებებს.

პოეზია, განსაკუთრებით რომანტიკული, იცნობს და ისეთ პერიოდებს, როცა [illegible] დობა დამოუკიდებელ ძალ[illegible] რო ძლიერ შემოქმედებდა, ვიდრე შინაარსი. კეთილხმოვანი ბგერწერა და რიტმული პარალელები აჯადოებდნენ ყურს, მაგრამ ძველი პოეზია ასეთ შემთხვევაშიც არასოდეს უგულებელყოფდა შინაარსს. პირიქით, ბგერწერა მოწოდებული იყო, ლექსის შინაარსი გაეძლიერებინა. ამის მაგალითები უხვად გვხვდება ვერგილიუსთან, დანტესთან, კალდერონთან, რასინთან. ვითარება რომანტიკოსებით იცვლება. იწერება ლექსები უფრო ჟღერადობის, ვიდრე სათქმელის გამო. ენის ჟღერადობა შთამაგონებელ ძალას იძენს. ასოციაციურ წარმოდგენებად გარდაქმნილ სიტყვიერ მასალასთან კავშირში იგი ზღაპრულ უსასრულობას გადაგვიშლის. მაგალითისათვის გამოდგება თუნდაც ბრენტანოს ლექსი, რომელიც ასე იწყება: „Wenn der lahme Weber träumt, er webe" ამ სტრიქონებში აღარ მოჩანს სურვილი — გაიგონ, არამედ სურვილი — აღიქვან როგორც მელური შთაგონება. უფრო ძლიერ, ვიდრე აქამდე, ენაში ითიშება გაგებინების ფუნქცია და ფუნქცია — იყოს მუსიკალური ველი და დამოუკიდებელი ორგანიზმი. მაგრამ ეს თვით პოეტურ პროცესსაც განსაზღვრავს, ენაში დაფარულ იმპულსებს რომ იწოვს. ცნობიერი შესაძლებლობა, როცა ლექსი იმ კომბინაციის მეშვეობით იქმნება, რომელიც ენის ჟღერად და რიტმულ ელემენტებს იყენებს, როგორც მაგიურ ფორმულებს. უშუალოდ მათგან და არა თემატური დაგეგმულობიდან მოდის მისი აზრი: მოფარფატე ბუნდოვანი აზრი, რომლის იდუმალებას უფრო სიტყვის ჟღერადობის ველა და სემანტიკური განაპირა ზონები ქმნიან, ვიდრე სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა. ეს შესაძლებლობა თანამედროვე პოეზიაში გაბატონებულ პრაქტიკად იქცა. ლირიკოსი ხდება ბგერის ჯადოქარი, და თუმცა პოეზიისა და მაგიის ნათესაობის შესახებ უძველესი დროიდან იცოდნენ, თანამედროვე ლირიკოსებს თავიდან მოუხდათ ყველაფრის აღმოჩენა, რადგან ჰუმანიზმმა და კლასიციზმმა ეს გამოცდილება ივიწყეს. ეს მოხდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, ამერიკაში. მან ედგარ პოს თეორია მოგვცა. ეს თეორია მზარდ, სპეციფიკურად თანამედროვე მოთხოვნებს უჩვენებს გზას: პოეზია ერთდროულად ინტელექტუალურიც იყოს და, თან, არქაულ პრაქტიკასთან დაკავშირებულიც, ის [illegible], რომელიც უ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე ნოვალისთან შეინიშნება, როცა იგი პოეზიაში მათემატიკისა და მაგიის ცნებებს აკავშირებს, ასეთი პოეზიის ერთი სიმპტომთაგანია. ჩვენ ვხვდებით ორსავე ამ (ან მსგავს) ცნებას, ბოდლერიდან მოყოლებული დღემდე, როცა ლირიკოსები თავიანთ ხელოვნებაზე მსჯელობენ.

ბოდლერმა ედგარ პო თარგმნა და ამით, სულ ცოტა, საფრანგეთში მაინც შეუწყო ხელი მისი ზეგავლენის გავრცელებას, რაც მეოცე საუკუნემდე გრძელდება და ანგლოსაქსური წარმოშობის ავტორებს, მათ შორის ელიოტსაც, მუდამ აოცებდათ. მხედველობაში მაქვს პოს ორივე თხზულება: „შემოქმედების ფილოსოფია" (1846) და „პოეტური პრინციპები" (1848). ისინი შემოქმედებითი აზროვნების ძეგლებია, რომელთა დასკვნებიც საკუთარ შემოქმედებაზე დაკვირვებითაა მოპოვებული. ისინი განხორციელებაა პოეზიისა პოეზიის შესახებ ამავე რანგის (ამ შემთხვევაში რანგით უფრო მაღალის) რეფლექსიის თანხვდომისა, რაც სწორედ თანამედროვე ლირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომია. ბოდლერმა პირველი წერილი სრულად თარგმნა, მეორე — შერჩევით. ეს თეორიები მან ისე შეისისხლხორცა, რომ შეიძლება ისინი მისეულადაც მივიჩნიოთ.

პოს მიგნება იმაში მდგომარეობს, რომ ძველ ესთეტიკაში მიღებული პოეტურ აქტთა თანამიმდევრობა შეაბრუნა. ის, რასაც შედეგი ერქვა „ფორმა" ხდება ლექსის საწყისი, ხოლო საწყისი — „აზრი" მასთან შედეგია. პოეტური შემოქმედების დასაწყისში დგას ჯიუტი „ტონი", უსახო განწყობილება, რომელიც წინ უსწრებს აზრით დატვირთულ ენას. პოეტი ენაში ეძებს იმ ბგერით მასალას, რომელიც ამ „ტონთან" ყველაზე ახლოსაა. ბგერები უკავშირდება სიტყვებს, სიტყვები კი მოტივებად ჯგუფდებიან, რომელთაგანაც ბოლოს აზრობრივი კავშირი დამყარდება. აქ თანმიმდევრულ თეორიადაა ჩამოყალიბებული ის, რაც ნოვალისთან ინტუიციური მონახაზია, სახელდობრ ის, რომ პოეზია წარმოიშობა ენის იმპულსიდან; თავის მხრივ, მიჰყვება რა წინაენობრივ „ტონს", იგი გზას გვიჩვენებს აზრობრივი შინაარსისაკენ. შინაარსები აღარ წარმოადგენს ლექსის საკუთრივ სუბსტანციას, არამედ იგი ტონური ძალებისა და მათი მნიშვნელობაზე აღმატებული ვიბრაციების მატარებელია. ედგარ პო გვიჩვენებს, რომ სიტყვა Palles მის ერთ-ერთ ლექსში თავის არსებობას უმადლის წინამავალ სტრიქონებთან თავისუფალ ასოციაციას და, ასევე, საკუთარი ჟღერადობის მიმზიდველობას. შემდეგ იქვე აღწერს აზრის განვითარებას, როგორც მხოლოდ გაურკვეველიდან მომდინარე შთაგონებას, რადგან ამგვარად იქმნება ტონის დომინანტი, რომლის ზემოქმედებასაც ვერავითარი აზრობრივი დომინანტი ვერ შეასუსტებს. ასეთი პოეტური ზემოქმედება უნდა გავიგოთ, როგორც ენის მაგიური ძალებისადმი [illegible]. პირველადი ტონისათვის [illegible] აზრის ჯამდარიცხვაში იგი „მათემატიკურ" სიზუსტეს იცავს. ლექსი თავის თავში ჩაკეტილი წარმონაქმნია. იგი არც ჭეშმარიტებას გვიზიარებს და არც „გულის ჩქროლვას". საერთოდ არაფერს გვიზიარებს, არამედ არის: The poem per se. პოს ამ შეხედულებით თანამედროვე პოეზიის იმ თეორიას ჩაეყარა საფუძველი, რომელიც შემდეგ ცნობილი გახდება „წმინდა პოეზიის" სახელით.

იქნებ, ნოვალისიც და პოც იცნობდნენ ფრანგი ილუმინატების მოძღვრებას. ბოდლერზე ეს დანამდვილებით ვიცით. ამ მოძღვრებას (რომელშიც, ასევე, სიმბოლიზმის ბევრი ძირია საძიებელი) ეკუთვნის ენის სპეკულაციური თეორია: სიტყვა არ არის ადამიანის მიერ შემთხვევით გამოგონილი რამ, არამედ კოსმიური პირველმიზეზიდან მომდინარეობს. მისი წარმოთქმა აცოცხლებს მოლაპარაკის მაგიურ კონტაქტს მის ამგვარ წარმომავლობასთან. როგორც პოეტური სიტყვა, იგი ტრივიალურ საგნებს კვლავ ძირავს მათი მეტაფიზიკური წარმომავლობის საიდუმლოებაში და დაფარულ ანალოგიებს ყოფიერების წევრებს შორის სინათლეზე გამოაქვს. ვინაიდან ბოდლერისათვის მახლობელია ეს აზრები, ედგარ პოს თეორიის მიღება, რომელიც მსგავსი წყაროთი იკვებება, სრულიად გასაგებია. მასთანაც ვხვდებით მოწოდებას სიტყვის აუცილებლობის შესახებ წინადადებაში, რომელსაც მოგვიანებით მალარმე სიტყვასიტყვით მოიყვანს: „სიტყვაში დევს რაღაც წმინდა, რომელიც გვიკრძალავს მას იყენებდეთ შემთხვევით. როგორც მოგვეხსენება, ენას ოსტატურად ფლობდე, ნიშნავს — გრძნებით შელოცვის საიდუმლოებას ფლობდე" (გვ. 1088). ფორმულა „გრძნებით შეკვრა" ხშირად გვხვდება სხვით ხელოვნებაზე საუბრისას. იგი გამოხატულებაა მაგიისა და მეორადი (ოკულტური) მისტიკის წარმოდგენათა სფეროში მყოფი აზროვნებისა. ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: „მაგიური ფორმულები", „მაგიური ოპერაცია", არანაკლებ ხშირია. და, ბოლოს, შემოქმედის აბა-

[1] H. Friedrich. Die Sprachtheorie der französ. Illuminaten (in: Deutsch. Viertel-Schrift f. Literaturwiss. und Geistesgesch., 1935).

ლო ცნება: „შთაგონება", რომელსაც ქვემოთ შევეხებით.

არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ „ბოროტების ყვავილებში" მხოლოდ სულ რამდენიმე ადგილას ვლინდება ენის წმინდა მაგიის ძალა, მაგალითად, რითმების უჩვეულო დაზვავებაში, შორეულ ასონანსებში, ტონთა მიმოხრაში, ხმოვანთა მწკრივში, რომელთაც აზრი კი არ მართავს, პირიქით, თვითონ მართავენ აზრს. თავის თეორიულ განსჯებში ბოდლერი გაცილებით შორს წავიდა. იგი ისეთ მომავალ ლირიკაზე მიგვანიშნებს, რომელიც მაგიური ჟღერადობის სასარგებლოდ უარს იტყვის ობიექტურ, ლოგიკურ, აფექტურ, ასევე, გრამატიკულ წესრიგზე და სიტყვის იმპულსებიდან ისეთ შინაარსს ამოზიდავს, რომელსაც წინასწარ დაგეგმილი ჩანაფიქრი ვერასოდეს მიგვაგნებინებს. ეს გახლავთ ანომალიური აზრითი შინაარსები გასვლის საზღვარზე ან საზღვარს მიღმა. აქ იკეტება წრე, იკვეთება თანამედროვე ლირიკის სტრუქტურის შემდგომი ლოგიკურობა. პოეტური შემოქმედება, რომლის იდეალობაც ცარიელია, გაურბის რეალობას, ქმნის რა მიუწვდომელ იდუმალებას. მით უფრო ემსახურება ამაში ენის მაგია, რადგან სიტყვის ჟღერადობისა და ასოციაციურობის შესაძლებლობებში კვლავ ბუნდოვანი შინაარსები იმალება, მაგრამ, ასევე, წმინდა ჟღერადობის იდუმალებით სავსე მომაჯადოებელი ძალაც.

## კრეაციული ფანტაზია

ბოდლერი ბევრგან ლაპარაკობს თავის „ზიზღზე რეალურის მიმართ". ეს ეხება სინამდვილეს მხოლოდ იქ, სადაც იგი ბანალური ან წმინდად ბუნებრივია — ორივე მისთვის არაჯანსაღი სულის გამოხატულებაა. საგულისხმოა, რომ ბოდლერს, როცა „ბოროტების ყვავილები" გაასამართლეს და დაგმეს, ყველაზე მეტად ის სწყინდა, მას რეალიზმი რომ დასწამეს, ს არ-ლიანადაც. მით უმეტეს, რომ ეს ცნება მაშინ ისეთ ლიტერატურას აღნიშნავდა, რომელიც მორალურად და ესთეტიკურად სინამდვილის აღმაშფოთებელ, ბნელ მხარეებს ასახავდა, თანაც, მხოლოდ ერთი მიზნით: აღებეჭდა ის და მეტი არაფერი. ბოდლერის ლირიკა მეახლოებისაკენ კი არ მიილტვის, არამედ გარდასახვისაკენ. იგი ინსტინქტურ ბოროტს ამძაფრებს სატანურამდე, სიდუხჭირის სურათებს „გალვანური შემზრამბის" ფერით მოსავს, ნეიტრალურ მოვლენებს ისე ასახავს, რომ სულიერი მდგომარეობის სიმბოლოებად, ან იმ გაურკვეველ იდუმალ სამყაროდ გვევლინებიან, რომლებიც ცარიელ იდეალობას ავსებენ. უაზრობა იქნებოდა, ბოდლერი რეალისტად ან ნატურალისტად გვეცნო. ყველაზე მძაფრ, შოკში ჩამგდებ [illegible]ში ყველაზე ცხოვლად ბრიალებს მისი „[illegible]ოვანი სული", რომელიც ყველაფერ რეალურს განილტვის. ეს ლტოლვა რეალობისაგან მკვეთრადაა აღბეჭდილი მის პოეტურ ტექნიკაში. ობიექტური გადმოცემის სიზუსტე უპირველესად ასახავს უკიდურესად ქვე განდევნილსა და, მაშასადამე, უკვე გარდაქმნილ სინამდვილეს, ამავე დროს, თვალში საცემია მისი პოეტური სურათების თავისებური ადგილსმოწყვეტილობა. მიდრეკილება — აფექტური ეპითეტები გამოიყენოს ობიექტურად უფრო მიზანშეწონილის მაგიერ, გრძნობადი სფეროების სინესთეზიური საზღვარმოშლა და სხვა.

იმ სახელთაგან, რომელთაც ბოდლერი არქმევს სინამდვილის გარდასახვისა და დერეალიზაციის ამ ნიჭს, ორი სახელი ჯიუტად მეორდება: სიზმარი და ფანტაზია. რუსოსა და დიდროზე უფრო გაბედულად აქცევს მას მათში ჩადებული აზრი უმაღლესი კრეაციული ნიჭის რანგში. ჩვენ ვამბობთ ხაზგასმით: კრეაციული და არა შემოქმედებითი, რადგან ბოლო სიტყვასთან გერმანულ ენაში დაკავშირებულია ისეთი წარმოდგენები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეგვიშალონ დავინახოთ ბოდლერის ცნებებში (სიზმარსა და ფანტაზიაში) ნაგულვები, ძალზე მნიშვნელოვანი ინტელექტუალური და ვოლუნტარისტული ძალები, რომლებიც იმითაც ხასიათდება, რომ მათემატიკისა და აბსტრაქციის მსგავს ცნებათა წრეში ძევან.

რა თქმა უნდა, გვხვდება სიზმრის ცნების გამოყენება ძველი მნიშვნელობითაც. მაგალითად, იქ, სადაც ბოდლერი სიზმარს უწოდებს სულიერი ცხოვრების სრულიად განსხვავებულ ფორმას, შინაგან დროს, შორეულისადმი ლტოლვას, აქაც მაინც მკვეთრად იგრძნობა რეალურზე ზედგომა, თვისებრივი დაპირისპირება სიზმარეულ უსაზღვრობასა და სამყაროულ დასაზღვრულობას შორის. შევეცდებით ამ ცნების ულრმეს და ზუსტ მნიშვნელობას ჩავწვდეთ. იგი საძიებელია იქ, სადაც სიზმარი მკვეთრად ემიჯნება „რბილ მელანქოლიას", „გულს", „გულაჩვილობას"; ედგა პოს „Nouvelles Histoires"-ის თარგმანის წინასიტყვაობაში იგი დახასიათებულია, როგორც „მოციმციმე, იდუმალებით სავსე, კრისტალივით სრულყოფილი". იგი შემქმნელი და არა აღმქმელი უნარია, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ მოქმედებს ქაოსურად და თვითნებურად, არამედ ზუსტი და გამიზნულია. რა გზითაც უნდა წარმოიშვას იგი, გადამწყვეტია მუდამ ერთი: იგი ირეალურ შინაარსებს წარმოქმნის. იგი შეიძლება პოეტური განწყობილება იყოს, მაგრამ ასევე შე-

ლებულია ნარკოტიკებმა და აბებმა, ან ფსიქოპათიურმა მდგომარეობამ აამოქმედოს. ყველა ეს ბიძგი ვარგისია „მაგიური ოპერაციისათვის", რომლიდან მუსიკებითაც სიზმარი რეალურზე მაღლა დააყენებს შექმნილ არარეალურობას.

ბოდლერი რომ სიზმარს უწოდებს „კრისტალივით სრულყოფილს", ეს არ არის შემთხვევითი შედარება. მასში გაცხადებულია სიზმრის რანგი არაორგანულთან მისი შედარებით. ჯერ კიდევ ნოვალისთან ვკითხულობთ: „ქვები და ნივთიერებები წარმოადგენენ უმაღლესს: ადამიანი ნამდვილი ქაოსია". საფეხურებრივი განლაგების ეს გადაჭრუფება, რომელიც ალქიმიიდან მოდის, ბოდლერთან კანონზომიერად ჩნდება იქ, სადაც იგი ეხება სიზმრის თემას. მას იგი უმატებს ბუნების დეგრადაციას — ქაოსსა და უწმინდურობას. ამას, ალბათ, უნდა მოველოდეთ ლათინელი ავტორისაგან, მაგრამ მას მხოლოდ ლათინური აზროვნებით ვერ ავხსნით. ბუნებაში ბოდლერი გულისხმობს ვეგეტაციურს, მაგრამ, ასევე, ადამიანის ბანალურ სიმდაბლესაც. მას არაორგანული წარმონაქმნების სახით, ისე ძლიერ უპირისპირდება აბსოლუტური სულის სიმბოლო, რომ ზელაბლა ჩნდება დისონანსური დაძაბულობა. ამ მოვლენას მე-20 საუკუნის მხატვრებთანაც ვხვდებით. მათი კუბური ან ირეალურ ფერებში შესრულებული ნახატების შინაარსი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი, — მაგალითად, მარკი, ბეკმანი და სხვები — ბუნებას ალიქვამენ, როგორც უწმინდურსა და ქაოსურს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ზეგავლენასთან, არამედ სტრუქტურულ ერთიანობასთან. ბოდლერის თვალში არაორგანული მაშინ იძენს უმაღლეს მნიშვნელობას, როცა იგი საშემოქმედო მასალაა: ქანდაკება მისთვის მეტია, ვიდრე ცოცხალი სხეული, ტუის დეკორაცია სცენაზე მეტია, ვიდრე ბუნებრივი ტყე. ამაში ბევრია ლათინური, მაგრამ უკიდურესი გამოყენება თანამედროვეა. ასეთი ძლიერი გათანაბრება ბელოვნებისეულისა და არაორგანულისა, რეალურობის ასეთი მკაცრი განდევნა პოეზიის სფეროდან ადრეულ ეპოქებში მხოლოდ იქ თუ შეგვხვდება, სადანაც ფარული დამაკავშირებელი ხაზები მოემართება თანამედროვე პოეზიისაკენ, სახელდობრ, ესპანურ ბაროკოს ლიტერატურაში.

მაგრამ აქაც კი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ლექსი, როგორიცაა ბოდლერის „Reve parisien", სადაც ყველაზე ნათლადაა აღბეჭდილი ბელოვნურისა და არაორგანულის გასულიერება: არა რეალური, არამედ სიზმარეული ქალაქი, სურვილისამებრ ნაგები: კუბური კონსტრუქციები, საიდანაც ყოველგვარი მცენარეული განდევნილია: უზარმაზარი თაღედი, რომელსაც ერთადერთი მოძრავი და მაინც მკვდარი სტიქია—წყალი მოედინება; ალმასის ეფსკრულები, პატიოსანი თვლების თაღები, არავითარი მზე, არავითარი ვარსკვლავები, საკუთარი წიაღიდან ამოფრქვეული სინათლე; ყველაფერი ეს უადამიანოდ, ადგილის, დროის ძლერადობის გარეშე ცხადად იკვეთება. რას ნიშნავს სათაურში სიტყვა „სიზმარი", ეს არის კონსტრუქციული სულიერების ნაყოფქმნა, რომელიც გვაუწყებს თავის გამარჯვებას ბუნებასა და ადამიანზე მინერალისა და მეტალის სიმბოლოებით. იგი ახდენს თავის კონსტრუირებულ სახეთა პროექციას ცარიელ იდეალობაში, საიდანაც ისინი უკუნათელ ჰფენენ, თვალისმომჭრელს თვალისათვის, უამურს სულისათვის.

## დანაწევრება და დეფორმაცია

ბოდლერის შეხედულებებმა ფანტაზიის შესახებ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე ლირიკისა და ხელოვნების წარმოშობაში. იგი მისთვის იმთავითვე სიზმრის იდენტური, უბრალოდ, კრეაციის შესაძლებლობაა, „ადამიანურ ნიჭთა დედოფალია". როგორ იქცევა ფანტაზია? 1859 წელს იგი წერს: „ფანტაზია ანაწევრებს (décompose) მთელ სამყაროს კანონების მიხედვით, რომლებიც სულის სიღრმიდან მოდიან, კრებს და ანაწევრებს მას და ნაწილებისაგან ქმნის ახალ სამყაროს" (გვ. 778). ეს თანამედროვე ესთეტიკის ერთ-ერთი ფუძეთვალსაზრისია. მისი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი შემოქმედებითი აქტის დასაწყისში დანაწევრებას აყენებს, დამანგრეველ პროცესს, რომელსაც ბოდლერი იმითაც გაბაზავს, რომ „დანაწევრებას" ერთ, ამგვარ მოსაზრებების შემცველ წერილში „დაცილებით" ცვლის. რეალური ნაწილებად დაშლა და დაცალკევება — ნიშნავს მის დეფორმირებას. დეფორმაციის ცნება ბოდლერთან მრავალჯერ გვხვდება და ყოველთვის დადებითი მნიშვნელობით. დეფორმაციაში მოქმედებს სულის ძალა. ის, რაც „ახალ სამყაროდ" წარმოდგება ასეთი დანგრევის შედეგად, ვეღარ იქნება რეალურად მოწესრიგებული სამყარო. იგი ირეალური წარმონაქმნია, რომელიც აღარ ექვემდებარება ნორმალურ რეალურ კანონებს.

ბოდლერთან ეს ყველაფერი ჯერ მხოლოდ თეორიული მონახაზებია. მის პოეზიაში იშვიათად გვხვდება მსგავსი შესატყვისობები, ასეთად შეიძლება, მაგალითად, ჩავთვალოთ „დრუბლები მთვარეს აბურთავებენ" (გვ. 841).

შემდგომი დროის სიმაღლიდან დანახული ეს სტრიქონი (საკმარისია გავიხსენოთ, თუნდაც რემბო) ბოლომდე ავლენს თავის გამბედაობას და ხსენებული ფანტაზიის ახალ შინაარსს. საზოგა, მთავარი მიმართულება არ დავკარგოთ მხედველობიდან, სახელდობრ: ვიწრო სინამდვილისაგან ლტოლვა. ფანტაზიის ცნება ყველაზე მკვეთრად იქ ვლინდება, სადაც იგი უპირისპირდება მარტივად აღბეჭდვის მეთოდს. აქედან მომდინარეობს ბოდლერის პროტესტი მაშინ ახალშემოსული ფოტოგრაფიის წინააღმდეგ. ფანტაზიის ქმნილებას იგი ერთგან უწოდებს „ამაღლებულ იდეალიზაციას" (გვ. 881). იდეალიზაცია აქ აღარ ნიშნავს (როგორც ძველ ესთეტიკაში) გამშვენიერებას, არამედ დერეალიზაციას; გულისხმობს დიქტატორულ აქტს. როგორც ჩანს, იმავე წამს, როგორც კი თანამედროვეობამ თავისი ტექნიკური შესაძლებლობა ფოტოგრაფიის სახით სინამდვილის აღსაბეჭდად გამოიყენა, ამ პოზიტივიზმმა, ვიწრო რეალობამ უფრო ჩქარა ამოწურა საკუთარი თავი და შემოქმედებითმა ძალებმა მით უფრო სწრაფად გადაინაცვლეს ფანტაზიის არაობიექტურად მოცემულ სამყაროში. ეს ანალოგიური რეაქციაა, რომელიც მეცნიერულმა პოზიტივიზმმა გამოიწვია. ბოდლერის მიერ ფოტოგრაფიის დაგმობა ერთ სიბრტყეზე დგას ბუნების მეცნიერების მისეულ უარყოფასთან. სამყაროს მეცნიერული გამსჭვალვა მხატვრულმა აზროვნებამ აღიქვა, როგორც სამყაროს დავიწროება და იდუმალებისაგან განძარცვა. მან მას ფანტაზიის ძალაუფლების არნახული აღზევებით უპასუხა.

ბოდლერიდან მომდინარე ეს პროცესი დღემდე უაღრესად მნიშვნელოვანია. ერთ საუბარში ბოდლერს უთქვამს: „მე ვინატრებდი წითლად შეღებილ მდელოებს, ლურჯად შეღებილ ხეებს". შემდეგ რემბო ასეთ მდელოებზე ლექსებს დაწერს. მეოცე საუკუნის მხატვრები მათ დახატავენ. კრეაციული ფანტაზიის მეოხებით შექმნილ ხელოვნებას ბოდლერი სიურნატურალიზმს უწოდებს, ეს არის ხელოვნება, რომელიც საგნებს ცლის საგნობრიობისაგან, აქცევს რა მათ ხაზებად, ფერებად, მოძრაობებად, დამოუკიდებელ აქციდენციებად და „მაგიურ სინათლეში" ახვევს, რათა მათი რეალობა იდუმალებაში დაინთქას. სიურნატურალიზმიდან 1917 წელს აპოლინერი სიურრეალიზმს გამოიყვანს, — და სამართლიანადაც, რადგან იგი სწორედ იმას აგრძელებს, რაც ბოდლერს სურდა.

## აბსტრაქცია და არაბესკები

სხვა წინადადებაში გაერთიანებულია ფანტაზია და ინტელექტი. 1856 წელს ბოდლერი ერთ წერილში წერს: „მგოსანი უმაღლესი მოაზროვნეა, ხოლო ფანტაზია ნიჭთა შორის ყველაზე მეცნიერულია" (Correspondance, I, გვ. 888). ამ წინადადების პარადოქსი დღეს არანაკლებ პარადოქსულად [illegible] მაშინ. პარადოქსია, [illegible] პოეზია, რომელიც მეცნიერულად ახსნილ და ტექნიზებულ სამყაროდან ირეალურში იჭრება, ირეალურის წარმოსაქმნელად მოითხოვს იმავე სიზუსტეს და ინტელექტს, რომლებმაც რეალობა შეზღუდეს და ბანალური გახადეს. ამ საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. აქ საკმარისია ბოდლერის აზრთა თანმიმდევრობა აღვნიშნოთ, მას კი ლოგიკურად მივყავართ ახალ ცნებამდე: აბსტრაქცია. უკვე ნოვალისთან ეს ცნება გამოყენებულია ფანტაზიის არსის განსაზღვრისათვის. ეს გასაგებია, რადგან ფანტაზია გაგებულია, როგორც უნარი ირეალურის შესაქმნელად. ბოდლერთან „აბსტრაქტული" უმეტესად ნიშნავს „გონითს" „აბსურდულის" გაგებით. აბსტრაქტული პოეზიისა და ხელოვნების სხვა საწყისები აქ საჩინოვდება შეუზღუდავი ფანტაზიის ცნებაში, რომლის ეკვივალენტსაც აბსტრაქტული ხაზები და მოძრაობები ქმნიან. უკანასკნელს ბოდლერი უწოდებს „არაბესკებს". ამ ცნებასაც ეწერა მომავალი. „არაბესკი ნახატებს შორის ყველაზე გონითია" (გვ. 1192). გროტესკი და არაბესკი ნოვალისმა, გოტიემ, პომ ერთმანეთს დაუახლოვეს. ბოდლერმა მათ შორის მანძილი კიდევ უფრო შეამოკლა. მის ესთეტიკურ სისტემაში გროტესკი, არაბესკი და ფანტაზია ერთ მთელს შეადგენს, ფანტაზია აბსტრაქტული, მაშასადამე, თავისუფალი გონის საგნობრიობისაგან დაცლილი მოძრაობების უნარია. პირველი ორი ამ უნარის პროდუქტია.

პროზით დაწერილ ლექსებში გვხვდება პატარა ნაწარმოები „ტირსიას ჯოხზე"[1]. კრეაციული ფანტაზია გადააქცევს მას მოცეკვავე ხაზებისა და ფერების ქმნილებად, რომლისთვისაც ჯოხი, როგორც ამას ტექსტი გვეუბნება, მხოლოდ საბაბია, — ასევე საბაბია სიტყვის ტრაექტორიისათვის." უკანასკნელი შენიშვნა მიუთითებს ენის მაგიასთან კავშირზე. არაბესკის, აზრისაგან დაცლილი ხაზების ცნება უკავშირდება „პოეტური ფრაზის" ცნებას, ეს კი, როგორც ბოდლერი „ბოროტების ყვავილების" წინათქმის ერთ ვარიანტში წერს, არის ჟღერადობისა და მოძრაობათა წმინდა მიმდევრობა: მას ხელეწიფება ჰორიზონტალური, აღმავალი, დაღმავალი ხაზი, სპირალი, ერთმანეთზე დაწყობილი კუთხეების ზიგზაგი წარმოქმნას — პოე

[1] ბაკხი ქალების სურათი ან ვაზის ფოთლებით დახვეული ჯოხი (მთარგმ. შენიშვნა.).

ზიას ამგვარად უჩნდება მუსიკასთან და მათემატიკასთან შეხების წერტილი.

დისონანსური სილამაზე, პოეზიის სუბიექტის გათავისუფლება გრძნობისაგან, ანომალიური ფსიქიკური მდგომარეობები, ცარიელი იდეალობა, საგნობრიობისაგან დაცლა, იდუმალება, რომელიც იქმნება ენის მაგიური ძალებისა და აბსოლუტური ფანტაზიის მიერ და უახლოვდება მათემატიკის აბსტრაქციას და მუსიკის ხვეულებს — ყოველივე ამით ბოდლერმა შეამზადა ის შესაძლებლობები, რომელთაც მომავლის ლირიკაში ეწერათ განხორციელება.

მათ რომანტიზმის ნიშნით აღბეჭდილ შემოქმედებაში აქვთ საერთო რომანტიკული თემატიკა. ბოდლერმა არა[illegible] [illegible]ობიექტურობად აქცია, თავის მოძღვართა გაკვრითი მიგნებებისაგან ისეთი აზრითი ნაგებობა აღმართა, რომლის ფასადიც მათგან პერსპექტივით დგას. ამიტომ შეიძლება მის მემკვიდრეთა ლირიკას დერომანტიზებული რომანტიზმი ვუწოდოთ.

(გაგრძელება იქნება)

# ზურაბ გ. აბაშიძე

## იოზეფ როთი

დიდი ავსტრიელი ბელეტრისტის, იოზეფ როთის, ისევე, როგორც ალბათ ნებისმიერი სხვა თავისთავადი მწერლის შემოქმედებას ძნელია მოვარგოთ რაიმე ეტიკეტი და მთლიანად ჩავტიოთ რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის ფარგლებში, თუმცა იგი ეპოქის ჭეშმარიტი შვილია და ნაღდი წარმომადგენელი თავისი სათაყვანო დუნაისპირა მონარქიისა. „იობისა" და „რადეცკის მარშის" უკვდავი ავტორის შემოქმედება, ვისაც თვით შტეფან ცვაიგი საკუთარ თავზე მაღლა აყენებდა, მრავალ ენაზე თარგმნილი, დღეს ცოცხალია და აქტუალური, თარგმანების წყალობით მრავალი სხვადასხვა ხალხის მიერ გათავისებული და ჩვენ მოწმენი ვართ მისი პოპულარობის განუწყვეტელი ზრდისა.

ერთი ემიგრანტული გერმანული გაზეთის ანკეტის პასუხად ი. როთი წერდა: „თქვენს კითხვაზე, თუ რაა მწერლის ამოცანა ახლა, ჩვენს დროში, საჭიროა თუ არა მწერალმა გამოთქვას აზრი დღევანდელი სამყაროს ულმობლობის, და არაადამიანურობის თაობაზე, გიპასუხებთ, — მწერალს არა აქვს უფლება დღევანდელი სამყაროს არაადამიანურობის მიმართ თავისი პოზიციის გაუმჟღავნებლობისა.

მწერალს არასოდეს ჰქონია და დღესაც არ გააჩნია უფლება თავის „მოწოდებაზე" ილაპარაკოს და იზრუნოს მხოლოდ „დროის მიღმა" მყოფ საგნებზე. ტალანტი და გენია არა და არ ათავისუფლებს ადამიანს აქსიომატური მოვალეობისაგან, რომ ებრძოლოს ბოროტს. მწერალი, ვინც დღესდღეობით ჰიტლერისა და მუსამე რაიხის წინააღმდეგ არ იბრძვის, უიუოდ პატარა, სუსტი ადამიანია და უმნიშვნელო მწერალი. ჭეშმარიტი, ნაღდი ტალანტისათვის აუცილებელია: 1. თანაუგრძნოს ჩაგრულ ადამიანს; 2. უყვარდეს სიკეთე; 3. სძულდეს ბოროტება. შესწევდეს ვაჟკაცობა, რომ ხმამაღლა და არაორაზროვნად განაცხადოს ზემოთქმული."

იოზეფ როთი 1894 წლის 2 სექტემბერს დაიბადა სლავურ გალიციად წოდებულ ვოლინის მხარის დაბა შვაბენდორფში ბროდის მახლობლად, ავსტრო-უნგრეთის იმპერიის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, ისტორიული პერიპეტიების წყალობით გალიცია ხან ავსტრიის, ხან პოლონეთის, ხანაც რუსეთის გამგებლობაში იმყოფებოდა.

მირიამ გრიუბელი, მწერლის დედა, შეძლებული ვოლინელი ებრაული ოჯახის შვილი კუფილა. მამა, ნახუმ როთი, — ხასიდების წრეში აღზრდილი ებრაელი, ჰამბურგის ერთი საექსპორტო ფირმის თანამშრომელი, ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ ნახუმ როთმა მიატოვა თავისი ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი. 1894 წლიდან ფსიქიური დაავადებით შეპყრობილი, იგი სულით ავადმყოფთა კლინიკაში მოათავსეს. შემდეგ მკურნალობდა იმ ხანებში სახელგანთქმულ ფსიქიატრის მკურნალობდა იმ ხანებში სახსწაულმოქმედის რეხოვს მქონე რეზიოვი რაბინთან. გარდაიცვალა 1939 წელს. გან-

ბეურნებელი. სალომონ გრიუბელის, ი. როთის დედის ძმის გადმოცემით, ნაჰუმ როთი ქალივით ნახატი ვაჟკაცი ყოფილა, ქერა თმაწვერიანი, იოზეფივით სხივთვალება.

დედის მდიდარი ძმების ხელგაშლილობა დახმარებამ ი. როთს შეაძლებინა მიეღო სწავლა. ბროდის გიმნაზიის კურსდამთავრებულმა, 18 წლის როთმა, უკვე ჩამოყალიბებული მხატვრული გემოვნების ფრიად განათლებულმა ყმაწვილკაცმა სწავლა განაგრძო ლემბერგისა და ვენის უნივერსიტეტებში, გერმანისტიკისა და ფილოსოფიის ფაკულტეტებზე. იმ ხანებში პრესაში ქვეყნდება მისი პირველი ლექსები და ნოველები. ახალბედა მწერლის კრედო კარგადაა ჩამოყალიბებული დეიდაშვილის, პაულა გრიუბელისათვის მიწერილ (1916 წ. აგვისტოთი დათარიღებული) წერილში: „სამ რამეს ვისურვებ, მეფეთა საკადრისს: გვირგვინს, ძოწისფერ მანტიასა და სკიპტრას; გვირგვინს ფანტაზიისა, ძოწისფერ მანტიას მარტოსულისა და სკიპტრას ირონიისა, იშვიათ საბოძვარს. ყველაზე მეტად კი ერთი რამ მსურს შენთვის. არ გადაეჩვიო სიცილს. სიცილი პაწია, ქრიალა ზარია, კეთილი ანგელოსისაგან ჩვენთვის ნაბოძები ცხოვრების თანამგზავრი. მაგრამ რაკი იგი ესოდენ ქნინია და ცეტი, ადვილად შეიძლება გაგისხლტეს და დაგეკარგოს. სადმე, გზაზე. მერე ჩამოივლის ბედი მწყრალი პრაჟპერუქით და ჩექმით გათელავს მას. ზოგს ბედი გაუღიმებს და კვლავაც იპოვის მას. ვიღაცა სხვა იპოვის და პატრონს მიუბრუნებს, რაც იშვიათად ხდება. ამიტომ, ფრთხილად!"

ავტობიოგრაფიულ ესკიზში, რომლის ავთენტურობა თითქოსდა უეჭველი უნდა იყოს, ი. როთი ხშირად საქმის ნამდვილ ვითარებას გადმოგვცემს იმგვარად, როგორც მის პოეტურ ბუნებას წარმოესახებოდა. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარებმა, მაგალითად, ვერ დაადასტურეს ფაქტი როთის რუსეთში სამხედრო ტყვედ ყოფნისა. განცდილი და ნაგულისხმევი, ფაქტი და ფიქცია, ჭეშმარიტება და მხატვრული გამონაგონი აქ იმგვარადაა გადახლართული, რომ საკმაოდ ხშირად ჭირს დადგენა სინამდვილისა.

და მაინც მწერლის მიერ გადმოცემული ამბავი თავისი ცხოვრებისა აგრეთვე არის ნიმუში პოეტური ბელეტრისტიკისა და ისევე უცხო მოსასმენია, ვით მისი შეუდარებელი მოთხრობები, რომანები, რეპორტაჟები და ესსეები.

„დავიბადე ვოლინის მხარის ერთ პაწია დასახლებულ პუნქტში, 1894 წლის 2 სექტემბერს ქალწულის ზოდიაქოს ნიშნით, რომელთანაც იოზეფი, ჩემი სახელი რაღაც მიმართებაში უნდა იყოს. დედაჩემი ებრაელი ქალი იყო ყოჩაღი, მიწიერი, სლავური იერისა, იგი ხშირად მღეროდა უკრაინულ სიმღერებს, იმიტომ რომ ძალიან უბედური იყო; (ჩვენში სწორედ ღარიბები მღერიან სიმღერებს შინ, და არა ბედნიერები, როგორც დასავლეთის ქვეყნებში. ამიტომაცაა აღმოსავლური სიმღერები უფრო ლამაზი და ვისაც გრძნობა გააჩნია, მათი მოსმენისას გული აუჩუყდება.) დედას არც ფული ებადა და არცა ქმარი. იმიტომ, რომ მამაჩემმა ერთ მშვენიერ დღეს წაიყვანა დასავლეთში, ეტყობა მხოლოდ იმისათვის, რომ მე შევექმენი და კატოვიცში მიატოვა იგი. მერე გაქრა და აღარასოდეს გამოჩენილა. უცნაური კაცი ყოფილა მამა, სლავური ტიპის ავსტრიელი. უამრავ ფულს ფლანგავდა, ეტყობა სმას ეძალებოდა და სულით ავადმყოფი გარდაიცვალა. მე რომ თექვსმეტი წლისა ვიყავი, თავისი სპეციალობა, მელანქოლია მე გადმომილოცა მემკვიდრეობით. ნახვით იგი არასოდეს მინახავს. თუმცა მახსოვს, რომ ოთხი-ხუთი წლის ყმაწვილს ერთხელ სიზმარში გამომეცხადა კაცი და მითხრა, მამა ვარო შენი. ათი თუ თორმეტი წლის შემდეგ პირველად ვნახე მამაჩემის ფოტოსურათი, ვნახე და ვიცანი, ის კაცი იყო, სიზმრად რომ ვნახე.

ყრმობის ასაკში, სხვები ფეხს რომ იდგამენ ,მე უკვე რკინიგზით ვმგზავრობდი. ვენაში ჩავედი. მალევე გამოვბრუნდი უკან, ისევ მოვაშურე დასავლეთს. ფული არ გამაჩნდა, ოღონდ გავდიოდი მდიდარი ნათესავების დახმარებითა და კერძო გაკვეთილებით. ვსწავლობდი ბეჯითად. პატივმოყვარეობას აყოლილი, ჩინებული ყმაწვილი ვიყავი, გულგოროზი, ღვარძლიანი, ქედმაღლობის გამო ვთავმდაბლობდი, მდიდრები მეჯავრებოდა, თუმცა არც ღარიბები მეხატა გულზე, სულელად და უმწეოდ მესახებოდნენ ისინი. მეშინოდა ყოველგვარი ვულგარული გამოხდომისა და სიხარულით ცას ვეწიე, ჰორაციუსის ერთ ოდაში ჩემი ინსტინქტების ავტორიტეტული დასტური რომ ვპოვე. დედაჩემთან გატარებული დრო უბედნიერესი იყო ჩემთვის. ერთხელ ღამით წამოვდექი, ტანთ ჩავიცვი და სახლიდან წავედი. სამი დღე ვიარე, ღამეს ვათევდი სახლებში, რომელთა მდებარეობა არ ვიცოდი და მეძინა ქალებთან, ვის სახელს ვერა ვბედავდი. თუმცა გულით მეწადა. ზაფხული იყო. ყანებში კარტოფილს შევიწვავდი ხოლმე, ტყეში მარწყვს ვაგროვებდი, გზას აცდენილ მოზარდებში ვტრიალებდი, ერთი ორჯერ კარგა მიმბეგვეს, თუმცა სულ უბრალოდ. ვინც მცემა, მერე ყველამ პატიება მთხოვა, ჩემი შურისძიებისა ეშინოდათ. განსაკუთრებით არავინ მყვარებია. მაგრამ თუ ვისმე შევიჯავრებ-

დი, ვწყევლიდი, მზად ვიყავ სიცოცხლეს გამომესალმებია. საუკეთესო შურდულები მქონდა, ხალხს პირდაპირ თავში ვუმიზნებდი და განა მარტო ქვითა ვტენიდი, არამედ მინის ნამტვრევებითა და დანის პირის ნატეხებითაც. სადარნოს მოვაწყობდი, მახეს ვაგებდი, ორმოს ვთხრიდი, ასპარეზს ვნიღბავდი.

გულკეთილი გავხდი მოგვიანებით. პირველი ფაქიზი გრძნობები ერთმა გოგომ აღმიძრა, როცა გერმანისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, პირველ კურსზე..."

იოზეფ როთის ერთი მეგობრის გადმოცემის თანახმად როთი ჭაბუკობაში პაციფისტი ყოფილა. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად იგი მოხალისედ წავიდა ავსტრია-უნგრეთის არმიაში და 1916—1918 წლებში იბრძოდა აღმოსავლეთის ფრონტზე. ჯერჯერობით მწერლის ბიოგრაფებმა ვერ დაადგინეს ფაქტი მისი რუსეთში ტყვედ ყოფნისა. ავსტრო-უნგრეთის მრავალეროვანი იმპერიის დარღვევა დიდი სულიერი ტრავმა აღმოჩნდა ი. როთისათვის ვინც ბოლომდე თვლიდა თავს უსამშობლოდ დარჩენილ ავსტრიელ ფენრიხად.

ვენაში დაბრუნებულ ახალგაზრდა კაცს ალფრედ პოლგარის მეურვეობის წყალობით გზა გაეხსნა ჟურნალისტიკაში, თუმც მაშინ იგი ახალბედა როდი იყო ჟურნალისტიკაში — არმიაში ყოფნისას როთი თანამშრომლობს საფრონტო გაზეთში. პაციფისტურ გაზეთ „დერ ნოიე ტაგში" დასტამბული მისი სტატიები შუქს ჰფენენ იმის წყალობით სისხლისაგან დაცლილი ევროპის სიდუხჭირეს.

1920 წლიდან როთის ჟურნალისტური მოღვაწეობის ასპარეზი გახდა ბერლინი, სადაც იგი თანამშრომლობს „ნოიე ბერლინერ ცაიტუნგის", „ფორვერტსისა" (სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანო) და ბოლოს „ფრანკფურტერ ცაიტუნგის" რედაქციებთან. როგორც „ფრანკფურტერ ცაიტუნგის" კორესპონდენტმა, მან კიდით კიდე, ჰოლანდიიდან ვოლგისპირეთამდე და ჰამბურგიდან ამიერკავკასიამდე მოიარა ევროპა და გახდა პირველთაგანი გერმანულენოვან ჟურნალისტთა კოჰორტაში, მას მოიხსენიებენ ეგონ ერვინ კიშის, ალფრედ პოლგარის, კურტ ტუხოლსკის სახელთა თანაბრად.

იოზეფ როთის მეგობარი, მწერალი და ჟურნალისტი, ცნობილი ომ დე ლეტრ,[1] ჰერმან კესტენი, ვინაც განუზომელი ამაგი დასდო მწერლის მემკვიდრეობის მოვლასა და გამოცემას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, წერს: „იოზეფ როთის გარდაცვალების ოცდაათი წლის შემდეგ ყველაზე ცოცხლად ერთი რამ შემოინახა მეხსიერებამ, ჩემთვის უნიკალური ვითარება. ქუჩაში კაფეს მაგიდას ვუსხედვართ ორნი, ბერლინში ან პარიზში, ნიცაში, ოსტენდეში თუ ამსტერდამში და ვწერთ. შორეული ნაცნობიც რომ შ[illegible] თავს ვანებებ და სხვა კაფეში [illegible]

ვერც როთი მუშაობდა სხვისი თანდასწრებით, კაფეში მეინახეებთან იგი საუბრობდა. როთი ალბათ ყველაზე მჭევრმეტყველი კაცი იყო იმათაგან, ვისაც მე შევხვედრივარ, ენაწყლიანი ვით სოკრატე, ანეკდოტებისა და მოხდენილ ზმაქცევათა გუდა, ვით მოხუცი ებრაელი, ადამიანთა მიმართ ცნობისწადილით აღსავსე; მისი ცნობისწადილი იმდენად დიდი იყო, რომ თანაგრძნობასა და სიმპატიაში გადაიზრდებოდა ხოლმე და ვინც მის გვერდით იჯდა და სვამდა, ყველას შთააგონებდა, მე თქვენი საუკეთესო მეგობარი ვარ, ხოლო თქვენ კი ჩემიო.

ადამიანებთან ურთიერთობაში როთი, ეტყობა თავისდა უნებურად, ქმნიდა ინტიმს, საოცარ ფსიქოლოგიურ ტაქტთან შენივთებულს, და ალბათ სწორედ ამ ინტიმისა და ტაქტის წყალობით ვიჯექი ხოლმე როთის გვერდით და „ვთხზავდი".

ამასაც გეტყვით, ყოველთვის უბრად როდი ვისხედით. ხანი გამოხდებოდა და როთი გაილიმებდა, გამვლელზე მიმანიშნებდა, ღრუბელს მაჩვენებდა, ანდა უეცრად გაელვებულ კვიმატ აზრს გამანდობდა, გავიცინებდით, თავის კალამს დადებდა, მეც ფანქარს გამომართმევდა და ყავას შევუკვეთავდით, თავისთვის ჭიქა შამპანურს მოატანინებდა, მცირე ხანს ვისაუბრებდით და ისევ მივყოფდით წერას ხელს.

ხანდახან უქმად ვიჯექი ხოლმე როთის გვერდით, როცა იგი წერილებს წერდა. ერთს, ორს, ათ წერილს დაწერდა ერთიმეორის შემდეგ. წვრილი ასოები გამოჰყავდა, სწრაფად, დახვეწილი ენით წერდა, შეუსვენებლივ, თითქოს კარნახს წერსო. გაწაფული, სტილისტი, იგი ყოველ სიტყვას, ყოველ აზრსა და განცდას მისხალ-მისხალ, ოქროს სასწორზე წონიდა. ნაღდი სიტყვები იწერებოდა ფეხბურთის თავდამსხმელის სისწრაფით.

დაწერდა საქმიან წერილს, მერე სამიჯნუროს მიაყოლებდა, გამომცემელს მისწერდა, ავტორს, მკითხველს ან პოეტის ცოლს, პოლიტიკოსს, მტერსა და მოყვარეს, მონარქისტს გინა კომუნისტს, იმპერატორის ვაჟიშვილს ან რაბინის ძეს, გულის ტოლ ქალს და ექსორიის თანაზიარს, მთხოვნელებსა და მეცენატებს, თავის კუზინებსა და მის უწმინდესობას, რომის პაპს. დროდადრო როთი ერთ რაიმე ნაწყვეტს წამიკითხავდა, სიხარულს გამიზიარებდა მიგნებული სხარტი ნათქვამის, ნატიფი ხატის,

1. ლიტერატორი — (ფრანგ.).

ზმისა თუ ირონიის გამო და იშვიათად რჩევასაც ეკითხავდა ხოლმე.

წერილს იმავე მანერით წერდა, როგორც საუბრობდა — გონივრულს, მგზნებარებით აღსავსეს, კაცი ოპტიმისტი და უკიდურესად სასოწარკვეთილი, დახვეწილი მორალისტი." სავარაუდო ხუთი ათასიდან მერმან კესტენმა ძლივს მოუყარა თავი ხუთას წერილს, რა დასანანია იმ წერილების დაკარგვა. ბევრი მათგანი აღსავსე ყოფილა მახვილგონიერებითა და ცეცხლით, სიცოცხლით სავსე, ვით ხე ახალნერგი. ჭეშმარიტება ამ წერილებში ხშირად მოდიფიცირებული იყო და მოდიფიკაციაში კაშკაშებდა ჭეშმარიტება. თამამი ბუფონადის გვერდით ნახავდით მრისხანე მორალისტის პოლემიკას, დიდ პოეზიას და დიდ სიკეთეს.

ჯერ კიდევ ბერლინში გადავიდოდა, იოზეფ როთი დაქორწინდა. მეუღლეს, ფრიდერიკე (ფრიდლ) რაიხლერს შემდგომ სულით ავადმყოფობის სიმპტომები გამოაჩნდა, რომელთა მოძალებამ გამოიწვია მისი ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობა. 1930 წლიდან მოყოლებული ქალი საერთოდ აღარ გამოსულა საავადმყოფოდან. საყვარელი ცოლის ავადმყოფობა მთელი სიცოცხლე ტანჯავდა მწერალს. ფრიდერიკე მოესწრო (თუმცა ვერ აღიქვა) ქმრის სიკვდილს. ნაცისტი ბარბაროსების, კანონის საფუძველზე სულით ავადმყოფთა ლიკვიდაციის შესახებ ფრიდერიკე როთი 1940 წელს დახვრიტეს.

ჟურნალისტური მოღვაწეობა ი. როთისათვის, ვისაც პოეტური ზეშთაგონება სიყრმიდან ჰქონდა მომადლებული, გარკვეულად წარმოადგენდა სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებას, მუზა კალიოპეს ინსპირაცია კი გადმოიღვარა რომანებისა და მოთხრობების სახით. 1923 წელს ოქტომბერში ვენის „არბაიტერ — ცაიტუნგში" დაიწყო ი. როთის რომანის „აბლაბუდას" გამოქვეყნება ნაკვეთ-ნაკვეთ. დასავლური ლიტერატურის ისტორიკოსები სრულიად უსამართლოდ დუმილით უვლიან ხოლმე გვერდს მწერლის დებიუტს, რომლისთვისაც იმანენტურია მრავალი ნიშანი დიდი მწერლის გვიანდელი შედევრებისა — თხრობის მისეული, განუმეორებელი მანერა, სადაც ჰარმონიულად შეხამებულია ავტორის ოლიმპიური განდგომა-დისტანცირება და შთაგრძნობა, ირონია და სიბრალული, ცნობიერების ნაკადი, შინაგანი მონოლოგი და მთხრობელისეული რემარკები. ექსპრესიონისტული ელემენტებით დახატულ პასაჟებს ენაცვლება „ახალი საგნობრიობის" (ნოიე ზახლიხქაით) იმხანად ჩამოყალიბებული მიმდინარეობის დაღდასმული დინჯმდოვრე ნაუბარი.

რომანის მხატვრულ ღირსებებს მისივე განსაცვიფრებელი პოლიტიკური აქტუალობა დაერთო, — 8 ნოემბერს დაიბეჭდა „აბლაბუდას" ბოლო ნაკვეთი და ორი დღის შემდეგ, 9 ნოემბერს მიუნხენში დაიწყო ლუდენდორფ — ჰიტლერის პუტჩი. ავტორმა, ვით ნათელმხილველმა წინასწარ განჭვრიტა [illegible], ნაცისტური ელემენტების [illegible]. „აბლაბუდა" გერმანულენოვან ლიტერატურაში პირველი ანტიფაშისტური რომანია, ვაიმარის რესპუბლიკის ავადმყოფობის ისტორია.

1924 წელს დაიბეჭდა ი. როთის ორი რომანი „სავოის სასტუმრო" და „აჯანყება". სავოის სასტუმრო გალიციის პატარა, რუსეთის საზღვრისპირა, მიყრუებულ ქალაქში აღმართული უზარმაზარი, ათასამდე ოთახის შემცველი სასტუმროა, სადაც ვით პრიზმაში გარდატყდება ომისშემდგომი ავსტრიის განაპირა პროვინციის მაშინდელი ყოფა. სასტუმრო მიკროსამყაროა, ფასადის მაცდური, გარეგანი მშვენების მიღმა მიმალულია მდიდრის მყუდრო სავანეცა და უპოვარის უფანჯრო ჭურღმულიც. გაბრიელ დანი, ებრაული წარმომავლობის ავსტრიელი ჯარისკაცი, რუსეთის ტყვეობიდან შინმიმავალი აქ დაიდებს ბინას. ომსა და ტყვეობაში ათას ტანჯვაგამოვლილს მას თითქოს რამოდენიმე სიცოცხლე უცხოვრია და მაინც მგონებს, რომ შეუძლია „ცისარტყელასავით მრავალფერ ბრწყინავდეს და კვლავ დამთეს ცისარტყელა, ფერთა იგივე სპექტრის მქონე". — იგი ომამდე მწერლის კარიერაზე ოცნებობდა. მართალია, მას შინმომავალთა დიდი მასის ნაწილად მიაჩნია თავი, მაგრამ გაფიცულ მუშებს არ ეკარება.

უცნაური ადამიანები სახლობენ სასტუმროში: სტასია, ვარიეტეს მოცეკვავე, პარიზზე მეოცნებე ლამაზმანი, ხელმოცარული მსახიობი სანჩინი, ლატარიის დიდი მოგების მოიმედე ჰირშ ფიში, ფაბრიკანტები, კახპები...

რომანი თავდება შთამბეჭდავი აპოთეოზით, — რევოლუციის ტალღას აყოლილი ხალხით გარშემორტყმული სავოის სასტუმრო ცეცხლის ალშია გახვეული.

სასტუმროს უცნაურად ჰიპერტროფირებული, რომანტიკული ხატი ათასგვარი ნაირსახით მთელი სიცოცხლე თანა სდევს იოზეფ როთს, კაცს მფრინავი ჰოლანდიელივით მიუსაფარს, ამბოკარს, ვისაც ერთადერთი სამშობლო შემორჩა — ევროპის დიდ და მცირე ქალაქთა სასტუმროები.

1924 წელს გამოვიდა მომდევნო რომანი ი. როთისა „აჯანყება". ნაწარმოები პრობლემათა იმავ რკალს ეხება, „სავოის სასტუმროში" რომ იყო წამოჭრილი. ანდრეას პუმი, ომის ინვალიდი, ბედს დიდად არ ემდურის, რაკი ცოცხალი გადარჩა და ჯანმრთელობაც მოხპიტ-

ლის სხვა ბინადრებთან შედარებით ნაკლებად შეერყა, — ცალი ფეხი დატოვა მხოლოდ ბრძოლის ველზე, სამაგიეროდ მკერდი ორდენით დაიმშვენა და ჰოსპიტლიდან გამოსვლის წინ არლანიც ჩაიგდო ხელში. არლნითა და ლიცენზიით აღჭურვილი, უკეთესი მომავლის რწმენით პუმი შეტოპავს რევოლუციით გათანგული დიდი ქალაქის ქაოტურსა და მკაცრ სინამდვილეში. კატარინაც რომ დაისაკუთრა, თბილი და ფუნჩულა ქვრივი ქალი, ანდრეას პუმმა თავი ბედნიერად ჩათვალა, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა პუმის ბედნიერება. საკუთარი ბედისა თუ საზოგადოების უკულმართობამ ზედიზედ აგემა დარტყმები და ერთიმეორის შემდეგ წაართვა ორდენიცა და არლანიც, ლიცენზიაცა და კატარინაც, ბინაცა და თავისუფლებაც. და ანდრეასი, სახელის მოხდის შემდეგ უდროოდ დაბერებული საპირფარეშოს დარაჯი, აჯანყდება, ღმერთის აუჯანყდება, ვიდრე სულს ჩააბარებს მას.

„სავოის სასტუმროცა" და „ჯანყიც" ისევ გაზეთის, „ფორვერტსის" ფურცლებზე დაიბეჭდა პირველად. ამ რომანთა პერსონაჟების, „პატარა ადამიანის" სოციალური პროტესტი იმდროინდელი ავსტრიული ლიტერატურის სხვა წარმომადგენელთა თხზულებებშიც გაისმის (არტურ შნიცლერი, რიხარდ შაუკალი, ფრანც ბლაი).

ოციანი წლების დასასრულს ი. როთის ნაწარმოებთა გამოცემას ხელი მოჰკიდა დიდი გერმანული გამომცემლობის ცნობილმა მფლობელმა გუსტავ კიპენჰოიერმა, გამომცემელი ასე იხსენებს თავის ავტორს: „იოზეფ როთს პირველად ანჰალტის სადგურზე შევხვდი, ვენიდან ჩამოვიდა ჩქარი მატარებლით. იმ წუთიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა. ჩამოდიოდა ხოლმე მარად მოგზაური მცირე ხნით ბერლინში და ჩემთვის დაიწყებოდა ნაყოფიერ, სახარგებლო შეხვედრათა რიგი მწერალთან და ადამიანთან.

მოუსვენარი მოგზაური, წინამძღოლი ყურნარი ქარავნებისა, წარღვნამდ აზავთებული ჩვენი საუკუნის საბედისწერო მეოთხე ათეულში ყველგან სანუკვარი სტუმარი იყო, სადაც მივიდოდა. ჰაბსბურგების მომხრე, კაცი უსამშობლო, კოსმოპოლიტი და ბერი, ვისი სენაკიც იყო მსოფლიო, სენაკში მიმსვლელს ბუზღუნით და უგუნებოდ კი არ შეეგებებოდა, არამედ თავაზიანად შეიპატიჟებდა შინ.

იოზეფ როთი არისტოკრატი იყო ჩემს ავტორთა შორის, იგი ყველას პატივისცემით ეპყრობოდა. ხმას არასოდეს აუწევდა. ადამიანს დაეხმარებოდა ისე, რომ თავის ღირსებას არ შელახავდა. მარად მოგზაურს დიდი ბარგი როდი გააჩნდა: ერთი ყავისფერი ტყავის პორტფელი. შემცველი განძის — ხელნაწერების, ორიოდ ჩემოდანი.

გაიხიზნებოდა ხოლმე სასტუმროს ოთახში, კაფეში და მუშაობდა განმარტოებით, დიდი ქალაქის ხმაურიანი [illegible] გარემოცული სულ მთლად ამა [illegible] და მაინც გამორჩეული თავისი სიბრძნით. ყოველგან ყურადღების ცენტრად რომ აქცევდა".

თავის მხრივ ი. როთი ამრიგად გვაცნობს კიპენჰოიერს: „ორჯერ უარი შემომითვალა კიპენჰოიერმა. ალბათ მესამეჯერაც უარმყოფდა, ერთმანეთი რომ არ გაგვეცნო.

ერთ კვირადღეს არაყს შევექცეოდით. ცუდი გამოდგა ის არაყი და ორთავე ავად დავგვხვდა. ჩვენ შეგვებრალა ერთმანეთი და დავმეგობრდით, ხასიათით განსხვავებულნი. ერთი ბუნებისა მარტო სასმელში გამოვდექით. კიპენჰოიერი ვესტ-ფალელია, მე კი ოსტ-ფალელი. მეტი განსხვავება წარმოუდგენელია. იგი იდეალისტია, ხოლო მე სკეპტიკოსი. მას უყვარს ებრაელები, მე კი არა. იგი ფანტაზიორებს აყოლილი პროგრესისტია, მე კი რეაქციონერი. იგი მუდამ ახალგაზრდაა, მე კი მუდამ დაბერებული. ის ორმოცდაათი წლისა ხდება, მე ორასისა. მისი ძმა რომ არ ვიყო, უთუოდ პაპად ვერგებოდი. მას ფულისა არაფერი გაეგება, ეს თვისება ჩვენ ორივეს გვახასიათებს: იგი ერთერთი ყველაზე რაინდული ბუნების კაცთაგანია, ვისაც კი ვიცნობ. მეც აგრეთვე. ასეთად მე ვაქციე, ჩემი წიგნების გამოცემით წაგებას ნახულობს, მეც აგრეთვე. მას სჯერა ჩვენი, მეც აგრეთვე, იგი მოელის ჩემს წარმატებას, აგრეთვე მეცა, მომავალი განადგურებული აქვს, მეც აგრეთვე. ჩვენ განუყრელი მეგობრები ვართ: მისდა სახეიროდ.

1927 წელს დასტამბულ „დაუსრულებელ გაქცევას" სათაურის ქვეშ აწერია ein Bericht (რეპორტაჟი) ფრანც ტუნდა, ებრაული წარმომავლობის ავსტრიელი ოფიცერი, ციმბირში ინტერნირებული სამხედრო ტყვე, გადასახლებიდან გამოიქცა, რის ვაი-ვაგლახით დასავლეთის საზღვრამდე მიაღწია, მაგრამ მისი გადალახვა ვერ მოახერხა. იგი ჯერ თეთრებს ჩაუვარდა ხელში, შემდეგ კი წითელარმიელთა ნაწილში აღმოჩნდა და იქ საოცარი ფერისცვალება განიცადა, გახდა რუსეთის რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი და პარტიულ-სახელმწიფო მოღვაწე, ტუნდა დაუნდობლად ებრძვის რევოლუციის მტრებს, იცვლის გოგოებს, თანამდებობებს, ადგილსაცხოვრებელს,

ერთ მშვენიერ დღეს მოსკოვში, ავსტრიის საკონსულოში ერთი ჩამოძენძილი კაცი გამოცხადდა და თქვა, ციმბირის ბანაკიდან გამოქცეული ტყვე ავსტრიელი ოფიცერი ვარ და

კოხოვთ შინ დაბრუნებაში დამეხმაროთო. ვენის დიალექტის უზადო ცოდნამ, ერთმა შემორჩენილმა დოკუმენტმა და საელჩოს მოხელის მიერ ჩატარებულმა შემოწმებამ შედეგი გამოიღო და ფრანც ტუნდა დაბრუნდა ავსტრიაში:

„მკითხავ რუსეთი რად მივატოვე, — წერს იგი მეგობარს, — პასუხს ვერ გაგცემ და არც მრცხვენია. ამქვეყნად კაციშვილი არ მეგულება, გულზე ხელი დაიდოს და თქვას, რატომ მოვიქეცი ასე და არა სხვანაირადო. რომ შემეძლოს ახლა იქნებ ავსტრალიას, ამერიკას, ჩინეთს გავემგზავრო, ანდა ჩემს ძმა ბარანოვიჩთან ციმბირში. ერთი რამ ვიცი, აფორიაქებული კი არ ვიქმოდი ამას, პირიქით, სრულიად გულდამშვიდებული. ქარი მერეკება და დასვენება არ მეშინია. ამ დაუდეგარმა ქარმა შემდგომ ტუნდა ავსტრიიდან გერმანიაში, იქიდან კი საფრანგეთში გადაადგო. რომანის დასასრულს მას ვხედავთ პარიზში. ქალაქში, სადაც სიცოცხლე დუღს და გადმოდის და „მადლენის მოედანზე იდგა ტუნდა, ჩემი მეგობარი, ოცდათორმეტი წლის ჯანმრთელი, მხნე, მაღალნიჭიერი, ძლიერი ახალგაზრდა კაცი, იდგა მსოფლიოს დედაქალაქის შუაგულში და არ იცოდა რა ექნა. არც პროფესია გააჩნდა, არც სიყვარული, არც ხალისი, არცა იმედი, არც პატივმოყვარეობა, ეგოიზმიც კი არ ებადა.

მასავით ზედმეტი არავინ იყო დედამიწაზე."

1930 წელს გამოცემულ „იობს" ალალი კაცის რომანი უწოდა ავტორმა. სათაური იოზეფ როთის ამ შედევრისა უკვე შეიცავს ბიბლიურ თქმულებაზე მინიშნებას და თვით ტექსტშიც მრავალი ბიბლიური ალუზიაა. ბიბლიამ, წიგნთა წიგნმა მრავალი პოეტისა და ბელეტრისტის შთაგონების წყარომ, არც გერმანელი მწერლები დატოვა გულგრილი. მეოცე საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან საკმარისია მოვიხსენიოთ თომას მანი („იოსები და ძმანი მისნი") და ფოიხტვანგერი („იეფთაი და მისი ასული").

იოზეფ როთის მაგიური კალმის შეხებით რეინკარნაციაქმნილი იობი, მენდელ ზინგერი მწერალმა კვლავ თავისი მშობლიური გალიციის სლავურ-ებრაულ ქალაქ სუხნოვში, რუსეთის იმპერიის უკიდურეს დასავლეთს მდებარე მხარეში დაასახლა. მენდელ ზინგერის ცხოვრება მონოტონურად „მიედინება ვით პატარა, წყალმარჩხი რუ ტიალ ნაპირთა შორის". მენდელი, უბრალო მასწავლებელი, ალალი კაცი, წვითა და დაგვით შოულობს ლუკმა-პურს ცოლისა და ოთხი შვილისათვის, იგი ბიბლიის წაკითხვას ასწავლის თორმეტ მოსწავლეს (შეადარე თორმეტი მოციქული). შრომაში, შვილებისათვის ზრუნვაში იწურებოდა დღეები და „მოაწევდა შაბათი დუმილით, სანთლებითა და გალობით. ოცდაოთხი საათის შემდეგ შაბათი ისევ ჩაიძირებოდა ღამეში, და იწყებოდა კვირის დღეთა რიგი უფერული, ჭაპანწყვეტის კარუსელი".

დინჯი დინება მენდელ ზინგერის ცხოვრებისა პირველად შეაშფოთა მენუხიმის, უმცროსი ძის ავადობამ. მამა, მართლმორწმუნე იუდეველი, არ ენდო ოფიციალურ მედიცინას და ექიმ ხოლტისიუკს არ დაანება შვილი სამკურნალოდ. არ გაჭრა არც სასწაულმოქმედი კლუჩიცკელი რაბინის ჩარევამ, არც დებორას დედის პილიგრიმობამ წინაპართა საფლავებზე. სულხორციანად ავადმყოფი, კუტი, უტყვი და ავზნიანი იზრდებოდა მენუხიმი.

უფროსი ბიჭები რომ დაიზარდნენ, რუსეთის მეფის არმიაში გაწვევის საფრთხე დაემუქრათ. მშობლების ხელშეწყობით შემარიაჰი, უფროსი მოახერხებს თავის დაღწევას და ჯერ ევროპაში გაიქცევა, შემდეგ ამერიკას მიაშურებს და აქ დამკვიდრდება. მომდევნო ვაჟი, იონა ცხენების, არყის და გოგოების მოყვარული კი მეჯინიბედ დაუდგება მეეტლე ზამეშკინს და მერე საკუთარი ნებით წავა ჯარში. ეს იყო უკულმართი ბედისაგან მენდელისათვის მოყენებული მეორე დარტყმა.

აბის თვის პირველ კვირას მიმწუხრის ლოცვის შემდეგ ქალაქგარეთ წასული მენდელი პურის ყანაში კაზაკთან შეისწრებს თავის ქალიშვილს, მირიამს. კრიტიკული ვითარებიდან გამოსავალს გაქცევაში ჰპოვებს მენდელ ზინგერი და ცოლითა და ქალიშვილით ამერიკაში გაემგზავრება. მენუხიმი თან ვერ წაიყვანეს, რუსეთში დატოვეს.

შემარიაჰმა, ამერიკაში სემად სახელდებულმა, სარფიანი საქმე წამოიწყო და „მენდელ ზინგერის სახლობას პირველად განერიდა შეჭირვება, სამუდამოდ დედმამიშვილივით გაშინაურებული". მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა და ეშმაკს არ ეძინა. ახალშეძენილი სამშობლოს, ამერიკის დასაცავად ომში წავიდა სემი... და ერთ მშვენიერ დღეს მოვიდნენ მირიამი და მაკი, სემის მეგობარი, და სემის უკანასკნელი წერილი და ორიოდ ნივთი მოუტანეს მშობლებს. ამ ამბით ელდაცემული დებორა გარდაიცვლება. შემდეგ მირიამს შეეყრება უკურნებელი სენი და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსებენ. მეხდაცემული, დაჩაჩანაკებული, უთვისტომოდ დარჩენილი, მეგობართან სამადლოდ თავშეფარებული მენდელი მიათრევს ტანჯვად ქცეულ სიცოცხლის ჭაპანს. ღმერთმა ბოლოს მაინც შეიწყალა თავისი მსახური და მოუვლინა სასწაული. ხეიბარი მენუხიმი, განკურნებული, ჯადოსნურად ფერნაცვალები. აწ უკვე საქვეყნოდ სახელ-

განთქმული კომპოზიტორი, ვირტუოზი პიანისტი და დირიჟორი ამერიკაში ჩამოდის საგასტროლოდ თავისი კაპელით, მოძებნის და მიაკითხავს თავის მამას. (შემთხვევითი არაა ალბათ დამთხვევა მენუხიმი — იეჰუდი მენუხიმი, იმჟამად უკვე ფართოდ ცნობილი ვირტუოზი მევიოლინე). მენუხიმის პირით შეიტყობს მენდელი, უგზო-უკვლოდ დაკარგული ვაჟის, იონას ამბავს. იგი რუსეთიდან ჩამოსულ ვიღაც ლტოლვილს უნახავს თეთრგვარდიელი ჯარისკაცის ფორმაში. ასე შეეცვალა მენდელ ზინგერს ღვთის რისხვა ღვთის წყალობად.

სასწაულებრივ მოვლენილი მენუხიმი, შეძლებული და გავლენიანი ვაჟიშვილი, პირდება მამას, რომ მირიამს ექიმებს დაახვევს და იგი განიკურნება. დასასრულ მენდელს ვხედავთ მენუხიმთან ერთად ფეშენებელურ სასტუმროში. იგი აკვირდება მენუხიმის ცოლისა და შვილების სურათს. თვლემა მოერევა და შემდეგ „ჩაეძინა და განერიდა ბედნიერების სიმძიმეს და განცდას სასწაულის სიდიადისა“.

„იობი“, ჩვენი ღრმა რწმენით, წარმოადგენს იოზეფ როთის შემოქმედების მწვერვალს, დიდებულ სიმფონიას ადამიანის ტანჯვისა და აღზევებისა, რომლის ცალკეული ელემენტები ერთიან ლაიტმოტივზე მწყობრად ასხმულნი განუმეორებელი სილამაზისა და სურნელის მაკროსტრუქტურად შენივთდებიან.

„იობი“, ისევე, როგორც იოზეფ როთის თითქმის ყველა ნაწარმოები, ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს. მოქმედების ადგილი, როგორც აღვნიშნეთ, მწერლის სამშობლო, გალიციაა (მისი აღმოსავლეთი, რუსეთის ტერიტორიაზე მდებარე მხარე). მენდელ ზინგერს ამერიკაში გადასახლების შემდეგ სიზმრად და ცხადშიაც მამული ეჩვენება, მირიამთან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისულ მენდელს ლარნაკებში მოუვლელ ყვავილებმა გაახსენა „ყვითელი ფურისულები, შინ, მწვანე მდელოებზე ესოდენ ხშირად რომ უნახავს. მშობლიური ყვავილებია ამო მოგონებათა აღმძვრელი. ახლოა ჩვენში მდელოები და ყვავილები! მშვიდობის სასუფეველია იქ. ახალგაზრდობის ხალისი და, შემორჩენილი სილარიბის სამყოფელი; ზეცა ზაფხულში ლურჯია, მზე ჩახჩახა, პურეული ღია ყვითელი, ბუჩქები მწვანედ რიალებენ და ბზუიან სითბოს სიმღერას; ლაჟვარდისფერ ცაზე ტოროლები დანავარდობენ და გალობენ გამუდმებით“.

ავტობიოგრაფიული თვალსაზრისით გარკვეული თანხვედრაა მენუხიმისა მწერლის მამასთან. ხოლო თავად ჩვენი ავტორი უსამშობლოდ, უოჯახოდ დარჩენილი, მატერიალური ხელმოკლეობის მარწუხებში მოქცეული, განა არ მოგავს მენდელ ზინგერს, თანამედროვე იობს? ცოლის შენიშვნაზე, რუსი ებრაელივით იქცევიო, მენდელმა ერთხელ ამაყად მიუგო, ვარ კიდეც რუსი ებრაელიო. შტეფან ცვაიგმა, ი. როთის ტალანტის დიდმა თაყვანისმცემელმა და მეცენატმა, მისწერა მეგობარს „რაოდენ დიდი ბრძანდებით თქვენ, როგორც მწერალი, ხოლო მატერიალური თვალსაზრისით თქვენ ერთი პატარა ებრაელი ხართ“. ამაზე გაჯავრებულმა როთმა უპასუხა: „რაც შეეხება ღარიბსა და პატარა ებრაელს, ამის თაობაზე აბა რად გინდათ ჩემთან საუბარი, მე 1894 წლიდან გახლავართ იგი და ვამაყობ ამით, მორწმუნე, რაძივილელი ებრაელი“.

1934 წლის გაზაფხულზე შტ. ცვაიგი „იობის“ ამერიკული ეკრანიზაციის შესახებ წერდა: „ჰოლივუდში გადაღებული თქვენი „იობი“ იმდენად კარგია თურმე, რომ აღტაცების ყიჟინი აღმოხდება. მენდელ ზინგერი მათ გლეხად უქცევიათ, მენუხიმი კი მომღერლად. მე მალე ვნახავ კინოფილმს და გავიხარებ თქვენი წარმატებით“.

ჰაინრიხ ბიოლი და ჰერმან კესტენი ერთხმად მიიჩნევენ „იობს“ ერთ-ერთ ყველაზე უკეთეს წიგნად ორ მსოფლიო ომის შორის შექმნილ ბელეტრისტულ თხზულებათაგან.

ი. როთის რომანების უმრავლესობა მცირე მოცულობისაა, 1932 წელს გამოსული „რადეცკის მარში“, მისი ყველაზე პოპულარული შედევრთაგანი ზომითაც აღმატებულია სხვებზე (400-ზე მეტი გვერდი). ფონ ტროტას გვარის სამი თაობის ამბავი რომანში მჭიდროდაა გადახლართული ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ისტორიის პერიპეტიებსა და იმპერატორ ფრანც იოზეფის პიროვნებასთან, განუმეორებელი ეპიკური შთამბეჭდაობით, ცრემლნარევი ლირიზმითაა მოთხრობილი იმპერიის დაცემისა და მისი აღსასრულის ბოლო აკორდები.

1859 წელს სოლფერინოს ბრძოლაში ლეიტენანტი იოზეფ ტროტა ზურგიდან აეფარა ფრანც იოზეფს, თავად დაიჭრა და სიკვდილს გადაარჩინა იმპერატორი. ჩადენილი გმირობისათვის მის გვარს არისტოკრატიული ტიტული უბოძეს. იოზეფის ვაჟიშვილი, ფრანც ჰაბსბურგების ერთგული მსახური, მორავიის ოლქის უფროსის თანამდებობაზე მოღვაწეობს და იბრძვის იმპერიის განმტკიცებისათვის. რომანის ძირითადი ნაწილი ფრანცის ვაჟის, კარლ იოზეფ ტროტას ბედ-იღბალს მოგვითხრობს. კადეტთა სასწავლებლის მსმენელი ჭაბუკი ჟანდარმერიის ვახმისტრის ცოლის, ქალბატონი სლამას სიყვარულმა დავაჟკაცა, ქალბატონი სლამა მუცელს გადაჰყვა. პირველი სიყვარულის უბედურმა დასასრულმა პირვე-

ლი სიმწარე ატეხა ყმაწვილს, კადეტთა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ლეიტენანტი გაამწესეს გალიციის ქალაქის გარნიზონში, ოფიცერთა წრის მონოტონური ყოფა, ლოთობა და ბანქოს თამაში, მათი ზნეობრივი კოდექსის სიმქისე და ულმობლობა კვლავ გადააქცევს ტროტას საქციელს უბედურების უნებლიე მიზეზად. მისი ერთადერთი მეგობარი, პოლკის ექიმი დემანტი და როტმისტრი ტატენბახი დუელში დახოცავენ ერთმანეთს ვიღაცის მიერ მოგონილი ჭორის გამო.

გადაცული მუშების დასაწყნარებლად გაგზავნილ ქვეგანაყოფს ტროტა, მისი მეთაური, უბრძანებს დემონსტრანტებისათვის ცეცხლის დაშენას... ვენის არისტოკრატიული საზოგადოების განებივრებული ლამაზმანის, ვალდერია ფონ თაუსიგის სიყვარული ძვირად უჯდება ტროტას, ხოლო ოფიცერთა კაზინოში მის მიერ ნაკისრი თავდებობის ტრაგიკულმა ბოლომ (ერთმა ოფიცერმა თავი მოიკლა, ხოლო მეორე დააპატიმრეს), ქედთამდე ვალებში ჩავარდნილი კარლ იოზეფი კატასტროფის პირამდე მიიყვანა. მამამ, დიდმა მოხელემ თვით იმპერატორს მიმართა დახმარებლად და გადაარჩინა დასაღუპად განწირული ვაჟიშვილი, მაგრამ იმის სიავემ შეიწირა სიპოლიეს გმირის შთამომავალი. ოლქის მმართველი კი შვილისა და თავისი სათაყვანო მონარქის დაღუპვას ვერ გადაიტანს და ორიოდ დღეში გაჰყვება უკან იმპერატორსა და თავის ერთადერთ ნაშიერს.

„რადეცკის მარში" ი. როთის შემოქმედების საეტაპო ნაწარმოები, აღიარებული შედევრია მსოფლიო ლიტერატურისა, კომპოზიცია თხზულებისა ტრადიციული რომანისეულია, გმირის ცხოვრება მოთხრობილია მისი დაბადებიდან გარდაცვალებამდე, მოვლენები მკაცრად ქრონოლოგიურ ქარგაზეა განლაგებული, მაგრამ ამავდროულად ეს არის უაღრესად თანამედროვე რომანი, სადაც კლასიკური ევროპული რომანის აქსესუარი ორგანულადაა შეხამებული ვენის იმპრესიონისტული სკოლისათვის ნიშანდობლივ ელემენტებთან, დიდი მოვლენები აქ პიროვნულ განცდებში გარდატეხილი და ისტორიული პროცესი გაადამიანურებულია (დ. ქ. ვაისკოპფი).

1933 წელს გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის დამყარებამ გამოიწვია ინტელექტუალური ელიტის მასობრივი ემიგრაცია. ამავე წელს ი. როთმაც დატოვა გერმანია, ავსტრიაში მცირე ხანს დაჰყო და შემდეგ საფრანგეთს შეაფარა თავი. პირქუში ეჩვენა ქვეყნიერება, „მას შემდეგ, რაც გერმანიის იზოლაცია დასრულდა, ვარაუდობენ, რომ ჰიტლერი დარჩება და ომს წამოიწყებს, რა ეშველება ავსტრიას და მე, მის საბრალო ლეიტენანტს!", მართლაც აღარ დააღგა საშველი ბოჰემური ცხოვრებისათვის განწირულ ამასდერს. ემიგრაციაში მატულობს მისი შეჭირვება, იზრდება ვალები, [illegible]. იმავ შტეფან ცვაიგისადმი მიწერილ წერილთაგან კიდევ ორი ამონაწერი: „თქვენთვის იოლია რომელიმე ინგლისელ გამომცემ[illegible], ავანსი მომცენ, გთხოვთ, გამ[illegible] და მზარდებით; მომაცილეთ ქედზე მობმული უღელი, ვიხრჩობი! გთხოვთ, გევედრებით, ასე ცხოვრება აღარ ძალმიძს, დავიღუპები!" (14. VI. 34).

„მყავს ცოლი და ორი შვილი, წინააღმდეგ ჩემი სურვილისა, განვეშორე ამ საცოდავ ადამიანებს, რომელთაც მე ვინახავ. არ შემიძლია ვიარსებო სამზარეულოს სუნსა და „ოჯახურ" ყოფაში. თავისუფლება მწადია, ცუდკაცობა კი არ მინდა. არც ადამიანობაზე ვამბობ უარს და არც თავისუფლებაზე."

ხელმოკლეობისა და სულიერი შეჭირვებისდა მიუხედავად ი. როთს კალამი ხელიდან არ გაუგდია, ალკოჰოლს მიეძალა, მაგრამ ფრიად ნათელი ინტელექტი და გასაოცარი შრომისუნარი შემორჩა ბოლომდე. ხალასი ტალანტის ნიშატითაა აღბეჭდილი მისი უკანასკნელი რომანები „კაპუცინელთა აკლდამა" და „ათასმეორე ღამის ამბავი", მოთხრობები, მისი პოეტური მეტყველების მშვენება ტოლს არ უდებს რომანებს. დამაშვრალ მგოსანს „ხეზერე ადრე შეეპარა, ხანგრძლივი სიცოცხლის იმედი არასოდეს ჰქონია, თავს სულ არ უფრთხილდებოდა და, რაც უფრო უახლოვდებოდა საკუთარ აღსასრულს, მით უფრო ენერგიულად ცდილობდა გადაერჩინა გერმანია, ევროპა, ჩვენი სამყარო რეალური თუ მორალური დაღუპვისაგან. საკუთარ თავზე, ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე ხელი რომ აიღო, თავისი თხზულებებისათვის არ დაუკლია რუდუნება, რა დარწმუნდა, მე არაფერი მეშველებაო, უკანასკნელ ძალისხმევას ანაცვალებდა სხვებს, რათა დახმარებოდა მათ, მარტოკაცს თუ ხალხს, ეს პესიმისტი, გამსჭვალული ოპტიმიზმით, კაცი სხვათა დამცველი თავგანწირვით". (ჰ. კესტენი)

1939 წლის 27 მაისს ი. როთი აღესრულა პარიზში, ფერდინანდ ვიდონის ჰოსპიტალში. ფერდინანდ ვიდონის მეუღლე, ბლანში, ი. როთის ფრანგულ ენაზე მთარგმნელი, მისი პოპულარიზატორი და მეგობარი იყო.

იოზეფ როთს არ უყვარდა ლაპარაკი საკუთარი პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ, მაგრამ თუ თანამოკალმე გერმანელ მწერლებზე მისეულ გამონათქვამებს მისსავე სამწერლო პრაქტიკას მივუსადაგებთ, — მივიღებთ გარკვეულ წარმოდგენას დიდი მწერლის ესთეტიკური კრედოს თაობაზე. იგი ცდილობდა განეკურნა მანები ცრურწმენისაგან, თითქოს ხე-

ლოვნება ყოფისაგან განდგომილი ფენომენი უნდა იყოს, მყუდრო სალონის სამკაული, ქალთა გართობა. მისი აზრით, ლიტერატურა ხალხს ისევე სჭირდება, როგორც წამალი, ანდა იარაღი.

1938 წ. მაისში ი. როთი სწერს შტ. ცვაიგს, „ჩემო კარგო მეგობარო, სამი ღამე ვკითხულობდი თქვენს წიგნს (იგულისხმება „კასტელიო კალვინის წინააღმდეგ." ზ. ა.). არა მგონია, რომ მხოლოდ ახალგაზრდამ, პირველმა შთაბეჭდილებამ მოიგო გული. ნამდვილად დავრწმუნდი ,მან სრულად წარმოგვიჩინა კაცობრიობის დღევანდელი ლატენტური სიკეთე და ბოროტება; ერაზმზე უფრო მოხდენილად. მე მგონი, ბოლოს და ბოლოს თქვენს მარად თანამდევ, გულიდან მომავალ სკეპტიციზმს, აქამდე ართქმულს, ზუსტად მოერგო ნათქვამი. ამ ქვეყნის რეალურობის ცნობის მიუხედავად თქვენს წიგნებში მუდამ იგრძნობოდა გარკვეული მიდრეკილება ილუზიისა და გაუცნობიერებელი იმედისაკენ, როგორც ბალასტი მორალური, იგი უარმყავით და ამაღლდით. ნაფიქრალის მანერა დახვეწილია, ბროლივით კრიალა, ჩემთვის ესოდენ საყვარელი. არც მეტაფორებითაა გადატვირთული. ნაუბარი უფრო ძარღვიანია, უფრო „ლათინური". მიმიხვდებით, ჩემი კალვინისტური ენობრივი ფანატიზმის გადამკიდე, რა გავიხარე",. „გერმანულენოვან სამყაროში სხვა აღარავინ მეგულება, ასე რომ აერთებდეს სიცხადესა და ჭეშმარიტებას. ჩვეულებრივ ნათელმეტყველთ სიღრმე აკლიათ, ღრმადმოაზროვნენი კი სცოდავენ ღვლარჭნილობით".

რომანების გარდა იოზეფ როთის კალამს ეკუთვნის მშვენიერი ლირიკული ლექსები და პოეტური მოთხრობები: „იმპერატორის ბიუსტი", „სადგურის უფროსი ფალმერაიერი", „წმინდა ლოთის ლეგენდა" და სხვა. ნოველების გმირები უბრალო ადამიანთა ტანჯული ცხოვრებით ცხოვრობენ, ბედკრული, მაგრამ ალალი ხალხი, რომელთა ამბავს დიდი ჰუმანისტის ცრემლიანი თანაგრძნობით გვიყვება მწერალი. აღნიშნავენ, რომ როთი ფრანგ (ე. ზოლას) და რუს (ა. ჩეხოვის) ნოველისტთა ტრადიციიდან გამოდის და მათვე უტოლდება.

ი. როთის მთელი შემოქმედება, მისი [illegible], განმაქიქებელი პუბლიცისტიკაც და ბელეტრისტიკაც სოციალური უსამართლობის კრიტიკის პათოსითაა გამსჭვალული. ითვალისწინებს რა აგრეთვე მწერლის თანამშრომლობას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანოში, ზოგი კრიტიკოსი დაასკვნის, თითქოს იგი სოციალისტი ყოფილიყოს. სინამდვილეში როთი არასოდეს ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, რაც შეეხება მწერლის პიროვნებას, იგი საოცრად ჰგავს თავის ქმნილებებს. ი. როთს ჰქონია ფენომენალური უნარი ადამიანის ბუნება-განწყობის გაგებისა და მოვლენათა განვითარების პერსპექტივისა.

ი. როთის პოეტური პროზა გამოცდილი ჟურნალისტის ხელოვნებითაა ნაქარგი, საგანთა და მოვლენათა მოუსვენარი, როთისეული კუთხით დანახვისა და მათი ნაღდი, ადეკვატური მხატვრული რეპროდუქციის უნარით აღბეჭდილი, ხოლო მის ფელეტონებსა და რეპორტაჟებში გაიელვებს ხოლმე ბრწყინვალე ბელეტრისტული პასაჟები.

ქუჩის მოძრაობის მომწესრიგებელი პოლიციელის „ტრიბუნა მეტია, ვიდრე მბრძანებლის ტახტი. პოლიციელის იმპოზანტური ფიგურითა და მისი მიხვრა-მოხვრით შთაგონებულმა, წარმოვიდგინე, რომ იგი კი არ აწესრიგებს მიმოსვლას, არამედ დირიჟორობს მას, როგორც მუსას, რომ მისი ფიცარნაგი სატაძრო კათედრად გადაიქცა და მის გარშემო ღვთისმსახურებას ზეიმობენ ახალთაობის. დაიქნევს თითს და ღვთისმოსავ გარინდებაში შეაყოვნებს მოძრავ ტრანსპორტს. ავტომობილს მუხლი რომ გააჩნდეს, დაიჩოქებდა. ვიზიონერულად ვჭვრეტ მღვდელმსახურებას, ანთუ ქურუმის თაყვანისცემას, მეხმის ორღანის პოლიფონია წარმართული ქაოსის ჟღერა. ავტომობილის საყვირების მოუთმენელი, აგრესიული, გამაფრთხილებელი გულსაკლავი ხმიანობა, ვით განწირულთა მოთქმა-კივილი. ვიხილე ღმერთი ყოვლისშემძლე: ფოლადის, რკინის, ელექტრონის, მახრჩობელა გამონაბოლქვისა და ბანკნოტების ღმერთი. მოდიან ჭკვიანი ინჟინრები ამერიკიდან და თან მოაქვთ მოდელი საგზაო მოძრაობის კოშკისა, დიდი კოშკისა, ღამით გადმოგვხედავს ჰქება კოშკი მწვანე-წითელ-ყვითელი მზარავი მზერით. ეს იქნება მეორე სამყაროს თვალი ხაირფერი, რომლის სპონტანური ძალის წინაშე მთელი ჩვენი ქვეშეცნეული ირონია წაბლდება, განქარდება, არად იქცევა..

ზემოთ, სულ მაღლა დაიჭანებს, ღამის ღრუბლებს მიეხჭინება ეს დირიჟორი, ჩემს მოშიშობას მოშორდება. მაგრამ ჩემეულ ირონიას ვერ გაექცევა და ეს მახარებს".

ანტე კოლბისადმი მიმართული როთისეული სიტყვები თამამად შეიძლება ითქვას იოზეფ როთის მიმართ გავიმეოროთ: „თქვენი ყოველი წინადადება მარგალიტია, ყოველი სურათი საცოცხლეა, ყოველი აზრი ჭეშმარიტებაა და ყოველი დაკვირვება სიბრძნე".

მოწამეობრივი სიცოცხლით იცხოვრა ჩვენი დროის იობმა და დატოვა შთამომავლობას განცდილ-ნაფიქრალისაგან შეთხზული სიმფონიის განუმეორებელი ტონთა ჟღერა, კეთილკაცობის, სიკეთის ჰიმნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბერნარდ შოუ

თარგმნა იზოლდა ქარსელაძემ

# ფორტეპიანოს აპოლოგია

XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი დრამატურგის, ბრწყინვალე პუბლიცისტის, პარადოქსებითა და ირონიით აღსავსე კრიტიკული ესსეების ავტორის ბერნარდ შოუს შემოქმედებას საკმაოდ კარგად იცნობს საბჭოთა მკითხველი: მისი თხზულებები არაერთხელ გამოცემულა ჩვენს ქვეყანაში, დადგმულა სცენაზე. მუსიკის მოყვარულთა ყურადღების გარეშე არ დარჩენილა მისი მოღვაწეობის სხვა მხარეც: 1964 წ. ბელზის რედაქციით გამოქვეყნდა დიდი ინგლისელი მწერლის მუსიკალურ-კრიტიკული შრომების კრებული, მაგრამ ამ კრებულში არ შესულა ბევრი საინტერესო წერილი შოუსი, რომელიც, როგორც ცნობილია, სისტემატურად გამოდიოდა როგორც მუსიკალური მიმომხილველი გასული საუკუნის მიწურულს ლონდონის გაზეთ „სტარ"-ში, შემდეგ ჟურნალ „უორლდში", და მოგვიანებითაც არაერთხელ მიუბრუნდა მუსიკალური თემატიკისათვის. ისე რომ, ჩვენი ნაცნობობა არ შეიძლება მხოლოდ ამით ჩაითვალოს ამოწურულად. ამის დამადასტურებელია აქ გამოქვეყნებული ესსეც. აღსანიშნავია, რომ, თუმცა იგი დაწერილია 1894 წლის თებერვალში, როდესაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ჯერ კიდევ არ იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი მუსიკალურ ცხოვრებაში, ავტორის ბევრი დებულება დღესაც ფრიად აქტუალურია. გვაიძულებს ახლებურად გავიაზროთ დღევანდელი, ასე თუ ისე უბრალო სიტუაცია მუსიკის გავრცელების საქმეში. ესსე ქვეყნდება უმნიშვნელო შემოკლებით. გამოტოვებულია ძირითადად იმდროინდელ დრამატულ აქტიორთა სახელები, რომელთა ხსენებაც ბევრს არაფერს ეუბნება დღევანდელ მკითხველს. უნდა გამოვიტყდეთ, რომ ტექსტში დარჩა სახელები და სახელწოდებები, რომლებიც ზოგისთვის უცნობია, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ, არ გავშიფროთ ისინი სქოლიოში, იმის იმედით, რომ შეიძლება ამან მუსიკის მოყვარულ, მაძიებელ ადამიანს გაუღვიძოს სურვილი გადაფურცლოს სახლში ან ბიბლიოთეკაში არსებული საცნობარო გამოცემები და ამით გაიფართოვოს მუსიკალური ჰორიზონტი. განა ამას არ ესწრაფოდა ბერნარდ შოუ, როდესაც თხზავდა თავის მუსიკალურ-კრიტიკულ ესსეს?..

ერთხელ ვილაცამ ანტონ რუბინშტეინს ჰკითხა, არის თუ არა ფორტეპიანო მუსიკალური ინსტრუმენტი. ჩვენს დროში ამგვარი შეკითხვების მოსმენა საკმაოდ ხშირად გვიხდება: უელსის პრინცს ეკითხებიან, არის თუ არა ინგლისი რესპუბლიკა, ლორდ-მერს — არის თუ არა ლონდონი დიდი ქალაქი, ხოლო ცნობილ მომღერალ ქალს მადამ კალვეს მიმართავენ, რათა შეიტყონ მისი ავტორიტეტული აზრი, საჭიროა თუ არა „სოფლის პატიოსნება" ჩაითვალოს ოპერად. მსგავსი აზროვნება, რომელიც უშვებს კითხვის ასე დასმას, თავისთავად საკმაოდ პარადოქსულია და იწვევს ფუჭ ინტერესს. თუკი უელსის პრინცი, რაკი უდიდეს თავდაჭერილობას გამოიჩენდა ღირსეულად მოკლე პასუხით „არა", ხოლო ლორდ-მერი და მომღერალი გიპასუხებენ „დიახ", ვიდრე გარეთ არ გაგისტუმრებენ, თქვენ მაინც გრჩებათ შესაძლებლობა მოათავსოთ რომელიმე ბულვარულ ყოველკვირეულში სტატია მყვირალა სათაურით: „არის თუ არა ინგლისი რესპუბლიკა? — რას ამბობს ამის შესახებ უელ-

ხის პრინცი" და შემდეგ მიჰყიდოთ ეს გაზეთი ადამიანებს, რომელთაც ვერ მოუხერხებიათ დაიჭირონ თქვენ მიერ წამოყენებული პრობლემების ყველაზე უბრალო გადაწყვეტა — ის, რომ თქვენი გონებრივი ნიჭი ვერაა სათანადო დონეზე.

და მაინც, უპასუხო უბრალოდ „დიახ" კითხვაზე — „არის თუ არა ფორტეპიანო მუსიკალური საკრავი?" — სწორი არ იქნება. ეს იქნება დადასტურება გაუგებრობის, რომ ჩვენ წინაშე სრულიად განსხვავებული შემთხვევაა. ფორტეპიანო ყველაზე მნიშვნელოვანია სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებს შორის, მისი გამოგონება იმავე ნიშნავდა მუსიკისათვის, რასაც საბეჭდი დაზგის გამოგონება ლიტერატურისათვის. ჩაუფიქრდით, თუნდაც წამიერად, ამ ანალოგიას. რა იცავს შექსპირს დავიწყებისაგან, რა აქცევს მას ჩვენს თანამედროვედ? სცენა, დიდი არტისტები? სპექტაკლების პერიოდული განახლება ახალი მუსიკით და სცენოგრაფიით და შესაბამისად ყალბი ანგარიშები გაზეთებში პრემიერის შემდეგ? სრულიადაც არა. ისინი, ვისთვისაც არსებობს მათი საკუთარი შექსპირი, გაიცნენ მას ვიდრე ოცდახუთი წლისანი გახდებოდნენ. ამის შემდეგ ადამიანს დრო აღარ რჩება კითხვისათვის — ამის შემდეგ უნდა იცხოვროს. მაგრამ გამოტყდით, განა ბევრი შექსპირული სპექტაკლის ნახვა შეუძლია ინგლისელს ოცდახუთ წლამდე, თუნდაც ცხოვრობდეს დიდ ქალაქში, და არა სოფელში, და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც საორკესტრო ორმო არ მიაჩნიათ უძირო ჯოჯოხეთის პირველ საფეხურად. თვით მეც მაღალ საზოგადოებაში რომ აღვიზარდე და დავდიოდი თეატრში მეოთხედი საუკუნის მანძილზე — ჭაბუკობის ასაკშიც და სიმწიფის წლებშიც — სცენაზე ვერ ვნახე შექსპირის პიესების ნახევარიც კი. და ჩემი შთაბეჭდილებები მისი გენიის შესახებ მხოლოდ ამ დადგმებზე რომ ყოფილიყო დაფუძნებული — ჭეშმარიტად, ფრიად ბუნდოვანი სურათი წარმომიდგებოდა. არც ერთ მსახიობთაგან არა ვარ დავალებული, რომ ვიცნობ შექსპირის „ჰამლეტს". დღესვე რომ მოვკვდე, ისე წარვუდგებოდი მამაზეციერს, თვალით არ მექნებოდა ნანახი ისეთი ფორტინბრასი, როგორიც შესახებოდა წარმოსახვაში, — მიუხედავად ჩემთვის ნაცნობი „ჰამლეტის" ყველა დადგმისა, და არ მექნებოდა ნანახი ლანდად მოციმციმე (როგორც წარმომედგინა) ჯარისკაცთა კოლონები, რომლებიც წვებიან საფლავში როგორც სარეცელზე იმ ადგილისათვის ბრძოლაში, რომელიც ყველასათვის არ იხსნება და სადაც მკვდრის დასამარხი ადგილიც კი არ არის, როდესაც პირველად ვუყურებდი „ჰამლეტს". გულუბრყვილოდ ველოდი, რომ ახალი შემოიჭრებოდა სცენაზე ფორტინბრასი, მუზარადში და ფარით ხელში, კარლოს XII-ის მსგავსად, როგორც ეს გამოხატულია სერ ჯონ გილბერტის სურათზე, რათა [illegible] უფლებებისა და ხმლის ძალით დაიპყროს ხანგრძლივი ფიქრობა და დაზნის [illegible] დარტყმის შედეგად დაცარიელებული [illegible] ტახტი, რითაც სააშკარაოზე გამოჰქონდა ინგლისური ზნეობის ყველაზე თვალსაჩინო ნიშნები.

მაგრამ რას შევედრებოდა „ჰამლეტი" პირველად ნანახ „რომეო და ჯულიეტას" დადგმას! იქ რომეოს, ნაცვლად იმისა, რომ საწამლავის მიღების შემდეგ მოკვდეს უბრალოდ, ესმის გამოფხიზლებული ჯულიეტას ძახილი და მისი თხოვნით ხელში აყვანილს გამოიყვანს რამპის ახლოს. ჯულიეტა ჩივის, რომ ძალიან სცივა და თბება მხოლოდ მხურვალე სასიყვარულო სცენაში, რომლის დროსაც რომეო, რომელსაც სულ დაავიწყდა ცოტა ხნის წინ საწამლავი რომ დალია, თავს ცუდად იგრძნობს და კვდება.

ანდა, ავიღოთ თუნდაც ჩემი პირველი „რიჩარდ III", რომელიც აღმოჩნდა საძაგელი კოპიური ყველა შესაძლებელ ისტორიულ პიესათაგან, საუკეთესო პოეტური სტრიქონების თანმიმდევრული გაუხამსებით და ოჯახური სცენების ორიგინალური გააზრებით, სადაც რიჩარდი მოკრძალებულად ცდილობს შეაშინოს თავისი ცოლი და წარმოთქვამს სიტყვებს: და თუ ეს მას არ მოკლავს, იგი უკვდავია.

ღირს კი ვთქვა, რომ ამ წვრილმანებმა, ექვსიდან ხუთი რომ ცუდად იყო ნათამაშები და გაშუქებული, ამიხილეს თვალები შექსპირზე? — საშინელი შემოკლებები, რომლებიც ნაკარნახევია წარმოდგენათა დროის ახლანდელი ლიმიტით, წინასწარ განწირული ჩავარდნისათვის ცდები, გადაამუშაონ პიესა, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც სცენაზე მოთხრობილი გრძელი ისტორია, თანმხლები თავგადასავლებითა და დეკორაციათა ურიცხვი ცვლით — იმ მიზნით, რათა იგი შეიკუმშოს თანამედროვე პიესების მსგავს პიესად, რომლებიც ყველანი ერთად შეადგენენ სამ მოქმედებიან ერთ მარტივ სიტუაციას; ამასთან ერთად თეატრებში გამეფებული კომერციული დამოკიდებულებები, რომლებიც აიძულებენ მსახიობებს ხელფასის გულისათვის ყველაზე დამამცირებლად მოექცნენ საკუთარ სინდისს და გადააქციონ დადგმა არა საკუთარი ან შექსპირის, არამედ რეჟისორის შემოქმედებითი ინდივიდუალობის მაჩვენებლად — ყველა ჩამოთვლილი და კიდევ მრავალი სხვა ხელოვნების საწინააღმდეგო პირობები თანამედროვე თეატრში გადაულახავ ზღუდედ ელობე-

ბა, აუღებელ კედლად დგას სცენასა და ჭეშმარიტ შექსპირის შორის.

შექსპირის „საქმით" არ ამოიწურება, რა თქმა უნდა, ყველა ბრალდება თეატრის მიმართ, პირიქით, სინამდვილეში, იგი მხოლოდ ყველაზე მსუბუქი ნაწილია, რადგან სცენა უშუალოდ აკეთებს უფრო მეტს შექსპირისათვის, ვიდრე ნებისმიერი დრამატურგისათვის. ინგლისური დრამატურგია პრაქტიკულად ვერ იარსებებდა, თუ იგი დაბეჭდილი არ იქნებოდა. ეს აზრი რომ გავავრცელოთ ლიტერატურაზე საერთოდ, საჭიროა მხოლოდ შევეცადოთ წარმოვიდგინოთ ერი თავისი პოეზიისა და პროზის ცოდნით, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დეკლამატორთა გამოსვლას ანდა საჯარო კითხვას. ასეთი წარმოდგენა ელვისებურად იმსხვრევა საკუთარი აბსურდულობის სიმძიმის ქვეშ. სავსებით ნათელია, ლიტერატურას, რომელსაც წიგნის სახით ვერ შეიძენს ან ითხოვებს ნებისმიერი მკითხველი, რათა წავიდეს სახლში და განმარტოებულად აღმოაჩინოს მასში ჩადებული სამყარო, უკეთეს შემთხვევაში ჩავარდება ლეთარგიული ძილის მდგომარეობაში.

შეიძლება მკითხონ: „რა დამოკიდებულება აქვს ყოველივე ამას ფორტეპიანოსთან?" მაგრამ ამაზე უფრო ნათელი შეიძლება იყოს რამე? მე მეშინია კიდეც ახსნა-განმარტებებით არ შევაწუხო გონებაგამჭრიახი მკითხველი და მაინც ნება მიბოძეთ, გავაკეთო ეს, რათა კეთილი რჩევა მივცე ათასობით ახლობელ ადამიანს, რომლებიც ბუხარს ეფიცხებიან, რათა დრო მოკლან იმ გრძნობათა მეშვეობით, რომლებიც მათ შეუძლიათ ამოკრიფონ წაკითხული რომანებიდან, და ამასთან ვერ ხვდებიან, რომ უფრო ძლიერი ინსტრუმენტი დამუნჯებული დგას კედელთან, როგორც მოწყობილობის ერთ-ერთი ძვირფასი და სასარგებლო ნივთი, რომლის გარეშეც არ არსებობს არც ერთი სასტუმრო ჯენტლმენის სახლში.

ჩემი ნათქვამი ნათელი გახდება, თუ მოვიყვან მაგალითს. დავუშვათ, რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ და გატაცებით კითხულობთ „სამ მუშკეტერს" ან ვალტერ სკოტის რომელიმე რომანს, ახლა კი, ამ ვარაუდიდან გამომდინარე, ბრძანეთ, ბევრ სიამოვნებას განიჭებენ დუელების, გაქცევების, ბარიერთან გამოწვევის, ვნებათა მოწოლის თავისთავად უბრალო აღწერები? ძალიან ბევრს, — ფიქრობთ თქვენ (სანამ ახალგაზრდა ხართ). მაგრამ, რას იტყოდით, რომ შეგძლებოდათ წაგეკითხათ წიგნი, სადაც იპოვიდით ამ წარმტაცი გრძნობების არა უბრალო აღწერას, თვით ამ შეგრძნებებს მთლიანად: გულის გაშმაგებულ ცემას, ჭიანჭველებს კანზე, არამიწიერ, უშიშარ გაფოთრებას, რაც რომანებს თვალწარმტაც, მომხიბვლელობას ანიჭებს — მოკლედ იმ იდეალის ყველა კომპონენტს, რომლის ზუსტი სახელია „ურისკო გმირობა?"

ასეთი წიგნი თქვენ ხელთ [illegible] [illegible] — გადააგდეთ „სამი მუშკეტერი" [illegible] [illegible]ში და აიღეთ მეიერბერის „ჰუგენოტების" კლავირი, შემდეგ მიუჯექით პიანინოს და გაბედულად შეუდექით საქმეს. მუსიკაში თქვენ იპოვით ცოცხალ, ჟრჟოლისმომგვრელ გრძნობას, რომლის მხოლოდ აღწერა შეუძლია რომანისტს: თქვენ შეიგრძნობთ ისეთ რაღაცას, რაც უფლებას მოგცემთ განიცადოთ გმირის წმინდა რაინდული აღტკინება, გმირი ქალის სინაზე და მღელვარება, ჩასწვდეთ სასიყვარულო განცდების კვინტესენციას. რაც შეეხება დუელებს, სხვადასხვა კარტეს და ტერციის ნაბეჭდ ნუსხას, რომლითაც ერთმანეთს უზიარებენ დ'არტანიანი და ბიუსი დ'ამბუაზი, მართლაც საცოდავად გამოიყურება იმ ადამიანის თვალში, რომელსაც უნახავს დონ ჟუანისა და კომანდორის შეტაკება წყვდიადში, ანდა რომეოს მიერ ტიბალტის მოკვლა მოუსმენია (გუნოსთან და არა შექსპირთან), ანდა რაულის უგუნური მამაცობის აფეთქება უხილავს ორთაბრძოლის წინ პრე-ოკლერის ბაზარში. შენიშნავთ, რომ ორთაბრძოლა პრე-ოკლერთან ნამდვილად ხდება მხოლოდ ფორტეპიანოს შესრულებით. მხოლოდ მასში ვხედავთ, როგორ გამოვარდება სიბნელიდან მორევერი თავის დამქაშებიანად, რათა დაეხმაროს სენ-ბრის; როგორ წამოიწყებს მარსელი ყველაზე მძიმე წუთებში ტრაქტირის ზღურბლზე მქუხარე „Eine Feste Burg"-ს და ჰუგენოტების ჯარისკაცები საბრძოლო დაფდაფებით მიმოიფანტებიან თავის დასაღწევად. წადით, ნახეთ ეს სცენები თეატრში და მიხვდებით, რომ, ის, რაც მათგან დარჩა, მოკლებულია ყოველგვარ აზრს: მორევერი შეკვეცილია, მარსელი შეკვეცილია, შეკვეცილია ყველაფერი, რაც ამ სცენებს სიცხოველეს და ბრწყინვალებას ანიჭებს, იმიტომ, რომ ოპერა გრძელია და გამოტოვებული მეოთხე აქტითაც კი მისი თეატრში წარმოდგენა არ შეიძლება, თუ წინასწარ საფუძვლიანად არ მოვახდინეთ მისი პრეპარირება — სხვანაირად მოგვიწევს ანტრაქტების უთავბოლოდ შემოკლება მოქმედებებს შორის. ამას გარდა, არსებობს ერთი საინტერესო კანონზომიერება, რომლის თანახმად, ოპერის დამდგმელები არასოდეს კითხულობენ ოპერებს — შესაძლოა იმიტომ, რომ (რამდენადაც მათ არასოდეს მოსვლიათ თავში აზრი, გააკეთონ ცოტად თუ ბევრად ნორმალური დადგმა), კომპოზიტორის მითითებათა წაკითხვას შეეძლო მათთვის საბოლოოდ აებნია თავგზა. რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ უეჭველია, მეიერბერი

რომ სოციალ-მოსამსახურეს, ზინაიდა პროკოფიევნა ბუნინას ენგელსი ღუმელში დააწვევინა. დასუფთავების ქვეგანყოფილების გამგის პ. პ. შარიკოვის ხელმოწერით ვადასტურებ. საბინაო კომიტეტის თავმჯდომარე შვონდერი, მდივანი პოსტრუხინი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნებას მიბოძებთ, ეს დავიტოვო? — ჰკითხა სტუმარს ფილიპ ფილიპოვიჩმა და სახე აუფორიაქდა. — ანდა უკაცრავად, იქნებ თქვენ გესაჭიროებათ, რათა საქმეს კანონიერი მსვლელობა მისცეთ?

—მომიტევეთ, პროფესორო, — ძალზე განაწყენდა პაციენტი და ნესტოები დაებერა, — ჩვენ მართლა ძალიან აგვითვალწუნეთ. მე... — თქვა ეს და მამალი ინდაურივით აიფხორა.

— ოჰ, მომიტევეთ, მომიტევეთ, ჩემო კარგო! — აბუტბუტდა ფილიპ ფილიპოვიჩი, — შემინდეთ, ღმერთმანი, თქვენი განაწყენება არ მინდოდა. ნუ გამიწყრებით, ამ წყეულმა ისე გამაწამა...

— იცით, მისი ნახვა მაინტერესებს, — წყენამ მთლიანად გაუარა პაციენტს, — ერთხელ შევავლებ თვალს, მაინც რა არამზადაა ასეთი. მოსკოვში თქვენზე ნამდვილ ლეგენდებს ჰყვებიან...

ფილიპ ფილიპოვიჩმა ხელი სასოწარკვეთით ჩაიქნია. პაციენტმა იგი შეათვალიერა და გაიფიქრა, პროფესორი მოკუზულა და ამ ბოლო ხანს თითქოს უფრო გაჭაღარავებულაო.

დანაშაული მომწიფდა და ლოდივით უეცრად მოწყდა, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე. სატვირთო მანქანით დაბრუნებულ პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩს გული ავს უგრძნობდა. ბინაში შესულს ფილიპ ფილიპოვიჩის ხმა შემოესმა. იგი შარიკოვს გასასინჯ ოთახში მოუხმობდა. შარიკოვი გასასინჯ ოთახში შევიდა და გაოცებულმა ბორმენტალის სახეზე ლულებად ქცეულ თვალებს გაუცნობიერებელი შიშით შეხედა. მერე კი მზერა ფილიპ ფილიპოვიჩს მიაპყრო, ასისტენტს ირგვლივ კვამლის ღრუბელი ეხვია. სამეანო სავარძლის კრიალა სახელურზე ჩამოდებული პაპიროსიანი მარცხენა ხელი ოდნავ უთრთოდა.

ფილიპ ფილიპოვიჩმა შარიკოვს უკიდურესად ავის მომასწავებელი სიმშვიდით უთხრა:

— ახლავე აიღეთ შარვლები, პალტო, ყველაფერი, რაც გჭირდებათ, და აქედან გასწით!

— რაო? — გულწრფელად გაუკვირდა შარიკოვს.

— დღესვე წადით ჩემი ბინიდან, — მონოტონურად გაიმეორა ფილიპ ფილიპოვიჩმა და საკუთარ ფრჩხილებს თვალებმოჭუტული დააცქერდა.

პოლიგრაფ პოლიგრაფოვიჩს თითქოს ავი სული ჩაუსახლდა: ეტყობა, აღსასრული მოუახლოვდა და ბედისწერის მახვილი თავს დაადგა. იგი გარდაუვალ ხვედრს თვით შეეგება და ავად, მჭახედ ჩაიღრინა:

— რა ამბავია, მართლა და მართლა! რა გგონიათ, თქვენს ოხტში ვერ მოვალ? თექვსმეტი არშინი მეკუთვნის და აქედან ფეხს ვერავინ მომაცვლევინებს.

— მოშორდით აქაურობას! — გულში ჩამწვდომად ჩაიჩურჩულა ფილიპ ფილიპოვიჩმა.

ზილი გადამეწაკვლიანა. ცერა თითი მის ქვეშ მომექცია და დამეცვა ისეთი თანამიმდევრობა: 1—2—3—1—2—3—4—5, მე გადავდებდი ხოლმე მეოთხე თითს მეხუთეზე და ვუკრავდი ასე: 1—2—3—4—5—1—2—4. ამ მეთოდს ის უპირატესობა ჰქონდა, რომ კარგადაა ყოველგვარი გამისათვის, დიატონურისათვის თუ ქრომატულისათვის, და მე მას ამჟამადაც ხშირად ვიყენებ ხოლმე. ლისტმა და შოპენმაც აღმოაჩინეს ეს, მაგრამ ჩემსავით ხშირად არასოდეს გამოუყენებიათ იგი.

ძალიან მალე დავუთმე უდიდეს ენერგიას, რომელიც შემაძლებინებდა ბორძიკ-ბორძიკით შემეღწია ფორტეპიანოზე გადატანისა და პარტიტურების ტექსტში. ჯილდოდ მივიღე ის, რომ ვიქტორ ჰიუგოსა და შილერის იდუმალი არსი შევიცანი ტონალობების, ვერდის და ბეთჰოვენის ნაწარმოებთა მეშვეობით. გავიგე ბიბლია მენდელსონის დახმარებით, გოეთე — შუმანის, ბაირონი და შილერი — მოცარტის მეშვეობით, მერიმე — ბიზეს მეშვეობით და შევძელი ბეთჰოვენში დავინახე უდგარ ალან ბოლ იდეების გაუცნობიერებელი განმმარტებელი, რომელსაც ყველა ბიჭისათვის ნაცნობი თავგადასავლების წუთისოფელი შემოქმედობდა. შემეძლო მეზღვაური ვინსენტ დ'ინდისა და მეიერბერის მელოდიებს მოვრის, ხოლო ლეონსამხავი და ინსტრუმენტალური ეპიზოდები, რომ მეწვეოდამე, რომელიც ხელმეორედ ვერ ვიტანდი არა მეფერის სუფთაობა ან ცოცხლიან პასტორალურ ტენსიონანსა და ლირიკული ლექსიბში. მეშეძლო მეტი შესაძლებლობა და გუნის შესიყაზე.

მუსიკაში უფრო ლოგიკურის მიზიდავდა პოეტური ან დრამატული სახეები და გასროლებული მუსიკალური ნაწარმოების ამ ადგილებს, სადაც შემეძლო კვლავაც აღმოვეჩინა დრამატიზმი და პოეზია. მაგრამ არასოდეს არ ვუარყოფდი ბოლო იმას, რომლებშიც მუსიკა ლამობდა აუცილებლობით თავისთავის, როგორც სამეტყველო და არ ატარებდა არავითარ ქვეშაროდ შინაარსს. ამის შედეგად განვავითარე გემოვნება და როცესაც ყველაზე ძლიერად შინაარსიან დრამებს განვეცდიდი, უკვე რაც ვიწოდით სიფრთხეს, რავის ცხადად არ გამიგრ იყო ლოგიკური ცოდნის მქონე მუსიკოსებისაგან განსხვავებით თუმცა ძალიან აღმოვაჩინე, რომ მათ პროგრამულ არ ცხადი მოცარტი და ბეთჰოვენი. რომელთა ნაწარმოებებშიც ბოლოს მხოლოდ მელოდიურობა და ჰარმონია და ცხადი მათი არსებითი ტექნიკური პარამეტრები. რომლებიც ლირიკბას აძლევენ ამ მუსიკას, თუმცა ვერ გადაჭრებიან მისი ქვემდებარე ფაქტორობას. პარტიტურადებს იმიტომაც არ ძალუძთ, რომ მათი შიგლობის საგანზე დამოუკიდებლად უარყოფენ ლისა მათი უცხოსთვის მიმდევრებისა და მოწაფეებისათვის. ხოლო ვაგნერი ... მისი მათ ტანბოიზ-გორისა და ..., ისინი მხოლოდ ხასიათის მოწაფეობის შემდეგ გონებამახვილური და ...ობისათვის.

ამრიგად, ამ ავტობიოგრაფიული ფრაგმენტიდან გამომდინარე რა უნდა ჩაითვალოს ჩემი მუსიკალური კულტურის აუცილებელ პირობად? უპირველეს ფორტეპიანო, ურომლისოდაც არ არსებობს არც ჰარმონია, არც რიტმებისა და მოტივების ურთიერთგადაწყვა, არც ოპერები, არც მუსიკალური დრამები. მაგრამ, მეორეს მხრივ, როდესაც გვაქვს ფორტეპიანო, უკვე აღარაფერი სჭირია, გარდა დახვეწილი ნოტებისა და რწმენისა, რომ მუსიკას შეუძლია რომანტიკა და პოეზია შეიტანოს მისი დამოუკიდებელი არსების იდუმალ პროცესში. შეიძლება აღმოიჩინოს საშუალება მხოლოდ ერთხელ იქმნის ნაყოფი, რომელსაც ბადებს შემეცნების ხე და ვირტუოზული ტექნიკური ინსტრუქციების მოთხოვნა ვერ აიძულებს მას არ გაიყენოს ის. რასაც მე ვაკეთებდი, თუ რა თქმა უნდა. შეუძლია მივიდეს ინსტრუმენტთან და იწოვოს ოპერებისა და ორატორიების იდეისანიან გამოცემები. მე ხელთ არ მქონდა სათანადო ინსტრუმენტის გამსალები და იძულებული გავხდი საკუთარ გამეტება. მაგრამ, ისე მინდოდა დავკრა, რომ ამ პარტიტურა დანამატებმა არ შემაშინა. დაკვრის ხელოვლი უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე ფრანგული ენის შესწავლა, თუმცა ბევრს ვიცნობ, ვინც ფრანგულ ენას დაუფლა ერთადერთი მიზნით, რათა წაიკითხოს იმაზე უფრო ფრივოლური შინაარსის რომანები, ვიდრე ინგლისში გამოდის. გარწმუნებთ, ლიტის ტარზე, თუნდაც მხოლოდ მეორე ხარისხის გუნის ვერდის მუსიკოსისთვის უმეტეს ოფენბახის და „სავოიური ოპერები"-ც (მხედველობაში უ. გილბერტის და ა. სალივენის ოპერეტები, რომელთაგან ბევრმა რამდენს შეკე ლონდონის თეატრ „სავოიაში" იდგმება) დაიმსახურებენ თქვენს ყურადღებას. ამიტომ არ ღირს საშუალო ნიჭის ადამიანების შეშინება უდიდეს გენიოსებთან შეხვედრის დაპირებებით, რომლებიც მათ შეიძლება მშრალადაც კი მოეჩვენოთ.

მეორეს მხრივ, დაე, ნუ მიწვევენ სანდაზმული მცოდნენი, ვისთვისაც ეპიური ვერდი, მოხდენილი და ფუქსავატი გუნი და მენდელსონისტოროლური. ეფექტებს დახარბებული მეიერბერი სხვა არაფერია, თუ არა ბავშვური გართობა, რომელთა დონეც შორსაა ნამდვილი მუსიკოსისგან, როგორც ავეჯის მაღაზიის ვიტრინებში მდგარი პომპეზური ბრინჯაოს ფიგურები — რაფაელის, რომლებიც ხშირად ხელში ხვდების სხვადასხვა მხრიდან ეკუთვნიან ურთიერთს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ შეადარებ პრაქსიტელეს ქანდაკებებს, ანუ ვე მეიერბერის ოპერას — მოცარტისას. მაგრამ, როგორც არ უნდა გძულდეთ რომანტიკული მოთხრობების კითხვა. რა შეპყრობილიც არ უნდა იყოთ მაღალი აზრებით კაცობრიობის მომავალ ბედზე და გვერდი აულილი გქონდეთ უფრო მსუბუქ ლიტერატურისათვის, დანტეს კითხვით დაღლილი ხელს ჰკიდებდეთ გოეთეს, შოპენჰაუერიდან გადადიოდეთ კანტზე, ხოლო რესკინიდან იბსენზე, სულ ერთია, თუ თქვენ არ იცნობთ „ჯადოსნურ ფლეიტას", თუ ღრუბლებში არ გიფრენიათ გუნდის მოსმენისას, რომელიც ასრულებს მეცხრე სიმფონიის ფინალს, თუ „ნიბელუნგის ბეჭედი" თქვენთვის მხოლოდ საგაზეთო შენიშვნის სტრიქონია, მაშასადამე, თქვენ სრული უმეცარი ბრძანდებით. რა გულმოდგინედ და რუდუნებითაც არ უნდა ჩაჰკირკიტებდეთ ნახევრად ბნელ ბიბლიოთეკაში სასწაულების აწერას, რომლებიც შესაძლოა გადმოცემული ყოფილიყვნენ მხოლოდ წმინდა გრძნობების მუსიკალურ ბგერებად გარდაქმნის გზით. უდიდეს პოეტთა შორის უდიდესნი ესქილედან ვაგნერამდე იყვნენ პოეტი-მუსიკოსები; მაშ განა უფლება აქვს ვინმეს, ვინც არ უნდა იყოს იგი, სძულდეს მუსიკა, ანდა თავისი განათლება დამთავრებულად ჩათვალოს მუსიკალური კულტურის გარეშე?..

მხატვრული ლიტერატურის ყველა სფეროსათვის — ძველი ბალადებიდან „მიჯაჭვულ პრომეთემდე" — არსებობს მუსიკალური ქმნილებების პარალელური რიგი — „საშინელი სამსჯავროდან" „ტრისტან და იზოლდამდე" — გადმოგვცემენ თვით გრძნობებს, რომლებიც სხვა შემთხვევაში მხოლოდ საზრდოს იძლევიან თქვენი წარმოსახვისათვის, მაგრამ არა უფრო მდაბალი, არამედ სწორედ ამ უფაქიზეს გრძნობათა სამყაროში ჩაწვდომისათვის თქვენ მოგიწევთ ისარგებლოთ ფორტეპიანოთი, ეს არის მისი დანიშნულება, მაგრამ თუ თქვენ ამ სულისკვეთებით უპასუხებთ კითხვას: „არის თუ არა ფორტეპიანო მუსიკალური საკრავი?" — ყველა დაასკვნის, რომ თქვენ ნამდვილი იდიოტი ბრძანდებით.

ამრიგად, მოდით ახლა განვავრცოთ კულტურასთან ზიარების უარყოფით მხარეებს ფორტეპიანოს მეშვეობით ჩვეულებრივ კითხვასთან შედარებით. დავიწყოთ იმით, რომ, როგორც წესი, ადამიანები ხმამაღლა არ კითხულობენ; ამიტომ ექვს ადამიანს შეუძლია დაჯდეს ერთ ოთახში და დატკბეს ექვსი სხვადასხვა წიგნის კითხვით ერთი ნათურის შუქზე. მაგრამ, წარმოიდგინეთ იგივე ადამიანები, რომლებიც ექვს როიალს მიუსხდებიან და დაუკრავენ მელოდიებს: „მიკადოდან", „ფაუსტიდან", „აიდადან", „დინორადან", „ფიდელიოდან", „ღმერთების დაღუპვიდან"... არა, წარმოიდგინეთ მხოლოდ, რა აურზაური ატყდებოდა, თუ ისინი დაუკრავდნენ ერთ ოთახში [illegible], არამედ ერთ სახლში ან თუნდაც სხვადასხვა სახლში, რომელსაც ზაფხულში [illegible] აქვს ფანჯრები, ერთსა და [illegible] რომ გამოდიან. გერმანიის ქალაქებში არსებობს მუსიკალური „კომენდანტის საათი", და თქვენ უფლებას არ მოგცემენ დაუკრათ კანონით განსაზღვრულ საათზე გვიან. იმ დროს, როდესაც ლისტი ვაიმარში ასწავლიდა, ფორტეპიანოზე დაკვრა ღია ფანჯრებში დანაშაულად ითვლებოდა და დამნაშავეს აჯარიმებდნენ. უბრალოდ საკვირველია, რომ დაშვებულია ფორტეპიანო იდგეს ყველგან და არა მხოლოდ შუქურებში ან მსგავს დაშორებულ შენობებში. დღეს ადამიანები, რომელთაც არ ესმით მუსიკა, ეჩვევიან მუსიკალური ინსტრუმენტების ბგერებს ისევე, როგორც ეჩვევიან გვერდით ჩავლილი ეკიპაჟის ხმაურს, მაგრამ დროთა განმავლობაში როიალი ყველა ადამიანს გადააქცევს მუსიკალურად და მაშინ ბოლო მოეღება საყოველთაო ანარქიულ მოთმინებას. სამართლიანობისათვის შევნიშნავთ, რომ, რაც უფრო მეტად გიყვართ როიალზე ბრამსი, მით უფრო შეურაცხგყოფთ და გაღიზიანებთ სხვისი ბრამსები.

სინამდვილეში, ზუსტად ისევე, როგორც სარკეში დანახული საკუთარი სახე მთლად ისე არ გამოიყურება, როგორც ეს მეზობელს წარმოუდგენია, ისევე მუსიკაც, რომელსაც ვისმენთ ჩვენი შესრულებით, ის არ არის, როგორსაც ისმენენ ჩვენი მეზობლები. დღესდღეობით არ ვიცი როგორ გადაიჭრას ეს სიძნელე; ჩვენ არ შეგვიძლია დავუბრუნდეთ კლავესინს, თუკი მიკროფონში არ მოვისმენთ, თუმცა შეგვეძლო კიდეც ბახის ფუგის დაკვრა კლავესინზე მაგრამ დაგვეკრა მასზე... რაკოცი-მარში ან ვალკირიის გაფრენა — ეს შეუძლებელია. კარგი შესრულება და კარგი როიალებიც ყოველთვის მიუწვდომელია. ბუნების კანონები ხელს უშლიან კარგ დაკვრას ჩვენს კლავიატურაზე, რომელიც ადამიანის ხელებს არ ემორჩილება და წარმოდგენას გვაძლევს მხოლოდ თორმეტ ტონალობაზე, ისიც იმ პირობით, რომ ყველა ყალბად ჟღერს. ჯერჯერობით, იგივე ბუნების კანონები გვკარნახობენ, რომ ფორტეპიანოს სიმი, რომელიც გამოსცემს ყველაზე მშვენიერ ბგერას, და საფორტეპიანო მექანიკა, რომელიც იძლევა ყველაზე მშვენიერ ტუშეს, მუდმივი სულაც არ არის, ასე რომ, თუ თქვენ იდეალურ ინსტრუმენტს შეიძენთ, თუნდაც რამდენიმე ასეულ ფუნტად, ხუთი წლის შემდეგ მაინც დაგჭირდებათ ახალი. მაგრამ უფრო შესაძლებელია, რომ თქვენ იძუ-

ლებული იქნებით, რასაც საშემოსავლო გადასახადების მონაცემები მოწმობენ. დავკმაყოფილდით ოცდახუთფუნტიანი პიანინოთი სამი წლის განმავლობაში და თუმცა ამ ფასად შეიძლება შეიძინოთ საუკეთესო ფრანგული პიანინო (ფასის შესაბამისად); საშუალო ბრიტანული ოჯახის უფროსი უპირატესობას აძლევს სრულფასოვანს, კაკლის ხის დიდ როიალს, თანაც იმ ხარისხისას, რომელიც დინამიტის ძალას გაუძლებს. ამგვარად, ჩვენდაუნებურად ვუახლოვდებით სევდიან ალტერნატივას: ან გამოვეთიშოთ ჩვენი კულტურის საუკეთესო ნაწილს, ანდა გადავაქციოთ იგი იმ მეზობლების წყევლა-კრულვის ობიექტად, რომლებიც ჩვენს გვერდით ან ქვემოთ ცხოვრობენ. საქმეა, მერყეობის უფლება გვქონდეს, რადგან დღეს, როდესაც პიანიზმის მორალური საფუძვლები, როგორც გარემომყოფთათვის სიამოვნების მინიჭების საშუალება, გაწყვეტილია და ამტკიცებენ სრულიად საპირისპიროს სინამდვილეში არსებული ფაქტებით, ჩვენს უშუალო მოვალეობას შეადგენს აიკრძალოს მოყვარულთა მუსიცირება საერთოდ. ამასთან დაჟინებით მოვითხოვთ, რომ პროზა და პოეზია შემოიფარგლონ თავიანთი ჩუმი, არასრული, უპირატესად ლიტერატურული გამოხატვის ფორმით. მაგრამ, მაინც, ჩემი აზრით, ყველაფერ ამის დაშვება არ შეგვიძლია: მუსიკის გარეშე ჩვენ უბრალოდ დავიღუპებით ალკოჰოლის, ნარკოტიკების და მდაბალი ინსტინქტების ყველა შესაძლებელი ხელოვნური აღმგზნებლებისაგან. ასკეტიზმი ვერ გვიხსნის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენ არა ვართ ასკეტები: თავისი განვითარების წყალობით ადამიანი მუდმივად ეძებს სულ უფრო მძაფრ შეგრძნებებს, რომელთა დევნაშიც ან ანადგურებს საკუთარ თავს ან მასში ავითარებს ტკბობის ახალ-ახალ შესაძლებლობებს. იგი ესწრაფვის ინტენსიურად მიიღოს სიამოვნება დასვენებით, ჭამით, სმით, აზარტით და ნადირობით, მგზნებარე არშიყობით და მათი მოყვარობით, ქების შემდეგ ყველაფერს გადააქცევს უსაქმურობად, ღორმუცლობად, ლოთობად, საზიზღარ სისასტიკედ და უაზრო მანკიერებად, ანდა პირიქით, იგი თავის გრძნობას იმ ხარისხამდე ავითარებს, როცა ეს გრძნობა გადაიქცევა პოეტურ გრძნობად და იძულებულს ხდის სიამოვნებით იფიქროს უფრო კეთილშობილურ რამეზე. ყურადღება მიაქციეთ, თუ შეიძლება, საგნების თანმიმდევრობას: ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ვამბობ ხაზგასმით, თუმცა თემიდან გადავუხვევ: ეს არის გრძნობა, რომელიც გვაიძულებს ვიაზროვნოთ და არა აზრი, რომელიც აღვიძებს გრძნობას. ჩვენი უნივერსიტეტის და საერთოდ სხვა აკადემიური დაწესებულებების მცდელობის სრული მარცხის საიდუმლო, მოახდინოს სერიოზული ძვრები სტუდენტთა შეგნებაში, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი მეთოდი უცვლელად დაუყვანილია ცდამდე, გაუღვიძოს სტუდენტებს გრძნობა აზროვნების შემწეობით. მაგალითად, ნავარაუდევია, რომ მომავალი მუსიკოსი უკეთ ჩასწვდება შოპენის ნაწარმოების პოეტურ სულს, თუ თანდათანობით მიიღებს სასარგებლო ინფორმაციას, ვთქვათ ბეთოვენის დაბადების თარიღზე, კონტრფაგოტის დიაპაზონზე, დიეზების რაოდენობაზე რე-მაჟორის ტონალობაში და ასე შემდეგ. საგნებით ანალოგიური პროცესები გამიზნულია ფერწერის, ბერძნული პოეზიის და საერთოდ, რაც გნებავთ, უკეთ გაგებისათვის. შედეგი: ნორმალური გრძნობების მქონე ყმაწვილი იქცევა საშუალო გრძნობების მქონე კურსდამთავრებულად, რომლის გემოვნება არაფრით განსხვავდება ახალგაზრდა კაცის გემოვნებისაგან, ადვოკატთა კანტორაში კლერკის მოკრძალებული სამუშაო რომ ურჩევნია უმაღლესი განათლების მიღებას ოქსფორდსა და კემბრიჯში. ტექნიკური სწავლებისაგან განსხვავებით, ნებისმიერი განათლება უნდა იყოს გრძნობების აღზრდა; ასეთი აღზრდა უნდა შედგებოდეს შთაბეჭდილებებისაგან, რომელიც ეყრდნობა ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მიმართულია შეცნობისაკენ, ურომლისოდაც წარმოსახვისათვის გამიზნული ლიტერატურული აღწერები ვერ იქნებიან სწორად აღქმული. მაგალითად, ქორწინება სრულფასოვანი მამაკაცისა და ქალის გრძნობების აღზრდის უდავოდ აუცილებელი ფაქტორია. მაგრამ, სასწავლო დაწესებულებებში გრძნობებისადმი მიდრეკილების აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებების დემონსტრირების ფორმით; და ჩვენი უნივერსიტეტების უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს ასეთი დემონსტრაციების დონის აწევა უმაღლეს სრულყოფილებამდე.

ამის მტკიცება გარდა „უნივერსიტეტელი ადამიანისა" არავის გააკვირვებს. საბედნიეროდ ასეთი ეგზემპლიარები წმინდა სახით არ არსებობენ. თუ ჩვენ შეგვეძლებოდა ექსპერიმენტის სახით მოგვეხდინა ბავშვის იზოლაცია ოჯახის გავლენისაგან და მისი ინტერესები შემოგვეზღუდა სასკოლო ჩარჩოებით და საუნივერსიტეტო ცხოვრებით, მაშინ იმის საბოლოო ნაყოფი, რასაც ჩვენ „განათლებულ ადამიანს" ვუწოდებთ, აღმოჩნდებოდა ისეთი უმეცარი ანდა თვითკმაყოფილი პედანტი, რომლის მხოლოდ წარმოდგენა შეიძლება, თუ ყურადღებით დავაკვირდებით ამ ეგზემპლარებს, რომლებიც დროდადრო ძლივსაც გვხვდებიან. მაგრამ ასეთი სახის სპეციალიზაცია შეუძლებელია: არ შეიძლება საგნებით გაემიჯნო ხელოვნებას, გავიხსენოთ თუნდაც თანამედროვე არქიტექტურის რო-

ლი. თუმცა ჩემს სახელს ვერ იპოვით ოქსფორდის კურსდამთავრებულთა სიაში, მე მაინც მივიღე ყველაფერი, რაც შეიძლება მისცეს საუნივერსიტეტო განათლებამ, უბრალო გასეირნებით ოქსფორდის ტერიტორიაზე და მისი უძველესი საგუშაგო კოშკების დათვალიერებით. საკმაოდ კარგად ვიცი, რას წარმოადგენენ ოქსფორდის დიდად განათლებული კურსდამთავრებულნი — ყველანი ზარმაცები და გაიძვერები გახლავან. ხშირი სტუმრები არიან ლონდონის თეატრებისა და სურათების გალერეების. მათი სახლებიც სავსეა სურათებით, როიალით, და ათასგვარი ლამაზი ნივთებით, ხოლო ერთიმეორეზე დაყრილი თაროები გადაჭედილია უამრავი წყება წიგნებით, რომლებშიც არასოდეს იხედებიან. ერთხელ ვესაუბრე „ბეილიოლ-კოლეჯის" ან განსვენებულ დირექტორს — ძალიან თავაზიან ჯენტლმენს — ალბათ საოცრად უმეცარს, მაგრამ ფრიად განსწავლული მეუღლისა და შინაბერას ფრივოლურობით ცეკლუცად რომ ეჭირა თავი, რაც მის მოწყალებას მომხიბვლელობას ანიჭებდა... ოქსფორდში ის სარგებლობდა ოსტატ-მასწავლებლის რეპუტაციით. მსურდა გამეგო, რა უფლება აქვს მას ასეთ რეპუტაციაზე ქვეყანაში, სადაც ჩარლზ ჰალემ ჩამოაყალიბა თავისი მანჩესტერის ორკესტრი და დირიჟორობს მას, სადაც ავგუსტ მანსმა და სერ ჯორჯ გროვმა შექმნეს ორკესტრი „კრისტალ პელასი", სადაც ჰანს რიხტერი გვასწავლიდა იმას, რაც მას ვაგნერმა ასწავლა, ეროვნული გალერეის მეთაური სერ ფრედერიკ ბარტონი, სამეფო იტალიური ოპერის ხელმძღვანელი სერ ოგასტეს ჰარისი ინგლისისათვის ფასობდნენ და ფასობენ ორმოცი ათას „ბეილიოლელ" დირექტორთა აღმზრდელობად ალიარეთ, მაშ ვიცით ბოლოს და ბოლოს საუკეთესო აღმზრდელი მასწავლებელი. ის, ვინც ჩაგჩიჩინებთ ირლანდიურ ენაში გამოცდა ჩააბარეო, თუ მისს ჯენეტ ეჩერი, რომელიც თქვენთვის ასრულებს ნორას როლს? თქვენ არ შეგიძლიათ „თოჯინების სახლი" აღიქვათ ყოველგვარი გრძნობისა და, როგორც გარდაუვალი შედეგი — ფიქრის გარეშე, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ ირლანდიური ენის ცოდნით შეიძლება გაიკვირვო ოქსფორდი, თუმცა გამოცდის ჩაბარება ირლანდიურ ენაში შეიძლება ყოველგვარი აზრისა და გრძნობის გარეშე. შემეძლო მომეყვანა მრავალი მაგალითი, თუ უფლებას მომცემდა წერილის ზომა და ჩემი მიზანიც იქნებოდა სწავლების სისტემის კრიტიკა და არა თემიდან გადახვევა...

ამრიგად, თუ მივიღებთ როგორც მოცემულობას, რომ ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა, თუ ის დაკავშირებული არ იქნებოდა იმით მოღვაწეობასთან, რომელიც სიამოვნებას გვანიჭებს და ადამიანთა საზოგადოების განვითარებით იგი უფრო ინტენსიური ხდება და მოითხოვს უფრო ფაქიზ და დახვეწილ სიამოვნებას, რასაც ვერ ჰპოვებ ცხოველური ინსტინქტის დაკმაყოფილებაში, მაშინ დამღუპველი გაუკუღმართების [illegible] შეიცნობს აგრეთვე, რომ „მაღალ" აზრებს შეეფერება „მაღალი" გრძნობები და ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ გრძნობათა აღზრდის მეშვეობით, ამიტომ, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ჩვენ შეგნებულად ვღალატობთ ჩვენს პურიტანულ ტრადიციებს, რათა გადავიქცეთ დახვეწილოვნებულ ავხორცებად? უდავოდ, საჭიროა ცოტაოდენი დაფიქრება, რათა დაინახო, რომ მაღალი გრძნობები ბადებენ მაღალ აზრებს, მაგრამ, ფიქრის გარეშეც ნათელია, რომ მაღალ აზრებს მოსდევს ის, რასაც ჩვენ პატიოსან ცხოვრებას ვუწოდებთ.

მიმდინარე ასწლეულში ლელდამიწამ წარმოშვა ორი ადამიანი — შელი და ვაგნერი, რომლებისთვისაც ძლიერი პოეტური გრძნობა იყო მათი შეგნებულობის მუდმივი მდგომარეობა და ვერავითარი რელიგიური ჩარჩოები, ვერც ცხოვრებისეული გარემოება და ვერც კეთილგონივრული საზრიანობა ვერ აბრკოლებდნენ, მთელი ძალით გამოეხატათ თავიანთი ნიჭი. ისინი არ იყვნენ ლორმუცელები, ლოთები, ულმობლები ან გარყვნილები, ისინი იყვნენ ვეგეტარიანობისა და უალკოჰოლო სასმელების მქადაგებელნი, თავზარს სცემდნენ ამელადობა და „სპორტი", იყვნენ ქალთა დამოუკიდებლობის გამოჩენილი მომხრენი და, მოკლედ რომ ვთქვათ, ჩაბმულნი იყვნენ სოციალური მანკიერების წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციაში, მანკიერებისა, რომლებიც უბრალო გრძნობის ადამიანს ფრიად მისაღებად მიაჩნია...

თუ ახლა, რაკი გავთავისუფლდებით შედარებით სარისკო გადაწყვეტის ყოველგვარი საფრთხისაგან — მივცეთ მხატვრის შესაძლებლობა იყოს ბედნიერი, დავიწყებთ მსჯელობას, ხელოვნების რომელი დარგია ყველაზე უფრო შესაფერი მიზნისათვის, მაშინ მოგვიწევს ეს პატივი მუსიკას მივანიჭოთ, რამდენადაც მხოლოდ იგი მოითხოვს თავისი აღქმისათვის მხატვრულ აქტს იგივე „შემთხვევლის" მხრიდან, აქტს, რომელიც თავისი დახვეწილობით ხდება შემოქმედების ისეთივე აქტი, როგორსაც ვაგნერი ლისტის მიერ შესრულებულ ბეთჰოვენის სონატაში აღმოაჩენდა ხოლმე. ამ შემთხვევაში საჭირო არ არის მუსიკოსის მხატვარზე, არქიტექტორზე ან მოქანდაკეზე მაღლა დაყენება, არის წამები, როცა იშლება ყოველგვარი ზღვარი ხელოვნებებს შორის, როდესაც ეროვნულ გალერეაში ტებებით ტერნე-

რის აკვარელით, პოეტური გრძნობა, რომელსაც ასე ნატიფად და მსუბუქად გამოხატავენ ისინი, გაათავისუფლებთ ცრუ თაყვანისმცემლებთან კამათისაგან, რომლებიც დაობენ ვინ უკეთესია — მხატვარი თუ კომპოზიტორი მიუხედავად ამისა, ეროვნულ გალერეაში გრძნობას გამოხატავს მხატვარი და არა თქვენ. თუმცა ზოგჯერ თქვენი გრძნობებიც თხოულობენ გამოსავალს თითქმის მტკივნეულად. თქვენ მუნჯდებით ან, უკეთეს შემთხვევაში, ეუბნებით მეზობელს: „ბრწყინვალეა, ხომ მართალია?", მხატვრული კრიტიკა — სხვა არაფერია, თუ არ ამ რემარკის განვითარება.

ახლა კი, წარმოიდგინეთ, რომ გრძნობა გამოწვეული იყო სიმღერისგან და არა სურათისგან. თქვენ უმალ კარგავთ მეტყველების უნარს, მაგრამ იწყებთ სიმღერას და ამით იკმაყოფილებთ თქვენს ერთ-ერთ უდიდეს მოთხოვნილებას. შეიძლება ეს უცნაურად მოეჩვენოს იმ ადამიანებს, რომლებიც მღერიან, რათა სხვათა ტაში დაიმსახურონ. უფრო მეტიც, ვარჯიშით თქვენ შეიძენთ გრძნობის გამოხატვის უნარს და მისი დახმარებით გამბედაობას, გამოხატოთ ის, რის ნაკლებობაც ასე გვაწუხებს. ჩვენ შებოჭილნი და არაბუნებრივნი ვართ, არ გვესმის გარშემომყოფთა და ვრჩებით გაუგებარნი, ვუზიარებთ შენიშვნებს ამინდის შესახებ ადამიანებს, რომელთაც ყველაზე გულწრფელი თანაგრძნობითა და მტკიცე დაპირისპირებით შეგვეძლო დავმეტკბარიყავით, თუ შევძლებდით სრულყოფილად ამოგვეცნო ერთმანეთი თვითგამოხატვის მეშვეობით. ამიტომ მუსიკა — ყველაზე ნაყოფიერია ხელოვნებებს შორის, რომელიც თავისი გავრცელების უნარის წყალობით აიძულებს მათ, ვისზედაც ზემოქმედებს, გამოხატონ საკუთარი თავიც და ჩვენც იმ მეთოდის დახმარებით, რომელიც არის ყველაზე იოლი და ყველაზე უნივერსალურია ხელოვნების ყველა მეთოდებს შორის, რადგანაც ეს არის ხელოვნებად გარდაქმნილი ურთიერთობების სხვადასხვაგვარობა იმგვარი მეტყველების დახმარებით, რომელიც საერთოა მთელი კაცობრიობისათვის.

მუსიკის დანიშნულებას შთააგონებდა მსოფლიოს გოეთეს, შოპენჰაუერის, ვაგნერის და თვით ჩემი ყველაზე გაბედული გამონათქვამები, როგორც წესი, როდესაც მსურს მივაღწიო უდიდეს კონკრეტულობას ჩემი იდეების დასამტკიცებლად მუსიკალური ხელოვნების სფეროში, მოვიშველიებ ისეთ მოწმეს, ვინც კერძო საუბარში არ დაუშვებდა შესაძლებლობას მთლიანად გაეზიარებინა ჩემი შეხედულებები, მემუქრებოდა სასამართლოზე გადაცემით იმ საფუძველზე, რომ იგი სერიოზულად მივიჩნიე. და მართლაც, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი თანამედროვე ვითარებაში ისე ეწყობა, რომ მუსიკისადმი სერიოზული გამოკვლევებლება, როგორც რელიგიის, მორალის [illegible] და პოლიტიკისადმი არის მიღებული. [illegible] ბა [illegible] აშკარა გამოვლინებაა. თუ ეს მუსიკა არ მიეკუთვნება [illegible] გაუნათლებლობის მიზეზს [illegible] კაში აქვს გადგმული, არსი ის გახლავთ, რომ ადამიანთა უმრავლესობა საკუთარ თავს უფლებას ვერ აძლევს წავიდეს კონცერტზე ან ოპერაში, ამიტომაც გულგრილნი რჩებიან „კლასიკურად" ანდა „კარგად" წოდებულ ყველაზე არსებითი დრამატული ან პოეტური შინაარსის მიმართ, რომელიც ყოველთვის ესმით, როგორც მეცნიერული იდეები, უხვად შემკული ბგერითი შაბლონებით და არასოდეს — როგორც რაიმე გრძნობათა წარმტაცი მარცვლების შემცველი, როგორც მათი საყვარელი ენის ლაურე-და ბუნებრივია, მათ არ სურთ შეიძინონ ფორტეპიანო; რომ ხდომოდათ კიდეც, მაინც ვერ შეძლებენ მის ყიდვას და ძალაუნებურად მიმართავენ „პატარა კაცის ფორტეპიანოს" — გრამაფონს, კონცერტინოს და აკორდეონს. ამავე დროს ჩვენი ყველაზე ნიჭიერი მომღერლები, იმის მაგივრად, რომ მიიღონ 10 ან 15 ფუნტი კვირაში პლუს დამატებით პანსიონი, უნდა მიიღონ მეტი, ვიდრე იღებენ მინისტრთა კაბინეტის წევრები, ვინაც სამუშაო ნადირვად უპირისპირდება საფეთქლებს ჭაღარით, ანდა ზოგიერთი ოფიცერი ან მუსიკალური კრიტიკოსი, ყველაფერი ეს უნდა შეიცვალოს მანამდე, ვიდრე შევძლებდით იმედი გვქონოდა სერიოზულ პროგრესზე კულტურაში. ცვლილებების აუცილებლობა სოციალურ სტრუქტურაში იმდენად უეჭველია, რომ ეს აიძულებს მუსიკოსებს გამოვიდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე მათი ბუნების საწინააღმდეგოდ. აი, როგორ ვაგნერი, რომელიც 1848 წელს რევოლუციონერებს შეუერთდა იმის გამო, რომ სახელმწიფომ უარი თქვა თეატრების რეფორმაზე. ზუსტად ისევე მეც იძულებული გავხდი ჩვენი ხელისუფლების სიჩლუნგის გამო შევსულიყავი ფაბიანურ საზოგადოებაში და შევნიღბულიყავი პოლიტიკოსის ნიღბით, რათა შესაძლებლობა მქონოდა აგიტაცია გამეწია საფორტეპიანო მაღაზიათა ქსელის საყოველთაო განაწილებისათვის.

ამრიგად, თუ ახლა მოვისურვებდი, ყველა ეს არგუმენტი ლოგიკური თანმიმდევრობით დამელაგებინა უმწიკვლო არგუმენტების საშუალებით, რათა მემტკიცებინა, რომ კაცობრიობის მომავალი დიდად დამოკიდებულია ფორტეპიანოზე, იძულებული ვიქნებოდი მექცია ჩემი იდეა ბრიტანული აზროვნებისათვის მიუღებლად, რომელიც ძალიან მგრძნობიარეა ყოველ-

გვარი მცდელობისადმი, შეამოწმოთ მისი არსებობა ლოგიკით. ამიტომ გაამფთრებით უარყოფს მას. მაგრამ, ნება მიბოძეთ, ბრიტანული ტვინის ნებართვით, გავაკეთო საკუთარი დასკვნები. გამოვიდე ფორტეპიანოს მასშტაბური წარმოების მომხრედ მხოლოდ მასშტაბით. ორღანი, ფისჰარმონი, ვოკალიონი, ეოლიონი, ორკესტრიონი, ან ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია წარმოშვას ოპერის ან სიმფონიის სრული პოლიფონია, შეუძლია, ცხადია, შეცვალოს ფორტეპიანომ, და იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია მუსიკის შესრულება სრულიად ან ნაწილობრივ პერფორირებული კარტების, არღანების ან ილწარმოების სხვა მექანიკური საშუალებებით. დიახ, ასე კეთდებოდეს. კლავიატურა იმგვარად რომ იყოს აგებული შემსრულებლის მხატვრულ კონტროლს ემორჩილებოდეს, უწვრელი სიკეთე იქნება; მომეცით ხელთ ასეთი რამ და მე ვაჯობებ პადერევსკის!

დასასრულს ვიტყვი. დიახ, ნურავინ იფიქრებს, რაკი მუსიკის ინდივიდუალური კითხვა და შესრულება უფრო კარგია, ვიდრე არაფერი, ისინი წარმოადგენენ მთლიანი თეატრალური ანდა საორკესტრო შესრულების საკმაო შემცვლელებს. პირიქით, ეს არის პალიატივები, თანაც მეტად უბადრუკი. იტალიაში, როდესაც სურათების გალერეიდან ფოტოატელიეში მოხვდებით, პროტესტის გრძნობას გამოიწვევს რეპროდუქციების არაადექვატურობა, რომელიც კარპაჩოს ოქროს ბრწყინვალებას გადააქცევს ბინძურ ჭვარტლად. ბაირეითში, როცა საფესტივალო თეატრის სპექტაკლიდან ბრუნდებით და გაიგონებთ, თუ როგორ უბრახუნებს ვიღაცა პიანინოზე და ამოუშვებს „მაისტერზინგერის" უვერტიურას, შე[illegible], თუ როგორ უძლებს ეს საცოდავი მის მიერვე გამოცემული ბგერების მოსმენას, და მაინც, რამდენიმე თვის შემდეგ, ამჯერად ინგლისში, თქვენ იღებთ საკუთარ ფოტოსურათს ან ჭდებით ინსტრუმენტთან „მაისტერზინგერის" კლავირიანად, რომელიც ძალიან სასიამოვნოდ და ცოცხლად გახსენებენ კარპაჩოს და ვაგნერს. ამავე დროს რა სიამოვნებაც არ უნდა მოგანიჭოთ შექსპირის ან იბსენის კითხვამ, თქვენი ნამდვილი და სრულფასოვანი ნაცნობობა მათთან იმ დღიდან დაიწყება, როცა მათ სცენაზე იხილავთ, რისთვისაც იყვნენ ისინი განკუთვნილნი ავტორთა მიერ. დადგება დღე, როცა ყოველივე მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდება შესაბამისი მხატვრული ინტერპრეტაციები ნებისმიერ დროს, როდესაც ის იგრძნობს ამის მწვავე აუცილებლობას. მანამდე კი ფორტეპიანო კვლავ იქნება საზოგადოების მხსნელი. მაგრამ, როდესაც დადგება ეს ოქროს საუკუნე, ბოლოს და ბოლოს ყველა დაინახავს, რა საძაგელი, ხმაურიანი, მოუღრიალე, მოშლილი და სიმშვიდის დამრღვევი საოჯახო მანქანაა იგი, და მის ხმაურსაც, რომელსაც შეშლილობამდე მივეჩვიეთ, უკვე ველარ გაიგონებთ ჩვენს ქუჩებში...

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბონდო არველაძე

# გრიგოლ რობაქიძის ერთი პოლემიკის შესახებ

(მხატვრული თარგმანის ისტორიისათვის)

გრ. რობაქიძეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ცნობილი ინგლისელი მწერლის ოსკარ უაილდის შემოქმედების ქართულად თარგმნის საქმეში. ამჯერად, მკითხველ საზოგადოებას გვინდა გავაცნოთ გრ. რობაქიძის მიერ უაილდის დრამა „სალომეას" ქართული თარგმანის ირგვლივ გამართული პოლემიკის ისტორია, რომლის შესახებ არსებული მასალები დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.[1] ი. გრიშაშვილს, მისთვის დამახასიათებელი პუნქტუალობით თავი მოუყრია მასსა და გრ. რობაქიძეს შორის „სალომეას" ქართული თარგმანის შესახებ ატეხილი კამათის მასალისათვის და შიგადაშიგ თავის შენიშვნებს ჩაურთავს. ი. გრიშაშვილი ერთ-ერთ საარქივო ჩანაწერში აღნიშნავს: „შვიდ მნათობში" 1919 წ. № 2, ოქტომბერი გვ. 35 დაიბეჭდა გრ. რობაქიძის მიერ თარგმნილი „სალომეა". ჩვენს „ლეილაში" გაკვრით შევეხე ამ თარგმანს. აი, ეს ორიოდე სიტყვა: „მეორე ნომერში კი გრ. რობაქიძის თარგმანი „სალომეა" იმით არის აღსანიშნავი, რომ უთვალავი ნაცვალ-სახელებია, რაც სრულიად არ ეგუება ქართულ ენას. აბა რა ქართულია: „ვეცხლი", „ავეტარები", „შეპყლოულნია" და სხვა... უნდა ითქვას: „სალომე" ა. დადეკაძესაც აქვს თარგმნილი, რომელიც დაბეჭდა „დროების" დამატებაში (1909, № 3). ალ. სარაჯიშვილის თარგმანი კი ხელნაწერებად მომისმენია: „მარილთა შეუმდინარეული, იხ. „ლეილა" 1920 № 2, იანვარი გვ. 15. მარილთა შეუმდინარეული ი. გრიშაშვილის ერთ-ერთი ფსევდონიმი იყო.

ეს შენიშვნა გრ. რობაქიძეს სწყენია და მწვავედ გაუკანწლავს ი. გრიშაშვილი, რასაც ამ უკანასკნელის გაცხარება გამოუწვევია. აი, რას წერს ი. გრიშაშვილი თავის გვიანდელ ჩანაწერში, რომელიც დაცულია მის პირად არქივში: „ეს კამათი (იგულისხმება გრ. რობაქიძესა და გრიშაშვილს შორის „სალომეას" ქართული თარგმანის გარშემო გამართული კამათი — ბ. ა.) მაგონებს „ერთი წვეთი თაფლის" ამბავს. (ეს არის ოვ. თუმანიანის პოემის სახელწოდება. თვით პოემა კი არის ერთი წვეთი თაფლის გამო გაჩაღებული ომის პაროდია — ბ. ა.).

ამ შენიშვნის შემდეგ გავიდა რვა თვე და გრ. რობაქიძემ ორი ფელეტონი დაბეჭდა გაზ. „საქართველოში" შემდეგი სათაურით: „ქართული რიტმული". მეორე წერილში მეც გადმომკრა. აი, ეს გამორიტმებული ფრაზაც: „...როცა „სალომეა" ვთარგმნე ბევრი სიტყვის, მაგალითად: „მქედარის" მაგიერ, რომელიც ენას მოსტეხს წარმომთქმელს, მე ვი- მარე „კედრის" მანი" მოვაცილე, რადგან არ ისმის, — და სიტყვა რიტმულად გაიშალა. —) ეს არ მოსწონებია ვიღაც მარილთა შეუმდინარეულს, მაგრამ რა მოეთხოვება ისეთ ფუნაჩს,

---

[1] გრ. რობაქიძის გარდა „სალომეა" ქართულად თარგმნა: ალ. სარაჯიშვილმა (ხელნაწერი). ამ თარგმანის შესახებ არის ცნობა სამს. ფირცხალავას გაზ. „მზე"-ში, 1908 წ. № 1, გვ. 3-4; თვით თარგმნილი ტექსტი ინ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმში, ხელნაწერი № 1542. პავლე დადეკაძემ. დაიბეჭდა „დროების" დამატებაში, „დროება" 1909, № 39. შალვა ამირეჯიბმა — დაიდგა „რუსთაველის" თეატრში, ვერიკო ანჯაფარიძის მონაწილეობით. პაოლო იაშვილმა — სპექტაკლი იქნა წარმოდგენილი 1923 წლის 18 თებერვალს. ეს პიესა თარგმნა აგრეთვე ლ. კასრაძემ, რომელიც ხელნაწერი სახით დაცულია თბილისის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში (ი. გრიშაშვილი, ბიბლიოთეკა-მუზეუმი, № 6121).

რომელსაც ფსევდონიმიც ვერ გამოუგონებია არაგამკრეტინებელი?! (იხ. გაზ. საქართველო", 1920 № 82, 24 მარიამობისთვე).

ეს სიტყვები წაღვერში წავიკითხე — წერს ი. გრიშაშვილი. მეწყინა, და ვინაიდან მასალები თან არა მქონდა, დავწერე პატარა წერილი და გამოუგზავნე გაზ. „სახალხო საქმის" რედაქციას, წერილი მიიღო მის. საყვარელიძემ... დაბეჭდა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „სალომეს" გარშემო

გრიგოლ რობაქიძე არ ისვენებს! რა ქნას! ძნელია, როცა კაცი სიცოცხლეშივე არქეოლოგიურ ნაშთად გადაიქცევა!

ამას თითქოს გრძნობს კიდეც. და ამიტომაც არის, რომ ის ძველებურად აღარ ჰმართავს ლექციებს „ცნობილ ლექტორის" სახელწოდებით და კმაყოფილდება სრულიად უმნიშვნელო, პატარა-პატარა წერილებით თუ ლექსებით, რომლებშიაც ნიჭის ნიშან-წყალიც კი არა სჩანს, გარდა საკუთარი თავის განდიდებისა, თავკერძაობისა, პრეტენზიებისა.

ჩემთვის პირადად საწყენია რობაქიძის, ძველი რობაქიძის ასეთი ყოფა, მაგრამ სინამდვილეს რა უთხრა, სინამდვილეს?!

მო-და ,აი, ასეთი წყალ-წყალა წერილები, გულღრძო ადამიანისათვის ერთად ერთი საშუალებაა ბრაზის და ბოღმის გადმოსანთხევად — იმ პირთა მიმართ, რომლებმაც გაბედეს და რობაქიძის პოეტობაზე ძვირი რამ სთქვეს.

შარშან ი. გრიშაშვილის „ლეილაში" დავბეჭდე „საბიბლიოგრაფიო შენიშვნები" ახლად გამოცემულ ნაწარმოებთა შესახებ და სხვათა შორის შევეხე. გრიგოლ რობაქიძის მიერ თარგმნილ „სალომეს", რომელიც თავისი ქართულით არ იყო დამაკმაყოფილებელი.

რობაქიძე დღემდე სდუმდა! დღეს კი ეროვნულ დემოკრატების ორგანოში შეფარებული ბ-ნი ფუტურისტი გამომდგარა და უზეირო მაყარივით გაჰკივის ათასჯერ გადაღეჭილ ერთ და იმავე აზრებს. თავისთავად „რიტმის თუ რითმის შესახებ" ბაასი საინტერესო საკითხია, და არა ერთი, მართლაც საქმის მცოდნე პირი, შეხებია ამ საკითხს საქართველოში... მაგრამ შეხებია სრულიად მიუდგომლად, ზოგადად და მეცნიერებაში ერთხელ დამკვიდრებულ ზომიერებით. რობაქიძეს კი ასეთი წერილები თავის კერძო ინტერესების დასაოკებლად გაუხდია, თორემ ვინ არ იცის, რომ ი. გრიშაშვილის ლექსში „და"-ს ხმარება და ერთი და იგივე სიტყვის განმეორება, — ეს გრიშაშვილის სტილია, თავისებურობაა, რომლის გავლენასაც ერთდროს თვით რობაქიძეც კი ვერ ასცდა. (იხ. მისი ლექსი „იწვის შქერი... იწვის შქერი")

— რამდენჯერ არის ეს სიტყვა განმეორებული ბატონო რობაქიძევ? მაგრამ...

ბოდიში!

მო-და, აი ამ დღევანდელ წერილში-მეთქი — სადაც ბ-ნი რობაქიძე რიტმის თუ რითმის შესახებ ლაპარაკობს — ვერ მოუნელებია ჩემი შენიშვნა „ლეილაში" და ერთბაშად ბრაზიან კილოთი წერს:

„როცა „სალომე" ვთარგმნე, გავშალე ბევრი სიტყვა, მაგალითად „მკვდრის" მაგივრად ვიხმარე „კვტარის" და სიტყვა რიტმულად გაიშალა (მართლა? ი. გ.) ეს არ მოსწონებია ვიღაც მარუთა შუამდინარელს (სხვა ვის მოეწონა? თავგუნას წერილი წაიკითხეთ? ი. გ.) მაგრამ რა მოეთხოვება ისეთ ფინაჩს (მმ! ი. გ.) რომელსაც ფსევდონიმიც კი ვერ გამოუგონია არაგამკრეტინებელი" (იხ. „საქართველო" № 82).

ხუმრობა იქით იყოს და მე ვამტკიცებ, რომ რობაქიძემ ქართული ენა და ქართული ენის ბუნება სრულებით არ იცის.

შეიძლება რობაქიძე კარგი მოლაპარაკე იყოს სცენიდან, მაგრამ იგივე ნალაპარაკევი ქაღალდზე გადატანილი ჰკარგავს თავის შთაბეჭდილებას.

დასამტკიცებლად ავიღეთ მის მიერ ქართულად ნათარგმნი „სალომე", რომელიც ყოველგვარ კრიტიკის გარეშე სდგას, და როგორც ყველა მისი ნაწერი, აქაც ყოველი წინადადება ჯერ რუსულად არის მოფიქრებული და მერე ქართულად გამართული!

აუარებელი ნაცვალსახელებია შიგ, რაც ქართულ ენას სრულიად არ ეგუება და მთელი თარგმანი დატვირთულია პროვინციალურ გამოთქმებით. დაწვრილებით აქ აღარ ვიტყვი თარგმანზე.

„მწარისა საუბრისათვის
რად გვინდა პირის გაღება!"

მე წინადადებას ვაძლევ „საქართველოს" რედაქციას, რომელმაც უშენიშვნოთ მიიღო ჩემი „ფინაჩობა" და ამით მფარველობა გაუწია რობაქიძის თარგმანს — არჩეულ იქმნას საპატიო ჯგუფი, რომელშიაც უნდა იყოს, როგორც ძველი, ისე ახალი ქართულის მცოდნე პირები — და თუ ამ ჯგუფსაც მოეწონება: „კვტარი" „გაიარს", „ვეცხლი" „მაგარი", „შეპუდრულნია" და სხვა მრავალი სიტყვა (მაგ. ბრი, ვითომ „ებ არი") თუ ანაქებს.

— მათი ხმალი და ჩემი კისერი!
მარუთა შუამდინარელი

მ ი ნ ა წ ე რ ი: რაც შეეხება იმას, რომ ფსევდონიმი ვერ გამოვიგონე შესაფერი და ამიტომ ჩემს შენიშვნას არავითარი მნიშვნელობა აქვს (!), უნდა მოვახსენო ბატონ რობაქიძეს, მას ძველი ქართული მწერლობაც კი რომ აინტერესებდეს, გაიგებდა, რომ ეს ფსევდონიმი ჩემ მიერ გამოგონილი არ არის: ეს სახელწოდება უკვე არსებობდა ძველ საქართველოში, რობაქიძეს რუსეთის გარდა, საქართველოს წარსულიც რომ აინტერესებდეს, გაიგებდა, რომ მარუთა შუამდინარელი იყო კაცი ფრიად ნიჭიერი, ძველ ხაზარებათა ეროვნული დარაჯი (გადამწერელი, შემნახველი) — რათა სუფთა მწერლობა დაეცვა მკრეხელთა ხელისაგან (იხ. კორნელი კეკელიძის „ეტიუდები"). ჰოდა ვინაიდან ჩემს სოფელშიც შუაში მდინარე ჩამოუდის, ვისარგებლე ამ ფსევდონიმით, რომ „კრიტიკული შთაბეჭდილებანი" (სტილისტიკა მისეთა გამო) — ამ სახელწოდებით მეწერა და ამით, — როგორც ჩემი სეხნია იქ, მესოპოტამიაში, ისე მე აქ, საქართველოში, — ქართული პოეზია გამენთავისუფლებინა რობაქიძისთანა მკრეხელთა ხელისაგან. მარუთა შუამდინარელი (იხ. „სახალხო საქმე", 1920 წ. № 810, 4 სექტემბერი).

ი. გრიშაშვილის ამ პასუხს უმალ გამოეხმაურა გრ. რობაქიძე და გაზ. „საქართველოში" (1920, № 95, 12 ენკენისთვე) დაბეჭდა წერილი: „„მარუთა შუამდინარელს"":

„მარუთა შუამდინარელი საშინლად გაცხადებულა იმისათვის, რომ მას ლიტერატურული ფინაჩი ვუწოდე. მაგრამ ამ გაცხადებით იგი კიდევ უფრო ილუპავს თავს. თურმე იგი სხვისი ვინაობის მიმთვისებელიც ყოფილა. მოუნახავს ერთი ძველი მწიგნობარი და მისი სახელით გამოდის ლიტერატურაში. რა ვუწოდოთ ასეთ საქციელს?!

წარმოდგენილი გაქვთ რომელიმე მწერალი, რომელიც სხვისი სახელით მოდიოდეს ლიტერატურაში! (ტრისტან მაჩაბელი? ეს რომ ვ. გაფრინდაშვილის ფსევდონიმია, თქვენ მიერ განდიდებული?)[1] წარმოდგენილი გაქვთ ისეთი მწერალი, რომელმაც მაგალითად თავის თავი გამოაცხადოს ან რონსარად და ან რაბლედ?! უკანასკნელი სიყალბე უნდა იყოს ადამიანის ბუნებაში, რომ ამ სახით აცხადოს მან თავის თავი. სრულიად მოკლებული უნდა იყოს ადამიანი საკუთარ ვინაობას, რომ მიითვისოს სხვისი ვინაობა.

და ასეთი უკაცრავად პასუხია „მწერალი" იწუნებს ჩემს თარგმანს „[illegible]", რა გაეგება მას ფრილის სიტყვის [illegible]ციის, რომლითაც გამართულია „[illegible]"! ან რა გაეგება მას ჩემი [illegible] ქართულის, რომლითაც [illegible]!

მარუთა შუამდინარელი ისე გაკადნიერებულა, მეტი რომ არ ვთქვა, რომ საერთოდ ქართულსაც კი იწუნებს და ბავშვური ალიტინებით სასაცილოდაც იწყებს. ამაზე მეტი უბედურება კიდევ იქნება. მარუთას შეხვედრა [illegible]! მაგრამ ქართული ლიტერატურის ინტერესებისათვის მე მაინც ვიღებ მის გამოწვევას.

მე არ გამოვუდგები მისი უვიცობის მტკიცებას დეტალურად: იგი ამად არა ღირს. ხოლო საჯაროდ რომელიმე გარკვეულ მაგალითზე მაინც გამოვამზეურებ საბოლოოდ მარუთა შუამდინარელის სრულ უვიცობას.

იგი იწუნებს მაგალითად სიტყვას „გაიარს" („ლეილაში" „გაიარს" მე სხვას დავუწერე და არა გრ. რობაქიძეს. რას მეკამათება? მაგრამ არა უშავს, ამის შესახებაც მოვახსენებ სიტყვას, დეე, ჩაითვალოს ბუზი ბადაგზე)![1] თითქოს უკანასკნელი არ იყოს სრულიად მართებული და ლიტერატურულად გამართლებული. იგი „ლეილაში" დასავლეთის საქართველოს პოეტებს ავიწყებს პროვინციალ თქმას და მაგალითებს შორის მოიყვანს „გარება". მაშასადამე ხსენებული სიტყვა მარუთას აზრით ლიტერატურაში არ უნდა იხმარებოდეს.

მართალია ეს?! მე მგონია, მარუთა შუამდინარელისათვისაც სავალდებულო უნდა იყოს მოწმობა ქართულის ისეთი მცოდნის, როგორიც იყო საბა სულხან ორბელიანი. გადაშალეთ მისი შესანიშნავი ქართული ლექსიკონი და მე-247 გვერდზე თქვენ ნახავთ სიტყვას „რება" (რომელსაც, განმარტავს ასე: „სლვა" (მე-278 გვერდზე იგი ამბობს, რომ უფრო მართებულია „სლვა", ვიდრე „სვლა").

ამ სიტყვისაგან „რება" წარმოსდგება „გარება" და საერთოდ თქმა: „გაიარს", „მოიარს", „აიარს", „ჩაიარს" და სხვა. მართალია, ამას აქვს თავისი სიტყვიერი პარალელი „სვლისაგან" „გაივლის", „მოივლის", „აივლის", „ჩაივლის" და სხვა, — მაგრამ მათ შორის მაინც რჩება ნიუანსი მასხვავებელი.

ეს რომ ასეა, ამას თვით ხალხური გენის შემოქმედებაც ადასტურებს. ქართულ ზღაპარში თითქმის ყველგან არის ასეთი ბგერული: „იარა, იარა ბევრი იარა თუ ცოტა იარა", როგორ შეცვლით თქვენ ამას პარალელური წარმოებით „სვლისაგან"?! ნუთუ ასეთი ბლაგვი მოჭრით „ვლო, ვლო ბევრი ვლო თუ ცოტა ვლო"?!

---

[1] ი. გრიშაშვილი. შენიშვნა. გაზეთში დაბეჭდილ ტექსტი 10. [illegible]

[1] ი. გრიშაშვილის კომენტარი [illegible]

მაგრამ შესაძლოა ლიტერატურაში არ იყოს ეს სიტყვა ხმარებული. მაშ წაიკითხეთ, მარუთა შუამდინარელო, ნიკო ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „მერანი", რომელიც თითქმის ყოველმა ქართველმა ინტელიგენტმა იცის ზეპირად, — და იქ თქვენ ნახავთ ასეთ მიმართვას: „გარდაიარე კლდენი და ღრენი" რა არის ეს „გარდაიარე", თუარ იმავე სიტყვისაგან წარმოებული ,რომლისაგან ისმის „გაიარს"?! ან თუ გგონიათ, რომ ნიკო ბარათაშვილიც დასავლეთ საქართველოს პოეტია?!

ეს კიდევ არაფერი! ბ. მარუთავ! თქვენ ხოთველები გიყვართ (— იქ მოგინახავთ მწიგნობარი და მისი ვინაობა მიგითვისებიათ). შეიძლება გაგეგონოსთ შოთა რუსთაველი, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული ქართული სიტყვის გენიალურ შემოქმედათ. წაიკითხეთ მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი" და იქ მონახავთ თქვენს მიერ ათვალწუნებულ „რებას". მონახეთ მე-1484 ტაეპის მეორე სტრიქონი, სადა ნათქვამია: „ლაშქარნი რბოდეს მიდამო, ქმნა სწადდათ მათკენ რებისა". ან 882 ტაეპის მეორე სტრიქონი: „მისთა სპათა მუხლ-მოყრითა თავი მათი ჩემკერძ იარეს". კიდევ: „ჩვენ ხმელნი მოვიარენით" (ტ. 117); კიდევ: „იგი დღე ერთად იარეს" (ტ. 825); კიდევ „ავთანდილ იგი მინდორი ოთხმით გარდაიარა" (ტ. 117) და მრავალი სხვა. რუსთაველი ხანდახან ერთსადაიმავე დროს ორივე სიტყვას („სვლას" და „რებას"-ა) ხმარობს პარალელურად: „რომე წელან წამოვედით, გზა იგივე წაიარა" (ტ. 1008); ან კიდევ: „ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა" (გვ. 184). რას იტყვით, ბ. მარუთავ? შოთაც პროვინციელი იყო და ხმარობდა უმართებულო სიტყვას?! ვაი, ქართული ლიტერატურის ბრალი!!

მარუთა შუამდინარელი თავგამოდებით იცავს იოსებ გრიშაშვილს. თავის თავად ცხადია, რომ მან მისი ნაწერი უნდა იცოდეს. გადაშალეთ, ბ. მარუთავ, გრიშაშვილის წიგნი, ეს პატენტი ბანალობისა, — და თქვენ იქ შეხვდებით ასეთ სტრიქონს: „განთიადია: ნისლი ჰკრთება ობლათ მოარე" (გვ. 129). რა არის ეს „მოარე" თუ არა იმავ სიტყვისაგან წარმოებული, რომლისაგან ისმის „გაიარს"?! შეიძლება დაგავიწყდათ, რომ გრიშაშვილსაც აქვს ნახმარი ეს სიტყვა!? მით უარესი თქვენთვის!

ამრიგად: ნიკო ბარათაშვილი, საბა-სულხან ორბელიანი და შოთა რუსთაველი ჩემს მხარეზე არიან. ამ დროს გამოდის ვიღაც მარუთა და ქართულის არცოდნას მიკიჟინებს. ამაზე მეტი გათახსირება შეიძლება ლიტერატურისა?! ვინ მიკიჟინებს არ-ცოდნას? ის ადამიანი, რომელსაც უბრალო ფრაზაც კი ვერ გაუმართავს სწორად. ბერონტი ქიქოძის წიგნის შესახებ იგი „ლეილაში" ასეთი უსწორობით სწერს: „არის წყალ-წყალა წერილებიც, რომელიც „საქართველოს" ყოფილ ფელეტონებს გვაგონებს". ეს არის ქართული ნამდვილი!! (ვაი ვაი) ამის დამწერს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ლიტერატურაში.

მარუთა შუამდინარელი [illegible] სამართლიანად ჰბაძავს იოსებ გრიშაშვილს წერის ცუღლუტურ მანერაში, რომ უსათუოდ უკანასკნელის ორეულად მესახება იგი. შეიძლება მარუთამ გრიშაშვილისაგან აითვისა ქართული როგორც ორეულმა იმ გრიშაშვილისაგან, რომელმაც წარყვნა ქართული სიტყვა ვულგარული ყარაჩოღულით და რომელიც თავის კაკაფონიურ ნაწერებში ასე მახინჯად ამახხარავებს ქართულს: „თევზებს ჰკითხე, ზღვისა თევზებს, ის ყველაფერს გაგიმჟღავნებს", „თევზებს" და — „ის" ვაი ქართულო სიტყვავ!

რაც შეეხება ჩემს „დაინტერესებას" რუსეთით, ამაზე უმჯობესი იქნება, ბ. მარუთავ, სრულიად გაჩუმდეთ: სულ ერთია, ჩემს „დაინტერესებას" მაინც ვერ გაიგებთ, და თუ მაინცა და მაინც არ მოეშვებით „დაინტერესებას" რუსეთით, მაშინ უმჯობესი იქნება იმავ გრიშაშვილს მიმართოთ, რომელსაც არც რუსეთისა და არც რუსულისა გაეგება რა, მაგრამ მას ისე ებლაუჯება, რომ უმისოთ თავისი უბედური ფსევდონიმიც ვერ მოუგონებია: „გრიშა-შვილი.

გრ. რობაქიძის ამ წერილს მოჰყვა ი. გრიშაშვილის პასუხი „ნაწამები სალომე" (გაზ. „სახალხო საქმე" (1920, № 942, 8 ოქტომბერი). ამ სტატიაში ი. გრიშაშვილი მოწინააღმდეგეს მოუწოდებს ურთიერთ პიროვნული პატივისცემისა და კამათის ეთიკის დაცვისაკენ. შემდეგ ენობრივი და მხატვრული თვალსაზრისით განიხილავს „სალომეას" თარგმანს.

## „ნაწამები სალომე"

გრიგოლ რობაქიძემ უნდა იცოდეს ერთი რამ: მოკამათის პატივისცემა.

რობაქიძეს უნდა მოეხსენებოდეს, რომ როცა ის „მწარე სიტყვებს" ხმარობს მოპირდაპირის დასაცოფად, — ამ შემთხვევაში მოპირდაპირეც პირში წყალს არ ჩაიგუბებს და სამაგიეროს საბოძვარს უფრო ხელწაყრით გასცემს.

მაგალითად — რობაქიძე ამბობს: სადა გრიშაშვილსა და ფაშალიშვილს გასავალი აქვს, იქ მე სირცხვილად ჩავთვლი გავლასო.[1]

მე ვეტყვი: ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ამ ჟამად, ახალ საქართველოში არ მოიპოვება

[1] ანალოგიური ხასიათის კამათი ჰქონდა გრ. რობაქიძეს ს. ფაშალიშვილთან, იხ. „საქართველო" 1920 № 102 „პასუხად ფაშალიშვილს" (ვ. ა.)

ისეთი არასაინტერესო პიროვნება, როგორიც რობაქიძეა.

მაგრამ განა ეს კამათია? ეს არის კრიტიკა?

კიდევ: რობაქიძე მე, მარტოთა შუამდინარელს, ლიტერატურულ ფინანს მიწოდებს, — მე კი მას ლიტერატურულ ალრაზაკს დაუძახებ.

მაგრამ განა ეს კამათია? ეს არის კრიტიკა?

რობაქიძეს ვუსაყვედურე ნიაზი რუსეთისადმი და სამშობლო მწერლობისადმი დაუდევრობა. ის კი აქაც გრიშაშვილს სწვდა (რა ქნას: თუ კი ბოღმა ახრჩობს) და ამბობს: რუსეთს გრიშაშვილიც ეძლაუქება, რომლის ფსევდონიმიც რუსული ძირით იმართება! მაგონდება ცხენის და უნაგირის ანდაზა. რა საჭიროა, იმის მტკიცება, რომ გრიშაშვილის ფსევდონიმი სრულიად უბრალოდ წარმოსდგა იმის მამის სახელისაგან (როგორც მაგალითად: მიშა, საშა და სხვა). შეიძლება ეხლა არც მე მომწონდეს ეს ფსევდონიმი, მაგრამ, ჩემის აზრით, გრიშაშვილს უნდა უხაროდეს, რომ მისი ფსევდონიმი ერთად-ერთია, კენტი, სადათი, განკერძოებული და რობაქიძის გვარივით ყველა დუქნის დარაბას არ აკერია.

მაგრამ განა ეს კრიტიკაა? ეს არის სერიოზული მსჯელობა? მართებულია ასეთი წვრილმანობა?

მადლობა ღმერთს, მე „კალამი ნიჩბად არ მიმაჩნია და მწერლობა კიდევ სამალაყო ასპარეზად".

ბასტა!

ეხლა კბილი გაუშინჯოთ გრიგოლ რობაქიძის „სალომეს" და ვნახოთ, რა ჭაშნიკისაა ეს ბედმოძვირებული პატარძალი.

თუმცა გულახდილად უნდა ითქვას, ამ თარგმანში „საპატარა—ფელეტონო" მასალა უფრო ბევრია, რაც უკვე ისარგებლა ბ-ნმა თაგუნამ[1] (იხ. „ეშმაკის მათრახი" № 8, 1919 წ.) და უალდის ნაწარმოების წამებისათვის რობაქიძე ციხეში დაამწყვდევდინა.

მაგრამ რადგან დავიწყე, მოსაგლეჯ კბილამდე უნდა მივყვე.

იმის საჩვენებლად, თუ როგორ არ უნდა ითარგმნებოდეს ნაწარმოები და განსაკუთრებით ისეთი აზიზი, როგორიც უალდის „სალომეა" დაგვჭირდებოდა მთელი ნათარგმნის მოყვანა, მაგრამ პატივსა ვცემთ ქართულ სიტყვას, არ გვინდა ხელმეორედ დაბეჭდვით შევბღალოთ მკითხველის გემოვნება და ლიტერატურული ქართული.

ამიტომ ალალბედად გადავშალოთ თვალი რობაქიძის „სალომეს" და გზადაგზა ამოვკრიფოთ ის რომში მარგალიტები, რობაქიძის უვიცობამ რომ დაჰფანტა თავის, უკაცრიელი პასუხია, თარგმანში.

შეუდგეთ საქმეს!

წინა წერილშიც ვამბობდი, რომ რობაქიძის ყოველი ნაწერი, და განსაკუთრებით „სალომეს" თარგმანი, ჯერ რუსულად [illegible] რეზული და მერე ქართულად [illegible] დაწყობილი.

რობაქიძემ ეს იტკიცა!

მაშ ავაგოთ ციხე საბუთებისა და ჩავკეტოთ შიგ ყალბის მქნელი.

მოგვყავს:

—„იგი: როგორც მკვდარი ქალი" ან: „ისინი ყოველთვის ასე" (იხ. „შვიდი მნათობი" № 2, გვ. 87 )განა ეს ქართული თქმაა? ეს ხომ პირწავარდნილი რუსიზმებია: „она какъ мертвая женщина; она всегда так" რუსულ ენას ეხერხება უზმნოდ (быть) წინადადების გამართვა: მაგალითად: Я человек, он преступник" „это восхитительно" და სხვა... აქ უეჭველად იგულისხმება სიტყვები შორის есмь, есть, და სხვა. Я (есмь)) человек.— მაგრამ ქართულში რომ გამოსტოვოთ ზმნა, ბატონო რობაქიძევ, და სთქვათ: „მე კაცი" — ამით თქვენ კაცობას ვერ დაამტკიცებთ!

ღმერთმანი, პირდაპირ ძალადობა უნდა იხმაროთ ქართული ენის ბუნებაზე ასე რომ სთქვათ: „რომლებიც ჩაცმულნი არიან ტილოში და მეწამულში" (გვ. 48); ეს იგივეა, სთქვათ: „ჩოხაში ვარ ჩაცმული!", „შარვალში ვარ ჩაცმული" და სხვა...

„აი, კიდევ ერთი ნიმუში რუსულ ყაიდაზე წინადადების გამართვისა: „თქვენ ამომგლიჯეთ მე მისი ხვევნისაგან" (გვ. 54): ან კიდევ: „იგი პატარა მეფის ასულია თვალებით ქარვისაგან" (გვ. 43); რუსიზმით აქ ჯერ აზრია დამახინჯებული: კაცი ვერ გაიგებს, პატარა მეფეზეა ლაპარაკი, თუ პატარა ასულზე. მერე რა გამოთქმაა: „თვალებით ქარვისაგან": „С глазами из янтаря" ეს წინადადება ადამიანურად რომ გავმართოთ, ასე ითქმება: „იგი მეფის პატარა ასულია ქარვის თვალებიანი"... ან უკეთ: „ქარვისთვალება".

განა ქართული ენის უვიცობა არ არის ასეთი გამოთქმა: „წინასწარმეტყველი არის უდაბნოსაგან" (გვ. 80), „მე გავაგდე იგი მისი საყროსაგან" (გვ. 40) „რათა მიცქერის იგი ოქროული თვალებით მოოქრული ქუთუთოებისაგან" (გვ. 41) და სხვა.

განა ვიტყვით: „მოვიდა ქალაქისაგან", „ჩამოვარდა ცხენისაგან", „ვიყურები საპყრობილისაგან", „გავიდა ოთახისაგან" თუ უბრალოდ: „ოთახიდან გავიდა", „ქალაქიდან მოვიდა" „გავაგდე სამეფოდან" და სხვა.

დავიღალეთ ამდენი ამოწერით! მაგრამ არა! რობაქიძე თავისავე საბუთებში ისე უნდა გამოიხრჩოს, როგორც ახრჩობენ მელას, სოფ-

---

[1] თაგუნა იყო . ფსევდონიმი (შ. ა.).

ლელები ხოროში ცეცხლს რომ შეუბოლებენ ხოლმე.

მაშ მოვიყვანოთ იმის ნიმუშები, თუ როგორ აწამა ბ-ნმა რობაქიძემ „სალომესა" და ქართულ ენასთან ერთად ნაცვალ-სახელებიც.

ქართულ ენას არ უყვარს ხშირად ნაცვალსახელის ხმარება, ეს მიტომ, რომ თვით ზმნაში არის გადასული ესა თუ ის პირი. რუსმა რომ სთქვას: „сказал" — ვერავერს გაიგებს: რომელი პირია აქ და ვის მიმართ არის თქმული. უეჭველად უნდა დაურთოს: „Я сказал тебе" ქართულად კი — მარტო თქმა: „გითხარი!" საკმარისია, რომ გაიგო — „მე შენ გითხარი". აი, ამიტომ არის, რომ ქართული ენის ბუნებას ეჩოთირება ნაცვალ-სახელების წარამარა მოყვანა, რასაკვირველია, აქ არ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევას, როცა ამას პოეტური ხერხი, სიტყვის მუსიკალობა და აზრის სიმკვეთრე მოითხოვს.

ეხლა ვნახოთ, რა დღეშია ამ მხრივ რობაქიძისაგან გაუბედურებული „სალომე".

— თქვენ კარგად იცით, რომ თქვენ იზამთ მას, რასაც მე გთხოვთ თქვენ" (გვ. 48).

— მითხარი მე, რა უნდა ვქნა მე" (გვ. 48).

— თქვენ ამას ამბობთ მხოლოდ მისთვის, რომ მაწამოთ მე, რომ მე მთელი ხალამო გიცქერდით თქვენ. ჰო, ეს ასეა, მე გიცქერდით თქვენ მთელი საღამო". „თქვენმა სილამაზემ ამრია მე. თქვენმა სილამაზემ ამშალა მე და მე გიმზერდით თქვენ მეტად. მაგრამ აწი მე ამას აღარ ვიზამ!" (გვ. 62).

— „შენ რომ გენახე მე, შენ შემიყვარებდი მე" (გვ. 68).

რომელი ერთი მოვიყვანოთ? კიდევ ერთი პატარა ნიმუში:

— „მას უყვარდა მდინარეში ცქერა, ხშირად ვუსაყვედურებდი მე მას ამას" (გვ. 48). ხედავთ რა ლაზათია? რა რიტმია! რა გაშლა! „მე მას ამას" ეს ხომ დანიელა ურიას სიმღერაა: „ამას იმას, იმას ამას".

მაგრამ ჯერ კიდევ სადა ხარ, მკითხველო! განემზადე უდიდესი ტანჯვისათვის მოჰმართე ხელნი ლაწვთა სახოკად ამ ბარბაროსობის გამო, რომელსაც რობაქიძე სჩადის და ლამაზს, შნოიან ქართულს ასე ხეპრედ, ასე ტლანქად რომ ამახინჯებს! აი, საუცხოო ნიმუში ბარბაროსობისა:

— „ხმა ამ კაცისა თავისაგან გამომიყვანს მე" (გვ. 60) ვითომ მოთმინებას მიკარგავს, ანუ ზარს მოვყევარო!

მართლაც გრიგოლ რობაქიძის „თავისაგან" თუ გამოვა ასეთი საშინელი, გულშემზარავი ქართული და კიდევ მყოფნის გამბედაობა ამ „მწერალს" რიტმიულ ქართულზე ილაპარაკოს!

ამაზედ მეტი გათახსირება ენისა წარმოუდგენელია.

ნება მომეცით, ცოტა ამოვიქშინო და მერე რობაქიძის „სიტყვა გაშლას" მივხედოთ.

საზოგადოდ უნდა ითქვას: ქართული ენა არ ერიდება თანხმოვნებს და ეს არის ხასიათი ჩვენი ვაჟკაცური ენისა.

თანხმოვან ასოთა შეჯგუფება ქართულში ხშირად შესანიშნავად ჰხატავს იმ მოვლენას და საგანს, რომლის სიმბოლოც იგია. მაგალითად: „გრგვინვა", „გრდემლი", „ფრთა" (რობაქიძე ხმარობს ფთა—გვ. 64) „ცეცხლი" „ვერცხლი" და სხვა. ამ მხრივ ბალმონტმა უფრო აუღო ალღო ჩვენი ენის ბგერათა მიჯრილობას.

რობაქიძე კი მომდგარა და უზეირო დალაქივით ჰკვეცავს და ჩორკნის ჩვენს დარბაისლურ ენას.

ასეთი წინადაცვეთა სიტყვებისა შეიძლება ლინგვისტისათვის იყო საჭირო თორემ „მანი" „მაე" „რაე" და სხვა ქართულ ენას გაუჩენია სამუსიკო ბგერად და საკვირველია, რომ ის მწერალი, რომელსაც პოეტობაც უნდა, გაურბის ამ რიტმიულ ქართულს.

გრიგოლ რობაქიძე თავის თარგმანში ჰშლის შემდეგ სიტყვებს: მკვდრებს — „კვდარებს" ხმალი — „ხმალებს" და სხვ. მაგრამ იქნება გგონიათ ამ „რიტმიულობას" ბოლომდე მისდევდეს? რობაქიძე მარტის ივესავით იცვლება: „არც ყვავილნი არაბეთის დედოფლისა" (გვ. 45), რატომ „დედოფალისა" არა? „შენი თმები ჰგვანან ყურძენის მტევნებს" (გვ. 45), რატომ „მტევანებს" არა? „უბრძანეთ თქვენს მეომრებს" (გვ. 65), რატომ „მეომარებს" არა? „გამხადონ ფეხზედ ქალამნები" (გვ. 54), რატომ „ქალამანები" არა? და სხვ... ერთგან აქვს: „ანგელოსო უფალისა ღვთისაო" (გვ. 45). აქ არ გაუშლია ღმერთი, თორემ უნდა ეთქვა: „ღმერთისაო". მაგრამ იმავე გვერდზე დაავიწყდა „უფალი"-ს გაშლა და ხმარობს: „სიტყვებს უფლისა ღვთისაო"; თუ კი ანგელოსის შემდეგ გაშალა უფალი „სიტყვების" შემდეგ უფრო არ უნდა გაეშალა, ვინაიდან წინა სიტყვაში სამი თანხმოვანი ასოა მიყრილი: „ტყვ" და ბოლოში კიდევ ორი. „ბს" (გვ. 31).

მაგრამ ყურადსაღებია ერთი რამ: გრიგოლ რობაქიძემ თავისი მძიმე არტილერია აამუშავა იმის დასამტკიცებლად, რომ უნდა იხმარებოდეს: „კვდარები" და არა „მკვდრებიო". მართლაც ასე აქვს ნახმარი „სალომეში". მაგრამ ეს დაავიწყდებია და მე-58 გვერდზე სამ-ოთხ ადგილას ხმარობს „კვდრების" „კვდრებს" და სხვ. მე შემეძლო ვპელა ეს კორექტურულ შეცდომად მიმეღო, მაგრამ წიგნში იმდენი აბდაუბდაა, რომ ბოლოს და ბოლოს აღარ

კაცი, რომელია კორექტურული შეცდომა და რომელია სწორი გამოთქმა!!

„გაშლას" ვინა სჩივის, რობაქიძე პირდაპირ უვიცობას რომ არ იჩენდეს! ერთ ალაგას აქვს: „როცა ფარშავანგები კუდებს გაშლიან" (გვ. 62) ფარშავანგის კუდი — მოდი და ნუ გაგეცინება! კუდის გაშლა — მოდი და უფრო ნუ გაგეცინება! კუდი რობაქიძის სიტყვა ხომ არ არის, რომ გაიშალოს? ბიჭია და გაშლის ძაღლის კუდს! ფარშავანგს კუდი კი არა აქვს, ბოლო აქვს, ბოლო! (ნეტავ. რობაქიძის უვიცობასაც ჰქონდეს ბოლო!)

თუ არ დაგვიჯერებს, ბატონი რობაქიძე, გადაშალოს საბას ლექსიკონი, იმ საბასი, რომელზედაც ამბობს: „ჩემს მხარეზეა!" და ჰნახოს: „კუდი: რომელთა ბალანი მოკლე აქვსთ, ვითარცა კამბეჩთა, გარეულთა და მისთანათა: ხოლო რომელთა კუდი ფრთოსანი აქვს, ვითარ მფრინველთა და ფარფლოსანი, ვითარცა თევზთა, არა ითქმის კუდად, არამედ ბოლოდ" (იხ. საბას ლექსიკონი გვ 154).

ჩავყვეთ ქვევით!

— „რა ღვინოა ეს ღვინო უფლისა? რომელი ვაზებიდან (!) რომელ საწნახელში შეიძლება მისი შოვნა? (გვ. 55). რობაქიძემ ფარშავანგს კუდი გამოაბა და ეხლა საწნახელში ღვინოს ასხამს, ასეთი კუდიანობისთვის უნდა დაისაჯოს იგი და ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს, რომ საწნახელში ღვინის შოვნა არ შეიძლება — იგი არც ქვევრია და არც ბოჭკა — იქ მხოლოდ ყურძენი იწურება!

—„მე გთხოვთ იოკანაანის თავს ვერცხლის თასზე" (გვ. 161) რა ხუმარაა რობაქიძე! თასზე როგორ უნდა დასდონ კაცის თავი? თასი სასმისია, შიგ ჩაისხმება თხევადი რამ მხოლოდ. თასში შეიძლება თავი ჩაიდოს, მაგრამ სალომეს ხომ ეს არ უნდოდა? მას სურდა იოკანაანის მოკვეთილ თავისთვის კიდევ ეცქირნა და თასში ჩატენილ თავს ხომ ვერ უყურებდა? თასი კი არა, ბატონო რობაქიძევ, სინი, ლანგარი, გესმით?

უაილდის სალომე კლასიკური ნაწარმოებია, ინგლისელმა ავტორმა იგი დასწერა მსახიობ სარა ბერნარისთვის ფრანგულ ენაზე, რომ ლამაზ შინაარსთან ერთად ენისთვის სილბო მიეცა. მთარგმნელს ნიჭის გარდა, დიდი მოხერხება სჭირია, რომ „ბლაგვი ენით" არ შეურაცხყოს „თვალი პატიოსანი", მთარგმნელმა ყოველ სიტყვას გარს უნდა შემოუაროს და ავტორის სულს სათუთად მოეპყრას.

მაგრამ საქმე არა გაქვთ! რობაქიძე ისე ეპყრობა „სალომეს" როგორც რუსის დენშჩიკი სამოვარს, ჩექმით რომ ადუღებს ხოლმე მას.

რობაქიძეს ისე ავტომატურად უთარგმნია „სალომე" რომ იმის ადგილას სხვა გაჩუმდებოდა და შით მოინანიებდა ცოდვებს. მაგრამ იგი ტრაბახობს კიდეც და თავის ნაწარმებ „სალომეს" „რიტმიულ ქართულად" ასაღებს.

აი, ნიმუში კიდევ ერთი საშინელებისა:

„—მთვარეს უცნაური სახე აქვს... იგი გავს მეფის ასულს პატარას ყვითელი საბურველით, რომელსაც ვერცხლის ფეხები აქვს; იგი გავს მეფის ასულს რომელსაც ფეხები ისეთი აქვს, როგორც პატარა მოთეთრო მტრედუნებს" (გვ. 37).

თავი დავანებოთ „ვერცხლს" „გავს" და იმ წინადადების არანორმალურ კონსტრუქციას, რომლითაც გამართულია ზემორე სტრიქონები და დავაკვირდეთ ხაზგასმულ სტრიქონებს...

პირდაპირ წარმოუდგენელია, როგორ უნდა დაუჩლუნგდეს ადამიანს მხატვრული ალღო, რომ ქალის ფეხები სურათოვნობის გულისთვის მტრედის უშნო ფეხებს შეადაროს! უაილდს კი ეს სულაც არ უნდოდა — იგი ამბობს: ქალის ფეხები ორი თეთრი მტრედიაო! ე. ი. ქალის ფეხები მტრედის ფეხებს კი არა ჰგავს, არამედ — თვითონ მტრედებს.

აქ სამი ბოროტებაა — მხატვრული, ქართული ენის წინაშე და ლიტერატურული.

ნუ თუ ამის შემდეგ გრ. რობაქიძეს კიდევ შეუძლიან სთქვას: „რა გაეგება მარუთას ჩემი რიტმიული ქართულის, რომლითაც გავშალე ეს ჯადოსანი ქმნილებაო".

ნუ თუ რობაქიძეს მართალი ჰგონია, რომ საქართველოში გამოვა ერთი კაცი მაინც რომელიც ამ თარგმანს თარგმანს დაუძახებს! !— რასაკვირველია „საქართველოს" რედაქტორების გარდა, რომელთაც მინდა შევუძახო:

„ნეტამც იგურის ნატები
ლალმსაც რად შეუდარენით!"

აფსუსი არ არის ასეთი ნაწარმოები მოანაგვიანოს კაცმა უშნო გამოთქმებით და პროვინციალიზმებით? ისღა აკლია რობაქიძეს, რომ ცეცხლის მაგივრად ცეხლი სთქვას, ფილტვების მაგივრად — ფიტვები, ფქვილის მაგივრად — ქბილი, გადატვირთვის მაგივრად — გადაჭვირთვა და სხვა.

წარმოგიდგენიათ მკითხველო, პარტერში იყოთ და ისმენდეთ მსახიობთაგან თქმულს:

— „საშინელია მეფის გაგუდვა!" (გვ. 40).

—„ იგი გავს თეთრი ვარდის სახულს სარკეში ვერცხლისა" (გვ. 38).

— „რომლის თმები ცისფერ მოპუდრულნია" (გვ. 48).

— „ხშირად ვუსაყვედურებდი მე მას ამას!" (გვ. 45).

— „მე თქვენ გეუბნებით, ნუ უცქერით მასთქო!" (გვ. 50).

—„ ხმა ამ კაცისა თავისგან გამომიყვანს მე" (გვ. 60).

— „მაგრამ აწი მე ამას აღარ ვიზამ" (გვ. 62).

ოღონდა! ნუღარ იზამთ მეტ მკრეხელობას.

ბატონო რობაქიძევ, ნუ! დაე, ეს ერთი დარჩეს იმ შესანიშნავ ნიმუშად, თუ როგორ არ უნდა ითარგმნებოდეს კლასიკური ნაწარმოები.

იმედია, ბატონო რობაქიძე, ყველა ამის შემდეგ შედგება და დარწმუნდება, რომ ორის და სამის რაოდენობა ყველამ იცის, ვისაც ხელზე ხუთი თითი გააჩნია და შავს ყველა შავს დაუძახებს, ვისაც თავი იღლიაში არა აქვს გამობმული.

ამ უბრალო შენიშვნით დაწყებულმა კამათმა თანდათან სერიოზული აკადემიური სახე მიიღო, თუმცა მოკამათენი ირონიულ გამოთქმებს მაინც ვერ ელევიან და საკმაოდ გესლიანად ამკობენ ერთმანეთს. ი. გრიშაშვილის ამ სტატიას გრ. რობაქიძე წერილების მთელი სერიით გამოეხმაურა — „ქართულის გარშემო", გაზ. „საქართველო", 1920, № 117. 8 ოქტომბერი (წერილი პირველი):

„ჩემს საპასუხო წერილში მე ნათელვყავ კონკრეტულად, თუ რას წარმოადგენს მარუთა შუამდინარელი როგორც მწერალი. სასაცილოდ იღებდა სიტყვას „გაიარს". ჩემ მიერ ხმარებულს „სალომეს" თარგმანში, მე დავუმტკიცე მას, (დამიმტკიცა?) რომ ეს სიტყვა ჩემს მიერ შემოღებული არ არის ქართულს ლიტერატურაში, რომ იგი ხმარებულია ჩემამდე ისეთი დიდი ეპიკოსის მიერ, როგორიც არის რუსთაველი, ისეთი მცოდნეს მიერ ქართულისა, როგორიც არის სულხან-საბა ორბელიანი, ისეთი გულისხმიერი ლირიკოსის მიერ, როგორიც არის ნიკო ბარათაშვილი.

თავის საპასუხო წერილში მარუთა შუამდინარელი უკვე აღარას ამბობს „გაიარს"-ის შესახებ. რასაკვირველია: ასეთი შეცდომის დაშვების დროს მას გარუმება ურჩევნია. სამაგიეროდ მას მოჰყავს სხვა მაგალითები თითქო მადასტურებელნი ჩემი ქართულის უვარგისობისა. თავითგანვე უნდა განვაცხადო, რომ მე არავითარი სურვილი არა მაქვს მარუთასთან კამათისა: რადგან იგი ჩემთვის როგორც მწერალი არ არსებობს. მაგრამ ერთი რამ არის ყურადსაღები: შუამდინარელი დამახასიათებელი მოვლენაა ქართული ლიტერატურის თანამედროვე ვითარებისა, ამას კი საჭიროა ანგარიში გავუწიოთ.

მე ვეცდები ყოველი მისი ბრალდება უარვყო კონკრეტული მაგალითებით ქართული კლასიკური ლიტერატურიდგან. ამ ცდაში ვიმედობ მივაღწიო ორს მიზანს: ერთი: ნათელი იქმნება ყველასათვის, თუ ვისთან გვაქვს საქმე, როცა მარუთა შუამდინარელზეც ვლაპარაკობთ, — მეორეც (—რაც უფრო საინტერესოა): დაისმის მრავალი პრობლემა ქართულისა, რომელიც საჭიროებს აკადემიურს გადაწყვეტას.

თავის ახლავ ცხადდება შემდეგიც: ჩემს წერილებში მე ვერ ვეყვები მარუთას პოლემიკურ კილოს, რადგან ლანძღვით ამეტყველებაში მე არავის ვეტოლები — და მით უმეტეს მარუთას, ვეცდები არ ვუღალატო წმინდა აკადემიურ კილოს.

დავიწყებ უბრალო მაგალითით, ფრიად დამახასიათებლით. ჩემს თარგმანში მე ვხმარობ სიტყვას „ვეცხლი", მარუთა შუამდინარელი „ლელილაში" ასეთი დაცინვით ეგებება სხვათა შორის ამ სიტყვას „ან აბა რა ქართულია „ვეცხლი" (და სხვა).

ვნახოთ: ვის აქვს უფლება დაცინვისა. ვინც მე ფუტურისტს მეძახის, მან მაინც უნდა იცოდეს საქართველოს წარსული და უნდა აფასებდეს მას. მარუთა შუამდინარელმა ალბათ იცის, რომ ამ დაცინვით იგი მე კი არ დამცინის, არამედ მთელს ქართულს ლიტერატურას, აი საბუთებიც. (ბმ!)

საცინელი და საკიცხელია „ვეცხლი?".

ავიღოთ ჯერ სიგელები და გუჯრები, რომლებიც ატარებენ ძველი სამეფოს მიერ გამომუშავებულს ტერმინოლოგიას. საეკლესიო მუზეუმის სიგელი № 169: „ვეცხლის ბარძიმი", „ტაკუკი ვეცხლისაი" (ასოს უქონლობის გამო უკანასკნელი „ი" ჩასთვალეთ აქ და ქვემოთ ნახევარ მარცვლად); „ხატი ვეცხლისაი" და სხვა.

გუჯარი დავით კურაპალატისა მცხეთისადმი 1020 წ.: „შევამკევ ყოვლითა სამკაულითა ოქრო და ვეცხლითა და შევსჭედე წმ. საკურთხეველი ოქროითა და ვეცხლითა"; „წმიდაი ესე სამარტვილოი ოქროითა და ვეცხლისანი": „ზამთარი და ზაფხული საეკლესიო წიგნებია, ვეცხლითა შეკაზმულნი ლილკილთა ვეცხლითა ორნი"; „საწიგნენი ვეცხლით ცურვებულნი"; და მრავალი სხვა.

საეკლესიო მუზეუმის სიგელი № 507: „აქ ხატი კოლობნისა ვეცხლისა"; „ფეშხულისა"; „ხატი ვეცხლით მოჭედილი"; „ვეცხლის ხატი; „სასანთლე ვეცხლისა"; „ვეცხლის თეფში"; „ვეცხლის ჯვარი" „ვეცხლის ლილებით". „ვეცხლის ალთაფა".

სიგელი № 97: „ძველი ვეცხლისაი"; „ხატი „ვეცხლისა: „ვეცხლის" კოვზი", „ნალბაქი ვეცხლისა".

მალაქია კათალიკოსის (1531—1540) გუჯარი სვეტიცხოვლისადმი: „ხატი საცხოვრისა ვეცხლით მოჭედილი". ხატი ნათლისმცემლისა ვეცხლით მოჭედილი"; „ორნი ხატნი წმინდათა მთავარ ანგელოზისანი მიქელ და გაბრიელისანი ვეცხლით მოჭედილნი"; „ორნი ხატნი პეტრესი და პავლესი ვეცხლით მოჭედილი";

დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმისადმი მიცემული 1124 წ.: „ოცდა ათი ლიტ-

¹ ი. გრიშაშვილის მიერ შემდეგ არის ჩამატებული (ბ. ა.).

რაი ვეცხლი წმინდისა არსენისა ხელთ არს"; ვანის ქუაბთა მაცხოვრის ხატს ერთი საქე-ლაპტრე ვეცხლით შეჭედილი"; „ერთი ვეცხ-ლისა კანდელი" (იხ. თ. ჟორდანიას „ანდერძი დავით აღმაშენებლისა").

გავიდეთ სასულიერო მწერლობაზე. წიგნი— „სასწაულებრივი ხსნა კონსტანტინეპოლისა სპარსთა და სკვითთა შემოსვლისაგან". 1042 წ. პერგამენტზე ნაწერი: „წინა დაუსხეს მას ოქრო და ვეცხლი".

„ქრონოლოგიე გიორგი მონაზონისაი", „მო-ლო ვეცხლი": „მძლავრ მან ყოველნივე სამ-ღვდელოთა ჭურჭელნი ოქროისა და ვეცხლისა-ნი" აღიხვნა"; „გამომრავლე ვეცხლი".

სახარება მათესი 26, 15: ხოლო მათ მიუწო-ნეს ოცდა ათი ვეცხლი"; იგივე 27,3: „და მიაქცია ოცდა ათი იგი ვეცხლი", იგივე 27,5: „და დაასხნა ვეცხლი იგი ტაძარსა შინა".

ფსალმუნი დავითისა: ვეცხლ გამოხურვე-ბული" (ფსალ. 11): „ვეცხლით მოსილ" (ფსალ. 67): ვეცხლი მისი არა მისცა" (ფსალ. 14): „და გამოიყვანნა იგინი ოქროითა და ვეცხლითა" (ფსალ. 104).

„ქებათა ქება". „ქმნილებასა ოქროისათა გამსგავსენი შენ და წულილად დაცულსა ვეცხლისა".

ავილოთ ძველი ქართული ფული: თამარის 1187 წ. და ლაშა გიორგის 1210 წ. აწერია: „სახელით ღვთისათა იქნა ჭედაი ვეცხლისა ამის".

„ვეცხლსა" ხმარობს: შავთელი, სარგის თმო-გველი, თეიმურაზ პირველი და სხვ.

„ქართლის ცხოვრება", ტ. მეორე, გამოცემა ჩუბინაშვილისა: „და მიულოცეს და გარდააყარეს ოქრო და ვეცხლნი" (გვ. 80); „მაშინ მეფემან წარუვლინა (იხ) ჯორი კიდული ოქრო ვეცხლი-თა" (გვ. 85); „და გარდაახდევიან ვეცხლი დიდ ძალი" (გვ. 89).

ვახტანგ მეექვსე: „ვეცხლი ხურმანდილმა წაიღო" (გვ. 50, გ. ნახიძის გამოცემა), „რო-მელთა ძირსა ვეცხლი დამარხულ იყო", (გვ. 48); „ეს ვეცხლი" მოვიყოთ" (გვ. 47).

დავით გურამიშვილი: „ოცდაათ ვეცხლად გაყიდეს" (დ. გურამიშვილი, გვ. 17, 1881 წ. გამოცემა).

სულხან-საბა ორბელიანი: „საბა ორბელიანის მოგზაურობა" („ცისკარი", 1852): „ლიტრა ვეცხლი იყო", „ლუსკუმა სულ ვეცხლის და-ფერილი, და ზედა მისი სახე ვეცხლისა გა-მოყვანილი", ქალაქების სახე ვეცხლისა": უცხოდ ნაქმარი, ვეცხლი მინანქრად"; „ზოგი ოქროსა, და ზოგი ვეცხლისა: ისინი სულ ვეცხ-ლის ტრაპეზზე"; „სულ ვეცხლის თავეთი ნა-წილი";

აღარ არის საჭირო მაგალითების მოყვანა მეტი. მე მსურს მხოლოდ, რომ ამ მაგალითე-ბის შემძვრომ მკითხველმა (განსაკუთრებით ქართულმა მწერლობამ) უპირატესად [illegible] მარუთა შუამდინარელის [illegible] აბა რა ქართულია „ვეცხლი" [illegible] მე გაუკეთოს დასკვნა. [illegible] თუ დიდი კულტურის ქართულ ლიტერატურას.

ამის შემდეგ რომ სთქვა, ასეთი მწერალს ლიტერატურაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს,— პირადს ანგარიშებში ჩამოგართმევენ — რა გა-ეწყობა: საქართველოში ასეთი კურიოზი ჯერ კიდევ არის შესაძლებელი.

ასეთივე ფასი აქვს მის სხვა „საბუთებს".

გრიგოლ რობაქიძე

## „ქართულის გარშემო". წერილი მეორე.
### („ნაცვალსახელებზე")

თავისებურია ქართული ზმნა. მისი პირების ფორმებში? უკვე ნაჩვენებია პიროვანი ნაცვალ-სახელი. „გითხარით" ამ ფორმაში აღნიშნულია ისიც ვინც უთხრა და ისიც ვისაც უთხრეს. ამ მხრით ქართულს სიტყვას ეკონომია ემჩ-ნევა: არ უყვარს ზედმეტი ხმარება პიროვან ნაც-ვალსახელების მაგრამ თქმა ხანდახან კიდევ ვითარცა შესაძლო და საჭირო. ამ შემთხვევა-ში პიროვან ნაცვალსახელთა ხმარება აუცილე-ბელია. „მე თქვენ გითხარით": ამ ფრაზაში აქცენტუაციაა იმისა, თუ ვინ უთხრა და ვის უთხრეს. პიროვან ნაცვალსახელების ხმარება ამ მხრით ქართულ სიტყვას არა თუ არ ამძი-მებს, პირიქით, კიდეც ამახვილებს მას.

ამ პრინციპით არის გამართული ჩემი თარ-გმანი „სალომეისა", იქ ძვირად არის მოკვე-ცილი ფორმა ზმნის: უკანასკნელს იქ თითქმის ყველგან მისდევს პიროვანი ნაცვალსახელი (—ან წინუსწრობს). ზოგიერთებს ეს მანერა ქართული სიტყვის გამართვისა არ მოსწონთ. მაგრამ მათ ალბათ არ ესმით „სალომეს" შინა-განი კომპოზიცია, რომელიც სწორედ ასეთ გამართულობას ითხოვს. ამ ქმნილებაში ჩაქ-ყანა ტორტმანობს უჩვეულო განცდებით. აგ-ზორცია სალომე, რომლის ეროტიული გამძა-ფრება იოკანაანის თავის მოკვეთით სრულდება. აგზორცია თავის ახვეზაში თვითონ იოკანაანიც, რომლის უარყოფას სოფლისას თვითონ სა-ლომეს სილამაზეც ვერა სძლევს, აგზორცია მეროდე, აგზორცია მეროდია, აგზორცია სირიე-ლი. ამ აგზორციების საკირეში ყველაფერი ქანაობს: სიგიჟე დაღლილი თვალებით იხედე-ბა და სიკვდილი უცნაური ფრთებით შრიალებს. ასეთი ტორტმანის გადმოსაცემად უპირდება სხვა ხერხთა შორის პიროვან ნაცვალსახე-ლებსაც მიმართა. ეს ხერხი განსაკუთრებით იქ ცხადდება, სადაც პირადი მიმართვა „შენით" იწყება და „თქვენზე" გადადის, ან პირიქით, „თქვენით" იწყება და „შენზე" გადადის.

ასეთია „სალომეს" კომპოზიცია: იგი მოითხოვს პიროვან ნაცვალსახელების აქცენტუაციას, მეც ჩემს თარგმანში ხაზი გავუსვი სწორედ ამ ნაცვალსახელებს. ჩვეული სმენისათვის ეს შესაძლოა უჩვეულო იყოს, — მაგრამ, რომ ისმინო, ამისათვის საჭიროა არა მარტო წაკითხვა, არამედ წარმოთქმაც. ეს საფრანგეთში ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში იცოდნენ. საქართველოში კიდევ უფრო ადრე. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ქართველებს ეს ჭეშმარიტება მეოცე საუკუნეში დავიწყებიათ. „სალომეს რიტმულ ფრაზას ეპირვება განსაკუთრებული წარმოთქმა. ჩემს ლექციაში 1910 წელს უაილდის შესახებ ვსცადე წარმოთქმით უაილდის რიტმის გადმოცემა. წარმოვთქვი მთლად ის ადგილი, რომელიც შეიცავს სალომესა და იოქანაანის ლირიულ შეჯახებას და რომელიც 1918 წ. „ცნობის ფურცელში" დაიბეჭდა (—ლექციასთან ერთად). შთაბეჭდილების შესახებ დაეკითხონ დამსწრეთ.

მაგრამ შესაძლოა მაინც გაჯიუტდეს რომელიმე ჩემი მოკამათე და დაიჟინოს, რომ ქართულ კაზმულ სიტყვას არ უყვარს მიჯრილობა ნაცვალსახელების. აქ საჭირო ხდება მტკიცება იმისა, რომ ორი და ორი ოთხია, — მაგრამ რას იზამთ როცა მთელი ქართული ესთეტიკა ჯერ კიდევ ასეთს მტკიცებას მოითხოვს. მეც მოვალე ვარ ელემენტარული საბუთი მოვიყვანო.

ქართულ მწერლობაში ფსალმუნი დავითისა შედევრად ითვლება. აღმოსავლეთის რელიგიური ლირიზმი ქართულ თარგმანში უმძაფრესი სურნელებით არის გადმოცემული. და მერე?! მთელი ფსალმუნი დავითისა პიროვან ნაცვალსახელების აქცენტუაციით არის ასულდგმულებული. მაგალითები რამდენიც გნებავთ:

„მე დავწევ და დავიძინე, და განვიღვიძე, რამეთუ უფალ მწე მეყოს მე".

„არა შემეშინოს მე ბევრეულთაგან ერისა, რომელთა იგი გარემომიცვის მე".

„რამეთუ შენ, უფალმან, მხოლო სასოებით დამამკვიდრე მე".

„უფალო, მიძეღუ მე სიმართლისა შენითა, და მტერთ ჩემთათვის წარმართე შენ წინაშე გზაი ჩემი".

„დავშვერი მე სულთქმითა ჩემითა: დავბანო მარადღე ღამე ცხედარი ჩემი, ცრემლით ჩემითა სარეცელი ჩემი დავალტო".

„უფალო ღმერთო ჩემო, შენ გესავ, მაცხოვნე მე ყოველთა მდევართა ჩემთაგან და მიხსენ მე".

„უფალო ნაწილ არს მკვიდრებისა ჩემისა და სასუმელისა ჩემისა შენ ხარ რომელმან მომაგე მე მკვიდრობა ჩემი ჩემდა".

„შენ აგდეს მე და აწ [illegible] მომიცვეს მე".

„და მომეც მე შემწეობა [illegible]ებისა, და მარჯვენამან შენმან შემიწყნარა მე, და სწავლამან შენმან აღმმართა [illegible] სრულიად, და მოძღვრებამან შენმან [illegible] მე".

„უფალმან მმწყსის მე, და არა მაკლდეს მე".

„ადგილსა მწვანილსა მუნ დამამკვიდრა მე, წყალთა ზედა განსასვენებელთასა გამომზარდა მე".

„ადგილსა მწვანილსა მუნ დამამკვიდრა მე, წყალთა ზედა განსასვენებელთა გამომზარდა მე".

„იცევ სული ჩემი, და მიხსენ მე, და ნუ მრცხვენებიან მე, რამეთუ დავეთმე შენ, უფალო".

„გამომცადე მე, უფალო, და განმცადე მე, გამოიხურვენ თირკმელნი ჩემნი, და გული ჩემი".

„არამედ შენ, უფალო, მიწყალე მე, და აღმადგინე მე და მე მივაგო მათ".

კმარა, მაგალითების მოყვანა რომ განვაგრძო, მაშინ მთელი ფსალმუნის ამოწერა დამჭირდება. მოყვანილი მაგალითებიდანაც ნათლად სჩანს, რომ წინასწარმეტყველი დავითის ლირიკა ქართულ თარგმანშიაც ნაცვალსახელების აქცენტუაციით არის ამახვილებული.

შესაძლოა სთქვან: ეს ენა ძველი მწერლობის ენაა და თანაც ბიბლიური, მაგრამ ვინც ამას იტყვის არ უნდა დაივიწყოს ორი რამ. ჯერ ერთი: ძველსა და ახალს შორის ქართულ ლიტერატურაში არ არის გაყვანილი აკადემიური ხაზი; (—ამის შესახებ დეტალურად მესამე წერილში), — და მერე: „სალომეს" წიაღი ბიბლია არის და მასში ბიბლიური სურნელი უნდა იყოს.

გრიგოლ რობაქიძე

(იხ. „საქართველო" 1920 წ. № 123, 16 ღვინობისთვე)

## „ქართულის გარშემო". წერილი მესამე.

„სალომეში" ბევრია ბიბლიური სურნელების ადგილი, რომელსაც ქართული ძველი ფორმა უფრო გადმოსცემს. შიგადაშიგ მე ამ ფორმას მივმართე. კითხვა იბადება: მართებულია თუ არა ეს? პასუხი უბრალოა: ქართულში ხშირად იხმარება როგორც ძველი ფორმა ისე ახალი: ხანდახან ერთსა და იმავე დროსაც („სახლები" და „სახლნი", „მზადდება" და „მზადდების" და მრავალი სხვა). აკადემიურად ჯერ არ არის დადგენილი, თუ რომელია სავალდებულო და რომელია უარსაყოფელი. ქართულში სხვადასხვა თქმაც ხშირად იხმარება: ასეთიც და

ხეთიც. აკადემიურადაც არც აქ არის და-ანონებული, თუ რომელია მართებული და რომელია არა მისაღები. განათლების სამინისტრო ყრილობასაც კი იწვევდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ განემტკიცებინა ყველასათვის სავალდებულო ნორმები. ასეთს პირობებში რასაკვირველია ადვილი არის „ამუხირდეთ" რომელიმე მწერალს და უმტკიცოთ, რომ მის მიერ ხმარებული ფორმა უკანონოა და მიუღებელია. მე მგონია, ასეთ „ამირებას" ვერ გადურჩება ვერც ერთი ქართველი მწერალი. მარტოდ მარტო ზმნისა და სახელარსებითის რიცხვითი შესაბამება რამდენს მაგალითს მოგვცემს. გაიხსენეთ რამდენი წერილი დაიბეჭდა იმის შესახებ, „ვალიარებ" უნდა თუ „აღვიარებ". ასეთია საკითხის ვითარება, და აქ კატეგორიულობას არ აქვს ადგილი" *

აქ წერილის დავსვამდი, მაგრამ საკითხი მეტად საინტერესოა და ღირს მის შესახებ სიტყვის გაგრძელება. თარგმანში მე ვიხმარე ძველი ფორმა: განვაგდე ქალაქისაგან და სხვა. ქართულში მეტად რთული საკითხია, თუ სად იხმარება ფორმა „ქალაქისაგან" და სად იხმარება ფორმა „ქალაქითგან" (—უკანასკნელი გადავიდა შემდეგ ფორმაში „ქალაქიდგან"; ეს კიდევ გადავიდა ფორმაში: „ქალაქიდან", მაგრამ ეს ორი უკანასკნელი ფორმა გამოთქმის სფეროში და ქვემოთ მხოლოდ ორი პირველი მთავარი ფორმის შესახებ ვილაპარაკებ). „ქალაქისაგან" არის ნათესაობითი თანდებულით; „ქალაქისაგან". რას წარმოადგენს „ქალაქითგან?" ბევრს ეგონა, რომ ეს არის მოქმედებითი თანდებულით „ქალაქითგან". მაგრამ მოქმედებითის ფსიქოლოგია სხვა არის: „ქალაქით" შეიძლება გაკეთება, „ხერხით" შეიძლება ხერხვა, „დანით" გაჭრა და სხვ. პროფესორ ა. შანიძეს მოუნახავს ნამდვილი ფორმა ამ თქმისა (—სამწუხაროდ დეტალურად არა ვარ გაცნობილი მის შეხედულებას). „ქალაქითგან" მისი შეხედულებით წარმოადგება ეგრეთწოდებული „დაწყებითისაგან". ეს ფორმა დაიკარგა, მაგრამ მისი ნაშთები ხშირად გვხვდებიან ქართულში: „უკუნითი—უკუნისამდე", „თესლითი—თესლამდე", დღითით—დღე" და მრავალი სხვა. ამას ადასტურებს „ამიერითგან", სადაც თვითონ სიტყვაშია დასაწყისი მაშასადამე „ქალაქითგან" იხმარებოდა მაშინ, როცა უნდოდათ დასაწყისი აღენიშნათ: „ქალაქითგან—ქალაქამდე" (როგორც „სოფლითგან—სოფლამდე" და სხვ.)—დასაწყისი არის საზღვარიც, ამ[illegible] ფორმაში „საზღვრულობაც" შედის: მშვენიერი მაგალითია ძველი ქართული „სომხითი".

ეს შეხედულება ნათელს ჰფენს სადავო საკითხს. ძველს მწერლობაში გარკვეულია, თუ სად იხმარება ნათესაობითი თანდებულით („ქალაქისაგან") და სად იხმარება დაწყებითი თანდებულით ან უმეტეს შემთხვევაში უთანდებულოდ („ქალაქითგან", „ქალაქით"). იქ, სადაც უნდა აღინიშნოს „საზღვრული დასაწყისი", იქ არის ნახმარი „დაწყებითის" ფორმა. დანარჩენ შემთხვევაში კი — ფორმა „ნათესაობითის".

ზედმეტი არ იქნება მაგალითების მოყვანა.

იოვანე საბანის ძე: „განაგდო ხელთა-გან", „განვარდი სამწყოსისაგან" (ნახევარ მარცვალის უქონლობის გამო „ი"-ს ვხმარობთ).

ივანე მინჩხი: „აღემართა დაცემისაგან" „გამოხვედ მამისაგან", „რომელი აღმოცენდა ნაყოფად ზერწისაგან".

იოანე ქონქოზის-ძე: „ქალდეველთა ქვეყნისაგან გამოსვლითა"

იოანე მტბევარი: „ვარსკულავი აღმობრწყინდა იაკობის-გან", „ძირისა-გან იესესა აღმოსცენდა ყუავილი ქრისტე ქალწულისა-გან ბეთლემს"; „გამოჩნდა რა ხორცითა ქალწულისა-გან", „დაუღამებელი მზე ქალწულისა საშოისა-გან გამობრწყინვებად მოვალს", „შემოსნა ხორცნი თესლისაგან იუდაისისა", „რომელიცა საშოისა-გან ქალწულისა გამოხვედ", „ცხოვრებისა-გან მაცხოვრად მოხვედ"; „ქალწულისა-გან უთესლოდ გამოგვიბრწყინდა"; „ტაძრისა-გან სამეუფოისა... დღეს გამოვიდა ღმერთი განკაცებული"; „რომელი პირისაგან მამისა გამოვიდა"; „ესერა გამოვიდა სიტყვათ დაუსაბამოი ხორცთ შესხმული ბჭისა მისგან დახშულისა"; „აღგამოეკვეთა მთისა გან"; „გამოჩინებათ მისი ხორციელითა საშოისა განქალწულისა"; „სამეუფოისაგან ვენახისა მოვისთულეთ ტევანი", „მოვალს განხორციელებულად ქალწულისა-გან"; „ღმერთისა-გან გამოსული". „წარდა მოიხსნეს ძელისა-გან"; „მოვისთულეთ ძელისა-გან ნაყოფი".

კმარა. აქ ბევრი ისეთი თქმა არის, რომელიც აწინდელ ქართულ სმენას ეხამუშება: „ქვეყნისაგან გამოსვლა"; „საშოსაგან მოვალს"; „ცხოვრებისაგან მოხვედ"; „ტაძრისა-გან გამოვიდა"; „გარდმოხსნეს ძელისაგან" და სხვა. მაგრამ ეს ძველად მიღებული იყო, რადგან გარკვეული იყო „დაწყებითი" ფორმაც.

* მე თუ ვხმარობ მაგალითად „ვეცხლს", ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ყველამ უთუოდ „ვეცხლი" იხმაროს, თუ პირველ წერილში ამდენი მაგალითები მოვიყვანე ძველი ლიტერატურიდან, ეს მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, რომ მარტო წუამდინარულს არ აქვს უფლება „ვეცხლს" დასცინის. ის კი პირდაპირ დასცინის მას: აბა რა ქართულია „ვეცხლიო".

იგივე მწერლობა, თუ მსურს „საზღვრული დასაწყისი" აღნიშნოს, „დაწყებითს" ფორმას მიმართავს. მინჩხი: „გაბვედ ხაფლავით"; „სიყრმით განვე". მტბევარი: „დაწყებითს" ფორმასაც ხშირად მიმართავს: „წინასწარმეტყველთა რა ადამისით გან მეშვიდემან ენუქ ქრისტესთვის" (აქ რიცხვითი დასაწყისია); „იხსნა ევვაკუმით"; „ალილე უღელი ნეტარო სიყრმით გან". „გამოჩნდა გალილეით ქრისტე". „მოჰკალ დასაბამით-გან მკვლელი ჩვენი"? „შეიწყნარე სიყრმით გან"; „ანკვირიით (ქალაქს) აღმოსცენდი"; „მეტვირთა შენ საფასეი იგი ღმერთეებისა ხიმდიდრეთაი სიყრმით განვე"; „რომელი პირველით განვე იყო ღმერთი"; „აღიღეთ თქვენ მოსწრაფედ უღელი ტკბილი სიკაბუკით განვე"; „საუკუნით გან დაძინებულთა"; „ამიერითან გან ან განიხილდი".

მაგალითების მოყვანას აღარ გავაგრძელებ ისედაც ცხადია:

მე სრული უფლება მქონდა „სალომეს" თარგმანში მეხმარა (მხოლოდ შიგადაშიგ) ქართულის ძველი ფორმა „რომელნიც", უკეთესად გადმოსცემს ბიბლიის სტილს. [illegible] ამისა: როცა შეუდგებიან აკადემიურად განსაზღვრას, თუ სად იხმარება „საგან" და სად „ითგან" კრიტერიუმად „დაწყებითი" ფორმის აღმოჩენაც უნდა მიიღონ, რომელიც ჩვენს ძველს ლიტერატურას გათვალისწინებული ჰქონდა.

გრიგოლ რობაქიძე

„საქართველო", 1920 წ. № 126, 22 ლვინობისთვე.

# მიშელ სეფორი

ინგლისურიდან

თარგმნა მარინა თორდიამ

„ეს უნდა ყოფილიყო ფერწერა, სრულიად განთავისუფლებული საგანზე დამოკიდებულებისაგან — ფერწერა, რომელიც ისევე, როგორც მუსიკა, არ გვისურათხატებს რაიმეს, არ მოგვითხრობს ისტორიას ან მითს. ფერწერა, რომელიც წვდება ენით უთქმელ ხლართებს სულისას, სადაც ოცნება ფიქრად იქცევა, სადაც ნიშანი არსებად გარდაიქმნება..."

მეოცე საუკუნის მსოფლიო, თავისი მძლავრი ტექნიკურ-მეცნიერული მიღწევებით და სოციალ-ეკონომიკური ძვრებით, ჩვენი საუკუნე — მოწმე სამყაროს განზომილებათა ცვლილებებისა, მოვალე იყო მიეცა თავისი თაობისათვის ამ ცვლილებათა ამსახველი ხელოვნება. დღესაც კი ჩვეულებრივი, ქუჩაში გამვლელი ადამიანი, (რომელსაც ძალუძს მზერა მიაპყროს არტისტულ ქმნილებას) აბსტრაქტულ ხელოვნებას კვლავ აღიქვამს როგორც ვიზუალურ და გონებისმიერ განცდას, რომელიც ერთდროულად რევოლუციურიცაა და განსაცვიფრებელიც. ხელოვნების ეს ფორმა ზოგჯერ გამაღიზიანებელია და ზოგჯერ უშინაარსო, ან უბრალოდ, უვნებელი და უწყინარი. ჩვენ, რასაკვირველია ვიცით, რაოდენ დამაბნეველია ეს შთაბეჭდილებანი, თუმცა მახვილი თვალის მქონე გამოცდილ დამკვირვებელს სავსებით სხვაგვარი პერსპექტივა აქვს. მისთვის იშვიათია მოულოდნელობები, ყოველივე შეკავშირებული და წინასწარგამიზ-

ნულია, თითოეული საუკუნის, თითოეული თაობის და თუნდაც თითოეული ჭეშმარიტი ხელოვანისათვის, დამახასიათებელი შემოქმედებითი ევოლუცია უპირისპირდება ყველაზე ნათელ წინასწარგანჭვრეტებსაც კი. რამეთუ, შესაძლოა კარგად ვიცოდეთ ძირითადი მიმართულება მოძრაობისა, ნებისმიერი მოძრაობა ხასიათდება პატარ-პატარა შემთხვევათა ერთობლიობით, რომელიც წინასწარგანუჭვრეტელია და შეუძლია გამოიწვიოს ამ მოძრაობის გადახრა, შეფერხება და კურსის შეცვლაც კი. სწორედ ამ განუსაზღვრელობის გამო არსებობს გარკვეული მომენტი მოულოდნელობისა, განურჩევლად იმისა, რამდენად ყურადღებიანი შეიძლება იყოს მხილველი.

ბალზაკი და ბოდლერი აბსტრაქტულ ხელოვნებას წინასწარმეტყველებდნენ თავიანთ ნაწარმოებებში. იმპრესიონისტები, პოსტიმპრესიონისტები და ფოვისტები ხოტბას ასხამდნენ მას, თუმცა თავადაც არ ესმოდათ ბოლომდე, რადგან პრაქტიკულად არ ჰქონდათ განხორციელებული თავიანთი ქადაგება. საბოლოოდ, კუბისტებმა შეაღწიეს თამამად ამ სფეროში, მაგრამ მათი ნამუშევრების ბრწყინვალების მიუხედავად, მაშინვე უკან დაიხიეს. არა, ეს სფერო, დღეისათვის ესოდენ უზარმაზარი, არ ეკუთვნოდა კუბისტებს, რადგან ისინი სიცარიელეს შეიგრძნობდნენ მასში. საგნობრივი ხელოვნებიდან განდგომა მათი ახალგაზრდობის მომაკვდინებელ საფრთხედ ჩანდა. ისე დიდი იყო მათი ტკბობა ტრადიციულ ფასეულობათა აღმოჩენით. ამდენად, მხოლოდ ახაკიანმა მხატვრებმა შეაღწიეს და დაიმკვიდრეს ადგილი ამ სფეროში: მონდრიანი ორმოცი წლისა იყო 1912 წ., კუპკა — ორმოცდაერთის, ხოლო კანდინსკი — ორმოცდაექვსის.

დასაწყისიდანვე, 1912 წლიდან, გამოხატვის ფორმათა სიმრავლე ერთ-ერთი უმთავრესი თვისება იყო აბსტრაქტული მხატვრობისა, რომელსაც თვალს ვადევნებთ მანძილს დღევანდელი აბსტრაქტული ხელოვნების ფართე საზღვრებიდან 1912 წ. ხელოვნების ნიმუშებამდე, გვაოცებს ის, რომ კუპკას, კანდინსკისა და დელონეს კომბინირებულ ნამუშევრებში თავიდანვე უკვე სახეზეა მისი ყველა ძირითადი ელემენტი. მართკუთხა და ჰორიზონტალურ-ვერტიკალურ სტილში შესრულებული კუპკას 1912 წ. ზოგიერთი ტილო, ლირიკული ექსპანსიურობით გამოირჩევა კანდინსკის ამ პერიოდის ნამუშევრები, ხოლო ზოგს ამ ადრეული ტილოებიდან ტაშისტურსა და ნონფიგურატიულს ვუწოდებდით, 1960 წ. რომ ყოფილიყვნენ შექმნილნი. გარკვეული შინაგანი ვიბრაციით გამოირჩევა დელონეს სტილი, რომელსაც ერთგვარი გონებისმიერების, სიბრძნისა და წესრიგის ბეჭედი აზის. მის ფერწერაში სინათლე გვევლინება როგორც ბალანსირებული მუსიკალური ნაწარმოების მსგავსად, რომელსაც მხატვარი გარკვეული ოდენობის სითბოს უთანხმებს [illegible] მასში არც დომინირებს და [illegible] განიცდის. შეიძლებოდა გვეთქვა, რომ პირველი პერიოდის ესოდენ დასრულებულ ნამუშევრებამდე ამ მხატვართა სახით ხელოვნებამ მიაღწია უფრო დანიშნულებას, ვიდრე ამოსავალ წერტილს. ამ საუკუნის ხელოვნებას უნდა მოეძებნა თავისი თავი, შეექმნა თავისი სტილი და განვითარების უნივერსალური ფორმა, უნდა დაეძლია ტრადიციონალისტთა მკაცრი წინააღმდეგობა და აშკარა ბრძოლით დაემკვიდრებინა მრწამსი, ისტორიის ხნულში უნდა ჩაეგდო ახალი მარცვალი.

ის, რასაც ეს მარცვალი შეიცავდა 1912 წლისათვის, აპირებდა გავრცელებას მთელს მსოფლიოში, თავისი რევოლუციური ხასიათის გამოვლენას (რაც გამოიხატებოდა გასული საუკუნის ნატურალიზმისაგან განთავისუფლებაში) და თავისი მრავალმხრივი ბუნების ფუნდამენტურ გაცხადებას. ეს მრავალმხრივობა — სირთულე თვით საუკუნის სულს ახასიათებდა. თანამედროვე ადამიანი მონტენის საუკუნის ადამიანზე მეტად „ცვალებადი და განსხვავებულია". და თუ იგი ჭეშმარიტად თავისუფალი და შეუზღუდავია, მაშინ ურთიერთდამოკიდებულებათა ერთსახოვნებაზე უსიამოვნო მისთვის არაფერია. მრავალსახოვნება ყველაზე მეტად გამოხატავს სულის სიმდიდრეს, „ის" მგზნებარეა, ამავე დროს თავისუფალი და მოქნილი და არაფერი აქვს საერთო მაძღარი კოლექციონერის, ან დილეტანტი ესთეტის ეკლექტიზმთან: იგი არის სიმბოლო გრძნობათა უსაზღვრო სიუხვისა.

ამ მრავალსახოვნებას საფუძვლად უდევს გარკვეული გაგება რეალობისა, სპეციფიური ცნება არსებობისა და ფასეულობისა. მატისმა ერთხელ თქვა: „ჩვენ დაბადებულნი ვართ ცივილიზაციის პერიოდის მგრძნობიარობით. ჩვენ არა ვართ იმის მფლობელნი, რასაც ვქმნით, არამედ ისინი გვფლობენ ჩვენ".

სიძნელეს ვაწყდებით მაშინ, როდესაც ვცდილობთ განვსაზღვროთ ჩვენი ეპოქისათვის დამახასიათებელი შეგრძნებები, რომლებიც იმავდროულად, ჩვენივე განმსაზღვრელიცაა. ძნელია, რადგან უმალვე აღმოვაჩენთ, რომ იმდენი განსხვავებული შეგრძნებაა, რამდენი დიდი ხელოვანიცაა აქვეყნად. რომლებსაც ერთმანეთს ვადარებ მონდრიანის, არპის, დელონეს, კანდინსკის, მიროს, შვიტერსის, ერნსტის, მერბინის, პიკასოსა და მატი-

სის სტილს, მათ ერთადერთ საერთო თვისებად მესახება ის, რომ არც ერთი მათგანი არ მოერგებოდა მეცხრამეტე საუკუნეს. სურათის ჩარჩო, ან ფონი, რომელზეც იგი მკიდია, იგივე რჩება, ოღონდ ჩარჩოს შიგნით ალბათ დღეს უფრო დომინირებს ინდივიდუალიზმი, ვიდრე ოდესმე.

ჯერ კიდევ 1909 წ. კუბისტმა მხატვრებმა დაანგრიეს საგანი და მოახდინეს მისი რეკონსტრუირება სხვადასხვაგვარი გზით, სახვით საშუალებათა და თავისუფალი იმპროვიზირების წინ წამოწევით ობიექტური რეალობისადმი ანგარიშგაუწევლობის ხარჯზე. ამგვარი ქმედებით, მათ სცნეს საგნის გამოუსადეგრობა და ფაქტიურად დაიმკვიდრეს თავი, როგორც აბსტრაქტული მხატვრობის პირველმა შემოქმედებმა. ამასთან, ისინი სავსებით არ განუდგნენ საგანს, თუმცა უარყვეს მისი დომინირება და ამ ერთგვარ თამაშში საგანსა და ფერწერას შორის მათთან საგანი თავად იქცა ფერწერულ ტექნიკად.

იმპრესიონისტებისათვის, როგორც ვიცით, ტექნიკა არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ პეიზაჟი უნდა დარჩენილიყო პეიზაჟად. იდეალურ ფერწერად რჩებოდა ის ფერწერა, რომელიც მხილველს წარმატებით მიაწვდიდა მხატვრის პირდაპირ, ზუსტ შთაბეჭდილებას. „როგორ" არასოდეს რჩებოდა პრიორიტეტად „რა"-სთან.

საწინააღმდეგო ითქმის კუბიზმზე. ბრაკისა და პიკასოს შიშველი ფიგურები და ნატურმორტები (ბოლო პერიოდისა) არ არიან ძნელი გამოსაცნობნი. ეს ნამუშევრები მოითხოვენ მხილველისაგან ფერწერის მხოლოდ ელემენტების მიჩნევას ფერწერად და მათით სრულიად ტკბობას, როგორც შედეგი, „რა" არასოდესაა შთანთქმული „რატომ"-ით.

ყველა კუბისტთან ცნაურდება სურვილი, საგნის დანგრევაზე მეტად, ჩვეულებრივი სწორხაზოვანი ნატურის კონსტრუირებისა უბრალო სახვითი ელემენტებით. ამიტომ კონსტრუქტივიზმი სავსებით ნათლად მჟღავნდება მათ ტილოებზე. მათ ჰქონდათ მოთხოვნილება გაედიდებინათ დეტალი და ამ გზით გამოეხატათ ხაზთა დაჭიმულობა და მათი ურთიერთკავშირი. მოგვიანებით ჩვენ ვნახავთ, როგორ გამოვლინდა ამ ურთიერთკავშირის კონცეფციის მნიშვნელობა მონდრიანთან, რომელმაც იგი თავისი აზროვნების არსებით ფუნდამენტად აქცია.

მოკლედ უნდა ითქვას, რომ 1908—1914 წწ. მთელს ევროპას მოედო ერთდროული აღმოჩენების ტალღა, როგორც აზროვნების, ასევე პლასტიკური ხელოვნებისა და პოეზიის სფეროში. ამ ატმოსფეროს გაიომ აპოლინერი მოგვიანებით უწოდებდა „ახალ აზრს".

რაღაცა ახლის დასაწყისი იყო, როდესაც კანდინსკი, ერთხელ, მზის ჩასვლისას, თავის სახელოსნოში რომ დაბრუნდა, ნახა თითქოს „ენით უთქმელი მშვენების" თავისივე ტილო, რომელიც მან მაშინვე [illegible], რამდენადაც იგი გვერდულად იდო. [illegible] დასაწყისი იყო, როდესაც კუპკამ სეირნობისას ბოდიში მოუხადა ბუნებას კოპირებისათვის და აღუთქვა, აღარ გაემეორებინა, ეს. რაღაცის დასაწყისი იყო, როდესაც მარინეტიმ გამოაქვეყნა „ფუტურიზმის მანიფესტი" „ფიგარო"-ში 1909 წ. რაღაცის დასაწყისი იყო, როდესაც მონდრიანი თავის ალბომში წერდა: „საგნების ზედაპირი გვანიჭებს სიამოვნებას, ხოლო მათი შინაგანობა — სიცოცხლეს". რაღაცის დასაწყისი იყო, როდესაც რობერ დელონემ დახატა თავისი პირველი „ღია ფანჯარა დედაქალაქში", რომელშიც სინათლე მთელი სპექტრით გაიხსნა. რაღაცის დასაწყისი იყო, როდესაც 1913 წ. მარსელ დიუშამი და ფრანსის პიკაბია გაემგზავრნენ ნიუ-იორკს, რათა ექადაგათ მოძღვრება ახალი ხელოვნებისა. რაღაცის დასაწყისი იყო, როდესაც ბრანკუსიმ, მობეზრებულმა „გვამების კეთებით", ჩაიფიქრა შექმნა „მძინარე მუზა".

ეს იყო ის დრო, (1911 წ.) როდესაც კანდინსკიმ მიუნხენში წარმოთქვა ცნობილი სიტყვები „alles ist erlaubt" („ყველაფერი დასაშვებია") ჩვენ დღეს კვლავ ვსაზრდოობთ ამ მემკვიდრეობით, რომელიც მართლაც ამოუწურავია.

1912 წ. შემოდგომის წერტილია ამ საუკუნის ხელოვნებაში. კუბიზმი ამ დროს აღწევს აპოგეას. მონდრიანი მისით საზრდოობდა პარიზში, სადაც იგი 1911 წ. მიწურულს გაემგზავრა, მაგრამ მალე გასცდა კუბიზმის საზღვრებს და პირველ ნამუშევრებში, თუმცა კვლავ კუბისტურში, მივიდა მარტო კუთხის ნეოპლასტიკურ კანონებამდე. თებერვალში სევერინიმ და ფუტურისტებმა მოაწყვეს გამოფენა ბერნჰეიმში, აპრილში Salon des Indépendants-ში მხატვრობის ახალ დიდოსტატებთან ერთად შეკრებილთ გვხიბლავთ დელონეს „ერთდროული ფანჯრები" და მარსელ დიუშამის „შიშველი ფიგურა კიბეზე ეშვება", გრისი, რომელიც ის-ის იყო აღწევდა აღიარებას, ამ სალონში პირველად გამოიფინა. მარტში გლეიზმა და მეცინჯერმა გამოაქვეყნეს „Du Cubisme". ოქტომბერში „Galerie de la Boëtie"-ში გამოიფინა „ოქროს სექციის" წარმომადგენელთა ორასზე მეტი ნამუშევარი, რომელთა შორის იყო „მოცეკვავენი შადრევანთან" და კუპკას წმინდა აბსტრაქტული სუ-

რათების სერია: თითქმის ყველა კუბისტ მხატვართან ერთად, მათ შორის რასაკვირველია, სამი ძმა დიუშამპისა, რომელთა ინიციატივით მოეწყო ეს გრანდიოზული ღონისძიება. Salon d' Automne-ში გამოიფინა კუფკას „ფუგა ორ ფერში" და აგრეთვე დიუშამპ-ვილონის ესკიზი „კუბისტური სახლი"-სა.

მიუნხენში კანდინსკიმ გამოაქვეყნა თეორიული ნაშრომი Über das Geistige in der Kunst („სულიერის შესახებ ხელოვნებაში"), რომელმაც ნათელი მოჰფინა ბლუ რეიტერის ჯგუფის ალმანახსა და ჩამოფენებს. დასასრულ, ბერლინმა იხილა პირველი გამოფენები Der Sturm Gallery-სა, რომელიც სახელდებულ იყო ექსპრესიონიზმის (შემდგომ კი აბსტრაქტული ხელოვნების) მომხრე ცნობილი ჟურნალის სახელწოდების მიხედვით. გალერეის ექსპონანტთა შორის პირველი თვეების მანძილზე ბერლინელთათვის კარგად ნაცნობ სახელებთან ერთად (კოკოშკა, ჯოვლენსკი, კანდინსკი, მარკი, კამპენდონკი) გამოჩნდა ახალი სახელები: ბრაკი, პიკასო, ჰერბინი, დელონე, არკი, რეთი, სევერინი და არხიპენკო. ამ დროისათვის ომის საშიშროება არ არსებობდა და ამიტომ, მეტად ხელსაყრელი დრო იყო ხელოვნებისათვის. ორი წლის შემდეგ, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, რომელმაც მოულოდნელად დაშალა ეს საზოგადოებები და გაცვლითი გამოფენები, Sturm Gallery-მ გამოფინა გლიზის, მეცინგერის, ვილონის, დიუშამპ-ვილონისა და მარკ შაგალის სურათები.

დელონემ და ლეჟემ ნათელი ფერი შეიტანეს კუბისტურ ნაცრისფერში, პირველმა — თავისი რითმით, მეორემ — კონტრასტული ფორმებით. ამას წინ უსწრებდა ის, რომ დელონემ დიდი გრძნობითა და ვნებით დაწერა ეიფელის კოშკი. კოშკი, ესოდენ ნაძაგები აკადემიური პოეტების მიერ, მოულოდნელად ხოტბაშესხმული იქნა პოეტთა ახალი თაობისაგან გიიომ აპოლინერის მეთაურობით. ეიფელის კოშკი ითხოვდა თავის მხატვარს. იგი ხომ სიმბოლოა პარიზის ძლიერებისა და მშვენიერებისა და ჩვენ ვალდებულნი ვართ დავლოცოთ დელონე, რომელმაც განადიდა იგი ჯერ კიდევ 1910 წ., რითაც დაამტკიცა, რომ მხატვრობა არის და უნდა იყოს თავისუფალი.

კოშკი კვლავ და კვლავ ჩნდება დელონეს ფერწერაში, მთლიანად და ფრაგმენტების სახითაც. ზოგჯერ მისი არსებობა მხოლოდ სუსტადაა მინიშნებული, როგორც უბრალო ბადურა ხაზებისა, აბსტრაქტული კომპოზიციის შუაში მოქცეული. მასთან ვხვდებით წრიულ რითმებს, ერთდროული კონტრასტის ეფექტით, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია დელონეს ნამუშევრებში, ექვგარეშეა. ხელოვნების ისტორიაში ფერი პირველადაა გამოვლენილი თავისი თავისათვის: იგი მღერის, რათა იმღეროს, თრთის, რათა ითრთოლოს, უმეტესი ნატურალისტური კონტექსტის გარეშე. ფერწერის ზოგჯერ უწესრიგო [illegible] დელონე ცდილობს ახსნას თავისი ვალი სიორასადმი და ის, თუ რამდენად გამოირჩევა დივიზიონისტებისაგან, რომლებიც ფერით კონტრასტებს იყენებენ ნატურის ხედვის გაძლიერებისათვის. შეხების კანონი მისი ხელოვნების საფუძველი და მიზანია. ამ თვალსაზრისით დელონე ადიდებს უპრეცედენტო განზომილებამდე იმ მოტივებს, რომლებსაც დივიზიონისტებთან მეორეხარისხოვანი ადგილი უკავიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინათლის ფერწერა კავად მივიდა თავის დასასრულამდე და ჩვენ გვესმის თუ რატომ იყო დელონე ასე მოხიბლული მზის დისკოთი. მისი სურათები სავსეა მინიშნებებით ზეციურ მოვლენებზე. არ არსებობს ფერწერა, პოეზიასთან ესოდენ ახლოს მდგომი და თან ესოდენ „წმინდა ფერწერული", როგორც დელონეს ფერწერაა. არც კოსმიური თვალთახედვით აღემატება მას სხვა. აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ აპოლინერმა „ორფიკული" უწოდა მის მხატვრობას. შესაძლოა, სწორედ დელონეს ხელოვნებამ შთააგონა მას განცხადებინა: „მე მიყვარს დღევანდელი ხელოვნება, რადგან მე მიყვარს სინათლე ყველაფერზე მეტად, რადგანაც ადამიანს, რომელმაც ცეცხლი გამოიგონა, სინათლე უყვარს ყველაზე მეტად".

სწორედ აპოლინერი იყო, რომელმაც თქვა, რომ დელონეს წრიული რითმები „უსაგნო (non-objective) ხელოვნების პირველი მანიფესტაცია იყო საფრანგეთში, ხელოვნებისა, რომელიც წარმოიშვება არა გარეგანი, არამედ შინაგანი საგნისაგან".

ფერნარდ ლეჟეს კონტრასტულ ფორმებს შეაქვს სინათლისა და იმპროვიზაციის ელემენტი კუბიზმში, რომელიც მანამდე არ იყო ცნობილი. მისი სურათი მთლიანობაში ესკიზის შთაბეჭდილებას სტოვებს, ზედაპირი მხოლოდ ნაწილობრივ არის დაწერილი. ამის მიუხედავად, ვერვინ უარყოფს, რომ ტილო სრულიად შევსებული და საოცრად ცოცხალია. ლეჟეს ტექნიკა წმინდა ფერწერის მოქნილი ფორმებით გამოირჩევა და მდიდარია წინასწარგანჭვრეტით. მისი განცხადების თანახმად, ფერწერის მისეული კონცეფცია „არ არის წუთიერი აბსტრაქცია, გარკვეული ინიციაციის გამომწვევი", არამედ „ტოტალური გამოხატვა ახალი თაობის მოთხოვნილებებისა და მისწრაფებისა".

როგორც ვიცით, ლეჟემ მალე მიატოვა ეს მიმართულება უფრო მძიმე ფერწერისათვის,

რომელშიც მან დაახლ. 1921 წ. შეიტანა ადამიანის ფიგურა. — ფიგურა ესკიზური მონახაზით და უჩვეულოდ რბილი კონტურებით. ამასთან, მას კვლავ და კვლავ იზიდავდა აბსტრაქტული ფერწერის პრობლემები, რომელთაც იგი უბრუნდება 1924 წ. შესრულებულ კედლის მხატვრობის სერიაში, რომელიც ვიზუალურად მონდრიანის გავლენით ხასიათდება. იმხანად, მე მოწმე ვიყავი ლეჟეს ამ გატაცებისა. დღესაც ბევრი ახალგაზრდა მხატვრისათვის მონდრიანი ნიმუშია თავშეკავებულობისა. მე ვგრძნობ რაღაც ექოს მსგავსს ბუნდოვანი ნოსტალგიისას ლეჟეს შენიშვნებში აბსტრაქტულ ხელოვნებაზე, რომელიც მან 1946 წ. მონრეალში გამოაქვეყნა და რომელშიც წერდა:

„გასული ოცდახუთი წლის ხანგითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებში აბსტრაქტული ხელოვნება ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე საინტერესოა. იგი არავითარ შემთხვევაში არ არის ექსპერიმენტული ცნობისწადილი.

ესაა ხელოვნება, რომელიც ღირებულია თავისთავად, რომელმაც გამოამჟღავნა თავისი თავი და რომელიც პასუხობს მოთხოვნილებებს... მას აქვს ისეთივე სურვილი სრულყოფილებისა და სრული თავისუფლებისა, როგორიც აქვთ წმინდანებს, გმირებსა და შეშლილებს. ეს არის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომლის მიღწევაც მხოლოდ რამდენიმე შემოქმედს თუ ძალუძს. მოდელირება, კონტრასტები, საგნები გაქრნენ, დარჩა მხოლოდ ძალიან წმინდა, ძალიან ზუსტი დამოკიდებულებები, რამდენიმე ფერი, რამდენიმე ხაზი; ჩნდება სიმპათია ვერტიკალური, ჩამოქნილი, მტკიცე, მკაფიო სიბრტყისადმი. ესაა ჭეშმარიტი, უხრწნელი პურიზმი. ესაა რელიგია, რომელსაც არ შეუძლია იყოს დასაბუთებული. მას ჰყავს თავისი წმინდანები, მოციქულები, ერეტიკოსნი. თანამედროვე ცხოვრება — სისწრაფითა და შფოთით, დინამიკითა და კონტრასტებით აღსავსე, მშვენიერად ეხეთქება ამ, ქაოსიდან ცივად ამომავალ ნათელ, ფაქიზ სტრუქტურას. ნუ შეეხებით მას, იგი დასრულებული მოვლენაა".

მე მიყვარს ეს ნათელი ტექსტი და ძალაუნებურად ვფიქრობ, რომ ლეჟემ ამ სიტყვების წერისას გარკვეულწილად გაუსწრო თავის ეპოქას.

ფუტურისტების გამოსვლა ასპარეზზე სუფთა, ჯანსაღი ქარის უზარმაზარ მოქროლებას ჰგავდა. მათი რევოლუციური იდეა გამომდინარეობდა მათივე ძირითადი ამოცანიდან — სივრცითი დინამიზმიდან. ხელოვნების სფეროში არაფერია აბსურდული და ფუტურისტებიც დადაისტებზე უფრო ადრე მიუახლოვდნენ აბსურდის ხელოვნებას. ფერწერაში მოძრაობის შეტანის მცდელობა, სხვათაშორის, სარისკო საქმეა და მაინც მათ მიაღწიეს ამას, შეძლეს ყველაფრის გამოხატვა მოძრაობაში. დღეს, როდესაც შევცქერით სევერინის, ბალას, ბოჩონის მიერ 1912—1914 წწ. შესრულებულ ნამუშევრებს, ჩვენ მათ აღვიქვამთ როგორც არაგრძნობისმიერ შედევრებს. ამასთან ფუტურისტები ძნელად თუ იყვნენ აბსტრაქციონისტი მხატვრები, ისინი მომხრენი იყვნენ პოლიტიკური აქტივობისა, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ არჩევნებში, აღიარებას ეძებდნენ ხმაურიან დემონსტრაციებში. ასეთი ქმედებები დიდად ვერ უწყობდნენ ხელს შინაგანი ხედვის განვითარებას და ყურადღების სრულ მობილიზებას ფერწერის აქტისა და გამომსახველობის ტექნიკურ საშუალებათა მიმართ, რასაც მოითხოვდა აბსტრაქტული ფერწერა თავისი არსებობის დასაწყისშიც და დღესაც. ფუტურისტების ამბოხი ყოველივე სტატიურის წინააღმდეგ ორმხრივი იყო: ის უბიძგებდა მათ სიახლეებისკენ და საოცარი მოძრაობის ტალღას ქმნიდა ხელოვნების სფეროში, მაგრამ ისინი ხშირად რჩებოდნენ უბრალო, ანეკდოტურ მხატვრებად: და ეს არსებითი ჩავარდნა განაპირობებდა მათი მოძრაობის კულმინაციას aeropittura Futurista-ში, რომელიც 1930 წლისათვის სხვა არაფერი იყო, თუ არა წმინდა აკადემიური passéisté ფერწერა (ეს ტერმინი უწოდა მარინეტიმ ფუტურისტების მტრებს).

ჩვენ კვლავ 1914 წ-მდე პერიოდს ვეხებით და შესაბამისად, ჯეროვნად უნდა დავაფასოთ ნამუშევრები, შექმნილი იმ დროის პიონერების მიერ, რომელთა მნიშვნელობა ალბათ, ჯერაც არ არის სრულად გაზომილი. განსაკუთრებით ვგულისხმობ სევერინის ტილოს „საცეკვაო რითმები", „დინამიური იეროგლიფები ბალ ტაბარინისა" (1912) და მისივე „ცეკვა ტამ-ტამი მონაკოში" (1911) — დიდი ტილო, რომელიც დაკარგულია. აქ ვხედავთ ერთი მარტივი რითმით შესრულებულ საგნობრივ ჯგუფებს, შექმნილს კბილანა ხაზებითა და უაღრესად ნათელი და კონტრასტული ფერებით. იგი ერთგვარი პრეფიგურაციაა ჯაზისა, რომლის სინკოპური რითმები მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოედო ევროპას. მხატვარი მიმართავს თემებს, ძირითადად მეტად მარტივს, ზუსტად ისე, როგორც მუსიკოსი ჯაზური მუსიკის შესრულებისას, ასრულებს რა მელოდიას, სახეს უცვლის, თითქოსდა აწვალებს, კარგავს და კვლავ აღადგენს მას.

1910 წ. აპრილში გამოქვეყნდა „ფუტურისტული ფერწერის ტექნიკური მანიფესტი",

ხელმოწერილი ბოჩჩონის, კარრას, რუსოლოს, ბალლასა და სევერინის მიერ, ხოლო მათ მიღმა იგრძნობოდა პოეტური შთაგონება მარინეტისა. იგი აცხადებს: „ყოველივე მოძრაობს, ვითარდება, განიცდის ტრანსფორმირებას დროდადრო. ხაზი, კონტური, არასოდეს რჩება სტატიური ჩვენი მხედველობისათვის, არამედ მუდმივად ჩნდება და ქრება. საგნები მოძრაობაში მრავლდება, დეფორმირდება, თითქოს ერთი მეორეს მისდევს, როგორც სწრაფი ვიბრაციები, სივრცეში ჩაქროლილი... გაქცეულ ცხენს ოცი ფეხი აქვს და არა ოთხი და მისი მოძრაობა სამკუთხაა". ამ სახის განცხადებამ ძალოვნად მოახდინა განმათავისუფლებელი გავლენა მთელ თაობაზე. როდესაც ფუტურისტებმა განაცხადეს, რომ სურათის მხილველი უნდა იდგეს არა სურათის წინ, არამედ მის შიგნით, მე ვფიქრობ, ისინი გულისხმობდნენ არა მხოლოდ იმას, რომ ტილომ და მხილველმა უნდა გაინაწილონ ერთი და იგივე განუყოფელი სივრცე, არამედ იმასაც, რომ მხილველმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მხატვრის ნამუშევარში იმავე შემოქმედებითი ენთუზიაზმით. მართლაცდა, რა დარჩებოდა ხელოვნებიდან და განსაკუთრებით — აბსტრაქტული ხელოვნებიდან ამ მისტერიული სიმპათიის გარეშე, იმ „მშვიდი სიყვარულის" გარეშე, რომელიც მხილველს შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილედ ხდის.

წმინდა აბსტრაქციის თვალსაზრისს როდესაც ვუბრუნდებით, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ფუტურისტები თუმცა ახლოს იყვნენ, მაინც მეტად დაშორდნენ მას, ვიდრე კუბისტები. ეს იმიტომ, რომ მათი მოქმედების სფერო უფრო ფართო იყო და მათი ანტიტრადიციონალიზმი ყოველივეს ეწინააღმდეგებოდა, ამასთანავე, ყოველივეს ასაზრდოებდა. სევერინის დივიზიონისტური ნამუშევრები „მოცეკვავე გოგონა" ან „ცეკვა" წმინდა აბსტრაქტული ხასიათისაა, ისევე როგორც პასტელით შესრულებული მისივე სურათები იმავე პერიოდისა („გეომეტრიული პორტრეტი კრავანისა" 1912). აბსტრაქტულია აგრეთვე ისეთი ტილოები, როგორიცაა კარრას „ცენტრიდანული ძალები" (1912), ბოჩჩონის „ადამიანის სხეულის დინამიზმი" (1913) და ბალლას „განწყობილებათა სახეობები". (1914). მაგრამ აბსტრაქტული ფერწერის ეს „ინკუნაბულა" გარკვეულწილად შემთხვევითობაა. მათი მიზანი იყო დაენერგათ თავიანთი ხელოვნება ცხოვრებაში, ქუჩაში და მოესპოთ ყოველი უმოქმედო, უმეცარი, დამუხრუჭებული ზნე-ჩვეულება.

ეს სურვილი ქმედებისა და გრძნობიერი თანამონაწილეობისა წარუშლელ დაღად აზის მათ ნამუშევრებს. პიტ მონდრიანი მაღალ შეფასებას აძლევდა ფუტურისტებს, მარინეტიმ, რომელიც საკმაოდ თავშეკავებული იყო თავისი დამოკიდებულებების გამჟღავნებაში და რომლის ენთუზიაზმიც ბევრად აღემატებოდა მისსავე უნარს კრიტიკისა, მაშინვე შენიშნა, რომ მონდრიანი იყო „უდიდესი ფუტურისტი მხატვარი ჰოლანდიისა". მაგრამ რაც პიტ მონდრიანს აღაფრთოვანებდა ფუტურიზმში, იყო არა იმდენად თვით ფერწერა, რამდენადაც წარსულისაგან განთავისუფლების ატმოსფერო, რასაც ფუტურიზმი ქმნიდა ხელოვნებასა და ცხოვრებაში. მონდრიანის მშვიდი ხასიათი არ გამორიცხავდა მის აღფრთოვანებას სამყაროს მოდუნებული მოძრაობისა და ზოგიერთი ინტელექტუალის სიძაბუნის მიმართ. ფუტურისტების ბრძოლა მოძრაობისათვის ერთგვარი სტრატეგიული ბრძოლა იყო თვითგამოფიტვისაგან გადარჩენისათვის. მათი ეს ურყევი პოზიცია განსაკუთრებით გამოიკვეთა 1912—14 წწ. ამ დროისათვის ფუტურისტები ყველა მიმართულებით მოედვნენ, წმენდნენ რა უზარმაზარ ნიადაგს ნეო-პლასტიციზმის მომავალ შემქმნელთა მეტისმეტად გამოზომილი ნაბიჯებისათვის. მონდრიანი, ჰოლანდიიდან რომ დაბრუნდა, დაემკვიდრა პარიზს, სადაც მისმა ფერწერამ ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა პირველი ორი წლის მანძილზე. მისი შემოქმედებითი სვლა გამორიცხავდა როგორც აჩქარებულ ნახტომებს, ასევე განზე განდგომასა და ყურადღების ოდნავ მოდუნებასაც. იგი მიაბიჯებდა მტკიცედ, არ აძლევდა ნამუშევარს იდეაზე წინ გასწრების და, პირიქით, იდეას ნამუშევარზე წინ გასწრების უფლებას. იგი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წინ მიიწევდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე მონდრიანი წუხდა იმაზე, იყო თუ არა მისი ბოლო ტილო წინამორბედზე სრულყოფილი. მას მოსვენებას არ აძლევდა წინსვლის მომენტი, თუნდაც პატარა წინსვლის, ისე, რომ უწინდელ მიღწევებს ხშირად მოუტევებელ შეცდომებად აღიქვამდა. 1919 წ. მის შემოქმედებაში მოვლენებით იყო აღსავსე. ამ წელს მან დაწერა ორი ვარიანტი ნატურმორტისა ქოთნით და „ვაშლის ხის ყვავილობა", ასევე მშვენიერი აბსტრაქტული კომპოზიცია მრუდე და ჰორიზონტალურ-ვერტიკალური ხაზებით შექმნილი ფონით — „აყვავებული ხეები". ნაცრისფერის და ოქროსფერის „კომპოზიცია № 1" (კრიოლერ-მიულერის მუზეუმი), მრავალი იმპროვიზაცია ხის მოტივით, რომლებშიც ჰორიზონტალურ-ვერტიკალური თემა თანდათან უფრო იკვეთება, რაც ნათლად ჩანს ისეთ დახვეწილ ტილოებში, როგორიცაა Nude და „ქალის ფიგურა"—ოდნავ დაბზული სინათლის ეფექტით. ეს მარტივი რით-

ბული თემა უფრო მკაფიო ხდება 1914 წ. და საბოლოოდ ყალიბდება 1914—16 წწ. შექმნილ ფერწერულ ტილოებსა თუ ჩანახატებში. 1914 წ. მონდრიანმა დაწერა „კომპოზიცია ოვალში" ნაცრისფერითა და ოქროთი (ამსტერდამი), დიდი ოქროსფერი ტილო (ნიუ-იორკი, გუგენჰაიმის მუზეუმი), ლურჯ-ნაცრისფერი ტილო (კროლერ-მიულერის მუზეუმი) და შესანიშნავი ოვალური კომპოზიცია (ნიუ-იორკი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი), რომელშიც მოკლე მრუდე მონასმები და ხაზი მოკლე დიაგონალი ჰარმონიულად წონასწორობას ქმნის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებთან.

ჰორიზონტალურ-ვერტიკალური თემა მკვეთრად აქცენტირებული სახით წარმოდგება „კომპოზიცია III"-ში და მრავალრიცხოვან კომპოზიციებში, რომელთა უმრავლესობას „Facade" ეწოდება და რომლებიც მონოქრომულ ნაცრისფერშია გადაწყვეტილი. იმავე წლის მიწურულს მონდრიანი გაემგზავრა ჰოლანდიაში, სადაც შექმნა აბსტრაქტულ ნახატთა სერია — „დომბურგის ეკლესიის ფასადი", „ზღვა", „ოკეანის ნავმისადგომი".

უნდა აღინიშნოს, რომ მოკლე ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზთა რითმი ასევე ნაცნაურია ბრაკისა და პიკასოს მიერ ჯერ კიდევ 1910 წ. შესრულებულ სურათებში. მონდრიანი ასევე დავალებულია მათგან ოვალის გამოყენების მხრივ. ამ თვალსაზრისით მართლებულია მისი გამონათქვამი ბრაკის მიმართ: „მადლობა მას ოვალისათვის", ასევე მიმზიდველობა ოვალის კუბისტებთან და მონდრიანთან იოლად შეიძლება აიხსნას: მრუდე ხაზების გამოსახვა შესაძლებელს ხდის სწორი ხაზთა აქცენტირებას, ხოლო ჩაკეტილი ფორმა იწვევს უსასრულობის შეგრძნებას.

ეს უცილო გავლენა კუბისტებისა მეტად თავისებური სახით გამოვლინდა მონდრიანის აზროვნებაში. მის ერთ-ერთ უბის წიგნაკში არის ასეთი ჩანაწერი [illegible] (დაახ. 1910-11 წ. შეგვიძლია [illegible], რომ ჰორიზონტალურ-ვერტიკალური თემის პირველი ჩამოყალიბება შედეგია მხატვრის დაკვირვებისა ზღვაზე. ერთ-ერთ ნახატის ქვეშ ვკითხულობთ: „მამაკაცური და ქალური, ვერტიკალი და ჰორიზონტალი". მონდრიანისთვის ჰორიზონტალური სივრცე ზღვის უსაზღვროობისა ქალურობის სიმბოლოა. მამაკაცურობა სიმბოლიზებულია ზღვაზე გამოსახული მის ვერტიკალური ტალღების რიგით, რომელიც თითქოსდა აპსიჯრებს ტალღებს და იცავს დიუნებს ეროზიისაგან. ამ წაგრძელებული მორების წარმოსახვა თავის მხრივ ზღვაში მოცურავე ტყის ასოციაციას იწვევს. ვერტიკალური ღერძები, გადაკვეთს რა ტალღების ჰორიზონტალურ ხაზს და ასევე ზღვის ჰორიზონტს, ქმნის მართ კუთხეს. ასეთია პირველწყარო მონდრიანის თემისა, ფუნდამენტური დუალიზმისა, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ნეოპლასტიციზმს. ეს ესთეტიკური სისტემა უნდა დაეყრდნობოდა მართი კუთხის დოგმას, უკვე ჩამოყალიბებულს ზღვის ჰორიზონტისა და ვერტიკალური დიუნების დაპირისპირებით. ამგვარად, სქოლასტიკური დოგმა იმის შესახებ, რომ გონებრივ გააზრებას წინ უსწრებს შეგრძნებები, განმტკიცებულ იქნა მხატვართა ახალი თაობის გრძნობადი სამყაროს საფუძველზე.

◻

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке
1990 № 3
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ
ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



ეროვნული ბიბლიოთეკა

რობერტ დელონე. წრიული ფორმები.